ნესტან (ელისაბედ) კირთაძე

1924 წლის აჯანყება საქართველოში

ქუთაისის ბ. ტაბიძის სახელობის
საჯარო საზოგადოება „სტამბის“
საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
1996

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ

ᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲓᲔᲡ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ, ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲐᲜ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲯᲣᲚᲘ.

ᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲝᲠᲐᲓ-ᲝᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ. ᲔᲠᲗᲘ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ, ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲰᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ, ᲐᲛᲐᲧᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲥᲜᲣᲑᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ.

ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲙᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲥᲕᲔᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ, ᲯᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲜᲐᲦᲚᲐᲚᲐᲢᲔᲕᲘᲡ, ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲬᲜᲣᲚᲘᲡ, ᲨᲔᲒᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ, ᲮᲣᲜᲓᲔᲑᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ, ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲘᲡ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ, ᲠᲔᲰᲠᲔᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ, ᲬᲐᲛᲝᲩᲝᲥᲔᲑᲣᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲕᲔᲣᲜᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ, ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ.

ᲜᲘᲡᲢᲐᲜ (ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ) ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲔ
29 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1996 ᲬᲔᲚᲘ
ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ**

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲕᲬᲘᲠᲐᲕ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲡ—ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ.

რედაქტორისაგან

ეს წიგნი—ავტორობით ნესტან კირთაძისა და სახელწოდებით „1924 წლის აჯანყება“—ამ საწყისებრივ გაცხადებითვე, საუკეთესო, მრავალმნიშვნელოვან და მაღალღირსეულ ნაშრომად უნდა ჩაითვალოს.

XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში დატრიალებულ ისტორიულ მოვლენებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დიახაც ბევრი რამ დაწერილა და გამოქვეყნებულა. მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი—ე. წ. „საბჭოურ-დოგმატურ“ მეთოდიკაზე დაფუძვნებული—დღეისათვის უაღრესად ნაკლულ, ან სულაც ყოვლად უსარგებლო მაკულატურად შემოგვრჩენია.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი, კონკრეტული თემაც 1924 წლის აჯანყებაა და, უკეთუ ამ საკითხზე საბჭოურ-კომუნისტური იმპერიის რღვევის შემდეგ მაინც რაიმე დაწერილა, მათგან ყველაზე სრულქმნილად სწორედ ნესტან კირთაძის ეს წიგნი გვეელინება.

მოინტერესე მკითხველი წიგნის შესავალ ნაწილშივე იგრძნობს და იცნობს ავტორის კეთილშობილურ განაზრახს: ხელახლა, მკაცრი მეცნიერული პროფესიონალიზმით შეისწავლოს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული პირველწყაროებიც და წინარე ავტორთაგან ნაკვლევი ლიტერატურაც. აქვე ავტორს საკითხის საკვლევაძიებო სამანებში პირველად, ნარუქად („ნოვატორულად“) შემოაქვს სრულიად ახალი, მეცნიერთაგან დღემდე ხელუხლებელი წყაროები და დოკუმენტები (ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი: მასალები ჰარვარდის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდებიდან).

საერთოდ, ავტორი კვლევაძიებას აწარმოებს ჭეშმარიტი ისტორიკოსისათვის აუცილებელი სინდისიერებით, ანუ რომაულ-

ლათინური სენტენციით — Sine irai et ctydio („გარეშე გაანჩხლებისა და მიკერძოებისა“). სწორედ ასეთი მაღალკვალიფიციური და მაღალეთიკური კვლევითი მეთოდით, ავტორი 1924 წლის ქართველთა აჯანყებას ხსნის და აშორებს მანამდე დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ კვალიფიკაციას—„უნიადაგო ავანტურიზმად“ წოდებულს, და მის სანაცვლოდ, ურყევი დასაბუთებით, ერთხელ და სამუდამოდ ამკვიდრებს ნამდვილი რეალიზმისათვის შესატყვის განსაზღვრებას: 1924 წლის აჯანყება იყო ქართველი ხალხის სწორედ სახალხო-ეროვნული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რუსულ-კომუნისტური ექსპანსია-ოკუპაციის წინააღმდეგ...

ასეთ წიგნებს ჩვენ „არისტოლოგიურს“ ვუწოდებთ.

„არისტოლოგიურ“ შემოქმედებას კი, ნება ეძლევა, სრული გაბედულებით წარუდგეს, ეახლოს და ეზიაროს მაღალკულტურულ მკითხველს.

აკადემიკოსი ლევან სანიკიძე.

თბილისი.

26 მაისი 1996 წლისა.

შესავალი

სრული სამოცდათხუთმეტი წელიწადი გასრულდა მას შემდგომ, რაიც ისტორიის ბედისწერამ სასწორზე შეაგდო დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი.

დამარცხდა მაშინ მთავრობა და არა ერი.

სრული სამოცდათორმეტი წელიწადი გასრულდა მას აქეთ, რაც კიდევ ახალი სისხლიანი ფურცლები ჩაიწერა ქართველი ერის უახლეს მატიანეში.

იუდასა და კაენის სული აღზევდა მაშინ ქართულ მიწაზე და უსწორო ომში დამარცხდა აჯანყება და არა ერი.

მძლავრობდნენ მაშინ საქართველოზე უცხო ტომისანი. არანაკლებ კი „გონებით ბერწნი და სულით საჭურისი" ქართველებიც და ინთხეოდა უდანაშაულოთა სისხლი.

და მაინც, არ ცხრებოდა თავისუფლებაწართმეული, ამბოხებული სული.

„ქართველო ერო! დღევანდელი შენი თავგანწირული ბრძოლა მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. ის მსხვერპლი, რომელიც შენ მიიტანე სამშობლოს წმინდა საკურთხეველზე, აუცილებელი თავდებია შენი მომავალი გამარჯვებისა..."

კვლავ ყიჟინებდა უკვე ხუნდებდადებული ქართველი და მაინც აიმედებდა და ამხნევებდა ერს:

„შენი ეროვნული გადაგვარება შეუძლებელია, ჟამი შენი განთავისუფლებისა მოახლოებულია... ისტორიული სიმართლე შენს მხარეზეა... კომუნისტური ხელისუფლება კი ისტორიის მიერ განწირულია, მტკიცედ იდექით სამშობლოს სადარაჯოზე..."

აფრთხილებდა ქართველ კომუნისტებს:

„ნუ გადააქცევთ საქართველოს მიწა-წყალს ოკუპანტებისა და ჩეკას სათარეშო ასპარეზად!

ნუ სწვავთ ვით ჰეროსტრატე ქართული ეროვნული კულტურის ტაძარს!

ნუ სჩადიხართ უდიდეს ბოროტებას ერისა და ისტორიის წინაშე!

ნუ ისვრით ხელს ქართველი ხალხის სისხლში. აკმარეთ ნაწამებ ერს ამოდენა ტანჯვა და მით შეიმსუბუქეთ მომავალი პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც გიმზადებთ თქვენ ისტორია,

თორემ ერი არ დაივიწყებს თქვენს ღალატს და შესაფერ პასუხს მოგთხოვთ, როდესაც დადგება ჟამი თქვენი განკითხვისა.

და ეს ჟამი ახლოა იცოდეთ!"

და დადგა ეს ჟამიც.

დადგა განსჯისა და შეფასების ჟამი.

ჩვენი ისტორიის XX საუკუნის პირველი მეოთხედი, სამეცნიერო კვლევა-ძიების თვალსაზრისით, ყოველთვის გაუნელებელ ინტერესს იწვევს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყოველ დარგში, განსაკუთრებით კი საისტორიო მეცნიერებაში.

ჩვენი თანადროული ასწლეულის ეს მონაკვეთი შეიძლება დაიყოს ხუთ მთავარ პერიოდად:

1. ბრძოლა საციონალურ („თერგდალეულები", „პირველი დასი") და ინტერნაციონალურ („მესამე დასი") პარტიებს შორის, რომელიც მთავრდება ეროვნული მოძრაობის ბელადის (ილია ჭავჭავაძე) მკვლელობით.

2. განხეთქილებანი და დაპირისპირებანი თვითონ „მესამე დასში"—მენშევიკთა და ბოლშევიკთა სახით. ახალი პოლიტიკურ მიმდინარეობათა ჩამოყალიბება.

3. სამოქალაქო ომი რუსეთში და საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყნის სათავეში მენშევიკთა ხელისუფლებით.

4. ბოლშევიკური აგრესია და საქართველოს ხელახალი დაპყრობა რუსეთის მიერ.

5. აჯანყება საქართველოში დამოუკიდებლობის აღსადგენად და მისი შედეგები.

ხუთივე ამ მრავალმნიშვნელოვან მომენტზე მრავალად დაწერილა—როგორც უშუალოდ მონაწილეთა, თვითმხილველთა, ასევე შემდგომი დროის ისტორიკოსთა და მკვლევართა მიერ.

ჩვენ კი გადავწყვიტეთ, ჩვენი შრომა მიეუძღვნათ ბოლო, მეხუთე პერიოდს—რუსულ-ბოლშევიკური აგრესია-ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ცდას. ვითვალისწინებთ რა ამ საკითხზე დღემდე გამოქვეყნებულ მეცნიერულ ლიტერატურას, ცალკეულ გამოკვლევებსა და გააზრებებს, ამავე დროს ხელახლა ვიკვლევთ და ვსწავლობთ საკითხთან დაკავშირებულ წყაროებს, დოკუმენტურ მასალებს და, რაც მთავარია—საკითხის ხელახალი კვლევის პროცესში შემოგვაქვს ახალი პირველადი წყაროები, ახლადმიკვლეული დოკუმენტური მასალები, რომელთა გულდასმითი კვლევა და შესწავლა საფუძველს გვაძლევს ზოგი რამ ახალ აზრად გამოჩნდეს აღნიშნული საკითხის ისტორიაში, ზოგი რამ, ადრე მიღებული დასკვნებიდანაც, რაიმე შესწორდეს თუ დაზუსტდეს.

დღეს ასეთი სამუშაოს ჩატარება მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან მთელი 70 წლის მანძილზე, მკაცრი საბჭოური დოგმატიკით,

პირდაპირ ტაბუ ან ვეტო ჰქონდა დადებული არა მარტო აღნიშნული თემის, არამედ მთელი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ნამდვილი, თუნდაც ელემენტარული სამეცნიერო მეთოდოლოგიით შესწავლას—ისეთი მეთოდოლოგიური ანბანით, რასაც ისტორიოსის სინდისისმიერი შესწავლა ჰქვია.

ასეთი იდეოლოგიური ტერორიზმის პირობებში შეუძლებელი იყო დადგენა თუნდაც იმისა—ჰქონდა თუ არა 1924 წლის ტრაგედიას საქართველოში თავისი ობიექტური წანამძღვრები: „თუ მენშევიკებმა მხოლოდ პარტიული ბატონობის დაბრუნებისა და შენარჩუნებისათვის ჩაიყოლიეს ქართველი ხალხის სისხლი თავიანთი განსვენების გზაზე ", ანუ რა იყო აჯანყების მიზეზები და მიზნები?

აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხიც ცალმხრივად არსებობდა და ათეული წლების მანძილზე ოფიციალური საბჭოთა ხელისუფლების მიდგომებს იმეორებდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიაც. კერძოდ:

გაეცნო რა რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს მიერ, საქართველოს ამბებთან დაკავშირებით, 1924 წლის 2 სექტემბერს გამოყოფილი კომისიის მოკელეულ მასალებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმი, თავის მხრივ, შეეცადა აეხსნა აჯანყების მიზეზები და მივიდა (იძულებული გახდა მისულიყო) იმ დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა შეცდომებს სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პლენუმმა აღნიშნა, რომ შეცდომები გამოიხატა: სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის და საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისუსტეში; საბჭოთა და პარტიული ორგანოების ფუნქციათა ხშირ აღრევაში; რომ აჯანყება წარმოიშვა აგრეთვე ზოგიერთი ეკონომიკური სიძნელით და პარტიის ეროვნული პოლიტიკის გატარების დროს დაშვებული ზოგიერთი შეცდომით.

მნიშვნელოვან ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს მოხსენებითი ბარათი, გაგზავნილი საქართველოს ამბებთან დაკავშირებით გამოყოფილი კომისიისათვის და პირადი წერილები, რომელთა ავტორია ცნობილი პარტიული მოღვაწე ბესო ლომინაძე (საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი, 1992 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის აგვისტოს დამლევამდე). დოკუმენტები პირველად გამოაქვეყნეს და შესაბამისი კომენტარები დაურთეს პროფესორებმა ელ. მერკვილაძემ და ლ. თოიძემ.[1]

კრიტიკულად აფასებს რა სამხარეო და რესპუბლიკური ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული პოლიტიკის შედეგებს, ბ. ლომინაძე აცხადებს: „უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები და უარი ვთქვათ მათზე. ჯერჯერობით ისინი ნაკლებად საშიშია. მაგრამ მომავალში თუ ასე გაგრძელდა, გაცილებით სერიოზული სიძნელეები მოგველის."

---

[1] ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", №3, 1989 წელი.

თავისებურად გაგებული სწორი ეროვნული პოლიტიკის განხორციელება მიაჩნია რა პირველხარისხოვან და გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხად, ბ. ლომინაძე მოხსენებით ბარათში მიუთითებდა: „ბოლოდროინდელმა აჯანყებამ თვალსაჩინო და ყურადსაღები ფორმით წარმოაჩინა ჩვენი ძლიერი და სუსტი ადგილები ამ სფეროში". იგი გულწრფელად აღიარებს დაშვებულ შეცდომებს: „მიმაჩნია, რომ დაშვებული შეცდომები ჩვენს ეროვნულ პოლიტიკაში დაიწყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ და მათ გამოხატულება პოვეს ამიერკავკასიის ყველა ორგანოს მეტისმეტი ცენტრალიზაციის, ეიტყოდი „ჰიპერცენტრალიზაციის" კურსში რომელიც დიდი დაჟინებით ხორციელდება უკანასკნელ ხანს".

მაშინდელ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ მიაჩნდა შეცდომად—როგორც საქართველოს ისტორიის „ნარკვევებშია" აღნიშნული—თვლიდა იმას, რომ „არასაკმარისი პოლიტიკური მუშაობის შედეგად მასებს არ განემარტათ საქართველოს ისტორიულ საზღვრებში მომხდარი ცვლილებების პოლიტიკური მნიშვნელობა" და, მეორეც: „საერთოდ სუსტად წარმოებდა მასებში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის, მისი თეორიისა და პროგრამის პოპულარიზაცია".

1924 წლის აჯანყება საქართველოში სწორედ ქართული სუვერენობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით წარიმართა, ამას უტყუარად ამტკიცებენ არსებული წყაროები და დოკუმენტები, რომელთაგან ზნიშვნელოვანი ნაწილი პირველად შემოდის საკვლევაძიებო მიმოქცევაში.

1924 წლის აჯანყების მიზეზების ობიექტურ გააზრებაში გვეხმარება დოკუმენტური მასალები, რომლებიც მეტეხის ციხეშია შედგენილი, სადაც პოლიტპატიმრები (აჯანყების ხელმძღვანელები და მონაწილენი) მოინახულა და საუბარი გაუმართა საფრანგეთის რკინიგზელებისა და ტრანსპორტელების მუშაოა დელეგაციამ. დელეგაციის შეკითხვებზე, თექვსმეტი პოლიტპატიმრის დასტურით, პასუხი გასცა და ხელი მოაწერა აჯანყების ხელმძღვანელმა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა. საუბრის ასლები დაცულია თბილისის პოლიტიკური პარტიების არქივში.

დღემდე მკვლევართაგან სავსებით ხელუხლებელ წყაროთაგან სამაგალითოდ დავასახელებ რამდენიმეს:

1. „საქმე საქართველოს ანტისაბჭოური პარიტეტული კომიტეტისა (დასკვნითი დადგენილება), არქივი №8 (რუსულ ენაზე).

2. „საგამომძიებლო მასალები საქართველოს საციონალ-დემოკრატთა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენებანი რიგი პასუხისმგებელი სამხედრო მუშაკისა პარიტეტიდან და მისი ცენტრალური კომიტეტიდან"; არქივი №63 (რუს.).

3. „საგამომძიებლო მასალები 1922-23 წლების „დამოუკიდებლობის კომიტეტისა", „სამხედრო ცენტრისა" და კონტრდაზვერვისა": არქივი №23 (რუს).

4. „საგამომძიებლო მასალები საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტისა და მოწმეთა ჩვენებანი, 1924 წ". არქივი №36 (რუს.).

5. „მოხსენება საქართველოს მენშევიკთა პარტიისა და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, 1922 წლის 1 აგვისტოდან 1930 წლის 10 იანვრამდე": არქივი №16 (რუს.).

6. „მასალები ამიერკავკასიის ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე 1925 წლის იელის-დეკემბრის პერიოდში": არქივი №25 (რუს.).

7. „საქართველოს ანტისაბჭოური პარტიები": არქივი №41 (რუს.).

8. „ცნობები საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებ'ხე": არქივი №31 (რუს.).

9. „მოხსენება საქართველოს ანტისაბჭოური პარტიების საქმიანობის შესახებ, 1924 წლის სექტემბრიდან 1928 წლის 15 თებერვალამდე განვლილ პერიოდში": არქივი №9 (რუს.).

10. „საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა საზღვარგარეთული ორგანიზაციები — კედიას ჯგუფის შესახებ": არქივი №30 (რუს.).

და კიდევ: პოლიტიკური პარტიების არქივის (თბილისი) ფონდსაცავებში დაცული რიგი დოკუმენტებისა.

ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები. ეს მდიდარი წყაროთმცოდნეობითი. მასალა უმეტეს წილად, პირველად შემოდის სამეცნიერო კელეეის სფეროში.

თავისთავად იგულისხმება, რომ ზემოაღნიშნულ სიახლეთა გვერდით, შრომაში ფართოდ გამოიყენება ემიგრანტული პრესა, პოლიტიკური და მემუარული ლიტერატურა. აქ პირველ რიგში უნდა დაეასახელოთ რ. არსენიძის, ს. გოგიბერიძის, ს. ზალდასტანიშვილის, კ. სულაქველიძის, ალ. სულხანიშვილის და სხვათა მოგონებანი; კ. ანდრონიკაშვილის, გ. ანჯაფარიძის, ი. ჯავახიშვილის, ე. ჯუღელის და სხვათა წერილები და სასამართლო ჩვენებები.

საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და ოფიციალური ხელისუფლების პოზიციებიდან აჯანყების შეფასება გადმოცემულია მ. კახიანის, ლ. ღოღობერიძის, ს. ორჯონიკიძის გამოსელებში და რიგი საბჭოთა ავტორების ნაშრომებში, აგრეთვე კოლექტიურ შრომებში: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" მეორე ნაწილში და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეშვიდე ტომში.

აგვისტოს აჯანყების და მასში მონაწილე პოლიტიკური პარტიების

ისტორიის ობიექტური სურათის აღსადგენად ამ ბოლო ხანს საინტერესო პუბლიკაციები და სტატიები გამოაქვეყნეს ე. ბენიძემ, რ. გრძელიძემ, ა. მუჯირმა, ჰ. სურგულაძემ, გ. შარაძემ, გ. ჩხაიძემ და სხვა ავტორებმა.

ზემოაღნიშნული ნაშრომებისა და საარქივო მასალების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზეა მოცემული 1924 წლის აჯანყების, მასში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის ცდა. ამ დიდმნიშვნელოვანი ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემის შესწავლა კი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საქართველოს უახლესი ისტორიის ჭეშმარიტი და ობიექტური სურათის აღდგენას.

თავი პირველი

ოკუპაციის დამდეგი წელი

საქართველოს ხანგრძლივი, ათასეული წლების ისტორიის მანძილზე, გარეშე მტერთა შემოსევებისა და დაპყრობების მასშტაბებით, ძნელია, რომელიმე შეედაროს 1921 წლის შემოსევას და დაპყრობას. თანაც ვგულისხმობთ მხოლოდ იმპერიულ შემოსევებს და — პირდაპირ და გადაჭრით შეიძლება ითქვას: ვერც რომაელთა, ვერც ირანელთა, ვერც არაბთა, ვერც სელჩუკთა, ვერც ბიზანტიელთა, ვერც მონღოლთა, ვერც ოსმალთა რომელიმე შემოსევა — ხაზგასმით ვიმეორებთ — 1921 წლის რუსულ შემოსევა-დაპყრობას ვერ შეედრება.

არასოდეს საქართველოს ასეთი ყოველმხრივი ბლოკადა არ მოსწრებია.

კიდევ მეტი: თვითონ რუსეთსაც, მისი საუკუნოვანი იმპერიული და იმპერიალისტური ომების მანძილზე, არც ერთი მისებური ხასიათის „რუსული დაპყრობა“ ისე სრულყოფილად და „უნაკლულოდ“ არ ჩაუტარებია, როგორც საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში.

არც ის მიგვაჩნია გადაჭარბებად, უკეთუ ვიტყვით, რომ საქართველოს ამ „კლასიკურ რუსულ დაპყრობაში“—თუ გადამწყვეტი არა, მაინც ძალიან დიდი როლი შეასრულა თვითონ ქართულმა, ანუ „გაუცხოებულმა ქართულმა“, ამ შემთხვევაში—„გარუსებულ-ქართულმა ელემენტმა“. ადვილად მისახვედრია, რომ აქ იგულისხმება ისეთი ძლიერი პერსონალია, როგორიც ჯუღაშვილ-სტალინი და ორჯონიკიძე გახლდათ, თუნდაც ამ ორი რეალური სიდიდის გარდა, ბოლშევიკური რუსეთის თავვამოდებულ სამსახურში მდგარი სხვა ქართული ანტურაჟიც არ გაეიხსენოთ.

ტრაგედიას გარდაუვალს ხდიდა ისიც, რომ ბოლშევიკური რუსეთის შემოსევის დროს, თვითონ საქართველოს სათავეში ფრიად სუსტი ხელისუფლება იდგა. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო ძლი-

ერი ქართველობა (ჯუღაშვილი, ორჯონიკიძე და სხვ.) საქართველოს სამტრო ბანაკში იყო. უფრო სუსტი (ჟორდანია და სხვ.) კი—თვითონ საქართველოს სათავეში. პირველ ნაკადს ბოლშევიკები ერქვა, მეორეს—მენშევიკები. ორივენი კი—რუსეთის ნიადაგზე აღზრდილნი და ჩამოყალიბებულნი. აკი ბოლშევიზმიც და მენშევიზმიც რუსული მოვლენა იყო—მარქსიზმის, ანუ სოციალიზმის მახინჯი ვარიაცია, გნებავთ ლენინური მარქსიზმი და სოციალიზმი, რომელთა ცნობიერებაში და მსოფლმხედველობაში ერთნაირად აჯანყდა მატერია. „იყო პური და არ იყო სული, იყო კლასი და არ იყო ერი, იყო კოლექტივი და არ იყო პიროვნება, იყო ინტერნაციონალური და უარყოფა ეროვნულის...“[1] და კრიჭაში უდგნენ ერთმანეთს ბოლშევიკები და მენშევიკები, ფორმალურად ვითომ „ჭეშმარიტი სოციალიზმისათვის“, სინამდვილეში—უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისათვის.

ხოლო, რაკი რუსეთის იმპერია, ლენინის მეთაურობით, ბოლშევიკებს დაეპყროთ, საქართველოც—ეს მენშევიკური საქართველო, ისევ მის წინანდელ „პატრონს“, თანაც ბოლშევიკურად განახლებული რუსეთის წიაღს უნდა დაბრუნებოდა.

თითქოს ყველაფერი ხდებოდა „ბუნებრივად“ და საამისოდ დამახასიათებელია მაშინდელი „მოღვაწის“ ისტერიული შეძახილი აღელვებული ხალხის დასამშვიდებლად:

„საღელავი რაა? ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის, სხვა არაფერი! ნუ ღელავთ-მეთქი, საღელავი არაფერია!“[2]

ერთი სიტყვით, აზერბაიჯანისა და სომხეთის „შემოერთების“ შემდეგ, რუსული ბოლშევიკური არმიები საქართველოს შემოესივნენ, ხოლო საქართველოს მთავრობა — ისე, რომ, შემოსეულ მტრებთან ქართველი მეომრების შეტაკების შედეგებიც ხეირიანად არ შეუტყვია—ისე გადაიხვეწა საქართველოდან.

1921 წლის 11 თებერვალს მე-11 არმიამ გადმოლახა საქართველოს

---

[1] გაზეთი „სახალხო საქმე“, გვ. 12, გამოცემა უცხოეთში მყოფ სოც-ფედერალისტების კომიტეტისა. პარიზი.

[2] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, 1958, გვ. 324. სხვათა შორის, ეს პეტრე გელეიშვილი იყო, წევრი იმ „კომიტეტისა“, რომელმაც დაადგინა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (იხ. ალ. სულხანიშვილი, რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე, პარიზი, 1985, გვ. 9.).

საზღვრები სომხეთის მხრიდან. თუმცა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი თბილისში — შეინმანი არწმუნებდა საქართველოს მთავრობას, რომ რუსეთმა არაფერი იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და იგი სომხეთის მიერ იყო მოწყობილი. ამავე დროს, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლის—შაევრდოვის არანაკლებ მტკიცე განცხადება იმის შესახებ, რომ სომხეთი სრულიად უცხოა ამ თავდასხმაში და იგი მზად იყო ყველა სადავო საკითხები გადაეწყვეტა მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

15 თებერვალს შეინმანმა ბაქოდან მიიღო დაშიფრული ტელეგრამა: „გადაწყდა რუბიკონს გადასვლა. იმოქმედეთ ამ გადაწყვეტილებასთან შეთანმხებით". იმავე დღეს მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა, გაძლიერებული კავალერიის შენაერთებით, შემოუტია საქართველოს აზერბაიჯანის მხრიდან.

16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ მიმართა მოსკოვს, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ლ. კარახანმა უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე. შემდგომ დღეებში მან განმეორებით მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები: „რას მოითხოვთ ჩვენგან... შეიძლება უსისხლოდ შევთანხმდეთ!!"—ნათქვამია მიმართვის ტექსტში. ეს დეპეშაც უპასუხოდ დარჩა. რის შემდეგაც უკვე ნოტა გაუგზავნეს ლენინს და ტროცკის—ამ აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შესაწყვეტად. ამის საპასუხოდ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ: ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გაელით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჭის მიმართულებით. ამგვარად, საქართველოს ყოველის მხრიდან შემოუტიეს ჯერ მე-11, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიებმა, აგრეთვე ბუდიონისა და ჟლობას კავალერიის ნაწილებმა.*

საქართველო, უკვე მერამდენედ, ჩაება უთანასწორო ომში.

1921 წლის 21 თებერვალს, დილის 10 საათზე, საბჭოთა რუსეთისაგან თავსმოხვეული ომის ურთულეს პირობებში, დამფუძნებელმა

---

* **შენიშვნა:** ამ მოვლენების ამსახველი ყველა დოკუმენტური მასალა აღებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დოკუმენტების კრებულიდან:

კ. ინასარიძე „პატარა „ოქროს ხანა" საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-21", მიუნხენი, 1984.

კრებამ, არჩეულმა პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით, ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის ძირითადი პრინციპები ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში იყო ჩამოყალიბებული და, რომელიც თავისი მნიშვნელობით დღესაც ითვლება უფლებრივ-დემოკრატიული სახელმწიფოს სანიმუშო კონსტიტუციად. ამით დაკანონდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, პირველად, სახელმწიფოს მართვის მონარქიული წესწყობილებიდან რესპუბლიკურზე გადასვლა.

დამფუძნებელი კრების იმავე 21 თებერვლის საღამოს სხდომამ გამოიტანა დადგენილება სამშობლოს უარმყოფელების შესახებ.

1. „იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებულ არიან ქართველი ხალხის მოღალატეებად. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას.

2. მოისმინა, რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, რომ შულავერში შედგა ჯგუფი, რომელიც თავის თავს საქართველოს მთავრობას უწოდებს, რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის საბჭოთა რუსეთის ჯარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, დამფუძნებელი კრება ადგენს:

ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ჰამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკელია გამოცხადებულ იქნენ ქართველი ხალხის მოღალატეებად, და დაყენებულ იქნან კანონს გარეშე“[1]

მთავარი შტაბის ზოგიერთ კომუნიკეზე დაყრდნობით 22-23 თებერვალი შემდეგი მოვლენებით აღინიშნა: თბილისის მიდამოებში ქართული ჯარი მისდევდა კოჯორთან დამარცხებულ მტერს, კახეთში დაიწყო ადგილობრივი გლეხების ძლიერი პარტიზანული მოქმედება, და-

[1] ჟურნალი „ბრძოლა“, №19-20, გვ. 87, 1927წელი, პარიზი.

რიალში მტერი უკუგდებულ იქნა, სამაგიეროდ, გაგრის მიმართულებით მრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია რუსეთის ჯარმა. თბილისის მიდამოებში კი სიწყნარე იყო. ასე იყო 24-შიც. ქალაქში წესრიგი სუფევდა. და მაინც, 24 თებერვალს, მთავარსარდლის —გენერალ კვინიტაძის გადაწყვეტილებით, ღამის 12 საათზე დაიწყო ქართული ჯარის უკან დახევა და დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ თბილისი დატოვა.

მართალია, ეს საკითხი—ანუ მსვლელობა და შინაარსი ამ დიდი ქართული ტრაგედიისა, ცალკე, უფრო ერცლად განსახილველ-გასაშუქებელი საკითხია და, ამჯერად, ჩვენი დაწერილებითი განხილვის საგანს არ შეადგენს, მაგრამ მთავარი სათქმელისათვის, ზოგადი აღწერაა იმ ვითარებისა, რაიც მოხდა საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის შემოჭრის შემდგომ და შედეგად...

1921 წლის 24 თებერვლის საბედისწერო ღამის შესახებ მასალა ისტორიისათვის შემოგვინახა ნოე ჟორდანიას ადიუტანტმა—კოტე იმნაძემ, რომელიც ცოტა მოგვიანებით დაწერს:

„... 24 თებერვალს, 8 საათი სრულდებოდა, შტაბში რომ დავბრუნდით. იქ დაგვხვდა... მთავარსარდალი ღენ. კვინიტაძე, ღენ. ოდიშელიძე და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი. შესვლისთანავე მთავრობის თავმჯდომარე მიუჯდა შტაბის უფროსის მაგიდას და მოსთხოვა პოლკოვნიკ გედევანიშვილს ფრონტის მდგომარეობის გაშუქება. ღენ. კვინიტაძე... მიუბრუნდა ისევ კედლის რუქას და ჩაილაპარაკა „ესიო რავნო“... „ია ოტსტუპაიუ!“[1]... საომარ-სტრატეგიული მოსაზრებით ასე ურყევი გადაწყვეტილების აუცილებლობა მთავარსარდალმა სათანადოდ დაასაბუთა და როგორც იმნაძე იგონებს, ამ დასაბუთებას ლოდიკაც არ აკლდა. გენერალმა ოდიშელიძემ წინააღმდეგობა ვაუწია მთავარსარდალს და საბრძოლო მოქმედების მისეული ვარიანტი დაასრულა სიტყვებით: უმჯობესია თბილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთო. ამავე დროს სრულ 10 საათზე გენ. კვინიტაძემაც დაასრულა უკანდახევის გეგმის კარნახი.

რადგან მთავრობის თავმჯდომარე დარწმუნდა, რომ მთავარსარდლის განკარგულებაში ვერავინ ჩაერეოდა, დატოვა შტაბი და სასახლისაკენ გაემართა, სადაც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის

---

[1] ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №29, 1958წ., პარიზი.

მოზრდილ ოთახში თავი მოეყარა დეპუტატთა უმრავლესობას. „...ამ ამბავმა საერთო ჩოჩქოლი გამოიწვია დამსწრეთა შორის. პირველი სიტყვა აიღო ვეშაპელმა* და გაოცებული შეეკითხა მთავრობის თავმჯდომარეს—თუ ვინ გაბედა, ვისი აზრია ქალაქის დატოვება?!—ასეთია მთავარსარდლის ურყევი გადაწყვეტილება, თუ ეს არ მოგწონთ, მას გადავაყენებ და თქვენ დაგნიშნავთ, ან სხვა ვინმეს, ვისაც ინებებთ... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... მთავრობის თავმჯდომარე სახლში მივაცილე. სადაც თბილისის მოქალაქეთათვის სახელდახელო მოწოდება დასწერა დედაქალაქის დატოვების აუცილებლობაზე და პირდებოდა მოკლე ხანში ჩვენი ჯარის მიერ თბილისის ისევ დაკავებას... მიბრძანა სასწრაფოდ გაზეთ „ერთობის“ სტამბაში შევსულიყავი მის დასაბეჭდად და გასავრცელებლად. სტამბაში მოწოდება გადავეცი ასოთამწყობს... წაკითხვა ვერ დაასრულა, რომ თვალები ცრემლით აევსო... ღამის პირველი საათი სრულდებოდა... ქალაქი ძილს მისცემოდა. ირგვლივ სრული სიწყნარე და წესრიგი სუფევდა... ვინ წარმოიდგენდა თუ ამ დროს ჩვენი ჯარი უკან იხევდა და თბილისს სტოვებდა...“[1]

მეორე დღეს, 25 თებერვალს კი თბილისში შემოვიდა რუსეთის საოკუპაციო ჯარი, რომელსაც ასე აღწერს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზურაბ ავალიშვილი: „25 თებერვალს, 1921 წელს საბჭოთა ჯარები შედიოდენ ტფილისში. წინ მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში თეთრ ცხენზე მჯდომი ერთი ქართველი კომისარ-თავგანი. მას გვერდით უხილავად მოჰყვებოდა გაძვალტყავებულ ჯაბრიკაზე ძონძებში გახვეული ჩონჩხი და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი“[2].

ზურაბ ავალიშვილის მიერ სიმბოლურად დანახულმა ამ ნგრევის ცელმა კი, 21 წლის თებერვლიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მასშტაბით სისხლის კალო ლეწა საქართველოს მიწაზე.

ქართულმა ჯარმა ბრძოლით დაიხია რიონის მარცხენა ნაპირზე იმ პირობით, რომ ბათუმი დაცული ყოფილიყო, როგორც სამხედრო

---

* **შენიშვნა:** (გრიგოლ ვეშაპელი, დამფუძნებელი. კრების წევრი. მან 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე, ნოე ჟორდანიას შემდეგ, წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტის რუსული თარგმანი. (ნ. კ.)

[1] ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №29, 1958 წ., პარიზი.

[2] ზურაბ ავალიშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, 1924წ., პარიზი.

ბაზა. მდგომარეობა დაიძაბა და გაუარესდა, როცა თურქებიც შემოიჭრნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში. თავის მოგონებაში „ჩემი წარსული“ ნოე ჟორდანია წერს: „ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგვიგრძნობდა. ეჭვს მიბაღებდა მხოლოდ ერთი—ოსმალეთის ელჩი კიაზიმ ბეი. ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დაეერიდებით ომსაც ბოლშევიკების წანააღმდეგო“[1].

მიუხედავად ამისა, ანგორის მთავრობამ გამოიჩინა მუხანათობა (ცხადია, რუსეთის აშკარა წაქეზებითა და მისთვის საქართველოს სასურველი ტერიტორიის გადაცემის დაპირებით) და 22 თებერვალს ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს მთავრობას, რითაც მოითხოვდა არდაგანისა და ართვინის გადაცემას.

საქართველოს სამხედრო მდგომარეობა დღითი დღე რთულდებოდა. ხუთი მხრიდან გარშემორტყმული რესპუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული და თურქეთის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა კიდეც მისი წინააღმდეგობის დასასრული.

არდაგან-ართვინის დაკავების შემდეგ, ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის უკვე აღარ არსებობდა სადავო საკითხები და, თავის მხრივ, ერთგვარი დახმარებაც კი შესთავაზა ბათუმსა და მის პროვინციაში რუსეთის საოკუპაციო ჯარის არ დაშვების მიზნით. მაგრამ ბათუმში შესვლისთანავე თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა—მოხდეს ბათუმისა და მთელი მისი პროვინციის ანექსიაო და შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები. ამავე დროს ულტიმატუმით მოითხოვეს ქართული ჯარის განიარაღებაც.

ამ დღიდან საქართველოს ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა და უკვე არ გააჩნდა წარმატების არავითარი შანსი, განწირული იყო დასაღუპად, რამაც საბჭოთა რუსეთის ჯარებს გზა გაუხსნა ბათუმისა და საქართველოს მთელი ტერიტორიის საოკუპაციოდ.

1921 წლის 16 მარტს დამფუძნებელმა კრებამ გამართა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დააკალა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან გა-

[1] კ. ინასარიძე „პატარა „ოქროს ხანა“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921“, 1984, მიუნხენი.

ნეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

1921 წლის 17 მარტს დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ბათუმიდან ლტოლვილობის გზას დაადგა და საბოლოოდ ემიგრაციაში, პარიზში დაიდო ბინა.

„გვეგონა და ვფიქრობდით: თუ ევროპა და ამერიკა ჩვენზედ მომხდარი ძალადობის, მოტყუილების და უსამართლობის ნამდვილ სურათს დაინახავდა... მყისვე დაიძროდა... სახსნელად ლეგიონები წამოვიდოდნენ"—წერდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი პაპავა. მაგრამ ევროპამ აქა-იქ გამოიტანა რეზოლუციები, ერთა ლიგამაც თითქოს ხმა ამოიღო და ეს ხმა მხოლოდ მეგობრობისა და ლამაზი სიტყვების იქით არ წასულა.

ყოველივე ამაზე ცოტა ქვემოთ...

ასე, ქართველი ხალხის ნებისა და სურვილის გარეშე, შეიარაღებული აგრესიის გზით დამყარდა რევკომების ხელისუფლება.

საქართველო ისევ რუსული უღლისა და ჩექმის ქვეშ მოექცა.

...როგორც ყოველთვის, დამპყრობელი დაპყრობას „გათავისუფლებას" არქმევს და ბოლშევიკებმაც მათგან დაპყრობილ საქართველოს „თავისუფალი" და „დამოუკიდებელი" საქართველო დაარქვეს. ჩვენ ვიხსენით და გავათავისუფლეთ საქართველო მენშევიკურ-ბურჟუაზიული უღლისაგან და დავამყარეთ მუშურ-გლეხური წესწყობილებაო, ანდა, უფრო გავრცელებული ფორმულირებით: საქართველოში მოხდა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, ხოლო მისი დამოუკიდებლობა დამოუკიდებლობადვე რჩებაო.

ასეთი შინაარსისა იყო მათი პირველივე დეკლარაცია, საქვეყნოდ რომ გამოაცხადეს.

მაგრამ იმ დეკლარაციის გამოცხადებისთანავე, ნათელი გახდა კომუნისტურ-ბოლშევიკური ხელისუფლების უკიდურესად დიქტატორულ-ტერორისტული არსი და, რაც მთავარია, ქართული მიწების „ინტერნაციონალური დანაწილება" და გასხვისება.

საქართველომ დაჰკარგა არა მარტო დამოუკიდებლობა, არამედ მისი ტერიტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილიც, და როგორც თანამედროვენი შენიშნავდნენ, იგი გულუხვად გადარიგდა მარჯვენივ და მარცხნივ.

---

[1] ჟურნალი „კავკასიონი", №10, 1965 წ., პარიზი.

ბოლშევიკური რუსეთი, რომელსაც ამ დროს განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თურქეთთან, თავისი უმთავრესი მიზნის—რევოლუციის ექსპორტის წინ წასაწევად აღმოსავლეთში—საგანგებო საერთაშორისო ხელშეკრულებებით ანაწილებდა საქართველოს მიწებს. კერძოდ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთაგან თურქეთს გადაეცა შემდეგი ტერიტორიები: „ართვინის ოლქი—3,333 კვ. კმ; მოსახ—61,000; ფოცხოვის თემი—588კვ. კმ; მოსახ.—15.000, არტაანის ოლქი—5,137 კვ. კმ, მოსახ.—56,000, ოლთისის ოლქი—3,051 კვ. კმ., მოსახ.—32.000, სულ 12,115 კვ. კმ. 164 000 მოსახლით.“[1] საგანგებოდ შევნიშნავთ იმასაც, რომ აღნიშნული განხორციელდა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის „ძმობისა და კავშირის“ ხელშეკრულებით. მაშინ, როდესაც ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა ჯერ კიდევ ბათუმში იყო და ბოლშევიკურ რუსეთს არავითარი უფლება არ ჰქონდა საქართველოს მიწა-წყლის ტრაქტატებით დარიგებისა.

ქართველი ერი იმედის თვალით შეაცქერდა იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ყარსში გამართულ კონფერენციას იმ რწმენით, რომ გადაისინჯებოდა მოსკოვის ხელშეკრულება და საქართველოს კვლავ დაუბრუნდებოდა დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ 13 ოქტომბერს დადებულმა ხელშეკრულებამ, რომელსაც ხელი მოაწერეს: ერთის მხრივ—საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, ხოლო მეორეს მხრივ ოსმალეთმა, რსფსრ-ს მონაწილეობით, ყველას კარგად დაანახა, რომ ეს მხოლოდ გარეშეთა მოსაჩვენებლად გაკეთდა და იგი 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების დადასტურება და დაცვა იყო ახლა უფრო ჭკვიანური თვალსაზრისით (საქართველოს მონაწილეობით).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქართველმა კომუნისტებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. სახელდობრ: „ბორჩალოს მაზრის ნაწილი—3,812 კვ. კილომეტრი და ზაქათალის ოლქი 3,564 კვ. კილომეტრი. ამგვარად, თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19,491 კვ. კილომეტრის სივრცე.“[2]

---

[1] ალ. მანველიშვილი. „საქართველოს საზღვრები“, 1938წ., პარიზი.

[2] იქვე. გვ. 18.

ამავდროულად, მთელის ძალით გაშალა ფრთები „ინტერნაციონალიზმისა“ და „ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის“ პოლშევიკურად გააზრებულმა ლოზუნგებმა და ამით ახალი საფრთხის წინაშე დადგა საქართველოს მთლიანობა. დადგა კი არა, რევკომი დეკლარაციას დეკლარაციაზე უშვებდა და პოლიტიკურად აქუცმაცებდა საქართველოს.

1921 წლის 28 მარტს ბათუმში გაიმართა რკპ (ბ) ცკ-ის კაბინეტის, საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი. თათბირმა გადაწყიტა, რომ აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე ღიად დაეტოვებინათ აფხაზეთის ფედერაციის საკითხი საბჭოთა რუსეთთან თუ საბჭოთა საქართველოსთან და იგი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

თათბირს ესწრებოდნენ ორჯონიკიძე, ქავთარაძე, ელიავა. აფხაზეთის რევკომმა 31 მარტს ეს გადაწყვეტილება რადიოგრამით აცნობა ლენინს, სტალინს და ჩიჩერინს. 21 მაისს კი საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ.

ეს იყო ჭეშმარიტად ანტიქართული გადაწყვეტილება, როდესაც საქართველოს ჩამოჰგლიჯეს მისი სისხლხორცეული ნაწილი და ამ მხარეში მოსახლეთა 27 პროცენტს მისცეს სანქცია 70 პროცენტამდის ქართველობისთვის დაეწესა „აბხაზური სახელმწიფოს“ მართვაგამგეობის კანონები. „არასოდეს, მთელი ასი წლის განმავლობაში არავისი, არც ერთი ნაბიჯი ისე სახიფათო, საშინელი და მავნე არ გამომდგარა, როგორც აქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობისა...“[1] „დამოუკიდებელ აფხაზეთში...“ ქართველობა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. სდევნიან, ავიწროვებენ. ქართულ გაზეთს არ აჭაჭანებენ... მერე სად? სოხუმის ოლქის სივრცეზე, სადაც უმრავლესობა ქართველობაა. ვინ მისცა უფლება ამ ხალხს... რომ საქართველოს მიწაწყალზე ასე უკონტროლოდ თარეშობენ? სოხუმის ოლქი შეიძლება გადაიქცეს ეშბა-ლაკობას საბრძანებლად? შეიძლება არსებობდეს „დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფო“, სადაც უმრავლესობა ქართველობაა? აბა, გადახედეთ ციფრებს.

სოხუმის ოლქი ოთხ ნაწილად არის გაყოფილი. 1919 წლის სტატისტიკური ცნობებით ასეთი არის სოხუმის ოლქის სურათი:

---

[1] გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, №119, 1921 წლის 24 ივლისი.

1) გუდაუთის რაიონში მცხოვრები იყო სულ 22.790 სული, აქედან აბხაზები—17.211.

ქართველები—134.

2) გუმისცნის რაიონში სულ ითვლებოდა უსოხუმოდ 21.000 სული;

აბხაზები 2.706

ქართველები—5.550.

3) კოდორის რაიონში—სულ 23.561 სული.

აბხაზები — 18.059.

ქართველები— 3.749.

4) სამურზაყანოს რაიონში სულ 38.441 სული.

აბხაზები—2.000.

ქართველები—36.441.

ხოლო თვით სოხუმში, აბხაზები—3.000.

ქართველები—25.056.

...და ასეთ კუთხეში, რა უფლების ძალით იმორჩილებენ ვიღაც „პოლიტიკოსები" ასეთ უმრავლესობას? „აბხაზური ანბანითაც" გამოუციათ გაზეთი. ალბათ რუსული პოლიტიკის დასაფარავად. რომ ეს ანბანიც ნამდვილი აბხაზური იყვეს ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნება, მაგრამ სიმპტომატურია ის გარემოება, რომ პრაქტიკაში შემოუტანიათ. ...„აბხაზური წერა", რომელიც რუსულ გრამატიკაზეა დამყარებული და შევსებულია აქა-იქ სხვა ასოებით.

ეს იმ დროს, როდესაც ისტორიულად აფხაზეთში ქართულ ანბანს ხმარობდნენ. იქნებ ვინმეს მოეჩვენოს აქ აფხაზების აღორძინება, მაგრამ ჩვენთვის ეს თვალთმაქცობაა მხოლოდ, რადგან აფხაზეთის მთელი ცხოვრება დღეს რუსული ეავლენით დაიტვირთა. სახელმწიფო ენა რუსული, თეატრი რუსული, გაზეთი რუსული, მმართველთა დიდი უმრავლესობა რუსები არიან და საერთოდ პოლიტიკაც, რასაკვირველია, რუსულია. ძველებური, ტლანქი. ვის უხვევენ თვალებს, ვის სურთ აუჭრელონ თვალი ასეთი ჯამბაზობით, ეს არის აფხაზეთის დამოუკიდებლობა? ეს არის თვითგამორკვევა? არა. ჩვენ კარგად ვიცით, სად უძევს ამ მოვლენას სათავე და ეადაჭრით მოვითხოვთ... რომ გაუქმებული იქნეს სადღაც „კაბინეტში" დაწერილი აბხაზეთის „დამოუკიდებლობის" დეკლარაცია და აღდგენილი იქნას ცოცხალი კავშირი და მთლიანობა ჩვენი ქვეყნისა"[1].

---

[1] ვახტანგ კოტეტიშვილი. გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი". № 120, 1921 წ. 26 ივლისი.

შემდეგ იწყება სხვადასხვა პოლიტიკური კომბინაციები: 1921 წლის 16 დეკემბერს, თბილისში იდება სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის, რომლის საფუძველზეც აფხაზეთი შედის საქართველოს სსრ შემადგენლობაში და მოგვიანებით (1922 წ. 13 დეკემბერს) ამიერკავკასიის სფსსრ-ში ამავე ფორმით. 1931 წლის თებერვლიდან კი, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

1921 წლის 16 ივლისს, საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

1922 წლის 20 აპრილს კი ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე გაჩნდა არარსებული „სამხრეთ ოსეთი".

ჯერ კიდევ 1921 წლის შემოდგომაზე, როდესაც საზოგადოებას ყური მოსჭრა ბოლშევიკების მიერ გავრცელებულმა ტერმინებმა „სამხრეთ ოსეთი", ან „სამხრეთ ოსეთის ავტონომია"— იქვე გაჩნდა საპროტესტო რეაქციაც. „...ჩვენს საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ ხსენებას „ოსეთი". რასაკვირველია, საქართველოში ოსეთი არ არსებობს. ეს ბავშვმაც იცის მშობლიური გეოგრაფიიდან. მაგრამ არიან ოსები, განსაკუთრებით გორის მაზრაში ჩამოსახლებულები, რომელთაც მისცეს მსხვილმა მემამულეებმა სამუშაო ადგილები...

რასაკვირველია, ლაპარაკიც შეუძლებელია ოსების ავტონომიაზე, როგორც პოლიტიკურ სისტემაზე. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოსების კულტურულ-ნაციონალური უფლებისათვის არ ვიზრუნოთ. ...სხვა უფლებებზე ლაპარკი ფაქტიურად შეუძლებელია... დიდი სიფრთხილე გვმართებს ასეთი საკითხების გადაჭრისას... საქართველოში ჩვენ არა ერთ საზოგადოებას ვნახავთ, განსაკუთრებით, ბორჩალოს მიმართულებით, ახალქალაქისა და ახალციხის ხაზით და ყველგან თუ ავტონომიებზე ვილაპარაკეთ, მაშინ დედა-საქართველო დაგვრჩება დიოგენის ფარნით საჩხრეკი..."[1]

ასე დააქუცმაცეს საქართველოს მთლიანი ეროვნული ერთეული.

მერე,—ასე შეკვეცილ-შეკრეჭილი საქართველოც თვით რუსეთის ახალმოდურ, საბჭოურ იმპერიაში ვითომ ცალკე, „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" სრულიად ფორმალურად იწოდებოდა; სინამდვილეში კი უწინარესად იგი სომხეთთან და აზერბაიჯანთან შეერთებულ

---

[1] გაზეთი „ტრიბუნა", №32, 28 სექტემბერი, 1921წ.

„ამიერკავკასიის ფედერაციად“ წოდებული ერთვოდა დიდი რუსეთის იმპერიას. ასე რომ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება—მისი ცენტრალური კომიტეტი ჯერ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყმა იყო, და ამ — მასზე უშუალო მბრძანებელი ინსტანციის გაელით შედიოდა რუსეთის ყმობაში.

„ერთის სიტყვით, რუსეთის წითელი იმპერიალიზმი ყველგან და ყველაფერში საკუთარი იმავე მიზანს ემსახურებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რომელსაც წინათ ატარებდა მონარქიული რუსეთი. სახელდობრ, მისი ყოველგვარი საქმიანობა მიმართული იყო იქითკენ, საქართველოსათვის ზეციდან სახელმწიფოებრივი თავი წაეჭრა, ამიერკავკასიის მთლიან სახელმწიფოში გაეთქვიფა და შემდეგ ეს უკანასკნელიც ფაქტიურათ სანამესტნიკოს მდგომარეობამდე ჩამოეყვანა. ხოლო მეორე მხრით, ქვეციდან აფეთქებდა ქართველი ერის ეროვნულ-კულტურულ მთლიანობას და აი აქედან მისი განუსაზღვრელი „ზრუნვა“ საქართველოსადმი ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფოებრივად მოწყობისა და უკვე სრულიად გაქართველებულ ჯგუფთა იძულებით-ეროვნულ რესტავრაციისა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ნათლად ააშკარავებდა რუსული „ინტერნაციონალიზმის“ ბნელ ნაციონალისტურ განზრახვებს საქართველოს მიმართ... ყოველი გზითა და ღონისძიებით ხელის შეშლა იმისათვის, რომ ამიერკავკასიის სამი მპყრობელი ერი, — ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი—სახელმწიფოებრივათ არ ჩამოყალიბდეს, რომ ამიერკავკასიაში რაც შეიძლება კიდევ უფრო აჭრელდეს და აირიოს ეთნიური სუმბური“.[1]

ასეთმა ანტიქართულმა კამპანიებმა თვითონ ორგზის დაყმეებულ მმართველ კომუნისტებშიც გამოიწვია უთანხმოება. ამას „ნაციონალური უკლონიზმი“ დაერქვა და „ნამდვილი კომუნისტები“ ამნაირ „გამოხდომას“ ბოლოსაც მალევე მოუღებენ. მანამდე კი, 1921 წლის 6 დეკემბერს, ფილიპე მახარაძე სრულიად საიდუმლო მოხსენებას გაგზავნის მოსკოვს. „...კავბიურომ სრულიად მოულოდნელად ახალი სიურპრიზის წინაშე დაგვაყენა. ვგულისხმობ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას და საქართველოს წითელი ლაშქრის მოსპობას. კავბიუროს ეს დადგენილებაც იმგვარადვე ტარდება ცხოვრებაში—სა-

[1] გრ. ლორთქიფანიძე, „ფიქრები საქართველოზე“, გვ. 242-243, 1995.

ომარ ბრძანებათა სახით და არაეითარი წინასწარი მსჯელობა პარტიულ ორგანიზაციებში არ ხდება.

ავიღოთ პირველად ამიერკავკასიის ფედერაცია. დამახასიათებელია, რომ კავბიუროს დადგენილება ამ საკითხის შესახებ საქ. კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში („პრავდა ეროზიი") დაბეჭდილი, პირდაპირ მოულოდნელი იყო თვით ცენტრალური კომიტეტისათვის. აქედან ცხადია, რომ კავბიურო სრულიად საჭიროდ არ თვლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა ამიერკავკასიის ფედერაცია, ანგარიში გაუწიოს თითოეული რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა აზრს და ეს კი, არც მეტი და არც ნაკლები, ამ ორგანოების ავტორიტეტის ძირის გამოცლაა, დაცემაა ხალხის თვალში...

საკითხავია: საჭიროა და სასარგებლო ეს ფორმალური გაერთიანება და ისიც ზევიდან ძალდატანებული? მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ დავახლოვებივართ მასებს, როდესაც ჯერ კიდევ ვერ მოგვისწრია საბჭოების მოწვევა... ფედერაცია ამგვარ პირობებში ნიშნავს ერთი კიდევ ახალი ზედმეტი ბიუროკრატიული აპარატის წამოსკუპებას, ხალხისაგან სრულიად მოწყვეტილს და მეტად არაპოპულარულს...

მოსკოვის პოლიტიკა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის, კერძოდ საქართველოს მიმართ მე მესმოდა და მესმის ასე: მეტისმეტი ფრთხილი ტაქტიკით უნდა მიღწეული იქნეს სრული სულიერი და ეკონომიკური გაერთიანება. ისე, რომ ამ რესპუბლიკებს შერჩეთ გარეგნულად მაინც ფორმალური დამოუკიდებლობა..."[1]

ცენტრს, რასაკვირველია, არ გაუზიარებია ფ. მახარაძის ეს „გულისტკივილი" და იმგვარადვე მოიქცა, როგორც „პროლეტარიატის ბელადმა" იკარნახა, მაგრამ შემდგომი ათწლეულების პოლიტიკა ზუსტად ასე წარიმართა. პოლიტიკა—გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ მ ა ი ნ ც სუ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი ს შენარჩუნებისა...

ამავე პერიოდში დაიწყო მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის სიკვდილით დასჯა. ცნობილი სოციალ-დემოკრატის გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — ამ მოვლენას არსად ისეთი გატაცება და მასშტაბი არ ჰქონია, როგორც საქართველოში.

ენერგიულად ამუშავდა ათეისტური დიქტატურის მანქანაც. საბჭო-

---

[1] კ. ინასარიძე, დოკუმენტების დასახელებული კრებული, მიუნხენი, 1984.

თა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაიხურა და დაინგრა ასობით ეკლესია. მუსრი გაეკლო სამღვდელოებას. ფეხქვეშ გაითელა ხატები და სალოცავები. „...1923 წელს დაიხურა 1500-ზე მეტი ეკლესია... მას სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები: ეკლესიები იხურებოდა პარტიული უჯრედებისა და კომიტეტების დადგენილებებით... ადმინისტრაციული იძულების წესით. დაიწყო შეჯიბრება მაზრებს შორის, საქმე იქამდე მიეიდა, რომ რიგ მაზრებში არც ერთი ეკლესია არ დარჩენილა...“[1]

ორგზის დაყმეეებულმა ხელისუფლებამ—ქართველმა კომუნისტებმა გააჩაღეს კამპანია ქართული ისტორიული კულტურისა და ტრადიციების წინააღმდეგ. შეურაცხყვეს წინაპართა სალოცავები, წმინდანთა და ეროვნულ გმირთა სამარხები. თეატრებს აუკრძალეს პატრიოტული პიესების დადგმა: „აკრძალეს „ღალატისა“ და „სამშობლოს“ წარმოდგენა. მიზეზი ის იყო, რომ ხალხი წარმოდგენის დროს ძლიერ პატრიოტულ გრძნობებს იჩენდა. წარმოდგენები ანტიბოლშევიკურ დემონსტრაციათ ხდებოდა“[2]. და კიდევ: „აკრძალეს სხვათა შორის, ცნობილი მწერლის ა. ყაზბეგის თხზულების და „დედა ენის“ დაბეჭდვაც[3] და მრავალი სხვა.

საქართველოში ანტიბოლშევიკური სახალხო განწყობილება იმ წუთიდანვე გახდა საგრძნობი, რა წუთიდანაც რუსულმა ჯარმა ტფილისში შემოდგა ფეხი — როცა დამპყრობთა „შემოსვლას დედაქალაქი სამარისებული სიჩუმით შეხვდა, ქართველი ხალხი ქუჩებიდან გაქრა, სახლებში ჩაიკეტა; თეატრები, სინემა, გასართობი ადგილები უცხოელებით გაიესო; ქალაქში ვიეინდარები ურცხვად იღრიჭებოდნენ, ქართველი ბოლშევიკები ნაცნობ ქართველებს დაძმარებულნი ეხვეწებოდნენ ქუჩებში ვამოდით, თქვენ ხელს არავინ ვახლებთ, თეატრში იარეთ, რუსის ჯარს დაენახვეთო... ქართველობა ბოლშევიკებს ზიზღით უყურებდა, მათ ერიდებოდა“[4]

ასე რომ — ქართველი ხალხის „ეაბოლშევიკება“, თუ „ეაკომუნისტება“, როგორც თავიდანვე ეტყობოდა, არც ისე იოლად მოხერხდებოდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით დასძრა ხმა მაშინ, საქარ-

---

[1] ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, №3, 1989.

[2] გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №1 გვ. 24, 1921.

[3] იქვე №17, გვ. 18

[4] ვლასა მგელაძე, „რუსეთის მობრუნება საქართველოში“, გვ. 5, 1936.

თველოს გასაბჭოების პირველსავე დღეებში, გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა“, რომელიც აღნიშნავდა: „არც საქართველოს ესლანდელი მმართველობისათვის და მით უფრო არც თვით ლენინისათვის, რომელმაც იცოდა, რომ რუსეთის წითელი ჯარის დახმარებით უნდა მომხდარიყო გადატრიალება საქართველოში — საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ასეთ კონკრეტულ პირობებში ერთბაშად გაკომუნისტება მუშათა და გლეხთა მასებისა ყოვლად შეუძლებელი საქმეა. ამისთანა პირობებში ახალ მმართველებს შეეძლოთ ან უკიდურესობის გზას დასდგომოდნენ და საშუალებებით, რომელთა გვირგვინსაც უკიდურესი რეპრესიული ზომები შეადგენს—მოეზნიქათ, მოეგრიხათ ყველა ის, ვინც, უპირველეს ყოვლისა, ვინც რუსეთის შაბლონს ვერ შეურიგდებოდა, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ახალ მმართველებს ბრძოლა გამოეცხადებინათ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისათვის, ან გამოეძებნათ გზა შეთანხმებისა და პოლიტიკური თანამშრომლობისა ისეთ ჯგუფებთან და პარტიებთან, რომელნიც კომუნისტური პარტიის ყველა თეზისებს არ იზიარებენ, მაგრამ საბჭოთა სისტემის საფუძველზე მუშაობა კი შეუძლიათ.“[1]

რუსმა და გარუსებულმა კომუნისტებმა კი საქართველოში შემოჭრისთანავე ქართველი ხალხის „გაკომუნისტება“ სწორედ პირველი გზით სცადეს — უკიდურესი რეპრესიების ანუ „მოზნექისა“ და „მოგრეხის“ პოლიტიკით.

და ხალხიც შესაბამისი განწყობილებით უნდა შეხვედროდა ოკუპანტთა ასეთ მოქმედებას: „რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სახელმწიფო დაწესებულებებში დაბანაკდა, კერძო ბინებზე და ოჯახებში მოთავსდა. მრავალი საუკუნოებით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე და ზნეობა შეირყვნა... ყოველგვარი ავეჯეულობა და ოჯახის სამკაულები აეტომობილებით თბილისის სადგურზე დღიან-ღამიანად გაქონდნენ, ეგონებში აეროვებდნენ, რუსეთში აგზავნიდნენ... ლენინს ვუგზავნით საჩუქრათო“[2]. ისეთი დრო დამდგარიყო საქართველოში, „...აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას იგონებდნენ“[3]

პოლიტიკური ზეობისას მის თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში აშკარად დაგმობილი მენშევიკური ხელისუფლება ახლა, რუსულ-

---

[1] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 21, მარტი, 1921.

[2] ვლასა მგელაძე, „რუსეთის მობრუნება საქართველოში“, გვ. 7-9

[3] იქვე, გვ. 12

ნოე ჟორდანია

გიორგი კვინიტაძე

გრიგოლ ლორთქიფანიძე

კოტე იმნაძე
ნოე ჟორდანიას ადიუტანტი

ნიკო კეცხოველი

თბილისის მისადგომებთან ბრძოლის დროს დაიჭრა კიდეც. ფოტო ამაკე პერიოდისაა და იგი აღებულია ბატონ ნიკოს საოჯახო ალბომიდან.



კოტე იმნაძე

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ვლასა მგელაძე

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

1922 წელს, ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან, მეტეხის ციხეში დაპატიმრებული პოლიტპატიმრები.

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ემიგრაციის მუზეუმიდან.

აღნიშნული მუზეუმიდან აღებული ფოტოებით სარგებლობისათვის მადლობას ვწირავ პროფესორ გურამ შარაძეს.

ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში, იგივე საზოგადოებაში უკვე აშკარადვე სანატრელი ხდებოდა.

აი რას წერდა მაშინ ერთი მათგანი—სოციალისტ-მენშევიკი: „რაც ხანი გადის, მით უფრო ძლიერდება შინაური ეკონომიკური და პოლიტიური კრიზისი; ეს კი ხალხის ფართო მასებში ყოფილი მთავრობისადმი სიმპათიას ქმნის. ჟორდანიას სახელი საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ ჰხდება. ვინც საქართველოს პოლიტიკურ კულისებს იცნობს, იმისთვის ჟორდანიას ასეთი შეფასება ისტორიული კურიოზია, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება".[1]

ნ. ჟორდანიამ კი ჯერ იყო და, იმავე 1921 წლის 27 მარტს, კ. ჩხეიძესთან, ეე. გეგეჭკორთან და ნ. რამიშვილთან ერთად, ევროპის სოციალისტურ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს აცნობა საქართველოსა და მის საკუთარ თავზე დატეხილი ამბავი — რუსეთის შემოჭრა და საქართველოს დაპყრობა, და შესთხოვდნენ: „ჩვენ ველით თქვენგან, რომ დაგმობთ ჩვენი ქვეყნის შემავიწროებელთ და ღირსეულათ დააფასებთ იმათ პირმოთნეობას, ვინც ხიშტებით სარგებლობს სოციალისტური იდეების გასაქრობათ და ვინც იმავე ხიშტებით საკუთარ იდეებს ავრცელებს. აღიმაღლეთ ხმა, ამხანაგებო, ხმა და მოსთხოვეთ მოსკოვის მთავრობას, რომ:

ა) გაიყვანონ მათ საქართველოდან თავისი ჯარები,

ბ) მისცენ საქართველოს ხალხს საშვალება თავისი ბედი თვითონვე განაგოს და თავისუფლათ მოაწყოს თავისი სახელმწიფო!"[2]

პასუხად იყო გულისწყრომა, დაგმობა და შეჩვენება რუსული აგრესიის მიმართ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატთაგან. მეტი არაფერი...

მერე, იმავე 1921 წლის 3 მაისს, ჟორდანიამ მისი ქვეყნის ამბებზე მოხსენება გააკეთა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ფრანგმა სოციალისტებმაც საპროტესტო მანიფესტი გამოაქვეყნეს საქართველოს დაპყრობის გამო[3]. ეს იყო და ეს.

მერე, 1921 წლის 13 ივნისს, ჟორდანია ისეთივე საჩივრებით ბრიუ-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები — №1302, გვ. 9-10.

[2] „თავისუფალი საქართველო", 1921, №1.

[3] „თავისუფალი საქართველო", 1921, №2.

სელში წარუდგა ბელგიის სოციალისტურ და პროფკავშირულ საკრებულოს; აქაც ძალიან დაანუგეშეს ქართველი თანაპარტიელი ვანდერველდემ და დებრუკერმა: ნუ გეშინია, ხომ ჰხედავ—მტრის დაპყრობამ ბელგია ვერ მოკლა და მაშასადამე ვერც საქართველოს მოკლავსო.[1]

ბრიუსელიდან ანტვერპენში წავიდა ლტოლვილი, იქაური თანაპარტიელებიც დიდის ამბით შეეგებნენ—დიდი თანაგრძნობით, თანადგომით, ნუგეშით, რუსი იმპერიალისტების ლანძღვით და თათხვით. მეტი არაფერი.

იმ დღეებში—18 მაისს კი ქუთაისში საჯარო გასამართლება მოუწყვიათ, არც მეტი, არც ნაკლები—ლენინისა და ჟორდანიასი. თეზისები წინდაწინ ყოფილა ადგილობრივ რევკომთან შეთანხმებული და დარიგებული. სასამართლოზე თურმე ტევა აღარ ყოფილა, და, ბოლოს და ბოლოს, სასამართლოს და ხალხს ერთი განაჩენი დაუდგენია: ლენინს სიკვდილი და ჟორდანიას ცაში აფრენა!... გაცოფებულ საშა გეგეჭკორს (რევკომის თავმჯდომარეს) ამ პროცესის ინიციატორები იქვე შეუპყრია და ციხეში შეუყრია.[2]

ბელგიიდან ინგლისს ჩავიდა ჟორდანია და იქაურ მუშათა პარტიისა და ტრედუნიონების თავკაცებს შეხვდა; იმათაც მიუსამძიმრეს, მათ კონგრესზეც დაასწრეს, საგანგებო სიტყვით თავისი მომხსენებელიც გამოიყვანეს——სნოუდენი, „ამხ. ქალი", რომელმაც საქართველოს მდგომარეობა დაახასიათა და რეზოლუციის პროექტიც წარმოადგინა: შეიქმნას სოციალისტების და კომუნისტების შერეული კომისია, რომელიც შეისწავლის საქართველოს მდგომარეობას და ქართველ ხალხს საშუალებას მისცემს, თვითონ აირჩიოს თავისი სასურველი ხელისუფლება... ისევ იყო ერთხმად მიღება, აპლოდისმენტები[3]... და მეტი არაფერი.

მერე, 6-9 ივნისს, ჟენევაში იყო კონგრესი, რომელსაც საქართველოს ამბები წარუდგინეს კ. საბახტარაშვილმა და სვიმ. მდივანმა. აქაც „კონგრესი დიდი სიმპატიით მოეპყრო საქართველოს საკითხს და დასვა ის თავის დღის წესრიგში"[4]. მომხსენებლად ლედი გლად-

---

[1] პ. გვარჯელაძე, „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში", პარიზი გვ. 13 1936.

[2] „თავისუფალი საქართველო", 1921, №2. „თავისუფალი საქართველოს" ამ უნიკალური ეგზემპლარის მოწოდებისათვის მადლიერებას ვწირავ **პროფესორ გურამ შუბაიძეს**

[3] „თავისუფალი საქართველო", 1921, №3.

[4] იქვე.

სტონი გამოვიდა—ესეც ძალიან საინტერესო „ამხანაგი ქალი"; მის შემდგომ—ფრანეი ისტორიკოსი, პროფესორი ოლარი; ბოლოს ისევე ინგლისელი ტომას შოუ. იყო ტაშის გრიალი, ისევ რეზოლუცია, რომელიც—როგორც სხვა ყველა მანამდელი და მერმინდელი მსგავსი „რეზოლუციები" თუ „მემორანდუმები" მხოლოდ ისტორიის უძირო უფსკრულში უნდა ჩაშვებულიყო.

ასეთივე „საისტორიო" სამძიმრებსა და რეზოლუციებს მიიღებენ სამშობლო-დაკარგულ პოლიტიკური მოკალმასენი პოლონეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, დანიაში და ა. შ. მხოლოდ და მხოლოდ საისტორიო უფსკრულისათვის. სხვა არაფერი.

მთელმა წელმა ასე ჩაიარა. წლის მიწურულს კი—1921 წლის 25 დეკემბერს—ნოე ჟორდანიამ თავის თანალტოლვილ თანამთავრობელთა თათბირი მოიწვია და ნათათბირევის შედეგების მიხედვით; წერილიც დაწერა—წერილი, მიწერილი ქართველებისადმი, თანაც არა საქართველოში დარჩენილების მიმართ, არამედ მისებრ სამშობლო დატოვებულებისადმი სახელდობრ კონსტანტინეპოლში, იგივე სტამბოლში მყოფი ნოე ხომერიკისა და ვალიკო ჯუღელისადმი.

მე აქ, პარიზში, მთავრობა მოვიწვიეთ—და წერს პირდაპირ (სტილს ვიცავთ, ნ. კ.): „ხომერიკს და ჯუღელს კონსტანტინეპოლში: „მთავრობის თათბირზე მიღებული იქნა წინადადება მოწვეულ იქნას რაც შეიძლება დაჩქარებით საქ-ოს კონფერენცია.

კონფერენციის შემადგენლობა:

კონფერენციაზე მოწვეულ უნდა იქნან ყველა ქართული პარტიები. რომელნიც დგანან საქ–ოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე. და ამ მიზნით აწარმოებენ შეძლებისამებრ დღეს ბრძოლას ბოლშევიკურ ოკუპაციასთან. ასეთებია: ს. დ., ფედერალისტები, ნაც-დემ-ბი, სხიეელები და ს. რ. ჯგუფი, ლორთქიფანიძის მეთაურობით. რიცხვს წარმომადგენლობისას არა აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა, ვინაიდან წინადადებები იქნება მიღებული შეთანხმებით ან და პარტიათა უმრავლესობით. გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ წარმოდგენილთ შეეძლოთ პარტიის სახელით მიიღონ გადაწყვეტილება და მერე ცხოვრებაში გატარება.

კონფერენციის რაოდენობა დიდი იქნება თუ პატარა დამოკიდებულია იმაზე თუ სად იქნება ის—სასურველია ის მოხდეს საქ–ოს საზღვრებთან ახლოს, მაშინ დამსწრეთა რიცხვის გაზრდა საჭიროა და

აუცილებელი. თუ ის კონსტანტინეპოლში დარჩა—ამ შემთხვევაში პატა (ალბათ, პატარა, ნ.ჯ. პარტიებს თითო წარმომადგენელი, დიდებს ორორი. საერთოდ რიცხვი თქვენ თითონ გაანაწილეთ, შემდეგ ძვირად არ დაგვიჯდეს.

ვინაიდან იმავ დროს უნდა მოახდინოთ სამხედრო თათბირიც, კარგი იქნება პარტიის დელეგატი იყვეს იმავე დროს სამხედრო ორგანიზაციის დელეგატიც...

საგანი კონფერენციისა

1. მთავრობის მოხსენება
2. დელეგატთა მოხსენება
3. ერთი ეროვნული ფრონტის შექმნა
4. ბრძოლის წესების გადასინჯვა და ახალი ტაქტიკის გამომუშავება
5. სამხედრო ცენტრის შექმნა
6. დიპლომატიური და საზ. მუშაობა ევროპაში

ადგილი კონფერენციისა როგორც ვთქვი, რაც ახლოს იქნება საქართველოსთან, მით უკეთესია. კონსტანტინეპოლს სჯობს ტრაპიზონი, ტრაპიზონს ართვინი ან ხოფა. ეს თქვენზეა დამოკიდებული—სად როგორ მოხერხდება.

დრო კონფერენციისა

ახლა უკვე მივადექით იმ დროს, როცა ჩვენი კითხვა უნდა გადაწყდეს დიპლომატობით. ამიტომ ჩვენი კონფერენცია არც ადრე იქნება მით უკეთესია, დაახლოებით არა უგვიანეს იანვრის გასულისა. ახლავე აფრინეთ კაცი საქ-ოში ამ მიზნით. კონფერენციამ უნდა მოგვცეს ახალი იარაღი აქ საერთაშორისო მასშტაბითაც ჩვენი საქ-ოს უკეთ დასაცავად. ერთადერთ იარაღათ თვით საქ-ოში მოძრაობის დაწყება—რა სახით და როგორ—კონფერენციის საქმე იქნება.

მთელი ეს საქმე კონფერენციის მოწვევა და მუშაობა უნდა მოხდეს სრულიად კონსპირაციულად.

ამხ. სალამით ნ. ჟორდანია.

იმ შემთხვევაში თუ სხვა პარტიებმა არ მოისურვეს კონფერენცია მაშინ ჩვენი პარტიის მაინც უნდა შედგეს და წარმოდგენილ დელეგატთა რიცხვი გაფართოვდეს.

ნ. ჟორდანია"[1]

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფილები, №1529 გვ. 56-58.

თავი მეორე

პირველი გამოსვლები

როცა ამას საქართველოს ლტოლვილი საჭეთმპყრობელი მისი გაქცევიდან წლის თავზე წერდა, თვითონ საქართველოში (ანუ „საქოში", ჟორდანიას ფორმულირებით) ავჯანყება უკვე ნახევარი წლის დაწყებული იყო.

დაიწყო იგი სვანეთში, 1921 წლის ზაფხულში, მაშასადამე, ოკუპაციიდან ოთხი თვის თავზე. მთელი სვანეთი მოეცვა ავჯანყებას. აღგილობრივი რევკომები დაამხეს აჯანყებულებმა. მილიციის პუნქტები განაიარაღეს, სვანეთისკენ მიმავალი გზები და ბილიკები მტრებისთვის შეკრეს და გადაკეტეს.

აჯანყების ცეცხლი სვანეთიდან რაჭა-ლეჩხუმს გადაედო და გავრცელდა.

კომუნისტურმა რევკომმა აჯანყებულთა გასანადგურებლად წითელი რუსული ჯარი აფრინა, 15000 მეომრის შემადგენლობით.

სვანები მათკენ მიმავალ გზებზე მტერს დაუხვდნენ და სასტიკი ბრძოლებით ორი რუსული ლეგიონი კიდევაც დაამარცხეს და უკუაქციეს. 500 წითელარმიელიც ტყვედ აიყვანეს.

იმავე დროს, აჯანყებულთა ხელმძღვანელობამ თბილისში დელეგაცია გაგზავნა. დელეგაციამ საქართველოს კომუნისტურ რევკომს მკაცრ მოთხოვნებად წაუყენა: რუსული ჯარების გაყვანა საქართველოდან და ახალი ხელისუფლების ასარჩევად თავისუფალი არჩევნების გამოცხადება.[1]

იმ ზამთარს ხელისულებამ მთაში ლაშქრობა ამაოდ მიიჩნია და მომდეენო 1922 წლის აღრე გაზაფხულზე ისევ დასძრა სვანეთისაკენ წითელი პოლკები. ისევ დაუხვდნენ მტერს სვანები ლენტეხისკენ მიმავალ გზაზე, ისევ დაამარცხეს და გამოაქციეს, 270 ჯარისკაციც ტყვედ დაატოვებინეს.

სვანეთის აჯანყება იყო პირველი ზარის შემოკვრა, რომლის ხმაზეც მთელი საქართველო უნდა დამდგარიყო ფეხზე რუსულ-კომუნისტური უღლის გადასაგდებად.

სვანეთის აჯანყება არამარტო ლოკალურ-კუთხურობას, არამედ

---

[1] „თავისუფალი საქართველო", 1922, №20.

საერთოდ საქართველოს საზღვრებსაც გასცდა და მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობის განხილვის საგნად იქცა.

მომდევნო წელს, გაზაფხულზე, ჟენუაში საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა და სწორედ იქ მოხვდა საქართველოს საკითხი, უწყებული ორივეს მხრიდან: თვითონ საქართველოდან კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მემორანდუმი და ემიგრირებული ქართველობისგან, თვითონ ჟორდანიას წერილი.

საქართველოს მწყემსმთავარი მსოფლიო მშვიდობიანობის უმაღლეს საკრებულოს აუწყებდა:

კულტურულ კაცობრიობას, ჟენუის კონფერენციაზე
წარმოდგენილს

მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი
მწყემსი და პატრიარქი სრულიად
საქართველოსა, ქრისტეს მიერ
სიყვარულით მოიკითხავს

ჯერ კიდევ პრაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტუალური ნიჭით მდიდარი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლებში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ

შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ-პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ‘ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილი საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, უბღალავენ წმინდათა-წმინდას, — სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; „მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლებააყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავ-

რულ მოვალეობადა ერაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შეედივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციებში. მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან. 2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნეჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისადა სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე."[1]

საქართველოს სულიერი მწყემსმთავრის ამ განცხადებას რა გამოძახილიც მოჰყვა გენუის კონფერენციისაგან, ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ, მაგრამ ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან პასუხად ენით აღუწერელი რისხვა მიიღო კათალიკოსმა... მოგვიანებით სასამართლო საჩვენებელ პროცესზე, სხვა წარჩინებულ სასულიერო პირებთან ერთად, მან შემდეგი სიტყვებით მიმართა მოსამართლეთ: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული ჩემს სამშობლოს, მძორი ჩემი ჯალათებო, თქვენ და რაც გინდათ, ის უყავით მასო.

ერთი საინტერესო ეპიზოდიც ამასთან დაკავშირებით:

---

[1] კ. ინასარიძე, დოკუმენტების დასახელებული კრებული, 1984, მიუნხენი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი.

„...კათოლიკოსი დიდი ხნის დატუსაღების შემდეგ ციხიდან გამოუშვეს. მან გადაწყვიტა ქვაშვეთის ეკლესიაში სამი წირვა გადაეხედა. ეს ხმა უცებ მთელს თბილისს მოედო და... აუარებელი ხალხი დაესწრო წირვას. გამობრძანდა კათოლიკოსი თუ არა სალოცავიდან, ხალხი მუხლმოდრეკილი, ქვითინით შეხვდა თავის სულიერ მამას... კათოლიკოსი აღელდა, თვალები ცრემლით აეესო, გადმოვეხედა ყველას და წარმოსთქვა: „ვინა სთქვა, რომ ქართველმა ხალხმა რწმენა დაჰკარგაო?!" ამ სიტყვის თქმასთან ერთად გულიც წაუვიდა. დეკანოზმა ცინცაძემ (შემდეგ კათოლიკოსმა) ხალხში ექიმებს მიჰმართა. იმ წუთშივე რამდენიმე ექიმი მიეშველა და მისი უსამღვდელოესობა გონს მოიყვანა. წირვა მაინც დაასრულა ხალხის ქვითინში, რას ეველრებოდა ეს ტანჯული ხალხი ღმერთს და „ჩეკაში" ფიზიკურად ნაწვალებ, ღონემიხდილ კათოლიკოსს—ეს უსიტყვოდ მისახველრია... კათოლიკოსმა მწვავედ იგრძნო ხალხის განცდა და სათნოებით, ნუგეშით სავსე სიტყვებით მოგვმართა და გაგვამხნევა... ამ დღიდან ლოგინად ჩავარდა. დაქანცულმა სხეულმა ავადმყოფობა ვერ დასძლია და მალე გარდაიცვალა განუსაზღვრელი რწმენითა და—სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით..." (სოლომონ ზალდასტანიშვილი. მოგონებანი. მიუნხენი, 1956 წელი).

ასე წავიდა ამ ქვეყნიდან მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე დღემუდამ მოფიქრალი ერის მწყემსმთავარი და თან წაიყოლა უსაშველო იმედი და სურვილი იმისა, რომ ქართველი ხალხი მონობის ბორკილს დაამსხვრევდა და თავისუფლება ქვეყნის მარადიულად თანამდევი სული გახდებოდა.

იმავე დროს, ნოე ჟორდანიამ მეორე და ვენის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთა მდივნებს, ადლერსა და მაკდონალდს ასეთი დეპეშა გაუგზავნა:

„ვასულ ზაფხულს, დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში, სვანეთში, მცხოვრებლებმა გარეკეს რევკომები და დაამყარეს დემოკრატიული მმართველობა. სექტემბერში აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი რუსის ჯარები დამარცხებულ იქნენ და სვანებმა მას შემდეგ შეინარჩუნეს თავისუფლება. ნოემბერში აჯანყებულებმა გაუგზავნეს ბოლშევიკურ მთავრობას თბილისში დელეგაცია, რომლის პირითაც მოითხოვდნენ საოკუპაციო ჯარების ევაკუაციას და ქართველი

ხალხისათვის მთავრობის თავისუფლად არჩევის უფლების აღდგენას. ბოლშევიკებმა უკუაგდეს ეს მოთხვნილებები. მაშინ სვანებმა გაამაგრეს თავიანთი საზღვრები და დაუკეტეს გზა ბოლშევიკებს. მარტში რუსის ჯარებმა დაიწყეს შეტევა სვანეთის წინააღმდეგ ოთხი მიმართულებით: ორი მიმართულებით ჩრდილოეთიდან (რუსეთის მხრით) და სამხრეთიდან (ქუთაისის მხრით).

ომი გრძელდება ხან ერთის და ხან მეორე მხარის წარმატებით. აჯანყება ფართოდება, ედება აგრეთვე მეზობელ რაიონებს, რაჭას და ლეჩხუმს. აჯანყებულებმა, პარლამენტიორების პირით, განაახლეს მოთხოვნილება საქართველოს ოკუპაციის მოხსნის შესახებ და წინადადება მისცეს მტერს ტყვეების გაცვლის შესახებ,—აღუთქვეს თითოეულ აჯანყებულში სამი რუსის ჯარისკაცის მიცემა. ოკუპანტები უარს ამბობენ ყოველივე მოლაპარაკებაზე, აგროვებენ ჯარებს დასავლეთ საქართველოში და აორკეცებენ რეპრესიებს მშვიდობიან მცხოვრებლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით გურიის მხარეში. ხალხის აღელვება უკიდურეს წერტილს აღწევს და ეს ბადებს საერთო კატასტროფის საშიშროებას. გთხოვთ საჩქაროდ მიიღოთ ზომები სისხლისღვრის შესაჩერებლად, მოუწოდოთ მოსკოვს დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამხედრო მოქმედება, ჩამოაგდოს დროებითი ზავი და მიიღოს სამივე ინტერნაციონალების შუამავლობა კონფლიქტის სალიკვიდაციოდ. გთხოვთ დაუყოვნებლივ დააყენოთ ეს კითხვა ცხრათა კომისიაში.

ნოე ჟორდანია."[1]

მეორე ინტერნაციონალის კომიტეტმაც ჟორდანიას ამ მიმართვის მიღებისთანავე დეპეშით გადასცა მოსკოვს კატეგორიული მოთხოვნა, შეწყვეტილიყო შეტევები ქართველ ინსურგენტებზე მანამ, სანამ საქართველო-რუსეთს შორის ამტყდარ ამ ამბებზე თავის გადამწყვეტ სიტყვას არ იტყოდა სამივე ინტერნაციონალის კომისია —9 კაცის შემადგენლობით.[2]

გენუის კონფერენციაზეც, სადაც მოსმენილი იქნა ქართველთა საჩივარი და მათი პატრიარქის მემორანდუმი, — სვანეთის საკითხი

---

[1] „თავისუფალი საქართველო", 1922, №21.

[2] იქვე.

განსახილველად ჩასვეს რუსეთის საქმეთა შემსწავლელ კომისიაში. ყველამ დაგმო რუსეთის კომუნისტური რეჟიმის დამპყრობელური აქციები საქართველოს მიმართ. შვეიცის მთავრობის თავმჯდომარემ, ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა ბრაიტინგმა და შვეიცარიის საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვეს სვანეთის მიმართ რუსული ჯარების ლაშქრობათა აღკვეთა. მაშინვე ამ წინადადებას მხარი მისცეს საფრანგეთის მხრივ ბარტიუმ და ინგლისის მხრივ ლოიდ ჯორჯმა. ბოლოს, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, შანცერის წინადადებით სვანეთის საკითხი მიღებული იქნა ერთხმად და იქვე მასვე მიენდო, ეს პოზიცია „მეგობრული“ ფორმით წარედგინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიჩერინისათვის[1].

ჩიჩერინმაც, ჩვეული რუსული ჟესტით, ანუ სირცხვილის სრული გამორიცხვით, კატეგორიულად უარყო საქართველოში მიმდინარე რეალური მოვლენები,—რომ თითქოს იქ, არც სვანეთში და არც სხვაგან მთელს საქართველოში არ მომხდარა არავითარი შეტაკება, არ დაქცეულა სისხლის არც ერთი წვეთი, არ არსებობს არავითარი ძალმომრეობა, არის მხოლოდ „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, და სხვ.

იმავე ხანებში ნოე ჟორდანიამ ადამიანის უფლებათა ლიგის პრეზიდენტსაც გაუგზავნა წერილი:

„ბატონო პრეზიდენტო!

როცა საქართველოს ტერიტორიას საბჭოთა ჯარები შემოესია — ადამიანის უფლებათა ლიგამ დაუყოვნებლივ აღიმაღლა ხმა ამ აქტის გამო მოსკოვის დამპყრობელთა წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ; როცა შემდეგ საქართველოს ხალხი, თავდამსხმელთა უღელ ქვეშ მოქცეული, მწარეთ გმინავდა მისი სიმძიმისაგან, ლიგის ბიულეტენის ფურცლებზე ჩვენ არაერთხელ ამოგვიკითხავს მჭერმეტყველური სიტყვები, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ ლიგას სრულიადაც არ აქვს სურვილი გულ-გრილი მაყურებელი იყოს იმის, თუ როგორ აღრჩობს პატარა ერს დიდი მეზობელი.

და მე დარწმუნებული ვარ, რომ ლიგა, როგორც გამომხატველი საფრანგეთის დემოკრატიის მისწრაფების, უარს არ იტყვის მხარი დაუჭიროს პატარა საქართველოს ხალხს სწორეთ მაშინ, როცა მისი საკითხი შედის გადაჭრის ფაზაში.

---

[1] „თავისუფალი საქართველო“, 1922, №21.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ახლო მომავალში იკრიბება საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც უნდა გაარკვიოს ქვეყნებს შორის კომერციულ ურთიერთობის განახლებისა და ევროპის ეკონომიურათ აღდგენის საკითხი.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რომლის ჯარებს დაკავებული აქვს დღეს საქართველო, მოწვეულ იქნა ამ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად და უმაღლესმა საბჭომ, კანნაში შეკრებილმა, გარკვეულათ შემოხაზა პირობები ამ მთავრობის ოფიციალურათ ცნობის.

მე-6 მუხლი ამ პირობისა უთითებს რუსეთის „მოვალეობაზე თავი შეიკავოს მეზობელ სახელმწიფოების მიმართ ყოველივე აგრესიული ნაბიჯისაგან".

გამოუცნობელი იქნება ეს პირობა საქართველოს მიმართ?

აიძულებენ ჩვენი ქვეყნის დამპყრობთ გაიყვანონ საქართველოდან თავისი ჯარები და ასევ საშვალება მისცენ ჩვენს ხალხს თვით განაგოს თავისი ბედი?

აი ეს არის საკითხი, საერთაშორისო შეგნების, რადგან მხოლოდ ხალხთა შეგნებას შეუძლია გადასჭრას, დასაშვებია თუ არა განათლებულ კაცობრიობისთვის იარაღით ხელში შელახვა ადამიანის და ერის უფლებებისა!

თქვენ გეცოდინებათ დღეანდელი მდგომარეობა საქართველოსი. ხალხის დამოუკიდებლობა ფაქტიურათ მოსპობილია, დამფუძნებელი კრება და ადგილობრივი თვითმართველობანი გარეკილია, პოლიტიკური თავისუფლება გაუქმებულია, სატუსაღოები კი სავსეა—საუკეთესო მოქალაქეებით, განსაკუთრებით სოციალისტებით; მუშები და გლეხები კატორღულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნული ეკონომიური ცხოვრება მოშლილია. ერთი სიტყვით აი ასეთია საშინელება ბარბაროსული დესპოტიზმის და შიმშილობის ჩვენს ქვეყანაში.

აი ასეთია შედეგი რუსეთის ოკუპაციისა საქართველოში.

და ეს ტანჯვა, რომელსაც განიცდის ჩვენი ხალხი შემოსეულ ოკუპანტებისაგან, განა შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობის დროს უყურადღებოთ იქნეს დატოვებული იმათგან, ვინც მოწადინებულია უფლების საფუძველზე დაამყაროს საერთაშორისო ურთიერთობა.

ჩვენ გვინდა, ჩვენ ვთხოვულობთ, რომ საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანა წამოყენებულ იქნეს ევროპის მთავრობების მიერ, როგორც წინასწარი პირობა მოსკოვის მთავრობის ცნობისა.

და ჩვენ გთხოვთ, ბ-ნო პრეზიდენტო, რომ ადამიანის უფლებათა ლიგის მთელი აუტორიტეტი და მორალური ძალა მოახმაროთ საქართველოს სამართლიან მოთხოვნილების დაცვას.

მიიღეთ, ბ-ნო პრეზიდენტო ჩემი უღრმესი პატივისცემა.

ნ. ჟორდანია".[1]

ამ საჩივარსაც პასუხად სხვა არაფერი მოჰყოლია, ფარატინა „ხმის ამაღლების" გარდა.

თვითონ საქართველოში კი—სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის გამოსელათა პარალელურად, მღელვარებანი დაწყებულიყო ქვეყნის თითქმის ყველა მხარეში, პირველ რიგში თვითონ თბილისში.

ინიციატივა პროტესტანტული გამოსვლებისა პირდაპირ ქვემოსაძირკვლიდან—მუშათა წრეებიდან დაიწყო. 8 და 10 ოქტომბერს თბილისის ქარხნებში, ფაბრიკებში, რკინიგზის ყველა დეპო-სახელოსნოებში, აწყობენ კრებებს, თათბირებს, განიხილავენ რუსული ბოლშევიზმისაგან საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის სინამდვილეს და გადაწყვეტილებას ღებულობენ მიმართვები გაუგზავნონ საქართველოში არსებულ პარტიებს და თვით მმართველ რევკომსაც კი.

ასე, 17 და 18 ოქტომბერს, მუშათა სამკაციანმა დელეგაციამ მიმართვა ჩამოურიგა შემდეგ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს: სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს), ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალ-ფედერალისტებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს. მიმართვაში ეწერა:

„პატივცემულო მოქალაქენო!

ჩვენ, თფილისის მუშებმა, პოლიტიკური პარტიების გარეშე, გადავწყვიტეთ წარვუდგინოთ საქართველოს რევკომს განცხადება ყველა იმ აშკარა და უდავო, საყოველთაოთ ცნობილ მოვლენების გამო (მაგ. ტერიტორიის საკითხი, ენა, მუშათა გადასახლება და სხვა), რომელსაც ადგილი აქვს რესპუბლიკის ფარგლებში და რომელნიც, ჩვენის ღრმა რწმენით, თუ დროზე არ იქმნა მათზე მიქცეული შესაფერი ყურადღება, განსაცდელს უმზადებს ჩვენი მშრომელი ხალხის და მთელი ერის მომავალს.

ამავე დროს ჩვენ მივმართავთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მიმართულებათ და მათ შორის თქვენ, რომელთა უდავო სურ-

---

[1] „თავისუფალი საქართველო", 1922, №16.

ვილს უნდა წარმოადგენდეს ერის საარსებო ინტერესების დაცვა, გვერდში ამოგვიდგეთ და მხარი დაუჭიროთ რევკომის წინაშე ჩვენს ნაბიჯს. ამ შემთხვევაში ჩვენ ანგარიშს ვუწევთ არა ამა თუ იმ მიმართულების წარმავალ ინტერესებს, არამედ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი ერის და მაშასადამე უპირველესად მისი მშრომელი ნაწილის წინააღმდეგ მიმართული ზომები საშიშროებას უმზადებს ჩვენს ისტორიულ განვითარებას, რომლის შესახებ უნდა აღიმაღლოს ხმა ყველამ, ვისაც აინტერესებს ჩვენი ერის არსებობა და მისი განვითარება. დარწმუნებული ვართ თქვენს თანაგრძნობაში და დახმარებაში...“[1]

ხოლო, 24 ოქტომბერს, მუშათა დელეგაცია, რომელშიც შედიოდა ცხრა კაცი—იასონ ჩაჩუა, იაკოფ ასიტოვი, ლეონტი თომაძე, ანდრია თოდუა, იასონ კახაბრიშვილი, ვასილ ოსიძე, პეტრე ხარაძე, იოსებ ავალიძე და ნიკოლოზ გოგინაშვილი—ეწვია რევკომს, სადაც მაშინ თავმჯდომარედ იყო ბუდუ მღიანი.

რევკომში გამოცხადების განზრახვაც დელეგაციას წინასწარ ეცნობებინა ყველა პარტიისათვის, გარდა კომუნისტების პარტიისა. ასე, რომ ყველამ იცოდა დელეგაციის რევკომში გამოცხადების ამბავი 24 ოქტომბერს.

მაგრამ გამოცხადება გამოცხადებად და დელეგაცია უკან გამობრუნებული აღარავის უნახავს; ცხრა დელეგატიდან რვას (რატომღაც ნიკოლოზ გოგინაშვილის გამოკლებით) რევკომელებმა ხელი მოუსვეს და ჯერ იქვე ჩაყარეს „ჩეკას“ სარდაფში, ხოლო ორი დღეღამის შემდეგ, გადაიყვანეს და გამოკეტეს მეტეხის ციხეში.

ამ ამბავს დიდი საპროტესტო მღელვარებანი მოჰყვა თბილისის საზოგადოებაში. „1 ნოემბერს მუშათა უბნებს განსაკუთრებული მღელვარება ეტყობოდა, ყველგან დელეგაციაზე, რევკომზე და გაფიცვაზე ლაპარაკობდენ. 9 საათზე რკ. გზის მთავარ სახელოსნოდან გაისმა საყვირის ხმა რკინის-გზის რაიონში. ამის შემდეგ ყველა საგზურებში, სახელოსნოებში, დეპოში, ლიანდაგზე და საწყობებში მუშაობა შეწყდა და ყველა მთავარ სახელოსნოსკენ გაეშურა მიტინგზე. ერთ საათში 10.000-ზე მეტმა მუშამ მოიყარა თავი“.[2]

---

[1] „თავისუფალი საქართველო“, 1921, №13.

[2] იქვე.

მომიტინგე მუშა-ორატორები (ძაძამია, ბოლქვაძე, თევზაძე და სხვები) კრიტიკის ცეცხლში ატარებენ რევკომელ ბრძანებლებს. იქვე მიღებული იქნა საპროტესტო რეზოლუცია:

„თფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს, დეპოს, ლიანდაგის, მოძრაობის, საქონლის სადგურის, საწყობების მუშების მიტინგი, რომელსაც დაესწრო 10.000-ზე მეტი მუშა თავის აღშფოთებას გამოსთქვამს 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დატყვევების გამო. მიტინგი ერთხმად გმობს რევკომის ძალადობას, რომელიც გამოიხატა თფილისის პროლეტარიატზე სამარცხვინო თავდასხმით, სასტიკ პროტესტს აცხადებს მუშათა წარმომადგენლების ღირსების აყრისათვის, 29 ოქტომბერს რევკომის თავმჯდომარის ბ. მდივანის ოფიციალური განცხადებისათვის და კომუნისტურ გაზეთში პროვოკაციული წერილების მოთავსების გამო. მიტინგი მოითხოვს დელეგაციის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და ნიშნად დელეგაციის თანაგრძნობისა ერთი დღით გაფიცვას აცხადებს.

მიტინგის თავმჯდომარე ალ. ძაძამია.
მდივანი თევზაძე“.

ამის შემდეგ გამოაცხადეს გაფიცვა ერთი დღით და დაიშალნენ.“[1]

იმ დღეს ასეთივე მიტინგები და გაფიცვები მოხდა ნავთლუღკახეთის გზაზე, არსენალის უბანზე, ორთაჭალისა და ავლაბრის ქარხნებში, რკინიგზის სადგურზე, რის გამოც მატარებლების მოძრაობაც შეწყდა ყველა მიმართულებით.

ყოველივე ამას ბუნებრივად დიდი შეშფოთება მოჰყვა კომუნისტურ-დიქტატორულ მმართველობაში: „მუშათა კლასის მოულოდნელმა მოძრაობამ დაარღვია მმართველ წრეების სიმშვიდე, მათი განწყობილება. დახურული სხდომები, ზომების შესახებ თადარიგი ამ დღის თავსატეხ საგნათ გაუხდა მათ. ზოგიერთ კომუნისტებში რყევა დაიწყო. ზოგიერთები აშკარად გაიძახოდნენ: „დელეგაცია არ უნდა დაეპატიმრებია ბ. მდივანსო“.[2]

მუშათა წრეების მაშინდელი პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეროვნული აზროვნებისა და განწყობილების დონის გასარკვევად ძალზე საინტერესოდ და აუცილებლად მიგვაჩნია, მთლიანად მოვიტანოთ

---

[1] „თავისუფალი საქართველო“, 1921, №13.
[2] იქვე.

ტექსტი იმ მემორანდუმისა, რომელიც იმ 24 ოქტომბერს უნდა გადაეცა რევკომისათვის იმ ცხრა მუშისაგან შემდგარ დელეგაციას:

„საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის რევკომს

განცხადება

მიუხედავად თქვენი საჯარო განცხადებისა, რომ დაცული იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა არსებითი თვისებები,—და ქართველი ერის სუვერენული და ისტორიული უფლებები ყველა სახელმწიფოების და მათ შორის რუსეთის მიერაც აღიარებული, თან და თან, საქართველოს დაპყრობიდან და რევკომების ხელისუფლებების შემოღებიდან, ქართველი მშრომელი ხალხი, როგორც ეროვნულად, სოციალურად, ეკონომიურად, პოლიტიკურად, ისე კულტურულად დაიჩაგრა და იჩაგრება.

საქართველოს მიწა-წყალი, ქართველი ერის ტერიტორია დაქუცმაცდა და დაჭრილია. მთელს აფხაზეთში სწარმოებს რუს-შაერაზმელთა შოვინისტური პოლიტიკა. იქ ადგილობრივი მშრომელი ხალხი ყოველგვარ საქმეებიდან განდევნილია. ქართველები განიცდიან უდიდეს ტანჯვას, ეროვნულ დევნა-შევიწროებას. ბათომის ოლქი სავსებით ოსმალეთის სამხედრო და სასულიერო აგენტების ხელშია, საქართველოს განუყრელი ნაწილი საფრთხეშია ჩავარდნილი. ამ მხრით ერის ეკონომიური განვითარების საქმეს, მისი ტერიტორიის მთლიანობას უნუგეშო მომავალი ელის. ფაქტიურად აჭარა-ანგორის მთავრობის განკარგულებაშია. სამხრეთ ოსეთში ოს ნაციონალისტების ბარბაროსულ მოქმედებით ქართული სოფლები გაპარტახებულია. ცხინვალის რაიონში დიდი და პატარა ლიახვის, მეჯერისხევის და სხვა სოფლებში გრძელდება ქართველი გლეხების მიმართ ძალადობა. ბორჩალოს მაზრის დიდი ნაწილი ფაქტიურად საქართველოს ჩამოაშორეს. საქართველოს დედაქალაქის თფილისის კარებს სხვები დაეპატრონენ. მთელს ჯავახეთში ქართული სოფლები შევიწროებულია. ქართველები განიცდიან ნაციონალურ დევნას, დამცირებას. ქართველი მშრომელი ხალხი სტოვებს იქ თავის მუდმივ კერას და შორდებიან მშობლიურ სოფლებს. სამაგიეროდ ჯავახეთის მდიდარ და შემოსავლიან მიწებს ინაწილებენ ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ლტოლვილები და სახლდებიან. აღნიშნულ მხარეებში პოლიტიკური ხელისუფლება არა ადგილობრივ მკვიდრთა ხელშია, არამედ უცხო გარეშე ელემენტები ბატონობენ, რომელნიც ღებულობენ დირექტივებს არა

საქართველოს დღევანდელ მმართველებიდან, არამედ სულ სხვა მხრიდან. ზაქათალის ოლქი, რომელიც ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად შეკავშირებული იყო თფილისთან და ყარაიაზის რაიონი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მეჯოგეობისათვის აუცილებელია—საქართველოს ჩამოშორდა, დღეს იქ ბატონობენ ყაზახის მაზრის რევკომები. უცხოელების შემოსევამ, ჩამოსახლებამ აფხაზეთის ოლქში, ჯავახეთში, ზაქათალა-კახეთში ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ცარიზმის ხანებშიაც არ ყოფილა ასეთი კოლონიზაცია და საქართველოს მიწა-წყლის დატაცება. ამგვარად გაერთიანებული საქართველო მჭიდროდ შეკავშირებული და ეროვნულად განვითარებულ გზაზე დამდგარი—დღეს დაქუცმაცებულია, გაჩეხილია და მის თანამედროვე ტრაღიკულ აწმყოსთან ერთად მისი მომავალიც განსაცდელშია.

ქართველი მშრომელი ხალხის ტანჯვით დაგროვილი სიმდიდრე, ეროვნული ქონება, საარსებო სახსარი იღუპება. საქართველოს რკინიგზის მუშების წყალობით, ოფლით შეძენილი, შექმნილი ვაგონები, ორთქმავლები თავისი ქვეყნის საზღვრებს შორდებიან სამუდამოდ. რკინის-გზა დიაშალა, ტრანსპორტი განადგურდა, მრეწველობა ეცემა, ქვეყანა პარტახდება.

ქართული ენა—ეს ერთადერთი უდიდესი იარაღი მშრომელი ხალხის განვითარებისა,—სახელმწიფოს საზოგადოებრივ კულტურულ დაწესებულებებიდან განდევნილია, მიუხედავად მისი სახელმწიფო ენად გამოცხდებისა.

პარტიების, კავშირების, არჩევნების, კრებების, სიტყვის, პრესის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა მოსპობილია. ქართველ ხალხს წაერთვა ყოველივე საშუალება, რომ წერილობით ან სიტყვიერად თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი ამა თუ იმ საჭირბოროტო კითხვებზე. აღარ არის საშვალება საჯაროდ გამოტანილ იქნას ის ბოროტმოქმედება, რომელიც ხდება საქართველოში და ხალხს არ აქვს საშვალება მიუდგომელი კანტროლისა. საქართველოს მუშები, სამხედრო ბეგარის ქვეშ გამოცხადებულნი, მშიერ-მწყურვალნი მძიმე პირობებში ეწევიან მუშაობას. მათი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება; მათ არა აქვთ საექიმო დახმარება და სურსათი. საქართველოს მუშათა კლასი და მისი მომავალი თაობა ფიზიკურად იღუპება.

საქართველოს უმწიკვლო საზოგადო მოღვაწეები,—ნათქვამია

განცხადებაში,—ძველი რევოლუციონერები, მუშები და გლეხები ციხეებში იტანჯებიან. და ეს იმ დროს, როდესაც ხალხის თვალწინ ხდება უაღრესი სპეკულაცია და უდიდესი ბოროტმოქმედებანი; მაშინ როცა ხალხის მტრები, შინაური და უცხო სპეკულიანტები, მუქთამჭამელები და რეაქციონერები თავისუფლად დასეირნობენ. განსაკუთრებით იდევნება ქართველი მშრომელი ხალხი და თანამედროვე დევნამ მიიღო წმინდა ეროვნული ხასიათი, რომლის მსგავსი ჩვენი ქვეყნის საშუალო საუკუნის ისტორიაშიდაც არ მომხდარა.

საქართველოს სავაჭრო კომისარიატი, ეკონომიური პოლიტიკა, სამეურნეო საქმეები რუსეთის საერთო ცენტრს დაუმორჩილეს, საქართველოს რკინის-გზა რუსეთის რკინის-გზას შეუერთეს. რომ გაგრძელებული იქნას იმპერიალისტური და დაპყრობითი პოლიტიკა, რომ შემოსულ ძალას საშვალება მიეცეს მილიტარულად ჩვენს ქვეყანაში გამაგრებისა, ამიტომ ადგილობრივი ქართული ლაშქარი ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ ფაქტიურად მოსპობილია.

ქართველი მშრომელი ელემენტები იდევნებიან თავისივე ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებიდან: სამრეწველო დარგებიდან, საპასუხისმგებლო ადგილებიდან. ამავე დროს რესპუბლიკის დაწესებულებები გაივსო ჩამოსული ელემენტებით, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ არასდროს მუშათა გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, და რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებიან ერის მშრომელ ნაწილს და დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღმშენებლობით საქმეში აშკარა საბოტაჟს ეწევიან, ქვეყნის წინაშე დიდ დანაშაულობას სჩადიან.

საგანგებო კომისიების მართლმსაჯულებამ პირდაპირ შურისძიების ხასიათი მიიღო. დახვრიტეს ისეთი ადამიანები, რომლებიც სამშობლოს დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ, სახელმწიფო კანონების მოვალეობას ასრულებდენ და არასდროს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ პოლიტიკურ მოძრაობაში.

უჩვეულო რეპრესიების საშუალებით, მუშების დევნა, მასიურად დაპატიმრების, არჩევნებზე შეიარაღებული თავდასხმით, არჩევნების ჩაშლით, მუშების დათხოვნა-გადასახლების შემდეგ გაიმართა საქართველოს მუშების სახელით მთელი რიგი ყრილობები კავშირებისა, სადაც საქართველოს მშრომელი ხალხის ნების დაუკითხავად გამო-

ფილიპე შარაძე
ფოტო აღებულია სუკის არქივიდან

ფილიპე შარაძე
ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ტანილი იქნა დადგენილებანი ჩვენი ერის, მუშათა კლასის ინტერესების საწინააღმდეგოთ მიმართული.

ბინების საკითხის ირგვლივ მუშების სახელით, აღნიშნულია განცხადებაში, თფილისში ხდება წარმოუდგენელი ძალადობა, უსამართლობა, თვითნებობა. რამოდენიმე წლობით ბინებში ჩასახლებულ ადგილობრივ მცხოვრებლებს ქუჩებში ყრიან უბინაოდ და მათ ადგილზე ბინავდებიან სრულიად საეჭვო ელემენტები და ისეთები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ მუშებთან, მხოლოდ ჩამოსული არიან სხვადასხვა მიზნებისათვის და სპეკულაციებისათვის. შექმნილი პირობებით ქუჩაში უბინაოდ რჩებიან პატიოსანი და მშრომელი ადამიანები და ეს იმ დროს, როდესაც სპეკულანტების, უცხო და გავლენიან პირთა ბინები ხელუხლებელია.

განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი პირობები რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებისათვის ამ ბოლო ხანებში უცნაური რეპრესიების სახეს იღებენ.

რკინიგზის გაერთიანებიდან საქართველოს ფორმალურმა მმართველმა რევკომმა დაჰკარგა ყოველივე ეროვნული და პოლიტიკური გავლენა რკინიგზაზე, რის შემდეგ დაიწყო ქართველი მუშების მასიური დევნა. რკინიგზის მილიცია, საგანგებო კომისია, მთელი მმართველობა რუსეთის ცენტრს დაუმორჩილეს. თანდათანობით განდევნეს მოწინავე მუშები, საქმის მცოდნეები და სპეციალისტები ადგილებიდან. მთელი რიგი მუშათა ჯგუფებისა თანდათანობით გადაასახლეს აღერბეიჯანის, სომხეთის და როსტოვის რკინიგზებზე. ათ ოქტომბრამდე მივლინების სახით საქართველოს გზას მოაშორეს 1.400-ზე მეტი მუშა-მოხელე-სპეციალისტი. მრავალი ოჯახი უპატრონოდ დარჩა. უკანასკნელ ხანებში შტატის შემცირების სახელწოდებით ითხოვენ ძველ და გამოცდილ მუშებს არა ათობით, არამედ ასობით ერეკებიან ადგილებიდან. სამაგიეროდ ქართველების ადგილებს იჭერენ რუსეთიდან გამოგზავნილი პირები. ქართველების დევნამ ყოველგვარი საზღვარი დაჰკარგა. საქართველოს მუშათა კლასი გრძნობს უპატრონობას. მირონოვის იმპერიალისტური და ანტიქართული განზრახვები სისრულეში მოდის. საქართველოს მუშების, ამ ქართველი ერის მთავარი ძარღვის განადგურების პროცესში უკვე კატასტროფას უახლოვდება. უკანასკნელი დღეების ბრძანებით რუსეთიდან მოჰყავთ რკინიგზებზე არა ასობით, არამედ ათასობით მუშები, მოხელეები, შემუშა-

ვებულია მთელი რიგი წესებისა ქართველთა გასადეენად და უცხოეთს გადასასახლებლად. ამ უკანასკნელი დღეების ძალადობა მეტად უხეშ სახეს ღებულობს, რაც ფრიად დამაფიქრებელი და საბედისწეროა ქართველი ერისათვის, მუშათა კლასის მერმისისათვის.

ყოველივე ის, მითითებულია დოკუმენტში, რაც თანამედროვე საქართველოში ხდება გამოურკვეველია თვითონ ქართველი ხალხისათვის, თუ საიდან, რომელი ხელისუფლების წყაროდან გამომდინარეობს — საქართველოს რევკომიდან, თუ საიდუმლოდ მოვლენილ და ჩვენი ხალხის მიერ სრულებით უცნობ ამიერკავკასიის კაბიუროდან.

მაზრები და სოფლები სრულიად უპატრონოდ არიან მიტოვებულნი, სადაც დაწყებული თვითნებობა და ძალადობა თანდათანობით ფართოვდება, საშინელი პროვოკაციების ხასიათს ღებულობენ და რუსის ჯარი ეკზეკუციების სახით განაგრძობს დამშეულ, დარბეულ ხალხის რბევას — კახეთში, დუშეთში, გურიაში, ქუთაისის მაზრაში და სხვაგან.

თანამედროვე საშინელ და საბედისწერო პირობებში, თფილისის მუშები დამნაშავენი ვიქნებით ერისა დ ისტორიის წინაშე, რომ ერთხელ კიდევ ხმა არ ავიმაღლოთ და არ გამცნოთ თქვენ ქართველი ერის თანამედრვე მძიმე მდგომარეობა. ამიტომ, გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს საქართველოს რევკომს, ჩვენ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია:

1) აღდგენილ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობა და დაცული იქნას მისი სუვერენობა, ყველას მიერ საქვეყნოდ აღიარებული ისტორიული უფლება და ენა.

2) აღდგენილი იქნას ქართული ლაშქრის შელახული უფლებები, საშუალება მიეცეს მას განმტკიცებისა და გაყვანილი იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარები.

3) აღდგენილი იქნას მუშათა ორგანიზაციების, კავშირების, არჩევნების, კრების, პრესის, სიტყვის თავისუფლებანი და პიროვნების ხელუხლებლობა.

4) დაუყოვნებლივ შეჩერებული იქნას საქართველოს მუშების დათხოვნა ადგილებიდან, გადასახლება უცხოეთში და სასწრაფო ზომები იქნას მიღებული უცხო მოხელეების შემოსევის წინააღმდეგ.

5) დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები მუშების და მათი ოჯახების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

6) შეჩერებულ იქნას სოფლებში დამსჯელ ეკზეკუციების მოქმედება.

7) ეანთავისუფლებულ იქნან პოლიტიკური დევნილები და ტუსაღები, რომელნიც განიცდიან სრულიად უსაბუთო დევნას და ტანჯვას. ამ განცხადებას ხელს აწერენ თფილისის მთავარ სახელოსნოს, დეპოს, მოძრაობის, ლიანდავის, სადეურების, კახეთის რკინიგზის, არსენალის, ტრამვაის, ავლაბარ-ორთაჭალის სამრეწველო დარგების მუშები, რიცხვით ხუთი ათას ას ოცდათორმეტი (5132) მუშა.

თფილ. მუშათა დელ. თავმჯ. იასონ ჩაჩუა.

წევრები: პეტრე ხარაძე, ლეონტი თომაძე, ვასილი ოსიძე, იაკოფ ასიტოვი, იოსებ ავალიძე, ნიკოლოზ ეოვინაშვილი, იასონ კახაბრიშვილი და ანდრო თოდუა."[1]

ასევე ძალზე საინტერესოდ უნდა იქნას მიჩნეული სტუდენტთა გამოსვლები მომხდარ პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით:

„მუშათა პროტესტებს ქართველი სტუდენტებიც შეუერთდნენ. ამავე საღამოს გაიმართა თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სასწრაფო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2.000-ზე მეტი. მიტინგმა მოისმინა სტუდენტ ჯანელიძის განცხადება 24 ოქტომბრის და პირველ ნოემბრის ამბების შესახებ. ამ ცნობის შემდეგ წაკითხულ იქნა თფილისის მუშების განცხადების შინაარსი.

მიტინგი გადაიქცა საპროტესტო დემონტრაციათ. შეასრულეს ეროვნული ჰიმნი „დიდება" და მიიღეს შემდეგი რეზოლუცია რევკომთან გასაგზავნათ:

„მოისმინა რა განცხადება 24 ოქტომბერს რევკომის მიერ თბილისის მუშათა კლასის დელეგაციის დაპატიმრების შესახებ,—თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა:

1. საკუთებით უერთდება თფილისის პროლეტარიატის მოთხოვნებს—საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებისა და მისი ტერიტორიის დაცვის, სიტყვის, კრების, პრესის და სხვა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლების, საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ქართული ლაშქრის უფლებათა აღდგენისა

[1] „თავისუფალი საქართველო", 1921, №13.

და პოლიტიკურ დევნილთა და პატიმართა განთავისუფლების შესახებ და ყველას გასაგონად აცხადებს, რომ იგი მუდამ მზათაა მთელი თავისი ძალღონით მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ეს სამართლიანი მოთხოვნილებები;

2. სტუდენტობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ უხეში ძალადობის გამო, რომელიც გამოიხატა რევკომის მიერ 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრებაში და გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას რევკომის თავმჯდომარის ბ. მდივნის 29 ოქტომბრის უტიფარი განცხადების გამო, თითქოს დელეგაცია არავის დაეპატიმრებიოს.

3. კრება ღრმა თანაგრძნობასა და სოლიდარობას უცხადებს დაპატიმრებულსა და მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ ამხანაგებს—მუშათა დელეგაციას და 4. მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს.

გაუმარჯოს პროლეტარიატს.

გაუმარჯოს მუშათა დელეგაციას.

ეს დადგენილება სასწრაფოდ გადაეცეს რევკომის თავმჯდომარეს.

კრებას დაესწრო 2.000-ზე მეტი კაცი, დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

თავმჯდომარე ხეცურიანი.
მდივანი შარაძე.“

და, ბოლოს, თითქოს შემაჯამებელი გამოსვლა ისევ მუშათა კლასიდან:

„საქართველოს მშრომელო ხალხო, თავისუფლებას მოკლებულო. დღე იცოდეს დღეს ყველამ, რომ საქართველოს რევკომი, რომელმაც 24 ოქტომბერს ისტორიული დანაშაულობა ჩაიდინა, თფილისის პროლეტარიატმა 1 ნოემბერს გაასამართლა, მას საქვეყნოდ მსჯავრი დასდო“[1]

და ასე. უკანონო და უსწორო ომებით სისხლისგან დაცლით, ერის საუკეთესო შვილების დევნითა და ჟლეტით; ტერიტორიულად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დახლეჩილი და დაწვრილერთეულებული, რწმენა შეგინებული და თავისუფლებაწართმეული საქართველო შეუყენეს „ახალ“ მძიმე გზას.

---

[1] „თავისუფალი საქართველო“, 1921, № 13. პარიზი.

დაპყრობილი საქართველო და ევროპა

ანუ რა ადგილი დაიკავა გარეშე ძალის მიერ აგრესიისა და ოკუპაციის შემდგომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც საერთაშორისო საშართალსუბიექტის დამოუკიდებლობის საკითხმა იშუამიდელ საერთაშორისო პოლიტიკაში?!

ზოგიერთი საყურადღებო დეტალი ამის თაობაზეც.

1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე პარიზს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დელეგაცია გაიგზავნა კარლო ჩხეიძის, ირაკლი წერეთლის, ზურაბ ავალიშვილისა და სხვათა შემადგენლობით.

1919 წლის 14 მარტს დელეგაციამ პარიზის (ვერსალის) კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დაასაბუთა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ: „...საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას აქვს პატივი, სთხოვოს დიდ სახელმწიფოებს, რომელთა წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს პარიზის ვერსალის საზავო კონფერენციაზე, ცნონ ეს დამოუკიდებლობა. საქართველოს დელეგაცია ამ სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევს თხოვნის ღრმა სახალხო ხასიათს. საქართველოს დამოუკიდებლობა — ეს არის ცოცხალი რეალობა, რომელიც ელის მხოლოდ დიდი სახელმწიფოების მიერ ცნობას. საქართველოს თავისუფალი დემოკრატია აღადგენს თავისი ეროვნული ცხოვრების ძაფს, რომლის დასაწყისი შორეული წარსულიდან მოდის. მან გაიარა როგორც აყვავება და ძლიერება, ისე დაცემა და დაშლა. ძაფი გაწყდა საქართველოში რუსეთის ბატონობის დამყარების შედეგად, მაგრამ იგი კელავ შეკრა დღევანდელმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ."[1]

ევროპის პოლიტიკური და სამხედრო წარჩინებულნი დიდხანს განიხილავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარების საკითხს და ბჭობდნენ მათის მხრიდან: ჟორჟ კლემანსო, მარშალი ფოში, ჟიულ კამბონი, გენერალი ბერტელო (საფრანგეთი); ლოიდ ჯორჯი, ლორდ კერზონი, უინსტონ ჩერჩილი, გენერალი ჰენრი ვილ-

---

[1] ილია ტაბაღუა. „საქართველო და ევროპის სახელმწიფოები 1918-1921" გაზ. „თბილისი", 12 ივლისი, 1989 წ.

ვილსონი (ინგლისი); ფრანჩესკო ნიტი და სკიალოჯა (იტალია) და სხვანი და სხვანი.

მარტოოდენ ქართული დემოკრატია და მისი მომავალი არ იყო ევროპისათვის მთავარი ხიბლი. ეს კარგად იცოდა ქართულმა დიპლომატიურმა მისიამ და დროდადრო სხვა კოზირსაც ათამაშებდა:— „მიუხედავად საქართველოს არც ისე დიდი ტერიტორიისა, მისი ეკონომიკური რესურსები მეტად მნიშვნელოვანია... საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობა, მდიდარი ტყეებით, მადნეულებით, წყლის ენერგიის სიუხვით, ხელსაყრელი კლიმატით. ნავსადგურები ფოთი და ბათუმი შავ ზღვას აკავშირებენ სპარსეთთან და ცენტრალურ აზიასთან".[1]—აუწყებდნენ ევროპას.

ევროპული სახელმწიფოები კვლავ დიდხანს ბჭობდნენ და აფთიაქის სასწორით წონიდნენ უფრო მთავარ გარემოებას—კერძოდ, ბოლშევიკების ინტერესებისა და ძალების მდგომარეობას ამ მიმართულებით...

ამავე პერიოდში, პოლკოვნიკი შარდინი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი საქართველოში, ერთ მნიშვნელოვან ცნობასაც აწვდის თავის მთავრობას:—„იმ დიდ მისიაში, რომელიც ეკუთვნის ამიერკავკასიას მისი გეოგრაფიული მდებარეობით—ღია ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის იყოს გზა ევროპასა და ცენტრალურ და წინა აზიას შორის—საქართველოს რესპუბლიკას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს"[2]

საქართველოს ბუნებრივმა გეოგრაფიულმა დერეფანმა ახლაც მიიქცია ევროპელთა ყურადღება და აქტიურად გაირბინა ევრაზიული დერეფნის ლანდმა...

და ისევ ის მაგრამ, რომელსაც ევროპელნი დღის წესრიგიდან არ ხსნიან: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ ხალხს შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო... თქვენი პრობლემა ეს არ არის. თქვენი პრობლემა შემდეგია: შეგიძლიათ თქვენ უზრუნველჰყოთ თქვენი დამოუკიდებლობა იმ ვეებერთელა სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და რომელსაც რუსეთი ჰქვია?! აი, სწორედ ეს არის ქართული პრობლემის სირთულე, ქართველი

---

[1] ილია ტაბაღუა. „საქართველო და ევროპის სახელმწიფოები 1918-1921", გაზ. „თბილისი", 12 ივლისი, 1989 წელი.

[2] იქვე.

ერის დრამა"[1]—საგანგებოდ გააფრთხილებს ლონდონს ჩასულ ირაკლი წერეთელს ლორდ კერზონი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი და უბადლო მცოდნე აღმოსავლეთის ქვეყნებისა.

1920 წლის 7 მაისს გაფორმდა რუსეთ-საქართველოს ცნობილი ხელშეკრულება.

ამბობენ, ისტორიას ბოროტი ან დაუნდობელი მეხსიერება აქვსო. მაშინ (აც) ამ მეხსიერების სიღრმეებიდან ამოტივტივდა 1783 წლის ტრაქტატი მისი უფლებრივი ხასიათით, ანუ რუსეთსა და საქართველოს შორის 137 წლის წინ დადებული ხელშეკრულება არა მარტო პროტექტორატის, არამედ მეგობრობისა და კავშირის შესახებაც, შედეგით—ანექსირებული საქართველო.

ახლა „მეგობრულ ხელშეკრულებას კავშირისა და მფარველობის შესახებ"[2] ცელის ახალი, რომლის ორმხრივად შეთანხმებულ და ხელმოწერილ პირველ მუხლში სიტყვასიტყვით წერია: „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან,—რუსეთი უსიტყვოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ"[3].

ხელშეკრულების მეორე მუხლი კი კიდევ უფრო აზუსტებს რუსეთის დამოკიდებულების განსაზღვრას საქართველოს მიმართ. კერძოდ: „ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე რუსეთი იღებს ვალდებულებას, — უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე"[4]

ასე და ამგვარად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა დე-ფაქტო და დე-იურე ცნო საქარ-

---

[1] კარლო ინასარიძე. დოკუმენტების დასახელებული კრებული. მიუნხენი. 1984.

[2] ივ. ჯავახიშვილი. „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში." ტფილისი. 1919.

[3] „ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის." კ. ინასარიძე. დოკუმენტების დასახელებული კრებული. მიუნხენი. 1984.

[4] იქვე.

თველოს დამოუკიდებლობა, ახალი შინაარსი შესძინა დემოკრატიული საქართველოსა და საბჭოთა სოციალისტური რუსეთის რესპუბლიკების ურთიერთობას, მაგრამ უკანასკნელმა ხელშეკრულებამაც წინამორბედის ბედი გაიზიარა და დასრულდა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული სამხედრო აგრესიით, ოკუპაციით და ფაქტობრივი ანექსიით.

მანამდე კი ერთ-ერთ მორიგ და დიდ აღიარებას ისევ მიიღებს დემოკრატიული საქართველო ევროპიდან: „საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია და ბელგია გაერთიანებულნი უმაღლეს საბჭოში, ცნობენ დე-იურე საქართველოს დამოუკიდებლობას.

უმაღლესი საბჭოს სახელით არისტიდ ბრიანი.

27 იანვარი. 1921 წელი."[1]

მაგრამ, საუბედუროდ, არც ეს აღმოჩნდა განმსაზღვრელი და გადამწყვეტი დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებრივი დაცვისათვის.

ამ მიმართულებით უპირველესი მუშაობა ქართულმა დიპლომატიურმა სამსახურმა გასწია.

ჯერ კიდევ საქართველოში ეროვნული მთავრობის მოღვაწეობის დროს, რესპუბლიკის დიპლომატიური მუშაობა განისაზღვრა როგორც ერთიანი სამსახური, რომელსაც სათავეში უნდა სდგომოდა ერთი პირი, სახელდობრ, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში (აკაკი ჩხენკელი). ამიტომაც, უკანასკნელს მიეცა რწმუნების სიგელი არა მხოლოდ პარიზისათვის, არამედ ლონდონისა და რომისათვის; მასვე ევალებოდა დიპლომატიური მუშაობის ხელმძღვანელობა ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც[2].

საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში ჩავიდა 1921 წლის 13 თებერვალს, როდესაც საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე დაწყებული იყო, ხოლო რწმუნების სიგელი საფრანგეთის პრეზიდენტს წარედგინა 25 თებერვალს. ამის შემდგომ გაემგზავრა ლონდონს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პრობლემებთან დაკავშირებული პირველი კონფერენციის გამო (1921 წლის თებერვალ-

---

[1] კ. ინასარიძე. დოკუმენტების დასახელებული კრებული. მიუნხენი, 1984.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები. № 1333, გვ.1

მარტი), ელჩი მხოლოდ 17 მარტს იქნა მიღებული ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის — ლორდ კერზონის მიერ.

თუმცა, მხოლოდ ლონდონის კონფერენცია არ იყო ხელშემშლელი პირობა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ოფიციალური მიღებისა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების გამო ინგლისის ხელისუფლების დამოკიდებულების განსაზღვრისათვის. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ერთი დღით ადრე, 1921 წლის 16 მარტს ლონდონში ხელმოწერილ იქნა ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის მიღწევისათვის ზრუნვა ლოიდ ჯორჯის მთავრობამ ჯერ კიდევ 1920 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ხელშეკრულებაში კი, გარდა წმინდა კომერციული შინაარსის პუნქტებისა, იყო განსაკუთრებული მუხლი, რომლის ძალითაც ინგლისი თავს არადაინტერესებულ პირად აცხადებდა კავკასიის საქმეებში.[1] ეს კი, ბოლშევიკური რუსეთისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარანტი იყო კავკასიაში თავისი ექსპანსიური პოლიტიკის თამამი განხორციელებისათვის.

ამრიგად, როდესაც საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ჩავიდა ევროპაში, მსოფლიო დიდ პოლიტიკაში უკვე აშკარად იკვეთებოდა ახალი ორიენტაციის საკითხები და ლოიდ ჯორჯის მთავრობა, რომელიც ამჟამად ენერგიულად იყო დაინტერესებული რუსეთის საკითხით, მეტად გულგრილად უყურებდა საქართველოს პრობლემას, რაც მომდევნო პრაქტიკული საქმეებით დაადასტურა კიდეც. კერძოდ, უახლოეს ხანში, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში გააუქმეს საქართველოს და კავკასიის განყოფილება, რის გამოც საქართველოს საელჩოს შემდგომ კავშირი ჰქონდა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტთან, მაგრამ მალე ესეც ჩრდილოეთის, ანუ რუსეთის დეპარტამენტს შეუერთეს, რის „წყალობითაც“ ინგლისის ოფიციალურ წრეებში ვრცელდებოდა საქართველოს ეროვნული მთავრობის საწინააღმდეგო აზრი.

საქართველოს საელჩოს აკრედიტაცია რომში მხოლოდ 1921 წლის აპრილში შედგა. აღსანიშნავია, რომ იტალია, რომელიც იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, ამჟამად ინგლისის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. და მართალია ლონდონსა და რომში იმხანად გაიხსნა საქართველოს საელჩოები,

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები. № 1333, გვ.16.

მაგრამ იმდენად შეკვეცილი უფლებებით, რომ სრულუფლებიანი ელჩიც კი არ იყო შეტანილი ამ ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის სიებში. აკრედიტაციის ყველა მიღებული წესის შესრულება და ელჩის დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად ჩარიცხვა მხოლოდ პარიზში მოხერხდა.

რაც შეეხება ბერლინს, აქ პარიზზე ადრე გაიხსნა საქართველოს საელჩო, მაგრამ, ვინაიდან, თბილისიდან იმთავითვე არ გაგზავნილა სათანადო რწმუნების ოფიციალური სიგელი, მას ჯერ კიდევ 1919 წელს აქ დატოვებული წარმომადგენელი ვანაგებდა, ფორმალური აკრედიტაციის შეუსრულებლად.[1]

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არსებობდა, აგრეთვე, სტამბულში, ხოლო არაოფიციალური წარმომადგენლობა ჟენევაში (ერთა ლიგა) და ვარშავაში.

1921 წლის შემოდგომაზე კი, სრულუფლებიანი ელჩის მანდატით, ამერიკის შეერთებულ შტატებს გაიგზავნა ზურაბ ავალიშვილი სამგვარი დავალებით: — დიპლომატიურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-პროპაგანდისტული და პრაქტიკულ-ეკონომიკური მიმართულებებით.[2] მაგრამ, „...მეშინია, რომ ყველა ეს ნაბიჯები დაგვიანებულია. ეს უნდა მომხდარიყო ორი წლის წინათ"[3]—ლტოლვილ მთავრობას 1922 წლის იანვარში ასეთ წერილს მისწერს გულგატეხილი და ხელჩაქნეული ზურაბ ავალიშვილი.

მაშ, საქართველოს საელჩოებსა და წარმომადგენლობებს წილად არ ხვდათ მუშაობა გაეწიათ დამოუკიდებელი საქართველოს სხვა ქვეყნებთან დასაახლოებლად. ამჯერად, ქართულ დიპლომატიურ სამსახურს უხდებოდა საპროტესტო ნოტებისა და „მემუარების" გადაცემა უცხოეთის მთავრობებისადმი, ბოლშევიკური რუსეთის მიერ თავსმოხვეული ომის გამო საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ; არ უშვებდნენ არც ერთ შესაძლო შემთხვევას, რათა აღეძრათ საქართველოს საკითხი და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დაცვით მოეთხოვათ ვერსალის კონფერენციის უმაღლესი

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1333, გვ.26.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1529, გვ. 37.

[3] იქვე. № 1498.

საბჭოს ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოების მიერ იურიდიულად აღიარებული ქვეყნის დაცვა უცხო ძალისაგან; ოფიციალურ წრეებს აწოდებდნენ ზუსტ, დოკუმენტურ ინფორმაციას—რა მოხდა სინამდვილეში საქართველოში—რევოლუცია, ეადატრიალება, აჯანყება თუ ომი, ვინ და რისთვის ომობდა; ცდილობდნენ განსაკუთრებულად დაეინტერესებინათ ესა თუ ის სახელმწიფო საქართველოს მდგომარეობით და მოეპოვებინათ არა მარტო თანაგრძნობა, არამედ რეალური დამხმარებაც, მაგრამ უკანასკნელის მიღწევა აღვილი არ აღმოჩნდა. „საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ლეგაციის მემორანდუმებმა და თხოვნებმა, ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო კონგრესისა და მრავალ სხვა საზოგადოებათა რეზოლუციებმა საქართველოსათვის ამ უბედურ 1921 წელს, ვერ დააძრეეინეს ენა ერთა ლიგას—მან ყრუდ ჩაუარა ისეთ აღმაშფოთებელ მოვლენას, როგორიც იყო საერთაშორისო ხელშეკრულების აშკარა და უმიზეზო დარღვევა და დიდის ერისაგან პატარა ერის ცინიკურის ძალმომრეობით მოსპობა.“"— მოგვიანებით დაწერს ივანე ზურაბიშვილი.

ყოველივე ეს კი ძირითადად განპირობებული იყო იმჟამინდელი ურთულესი საერთაშორისო ვითარებით, რომელიც საქართველოს პრობლემისათვის ფრიად არახელსაყრელი იყო. და, რაც, ზოგადად, შემდეგში გამოიხატებოდა: უკანასკნელი დიდი ომის შედეგები ევროპის ეკონომიკური ცხოვრებისათვის იმდენად გამანადგურებელი აღმოჩნდა, რომ მისი აღდგენა-განახლების საკითხი თითოეული ქვეყნის დაუყოვნებლივ ზრუნვის საგანს შეადგენდა; აქედან გამომდინარე კი წინა პლანზე წამოიწია რეპარაციის საკითხმა, რომელმაც თანამედროვეთა აღნიშვნით, დაჩრდილა არამცთუ ქართული, არამედ გაცილებით უფრო დიდი საკითხები ევროპაში; უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის მუშაობის წარმატებას ხელს უშლიდა, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უაღრესად გამწვავებული პრობლემა, რის გამოც იმართებოდა განუწყვეტელი საერთაშორისო თათბირები და კონფერენციები, მაგრამ ევროპისათვის სასურველი ზავი, ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ მიუღწეველი

„გუშაგი“. №3, გვ. 51, პარიზი, 1984, ივ. ზურაბიშვილი. „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“. პარიზი. 1936.

რჩებოდა; მდგომარეობას კიდეე უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ანგორა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა მოსკოვს და მათი ერთმანეთისაგან გათიშვა ევროპელთა თვალში მეტად საეჭვო ხდებოდა; და კიდეე ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის სამი-ოთხი წლის ბატონობისა და ქვეყნის შიგნით დაპირისპირებულ ძალთა დათრგუნვის შემდეგ ევროპა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ რეჟიმის დამხობა თვით რუს ხალხს ახლო მომავალში არ შეეძლო. ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა რამდენადმე შეგუებოდა შექმნილ მდგომარეობას და საერთო ვითარების სტაბილიზაციისა და, საკუთრივ, ცალკეული ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, იწყებდა მასთან დაახლოების მიზანმიმართულ პოლიტიკას.

საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში, ლონდონსა და რომში—აკაკი ჩხენკელი ასეთ განმარტებას მისცემს გაზეთ „თავისუფალ საქართველოს" კორესპონდენტთან საუბრისას:

„საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხია, და ის ვერ გახდება ...რუსეთის შინაურ საკითხად; ეს არა მარტო იმიტომ, რომ ასე აზროვნებენ ამა თუ იმ ქვეყნის ოფიციალური წრეები, არამედ იმიტომ, რომ თვით საერთაშორისო კონინქტურა, თვით საქმეთა მსვლელობა მოითხოვს ამას... თუნდაც ჩვენი დამოუკიდებლობის თუ რიდიული ცნობა, სხვა რომ არა იყოს რა, ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ ამ წრეებმა... მე მესმის ის მოუთმენლობა, რომელსაც შეუპყრია ქართველი ერი მისი საკითხის საერთაშორისო ოფიციალურ კონფერენციაზე დაუსმელობის გამო... მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს საკითხი ერთად ერთი არაა, ის არ არის ერთი უმთავრესთაგანიც, რომელიც იპყრობს დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას... რუსეთის საკითხიც არ ყოფილა ჯერ მთელი სიგრძე სიგანით დასმული საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე. რუსეთის მდგომარეობაშია ახლო აღმოსაელეთის საკითხიც... რომელიც, უეჭველია, საზავო მოლაპარაკებით დამთავრდება ახლო მომავალში... და მაშინ თავის თავად დაისმება ჩვენი საკითხიც,—ვინაიდან შეუძლებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა ახლო აღმოსაელეთში თუ კავკასიის რესპუბლიკათა საქმეები მოუწესრიგებელი იქნა".[1]

---

[1] „თავისუფალი საქართველო", №8, გვ. 12, პარიზი, 1921.

კავკასიის პრობლემა, ამ დროისათვის მართლაც საყურადღებოდ რჩებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც, უცილობლივ, განპირობებული იყო მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით. არსებული და მოსალოდნელი პერსპექტივები ევროპისათვის აშკარად არასახარბიელო ხასიათს ატარებდა. და ქართული დიპლომატიაც დაჯერებულად თვლიდა, რომ ევროპა სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულებით წარმართავდა აქტიურ პოლიტიკას. მაგრამ მოვლენები, სამწუხაროდ, სხვაგვარად განვითარდა...

და გაიმართა ეს საერთაშორისო კონფერენციებიც.

თავდაპირველად, 1922 წლის 6-13 იანვარს, საფრანგეთის ქალაქ კანში შეიყარნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრი ქვეყნები, სადაც ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკური და ფინანსური საკითხებისადმი მიძღვნილ გენუის მომავალი კონფერენციის გამართვის შესახებ იმსჯელეს.

კონფერენციის ყურადღება რამდენიმეგზის მიიპყრო საქართველოს საკითხმა. კერძოდ: ევროპული თათბირის დაწყების წინ, 5 იანვარს, კავკასიის ერების სახელით, ანტანტის უმაღლეს საბჭოს საგანგებო ნოტით მიმართეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა (ნოტას შესაბამისად ხელს აწერენ: ჩხენკელი, აგარონიანი, თოფჩიბაშევი, ჩერმოევი), რომლებიც მოითხოვდნენ კავკასიის რესპუბლიკების ეროვნული მთავრობების დაშვებას გენუის კონფერენციაზე და სთავაზობდნენ ამ ქვეყნების ფართო მონაწილეობას ევროპის ეკონომიკური აღდგენის საქმეში იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ძალისხმევით აღდგენილ იქნებოდა ამ ქვეყნების სამართლიანი უფლებები.

6 იანვარს კი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ წარუდგინა უმაღლეს საბჭოს ნოტა, რითაც მათი ყურადღება მიაპყრო საქართველოში არსებულ რეალურ პოლიტიკურ ვითარებას და მოითხოვა, რომ მომავალ კონფერენციაზე, საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გარკვევის დროს, იმ პირობებს შორის, რომელსაც წარუდგენდნენ საბჭოთა მთავრობას საერთაშორისო საქმეებში მისდამი ლოიალობის უზრუნველსაყოფად, დაურთონ აგრეთვე ერთი მუხლი, კერძოდ—ოფიციალური მოსკოვის ვალდებულება—გაიყვანოს თავისი ჯარი საქართველოდან და ამით აღუდგინოს ქართველ ერს თავისი სამართლებრივი უფლება.

ნოტაში, რომელსაც ხელს აწერს ნოე ჟორდანია, გამოთქმულია ღრმა რწმენა იმისა, რომ საქართველოს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება, რადგან „მის სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მარტო უფლება ქართველი ერის, რომელიც ასე მხეცურად გასთელეს ფეხქვეშ ბოლშევიკებმა, არა მარტო პრინციპები საერთაშორისო სამართლისა, არამედ, აგრეთვე, თვით ინტერესები საყოველთაო მშვიდობიანობისა, რომელიც არ შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს მანამ, სანამ, დიდ იმპერიალისტურ მეზობელს შესაძლებლობა ექნება პატარა მშვიდობიანი სახელმწიფო იარაღით დაიპყროს და ამის გამო განათლებული სახელმწიფოებისგან ერთსულოვან პროტესტს არ მიიღებს"[1].

ამავე კონფერენციის ეკონომიკურ კომისიას გადაეცა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის ნოტა—საქართველოს აღდგენის განსაკუთრებული პირობების შესახებ. შედეგი: კანის ევროპულმა თათბირმა მიიღო რეზოლუცია—„გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველი სახელმწიფოებისათვის საავალდებულო პირობების შესახებ", რომლის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ „ეს სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ხელი აიღონ თავიანთი მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიული ნაბიჯების გადადგმაზე".[2] ეს წინა პირობა, საქართველოსთვის საშური და მისაღები, ქაღალდზე დარჩა. ამით არაფერი შეიცვალა. იმავე ევროპული თათბირის მოთავეებმა ბევრი იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ საქართველო გენუის კონფერენციაზე არ მოეწვიათ, იმის მიზეზით, რომ იგი აზიაში მდებარეობს, ხოლო მომავალი დიდი კონფერენცია მხოლოდ ევროპული სახელმწიფოების (იაპონიისა და აშშ-ის დამატებით) ურთიერთობებს განიხილავდა.

ცოტა მოგვიანებით ევროპის ყველაენოვან გაზეთში დაიბეჭდება რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—გიორგი ჩიჩერინის ნოტა, რომელშიც, სხვათა შორის, აღინიშნება ცნობა იმის თაობაზეც, რომ რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატთა შორის, გენუის კონფერენციაზე დასასწრებად ჩარიცხულია ბუდუ მდივანი.

გამოდიოდა, რომ ევროპის დიდი ქვეყნების საჭეთმპყრობელებმა

---

[1] გაზ. „თავისუფალი საქართველო", №15, გვ. 8, 1922, პარიზი.

[2] იქვე.

უკან წაიღეს ნათათბირევიც და ვადაწყვეტილებაც, რის ვამოც ახლა პარიზში შეიყარა „ყველა ქართველი“ შეკრების მთელი მსვლელობა და შინაარსი მეორე დღესვე დაისტამბა ფრანგულ ჟურნალ „ტანში“, ხოლო ამ ინფორმაციის ქართული ვარიანტი ვაკეთდა იქვე, პარიზში ვამომავალ ვაზეთ „თავისუფალ საქართველოში“

ქართველთა ამ საპროტესტო შეკრებას თავმჯდომარეობდა ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი ვრიგოლ ვეშაპელი.

კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება, რომ:

1. ვენუის კონფერენციის მიზანი—ზავი და ეკონომიკური აღდგენა ევროპისა, აუცილებლად მოითხოვს კავკასიის ერთა ნაციონალური უფლებების აღდგენას.

2. საქართველო, რომელიც მრავალი საუკუნეების ვანმავლობაში წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და დღეს იურიდიულად არის ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, უნდა დაშ-ებული იქნას ვენუის კონფერენციაზე.

3. საბჭოთა კომისრები საქართველოში, რომელთაც მეთაურობს და თავმჯდომარეობს პუდუ მდივანი, წარმოადგენს მხოლოდ კომუნის-ტურ ორგანიზაციას, რომელიც შემოიდა საქართველოში რუსეთის საბჭოთა ჯარებთან ერთად და დღემდე ეანაგებს ქართველ ხალხს უცხო საოკუპაციო ჯარების საშუალებით.

ქართველი ხალხი იარძვის პოლშევიკების წინააღმდეგ, რასაც ამოწმებს შემდეგი ვარემოებები: რომ ე. წ. საბჭოთა არჩევნებს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა (ს-დ, ს-ფ, შეერთებული ნაც. დემ.) საერთო ბოიკოტი ვამოუცხადეს, მუშებმა ვაფიცვებით უპასუხეს, სახალხო აჯანყებით სვანეთში და შ.

4. ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად ამ კონფერენციაზე შეიძლება იყოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავ-რობა, დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, რომელიც ამჟამად იმყოფება პარიზში და სადაც საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების შეთანხმებით ხელმძღვანელობს ქვეყნის ვანთავისუფლების პოლიტი-კას, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს მიაღწიოს თავის ისტორიულ მიზანს“[1].

---

[1] გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1922, პარიზი.



ნოე ჟორდანია

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა:

ნ. ჟორდანია

ე. გეგეჭკორი

კ. ჩხეიძე

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა:

კ. კანდელაკი

ნ. რამიშვილი

ნ. ხომერიკი

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

აკაკი ჩხენკელი

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ზურაბ ავალიშვილი

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.



მარცხნიდან: ნ. ჟორდანია, ვლ'ასა მგელ'აძე, პ. აჭელ'როდი, გ. აიოლ'ი, ირ. წერეთელ'ი, ნ. რამიშვილ'ი, დავით საღრიშვილ'ი. ჰამბურგი. 1923 წელი.

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

პუანკარეს კაბინეტი, იმთავითვე მტრულად შეხვდა ჟენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის მოწვევის საკითხს, მაგრამ, ვინაიდან, ამის თაობაზე შეთანხმება ჯერ კიდევ ბრიანის კაბინეტის დროს მოხდა, იძულებული გახდა დელეგაცია გაეგზავნა ჟენუას.

მანამდე კი, 1922 წლის 1 აპრილს, საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა საგანგებო სიტყვა წარმოთქვა პარლამენტში, რომლის ერთი ნაწილი შეეხო კავკასიის რესპუბლიკებს და, კონკრეტულად, საქართველოს, სადაც აღნიშნავდა, რომ ის არ ცნობს რუსეთის ძალმომრეობას ამ ქვეყანაზე. „თავისთავად ცხადია, რომ რადგან იურიდიულად ცნობილ საქართველოს არ მიეცა შესაძლებლობა ჟენუის კონფერენციაზე დასწრებისა, ჩვენ უფრო მეტი საბუთი გვაქვს ჩავთვალოთ, და ეს ჩვენ მტკიცედ განვაცხადეთ, რომ რუსეთს არა აქვს უფლება თვით იყოს წარმომადგენელი ჟენუის კონფერენციაზე იმ სახელმწიფოებისა... რომელთაც ის იპყრობს ძალმომრეობის საშუალებით"—განაცხადა რაიმონ პუანკარემ, რასაც პარლამენტართა უმრავლესობის მხარდაჭერა მოჰყვა.

აქვე დავსძენთ, რომ საფრანგეთის მთავრობა განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას იჩენდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობისადმი და საქართველოს საკითხისადმი, საერთოდ.

ჯერ კიდევ ახლო აღმოსავლეთის პრობლემებთან დაკავშირებულ სამშვიდობო კამპანიის დაწყებისას (1921 წლის თებერვალ-მარტი) გამოიკვეთა საფრანგეთის პოლიტიკის ახალი ორიენტაცია ანგორის მთავრობისადმი, რასაც მოჰყვა ამ ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ოფიციალური სამთავრობო მოლაპარაკებანი პარიზში. ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკების დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა—არისტიდ ბრიანმა წამოჭრა საქართველოს საკითხიც, რასაც მოჰყვა ანგორის საგარეო საქმეთა მინისტრის—ბექირ სამი ბეის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ ოსმალეთი არ აცხადებს პრეტენზიას ბათუმზე, ბათუმის მხარეზე და ართვინზე და ის მხოლოდ არტაანს თვლის ოსმალეთის კუთვნილებად, მაგრამ, როგორც თავადვე გაუსვა ხაზი, ამ საკითხისათვის ანგორის მთავრობა გამონახავდა რაიმე „მოდუსს" ორივე მხარის დასაკმაყოფი-

[1] „ოფიციალური სტენოგრაფიული ანგარიში რაიმონ პუანკარეს გამოსვლიდან საფრანგეთის პარლამენტში"—„თავისუფალი საქართველო", №20, გვ. 14, 1922, პარიზი.

ლებლად[1], რასაც მოჰყვა ბრიანის ოფიციალური წერილობითი მოთხოვნა „არტაანის მოდუსის“ შემუშავების შესახებ. ბრიანის მიერვე დაარსდა შერეული კომისია, რომელიც საკანგებოდ ეცნობოდა კავკასიის რესპუბლიკების ვითარებას, მათ საჭიროებებს და იმუშავებდა გეგმებს დასახმარებლად.

მაგრამ, ისევ ის—მაგრამ.

უფრო მოგვიანებით პუანკარეს კაბინეტი მისი წინამორბედისამებრ და მისებრაც ენერგიულად ცდილობს ლოზანას საზავო კონფერენციაზე დაუშვან დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და დაჟინებით მოსთხოვს ინგლისსა და იტალიას ამის თაობაზე, მაგრამ შეთანხმებას ვერც ახლა მიაღწევს, თუმცა ამ კონფერენციაზე არც საბჭოთა რუსეთის მიერ ხელდასმული მთავრობა იქნება წარმოდგენილი.

1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიაში, გენუაში შეიკრიბება ევროპის 29 სახელმწიფო, დიდი ბრიტანეთის ხუთი დომინიონისა და, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. გენუის კონფერენცია იყო პირველი სერიოზული ცდა, საერთო ევროპული პრობლემების მოსაწესრიგებლად. მის ინიციატორს ლოიდ ჯორჯს მიზნად ჰქონდა დასახული არა მარტო რუსეთის შეყვანა, ასე ეთქვათ, ევროპის ოჯახში, არამედ საერთო მშვიდობიანობის უზრუნველყოფაც და ამისთვის მზად იყო თვით რეპარაციის საკითხიც გადაესინჯა, რისთვისაც ეანიზრახა გერმანიის მოწვევაც, მაგრამ, როგორც იტყვიან, იმედები გაუცუდდა. საფრანგეთის ახალი კაბინეტი პუანკარეს მეთაურობით სასტიკი წინააღმდეგი იყო ვერსალის ზავის გადასინჯვისა, ის ალმაცერად უყურებდა რუსეთთან მოლაპარაკების გამართვასაც. თავის მხრივ, არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისურვა ოფიციალურად მონაწილეობა კონფერენციაზე. და ევროპელთა დიდი თავყრილობა, ხანგრძლივი მუშაობისა და მრავალი რეზოლუციების მიუხედავად, შედეგიანად ვერ დასრულდა. გენუის კონფერენციამ რუსეთის საკითხს მოანდომა სამუშაო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი და გაიყო ორ ბანაკად: ერთის მხრივ—„ინგლისი და მომხრეები“ და მეორეს მხრივ—„საფრანგეთი და მომხრეები“.

საქართველო და კავკასიის სხვა რესპუბლიკები არ იყვნენ მიწვე-

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები №1333, გვ. 5-6.

ულნი გენუაში, მაგრამ მათი ბუნებრივი სიმდიდრენი, განსაკუთრებით ნავთობი, დიდ როლს თამაშობდა კონფერენციაზე[1].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩიჩერინი დიდის ენერგიით ცდილობდა საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ვასაბჭოებული რესპუბლიკების წარმომადგენელთა დაშვებას, მაგრამ ვერას გახდა. სამანდატო კომისიამ უარყო მისი სურვილიც და პრეტენზიაც იმ მოტივით, რომ კანის კონფერენციის გადაწყვეტილებით საქართველო არ იქნა მიწვეული გენუაში. უფრო მეტიც, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რუსეთს არა აქვს უფლება, იკისროს საქართველოს წარმომადგენლობა, მაგრამ ინგლისის დელეგატთა ერთსულოვნების შესანარჩუნებლად იძულებულნი შეიქნენ დასჯერებოდნენ მას. კომისიის აზრი შემდგომ დაადასტურა კონფერენციამაც.[2]

გენუაში ერთგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სვანეთის აჯანყებამ. თუმცა ჩიჩერინმა უარყო ყოველივე, მაგრამ დელეგატები უკვე დოკუმენტურად გაეცნენ რუსეთის საოკუპაციო ჯარების ბრძანებათა ასლებს სვანეთის მოძრაობის ჩასახშობად, პარტიების მიერ ხელმოწერილ საქართველოდან მოსულ მიმართვას და კათალიკოს-პატრიარქის წერილს, რამაც (განსაკუთრებით უკანასკნელმა), დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციაზე...

და ერთიც. გენუის კონფერენციის მსვლელობის დროს, 1922 წლის 16 აპრილს, ქალაქ რაპალოში (იტალია) საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინსა და რაიხსმინისტრის ვ. რათენაუს ხელმოწერით, დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დაუყოვნებლივ აღდგენას, საეჭვრო ურთიერთობათა გაცხოველებას და, რაც უაღრესად საყურადღებოა—ურთიერთ პრეტენზიებზე უარის თქმას.

გამოიყენა რა ეს დიპლომატიური გამარჯვება, შემდგომ ამისა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ გერმანიის მთავრობისაგან მოითხოვა რაპალოს ხელშეკრულების გავრცელება რუსეთის „მოკავში-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1033, გვ. 41-42.

[2] იქვე, გვ. 43-44.

რე“ საბჭოთა რესპუბლიკებზე. რაც, ცხადია, თავისთავად ნიშნავდა გერმანიის მიერ საქართველოს ეროვნული მთავრობის ცნობის უკანვე წაღებას.

როგორც საარქივო დოკუმენტები იუწყებიან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძალისხმევით, მთავრობის სოციალ-დემოკრატი წევრები და თვით პრეზიდენტიც ექვსი თვის მანძილზე ეწინააღმდეგებოდნენ ამ წინადადებას,[1] მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და 1922 წლის 5 ნოემბერს ბერლინში დაიდო მეორე ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რაპალოს ხელშეკრულება რუსეთის „მოკავშირე“ რესპუბლიკებზე და, მათ შორის, საქართველოზეც ვავრცელდა. უკანასკნელის ნაცელად ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის ელჩმა გერმანიაში.[2]

ამ საკითხთან დაკავშირებით დემოკრატიული საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის მემუარში „დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-22 წ.წ.“—აღნიშნულია, რომ ეს ხელშეკრულება არ უარყოფდა ფორმალურად საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე დროს უკანვე მიჰქონდა მის მიერ ეროვნული მთავრობის აღიარება, რის საფუძველზეც, ცოტა მოგვიანებით, დემოკრატიული საქართველოს საელჩო ბერლინში თავისთავად გაუქმდა კიდეც.

მაშასადამე, შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ (მსოფლიო ომში დამარცხების სასტიკმა შედეგებმა) ერთბაშად შეცვალა გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსი და რუსეთთან დაახლოება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სასიცოცხლო საკითხად აქცია, რაც ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით დაგვირგვინდა კიდეც.

ამით კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილმა გერმანიამ, რომელმაც პირველმა ცნო ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობა და გაგზავნა თბილისს თავისი სრულუფლებიანი ელჩი, ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყო საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ტენდენციებს საქართველოში.

მაშ, იყო საერთაშორისო კონფერენციები (კანნა, გენუა, ჰააგა და

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1333 გვ: 27-28-29.

[2] იქვე.

ლოზანა), და ქართული საკითხისთვისაც ზრუნვა იყო; იყო ერთა ლიგა და თანადგომა საერთაშორისო დემოკრატიისა, მაგრამ მხოლოდ თანაგრძნობა და დიპლომატიური რეზერვების მოპოვება, მხოლოდ ისტორიის უფსკრულისათვის და სხვა არაფერი.

რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში (?!).

თავი მეოთხე

პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმება— საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი

მაშ, ხალხს, სოფლად თუ ქალაქად, უკვე აქტიურად აღემაღლებინა ხმა, უკვე იარაღიც აეღო ხელში, კვლავ უცხო უღლის ქვეშ მოქცეული ქვეყნის გადასარჩენად; ხოლო ხალხის წინამძღოლობის პრეტენზიების მქონე ყოველ პარტიას ჯერ თითქოს არც ხელი გამოეღო, არც ხმა ამოეღო. ჯერ ისინი მხოლოდ ერთმანეთის გმობა-კიცხვით იყენენ ვართულნი.

ამ შემთხვევაში მთავარი მაგისტრალი ამ ურთიერთ „პარტიული ლანძღვა-გინებისა" იკვეთებოდა ლტოლვილ-ემიგრირებულთა და დარჩენილ-ოკუპირებულთა შორის.

დარჩენილები გაქცეულებს ბრალს სდებდნენ მათი ხელისუფლების სათავეში ყოფნისას უჭკუო პოლიტიკის წარმოებაში, რაის წყალობითაც საქართველო ასე დამარცხდა.

ხოლო, თავის მხრივ, გაქცეული ნამთავრობალი მენშევიკები სხვა პარტიების ოპოზიციურ შეურიგებლობას აბრალებდნენ თავის მარცხსაც და ქვეყნის დაღუპვასაც.

მიუხედავად წინასწარი ასეთი რადიკალური აზრობრივი დაპირისპირებისა, ცალკეულად ყველა პარტიის პოზიცია ერთნაირი იყო შეთანხმებისა და შეერთების აუცილებლობაში. მაშასადამე, მოლაპარაკება გარდაუვალად უნდა მომხდარიყო და დაიწყო კიდეც საამისო შეხვედრები პარტიულ წარმომადგენლობათა შორის.

და დაიწყო კიდევაც ეს „ინტერპარტიული შეხვედრები", 1921 წლის აპრილში.

მოლაპარაკების პირველ ეტაპზე მონაწილეობას არ იღებდნენ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტები, მათი პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტი, ეგრეთ წოდებული თედო ღლონტის ჯგუფი (მოგვიანებით გაფორმდა, როგორც „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია" (და არც სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია.

პარტიათა წარმომადგენლობის პირველსავე შეხვედრებიდან სადავო აღმოჩნდა მომავალი თანამშრომლობის ფორმა, ანუ ის, თუ რა სახე უნდა მისცემოდა პარტიათა შემდგომ კოორდინაციას, აგრეთვე

მისი მოღვაწეობის შინაარსი, კერძოდ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სასურველად მიაჩნიად მხოლოდ ინტერპარტიული საინფორმაციო კავშირი[1], რისთვისაც პარტიათა დელეგატებს უნდა შეედგინათ ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო, რომლის მეშვეობითაც პარტიები ერთმანეთის მოქმედების კურსში იქნებოდნენ. ინტერპარტიული ბიუროს არსებობა საჭიროდ მიაჩნდათ, აგრეთვე, ქვეყნის ყველა რეგიონში არსებული სიტუაციის ზუსტი ინფორმაციის ფლობის თვალსაზრისით.

ეამოდიოდა რა საერთო მოქმედების ნიადაგის ტრადიციული პრინციპიდან, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას სასურველად მიაჩნდა არა მხოლოდ საინფორმაციო, არამედ საერთო შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა, რისთვისაც პარტიათა წარმომადგენლებს სთავაზობდა: საინფორმაციო ბიუროს გარდა დაარსებულიყო რაიმე ინტერპარტიული ხელმძღვანელი ცენტრი, რომლის დირექტივებიც სავალდებულო იქნებოდა პოლიტიკურ სფეროში ყველასათვის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იღვაწებდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.[2]

დაახლოებით იდენტური აზრით (მცირეოდენი ინტერპრეტაციით) გამოვიდნენ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები, ივიეე „სხიველები", რომელთაც მიაჩნდათ, რომ ინტერპარტიული თანამშრომლობისათვის, უწინარეს ყოვლისა, სასურველი და აუცილებელი იყო საფუძველი დადებოდა საინფორმაციო ბიუროს, ხოლო ურთიერთობის შემდგომ პროცესში თანდათან ეაფართოებულიყო ეს კონტაქტი საერთო მოქმედების შინაარსის მხრივ[3] პარტიათა წარმომადგენლობით თათბირზე განსაკუთრებით მწვავე კამათს იწვეედა სოციალ-დემოკრატთა და ეროვნულ-დემოკრატთა ეანსხვავებული შეხედულებანი საქართველოს მომავალი მთავრობის შესახებ. | საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატები, როგორც ზემოთაც ითქვა, ვარაუდობდნენ, აღედეინათ საზღვარგარეთ ემიგრი-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, „ეანო ქარცივაძის მოხსენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და წევრებს პარიზში. საიდუმლოდ", №1302, გვ.8-9.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1302, გვ.8-9.

[3] იქვე.

რებული მთავრობა და მაშინდელი დამფუძნებელი კრება; ეროვნულ-დემოკრატები კი დაჟინებით მოითხოვდნენ დემოკრატიული საქართველოს მომავალი მთავრობა შემდგარიყო სოციალისტებისა და არასოციალისტების თანაბარი წარმომადგენლობით, ასევე კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება ძველი შემადგენლობით[1], და ინტერპარტიული თათბირის წინაშე შემდგომი თანამშრომლობისათვის აუცილებელ პირობად წამოაყენეს: მომხდარიყო „პარტიათა შეთანხმება იმაზედ, რომ აღდგენილ საქართველოში არ იქნებოდა ნაწარმოები ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა მენშევიკების პარტია დამარცხებამდე და რომელმაც განუმზადა ქვეყანას ის სამარცხვინო კრახი".[2] ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას საჭიროდ მიაჩნდა: ჯერ განზრახული ინტერპარტიული ცენტრის, ხოლო შემდგომ დროებითი მთავრობის ფორმირება, რომელიც განაგებდა საქმეებს ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე.[3]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისის გამო ეს მოლაპარაკება თითქმის ერთი წელიწადი გაჭიანურდა.

ზემოთ დასახელებული საარქივო დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ მოლაპარაკების პროცესში მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც შემდეგნაირად განზოგადდა: „თვითეული კონკრეტული შემთხვევისათვის ცალკე მოეხდინათ პარტიების ერთმანეთთან შეთანხმება საერთო ნაბიჯების გადასადგმელად,"[4] მაგრამ ამ დადგენილებას საერთოდ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. აგრეთვე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინადადება, რომ დამოუკიდებლობის ნიადაგზე საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს შეემუშავებინათ და საქართველოს, რუსეთის და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ცენტრებისათვის გაეცნოთ პარტიათა საერთო მემორანდუმი—უარყოფილ იქნა. ასევე უნაყოფო გამოდგა დადგენილება საერთო საინფორმაციო ბიუროს დაარსების შესახებ, ვინაიდან მოლაპარაკების დასრულებამდე ასეთი ბიურო არც ერთხელ არ შეკრებილა.

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ.9-10.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1302, გვ.9.

[3] იქვე; იხ. აგრეთვე სუკის არქივი №8, გვ.10.

[4] იქვე, №1302, გვ.9.

აღსანიშნავია, რომ პარტიათა წარმომადგენლობის თათბირის პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებანი საკუთრივ ცალკეულ პარტიათა შორის. ამ მოლაპარაკების დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წარუდგინა ყველა სხვა დანარჩენს შეთანხმების პლატფორმა, რომელიც შედგება შემდეგი სამი მუხლისაგან: „1. დაარსდეს ერთი ინტერპარტიული ცენტრი, რომელიც უმაღლესი ხელმძღვანელი იქნება პოლიტიკური მუშაობისა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ამ ცენტრსვე დაეკალოს დროებითი მთავრობის ფუნქციები, ვიდრე საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პარლამენტი შეიკრიბებოდეს.

2. ამ ცენტრის შედგენა მოხდეს პარტიათა პარიტეტის საფუძველზე.

3. ამ ცენტრს, როგორც დროებით მთავრობას, დაეკალოს დაიცვას შინაური წესრიგი რესპუბლიკაში, სახელმწიფო საზღვრები, მოახდინოს თავისუფალი არჩევნები სამი თვის განმავლობაში ბოლშევიკების გაუქმების შემდეგ და გადასცეს მთელი ხელისუფლება პარლამენტს“.[1]

სოციალ-დემოკრატების ამ ახალ ინიციატივას პაექრობის ახალი რაუნდი მოჰყვა და თანამშრომლობისათვის დაწყებული ინტერპარტიული მოლაპარაკება ინტერპარტიულ დავა-პაექრობად გადაიქცა, შესახებ იმისა, თუ რა სახე უნდა მიეღო საქართველოს კოორდინირებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას ბოლშევიკების დამარცხებიდან და განდევნიდან ვიდრე ახალი პარლამენტის მოწვევამდე.

ყოფილმა მმართველმა პარტიამ კვლავ წამოაყენა ეგრეთ წოდებული რესტავრაციის პროექტი, რომლის მიღების აუცილებლობა მან ახსნა და დაასაბუთა საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების პოლიტიკური აქტის სამართლებრივი ანალიზიდან და შეფასებებიდან გამომდინარე ლოგიკური მოსაზრებით. კერძოდ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თვლიდა და სამართლიანადაც, რომ: „1. საქართველოში რევოლუცია არ ყოფილა, მხოლოდ მოხდა მისი დაპყრობა გარეშე ძალის მიერ“.[2] გამომდინარე აქედან „ყოველი დაწესებულებანი არ მოქმედებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ფუნქციები შეჩერებულია გარეშე ძალის გავლენის მიხედვით.

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1302, გვ. 10-11.

[2] იქვე, №1302, გვ. 11-12

დაეცემა თუ არა ეს ძალა, უნდა ამოქმედდეს ეს დაწესებულებანიც... თუ ამ სახით არ მოხდა რესტავრაცია, ეს იქნება იმის დადასტურება, თითქოს საქართველოში გადატრიალება მომხდარიყოს შინაური ძალების მიერ, და 2. საქართველოს მხარს უჭერენ ევროპის ქვეყნები, როგორც განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური სისტემის ქვეყანას, რომელიც უცხოელების თვალში განსაკუთრებულია ჟორდანიას მთავრობით. ამიტომ ახალი მთავრობა უეჭველად ჟორდანიას მთავრობა უნდა იყოს. ყველა სხვაგვარი გადაწყვეტილება მთავრობის საკითხისა გამოიწვევს ამ თანაგრძნობის და დახმარების დაკარგვას ევროპაში, რომელიც მოპოვებული აქვს ჟორდანიას მთავრობის მოქმედებით"[1]

რესტავრაციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამგვარ გააზრებას კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიეს ყველა სხვა პარტიებმა. მეტადრე მაშინ, როდესაც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მოღვაწეობას დამფუძნებელი კრების ოპოზიციურმა პარტიებმა უკვე გაუკეთეს შეფასება, რაც გამოიხატა 1921 წლის 16 მარტს ბათუმში გამართული დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარდგენილი დოკუმენტით, ეერეთ წოდებული უნდობლობის აქტით. კერძოდ, საქართველოში გამართულმა დამფუძნებელი კრების უკანასკნელმა სხდომამ მოისმინა რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის, მისი შედეგებისა და შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, გამოიტანა შესაბამისი გადაწყვეტილებანი. ყურადღებას იპყრობს სწორედ ამ სხდომაზე მიღებული ის დოკუმენტი, სადაც ოპოზიციურმა პარტიებმა ცალსახა შეფასება მისცეს მმართველი პარტიისა და მთავრობის მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვისათვის გაწეულ ღონისძიებებს. დოკუმენტში, კერძოდ, ნათქვამია:

„1. მთავრობა სრულად მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყნის დაცვისათვის, თუმცა იცოდა, რომ მტერი საქართველოზე თავდასხმას ამზადებდა და თვითონაც არა ერთხელ განუცხადებია, რომ რესპუბლიკის დასაცავად ყველა სათანადო ზომა მიღებული აქვს.

2. მთავრობამ ვერ შექმნა რესპუბლიკის დასაცავად სამხედრო ძალა და მრავალი დაუდევრობისა და შეცდომის გამო, სრულად ვერ გამოიყენა თავდაცვისათვის ის ძალები, რომელიც მის განკარგულებაში იყო.

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფილმები, №1002, გვ. 12

3. ომის წარმოების დროსაც მთავრობამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და შეიქმნა პანიკისა და არეულობის წყაროდ.[1]

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ თუმცა ქართველმა ხალხმა ყოველივე მიიტანა სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე, დღეანდელმა მთავრობამ მაინც ვერ შესძლო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ხელმძღვანელობა და უცხადებს მას უნდობლობას".

ხელს აწერენ: სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა („სხიველები") და დემოკრატიული პარტიების საპარლამენტო ფრაქციები. ცხადია, ამ დოკუმენტის შემდეგ გასაგებია პარტიათა უარყოფითი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ რესტავრაციის თაობაზე მოლაპარაკების დროს წამოყენებული წინადადების მიმართ.

კოორდინაციისათვის საჭირო გახდა რაიმე კომპრომისის გამონახვა ისეთ საფუძველზე, რომელიც რესტავრაციის სადავო და ამავე დროს მწვავე საკითხს რამდენადმე ღიად დატოვებდა და თითოეულ პარტიას შესაძლებლობას მისცემდა საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოედგინა შეთანხმების პროექტი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ივალდებულა, თავისი პარტიის უკვე კომპრომისული პოზიცია რამდენიმე დღეში მიეწოდებინა სხვა პარტიებისათვის, რაც საბოლოოდ ცნობილი გახდა 1921 წლის 21 აგვისტოს. სოციალ-დემოკრატების „ახალი პოზიცია" იგივე შინაარსისა იყო, ერთადერთის ცვლილებით, რომ „წინანდელი მთავრობის ნაცვლად ჟორდანია კოალიციის საფუძველზე აღგენს ახალ კაბინეტს"[2]. პარტიათა წარმომადგენლობამ ეს წინადადება მიიღო და ამით დასრულდა ინტერპარტიული მოლაპარაკების პირველი ეტაპი. თუმცა ამის შემდგომ პოლიტიკური პარტიები კვლავ დაქსაქსულად მოქმედებდნენ.

დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ინტერპარტიული მოლაპარაკების მთელ პერიოდში საერთო შეთანხმების და თანამშრომლობის პოლიტიკური ინიციატივებით გამოდიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია... აღსანიშნავია, რომ მისი მოქმედების პოლიტიკურ გეზს ამ პერიოდში, გარდა საკუთარი

---

[1] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", № 35, 12. აპრილი, 1921.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1302, გვ. 12.

პარტიული ხელმძღვანელი ცენტრისა, განსაზღვრაედა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია და ემიგრირებული მთავრობა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ საქართველოსთან და, პირიქით — „კონსტანტინეპოლის პოლიტიკური კომისიისა"[1] და საგანგებო ემისრების მეშვეობით.

ურთიერთკონტაქტებისა და ხელმძღვანელი პოლიტიკური გეზის ზემოაღნიშნულ თეზისთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივში დაცული რიგი ეპისტოლური ჟანრის დოკუმენტები; მათ შორის, ნოე ჟორდანიას 1921 წლის 12 ნოემბრით დათარიღებული წერილი ნოე ხომერიკისა და ვალიკო ჯუღელისადმი, რომელი წერილიც მთლიანად, სტილის სრული დაცვით, უკვე ზემოთ მოვიტანეთ, ამ შრომის საერთო კომპოზიციის შესაბამის ადგილზე.

ინტერპარტიული მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სრულიად საქართველოს არალეგალურმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც გაიმართა 1922 წლის 5 თებერვალს.[2] კონფერენციამ დაადასტურა ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მოქმედების იმპერიალისტური შინაარსი; განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საქართველოში პოლიტიკური მუშაობის გაფართოება-გაძლიერებას და ორგანიზაციების განმტკიცების საკითხს; კონფერენციამ პარტიას მთავარ მიზნად დაუსახა, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა, რისთვისაც საჭიროდ ცნო, საქართველოს პოლიტიკური პარტიების შეთანხმებული მოქმედება.[3]

ქვეყნის დამოუკიდებლობის პოზიციაზე მდგომი პარტიები საბოლოოდ რწმუნდებიან დაახლოების, შეერთებისა და ურთიერთთანამშრომლობის გარდაუვალ საჭიროებაში, რამაც საფუძველი შეუქმნა კიდეც მოლაპარაკებათა ახალი ეტაპის დაწყებას და რომელიც 1922 წლის დამდეგიდან კვლავ განახლდა შეთანხმების ისეთი პირობების გამო-

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1048, გვ. 115-116.

[2] იქვე, „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1921-22 წლების მუშაობის ანგარიში". №1331, გვ. 20/2/-19/3/ (გვერდები ასეა დანომრილი. – ნ.კ.) იხ. აგრეთვე სუკის არქივი, №8, გვ. 10.

[3] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1331, გვ. 20 (2). 19 (3). იხ. აგრეთვე სუკის არქივი, №8, გვ. 10.

საძებნად, რომელიც ერთნაირად ხელსაყრელი და მოსაწონის იქნებოდა მოლაპარაკების მონაწილე ყველა პარტიისათვის.

კიდეე ნახევარი წელიწადი პარტიათ შორის შეხლა-შემოხლისა, კამათისა, აზრთა მიმოქცევისა და ბოლოს, როგორც იქნა, 1922 წლის მაისის დამდეგს, შეთანხმება შედგა.

შედგა და შეიქმნა პარტიათა გამაერთიანებელი, ანუ „ინტერპარტიული" („პარტიათშორისი") უმაღლესი ორგანო, რომელიც ისტორიაში შევა სახელწოდებით—„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", ანუ ამ ორი უკანასკნელი სიტყვის კომპოზიტით — „დამკომი", და კიდეე მესამე სახელწოდებითი ვარიაციით — „პარიტეტული კომიტეტი".

ეს ახალი, „ზეპარტიული" ორგანიზაცია ეფუძნება ხელშეკრულებას, რომელიც შედგება პრეამბულისა და თერთმეტი მუხლისაგან და ზუსტად გამოხატავს არა მარტო ხელშეკრულების მიზანს, არამედ ხელისმომწერ პარტიათა ერთობლივი პოლიტიკურ-პრაქტიკული მოქმედების აზრს როგორც დამოუკიდებლობის მიღწევამდე, ისე მის შემდგომ. დოკუმენტი იძლევა, აგრეთვე თავის შეფასებებსა და დამოკიდებულებას (მათ შორის, პოლიტიკური და ფინანსური ანგარიშვალდებულებით) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობისადმი და სხვ. დოკუმენტის დიდი მნიშვნელობისა გამო, და იმასთან დაკავშირებით, რომ იგი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, ვიყენებთ მას მთლიანად:

„საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული — ვდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

1. დაარსდეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისაგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს განსათავისუფლებლად მიმართული მთელი მუშაობისა.

შენიშვნა: კომიტეტში ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს თავის მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

3. დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ სდგამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ახალი ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლად.

4. მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნივთიერი საშვალებანი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის საწარმოებლად იმ ქონებიდან და თანხებიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია.

შენიშვნა: მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთ ფინანსური ანგარიშ-ვალდებულება და კონტროლი.

5. გარდამავალ ხანაში მთავრობის ფუნქციების შესრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე, ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენლებისგან იმ აუცილებელი პირობით, რომ არც ერთ პარტიას მმართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ქონდეს.

6. დროებითი მმართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის კონსტიტუციას აღდგენილად აცხადებს.

7. ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებითი მმართველობის პრინციპით და პროპორციით.

განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმსა და მის ოლქში, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში) ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიათ და გადასწყდება დროებითი მმართველობის მიერ.

შენიშვნა: დროებით მართველობას უფლება აქვს გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილება საერთოდ ადგილობრივ ხელისუფლების შედგენის შესახებ.

8. დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველ შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მმართველობას.

9. მთავრობა ჩამოსვლისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მმართველობა.

ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება აღვენს კოალიციონურ მთავრობას იმავე პრინციპით, როგორც დროებითი მმართველობა.

10. დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო, საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევად, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება.

11. არა უადრეს ორი თვისა, დამფუძნებელი კრების დაშლის შემდეგ, ან არა უგვიანეს ოთხი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები".[1]

პარტიათა ეს ხელშეკრულება, ტექსტი და წერილი, ახლადშექმნილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით, ესერ იოსებ გობეჩიას ხელით გაეგზავნა პარიზს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ერთ ვარემოებას. მთელ რიგ ემიგრანტულ მემუარულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის სხვადასხვა თარიღია დასახელებული. ასე, მაგალითად, სოლომონ ზალდასტანიშვილი აღნიშნავს: „1921 წლის შემოდგომას საქართველოში სამოქმედოდ რუსების წინააღმდეგ ყველა პარტიები გაერთიანდნენ და ორგანიზაციული ფორმა მიიღეს. დაარსდა გაერთიანებული ორგანო „დამკომი"[2], კონსტანტინე ანდრონიკაშვილი ასახელებს 1922 წლის აგვისტოს,[3] და სხვა, რაც უკანასკნელ ხანს 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში განმეორდა კიდეც.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი 1922 წლის მაისის დასაწყისში, პარტიათა შეთანხმების ხელისმოწერისთანავე დაარსდა და იმთავითვე შეუდგა მოღვაწეობას, თავდაპირველად პოლიტიკური მიმართულებით, რასაც ადასტურებს მრავალი საარქივო დოკუმენტი.

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1049, გვ. 14-13. იხ. აგრეთვე, სუკის არქივი, №8, გვ. 10-11.

[2] კარლო ინასარიძე, „პატარა „ოქროს ხანა". საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-21. რადიოდოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984. ს. ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის აჯანყება", მიუნხენი, 1956 წელი, გვ. 541.

[3] იხ. ჟურნ. „ბრძოლა", №14, აგვისტო, 1926, პარიზი.

მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში დაცული მასალები, სადაც კერძოდ აღნიშნულია: „ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან პარტიტეტულ საწყისებზე ვირჩევთ კომიტეტს, რომელსაც ეწოდება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“.[1] „ზემოთ დასახელებულმა ხუთმა პარტიამ მხოლოდ შარშან მაისში მიაღწია შეთანხმებას და დააარსა დამოუკიდებლობის კომიტეტი“.[2] და ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივში დაცულია, აგრეთვე, ახლად შექმნილი დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ საქართველოს ემიგრირებული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილი წერილი, დათარიღებული 1922 წლის 5 მაისით.[3] აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით გაგზავნილი კიდევ ერთი წერილი, რომლითაც ხელისმომწერნი, და ფაქტობრივად დამკომის პირველი ხელმძღვანელები (ეგეიტა ფაღავა და იასონ ჯავახიშვილი), იუწყებიან: „როგორც იცით, დამოუკიდებლობის კომიტეტი აპრილის უკანასკნელი რიცხვებიდან შეუდგა საქართველოში პოლიტიკური მოქმედების საერთო ხელმძღვანელობას...“[4] და სხვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და შეთანხმებას ხელი მოაწერეს პოლიტიკურ პარტიათა შემდეგმა წარმომადგენლებმა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან—თავდაპირველად ეგეიტა ფაღავამ, ხოლო შემდგომ ნიკოლოზ (კოლია) ქარცივაძემ; ეროვნულ-დემოკრატებისაგან—იასონ ჯავახიშვილმა; „სხვიელებისაგან“—მუხრან ხოჯოლავამ; სოციალისტ-ფედერალისტებისაგან—გრიგოლ რცხილაძემ; ესერებისაგან—იოსებ გობეჩიამ.[5]

კომიტეტის შემადგენლობაში მოგვიანებით მოხდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზემოთ დასახელებული პირები შეცვალა კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილმა[6].

---

[1] სუკის არქივი, № 8, გვ. 12, იასონ ჯავახიშვილის ჩვენებიდან.

[2] სუკის არქივი, №23, გვ. 155, ნ. ქარცივაძის ჩვენებიდან.

[3] იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1049, გვ. 11-10. (დოკუმენტი ამგვარად არის დანომრილი, ნ. კ.)

[4] იქვე, №1319, გვ. 1.

[5] სუკის არქივი, №8, გვ. 11, აგრეთვე, №63, გვ. 41.

[6] სუკის არქივი, № 8, გვ. 11-12; აგრეთვე, № 63, გვ. 41.

1922 წლის დეკემბერში გარდაიცვალა მუხრან ხოჭოლავა და მის ნაცვლად დამოუკიდებლობის კომიტეტში შეეიდა „სხიველი" ნიკიფორე იმნაიშვილი (იმნაიშვილი ნიკიფორე ბესარიონის ძე, 35 წლის; გლეხის ოჯახიდან; ოზურგეთის მაზრის ქ. ლანჩხუთიდან; უმაღლესი განათლებით, პროფესიით პედაგოგი, უცოლშვილო, 1904 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშეეიკები) წევრი; 1920 წლიდან სხიველი; პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი; ცხოვრობდა არალეგალურად, სხიველთა ცენტრალური კომიტეტის წევრი),[1] რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ უკანვე იქნა ვაწვეული მისი პარტიის მიერ, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს მოეეიანებით კომიტეტში წარმოადგენდნენ: გრიგოლ გიორგაძე (ვიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე, 44 წლის, სასულიერო წოდების, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ადვოკატი, ცოლშვილიანი, ნასამართლეი ცარიზმის დროს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშეეიკები) წევრი 1912 წლიდან, 1922 წლის თებერვლიდან სხიველი. ამიერკავკასიის სეიმის, ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის მთავრობის ყოფილი წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი; დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი; სხიველთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე)[2] და კირილე ნინიძე (ნინიძე კირილე იოსების ძე, 44 წლის, გლეხის ოჯახიდან, ოზურგეთის მაზრის სოფელ ასკანიდან, უმაღლესი ეანათლებით, პროფესიით ადვოკატი, ცოლშვილიანი, ნასამართლეი ცარიზმის დროს; 1903 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშეეიკები) წევრი. 1920 წლიდან სხიველი. დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი. ცხოვრობდა ლეგალურად. სხიველთა ცენტრალური კომიტეტის წევრი).[3]

სოციალისტ-ფედერალისტებისაგან თავდაპირველად წარმოდგენილი გრიგოლ რცხილაძე (რცხილაძე გრიგოლ სიმონის ძე, 48 წლის, აზნაურის ოჯახიდან; ქალაქ თბილისიდან, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ადვოკატი, ნასამართლეი ცარიზმის დროს, დაპატიმრებული იყო საქართველოს ჩეკას მიერ; სოციალისტ-ფედერალისტთა

---

[1] სუკის არქივი, № 8, გვ. 7, 11-12; არქივი №63, გვ. 41.

[2] სუკის არქივი, №8, გვ. 11-12.

[3] იქვე, გვ. 7.

პარტიის წევრი 1905 წლიდან; ცხოვრობდა ლეგალურად; საქართველოს სსრ მიწათმოქმედების კომისარიატის იურისკონსულტი; სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტისა და პარიტეტული კომიტეტის წევრი 1922 და 23 წწ.);[1] შეცვალა სამსონ დადიანმა (დადიანი სამსონ პლატონის ძე, 39 წლის; თავადის ოჯახიდან, ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურიდან; უმაღლესი განათლებით, ადვოკატ-იურისტი, ცოლშვილიანი, რეპრესირებული ცარიზმის დროს; დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი; ორგზის დააპატიმრა საქართველოს ჩეკამ; ცხოვრობდა ლეგალურად; კომუნალური ბანკის იურისკონსულტი; სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი; პარიტეტული კომიტეტის წევრი 1924 წელს).[2]

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, ვარკვეულ ინტერესს იწვევს დამოუკიდებლობის კომიტეტში წარმომადგენლის დანიშვნის პრინციპი და მექანიზმი. ამ საკითხს, მრავალ დოკუმენტთა შორის, შედარებით სრულყოფილად სცემს პასუხს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტი—„ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძის 1923 წლის 4 აპრილის ჩვენება"[3], სადაც, კერძოდ, ნათქვამია: „დამოუკიდებლობის კომიტეტში წარმომადგენლის დანიშვნის წესს ყოველი პარტია თვითონ გამოიმუშავებდა. როგორც ვიცი, ეს წესი სხვადასხვა პარტიას სხვადასხვანაირი ჰქონდა: ზოგიერთი პარტია ამას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოწყობილი ფარული კენჭისყრით აკეთებდა, ასე რომ, მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს შეეძლო ცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული. სხვები პრეზიდიუმის მეშვეობით გაატარებდნენ დანიშვნას. ყოველ შემთხვევაში შეიძლება იმის თქმა, რომ ამა თუ იმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმეტესობას არ უნდა ცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული კომიტეტის წევრად"[4].

დამოუკიდებლობის კომიტეტში, ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად,[5] ყოველი პარტიიდან თითო წევრი შედიოდა, სულ ერთია,

---

[1] სუკის არქივი № 8, გვ.11-12.

[2] იქვე.

[3] სუკის არქივი № 23, გვ. 7.

[4] იქვე.

[5] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1049, გვ. 14.

პირველ რიგში მარცხნიდან მეორე ბოგიტა ფალავა

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ნიკოლოზ კარციკაძე

მიხეილ იუზნელი

გიორგი ჯინორია

კოტე ანდრონიკაშვილი

კოტე (კონსტანტინე) ანდრონიკაშვილი

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ჭაჭუცა ჩოლოყაშვილი
(პარიზი)

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

როგორიც უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ პარტიის ხვედრითი წონა, და სწორედ აქედან გამომდინარეობდა დამოუკიდებლობის კომიტეტის, როგორც პარტიათა წარმომადგენლობითი ორგანოს პარიტეტული ხასიათი. ამის დამადასტურებელია სწორედ ის ფაქტი, რომ კომიტეტში ხმების ერთნაირი რაოდენობით იყენენ წარმოდგენილნი, და მაშასადამე ერთნაირი პოლიტიკური უფლებებითა და გავლენით სარგებლობდნენ, მაგალითად, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც თავის რიგებში 80 ათასამდე წევრს ითვლიდა, ისე დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა—„სხიველთა" პარტია, რომელიც რიცხოვნობის თვალსაზრისით უაღრესად შეზღუდული იყო და თითქმის არავითარი პოლიტიკური გავლენა არ ჰქონდა საქართველოში. დამოუკიდებლობის კომიტეტში ყოველი განსახილველი საკითხის გადაწყვეტა საერთო შეთანხმების გზით იყო შესაძლებელი—„რომ ამ საკითხზე ყველა პარტია თანახმაა, კომიტეტი აღნიშნავდა შეთანხმების ფაქტს და ამას ყველა პარტიას აუწყებდა".[1]

კომიტეტს თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. სოციალ-დემოკრატების ამ „პრივილეგიის" გამო, საარქივო წყაროებში, მემუარულ, პოლიტიკურ და პუბლიცისტურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, და მათგან, ყოველი პოლიტიკური მოღვაწე და, მათ შორის მკვლევარიც, თავის სუბიექტურ აზრს გამოხატავს; მაგრამ ფაქტია, რომ იგი გადაწყდა პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებით და მეორეც, კომიტეტის სხდომებზე თავმჯდომარეობის გარდა, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს სხვა უპირატესობა ან სხვა რაიმე უფლება არ ჰქონია.[2]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს მისი არსებობის მანძილზე თავმჯდომარეობდნენ: თავდაპირველად, დროის მცირე მონაკვეთში—ეოვიტა (გიორგი) ფაღავა[3] („30წლამდე. სახელმწიფო საათბიროს წევრის ეეგენი ვეეეჭკორის უახლოესი ნათესავი, რომლის გავლენის ქვეშ იზრდებოდა კიდეც. ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში იგი შედის ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციაში და თა-

---

[1] სუკის არქივი, № 23, გვ. 8.

[2] სუკის არქივი, № 23, გვ. 7. აგრეთვე არქივი № 8, გვ. 12.

[3] სუკის არქივი № 8, გვ. 11.

ვადვე ითელება მარქსისტული წრეების ხელმძღვანელად... გიმნაზიაში სწავლის დროს თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში „მერცხალი“... ირიცხება მოსკოვის უნივერსიტეტში. დააპატიმრეს 1916 წლის დასასრულს... ათავისუფლებენ თებერვლის რევოლუციის წინ. ეს მან პირველმა აცნობა ქართველ ხალხს და ამხანაგებს სასიხარულო ცნობა თვითმპყრობელობის დამხობის შესახებ ეონებამახვილურად შედგენილი შიფრით, ქართველი სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ორგანოში („აზრი“) გამოგზავნილი „სამგლოვიარო“—დეპეშა-ვანცხადებით: „მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ნათესავებსა და ნაცნობებს“... საქართველოში ბრუნდება დროებითი მთავრობის კომისართან, დეპუტატ აკაკი ჩხენკელთან ერთად.... მას ირჩევენ დამფუძნებელი კრების წევრად... იგი იყო ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი (მაშინ 21 წლამდე); ამასთან ერთად: მდიენობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველ ისტორიულ სხდომას... ითვლებოდა სახალხო გვარდიის შტაბის წევრად... საქართველოს დაპყრობის შემდეგ გოგიტა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გასცა მოწოდება: „უკანვე, შინ, ბრძოლის განსაგრძობად სხვა მეთოდებით და სხვა საშუალებებით!“... მალე დააპატიმრეს; რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო... გამოჯანმრთელებისთანავე, 1921 წელსვე გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე... იგი პარტიის ცკ-ის და „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრი იყო...“[1]

შემდგომ გოგიტა ფაღაევა შეცვალა ნიკოლოზ ქარციევაძემ[2] (ქარციევაძე ნიკოლოზ იოთამის ძე. 43 წლის. აზნაური. ოზურგეთის მაზრიდან. უმაღლესი განათლებით—იურისტი (დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი ჟენევაში და ექსტერნად—კიევის უნივერსიტეტი), ცოლშვილიანი, ნასამართლევი ცარიზმის დროს პოლიტიკური საქმიანობის გამო; 1904 წლიდან სდმპ (მენშევიკების) წევრი, პარტიულ მუშაობაში ჯერ ბოლშევიკებთან მონაწილეობდა, შემდეგ „ალიონის“ ჯგუფში;

---

[1] „ვინ მოკლეს ბოლშევიკმა დამპყრობლებმა საქართველოში (ნეკროლოგიური შენიშვნები)“, რუსულ ენაზე—გვ. 8-9-10. „სუზდალსკაია ისკრა“, №3, I.X.1924.

შენიშვნა: ეს დოკუმენტი სუზდალის გუბერნიაში გადასახლების დროს მოამზადა ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ. იგი დაცულია მისი ვაჟის თეიმურაზ ლორთქიფანიძის არქივში. დოკუმენტი სარგებლობისათვის გადმომცა პროფესორმა ლევან თოიძემ, რისთვისაც მას მადლობას ვწირავ.

[2] სუკის არქივი №8, გვ. 11.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ამიერკავკასიის კომისარიატში; საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი; ბოლო დროს თბილისის საერობო სამმართველოს თავმჯდომარე. 1923 წლიდან ცხოვრობდა არალეგალურად, დაპატიმრებამდე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი...).[1] იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1922 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში შეიყვანეს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრად, ხოლო შემდგომ (იმავე თვეში) აირჩიეს თავმჯდომარედ, რომელიც დაპატიმრებამდე (1923 წლის 16 მარტი), უფრო ზუსტად კი—10-12 თებერვალამდე (ვინაიდან ამ დროიდან იმალებოდა და არავითარ მუშაობას არ ეწეოდა) ხელმძღვანელობდა დამოუკიდებლობის კომიტეტს.[2]

ნიკოლოზ ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს არსებობის ბოლომდე თავმჯდომარეობდა კონსტანტინე ანდრონიკაშვილი[3] (ანდრონიკაშვილი კონსტანტინე ემანუელის ძე, 49 წლისა, ყოფილი თავადი, სიღნაღის მაზრის სოფელ ქორეთიდან, უმაღლესი განათლებით, პროფესიით პედაგოგ-ჟურნალისტი, დაოჯახებული, ნასამართლევი ცარიზმის დროს პოლიტიკური საქმიანობის გამო; სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1902 წლიდან; დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი; სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი; ცხოვრობდა არალეგალურად. დაპატიმრებამდე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე...).[4]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივანი დაარსებიდან, ვიდრე ლიკვიდაციამდე იყო იასონ ჯავახიშვილი[5] (ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე, 37 წლის, თავადი; ბორის მაზრის სოფელ ძევერიდან. უმაღლესი განათლებით, პროფესიით იურისტი, ადვოკატი; უცოლშვილო, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან. 1921 წლის კონფერენციაზე შეიყვა

---

[1] სუკის არქივი № 8, გვ. 2; სუკის არქივი № 23, გვ. 1.
[2] სუკის არქივი № 23, გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 12.
[4] იქვე, გვ. 1.
[5] სუკის არქივი № 8, გვ. 5

ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებს არალეგალურ მუშაობაში, როგორც პარტიის ცკ-ს პრეზიდიუმისა და პარიტეტული კომიტეტის წევრი...)[1]. ამასთან იგი ბოლომდე შეუცვლელად წარმოადგენდა დამკომში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

---

[1] იქვე; აგრეთვე არქივი №41—„სია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის აქტიური წევრებისა", რუს. ენაზე, გვ. 5.

თავი მეხუთე

პოლიტიკური პარტიები ემიგრაციაში და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი

როგორც ზემოთ ითქვა, ახლად დაარსებული და ორგანიზებული პარიტეტული კომიტეტის საწესდებო ტექსტი და წერილი, ესერ იოსებ გობეჩაიას ხელით გაეგზავნა ნოე ჟორდანიას პარიზში.

ხოლო, მანამდე, იქაც, საზღვარგარეთ ლტოლვილ ქართველთა შორის მიმდინარეობდა შესაბამისი კრებები და თათბირები.

1922 წლის თებერვალ-მარტში, პარიზში გაიმართა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა სათანადო მანდატებით აღჭურვილ წარმომადგენელთა კონფერენცია,[1] რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დელეგატი-წარმომადგენლები: კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, პენ. ჩხიკვიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გრ. ვეშაპელი, ლ. ჯაფარიძე, სვ. მდივანი, კ. კობახიძე, აკ. პაპავა[2].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინადადებით, კონფერენციას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ არასოციალისტურ ორგანიზაციათა საზღვარგარეთული კომიტეტის წარმომადგენლები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ექვთიმე თაყაიშვილი და კონსტანტინე საბახტარაშვილი.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობითი საგანგებო თავყრილობა საორგანიზაციო ბიუროს სახელით გახსნა კარლო ჩხეიძემ და მონაწილეთ და დამსწრეთ აუწყა მისი გამართვის აუცილებლობა და მნიშვნელობა: „ეს კონფერენცია არის ლოღიკური შედეგი აქამდის წარმოებული მუშაობისა, რომ პოლიტიკურ პარტიათა უფრო მჭიდრო შეკავშირება აუცილებელი პირობაა სამშობლოს

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1048, გვ. 38-39.

[2] იქვე.

შენიშვნა: სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან დელეგატ-წარმომადგენლად დასახელებული აკაკი პაპავა კონფერენციის გახსნის ჟამს გერმანიაში იყო და, ვინაიდან კონფერენციის მიერ მიღებულ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტს ხელს არ აწერს, როგორც ჩანს, იგი ამ კონფერენციის მუშაობაში არ მონაწილეობდა.

განსათაეისუფლებლად ნაყოფიერი მუშაობისა".[1] ამის აუცილებლობა მთლიანად დააადასტურა კონფერენციამ, რაც კარგად გამოჩნდა კიდეც საბოლოო გადაწყვეტილებებში, რომლის ძალითაც შეთანხმებულმა პარტიებმა მთავრობასთან ერთად ივალდებულეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად მიმართული პოლიტიკური მუშაობის ხელმძღვანელობა ევროპაში.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა საზღვარგარეთული ბიუროების წარმომადგენლობითმა კონფერენციამ (გაიმართა 25 თებერვლიდან 11 მარტამდე) იმუშავა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ნოე ჟორდანიას მოხსენება ევროპაში წარმოებულ მუშაობაზე.
2. ნოე რამიშვილის მოხსენება შეთანხმების პროექტის შესახებ.
3. მსჯელობა ორივე მოხსენებათა გარშემო.
4. შეთანხმების პროექტის განხილვა.
5. მოწოდებანი ევროპისა და საქართველოსადმი.
6. კონფერენციაზე აღძრული მიმდინარე საკითხები.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები საბოლოო შეთანხმებით ხელშეკრულებამდე, მსგავსად საქართველოსი, საზღვარგარეთაც ეტაპობრივად მივიდნენ. ამას თითქმის ერთი წელიწადი დასჭირდა. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითა და პრინციპებით ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მიმართულ კომპლექსურ მოღვაწეობასთან ერთად მიმდინარეობდა აგრეთვე ურთიერთშორის მწვავე პაექრობა დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის მიზეზების გარკვევასთან დაკავშირებით, რაც, კაცმა რომ თქვას, პრაქტიკულად საქართველოდანვე დაიწყო. და, თუმცა, ნაშრომის ამ თავის სათაურიდან გამომდინარე, ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა სწორედ კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილებანი, ვფიქრობ, მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივში დაცულ ზემოაღნიშნული კონფერენციის თორმეტი სხდომის, პარტიათა ტაქტიკური პაექრობის შინაარსის სტენოგრაფიულ მასალას. მაგალითად, ამ პაექრობის დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები, და პირველ რიგში ნოე ჟორდანია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცე-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1048, გვ. 38.

[2] იქვე, გვ. 39-40.

მის სხვა „წერილმან“ მიზეზთა შორის რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას მიიჩნევდნენ.[1]

ოპოზიციური პარტიები და, კერძოდ, სოციალისტ-ფედერალისტები თვლიდნენ, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში... უფლების ხელში მქონე მთავრობამ ვერ შესძლო საქართველოს ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია, რაც აუცილებლად საჭირო იყო სახელმწიფოს ასაშენებლად და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად“[2] და სხვა.

აღსანიშნავია, რომ გარდა ამისა, პოლიტიკურ პარტიათა პარიზის წარმომადგენლობითმა კონფერენციამ, დამოუკიდებლობის კელაე მოსაპოვებლად, საქართველოს პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის საკითხს მიაპყრო მთავარი ყურადღება. „მაგრამ დღეს,—ნათქვამია ერთ-ერთ დოკუმენტში,—ერის გულწრფელი და გააზრებული შეთანხმებული მუშაობა არის საჭირო... საგარეო და სამერმისო პოლიტიკა ძლიერ რთულად სდგას ქართველი ერის წინაშე. მათ განსახორციელებლად ეროვნულ ძალთა გაერთიანება გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს. ცხადია, შეთანხმება უნდა მოხდეს...“[3]

და კიდევ ერთი საკითხი, რასაც მოლაპარაკების დროს, სავსებით მართებულად, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ოპოზიციურმა პარტიებმა. კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმებული მუშაობის მთავარი ასპარეზი მხოლოდ და მხოლოდ საქართველო უნდა ყოფილიყო. საჭირო და აუცილებელი იყო სწორედ ისეთი

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1048, გვ. 39-40.

შენიშვნა: ამასთან დაკავშირებით მინდა ხაზგასმით შევნიშნო, რომ რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის და დემოკრატიული საქართველოს დაცემის საკითხთან დაკავშირებულ, დღესდღეობით გამოქვეყნებულ არც ერთ გამოკვლევაში ყურადღება არა აქვს დათმობილი ინგლის-რუსეთის 1921 წლის 16 მარტის სავაჭრო ხელშეკრულების დოკუმენტს, რომელსაც ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ: ხელშეკრულებაში არის განსაკუთრებული მუხლი, რომლის ძალითაც ინგლისი თავის თავს კავკასიის საქმეებში არადაინტერესებულ სახელმწიფოდ აცხადებს და მაშასადამე, ამიერკავკასიის რეგიონში რუსეთის უკვე დაწყებულ იმპერიალისტური გეგმის რეალიზაციას ჩაურევლობის პოლიტიკურ გარანტიას აძლევს (ნ. კ.). იხ. ჰარვარდის ბიბლიოთეკის მიკროფირები, № 1333, გვ. 16. „საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის მემუარი დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-22 წ.წ.“

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1048, გვ. 70.

[3] იქვე.

შეთანხმების მიღწევა, რაც ადვილობრივად მისაღები იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გაერთიანებული პარტიებისათვის, რისთვისაც მმართველ პარტიას დათმობითი პოლიტიკის წარმოება მოუწევდა.[1] წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკურ პარტიათა ნებისმიერი შეთანხმება უცხოეთში ფიქცია იქნებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა—რომლის კონსტიტუციური მოქმედება ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო აგრესიის, ოკუპაციის გამო დროებით შეჩერდა საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო საქართველო თავის მხრივ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართალ სუბიექტს, აღიარებულს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა და საერთაშორისო დემოკრატიული ძალების მიერ უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 27 იანვრის სამართლებრივი აქტით—ევროპის წინაშე აყენებდა კანონიერი მხარდაჭერის მოთხოვნებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დასაცავად.

მთავრობის ეს კანონიერი მოთხოვნები დაადასტურა პარტიათა შეთანხმების პარიზის საგანგებო კონფერენციამ და 1922 წლის 6 მარტს მიიღო საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ, წარმომადგენელნი საქართველოში მოქმედი სამი მთავარი პოლიტიკური ორგანიზაციის—სოციალ-დემოკრატიული პარტიის, დემოკრატიული (ბურჟუაზიულ-აგრარული პარტიების ბლოკი) და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, რომელთაც დამოკიდებულებას... დამფუძნებელ კრებაში ემხრობოდა დეპუტატთა 93%, ვაცხადებთ: 1. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებათა დადება და კონცესიათა გაცემა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ ჟორდანიას მთავრობას.

2. ყოველგვარი კონცესია და ხელშეკრულება, დარღვეული რუსეთის საოკუპაციო მმართველობის მიერ, ქართველი ხალხისათვის სავალდებულო აღარ არის და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია.

3. საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და იქ თავისი საოკუპაციო რეჟიმი დააწესა, რომელიც დღემდის გრძელდება. ასეთი

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1048, გვ. 70.

აქტი რუსეთისა სრულიად ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც კანის კონფერენციის რეზოლუციის მეექვსე მუხლში არის აღნიშნული და რომელიც დიდ სახელმწიფოთა დადგენილებით, სავალდებულოა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მთელი ქართველი ხალხის სახელით ჩვენ მოვითხოვთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, რასაც ბუნებრივად მოყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა.

4. თუ ეს სამართლიანი მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებული საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა თანახმად ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს კანონიერ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენად და რუსეთის საოკუპაციო მმართველობისა და უკანასკნელის მიერ მოსალოდნელ კონტრაგენტთა მიერ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად"[1].

ზემოაღნიშნულ პარტიათა სახელით დეკლარაციას ხელს აწერენ: საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, თბილისის მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი, დამფუძნებელი კრების წევრები: გრიგოლ ვეშაპელი, რეზო გაბაშვილი, აგრეთვე ლევან ჯაფარიძე, ექვთიმე თაყაიშვილი და კ. კობახიძე.[2]

იმავე დღეს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობითმა პარიზის კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ქართველ ერს:[3]

„ჩვენ მივმართავთ საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა მომხრე პარტიას, ჩვენ მოვუწოდებთ მტარვალთან ბრძოლაში გაერთიანებულ ქართველ ხალხს მთელი თავისი ძალღონით დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მუშაობას, რომელიც მიმართულია დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისაკენ.

ერის განთავისუფლება, პირველ ყოვლისა, თვით ერის საქმეა".[4]

მაგრამ პარიზის კონფერენციის მასალებში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საერთო პოლიტიკური ფრონტის შექმნისადმი მიმართული ორი დო-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1048, გვ. 9–11.

[2] იქვე. გვ.11.

[3] იქვე. გვ.1–8.

[4] იქვე. გვ.1.

კუმენტი, კერძოდ: საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა „შეთანხმება-ხელშეკრულება"[1] და „დამატებითი შეთანხმება-ხელშეკრულება".[2] სხვათა მსგავსად, ეს დოკუმენტებიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

პირველ, ძირითად ხელშეკრულებაში წარმოდგენილია საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა საზღვარგარეთ მოქმედი ორგანიზაციების მიერ კომპლექსურად გააზრებული პოლიტიკური პროგრამა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და შემდგომ გარდამავალი პერიოდისათვის.

„I. მუხლი. საქართველოს პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს უთანხმდებიან რუსეთის ოკუპაციის მოსასპობად და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად, ამ მიზნით შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავისი ძალ-ღონით იბრძოლონ ოკუპანტების წინააღმდეგ, ემზადონ გამოსვლისათვის საოკუპაციო მმართველობის გასაუქმებლად და საჭირო ჟამს მთელი თავისი ძალა-გავლენით ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღონ.

II მუხლი. საქართველოს კანონიერ მთავრობად შეთანხმების მონაწილე პარტიები კვლავინდებურად უცხოეთში მყოფ ნოე ჟორდანიას მთავრობას სთვლიან, რომელიც შეთანხმების ფრაქციათა წარმომადგენლებით შევსებული დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან ერთად ხელმძღვანელობს პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად.

III მუხლი. საქართველოს ხალხის დარაზმვა, განმათავისუფლებელ ლაშქრის მოწყობა და ხელმძღვანელობა ოკუპაციის გასაუქმებლად საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს აქვს მინდობილი. ამავე კომიტეტს ევალება ოკუპაციის გაუქმების შემდეგ უცხოეთიდან კანონიერი მთავრობის დაბრუნებამდე სახელმწიფროებრივი წესრიგის დაცვა.

IV მუხლი. მთავრობასთან ერთად უცხოეთიდან ბრუნდება დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, რომელიც დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს ერთი კვირისა) იწვევს დამფუძნებელი კრების სხდომას. დამ-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1048, გვ.114-113.

[2] იქვე, გვ. 115

ფუძნებელი კრება მოისმენს მთავრობის და განმათავისუფლებელი კომიტეტის ანგარიშებს, ადგენს კოალიციურ მთავრობას, უხსნის მას სათანადო კრედიტებს, გამოსცემს საარჩევნო კანონს და ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს არა უგვიანეს სამი თვისა. შეთანხმების მონაწილე პარტიებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ დამფუძნებელმა კრებამ გადასინჯოს კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი (შენიშვნა: სხვა საკითხების განხილვა და პარლამენტის არჩევნების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს შეთანხმების ყველა მონაწილე პარტიათა დასტურით).

V მუხლი. დამფუძნებელი კრების მიერ შედგენილი კოალიციური მთავრობა განაგებს ქვეყანას პარლამენტის შევსებამდის და მის უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს:

ა) ოკუპაციის მიერ ნაანდერძევი ანარქიის მოსპობა და სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცება;

ბ) ევროპის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ მოკავშირეთა მოძებნა, მოწინავე ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარება და საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოების არსებული ეკონომიური პოლიტიკის განხორციელება;

გ) უცხოელი ინსტრუქტორების დახმარებით სამხედრო ძალის მოწყობა ერთ სისტემიანი რეგულარული ჯარის სახით.

VI მუხლი. პარლამენტის არჩევნებს ხელმძღვანელობს დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული კოალიციური ცენტრალური საარჩევნო კომისია (ადგილობრივი არჩევნების ხელმძღვანელობა ეკუთვნის ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც თავიდანვე ადგენს საარჩევნო კომისიას კოალიციურად ადგილობრივ არსებულ პარტიათა წარმომადგენლებისაგან) არჩევნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაცია და მილიცია საარჩევნო სფეროში ემორჩილება საარჩევნო კანონებს.

VII მუხლი. შეთანხმების მონაწილე პარტიები თავს მოვალეთა თვლიან ხმოსანთა ახალ არჩევნებამდე ქალაქთა და ერობათა საბჭოსა და ყრილობებზე კოალიციური გამგეობანი აირჩიონ.

VIII მუხლი. შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ რუსეთის ოკუპაციის გაუქმებამდე ერთი მეორის საწინააღმდეგო საჯარო გამოსვლები არ მოახდინონ.

IX მუხლი: ამ შეთანხმებას შეუძლია შეუერთდეს არა უგვიანეს ერთი თვისა, დღიდან შეთანხმების ტექსტის ჩაბარებისა, საქართვე-

ლოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც, იმ აუცილებელი პირობით, რომ—

ა) უცვლელად მიიღებს ამ შეთანხმებას და შეუერთდება სამი პარტიის მიერ გამოცემულ მიმართვებს;

ბ) საჯაროდ განაცხადებს, რომ ის უარყოფს რუსეთის ოკუპაციას და მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენას".[1]

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან—ნიკოლოზ ჩხეიძემ, საქართველოს დემოკრატიული (ეროვნულ-დემოკრატიული, რადიკალ-დემოკრატიული და უპარტიოთა) პარტიისაგან—გრ. ვეშაპელმა, ლ. ჯაფარიძემ, ექვთ. თაყაიშვილმა, ნ. ნიკოლაძემ, ნ. ჯაყელმა, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისაგან ს. მდივანმა და კ. კობახიძემ.[2]

ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის დაკონკრეტების მიზნით, ზემოაღნიშნული შეთანხმების გარდა პარტიათა შორის დაიდო აგრეთვე დამატებითი შეთანხმება-ხელშეკრულება:[3]

„I მუხლი. ძირითადი ხელშეკრულების მესამე მუხლში ნაგულისხმევი საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი ამ თავიდან დგება ოთხი კაცისაგან: ორი სოციალ-დემოკრატი (მათ შორის თავმჯდომარე, არჩეული მთელი კომიტეტის მიერ), ერთი საქართველოს დემოკრატიული პარტიის და ერთიც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი. (იმ მოსალოდნელი შემთხვევისათვის, თუ რომელიმე სხვა პარტია ისურვებს შემოსვლას ამ შეთანხმებაში, მისი წარმომადგენლის კომიტეტში მიღება შეადგენს უფლებას თვით კომიტეტისას, რომელიც მხოლოდ სამი მეოთხედი ხმით სწყვეტს ასეთ საკითხს. სხვა პარტიათა წარმომადგენლების შემოსვლის შემდეგ უნდა მოხდეს განმათავისუფლებელი კომიტეტის შემადგენლობის გაფართოება იმ სახით, რომ ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ პარტიებს, რომელთა შორის ხმათა განაწილება არსებულ

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1048, გვ. 114—113 (დანომვრა ასეთია, ნ. კ).

[2] იქვე, გვ. 113.

[3] იქვე, გვ. 115

განმათავისუფლებელ კომიტეტის უფლებას შეადგენს ისე, რომ საქართველოს დემოკრატიულ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას თანასწორი ხმები ექნეთ.

II მუხლი. კოალიციური მთავრობის ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე, უნდა ეკუთვნოდეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხოლო მეორე ნახევარი (მათ შორის თავმჯდომარის მოადგილე) დანარჩენ პარტიებს იმ პირობით, რომ საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ უნდა მიიღოს პორტფელი მეტი, ვიდრე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ (სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული თავმჯდომარე იწვევს კაბინეტის წევრებს პარტიებთან შეთანხმებით).

III მუხლი. ყველა სხვა საზღვარგარეთ არსებულ და მომავალ ორგანიზაციებისათვის (პოლიტიკური კომისიები, საინფორმაციო ბიუროები, გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია და სხვ.) შემოღებული უნდა იყოს დაახლოებითი პროპორცია, რომელიც დამტკიცებულია განმათავისუფლებელი კომიტეტის და კოალიციურ მთავრობისაგან. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში, შევსებულ ფრაქციათა წარმომადგენლობა, ყოველ კერძო შემთხვევაში აწესებს პროპორციას და პერსონალურ შემადგენლობას ასეთი ორგანოებისას.

IV მუხლი. შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ, რომ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე, წარმოდგენილი იქნება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ, ხოლო მეორე ნახევარი მეორე ფრაქციათა მიერ.

V მუხლი. განმათავისუფლებელ კომიტეტში, კოალიციურ მთავრობაში ან სხვა ყველა კოალიციურ ორგანოში ხმების თანასწორობის დროს თავმჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს.

VI მუხლი. სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციას აწესებს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, შევსებული ფრაქციათა წარმომადგენლობით".[1]

აღნიშნულ „დამატებით შეთანხმება-ხელშეკრულებას" ხელს აწერს შეთანხმების მონაწილე და ხელშეკრულების ხელისმომწერ პარტია-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1048, გვ. 115

ესერი იოსეპ გოგეჩია

ირაკლი წერეთელი

მიხაკო წერეთელი

რაჟდენ არსენიძე



სპირიდონ კედია

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ალექსანდრე ასათიანი

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

სამსონ ფირცხალავა

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.



ეკვთიმე თაყაიშვილი



გიორგი ყურული

ივანე ზურაბიშვილი

გიორგი გვაზავა

თა იგივე წარმომადგენლობა მცირეოდენი ცვლილებით: საქართველოს დემოკრატიული პარტიის ხელმომწერებს ემატება მხოლოდ რევაზ გაბაშვილი.[1]

თავისთავად საინტერესო ამ დოკუმენტების მიმართ რამდენიმე აუცილებელი კითხვა წამოიჭრება. უწინარეს ყოვლისა, ვასარკვევია ის მიმართებანი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის პოზიციაზე მდგომ მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებათა თბილისსა და პარიზში დადებულ ხელშეკრულებებს შორის არსებობს. ანუ, უფრო დაკონკრეტებით: როგორ მოხდა „შეუერთებლის შეერთება"—ურთიერთ შეთანხმებით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თუ?! ქვეყანაში შექმნილი საბედისწერო ვითარების გამო აუცილებლობით?!

ქრონოლოგიურად მიეყვეთ მოვლენათა მსვლელობას:

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთსა და იმავე დროს გაფორმდა საერთო მიზნისა და შინაარსის შეთანხმებითი ხელშეკრულებანი, ვფიქრობთ, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობითი თათბირები მაინც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, რის საფუძველსაც გარდა ამ თათბირების დასკვნითი დოკუმენტების პუნქტობრივი ანალიზისა,—რომლის მიხედვით ხელშეკრულებანი ერთმანეთისგან აშკარად განსხვავდებიან, როგორც პარტიათა ტაქტიკური შეხედულებებით, ისე საკოორდინაციო ცენტრის ორგანიზაციულ-სტრუქტურული პრინციპებით.—იძლევა, აგრეთვე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივში დაცული კიდევ რამდენიმე დოკუმენტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკურ პარტიათა საქართველოში მიღწეული შეთანხმების ხელშეკრულება განმარტებითი წერილითურთ—„ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ"[2] ვაეგზავნა პარიზს, დემოკრატიული საქართველოს ემიგრირებულ მთავრობას.

იმის გამო, რომ ხელშეკრულების მონაწილე ხუთივე პოლიტიკური პარტიის თითქმის ყველა უაღრესად გავლენიანი წევრი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ბუნებრივია, საზღვარგარეთულ პარტიულ ორგანიზაციათა მხრივ თბილისის შეთანხმების დასტურს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიათა მთელი შემდგომი მუშაობისათვის—როგორც სა-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1048, გვ. 115.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1049, გვ. 10,12.

ქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. „ჩვენ გვგონია, რომ მომხდარ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ნაყოფიერ გავლენას იქონიებს ქართველი ხალხის პოლიტიკურ მოძრაობაზე. ამ შეთანხმების საფუძველზე უკვე შესდგა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მთელ მუშაობას, მიმართულს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ"[1]—აუწყებდნენ მთავრობას.

ამასთან, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი თვლიდა, და სავსებით კანონზომიერადაც, რომ ქვეყნის განთავისუფლება შესაძლებელი იყო თვით ქართველი ხალხის პოლიტიკური აქტივობით, ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებასთან შესაბამისობაში. გამომდინარე აქედან, მთავრობასა და საზღვარგარეთ მყოფ თანაპარტიელებს მოუწოდებდნენ მჭიდრო ურთიერთკონტაქტისა და თანამშრომლობისათვის: „დამოუკიდებლობის კომიტეტს ესაჭიროება სწორი და უშუალო ცნობები თქვენგან ამის შესახებ, თუ რას მიაღწიეთ თქვენის მოქმედებით ამ მხრივ... და როგორ გაქვთ განზრახული თქვენი მოქმედების განვითარება შემდეგისათვის... საერთოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს განზრახული აქვს დაიჭიროს თქვენთან მჭიდრო და უშუალო კავშირი, რათა შეთანხმებული მოქმედებით: გაძლიერებული იქნეს საერთო მიზნისაკენ მიმართული მეცადინეობის ეფექტი, რათა კონტაქტი საქართველოს მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის მტკიცე ნიადაგზე იქნას დამყარებული"—აღნიშნულია წერილში.

მაგრამ ზემოთ აღნიშნულ თეზისთან დაკავშირებით, ეს დოკუმენტი საინტერესოა სწორედ იმ კუთხით, რომ მისი ცნობის ფაქტს, ანუ დადასტურებას იმთავითვე მეტად საეჭვოდ მიიჩნევდნენ საქართველოში.[2] იმ მთავარი მიზეზის გამო, რომ თბილისში დადებული შეთანხმება პრინციპულად არ შეესაბამებოდა პარტიების ძალთა რეალურ თანაფარდობას და, უწინარეს ყოვლისა, იგი არახელსაყრელი იყო საქართველოს მმართველი პარტიისათვის.

ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები კი არა მარტო ქრონოლოგიურად აგრძელებს მოქმედების შემდგომი განვითარების შინაარსს, არამედ რამდენადმე ადასტურებს კიდეც უკვე წამოჭრილ საკითხს—ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეთანხმებითი ხელშეკრუ-

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1049, გვ. 11—10

[2] სუკის არქივი № 23. გვ. 10.

ლებების მიღწევას. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის არსებობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები მთავრობის თავმჯდომარის—ნოე ჟორდანიასათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1922 წლის ივნისის ბოლოს, რის თაობაზეც დამკომს იმავე წლის 15 ივლისის წერილით აცნობა:[1] „ივნისის გასულს მივიღე თქვენი პირველი წერილი და ზედ დართული პარტიათა შეთანხმების პირობები. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად სასიხარულოა და დროულია, მოქმედ პარტიათა ასეთი დარაზმვა და ერთი მიზნისათვის მწყობრად ამუშავება. 1) საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი ახლო მომავალში უნდა გადაწყდეს. 2) დაყოვნება ზარალის მეტს არას მოგვიტანს (ამ მომენტისათვის ყველა სასიცოცხლო ძალები დარაზმული უნდა გვყავდეს) და აი, სწორედ ამ (დარაზმვის) ქვაკუთხედია პარტიათა მორიგება. სადავო საკითხები სამერმისოდ აღდგება... ამხანად წერილებიდან არ ჩანს ზოგიერთი რამ; მაგ. არ ვიცით რა ხასიათის მუშაობას აპირებს კომიტეტი... თქვენი მუშაობის გეგმას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს... აქაურ პარტიათა შეთანხმება... მიღებულია თუ არა ის, უარყოფილია თუ მოწონებული მასში მონაწილე პარტიებისაგან, ჩვენთვის სასურველია ვიცოდეთ იმიტომ, რომ მასთან შეკავშირებულია აქაური ორგანიზაციის არსებობა“.[2]

ამასთან, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვას საზღვარგარეთ მყოფი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი გაეცნო და 1922 წლის 31 ივლისს ოფიციალური წერილით გამოეხმაურა დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი,[3] რომელმაც განიხილა საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანების გადაწყვეტილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი სიხარულით ეგებება საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებულ და შეთანხმებულ ბრძოლას რუსეთის საოკუპაციო ძალაუფლების წინააღმდეგ, რაიცა საყოველთაოდ გამოაშკარავდა უკანასკნელი მასიური პოლიტიკური გაფიცვებით საქართველოში...“[4]

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1530, გვ. 23-32.

[2] იქვე, გვ. 29-30.

[3] იქვე, № 1319, გვ. 2-3.

[4] იქვე, გვ. 3.

ამჯერად(აც) წინა პლანზე, კელაე, პარტიული ეთიკა და ინტერესები დადგება და არა საქვეყნო. კერძოდ: პარტიული ეთიკის დაცვისა და საკითხის საბოლოოდ გარკვევის მიზნით, დამფუძნებელი კრების გაფართოებულმა პრეზიდიუმმა იმსჯელა იმის თაობაზეც, რომ ხელშეკრულების ტექსტი და ცნობა დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის შესახებ ეუწყა მხოლოდ მთავრობას, ხოლო საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს უცხოეთში არ მიუღიათ პარტიათა ცენტრალური ორგანოებისაგან დასტური და შესაბამისი განმარტება ამ შეთანხმებისა; ამიტომ დამფუძნებელი კრების გაფართოებულმა პრეზიდიუმმა დაავალა პარტიათა წარმომადგენლებს: „დაუყოვნებლივ გამოითხოვონ პარტიული ცენტრებისაგან შეთანხმების ტექსტი და შესაფერი დირექტივები“.[1]

თავის მხრივ კი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს ზემოხსენებული „წერილით“ აუწყებენ აგრეთვე საზღვარგარეთ მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანების მიზანს: „ამასთანავე ჩვენს ეროვნულ მოვალეობად ერაცხთ, განვაცხადოთ, რომ ევროპაში მუშაობისათვის არსებულ პირობათა მიხედვით აუცილებელია, რომ დამფუძნებელი კრების გაფართოებულმა პრეზიდიუმმა განაგრძოს თავისი მუშაობა“.[2] წერილს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით (შევსებულ ფრაქციათა წარმომადგენლობით) ხელს აწერენ: ნ. რამიშვილი, გრ. ვეშაპელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სვ. მდივანი.[3]

უკეთუ დემოკრატიული საქართველოს მთავრობისათვის და პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ცენტრისათვის იმთავითვე ცნობილი გახდა არა მხოლოდ ინფორმაცია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის თაობაზე, არამედ თვით ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც, როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, სხვადასხვა მოსაზრებებით საკამათო გახდა; დამკომმა კი თავდაპირველად მხოლოდ ინფორმაცია მიიღო საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა საზღვარგარეთულ ეაერთიანებაზე და, რასაკვირველია, იმთავითვე მისთვის უცნობი იყო ხელშეკრულება, „რომელიც უფრო მეტად აძლევდათ ხელს მენშევიკებს“.[4]

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1319, გვ. 2.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 3

[4] სუკის არქივი. № 63, გვ. 41-42 (ი. ჯავახიშვილის ჩვენებიდან).

მოგვიანებით ორივე მხარემ გააკეთა ხელშეკრულებათა შევსებანი. აღსანიშნავია, რომ საპასუხო წერილებში ნოე ჟორდანია და მის თანაპარტიელთა ცნობილი ლიდერები დელიკატურად გვერდს უვლიდნენ მათთვის მეტად მტკივნეულ საკითხს—დამკომის მიერ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილისა და როლის ასეთ „დაკნინებულ" განსაზღვრას მიმდინარე, გარდამავალი და სამერმისო პერიოდისათვის და, მეტწილად, ყურადღება გადაიტანეს ხელშეკრულების მე-4 მუხლის შენიშვნაზე, სადაც ლაპარაკია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის ფინანსურ ანგარიშ-ვალდებულებასა და კონტროლზე,[1] რომლის განხილვის დროსაც, საგანგებო პარტიული კრების მონაწილეთა ნაწილმა საკითხის ასეთი ფორმულირება არ გაიზიარა იმ მოსაზრებით, რომ მისი ასეთად მიღება ფაქტიურად მთავრობის ფუნქციის კრახს ნიშნავდა.[2] მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად თბილისის შეთანხმების მთელი არახელსაყრელობისა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ძირითადად, მზად იყო ეცნო და პატიოსნად განეხორციელებინა მისი საწყისები. „ფულის საკითხი ხელშეკრულების თანახმად მიაკუთვნეს კომიტეტს, ამიტომ თუ ჩვენ ვიღებთ ხელშეკრულებას, საჭიროა ამ მუხლის მიღებაც. ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ კი ჩვენ არ უნდა წავიდეთ, თორემ მუშაობა სულ აინგრევა..."[3]—განაცხადა ნოე ჟორდანიამ პარიზში 1923 წლის 15 იანვარს გამართულ პარტიულ კრებაზე, რომელიც განიხილავდა საკითხს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებულმა მთავრობამ და პოლიტიკურმა პარტიებმა ცნეს რა დასტური თბილისის შეთანხმების შესახებ ნოე ხომერიკის მეშვეობით აუწყეს დამოუკიდებლობის კომიტეტს.[4]

თავის მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა არ დაადასტურა რა პარიზის ხელშეკრულება და სტატუს—კვო, ძალაში

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1049, გვ. 13-14.

[2] იქვე, № 1075, გვ. 1, პარტიული კრების ოქმი № 8.

[3] იქვე.

[4] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1075, გვ. 1

დატოვა თბილისის შეთანხმება, პარიზს მიაელინა დამკომის საგანგებო წარმომადგენელი[1] ურთიერთმჭიდრო კავშირისა და საერთო, შეთანხმებული მოქმედების მიზნით.

რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მოქმედ საზღვარგარეთულ ორგანიზაციათა გაერთიანებას და იქ საერთო, ეროვნული ფრონტის შექმნას: უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობის ეს საკითხიც და პერიოდიც უდავოდ საინტერესოა და სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო დოკუმენტური მასალის საფუძველზე კი ამჯერად, ზოგადად, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ნაშრომის განსაზღვრულ-განსახილველ პერიოდში (1921-1924 წწ.) სხვადასხვა მიზეზთა გამო რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკურ გაერთიანებათა ორგანიზაციული ფორმა და სტატუსი. მაგალითად: სხვადასხვა დოკუმენტებში მოხსენიებულია პოლიტიკურ პარტიათა ბლოკი, ეგრეთ წოდებული „საზღვარგარეთის ბიურო", სოციალ-დემოკრატ ნ. ჩხეიძის, ეროვნულ-დემოკრატ გრ. ვეშაპელის, ხოლო შემდეგ სპირიდონ კედიას, სოციალისტ-ფედერალისტ სვ. მდივნის და ესერ იოსებ გობეჩიას შემადგენლობით;[2] აგრეთვე „პარტიათა წარმომადგენლობა", რომელიც აღნიშნულია გოგიტა ფაღავას დაპატიმრების დროს ჩამორთმეულ ერთ-ერთ დოკუმენტში[3].

მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დადგენილებით და გადაწყვეტილებით, გაუქმდა ზემოაღნიშნული, პარიზის კონფერენციაზე შექმნილი პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა—დამფუძნებელი კრების როგორც გაფართოებული, ისე ვიწრო პრეზიდიუმიც, და დაარსდა „პარტიული კოლეგია";[4] იმავე სტრუქტურულ და პოლიტიკურ საფუძველზე, როგორც დამკომი. მაგრამ, რამდენიმე ხანში ამ ფორმით არსებული საერთო პოლიტიკური ფრონტი კვლავ დაირღვა და იგი მხოლოდ 1925 წლის 16 ნოემბერს პარიზში გამართული მთავრობისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგა-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1075, გვ. 1.

[2] სუკის არქივი, № 8.

[3] სუკის არქივი, № 8.

[4] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1319, გვ.19-20; აგრეთვე, სუკის არქივი № 8.

ციის პირველი შეერთებული სხდომის[1] ვადაწყვეტილებით, რამდენიმე ხანს ისევ აღსდგება.

მაშ, უკვე ორივეგან შექმნილიყო ქართველ პარტიელთა გაერთიანებული ორგანიზაცია—საქართველოს შიგნითაც (დამკომი) და გარეთაც (ბიურო). ბუნებრივად, კომუნისტურ-დამპყრობლური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ტვირთი, უმეტესწილად, თვითონ საქართველოში მოქმედ პარტიათა ახლადშექმნილ ბლოკს უნდა დაკისრებოდა; მაგრამ, საუბედუროდ თუ საბედისწეროდ, ისტორიულად, პარტიულად შემდურებულთა ახლანდელი შეერთება ორივეგან საეჭვოდ გამოიყურებოდა, რადგან მათ რეალურ მიზნად და სულისკვეთებად ძალაუფლების საკითხი რჩებოდა. ამ მხრივ სხვათა შორის საყურადღებოა ერთი ყოფილი მენშევიკის (კ. სულაქველიძე) ასეთი განაცხადი:

„საინტერესოა, რომ საქართველოში მოქმედ პარტიების მიერ დადებულ ხელშეკრულების ყველა მუხლები ეხება არა კომუნისტურ ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთოდებს და ყოველი პარტიის როლს ამ ბრძოლაში, არამედ იმას, თუ როგორ უნდა დაენაწილებიათ ამ პარტიებს ძალაუფლება და, მაშასადამე, მინისტრების პორტფელები ერთი-ერთმანეთს შორის საქართველოს განთავისუფლების მეორე დღეს“.[2]

საუბედუროდ თუ საბედისწეროდ.

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1086, გვ. 13.

[2] კ. სულაქველიძე, „რა მოხდა“? 1927, გვ. 28.

თავი მეექვსე

კავკასიური თათბირი

პარალელურად ამ შინაქართული პარტიული ურთიერთ-კავშირებისა თუ საორგანიზაციო ქმნადობის,— ძალზე საინტერესოდ მოსჩანს უფრო ფართო მასშტაბის საორგანიზაციო განზრახვები და საქმიანობანი რუსული აგრესია-ოკუპაციის წინააღმდეგ, სახელდობრ — სრულიად კავკასიური მასშტაბით.

ასეთი მიზანდასახულობის—რუსეთის უღლის გადასაგდებად ბრძოლის ერთიანი ბლოკის შესაქმნელად თავიდანვე უწარმოებიათ მუშაობა ემიგრაციაში გახიზნულ კავკასიურ მთავრობებს. სახელდობრ, 1921 წლის 8 მაისს, პარიზში, აზერბაიჯანელ ემიგრანტთა შტაბ-ბინაში თავი მოუყრიათ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებს. ესწრებოდნენ:

1. საქართველოსგან—ე. გეგეჭკორი, ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი და მ. სუმბატოვი;

2. აზერბაიჯანისაგან—ა. შეიხ-ულ-ისლამოვი, მ. მაგერამოვი და ალ. თოფჩიბაშევი;

3. სომხეთისაგან—ა. აგარონიანი, ა. ხატისიანი და ნ. ბეკზადიანი;

4. ჩრდილო-კავკასიისაგან—ა. ჩერმოევი.

სხდომას თავმჯდომარეობდა მასპინძელთაგან—ა. თოფჩიბაშევი.

ეს იყო წინასწარი თათბირი, საერთო გზების დასახვა, მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური გააზრებებით. ხოლო საბოლოოდ შეთანხმდნენ და შეთანხმებასაც ხელი მოაწერეს იმავე წლის 10 ივნისს.[1]

მაშინვე კავკასიელმა მოკავშირეებმა თავისი ახლად მიღებული ხელშეკრულება გაუგზავნეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბრიანს. თანაც იქვე, ცალკე მოხსენებითი ბარათით საფრანგეთის წინამძღოლს აღუწერდნენ მისი ქვეყნისთვის დამაინტერესებელ მომგებიანობას და სარფიანობას კავკასიაში, მის გეოგრაფიულ მდებარეობას აზია-ევროპის გზაკვანძზე, მის ბუნებრივ სიმდიდრეებს. იქვე ეწერა: „თანხლებულ მოხსენებით ბარათში აღნიშნული ქვეყნის რესურსების ექსპლოატაციისათვის უცხოური კაპიტალით, ცოდნითა და გამოცდილებით დახმარება არა მარტო ზეგავლენას

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 13.

მოახდენს კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაზე, არამედ იმის საშუალებასაც მისცემს კავკასიის მოკავშირე რესპუბლიკებს, რომ მათ შეასრულონ ის ვალდებულებანი, რომლებიც მათ ყოფილი რუსეთის იმპერიის ვალების დაყოფისას შეხვდებათ".[1]

ბრიანი კავკასიელთა წარდგინებით ძალიანაც დაინტერესებულა და მინისტრ ლუშერისათვის დაუვალებია, მოლაპარაკებოდა მოხსენებითი ბარათის აეტორებს და, 1921 წლის 7 ნოემბერს ფრანგი მინისტრი კიდეეაც შეხვდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებს.

ქართველთა მხრიდან წარდგენილი ყოფილა აკაკი ჩხენკელი, რომელსაც ლუშერისათვის უთქვამს:

„ჩვენ დიდად მადლიერი ვართ იმ ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენი განცხადებისათვის და უწინარეს ყოვლისა თქვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ თუმცა ჩვენი ქვეყნები ბოლშევიკთა და ქემალისტთა ძალების მიერ ოკუპირებულნი არიან, არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკური მთავრობის ბატონობა მოსახლეობის სიმპათიებს კი არა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხიშტების ტლანქ ძალას ემყარება. ეჭვი არ არის, რომ უკეთუ საფრანგეთის მხრივ ჩვენი ხალხებისადმი დახმარება და კეთილმოსურნე დამოკიდებულება იქნა, ეროვნული მთავრობები კვლავ სათავეში ჩაუდგებიან თავიანთ ხალხებს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ხალხები და მმართველობის ფორმები ღრმად დემოკრატიულია და ამოცანადაც გონივრულ დემოკრატიას და სოციალიზმს ისახავენ; მაგრამ კერძო საკუთრების პრინციპს, უცხოელთა უფლებებს პატივს სცემენ და თანახმანი არიან ცნონ რუსეთის ვალების ის ნაწილი, რომლებიც კავკასიის რესპუბლიკებს ეკისრებათ და მათი წილხვდომილი სხვა საერთაშორისო ვალდებულებანი".[2]

ჩხენკელის ამ განცხადების პასუხად ლუშერმა პირდაპირ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება:

„ჩვენს წინაშეა საკითხთა სამი ჯგუფი: 1) რა სახის დახმარებას მოელიან საფრანგეთისაგან კავკასიის ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენლები კანონიერი და ხალხისათვის სასურველი ხელისუფლების

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 14.

[2] იქვე.

დამყარების საქმეში ფულისა, იარაღისა და აღჭურვილობათა მხრივ; 2) რით შეუძლია საფრანგეთს დაეხმაროს კავკასიის რესპუბლიკებს ბოლშევიკებისგან მათი განთავისუფლების პირველ ხანებში კულტურულ-სამრეწველო აღორძინებისათვის, მეტადრე ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორიცაა გზები, ოთხივე რესპუბლიკისათვის ერთნაირი სამონეტო სისტემის საემისიო ბანკი, ნავთობგამტარები და ბუნებრივი სიმდიდრის დაუყოვნებლივი ექსპლოატაცია; ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საფრანგეთს დახმარება შეუძლია უმთავრესად მასალით, იარაღითა და ნაწილობრივ ფულით, ოღონდ ვფიქრობთ 1.000.000 ფრანკით, მეტით არა; და 3) რა კომპენსაცია და რა ფასეულობანი შეუძლიათ კავკასიის რესპუბლიკებს მოგვცენ ვალუტითა და ნედლი მასალით, მინერალებისა თუ საერთოდ სხვა პროდუქტების სახით იმ დახმარებისათვის, რომელსაც საფრანგეთი გაუწევს კავკასიის რესპუბლიკებს".[1]

ასე რომ ფრანგმა მინისტრმა საკითხი დააყენა ფრიად ნათლად, საქმიანად და არა წყალწყალა ფორმალური აღთქმებით, ყალბი ჭირისუფლობით და სხვა მისთანათ.

კავკასიელმა წარმომადგენლებმაც მაშინვე მისცეს ლუშერს პირობა, დაუყოვნებლივ შექმნიდნენ საგანგებო, სპეციალურ კომისიებს, რომელთა საშუალებით დეტალურად დაამუშავებდნენ და დააზუსტებდნენ—სად, როგორ და როდის—რა და რამდენი იქნებოდა საჭირო, და ამის მიხედვით წარუდგენდნენ ყოველ თხოვნას და შუამდგომლობას.

მართლაც და, კავკასიელებმა ორ დღეში—1921 წლის 9 ნოემბერს—საგანგებო თათბირზე ხელახლა იმსჯელეს და ყველა ასპექტით განსაზღვრებისა, გათვლისა და დამტკიცებისათვის შექმნეს ოთხი კომისია: სამხედრო, საფინანსო-ეკონომიური, ნავთობმრეწველობის და გზათა კომისია.

ცალკეულად ყველა ამ კომისიაში, ბუნებრივია, შედიოდნენ ოთხივე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ყველას დაასწრო სამხედრო კომისიამ, რომელიც 16 ნოემბერს წარსდგა მოხსენებით რესპუბლიკების საერთო წარმომადგენლობითი თათბირის წინაშე.

და აქ, ამ თათბირზე დაწვრილებით განიხილეს და გააანალიზეს

[1] სუკის არქივი, № 8, გვ. 15.

მოსალოდნელი კავკასიური ომის ყველა ასპექტი—საომარი აპარატისა და საჯარისო ფორმირებათა ორგანიზაციული საკითხები, საბიუჯეტო მხარეები, საბჭოთა ოკუპაციის უკუსაგდები ყოველი საშუალება, განსაზღვრეს აჯანყების სამეთაურო კადრი, არანაკლებ 2700 კაცით, რომელიც კავკასის რესპუბლიკათა ტერიტორიაზე უნდა დაეკომპლექტებინათ არალეგალურად და კადრი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აჯანყებულთა მრავალათასიან არმიად უნდა გადაქცეულიყო. იქვე გადაწყდა იარიღის შეძენისა და კავკასიაში ფარულად გაგზავნის საქმე და, კიდევ სხვა, ომთან დაკავშირებული ზედმეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები[1].

თათბირმა იქვე გადაწყვიტა, რომ კავკასიურ სამხედრო საქმეთა შტაბის მთავარი სამყოფელი-რეზიდენცია უნდა ყოფილიყო პარიზში, ხოლო საერთო ხელმძღვანელობის ბირთვი — მოქმედების თეატრთან, ე.ი. კავკასიასთან რაც შეიძლება ახლოს.

დასასრულ, ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენელმა, ჩერმოევმა ასე მიმართა თათბირის შემადგენლობას: სამხედრო კომისიის მუშაობა უმკაცრეს საიდუმლეობას გვავალებსო, მით უფრო ჩვენს პირობებში, რადგან თუ ყველაფერი გამჟღავნდა, ჩვენს ხალხებს თავს დაატყდებათ საშინელი რეპრესიები და, ამას გარდა, მესამე მხარესაც, ანუ ჩვენი დახმარების მოსურნეებსაც დიდი უსიამოვნება შეხვდებათ; ამიტომ სამხედრო კომისიას მოვუწოდებ, მიღებული იქნას ყოველი ზომა აბსოლუტური საიდუმლოს დასაცავად.

ასეთად წარმოგვიდგება ზოგად ხაზებში, მაშინ დაბადებული, თუ საისტორიო მკვდრეთით აღმდგარი „კავკასიური სახლის“ ლანდი თვითონ კავკასიიდან შორს, დასავლეთში.

დამატებით, — ისევ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ბრიანის რჩევით, კავკასიელმა მოკავშირეებმა ურთიერთობა გააბეს კავკასიით დაინტერესებულ ფრანგ ფინანსისტებთან, კაპიტალისტებთან, ბანკირებთან და სხვა კერძო მწარმოებლებთან.

იდეა — იდეად.

სურვილი — სურვილად.

რეალობა კი — რეალობად.

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 15-16.

თავი მეუთხეტი

აჯანყების სამზადისი— სამხედრო „ცენტრი“ და „კომისია“

ბუნებრივად იგულისხმებოდა, რაკი ერს უცხოური უღლისაგან საკუთარი ქვეყნის განთავისუფლება გარდაუვალ და გაუნელებელ ფიქრად და ზრუნვად გაეხადა — ამ ფიქრისადა ზრუნვის მთავარი, შესაფერ-შესატყვისად გარდაუვალი მოტივი ომი და სისხლის დაქცევა, მაშასადამე, შეიარაღებული აჯანყება უნდა ყოფილიყო.

საამისოდ თავიდანვე, ჯერ კიდევ პარიტეტული „დამკომის“ ჩამოყალიბებამდე, შექმნილა ორგანიზაცია, სახელწოდებით—„სამხედრო ცენტრი“.

„სამხედრო ცენტრი“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან ღებულობს დასაწყისს, სახელდობრ—1922 წლის მარტიდან, როცა ამ პარტიის ლიდერები, ეროვნული ფაღავას მონაწილეობით, სათათბიროდ შეკრებილან ივანე ნარიკელაძის ბინაში.[1]

ამ თათბირზე ფაღავა პირველად ლაპარაკობს უშუალოდ შეიარაღებულ გამოსვლაზე, როგორც „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უახლოესი პერსპექტივის“ შესახებ.

როგორც ჩანს, საკითხის დასმამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ეს ისედაც ეტყობა თათბირზე მიღებულ დასკვნით მუხლებს, რომლებიც შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. თუ აჯანყება მარტო საქართველოში დაიწყო, იგი განწირულია უეჭველი დამარცხებისათვის. ამიტომ გარდუვალად საჭიროა ორი რამ: ერთი—განუწყვეტელი კონტაქტები მთელი კავკასიის ყველა ხალხთან და ქვეყანასთან, და მეორე—ჩვენი აჯანყების მომენტი აგრეთვე უნდა მიესადაგოს რუსეთის საშინაო ან საგარეო გართულებათა რაიმე მომენტს.

2. არ უნდა დავუშვათ ცალკე კუთხური, სეპარატისტული შეიარაღებული გამოხდომები, რომელთაც კავშირი არ ექნებათ და არ გამომდინარეობენ აჯანყების საერთო გეგმიდან.

3. სამხედრო-საომარი მზადყოფნის პროცესში საჭიროდ მიიჩნევა ინტენსიური კავშირები საქართველოს ყოველ კუთხე-რეგიონთან,

---

[1] სუკის არქივი, № 8, გვ. 18

ხოლო განსაკუთრებით და უმთავრესად—საოკუპაციო წითელი არმიის ქართულ ნაწილებთან.

ამავე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრზე, ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილზე, რომელიც თავის ბუნებით და მოწოდებით ასეთი „საოჯახო თათბირების" კი არა, არამედ ნამდვილი საქმის, ანუ ქვეყნის დასახსნელად იარაღით ხელში ბრძოლის გმირად დაბადებულიყო — კარგად წერს მისი უახლოესი თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი:

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო განსახიერება ქართველი რაინდისა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დინჯი, დარბაისელი და უაღრესად კეთილი გულის პატრონი. ისეთი თვისებებით დაეჯილდოებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას, ის ძალიან უყვარდა ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდეც. როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ეაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. იგი უდავოდ მხედრად იყო დაბადებული".[1]

ზუსტად იმ „საოჯახო თათბირის" ახლო დღეს, 1922 წლის 12 მარტს, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთში, აელეეის ტყეში, საბრძოლო ფიცით შეიფიცა პირველი ექვსი თანამებრძოლი: ვასო თამაზაშვილი, მიხა ბალიაშვილი, მიშა ნაცვლიშვილი, სოსო ჩითინაშვილი, სოსო ლოსაბერიძე და ქარუმა ქიზიყელი. ეს იქნება პირველი ბირთვი მალე განთქმული „შეფიცულებისა, რომელსაც მალე შეუერთდებიან: ალექსანდრე სულხანიშვილი, სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი (ქაქუცას ძმა), ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიშა ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები და სხვები...

მაშ, იწყებოდა „შეფიცულთა" გამოსვლები, მაგრამ ჯერ ეს დაწყება დაწყებისთანავე ლოკალურ-პარტიზანული სახისა უნდა ყოფილიყო და არა საყოველთაო-სახალხო აჯანყება სრულიად საქართველოსი.

---

[1] ალ. სულხანიშვილი, ჩემი მოგონებანი, სან-ფრანცისკო, 1981, გვ. 196.

ასე იყო თუ ისე—როგორც დავინახეთ, ყველაფერი ეს—ცალკე „სამხედრო ცენტრისა“ და ცალკე „შეფიცულთა“ ჩამოყალიბება—ხდება 1922 წლის მარტში, იმავე წლის აპრილში ჩოლოყაშვილი მოწოდებით მიმართავს სამშობლოს ერთგულებს:

„რუსეთის ველური ურდოები შემოესია ასი წლის მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს და კვლავ ცეცხლითა და მახვილით ააოხრა იგი.

მოსკოვის აქაური აგენტები გულმოდგინეთ იღვწიან, რომ ჩვენი ცხოვრებიდან ძირითადად აღმოფხვრან ყოველივე ნასახი ეროვნული თავისუფლებისა...

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებით ციხეებია ავსილი. ყველა არაკომუნისტი ქართველი კანონის გარეშეა გამოცხადებული თავისივე სამშობლოში...

ჩვენი ერის ასეთი უკიდურესი მდგომარეობის გამო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბუნებრივად აღმოცენდა აქტიური მოქმედების რაზმები, ბევრგან უკვე სისხლი დაიღვარა...

საქართველოს მტრებმა ამაზე ქალებისა და ძუძუმწოვარა ბავშვების დატუსაღებით უპასუხეს.

ასეთი უმსგავსო რეპრესიები კიდევ მრავალ ახალ ძალებს გამოიწვევს ბრძოლისათვის.

საქართველოს შვილნო! ჩვენი მტრები შეეცდებიან ჩვენი მოქმედების გაშავებას და სახელის გატეხას: ისინი ჩვენს ბრძოლას ბანდიტურად და ავანტიურად მონათლავენ.

მაგრამ... თქვენა ხართ და დარჩებით პირველი მოწმე ჩვენი მოღვაწეობისა. თქვენ ხედავთ და მუდამ გეცოდინებათ თუ რას ემსახურებიან და რისთვის იღვწიან კახეთის რაზმები, რომელთაც მე ვხელმძღვანელობ—არავითარი პირადული, არავითარი ჯგუფური, წოდებრივი ან პარტიული მიზანი და მისწრაფება.

საქართველოს დახსნა ეროვნული მონობის უღლისაგან და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა—აი, ერთადერთი მიზანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი რაზმები და რომელიც ჩვენივე სისხლით აღბეჭდილია ჩვენ სამფეროვან დროშაზე.

ამ იდეას იზიარებს დღეს მთელი საქართველო და ერი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აკაჟებდა თავის ეროვნულ გრძნობებს, არასოდეს არ მოიხრის ქედს მონობის უღელქვეშ.

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ე რ თ ე უ ლ ნ ო!

საქართველოს მტრების განკითხვის დრო მოახლოებულია. მათ აიმხედრეს თავის მოწინააღმდეგე. მთელი კულტურული კაცობრიობა.

ვიყენეთ მხნე, მტკიცე და გაბედულნი!

სალამი თქვენ და გამარჯვება საქართველოს!

აპრილი 1922 წელი
კახეთი
ქაქუცა ჩოლოყაშვილი"[1]

ხოლო ივნისში, სიღნაღის ახლოს, ქაქუცას და მის „შეფიცულებს" პირველი სერიოზული შეტაკება მოუხდათ რუსულ-ბოლშევიკურ საოკუპაციო ჯართან. შედეგი ამ სრულიად უთანასწორო შეტაკებისა, სრულიად ბუნებრივადეე, იყო მხოლოდ ამაო გმირობა, იძულებითი უკუქცევა და ახალი პარტიზანული გამოხდომისათვის სამზადისი.

აგვისტოში, კი ერთპარტიული (ეროვნულ-დემოკრატიული) „სამხედრო ცენტრი" მაშინვე ხუთპარტიული დამკომის ერთერთ კომისიად ჩამოყალიბდა და ჩოლოყაშვილიც თავისი რაზმით ამ „კომისიის" უმაღლეს უფლებამოსილებაში მოექცა.

მაგრამ „ცენტრი" მაინც თავისას „ცენტრობდა", განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან. მისი თავმჯდომარე ალექსანდრე ანდრონიკაშვილი იყო, შტაბის უფროსი — როსტომ მუსხელიშვილი, სხვა ორგანიზაციებთან და მათ შორის თვით „დამკომთან" ურთიერთობის წარმოება ეარდენ წულუკიძეს ეევალებოდა, დაზვერვისა და კონტრდაზვერვისა, ისევ მუსხელიშვილთან ერთად, დაკისრებული ჰქონდა ივანე ნარიკელაძეს.

თავიდანვე აშკარა გახდა, რომ პარტიები, მიუხედავად ვაერთიანებისა და ერთიანი მიზნების დასახვისა, ერთმანეთს მაინც ნაკლებად ენდობოდნენ, თავიანთ შესაძლებლობებსა და ვანზრახვებს ერთმანეთს არ უმხელდნენ. განსაკუთრებით ეს ორი წამყვანი პარტია — სოციალისტ-მენშევიკები და ეროვნულ-დემოკრატები, საერთო

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, № 1143. გვ. 1-2.

საბჭო-საკრებულოს გვერდის აელით, საკუთარ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების დირექტივებით განაგრძობდნენ მუშაობას.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს „დამკომთანაც“ და „სამხედრო ცენტრთან“, თუ „კომისიასთან“, ასე თუ ისე, კავშირი ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც უმთავრესად დამოუკიდებლად მოქმედებდა. აჯანყების მთავარ გმირს უნდა სცოდნოდა, რომ სწორედ აჯანყების თაობაზე პარტიებსა და ამ პარტიათა გაერთიანება — დამკომში ერთიანი აზრი არ არსებობდა. აჯანყების დაწყებას მხარს უჭერდა ჯგუფი, რომელსაც სათაეში კოტე აფხაზი და დავით (დათა) ვაჩნაძე ედგნენ, მეორე ჯგუფს — უფრო „პაციფისტურს“, ვარდენ წულუკიძე და მისი წრე წარმოადგენდა.

არადა, აჯანყება უკვე დაწყებულიყო — 1922 წლის აგვისტოში, კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. აჯანყებულთა ბელადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი გახლდათ.

ხოლო თბილისის „ჩეკას“ უკვე ხელთ ჰქონდა „ბრძანება №1“, რომელიც „სამხედრო ცენტრიდან“ ეგზავნებოდა სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დაწყებისათვის და, კიდევ, ამ „ბრძანებასთან“ ერთად პირადი წერილი, „სამფერის“ ხელმოწერით.

აი, ეს წერილიც და „ბრძანებაც“:

„ძვირფასო ქართველო, ამასთან ერთად გიგზავნი საქართველოს პარტიზანთა მთავარი სამხედრო ოპერატიული შტაბის ბრძანებას. საზღვარგარეთს დაუკავშირდით. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და იტალიას განზრახული აქვთ ძალით ჩაერიონ რუსეთის საქმეებში — ემზადებიან კონსტანტინეპოლი-ანგორას მეშვეობით. ამ გეგმის შესრულებას შემოდგომაზე შეუდგებიან, ასე რომ, შესაძლოა ჩვენი აჯანყება მათს გეგმებს დაემთხვას. საზღვარგარეთს ფული და იარაღი შევუკვეთეთ. პარიზიდან ძველი მთავრობა მოგვიწოდებს, რომ აქტიურად ვიმოქმედოთ, გვპირდებიან შეკვეთილ ფულსა და იარაღს. უახლოეს მომავალში ველით მათს პასუხს. თუ უცხოელებმა გადაწყვეტილების მიღება გადადეს, ჩვენ მაინც გამოვალთ... გაცნობებთ, რომ შეიქმნა სამხედრო ცენტრი. შტაბის შემადგენლობაში „მუხაც“ შედის... ვარდენთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტე, ის აქტივობის მოწინააღმდეგეა. შტაბთან კავშირი გქონდეს „მუხას“ მეშვეობით. ფაქტობრივად ეს შტაბი დამოუკიდებლობის ინტერპარტიულ კომიტეტთან არსებულ სამხედრო შტაბად ითვლება... სამფერი“.

და, „ბრძანებაც“:

„საქართველოს პარტიზანთა უფროსი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ბრძანება. №1

20 აგვისტო.

გაცნობებთ, რომ ოკუპანტებისაგან საქართველოს განთავისუფლების ვადად ქართველ პარტიზანთა სამხედრო-ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილების თანახმად დანიშნულია დრო ამა წლის 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. ავჯანყების ერთიან ოპერატიულ გეგმას, სადაც გამოსვლების დღეც აღნიშნული იქნება, 20 სექტემბერს ადგილზე მიიღებთ დახურული პაკეტით.

15 სექტემბრისათვის აუცილებლად წარმოადგინეთ თქვენი ოპერატიული მოსაზრებანი და დაურთეთ შემდეგი ცნობები:

1) პარტიზანთა საერთო რიცხვი ქართლ-კახეთში, დანაწილებული მაზრებად;

2) ქვეით და ცხენოსან პარტიზანთა რაოდენობა;

3) შაშხანების, ტყვიამფრქვევების, ვაზნების, ქვემეხების რაოდენობა;

4) ლეკებსა და აზერბაიჯანთან დამოკიდებულება (რით შეუძლიათ დაგვეხმარონ);

5) ავჯანყებულთა გამოკვების გეგმა;

ვალდებული ხართ ეს ბრძანება 20 სექტემბრამდე სრულიად საიდუმლოდ შეინახოთ.

ცენტრალურ შტაბთან კავშირისათვის გამოგზავნეთ რჩეული, საიმედო ხალხი. ცენტრალური შტაბის მისამართია „მუხა“.

საქართველოს პარტიზანთა მთავარი შტაბის დავალებით — „სამფერი“.[1]

ეს უმნიშვნელოვანესი მიწერილობანი აღმოაჩნდა ჩეკისტებთან შეტაკებისას მოკლულ სოციალ-დემოკრატ შალვა ფავლენიშვილს, და მაშინვე გამოირკვა შემდეგი:

წერილი, დაწერილი 1922 წლის 26 ივლისის თარიღით, „სამფერის“ ფსევდონიმით, ეკუთვნის „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთ აქტიურ წევრს, ეროვნულ-დემოკრატ დავით (დათა) ვაჩნაძეს, რომელიც ქაქუცას ატყობინებს: უკვე „სამხედრო ცენტრმა“ გადაწყვიტა ავჯან-

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 58-59.

ყების დაწყება, ევროპა დახმარებას გეიეზავნის თურქეთის გამოვლით; ჩვენ დაგვიჯერე და სხვას ნუ დაუჯერებ, მაგალითად, ეარდენ წულუკიძესთან საერთოდ შეწყვიტე კავშირი, რადგან იგი „აქტიურობის წინააღმდეგია“. ხოლო, იქვე თანხლებული „ბრძანება №1“ აუწყებდა ჩოლოყაშვილს: საქართველოს ოკუპაციისგან განთავისუფლების ვადაა 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე; ხოლო მანამდე — 15 სექტემბრამდე, ჩოლოყაშვილმა „სამხედრო ცენტრის“ ოპერატიულ შტაბს უნდა აცნობოს შეიარაღებული გამოსვლის ყოველი ოპერატიული და ტაქტიკური გადაწყვეტა, საომარ ძალთა რაოდენობა, შეიარაღების დონე, და სხვ. შტაბის სახელით ბრძანებას, როგორც ითქვა, ხელს აწერდა „სამფერი“, იგივე დავით ვაჩნაძე.

როცა ყველაფერი გამჟღავნდა და გახმაურდა, დავით ვაჩნაძეს ეს წერილები პირად ინიციატივად და „თვითნებობადაც“ ჩაუთვალეს და თვითონ მისიანებმა მისი პარტიის, ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტიდანაც კი გარიცხეს. არადა, დასტურდება, რომ ვაჩნაძეს ეს წერილები შეთანხმებული ჰქონდა კოტე აფხაზთან და როსტომ მუსხელიშვილთან[1]. მაინც ვაჩნაძის „თვითნებობა“ მაშინ ასეთი „სასჯელით“ აღინიშნა, თუმცა ერთი წელიც არ გაივლის და „სამფერ-დათას“ პარტია ცენტრალურ კომიტეტშიც აღადგენს და პრეზიდიუმის წევრადაც გაიყვანს.

უკვე დაწყებული ავჯანყების ცენტრი დუშეთში იყო. საერთო გეგმაც ასეთი ჰქონდათ ავჯანყებულთა მეთაურებს: როგორც კი რუსული ჯარი ქაქუცასთან შესაბრძოლებლად დუშეთს დაიძვრებოდა, მაშინვე მას ზურგიდან ქართველთა რაზმით თავს დაესხმოდა მიხეილ ლაშქარაშვილი. ორმხრივი დარტყმის ქვეშ მტრის განადგურების შემდეგ, გამარჯვებულები, ქაქუცას წინამძღოლობით, პირდაპირ თბილისის დასაუფლებლად დაიძვრებოდნენ. პარალელურად ამ ამბებისა ავჯანყებანი უნდა მომხარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლისა და კახეთის ყველა მაზრაში.[2]

მაშინ სტამბულში იმყოფებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი შალვა ქარუმიძე, რომელიც თურქეთის ხელისუფლებას დაუკავშირდა და საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ უკვე დაწყებულ ომში ჯარითა და იარაღით დახმა-

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 24

[2] ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, გვ. 12.

რება და თანადგომა სთხოვა. თურქებმაც მაშინვე თანხმობა მისცეს, სამი პირობის მოთხოვნით: 1) ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება, 2) ახალციხე-ახალქალაქის მხარის მთლიანად თურქეთისათვის გადაცემა, 3) ბათუმ-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის ექსტერიტორიულად გამოცხადება.[1]

ქარუმიძემ ასეთი პირობების მიღება შეუძლებლად მიიჩნია, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა მაინც დამკომისთვის ეცნობებინა და ამისთვის თბილისში სოლომონ ზალდასტანიშვილი გამოეზავნა. ზალდასტანიშვილი ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთ პარტიის ლიდერს, კოტე აფხაზს შეხვდა და ყოველივე აუწყა. კოტე აფხაზმა პარტიის კომიტეტის საგანგებო სხდომა შეჰყარა და კატეგორიულად ეს განაცხადა: „ქართველი ხალხისათვის ამნაირი პირობების შესრულება მიუღებელია, ამიტომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ჯერჯერობით საკუთარ ძალებზე დავეყრდნობით. თუ თურქები საქართველოს დამოუკიდებლობას აფასებენ და მეგობრობა ჰსურთ, მათ დღეს უპირობოდ უნდა გაგვიწიონ დახმარება“. ამავე აზრით, მთელმა პარტიამ უარყო ოსმალეთის წინადადება[2]

რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლების და კავკასიის არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განკარგულებით, დუშეთისაკენ ჯარი დაიძრა აჯანყების ჩასაქრობად და ჩოლოყაშვილის გასანადგურებლად. ამ საექსპედიციო ჯარის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც იმავე დროს — რასაკვირველია, ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან არალეგალურად — იყო დამკომის სამხედრო ცენტრის წევრი. სალაშქრო გზაზე დამდგარმა მუსხელიშვილმა წინასწარ ინახულა სოციალ-დემოკრატიულ-მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ექიმი იოსებ ცინცაძე და „კატეგორიულად მოსთხოვა, რომ სოც-დემ. რაზმები დუშეთის მიდამოებში მის განკარგულებაში გადაეცათ“[3].

ცინცაძემ ეს საკითხი სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გაიტანა. კომიტეტმა აჯანყების დაწყება ნაადრევად მიიჩნია, შეიარაღებული ვამოსვლა დაგმო

---

[1] ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, გვ. 14-15
[2] იქვე, გვ. 12
[3] ს. ზალდასტანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

და ეს გადაწყვეტილება უკვე ფრონტზე გასულ თავის წევრებსაც გაუგზავნა. ეს რომ შეიტყვეს, ქაქუცას დასახმარებლად დაძრულმა ლაშქარაშვილმა და ფალავანდიშვილმა ქართლში შეყრილი რაზმები დაშალეს და უკან გაბრუნდნენ.[1]

მუსხელიშვილიც რუსის ჯარით დუშეთს მივიდა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკს მიადგა. ქაქუცაც გამოუხტა, შეებრძოლა და რუსის ჯარი გამოაქცია; მცხეთამდე მოსდია, მაგრამ, მაინც, „ძალების სიმცირის გამო ქაქუცა იძულებული იყო დევნა შეეჩერებინა".[2] იგი ისევ დუშეთს გაბრუნდა და იქ იწყო ხელახალი გამაგრება. მაგრამ რუსული ჯარი, ახალი რაზმებით შეესებული და გამაგრებული, კონრშეტევაზე გადავიდა და აჯანყებულთა რაზმი ალყაში მოაქცია. ჩოლოყაშვილმა გააფთრებული იერიშით გაარღვია ალყა და კახეთისკენ გაქუსლა. რუსები ხევსურეთს შეესივნენ და იქაური სოფლები სასტიკად ააოხრეს.

1922 წლის აგვისტოს აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოში ასე დასრულდა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები გააჩაღა. ოდნავ ეჭვმიტანილებსაც იჭერდნენ და ხვრეტდნენ.

1923 წლის თებერვალში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის, კ. მესაბიშვილის ჯაშუშობის წყალობით, ჩეკამ შეიპყრო აჯანყების დამწყებთა მთავარი ბირთვი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისია შეეცადა დაპატიმრებულთა გადარჩენას, მაგრამ ვერაფერს გახდა. 19 მაისს, ჩეკას დადგენილებით, დახვრეტილ იქნენ: 1. ეროვნ-დემოკ. პარტიის თავმჯდომარე გენ. კ. აფხაზი, 2. გენერალური შტაბის წევრი გენ. ა. ანდრონიკაშვილი, 3. გენ. ვარდენ წულუკიძე, 4. პოლკ. რ. მუსხელიშვილი, 5. პოლკ. გ. ხიმშიაშვილი, 6. პოლკ. ელ. გულისაშვილი, 7. პოლკ. ალ. მაჭავარიანი, 8. პოლკ. დიმ. ჩრდილელი, 9. როტმ. სიმ. მუხრანბატონიშვილი, 10. როტმ. ფ. ყარალაშვილი, 11. ლეიტ. ლ. კლიმიაშვილი, 12. სამხედრო მოხელე მ. ზანდუკელი, 13. იასონ კერესელიძე, 14. ს. ჭიაბრიშვილი, და 15. ივ. ქუთათელაძე.[3]

იმავე 1923 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის

---

[1] ს. ზალდასტანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 17.

აღდგენის ხუთი წლის თავზე, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ ერთა ლიგას მიმართა საგანგებო „მიმართვით“:

„ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის გარშემო ადგილობრივ შემოკრებილია დღეს მრავალ ტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას და მისი საშუალებით მთელ განათლებულ კაცობრიობას და აუწყებს მათ ქართველი ერის დღევანდელ უბედურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ აღწერილი სურათი ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობისა იქნება მკრთალი, რადგან შეუძლებელია სიტყვით გადმოცემა იმ ვაების, იმ წამებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო...

1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია საქართველოს... რუსეთმა ის კვლავ დაიპყრო. დღეს საქართველო კვლავ რუსეთის ოკუპაციის ქვეშ არის. ეს ოკუპაცია-დაპყრობა არ შეედრება არც ერთ ისტორიაში არსებულ ეროვნულ ძალდატანებას და დაპყრობას... საქართველოში გამეფდა უსაშინლესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები... საქართველო სასაკლაოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი. ვფიქრობთ, რომ ერთა ლიგა აიმაღლებს თავის ავტორიტეტულ ხმას ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ...

რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში აოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია. ამ ორი თვის წინ გურია, საქართველოს ეს საუკეთესო და კულტურული ნაწილი, სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურეს. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურად ყოფილი ყაჩაღი, ახლა ბოლშევიკი ობოლაძე. ობოლაძემ გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დაწვა ახალგაზრდა უდანაშაულო 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ერთ ღამეში 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს, მათ შორის 15 პოლიტიკური მოღვაწე, მასწავლებლები, სტუდენტები, კოოპერატორები, მუშები, გლეხები...

ამა წლის 20 მაისს რუსეთის ჩეკამ გაუსამართლებლად დახვრიტა 15 ქართველი მხედარი. ქართველი მხედრობის ხელმძღვანელნი—ღ-

ნერლები, შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი...

ისპობა და ნიავდება საუკუნეობით შექმნილი კულტურული ნაშთები. საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა, და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც აღარ შეუძლია. ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია და გაანადგურა ეკლესია-მონასტრები... საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია არარაობაა იმ წამებასთან, რომელსაც ოკუპანტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს... მაგრამ ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის დამპყრობელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას.

ერთა ლიგისადმი მიმართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი... ისმინეთ ხმა კულტურული პატარა ერისა. ეს ერი იჟლიტება ფიზიკურად, ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი კულტურული კერა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა — ეს სამართლიანობის უაღრესი ორგანო, მიიღებს ყოველგვარ ზომებს ქართველი ერის გადასარჩენად და მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი,

26 მაისი, 1923 წ."[1]

მარცხმა და რეპრესიებმა საზოგადოებაზე დიდი გავლენა მოახდინა. მწარედ განიცდებოდა თვით აჯანყების მოუმზადებელი დაწყება და ამის შედეგად მიღებული მარცხი. თვითონ „ჩეკას" გამოძიებაც თითქოს „გულწრფელად" ამბობს ამას: „პარტიებმა ვერ შეძლეს დროზე მოეხდინათ ძალთა მობილიზაცია ჩოლოკაევის დასახმარებლად"[2]. თვითონ „სამხედრო ცენტრმა" ლამის თვითლიკვიდაცია მოახდინა. მისი რაიმე სხდომაც კი აღარ გამართულა და — „წამოჭრილ საკითხებს სამხედრო ცენტრის წევრები ქუჩაში შეხვედრის დროს წყვეტენ"[3].

1922 წლის ნოემბერში ემიგრაციიდან დაბრუნდა ნოე ხომერიკი, ჟორდანიას ყოფილი მთავრობისა და მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1331, გვ. 66-67-65-64-63. (გვერდები ამგვარად არის მითითებული ნ.კ.).

[2] სუკის არქივი, №8, გვ. 25.

[3] იქვე, გვ. 26.

აქტიური წევრი. ჩამოვიდა ივი ჩვენთვის უკვე ცნობილი „საზღვარგარეთის ბიუროს“ რწმუნებებით.

ჩამოვიდა და, თითქოს, კიდევაც ეამოაღვიძა და კვლავ საბრძოლოდ განაწყო ინდიფერენტული განწყობილებით მოცული პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრება. ისევ ამოძრავდა პარიტეტული სტრუქტურა — დამკომი, რომელთანაც, სწორედ ხომერიკის ინიციატივით, აქტიურად ამუშავდა ახლად რეორგანიზებული „სამხედრო კომისია“. ამ ახალი სტრუქტურის მთავარ მავისტრატებად ვამოცხადდნენ — თვითონ ნოე ხომერიკი (მენშევიკური პარტიისაგან) და მიხეილ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან). ამ ორი კაცის ხელში გადავიდა ფაქტობრივად მთელი შემდგომი სამზადისი ახალი აჯანყებისა.

„სამხედრო კომისიის“ გააქტიურების ფონზე, „სამხედრო ცენტრი“ ფაქტობრივად უმოქმედო და ფორმალური შეიქნა.

ასე იქნება 1923 წლის მარტამდე, როცა მთელ სამხედრო ცენტრს უკლებლივ დააპატიმრებენ და დახვრეტენ.

მაგრამ არა მხოლოდ „სამხედრო ცენტრი“, იმავე დროს მძიმედ დაზარალდა საერთოდ პარიტეტული კომიტეტი. პატიმრობაში აღმოჩნდა მისი თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე; დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა; დააპატიმრეს ახალგაზრდა მარქსისტების არალეგალური ცენტრალური კომიტეტი; დააპატიმრეს მენშევიკთა თბილისის კომიტეტის მთლიანი შემადგენლობა; მოახდინეს ლიკვიდაცია რამდენიმე რაიონის პარტიული ორგანიზაციისა; მოახდინეს რეკვიზიცია ოთხი არალეგალური სტამბისა, და სხვ.[1]

ნოე ხომერიკი,—როგორც შემდგომ თვითონ საპატიმრო აღიარებაში განაცხადებს — საქართველოში დაბრუნდა, რათა ემუშავა „არსებული წყობილების წინააღმდეგ — წყობილებისა, რომელიც საქართველოში გარე ძალთა მეშვეობით დამყარდა“.[2]

ჩამოსვლისთანავე მან საგანგებოდ მოწვეული პარიტეტული კომიტეტის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც ჯერ აღნიშნა

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 27.

საზღვარგარეთ მყოფი მთავრობის საქმიანობა— რომ ამ მთავრობის თავგამოდებული ღვაწლის წყალობით „შეიქმნა საქართველოს საკითხი ასე პოპულარული“ მთელს მსოფლიოში, და ბოლოს „დაასაბუთა“, რომ —„თუ შეეძელით საქართველოს აჯანყება და ერთიორი თვეც გავუძელით, მაშინ არის იმედი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხრივ დიპლომატიური ჩარევისა და ფულით დახმარებისა“[1]. ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჩვენს სასარგებლოდ არის განწყობილი,—განაგრძობს ხომერიკი—ამიტომ მუშაობა უნდა გავშალოთ და ყველაფერი ისე მოვამზადოთ, რომ საჭირო და ხელსაყრელ მომენტში იარაღით ხელში შეეძლოთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, „და განვაცხადოთ, რომ არსებობს ქართველი ხალხი, და ჩვენს გამოსვლას მხარს უჭერს ევროპა“.[2]

ამ სიტყვების წარმოთქმის მეორე დღიდანვე ხომერიკი თითქმის ერთპიროვნული წინამძღოლი შეიქმნა ქართულ პარტიულ წრეებში ახალი ააჯანყებო განწყობილებისა და მზადების საქმიანობაში. იგი თითქმის დამოუკიდებლად, როგორც ამბობდნენ — „დიქტატორულად“ ფლობდა და იყენებდა ყველაფერს; ბეჭდავდა და აქვეყნებდა, რაც უნდოდა; კავშირებს ამყარებდა მაზრებთან, სოფლებთან; დამკომიც თითქოს საკუთარ აპარატად გაიხადა. თვითონ მენშევიკური პარტიის საორგანიზაციო საქმეებსაც განაგებდა ერთპიროვნულად.

სამხედრო კომისიაში ხომერიკმა, თაეისთავთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილი შეიყვანა; უკანასკნელი მალე ჩეკამ დააპატიმრა და მის ადგილზე გ. წინამძღვრიშვილი დაისვა ხომერიკმა. მერე, სოფლებთან ურთიერთობისათვის „სოფლის კომისია“ შექმნა და მისი უფროსობა კალენიკე (კალე) ქავთარაძეს მიანდო.

1923 წლის აპრილში შესდგა საიდუმლო სამხედრო ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ „ყველა იარაღის წარმომადგენლები“.[3] აქ მოწონებულ იქნა აჯანყების საერთო ეგზი, დამუშავდა და დაზუსტდა მისი მოსამზადებელი მუშაობის ფორმები და მეთოდები. მიღებული იქნა, რომ აჯანყებისა და შეიარაღებული შეტევის მთავარი სამიზნეები უნდა ყოფილიყვნენ თბილისი და ბათუმი.[4]

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 27.

[2] იქვე.

[3] ს. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 19

[4] იქვე.

ამავე ყრილობაზე წაიკითხეს და მიიღეს ფიცის ტექსტი, რომელიც სოლომონ ზალდასტანიშვილმა მაისში გაუგზავნა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ქაქუცამ იგი მაშინვე მიაღებინა თანამებრძოლებს, რომელთაც აღრე მიეღოთ თავისი „საკუთარი ფიცი" — და აქედანვე მათ შერჩებათ სამუდამოდ საისტორიო სახელი — „შეფიცულნი"...

კელავ იდგა საკითხი დანარჩენ კავკასიურ ქვეყნებთან ურთიერთობისა და რუსულ ოკუპაცია-ანექსიის დასამხობად ერთიან-კავკასიური აჯანყებისა.

ამავე საკითხს იხილავენ პარიზში ჟორდანია და თანაპარტიელები: რამიშვილი, კანდელაკი, ჩხენკელი, ჩხიკვიშვილი, არსენიძე, ჯუღელი და ცინცაძე.

„ნ. ჟორდანია: სადავო არ უნდა იყოს ის, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის საჭირო იქნება გამოსვლა, ხოლო რა პირობებში უნდა მოხდეს იგი, რომ გამარჯვების პერსპექტივები იყოს.

1. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ვანმარტოებული და აზერბაიჯანი და მთა ჩვენთან უნდა გამოვიდნენ.

2. ოსმალეთის მხრივ ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო ნეიტრალიტეტი, არამედ ერთგვარი ხელის შეწყობაც...

უდავოთ მიგვაჩნია, რომ საქართველოს განთავისუფლება უნდა მოხდეს ქართველი ხალხის შეიარაღებული გამოსვლით*. ეს გამოსვლა რომ დაგვირგვინდეს უეჭველი გამარჯვებით, საჭიროა გამოსვლა იყოს კავკასიის მასშტაბით, ყოველ შემთხვევაში აზერბაიჯანი და მთა მაინც უნდა იღებდნენ იმაში აქტიურ მონაწილეობას...

მომენტს გამოსასვლელად სწყვეტს დამ. კომიტეტი, რომელთანაც ერთად პასუხისმგებლობას ჩვენც ვკისრულობთ.

აკ. ჩხენკელის პროექტი. საქართველოს განსათავისუფლებლად რუსეთის უღლისაგან აუცილებელია იქნეს ხალხის შეიარაღებული გამოსვლა საოკუპაციო ძალთა წინააღმდეგ, მაგრამ ამ გამოსვლის გამარჯვებისათვის აუცილებელია სამი წინასწარი პირობა: ა) მეზობლების შეთანხმებული შეიარაღებული მონაწილეობა საერთო

---

* მოგვიანებით ამის შესახებ ჟორდანია იტყვის: „მე, კი, თუმცა ამ აჯანყების წინააღმდეგი ვიყავი, მაინც რაკილა ის მოხდა, მის პასუხისმგებლობას ვიზიარებო". ეს იქნება ზუსტად ორი წლის შემდეგ.

იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1153, გვ. 2-3

ბრძოლაში. ბ) ოსმალეთის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი და გ) იარაღით და ფულით მომარაგება აჯანყებული ხალხისათვის გარედან.

ვასკვნით:

1. მომენტის შერჩევა შეიარაღებული გამოსვლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე უნდა იყოს და ჩვენ ყველანი ვინაწილებთ მასთან პასუხისმგებლობას.

2. სამზადისი გამოსვლისათვის განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს, როგორც ჩვენში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში და ეს სამზადისი უნდა იყოს ნავარაუდევი უფრო ხანგრძლივი დროისათვის თუ ვინიცობაა ვერ შევძელით ზემოაღნიშნული სამი პირობის მიღწევა, ან თუ ამ მოკლე ხანში თვით რუსეთში არ მოხდა რამე არაჩვეულებრივი ამბავი და

3. უნდა გაგრძელდეს ენერგიული მუშაობა უცხოეთში, რათა დაჩქარებით გამოირკვეს ოსმალეთის პოზიცია კავკასიის ხალხთა საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ და მიეცეს მას საერთაშორისო გარანტია. კერძოთ, აჭარისათვის ავტონომიის მინიჭება საქართველოს სუვერენობის ქვეშ, რომ ოსმალეთის ნეიტრალობა იქნეს... ევროპის ერთმა, რომელიმე დიდმა სახელმწიფომ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინოს ჩვენდამი, და გარდა ოსმალეთის ლოიალობის უზრუნველყოფისა, დაგვეხმაროს ამა თუ იმ გზით იარაღით, ფულით და რჩევით.“

აკ. ჩხენკელი. ვინც ჩემს რეზოლუციას იწუნებს, იგი პირდაპირ არ სვამს საკითხს: საჭიროთ მიგაჩნიათ თუ არა თქვენ ის პირობები გამოსვლისათვის, ის სამი პირობა, რომელიც ჩვენ წინად აუცილებლად მიგვაჩნდა... ნ. ჟორდანიას რეზოლუციაში არის ორი მომენტი, მესამე, ე.ი. დამზადება ფულისა და იარაღისა გამოუტოვებია. შეიძლება ჩვენში მართლა არის ისეთი მომენტი, რომ ხალხი ვერ ითმენს, მაგრამ ენებას ვერ ავყობით. საჭიროა რეალური გარანტიები გამარჯვებისა და არა მარტო დაწყება, ამიტომ მე ვიზიარებ ნ. ჟორდანიას რეზოლუციას, თუ მესამე მუხლიც მიემატება...“[1]

აკაკი ჩხენკელის რეზოლუციას ხმა მისცა ორმა, წინააღმდეგი გამოვიდა ექვსი. მიიღეს ნ. ჟორდანიას რეზოლუცია.

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, №1075, გვ. 4-5-6.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმ საერთო კავკასიურ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა საზღვარგარეთ. იგივე საკითხი ისმებოდა თვითონ კავკასიაში. წინამძღვრიშვილი იტყვის თავის ჩვენებაში: „საქართველოს საკითხი რომ უფრო ადვილად გადაწყვეტილიყო, საჭიროდ ვცანით შეთანხმებულიყავით ჩვენს მეზობლებთან. როგორც ჩვენი საზღვარგარეთის წარმომადგენლობა გვაუწყებდა, იქ უკვე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ყველა პოლიტიკური გამოსვლის დროს ემოქმედათ ერთად. საჭირო იყო აქაც შეგვექმნა მათთან კონტაქტი.“[1]

მაგრამ მიუხედავად იმისა, „რომ საზღვარგარეთულ კონფერენციაზე სომხები დანარჩენ კავკასიელებზე ნაკლებად არ აქტიურობდნენ, აქ — თვითონ კავკასიაში, ყველაზე საეჭვო და უპერსპექტივო აღმოჩნდა სწორედ სომხებთან და მათ მთავარ პარტიასთან—დაშნაკებთან ურთიერთობის საკითხი.“

თვითონ ნოე ხომერიკი ამბობდა ამას თავიდანვე—დაშნაკებს მაინცა და მაინც ვერ ვენდობითო.[2]

ნოე ჟორდანიაც ასე ორჭოფულად იწერებოდა: „სომხეთი ჩვენ არ გამოგვყვება, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში მაინც, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდება ჩაებას ბრძოლაში“[3].

ბოლოს, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილიც ამას იტყვის, შემდგომ, ჩეკაში დაკითხვაზე: „ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის კომიტეტში ჩემ შესვლამდე იყო იმის ცდა, რომ დაგვემყარებინა ურთიერთობა სომხეთთან დაშნაკთა პარტიის ნაშთების სახით, მაგრამ მათ უარი გვითხრეს. მიზეზი არ გაგვირკვევია“.[4]

უფრო საიმედოდ გამოსჩანდა ურთიერთობა აზერბაიჯანელ მუსავატელებთან. 1923 წლის მაისში, ხომერიკის ინიციატივით, ბაქოში მიაელინეს მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული ევტიხი სალუქვაძე, რომელსაც ევალებოდა ორი რამ: ბაქოში მცხოვრებ ქართველ მენშევიკებთან პოლიტიკური კონსულტაციები და იქაურ მუსავატელებთან კავშირის დამყარების ცდა.

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 45-46.
[2] იქვე, გვ. 46-47.
[3] იქვე.
[4] იქვე.

სალუქვაძე, ბაქოელ მენშევიკ მამარდაშვილის მეშვეობით, დაუკავშირდა და გაეცნო მუსავატელ აღა-ალი-იუსუფ-ზადეს, რომელმაც ქართველი დელეგატი შეახვედრა თვით მუსავატისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს — მირზა-ბალა-მამედ-ზადეს. ეს უკანასკნელიც თითქოს უფრო გარკვეული ინტერესითა და გულისყურით შეხვდა ქართული მხარისგან აღძრულ საკითხს, და თავის მხრივ, ივივე აღა-ალი-იუსუფ-ზადეს დაავალა კავშირი დაემყარებინა საქართველოს პარიტეტულ კომიტეტთან.

სალუქვაძემაც მაშინვე ყოველივე აცნობა ხომერიკსა და ფაღავას. ამათაც მოიწვიეს მუსავატისტთა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი თბილისში. და ასე, 1923 წლის ნოემბერში, თბილისს ეწვია აღა-ალი-იუსუფ-ზადე, რომელიც თვითონვე იტყვის:

„თბილისში შევხვდი ქართველ კაცს, რომელიც, როგორც გაირკვა, ყოფილა ფაღავა. ღამე მან სხვა ქართველთან წამიყვანა, რომელიც ხომერიკად გამეცნო. ეკითხე, რა იყო მიზეზი, რომ ესოდენი დაჟინებით გამომიძახეთ-მეთქი. ხომერიკმა მიპასუხა: ეანზრახული მაქვს მთელს კავკასიაში მოეაწყო გამოსვლები და ყველას უნდა გავესაუბროო. მარტო აზერბაიჯანელები დამრჩითო. ხომერიკი ევთავაზობდა გამოსვლებს ორი-სამი კვირის მერე. მე კი ვუთხარი, გამოსვლას ექვს თვეზე ადრე ვერ შევძლებთ-მეთქი. ეთხოვე, მატერიალურად დავეხმარეთ-თქო; ხომერიკმა მიპასუხა — დიდ თანხას ვერ მოგცემთ, მაგრამ პირველი შემთხვევისათვის 300 თურქულ ლირას გამოგიგზავნითო.“[1]

ეს იყო და ეს, — ამით მუსავატისტურ აზერბაიჯანთან ურთიერთობაც გაუწყდა ქართულ „დამკომს“. ეაუწყდა და ჩაეშალა თუნდაც იმ მიზეზით, რომ ყველა აქ მოხსენიებულ პერსონაჟთა საკითხი დურმე საქართველოს „ჩეკაში“ გადაწყვეტილიყო... თუმცა ამაზედ ქვემოთ — ხოლო, ახლა, როცა სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაციონალისტების მხარში დგომის იმედი ქართველ ნაციონალისტებს მოშლოდათ—რჩებოდა ერთადერთი იმედი ჩრდილო-კავკასიისა, განსაკუთრებით ჩეჩნეთისა.

1923 წლის იანვარში ქაქუცა ჩოლოყაშვილს პირადად შეხვდა სოლომონ ზალდასტანიშვილი, რომელიც წერს: „ეროვნულ-დემოკრა-

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 47.

გენერალი კოტე აფხაზი

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ᲙᲐᲙᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

დავით (დათა) ვაჩნაძე

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან

გენერალი ვარდენ წულუკიძე

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან

ROსტომ მუსხელიშვილი

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან



ვალიკო ჯუღელი

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან



ნოე ხომერიკი

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან

ბენია ჩხიკვიშვილი

ფოტო აღებულია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ვასო ნოდია

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

შალვა ავირეჯიბი

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

სოლომონ ზალდასტანიშვილი

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან



ელ'ისე კატარიძე

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ტიული პარტიის დავალებით ვინახულე ქაქუცა, ეავაცანი საერთაშორისო მდგომარეობა „დამკომისა“ და სამხედრო ცენტრის მუშაობა; აღვნიშნეთ სუსტი მხარეები კახეთ-ხევსურეთის გამოსვლისა. ამ დღიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით ჩვენი პარტიის რჩევითა და საშუალებით გადაეიდა „დამკომის“ განკარგულებაში. მან პირობა მოვცა, რომ ის გამოსვლას მხოლოდ „დამკომის“ დასტურით მოახდენდა. მართალი უნდა ითქვას, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ეს პირობა მის მიერ არ დარღვეულა. ადგილსაც რომ იცვლიდა, ამასაც კი სამხედრო კომისიის შეთანხმებით ახდენდა. იარაღზე, ტანსაცმელზე და ფულზე ზრუნვაც (რამდენადაც შესაძლებელი იყო) სამხედრო კომისიას უხდებოდა. ფულის მხრივ „დამკომი“ მუდამ ღარიბი იყო და ამიტომაც ქაქუცა და სხვა რაზმებიც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ“.[1]

ოვითონ ხომერიკს ჩეჩნეთის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ იქაც ამაოება ელოდებოდა. მან ჩეჩნეთში გიორგი წინამძღვრიშვილი გაგზავნა, რომელმაც იქიდან ასეთი რამ შემოთვალა: „აქ ადამიანთა მასალა არის, მაგრამ სპეციალისტების ვარეშეო“[2]. მალე წინამძღვრიშვილიც დააპატიმრეს, ჩეჩნეთშიც თბილისიდან „სპეციალისტები“ ვერ გაგზავნეს და ვერც „ჩეჩნური მასალა“ გამოიყენეს.

მაგრამ მანამდე — წინამძღვრიშვილის დაპატიმრებამდე, მასთან, ჩეჩნეთთან დაკავშირებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილს გამოეჩინა დიდი აქტიურობა. იგი წინამძღვრიშვილზე ადრეც სწვეოდა ჩეჩნეთს და შეხვედრები ჰქონოდა იქაურ თავკაცებთან, პირველ რიგში კი მთელს კავკასიის სამუსლიმანოში ატყობინებდა შეიხთან —ალი მიტაევთან. და, 1923 წლის აგვისტოში, ატყობინებდა ჩოლოყაშვილი წინამძღვრიშვილს: კარგი ეიქნიათ, ჩრდილო კავკასიელებთან კავშრის რომ ეძებთ, ალი მიტაევი ინახულეთ, — მე ის შემპირდა —ოღონდ თქვენ ქართველები აჯანყდით და მაშინვე მთელს კავკასიას თქვენ გვერდში დავაყენებო. წერდა და მოუწოდებდა ასე ჩოლოყაშვილი წინამძღვრიშვილს და თან მიტაევის მისამართსა და პაროლსაც კი ატყობინებდა.[3]

მართლაც შეხვედროდა ეიორგი წინამძღვრიშვილი ალი მიტაევს, მართლა დიდის ამბით გამოუხატავს თანხმობა ქართველი ხალხისად-

---

[1] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 15-16.
[2] სუკის არქივი, №63, გვ. 13-14.
[3] იქვე. გვ. 13-14.

მი ჩეჩენთა თანაბრძოლისა და თანადგომისა რუსული უღლის გადასაგდებად. რამდენიმე ათასეულ მეომარს შეჰპირებია, ოღონდ მათი საომარი წვრთნისათვის 50 ქართველი ოფიცერი გამომიგზავნეთ ჩეჩნეთშიო.[1]

მერე მიტაევსა და წინამძღვრიშვილს დაღესტნელებსა და კაზაკობაზეც ჩამოუგდიათ ლაპარაკი. აღმოჩნდა, რომ მიტაევი და დაღესტნის ასევე პოპულარული ბელადი, იმამი ნაჯმუდინი ქიშპსა და შუღლში ყოფილან ერთმანეთის მიმართ. მაგრამ რაკი საქმე საქართველოს ეხება, მე მზად ვარ ლეკების ბელადს შევურიგდეო, — უთქვამს ჩეჩენთა ბელადს ქართველი სტუმრისათვის, და მაშინვე წერილიც მიუწერია მიტაევს ნაჯმუდინისთვის შერიგების თხოვნით.[2]

წინამძღვრიშვილს იმ წერილის პასუხისთვის აღარ დაუცდია, ჩეჩნეთში თავისი თანმხლები კონსტანტინე ყარანგოზიშვილი დატოვა და თვითონ თბილისში დაბრუნდა. მაშინვე ნოე ხომერიკს შეხვდა წინამძღვრიშვილი და ჩეჩნეთში დელეგირების შედეგები გააცნო. ხომერიკმა თავის მხრივ კოტე ანდრონიკაშვილს გააცნო და რაკი „დამკომის“ პრეზიდიუმმა უკვე ყველაფერი იცოდა, დასკვნა და დადგენილებაც იქვე შედგა: ჰქონოდათ კონტაქტი ჩრდილოეთ კავკასიასთან, ოღონდ ჩეჩენთაგან ნათხოვი იმ 50 ოფიცრის გაგზავნისგან თავი შეეკავებინათ, იმ მოტივით, რომ „ამის სახსრები არა გვაქვსო.“[3]

დიდხანს არ გაუვლია და, ჩეჩნეთიდან თბილისს კაცი მოვიდა, ალი მიტაევისგან გამოგზავნილი, თან ყარანგოზიშვილის წერილით: ძალიან გთხოვთ, დააჩქაროთ იმ 50 ოფიცერ-ინსტრუქტორის გამოგზავნაო, — შემოუთვალა ჩეჩენთა ბელადმა.

უპასუხობა უტაქტობაზე უარესი უნდა ყოფილიყო და უკან გაბრუნებულ ჩეჩენ მოციქულს ქართველებმა თავისი კაცი გააყოლეს — ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი ლეო დგებუაძე, რომელსაც ასეთი დავალებები მიჰქონდა: 1) დაარწმუნე ალი მიტაევი, რომ ჩვენ განვაგრძობთ გაძლიერებულ მუშაობას აჯანყებისათვის; 2) აღუთქვი, რომ იმ 50 ოფიცრის გაგზავნას შევასრულებთ; 3) შეკრიბე და ჩამოგვიტანე ინფორმაციები ჩეჩნეთსა და მისი მეზობლების მდგომარეობაზე.[4]

---

[1] სუკის არქივი, №63, გვ. 13-14.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

უკან ჩამობრუნებულმა დეებუაძემ პასუხად ეს ჩამოიტანა: ალი მიტაევს კავშირი გაუბამს კაზაკობასთან, ვინმე ვენერალ ფედიუშენკოს მეშვეობით. ეს იყო და ეს. ხელცარიელი მივიდა—ხელცარიელი წამოვიდა. ლოდინი გრძელდებოდა.

ნოე ხომერიკის ეფემერული „დიქტატორობაც", რევკომისა და ჩეკას წყალობით, მალე უნდა დასრულებულიყო. 1923 წლის 8 ნოემბერს იგი ვინმე „ამირანს" და „ნოშრევანს" წერილობით დირექტივას უგზავნის:

„თქვენ თქვენი საკუთარი ძალებით ახლავე, თავიდან ბოლომდე უნდა ჩამოაყალიბოთ სამხედრო ორგანიზაციები და აღრიცხოთ იარაღი და ხალხი... ეს, რა თქმა, უნდა, მთელი საჭირო სიფრთხილით უნდა გაკეთდეს... მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ დარტყმის მომენტი ფაქტობრივად რუსეთის საგარეო სამხედრო საქმიანობას უნდა დაემთხვას... ეს გარემოება მხედველობაში უნდა გვქონდეს და აქედან სათანადო დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ:

დასკვნა კი ის არის, რომ ქართველი ხალხი უნდა გათავისუფლდეს ოკუპაციისაგან... მხოლოდ მაშინ მიაქცევენ ამას ყურადღებას. უკეთესი მომენტი არ იქნება... გამოსვლა ყველგან ერთდროულად უნდა მოხდეს, ელვისებურად... ყოველმა კუთხემ თავისი ამოცანა უნდა შეასრულოს. თუ ეს მოხდა, ჩვენი ორგანიზაციები სამუდამოდ გათავისუფლდებიან... ორგანიზაციები მტკიცე უნდა იყვნენ და მოწოდებისთანავე ფეხზე დადგნენ."[1]

და მეორე დღეს, 9 ნოემბერს, კიდევ ერთი წერილი, ამჯერად საზღვარგარეთის ინტერპარტიულ ბიუროს:

„როგორც წინა წერილში გწერდით, აჯანყების საკითხი სერიოზულად დგას... ვფიქრობ, რომ ერთი თვის მერე განხორციელდება... თუ საქმე ჩაეარდა, მე ბრალს ვიხსნი, — ბრალეული თქვენ იქნებით."[2]

ამის დაწერა მოასწრო. ჩეკისტები შეიჭრნენ და შეიპყრეს...

დაპატიმრებული ხომერიკის ადგილი დაიჭირა მისმა ახლო თანამებრძოლმა და მიმდევარმა გოგიტა ფაღავამ, რომელიც აქტიურად განაგრძობს წინამორბედის საქმიანობას.

მანამდე, 1924 წლის იანვრის დამლევს, პარტიტეტულმა კომიტეტმა მიხეილ იშხნელი გაგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში — ადგილზე

---

[1] სუკის არქივი, №63, გვ. 17.

[2] იქვე, გვ. 16.

ვითარების გასარკვევად, კელავაც სააჯანყებო თანადგომა-თანაბრძოლის მოსაპოვებლად; თანაც, თუ საჭირო გახდებოდა, დარჩენილიყო იგი იქ, „სრულუფლებიან პოლიტიკურ წარმომადგენლად"[1] თანაც, ეზრუნა იმისთვისაც, რომ იქაურებსაც—ჩრდილო-კავკასიელებს გამოეგზავნათ თბილისში, რასაკვირველია, „დამკომთან", თავისი „ასეთივე პოლიტიკური წარმომადგენელი"; რათა ამით „დაწესებულიყო, როგორც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი, ისე ერთმანეთის კონტროლიც."[2]

ჩავიდა მიხეილ იშხნელი ჩეჩნეთში და, სოფელ ალდუნში შეხვდა კიდევაც ალი მიტაევს და მის უახლოეს თანამოაზრეებს. შეხვდა, მაგრამ ამ შეხვედრამ იგი უფრო ნაკლებ ოპტიმისტურად განაწყო, ვიდრე მანამდე წარგზავნილები—წინამძღვრიშვილი და დგებუაძე. იშხნელი დარწმუნდა, რომ ჩეჩნეთის ანტისაბჭოური ორგანიზაციები სწორედ ორგანიზაციული თვალსაზრისით სუსტები იყვნენ და საკარაუდებელი რიცხვიც ჩეჩენი მეომრებისა მომავალ ომში, არ იყო იმდენი, რამდენსაც ვარაუდობდნენ წინა შეხვედრების დროს. მაგალითად,—როცა წინამძღვრიშვილი ამტკიცებდა, რომ ჩრდილო კავკასიას 60000 მეომრის გამოყვანა შეუძლიაო—იშხნელს ეს რიცხვი ძალიან გაბერილად ეჩვენებოდა.[3]

ყველაფერი ეს მიხეილ იშხნელმა მაშინვე აცნობა თბილისში დამკომს. თან იმასაც იტყობინებოდა იშხნელი: ამ დღეებში ჩეჩენთა ბელადი თავის სათათბირო „მეჯლისს" იწვევს და იქ გამართავს მსჯელობას ჩვენთან კავშირებზეო.

ამ ინფორმაციის პასუხად, პარიტეტულმა კომიტეტმა მოკლედ აცნობა იშხნელს:

მაინც „ჯერჯერობით მანდ დარჩით. მცირე რამ უბედურება დაგვატყდა თავს, რასაც ამ წერილის მომტანი გიამბობთ. ერთ კვირაში კი ვრცელ წერილს მიიღებთ სათანადო დირექტივებით"[4].

წერილში მოხსენიებულ „უბედურებად" კი ის იგულისხმებოდა, რომ იმ დღეებში ჩეკამ გოვიტა ფაღაევა და გიორგი წინამძღვრიშვი-

---

[1] ხუკის არქივი, №8, გვ. 52

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ლი დააპატიმრა. ამის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ აღინიშნება, მანამდე კი ისევ მივყვეთ ჩრდილო კავკასიის საკითხებს.

ჩეჩნეთში „მეჯლისიც“ ჩატარდა. იშხნელმაც მას ზოგადად გააცნო საერთაშორისო და, კერძოდ, საქართველოს მდგომარეობა. აღგილობრივმა მესვეურებმაც თავისი მოახსენეს საქართველოს წარმომადგენელს. იქვე უფრო დაკონკრეტებითაც გაირკვა, რომ, უკეთუ აჯანყება დაიწყებოდა, ჩეჩნებს შეეძლოთ გამოეყვანათ არა უმეტეს 1500 მეომრისა, თავისი იარაღით, ოღონდ უვაზნოდ(!). ამიტომ ჩეჩნებს ვაზნები საქართველომ უნდა გაუგზავნოს...[1]

ჩეჩენთა საკრებულოს კაზაკთა ატამანი ფედიუშკინიც ესწრებოდა და მასაც თავისი სიტყვა უთქვამს: თუ საქართველოსა, აზერბაიჯანსა და ჩეჩნეთში გამოსვლები დაიწყება, თერგის კაზაკობაც აჯანყებულთა გვერდით ფეხზე დადგებაო.[2]

5-6 მარტს მიხეილ იშხნელი უკვე თბილისში იყო და ყოველივეს მოახსენებდა პარიტეტულ კომიტეტს. შთაბეჭდილება მძიმე აღმოჩნდა: კიდეე მეტად დასუსტებულიყო იმედი ჩრდილო-კავკასიიდან რეალური, რაიმე ძალმოსილი თანადგომისა და თანაბრძოლისა. იქვე, ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე შალვა ამირეჯიბი ამას იტყვის:

„ნოე ჟორდანია დიდი კაცია, მაგრამ მგონია და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი ძალიან ცდება, როცა მხარს უჭერს ჩრდილო კავკასიასთან ერთად აჯანყებას, რადგან რაც არ უნდა დიდი სიმპათიებით სარგებლობდნენ მთიელები, მათს დამოუკიდებლობის საკითხს ევროპაში პოპულარობა და საიმედო პერსპექტივები არა აქვს“.[3]

საქართველოში აჯანყების სამზადისის მეთაურები მაინც ევროპის იმედად იყვნენ. უკვე ოდენ მორალურ თანაგრძნობას აღარ კმარობდნენ და მატერიალური დახმარების „გამოძალვის“ ხერხებს ეძიებდნენ. თან ყველაფერი ეს მალე უნდა მომხდარიყო —„სანამ თონე ცხელი იყო“,— თორემ, ხომერიკის არც ისე უსაფუძვლო მტკიცებით, თუ აჯანყება უახლოეს დღეებში არ მოხდება, სააჯან-

---

[1] სუკის არქივი №8. გვ. 53

[2] იქვე.

[3] იქვე.

ყებო ვნება და გზნება გაციედება და შემდგომი ყოველი ცდა ამ მიმართულებით, მარცხით და ამაო კატასტროფით დასრულდებაო.

ამიტომ ერთხელ კიდევ გაგზავნეს კაცი საზღვარგარეთ, ჟორდანიას ბანაკში, „ევროპული იმედის" მატერიალური საფუძვლების ერთხელ და სამუდამოდ გასარკვევად. ეს კაცი იყო პარიტეტული კომიტეტის რწმუნებით ვასო ნოდია, რომელიც 1924 წლის იანვრის დამლევს მივიდა სტამბულს და ჯერ იქ მდგარ ქართველობას გააცნო თავისი ვიზიტისა და ვოიაჟის მიზანი და ამოცანა, მაგრამ მთავარი ბანაკი ხომ მაინც პარიზში იყო და სასწრაფოდაც გაგზავნეს ივი საფრანგეთისკენ. მაგრამ ნოე რამიშვილმა და ევგენი გეგეჭკორმა ნოდიას პარიზში ჩასვლაც აღარ დააჭირვეს—ისინი მარსელში შეხვდნენ საქართველოდან წვეულ თანამემამულეს და—ისე, რომ სულიც არ მოათქმევინეს— ზედიზედ დააყარეს: თქვენ აჯანყება დაიწყეთ და ჩვენ, აქაური მთავრობაც, აქაური ბიუროც პასუხისმგებლობას მთლიანად ჩვენს კისერზე ვიღებთ, და ევროპის სასელმწიფოთა მთავრობებიც—განსაკუთრებით ერიოს საფრანგეთი და მაკდონალდის ინგლისი მთლიანად ჩვენს მხარეს იქნებიანო.

ამ პასუხით გამოისტუმრეს ვასო ნოდია უკანვე საქართველოში რამიშვილმა და გეგეჭკორმა ისე, რომ ჟორდანია არც კი აჩვენეს.

ნოდიას პარიზიდან ახალი საგანგებო ჯგუფიც მიაყოლეს, აჯანყების დასაჩქარებლად — ყველაზე აქტიური მებრძოლები: ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვიქტორ ცენტერაძე და, ცოტა მოგვიანებით — ვლასა მგელაძე.

—აი, ხომ ჰხედავთ, დანაკლისი ხომ შეგვივსეთ, ყველაზე საუკეთესო ჩვენი ამხანაგები მოგაწოდეთ და რაღას ყოყმანობთ — დაიწყეთ აჯანყებაო!—იძახდა ნოე რამიშვილი[1].

საერთოდ გააქტიურა მუშაობა „დამკომმა", მისმა თავმჯდომარემ — კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა და მოადგილემ — იასონ ჯავახიშვილმა, ფუნქციებიც გაინაწილეს: პოლიტიკურ მუშაობას ხალხში სწორედ ესენი, თავმჯდომარე და მოადგილე უდგნენ სათავეში, სამხედრო-საომარ საქმეებს კი — გ. ფაღავა, ვ. ნოდია, გ. წინამძღვრიშვილი და ს. ზალდასტანიშვილი. ესენი უკავშირდებიან სამაზრო ორგანიზაციებს სამხედრო ყაიდაზე მათ გარდასაქმნელად. კავშირს აახლებენ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან.

---

[1] კ. სულაქველიძე, „რა მოხდა?" გვ. 35.

სამხედრო კომისია ადგილებზე, მაზრებში ქმნის თავისად შესაბამის სამხედრო ქვეკომისიებს, რომლებიც თავიანთ უბნებში ხალხს აღრიცხავენ და რაზმავენ „ხუთეულებად", „ათეულებად" და „ასეულებად". მაგალითად, თბილისში პარტიებისაგან ასზე მეტი ათეული იანგარიშებოდა: 40-40 ათეული მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატთა პარტიებისაგან, დანარჩენი — ფედერალისტებისა, ესერებისა და სხვიველებისაგან.

„მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად. რაიონებში დაინიშნა სარდლები და მათი თანაშემწეები"[1] და იქვე, სამხედრო მეთაურებთან—დამკომის პარტიული წარმომადგენელნი.

თელავის მაზრაში საომარ სამზადისს სათავეში უდგნენ: მიხაილოვი (წარმოშობით ბერძენი), შ. სიდამონ-ერისთავი, ფირუზა (ფსევდ.), ს. რაზმაძე, მასწავლებელი გიორგი ციცქიშვილი, სოლო მაჭავარიანი, ირაკლი გამყრელიძე და დათა სულხანიშვილი.

გურჯაანში ჯანდიერი მეთაურობდა.

თიანეთში, დუშეთში, კავთისხევში, მანგლისსა და ბორჩალოში ქაქუცა ჩოლოყაშვილი სარდლობდა და წინამძღოლობდა.

შუა ქართლში ისევ მიხეილ ლაშქარაშვილი მეთაურობდა.

ბორჯომის ხეობაში —კასრაძე.

ქუთაისში — სიმონ და გიორგი წერეთლები, პოლკოვნიკი მიქელაძე, გ. ჭაჭიაშვილი, ბარათაშვილი, ელისე პატარიძე.

სვანეთში — გარდაფხაძე, ბიძინა პირველი და ორი ძმა დადიანი.

სამეგრელოში — გენ. თოფურია, მიხ. გეალია, შალვა კალანდარაშვილი.

ფოთში — გიმნაზიის დირექტორი სტეფანე გაგუა.

გურიაში — სოლ. ყარალაშვილი, ქავთარაძე, მათითაიშვილი, მუხაშავრია.

ბათუმში — გენ. ფურცელაძე, ჩიტიაშვილი, მგალობლიშვილი.[2]

ერთხელ კიდევ, თუნდაც შეჯამების სახით, აღვადგინოთ დამკომის სამხედრო აპარატის სტრუქტურა, ანუ სამხედრო კომისია. ეს კომისია ყოველთვის შედგებოდა ორი წევრისაგან: ერთი სოციალ-დემოკ-

---

[1] ს. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

[2] ყველა აქ დასახელებულთა შესახებ — სოლ. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 20-21 და სუკის არქივი, №8, გვ. 32.

რატი, ანუ მენშევიკი და ერთიც ეროვნულ-დემოკრატი. კომისიის არსებობის მანძილზე მასში მენშევიკების მხრით იყვნენ, რიგის მიხედვით: ხომერიკი, ფაღავა, ნოდია, ჯუღელი და ბოლოს, ჯინორია; ხოლო, ეროვნულ-დემოკრატთაგან, ასევე რიგის მიხედვით: მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი, სოლომონ ზალდასტანიშვილი.

სამხედრო კომისია თბილისში და რაიონებში ეყრდნობოდა ადგილობრივ, ასევე საგანგებოდ დანიშნულ სამხედრო ქვეკომისიებს.

ამას გარდა, მენშევიკურ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს თავთავიანთი საგანგებო სამხედრო კომისიები ჰყავდათ, შინაპარტიულობაში სამხედრო საქმეთა სახელმძღვანელოდ. აქედან — მენშევიკთა სამხედრო კომისიას წარმოადგენდნენ ჯერ ნოდია და ფაღავა, შემდეგ ჯინორია და ანდრონიკაშვილი; ხოლო ეროვნულ-დემოკრატთა სამხედრო უწყებას — ჯერ დათა ვაჩნაძე, ილიკო მახარაძე და სოლომონ ზალდასტანიშვილი, შემდეგ — ზალდასტანიშვილი და წინამძღვრიშვილი.

დანარჩენ სამ პარტიას საკუთარი სამხედრო კომისია არ ჰყოლია, ფედერალისტები ახალგაზრდულ პარტიასთან ერთად თათბირობდნენ სამხედრო საკითხებზე. ესერებმაც მხოლოდ უშუალო აჯანყების დროს შექმნეს სამხედრო რაზმი, სხივისტებს კი სამხედროს მინამსგავსიც არაფერი ჰქონიათ არასდროს.

თავი მერვე

აჯანყების ზღურბლზე

1924 წლის 23 თებერვალს, პარიზს, საგანგებო დისკუსიისათვის შეიკრიბა ემიგრირებული მთავრობა, მთავრობის თავმჯდომარის გარეშე.

იმსჯელეს:

ე. გეგეჭკორი: „მართალია ჩვენები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი ამისათვის მზად არისო, მაგრამ მე ვიქნებოდი გამოსვლის მომხრე, თუნდაც ამას მარტო საქართველოს მასშტაბით ჰქონდეს ადგილი, თუ ასეთ გამოსვლას მართლა ხალხისნური ხასიათი ექნება და არა უბრალო აჯანყების, „პუტჩის“ ხასიათი... აქედან უფრო პასუხისმგებელი პირი უნდა წავიდეს და მან უნდა შეაფასოს ყოველივე და ასწონ-დასწონოს კარგად. თუ ეს პირი ნ. რამიშვილი იქნება, რომელზედაც ვართ შეთანხმებული, მე იმედი მაქვს, რომ მომენტი სერიოზულად იქნება შეფასებული.

ნ. რამიშვილი: ჩვენ უნდა ვთქვათ: საერთაშორისო მდგომარეობა ხელსაყრელი არის; დახმარებას აქედან ჩვენ ვერავის ვერ ვპირდებით, ვერც ფულით, ვერც იარაღით, პირველად. შემდეგისათვის კი ვეცდებით.

მე წავალ, ხოლო სად და როდის, ეს მომანდევით.

ეგგ. გეგეჭკორი: ჩვენ ვერ ვეტყვით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა არის ხელსაყრელი. ჩვენ უნდა უთხრათ, რომ ის ხელს არ უშლის გამოსვლას.

აკ. ჩხენკელი: მე არ მიმაჩნია საერთაშორისო მდგომარეობა ხელის შემწყობად ახალი გამოსვლისათვის.“

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. თუ მდგომარეობა მართლა საკმარისად მომზადებულია და არა მხოლოდ შეთქმულებისათვის, არამედ ნამდვილად სახალხო გამოსვლისათვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო, აზერბაიჯანი და მთა), გამოსვლა უნდა მოხდეს.

(სამი მომხრე. ერთი— აკ. ჩხენკელი წინააღმდეგი).

2. ამ ცნობების წინასწარ შეკრება და იმის საფუძვლიანი გამორკვევა ენდობა იმ კაცს, რომელიც აქედან მიდის და რომელიც ზემო-

აღნიშნულ გარემოებათა შეფასების მიხედვით, აღგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დგამს შესაფერ ნაბიჯებს.

(მიღებულია ერთხმად).

3. აქ ახლავე მიღებული უნდა იქნეს ზომები თუ რისიმე დახმარების მოწოდებაც კი შეიძლება აქედან.

(მიღებულია ერთხმად).

4. საერთაშორისო მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, ხელს არ უშლის გამოსვლას, მაგრამ ჩვენში წინააღმდეგ რაიმე გადაწყვეტილებისა სისწორით უნდა იცოდნენ, როგორც ის, რომ ახლა არავითარი დახმარების მიწოდება აქედან არ შეგვიძლია...“[1]

მიიღეს: სამი ხმით ერთის (აკაკი ჩხენკელი) წინააღმდეგ.*

ახალი აჯანყების დრო კი უკვე დაენიშნათ დამკომელებს, საგანგებოდ—1924 წლის თებერვალი; საგანგებოდ იმიტომ, რომ სწორედ იმ თებერვალს დანიშნული იყო დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა და მოლაპარაკება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

მაგრამ უმალვე გაცუდდა ეს ვარაუდი, რადგან სწორედ თებერვლის შუა რიცხვებში ჩეკამ ერთიმეორის მიყოლებით პატიმრობაში აიყვანა გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი და ნაპოლეონ კახიანი. ამით ცენტრალური სამხედრო კომისია ჩავარდა და კვლავ ველარასდოდეს აღსდგა. მის ფუნქციებს ასრულებს თბილისის ქვეკომისია — ვასო ნოდია და სოლომონ ზალდასტანიშვილი.

ვასო ნოდია სწორედ იმ დაპატიმრებათა მეორე დღეს ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, და კიდევ, მასთან ერთად—ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი და ვიქტორ ცენტერაძე. ასეთი ფიგურების შემოსვლით კიდევაც შეიესო გუშინდელი დაპატიმრებებით დაცარიელებული ადგილი ახალი აჯანყებისათვის მზადების ზემო ეშელონში.

ივნისის ბოლოს, თვითონ ჟორდანიას წერილი მიიღო პარიტეტულმა კომიტეტმა. ეს პირდაპირ სადირექტივო წერილი იყო, აჯანყების პერსპექტიული დახასიათება და მისი ვანხორციელების გზები. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს ემიგრი-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები. 1075, გვ.4-5.

* მთავრობის სხდომას ესწრებოდნენ: ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე რამიშვილი.

რებული პირველმესვეური მიაქცევდა მეზობელ კავკასიურ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილო კავკასია) მჭიდრო ურთიერთობას და ბრძოლის ველზე მათთან ერთად გამოსვლას.

ჟორდანიას ეს წერილი პირველად კოტე ანდრონიკაშვილმა წაიკითხა ნოდიას, ჯინორიას და ონიაშვილის თანდასწრებით. წაიკითხა და მაშინვე ყველა ერთად ყველაფერში დაეთანხმა წერილის ავტორს.

ამის შემდგომ, მალე ივლისის დამდეგს, პარიტეტული კომიტეტი მართავს საგანგებო სხდომას, რომლის შესახებ ნათელ სურათს გვაძლევს იასონ ჯაფარიშვილის მონათხრობი, შემდგომ, ჩეკაში დაკითხვისას:

„სამხედრო კომისიასთან ერთად პარიტეტული კომიტეტის პირველი სხდომა ივლისის დამდეგს გაიმართა. სხდომას ესწრებოდით: ანდრონიკაშვილი, მე, ბოჭორიშვილი, ჯუღელი, ზალდასტანიშვილი და შალვა ამირეჯიბი. სამხედრო კომისიის სახელით მოხსენება წაგვიკითხა სოლომონ ზალდასტანიშვილმა. მოხსენების შინაარსი ასეთი იყო: აღმოსავლეთ საქართველოში ავჯანყების ორგანიზაციას კისრულობს ჩოლოკაევი, რომელსაც 600 შეიარაღებული კაცი ჰყავს. იგივე ააჯანყებს კახეთს, დუშეთის მაზრას და მანგლისის რაიონს. მენშევიკთა პარტია კი ავჯანყებას გარე კახეთში მოაწყობს. სამხედრო კომისია ლაშქარაშვილს ალბათ იმიტომ არ ითვალისწინებდა, რომ მას ორგანიზებული სამხედრო ძალა არ ჰყავდა. არ იყო აგრეთვე ნახსენები ცაგურია, თუმცა ვიცოდი, რომ ის მენშევიკთა ორგანიზაციაში მუშაობს.

დასავლეთ საქართველოში არსებული ჩვენი სამხედრო ძალების აღრიცხვა ზალდასტანიშვილმა ასე წარმოადგინა: გურიას 700 შეიარაღებული კაცი გამოჰყავს, ბათუმს (საერთო ორგანიზაცია) —300 უიარაღო, სვანეთს — 600 შეიარაღებული და სამეგრელოს რამდენიმე ასეული. სვანეთს და სამეგრელოს ძალაუფლება ხელთ უნდა ეგდოთ აფხაზეთში თავისი ძალების იქ გაგზავნის გზით. ერთგვარ იმედს იძლეოდა იმერეთი, უმთავრესად შორაპნის მაზრა.

ავჯანყების გეგმაში შედიოდა მთავრობისეული იარაღის საწყობების ხელთ გდება.

თბილისში იმედოვნებდნენ 500 შეიარაღებული მენშევიკის, 150 ეროვნულ-დემოკრატის და 60 ესერის გამოყვანას.

მთავრობის ჯარის რაოდენობა ზალდასტანიშვილმა 10-11 ათასი დაასახელა.

ქართული დივიზიის ნაწილებში მუშაობაზე არაფერი უთქვამთ. იყო მხოლოდ საერთო იმედი იმისა, რომ ქართული ნაწილები ეროვნული გრძნობით იხელმძღვანელებენ და აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში არ ჩაებმებიან.

მოხსენების გამო გამოვიდა ვალიკო ჯუღელი და წამოაყენა წინადადება დაენიშნათ გამოსვლების დღე უახლოეს ვადაზე და დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მოსულიყო ფული საზღვარგარეთიდან.

ჯუღელის პირველი წინადადება ღიად დარჩა, მეორე წინადადების გამო კი ანდრონიკაშვილს დაავალეს მიეწერა საზღვარგარეთ, რაც შეიძლება მალე გამოგზავნეთ ფულიო"[1].

ივლისის დამლეგს პარიტეტულმა კომიტეტმა მეორე სხდომა გამართა, იგივე საკითხებზე მსჯელობის გასაგრძელებად. ესწრებოდნენ ისევ ისინი, იასონ ჯავახიშვილის გარდა. აქ გადაწყვიტეს, რომ შეიარაღებული გამოსვლების დაწყების საკითხი განეხილათ და გადაეწყვიტათ დანარჩენ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან განხილვით და შეთანხმებით.

პირველი შეხვედრა ამ საკითხზე მენშეევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის შედგა და აჯანყების საკითხიც ერთობლივი შეთანხმებით გადაწყდა.

ესერთა პარტიამაც თანხმობა განაცხადა, თუმცა მცირე ყოყმანის შემდეგ.

ივლისის დამლეგს ისევ გაიხსენეს ქართველებმა ჩეჩნეთი და ალი მიტაევი. ვანო ავალიშვილი (პროფესორ ზურაბ ავალიშვილის ძმა) გაგზავნეს, სამგზავროდ 500 თუ 700 მანეთი მისცეს. წავიდა ავალიშვილი, დაბრუნდა და ჩამოიტანა... ალი მიტაევის დაპატიმრების ამბავი.

აგვისტოც შემოვიდა 1924 წლისა. ინგლისისა და საბჭოთა კავშირის შეხვედრაც შედგა, კიდევაც დასრულდა და მხარეებმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს; საქართველო კი... მხოლოდ დიპლომატიური რეზერვი. სხვა არაფერი.

არადა, 1924 წლის მაისისათვის პარიზიდან ახალჩამოსულმა „რჩე-

---

[1] სუკის არქივი, №8, გვ.33-34

ული ამხანაგების შევსებამ“—ჯუღელმა, ჩხიკვიშვილმა და ცინ-ცაბაძემ—საგანგებოდ შეყრილი დამკომი დაარწმუნა, რომ „გარეშე პირობები ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას და დამოუკიდებლობის კომიტეტსაც მეტი არა დარჩენოდა, რომ აჯანყების გეგმის განხორციელებას შესდგომოდა“.[1]

აჯანყების დღეც უკვე დანიშნული იყო—17 აგვისტო. დანიშნული იყო ომის მთავარსარდალიც—გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. განსაზღვრული იყო მთავარი, მაგისტრალური დარტყმები—თბილისი და ბათუმი. პირველი როგორც სატახტო ქალაქი, მეორე როგორც საზღვარგარეთთან „გადართვის“ ცენტრი. საერთოდ კი—„ვამოსვლა უნდა დაწყებულიყო ერთ დღეს, ერთ საათს, ყველგან და უეცრივ, გამუდმებულის მოძრაობით, რათა საბჭოთა მთავრობაში და კომუნისტურ რიგებში დეზორგანიზაცია შეეგვეტანა. გეგმა და უკანასკნელი ბრძანება შიკრიკების ხელით პროვინციებს უკვე ჩაბარებული ჰქონდათ“.[2]

თბილისიდან ოც კილომეტრზე, ნახშირგორასთან, ქაქუცა ჩოლოყაშვილიც დაბანაკებულიყო თავისი შეფიცულებით. აქვე უნდა მოსულიყვნენ მიხეილ ლაშქარაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი და ელიზბარ ვაჩნაძე თავიანთი რაზმებით.

დაგეგმილი იყო, აჯანყებულები, ცაგურიას მეთაურობით, დაუფლებოდნენ ვაზიანში მდგარ 120-ზარბაზნიან რუსულ არტილერიას და აქედანვე ნავთლუღის გზებით შემოჭრილიყვნენ თბილისში. პარალელურად, დასავლეთიდან თბილისს უნდა შემოსეოდა აჯანყებული ხალხი, მანგლისის მხრიდან.

მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლება—რევკომი და „ჩეკა“ თურმე გაცილებით ორგანიზებულად და დახვეწილად ყოფილა მომზადებული.

სწორედ ჩეკამ, 7 აგვისტოს, მაშასადამე დანიშნულ აჯანყებამდე ათი დღით ადრე, პატიმრობაში აიყვანა ვალიკო ჯუღელი—ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ერთნაირად აღიარებული და პოპულარული, როგორც საქართველოში, ისე ემიგრანტულ ქართველობაში.

ჯუღელის პირველი დაკითხვა აწარმოვა რუსმა ჩეკისტმა მოროზოვმა, რომელმაც პატიმარს თვითონ აჩვენა და ეაცნო ქართველთა განზრახული აჯანყების გეგმა, ვიღაც შინაურისაგან გაცემული.

---

[1] სოლომონ ზალდასტანიშვილი, მთავარი მიზეზები აგვისტოს აჯანყების მარცხისა, წიგნში—„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, 1989, გვ. 51.

[2] იქვე.

პატიმარმა თვითმკვლელობა სცადა: ალესილი კოვზით და ჟანგისგან შეჭმული ლურსმნით მარცხენა ხელის არტერია გადაიჭრა, მაგრამ მიუსწრეს და სიკვდილი არ დაანებეს. ამის შემდეგ კი, თვითონ „საგანგებო კომისიის“ („ჩეკა“) უფროსი და მისი მოადგილე—კვანტალიანი და ბერია იღებენ მთლიანად ხელში ვალიკო ჯუღელის საქმეს. გამორჩევით ბერია ხვდებოდა პატიმარს. მაშინ გავრცელდა მათი ასეთი დიალოგიც:

„ბერია: როგორ გრძნობთ თავს აქ, ვალიკო?

ჯუღელი: ისე, როგორც ყველა თქვენი პატიმარი.

ბერია: თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

ჯუღელი: რასაკვირველია, სააგარაკოდ არ ჩამოვსულვარ.

ბერია: მაინც? რისთვის ჩამოხვედით?

ჯუღელი: აჯანყების მოსაწყობად.

ბერია: ვის ეყრდნობოდით?

ჯუღელი: ყველა ჭეშმარიტ ქართველს.

ბერია: მუშებსა და გლეხებსაც?

ჯუღელი: რასაკვირველია, აკი მათაც დაკარგეს თავისუფლება.

ბერია: ახლა რას ფიქრობთ?

ჯუღელი: თუ დამიჯერებთ, საჭიროდ მიმაჩნია არალეგალური ორგანიზაციების გაფრთხილება, დაშლა და აჯანყების თავიდან აცილება.

ბერია: მერე, ვინ უნდა გააკეთოს ეს?

ჯუღელი: თქვენ და მე.

ბერია: რას მოითხოვთ?

ჯუღელი: რამდენიმე დღით გამათავისუფლეთ პატიმრობიდან; დამალეეინეთ საწამლავი, სამი დღის მერე რომ იმოქმედებს—და სისხლისღვრა აღარ იქნება საჭირო. წერილსაც თუ დაბეჭდავთ, დავწერ.

ბერია: ვიფიქრებთ. წერილი საკმარისი იქნება.

ჯუღელი: საჭიროა მოველაპარაკო თანამებრძოლებს.

ბერია: ვის?

ჯუღელი: ეს პირადად ჩემი საქმეა. უნდა მენდოთ. ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ინტერესები. მე ისევ დავბრუნდები. მერე თუნდ დამხვრიტეთ.“[1]

---

[1] ამოღებულია იმდროინდელი პატიმრის, ალექსანდრე გაბისკირიას პირადი არქივიდან. იხ. ე. გიორგაძე, გვარდიის წინამძღოლი—ვალიკო ჯუღელი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 21 დეკემბერი, 1990 წელი.

ელიზბარ ვაჩნაძე.

რევაზ გაბაშვილი

სარდიონ მენაღარაშვილი

შალვა ქარუმიძე

ფოტოები აღებულია სუკის არქივიდან.

პირად გაშვებაზე ჯუღელს უარი ეთქვა და ამის შემდგომ იგი პატიმრობიდანვე წერილს წერილზე უგზავნის დამკომს და მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტს, ხვეწნით და მუდარით: აჯანყებაზე ხელი აიღეთო; აქ ყველაფერი იციანო; ვიღაცამ გაგვცა—ჩვენს შორის მოღალატენი ყოფილანო; ახლა გემუდარებით, არ ჩაიდინოთ ის, რაის ყველაზე დიდი ენთუზიასტიც მე ვიყავიო; თუ არ დაიშალეთ, ეს ჩვენი ქვეყნისათვის და ხალხისთვის დამღუპველი ავანტიურა იქნებაო... იწერებოდა და მოთქმა-გოდება ისმოდა მის ყოველ სიტყვაში.

კვანტალიანმა და ბერიამ ჯუღელის წერილი დამკომს გაუგზავნეს.

პასუხად, „დამკომმა" დაადგინა, ვ. ჯუღელთან შესწყვიტოს ყოველგვარი კავშირი და მისგან გამოგზავნილი წერილიც უკანვე გაუგზავნა.[1]

მაშინ ვალიკო ჯუღელი თვითონ შეევედრა „ჩეკას" უმაღლეს მესვეურებს, პირადად გაეშვათ დამკომთან შესახვედრად და როგორმე დასარწმუნებლად—ხელი აეღოთ აჯანყება-ავანტიურაზე და საქართველოს დაღუპვაზე.

კვანტალიანი და ბერია ჯუღელის პირად გაშვებას მაინც არ ენდვნენ და მისი თხოვნისა და წინადადების შესრულება პატიმრობაში აყვანილ სოციალ-დემოკრატს, ვანო ღლონტს მიანდვეს.

ღლონტიც წარუდგა პარიტეტულ კომიტეტს, მენშევიკთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ყოველივე აუწყა ჯუღელის დანაბარები—აჯანყება მოხსენით, ქვეყანას ნუ დაღუპავთო.

დამკომმა ისევე კატეგორიულად ჯუღელთან ყოველგვარი ურთიერთობა გაუქმებულად გამოაცხადა, ხოლო მენშევიკთა ცეკამ ვანო ღლონტს უკან ასეთი პასუხი გამოატანა:

„გადაეცით ვ. ჯუღელს და „ჩეკას", რომ გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არა სდგას და არც არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთ".[2]

დაიჯერა თუ არა ეს ვალიკო ჯუღელმა, ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ „ჩეკამ" არ დაიჯერა და გამალებით განაგრძო სამზადისი მოსალოდნელი გამოსვლების სისხლში ჩასახშობად.

---

[1] ს. ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება," გვ. 31

[2] იქვე.

რევკომის ბრძანებით, მანევრებზე გაშვებული ჯარი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა, ქალაქის გარშემო ალყა შემოსალტა და შიგნით გზაჯვარედინებზე ჩასაფრდა. საგანგებო წესებით, 9 საათის შემდეგ ქალაქიდან გასვლაც და შემოსვლაც სასტიკად აიკრძალა. მთელს ქალაქში გასეული „პატრულები" ოდნავ საეჭვოსაც იჭერდნენ და ციხისკენ მიაქანებდნენ.

მაშინვე, პარალელურად, კომუნისტებმა რეპრესიები გააჩაღეს საეარაუდო აჯანყების მეორე ცენტრში—ბათუმში. შეიპყრეს აჯანყების ყველა საეარაუდო მეთაური და, პირველ რიგში, გენერალი ფურცელაძე.

ასევე მოიქცნენ გურიაში—დაატუსაღეს აქტიურად შეეჭვებულნი, მათ შორის გენერალი ს. ყარალაშვილი.

გამორჩევით აღსანიშნავებელი სიმპტომი მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ ეამარჯვების იმედი დაჰკარგოდა თვითონ მთავარსარდალს, გენერალ სპირიდონ ჭავჭავაძეს. მან სოლომონ ზალდასტანიშვილი მოიხმო და იმას სთხოვა დამკომის წინაშე შუამდგომლობა: ასეთ პირობებში საომრად ეამოსვლა შეუძლებელია და ხელი აეიღოთო. ზალდასტანიშვილმა მთავარსარდლის ეს ნათქვამი იმ დღესვე იასონ ჯავახიშვილს აუწყა. ჯავახიშვილმაც ასეთი პასუხი შემოუბრუნა:

„მთავარსარდალს ეადაეცი, რომ აჯანყება უკვე დაწყებულია და ამ პირობებში უკანდახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს ეამოიწვევს. ეთხოვ მთავარსარდალს, თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგეს".[1]

მეორე დღეს დამკომის საგანგებო სხდომა შედგა. იასონ ჯავახიშვილმა ჭავჭავაძის შიში ამხილა, მთავარსარდლობიდან მისი გადაყენება მოითხოვა და მის ალაგზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის კანდიდატურა წამოაყენა. კამათი გამწვავდა. ბოლოს დამკომმა სპირიდონ ჭავჭავაძის გადაყენებაზე უარი ეამოაცხადა და მთავარსარდლის პოსტზე იგივე დატოვა.[2]

ამასთან, აქვე ეადაწყდა: რაკი მდგომარეობა ასე რადიკალურად შეიცვალა და თბილისი ასეთი სასტიკი სიმკაცრის პირობებში აღმოჩნდა, ეადაწყვეტეს აჯანყების ცენტრი თბილისიდან მის ეარეთ, ქაქუ-

---

[1] ს. ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება," გვ. 32.

[2] იქვე.

ცა ჩოლოყაშვილის ბანაკში გადაეტანათ. ასე გადაწყდა დამკომისა და მთავარსარდლის შეთანხმებით. ხოლო პოლიტიკური პარტიები ამის წინააღმდეგი იყვნენ.

უკვე საერთოდ აჯანყების მოწყობაშიც აღარ იყვნენ ერთხმიანი პარტიები. აჯანყებას მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები და ესერები. სხივისტები მერყეობდნენ, ხოლო ფედერალისტების წარმომადგენელმა, სამსონ დადიანმა, აჯანყების წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა და სხდომაც დემონსტრაციულად დატოვა.[1]

ბოლოს, მაინც „ერთხმივად" დადგინდა, რომ აჯანყება რამდენიმე დღით მაინც უნდა გადავადებულიყო და შიკრიკებიც მაშინვე დაიგზავნა ადგილებზე—გამოსვლებისგან თავი შეეკავებინათ, სანამ ახალ დღეს შეატყობინებდნენ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში სოლომონ ზალდასტანიშვილი წავიდა, 15 აგვისტოს, ესე იგი დანიშნულ აჯანყებამდე ორი დღით ადრე. ჩოლოყაშვილის ბანაკი კი თითქმის ავსებულიყო მოლაშქრეებით. მღვდელიც კი მოსულიყო მოლაშქრეთა დასაცავად. უკვე 200 კაცი შეყრილიყო; 300 კაცს კიდევ წუთი-წუთზე ელოდა ბელადი. 17 აგვისტომდე მ. ლაშქარაშვილი და მ. ნაცვლიშვილიც უნდა შეერთებოდა ქართლის რაზმებით. საერთოდ, 600 მეომარი საკმარისად მიაჩნდა თბილისის დასაუფლებლად ჩოლოყაშვილს. ერთ ღამეში გავრეკავ რუსებსო,—დარწმუნებით ამბობდა იგი.[2]

მაგრამ ახლა, როცა ზალდასტანიშვილმა ასე არასასიამოვნოდ შეცვლილი მდგომარეობა აცნობა და აჯანყების დღის გადატანის გარდაუვალობაც შეატყობინა—„ქაქუცას გული გაუფუჭდა, დაღონდა", მაგრამ მაინც „ბოლოს იძულებული იყო „დამკომს" და მთავარსარდლის დადგენილებას დამორჩილებოდა."[3]

დამორჩილდა, მაგრამ მაინც აე მომავალს წინასწარმეტყველებდა ჩოლოყაშვილი: ხომ ხედავ, ხალხი უკვე თავს იყრის და თუ ორ-სამ დღეში საბრძოლოდ არ გავალთ, მაშინ ამ ტყეში ამდენ ხალხს ვერ შევინახავ, სანოვაგისთვის რამდენიმე დღეში ხალხი უკანვე თავ-თავის სოფლებში გაბრუნდება; ხელახლა თავისმოყრა კი ძალიან

[1] სუკის არქივი, №8, გვ. 35.

[2] ს. ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება", გვ. 33.

[3] იქვე.

გაძნელდება, რადგან—„მანამ ელეხკაცი პურს და ღვინოს არ დააბინავებს, აღარ გამოვა“. ამიტომ, „რადგან გადადება აუცილებელია, მაშინ გონიერება მოითხოვს, აჯანყება ოქტომბრისათვის გადაიდოს“.[1]

ზალდასტანიშვილიც საუსებით დაეთანხმა ჩოლოყაშვილის მოსაზრებას და იმავე მოსაზრებითვე დაბრუნდა თბილისს.

დაბრუნებისთანავე, 18 აგვისტოს, დამკომის საგანგებო სხდომა მოაწვევინა სოლომონ ზალდასტანიშვილმა და ყოველივე აუწყა—ჩოლოყაშვილის ბანაკში ნანახი, განცდილი და გადაწყვეტილი. სხდომამ მოსმენილი თითქოს შეისმინა და აჯანყების ახალი დღის დანიშნა ხუთ კაცს მიანდო: თავად სოლომონ ზალდასტანიშვილს, კოტე ანდრონიკაშვილს (დამკომის თავმჯდომარე), დავით ონიაშვილს (მენშევიკთა პარტიის ბიუროს თავმჯდომარე), შალვა ამირეჯიბს (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარე) და სპირიდონ ჭავჭავაძეს (მთავარსარდალი).

ეს ხუთეულიც 24 აგვისტოს შეიყარა და აჯანყების დღედ 29 აგვისტო გამოაცხადა—მაშასადამე, ხუთი დღის შემდეგ, ღამის 2 საათზე.

მომდევნო დღეს, 25 აგვისტოს, დამკომი, მთავარსარდალი და აჯანყების მთავარი შტაბი თბილისიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკისაკენ გაეშურა.

თბილისში კი მხოლოდ დამკომის ქვეანყოფილება დარჩა ს. ზალდასტანიშვილის, მ. იშხნელის, ს. მენაღარაშვილის და გ. ღლონტის შემადგენლობით.

ასეთი „გახლეჩა“ ზალდასტანიშვილმა და იშხნელმა პროტესტით დაგმეს, მაგრამ პროტესტსაც ვითომ რაღა ფასი უნდა დასდებოდა. საქართველოს დახსნისა და გადარჩენის მესვეურები გადამწყვეტ დღეს ხედებოდნენ კვლავაც ერთიანობას და ერთსულოვნებას მოკლებულნი...

---

[1] ს. ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, გვ. 33.

თავი მეცხრე

აჯანყება

და დაიწყო რაღაც გასაოცარი, თითქოს საგანგებოდ საბედისწერო აკვიატებით: სიზუსტის არც ისე მოყვარულმა ქართველებმა ვადამწყვეტი გამოსვლა დაიწყეს არაჩვეულებრივი „სიზუსტით"—29 აგვისტოს 2 საათის ნაცვლად 28 აგვისტოს 2 საათზე, ე. ი. ზუსტად ერთი დღე-ღამით ადრე! და, რაც მთავარია, არა ერთსა და იმავე დროს „ყოველ საქართველოში", არამედ ერთგან... ჭიათურაში!..

ერთბაშად საყვირების ცემამ შეარყია ყვირილას ხეობა; მთელი ქალაქი, ჭიათურის მუშები და ახლომახლო სოფლების გლეხობა ერთ მთლიან ნიაღვრად, ეროვნული დროშების ფრიალით, აცხადებენ საქართველოს გათავისუფლებას და დამოუკიდებლობის აღდგენას.

და, თანაც, ასეთი „სეპარატისტული გამოხდომის" ამბავი არ შეუტყვია არც ერთ რგოლს საერთოდ აჯანყების მეთაურობაში—არც თბილისიდან ტყეში გასულ დამკომს და მთავარსარდლობას, თბილისში დარჩენილ „ქვეკომიტეტს".

სამაგიეროდ (და საუბედუროდ!), ჭიათურის „კაზუსი" უმალვე შეიტყო საოკუპაციო ხელისუფლებამ—რევკომმა, ჩეკამ, რაც მთავარია, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის თავკაცმა—სერგო ორჯონიკიძემ, საქართველოს ოკუპაციის მთავარმა „გმირმა", რომელმაც მაშინვე ორივე გზით—ხმელეთით და ჰაერით—ჯავშნოსანი მატარებლით და თვითმფრინავით მიუსია ჭიათურას დამსჯელი ლეგიონები.

მთელს საქართველოში კომუნისტურმა ხელისუფლებამ საგანგებო და საგანგაშო წესები გამოაცხადა, განსაკუთრებული სიმკაცრითა და სისასტიკით—თბილისსა და ბათუმში. უსასტიკესმა ტერორმა მოიცვა საქართველო.

ისევ ელვისებურად—ანუ მანამ, სანამ დამკომი და დამკომელები ერთიმეორისაგან გაყრილნი და „პარტიულად შემდურებულნი" მაინცდამაინც 29 აგვისტოს გათენებას უცდიდნენ, კომუნისტ ოკუპანტებს ერთი დაკერით უკვე მოთავებული ჰქონდათ ჭიათურის „კონტრევოლუციის ლიკვიდაციაც და ყოველი ახალი გამოსვლის სასიცოცხლო წერტილიც."

29 აგვისტოს კი აჯანყება მაინც დაიწყო საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში, მაგრამ ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამოს-

ვლა მაინც ერთიან წინამძღოლობას მოკლებული და, ამდენად, სწორედ ცალკეულ კუთხეებად ლოკალიზებული აღმოჩნდა.

ამიტომაც სწორედ ამან მისცა საშუალება ორჯონიკიძეს, დიდის ამბით დაეტრაბახა მოსკოეში გამართულ საგანგებო პარტიულ პლენუმზე: მთელი ამ აჯანყების ლიკვიდაცია სამ დღეში მოვათავეთო.[1]

დიახ, აჯანყების მთავარი ჯალათის ეს ტრაბახი მისი მშობელი ერისათვის უმწარესი სინამდვილე იყო. 29-ში დაწყებული აჯანყება 30-ის მიწურულს უკვე ჩახშობილი იყო უსასტიკესი („კომუნისტური") რეპრესიებით და ტერორით. „მდგომარეობა კონტრტერორს მოითხოვდა, მაგრამ თბილისის პარტიათა წარმომადგენლები ამ აზრს არ იზიარებდნენ".[2]

29 აგვისტოსვე ღამით, კახეთის ყველა ეროვნული ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეიპყრეს და დახვრიტეს.

თბილისზე ორმხრივი შეტევის საომარი გეგმაც 29-შივე გამოირიცხა. აღმოსავლეთიდან პოლკ. ცაგურიას რომ ვაზიანის რუსული არტილერია უნდა ეგდო ხელთ და თბილისისაკენ დაძრულიყო—ესეც არ გამოვიდა: რაზმი, რომელიც მისგან დანიშნულ დროზე უნდა მოსულიყო, საერთოდ არ მოვიდა. მერე ცაგურიამ პატარძეულის მილიციის განიარაღება სცადა, იქაც ეერაფერს ვახდა და ბოლოს, გაწბილებული, თბილისში მარტოდმარტო ვამოეცხადა ზალდასტანიშვილს[3]. ხოლო, თვითონ ვაზიანის რუსული არტილერია ახლა თბილისში შემოდიოდა, მაგრამ შემოდიოდა, როგორც მშველელი კომუნისტური რეჟიმისა, და, არა მშველელი ეროვნული თავისუფლებისა.

მეორე მხრიდანაც—დასავლეთიდან შემოტევაც თავიდანვე მარცხისათვის იყო განწირული. აკი ასეც იწინასწარმეტყველა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. მართლაც იმოქმედა დროის ეაჭიანურებამ და, ნავარაუდევი 600 მეომრის ნაცვლად, ქაქუცას ბანაკში 40 თუ 60 კაცს ძლივს მოეყარა თავი. ამ მცირე რაზმით ჩოლოყაშვილი ჯერ მანგლისს მიუხტა, მაგრამ ამაოდ, და უკან ხელცარიელი გამოტრიალდა. მერე, მისი „ხელისშემშლელი დამკომი"[4] შიო-მღვიმის მონასტერში

---

[1] იხ. საკ. კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 19 თებერვალი, 1991 წელი.

[2] სოლ. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 37.

[3] სოლ. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

[4] იქვე, გვ. 38.

დატოვა და თვითონ, ამირეჯიბისა და ჭავჭავაძის თანხლებით, დუშეთს მიაშურა. დუშეთიც აიღო. იქიდან ზემო კახეთში ეადაეიდა, კახეთიდან ყარაიაში, ბორჩალოში, მერე კიდევ ათი დღე თბილისს უტრიალა გარშემო. მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ბრძოლის გაგრძელება ეგზომ გამძლავრებულ მტერთან სრულიად ამაო იყო და იმანაც საზღვარი გადაიარა და უცხოეთს შეაფარა თავი, იქვე უცხოობაში დარჩა სიცოცხლის დასასრულამდე.

„სამი წლის განმავლობაში შიშველ-ტიტველმა, მშიერ-მწყურვალმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ქართველი ერი ამაყობს მისი სახელით“.[1]

მაშინ ქაქუცასთან ერთად საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ: გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი, სერგო მაისურაძე, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, ლელო ჩიქოვანი, მიშა ლაშქარაშვილი, დავით რევაზიშვილი, სიკო ალიმბრაშვილი, ვასო მარჯანიშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, გაბო ბერბიჭაშვილი, შალვა ჯავრიშვილი, ლევან ჯავრიშვილი, შალვა ამირეჯიბი, ელიზბარ მაყაშვილი, ჯონჯი დადიანი, სარდიონ კუჭავა, თომა ბექაური, ალექსანდრე კარგარეთელი.[2]

აჯანყების ცეცხლი მოსდებოდა ეურიას, იმერეთს, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს.

განსაკუთრებული მასშტაბი ეურიაში მიეღო აჯანყებას. აჯანყების მეთაურის, გენერალ ყარალაშვილის დაპატიმრებამაც არ შეანელა საბრძოლო ცეცხლი. აქ აჯანყებულ რაზმებს მეთაურობდნენ: მათითაიშვილი, მუხაშავრია, ჭანუყვაძე. იბრძოდა ყველა—დიდი და პატარა, კაცი და ქალი. აჯანყებულთა ხელში იყო ხიდისთავი, ნაგომარი, საჯავახო. 31 აგვისტოს ინსურგენტებმა იერიში მიიტანეს ოზურგეთზე, რომელიც საგანგებოდ გაემაგრებინათ ოკუპანტებს. მაგრამ ბათუმიდან და სამტრედიიდან ჩამოსწრებულმა წითელმა რაზმებმა უკუაქციეს აჯანყებულთა იერიშები. 2 სექტემბერს კი თვითონ აჯანყებულები მოაქციეს ალყაში წითლებმა, მაგრამ ინსურგენტებმა ალყა გაარღვიეს და ტყეებსა და მთებს შეეფარნენ.

---

[1] სოლ. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[2] ალ. კარგარეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981, გვ. 40.

ᲙᲐᲙᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲘᲜᲘᲢᲐᲫᲔ

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შტაბი თურქეთში გადასვლისას (1924 წლის სექტემბერი) სხედან (მარცხნიდან: ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე) დგანან (მარცხნიდან: ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი).

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.



კაკუცა ჩოლოყაშვილი შეფიცულებთან ერთად. პარიზი.

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.



ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ელიზბარ ვაჩნაძე



ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ. ᲚᲔᲕᲘᲚᲘ.

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

იმერეთში, შორაპნის მაზრაში, აჯანყებული ხალხი იბრძოდა დ. გაბუნიას მეთაურობით. მას მხარში ედგნენ სტუდენტები — ხუზა ქოჩაკიძე, ალ. აბაშიძე და დ. ახვლედიანი. აჯანყებულებმა კომუნისტებს დააგდებინეს ჩხარი, რომლის გარშემო სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ჩხარი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს მაინც წითელმა ჯარმა სძლია. აჯანყებულები მთებსა და ღრეებს შეეფარნენ.

გააფთრებით იბრძოდა სამეგრელო. აქ აჯანყებას ჯერ ჯენერალი თოფურია ედგა სათავეში, შემდეგ როტმისტრი დავით მხეიძე და ეროვნულ-დემოკრატი შალვა კალანდარიშვილი. 29 აგვისტოს აჯანყებულებმა აიღეს სენაკი, აქაური ჩეკისტები განაიარაღეს, პატიმრები გამოუშვეს და შეაიარაღეს. სენაკიდან აჯანყებულები ფოთისა და სამტრედიისაკენ გაემართნენ იქ გამაგრებულ წითლებთან საომრად. ბოლოს მაინც რუსებმა იმძლავრეს და მეამბოხენი იძულებული გახდნენ სამეგრელოსა და სვანეთის მთებში შეხიზნულიყვნენ.

თვითონ სვანეთიც იბრძოდა. აქ აჯანყებას მეთაურობდნენ—პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე, ეროვნულ-დემოკრატი ბიძინა პირველი და კაპიტანი მიხეილ ჭიჭინაძე. 29 აგვისტოს მთელი სვანეთი უკვე აჯანყებულთა ხელში იყო. 30 აგვისტოს კი 500 სვანი ქუთაისს მიადგა საიერიშოდ, მაგრამ ქუთაისს უკვე საგანგებოდ გამძლავრებული რუსული გარნიზონი დაპატრონებოდა და სვანებიც იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ და იქ, სვანეთის მთებში განეგრძოთ ბრძოლა.

საერთო ანგარიშით, სამი დღე-ღამე მიმდინარეობდა ომი საქართველოს ყოველ კუთხეში საქართველოს გამათავისუფლებელთა და დამამხობელთა შორის—სამდღიანი ომი პირისპირ შეჯახებებით, დამამხობელ-დამპყრობელთა აქტიური ბალანსით დამთავრებულიყო. მთებსა და სიმაგრეებში გაფანტულ-გამაგრებული მეამბოხენი ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ და საერთო ხელმძღვანელობისაგან—დამკომისაგან სახელმძღვანელო მითითებებს თუ დირექტივებს ელოდებოდნენ.

დამკომი კი უკვე აღარ არსებობდა. 4 სექტემბერს მცხეთას შეიპყრეს მისი თავმჯდომარე და მდივანი—კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი.

ძლიერი, „ბორბა-რუსულ-კომუნისტური“ დაწოლა და... მეორე დღეს, 5 სექტემბერს, მთელი საქართველო, მისი მტრებიც და მოყ-

ვრებიც, ოფიციალურ კომუნისტურ პრესაში უკვე კითხულობდნენ ამ, ვისთვის სასიამოვნო და ვისთვის შემაძრწუნებელ სტრიქონებს:

„ განცხადება

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა:

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დღიდან თავისი არსებობისა, ისახავდა რა მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, დარწმუნებული იყო, რომ ის შესძლებდა ამ მიზნით ქართველი ერის შეიარაღებული გამოსვლის მომზადებას და მოხდენას. ამისთვის დამოუკიდებლობის კომიტეტი მასში წარმოდგენილ პარტიათა საშუალებით რამოდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აიარაღებდა რაზმებს. მეორე მხრით, საზღვარ-გარეთელ ბიუროს მეოხებით სცდილობდა შეექმნა ევროპიულ სახელმწიფოებში და განსაკუთრებით საფრანგეთ-ინგლისში სათანადო პირობები დახმარებისათვის. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, რის გამო ჩვენ დავმარცხდით. მასსიური ორგანიზაციული გამოსელა, რომელსაც ველოდით, არ მოხდა. ხალხის ფართო მასსამ ჩვენ მხარი არ დაგვიჭირა. შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედაფენებში იყო მოგროვილი და უმეტეს ნაწილად ტყეებში გახიზნული ჩვენი გამოსვლა ფაქტიურად გადაიქცა ჩვენდაუნებურ ავანტიურად, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ხელისუფლების რეპრესიები, რის პასუხისმგებლობა სავსებით ჩვენ გვედება.

აღიარებს რა თავის შეცდომას ამ გამოსელის მოწყობით, დამოუკიდებლობის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება დამღუპველი და საესებით უპერსპექტივო ქართველი ერისათვის. ამის გამო დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს კომიტეტში შემავალ პარტიებს და ყველა იმ შეიარაღებულ რაზმებს, რომელნიც ვაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, და მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმსაც წინადადებით დაუყოვნებლივ ხელი აიღონ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლაზე, დაშალონ საესებით ყველა შეიარაღებული ძალები, იარაღი ჩააბარონ მთავრობის ორგანოებს და მთავრობისადმი მორჩილებით შეეცადნონ გამოსწორებას იმ უდიდესი უბედურებისა, რომელიც მოუტანა ქართველ ერს ჩვენმა გამოსვლამ. ამის შემდეგ დამოუკიდებელ კომიტეტს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად, დაშლილად ვაცხადებთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის
თავმჯდომარე—კ. ანდრონიკაშვილი
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის
მდივანი—ი. ჯავახიშვილი.
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის
წევრი—მიხ. ბოჭორიშვილი.
საქართველოს სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის
ცენტრალურ კომიტეტის წევრი—ე.ჯინორია.
საქ. ეროვნ.-დემ. პარტიის ცენტრალურ
კომიტეტის წევრი—მ. იშხნელი.
5 სექტემბერი, 1924 წ."[1]

ასე რომ—ხალხი დამკომის საწინამძღვრო სიტყვას ელოდა და მიიღო კიდეც... სრული გაწბილება...

საერთოდ, საგანგებოდ უნდა იქნეს მინიშნებული, რომ არსად აჯანყებულებს სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ ადგილობრივ ქართველ კომუნისტ-მმართველთაგან. ისინი აჯანყებულ თანამემამულეთა პირველ შეძახებისთანავე უსისხლოდ ყრიდნენ იარაღს. ხოლო ბრძოლა და სისხლისქცევა ჩაღდებოდა შემოსეულ საოკუპაციო რუსულ ჯარებთან, ნამდვილ დამპყრობელთა და დაპყრობილთა შორის.

[1] სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მოამბე, 1924 წლის აგვისტო, №8, გვ. VII–VIII.

თავი მეათე

შედეგები და შეფასება

იმავე 1924 წლის შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა პროფესორი დრ. ერიხ ობსტი.* ივი ეახდა თვითმხილველი იმ საშინელი ტრაგედიის შედეგებისა, რომელსაც საქართველო იმ ხანად განიცდიდა. ერიხ ობსტი გულდაგულ ეაეცნო არა მარტო მომხდარ ფაქტს, არამედ შეძლებისდაგვარად საქართველოს ისტორიას და სამშობლოში დაბრუნებისთანავე ცნობილ ევრმანულ კრებულში „ცაიტშრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ" დაბეჭდა გეოპოლიტიკური ნარკვევი „საქართველო", რომელმაც იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ეს იყო თვითმხილველის სიტყვა, აჯანყების მეორე დღეს ევროპაში ნათქვამი, სადაც პრესაში ამ დროს კამათი იყო გამართული მომხდარი ფაქტის შესახებ. 1964 წელს წიგნი ქართულ ენაზე ითარგმნა და აჯანყების მეორმოცე წლისთავზე გამოქვეყნდა ჟურნალში „კავკასიონი", რომელიც პარიზში გამოდიოდა.

„იმ დროს, როდესაც ჩვენ თბილისს მიეედით, იქ იყო გაბატონებული ღრმა გლოვა. ვანსაკუთრებით ქალაქის ქართულ ნაწილში. ბევრი დედაკაცი მიმოდიოდა შავ სამოსელში ჩაცმული და მათი სახე მძიმე, მძიმე მწუხარებას ამჟღავნებდა. მამაკაცთა შორის შავი ნიშანი ჩვეულებრივი იყო. მაგრამ ისინი ამ გლოვის ნიშანს ატარებდნენ დიდი სიფრთხილით, ეშინოდათ, ამით საეჭვო პირად არ ჩამთვალონო.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, მას რომ წევრი არ დაჰკლებოდეს და გლოვაში არ ყოფილიყოს.

გაუგონარი მძვინვარებით მოსპეს აჯანყება. ოფიციალური სტატისტიკა თუმცა აცხადებს, რამოდენიმე ასი კაცი სამხედრო სასამართლოს განაჩენით დაიხვრიტაო, მაგრამ ვიღას აინტერესებს ეს რიცხვი... ნამდვილი მსხვერპლი ათასობით ითვლება. ისინი დახვრი-

---

* „გერმანელმა პროფესორმა ობსტმა თავის სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ოთხ თვეზე მეტ ხანს იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში არსებული ვითარების კარგად გაცნობის მიზნით. შემოიარა ევროპული რუსეთი, იყო უკრაინაში და ამიერკავკასიაში (კერძოდ, საქართველოში). ნაშრომი სათაურით „საქართველო" ჯერ პერიოდულ პრესაში დაბეჭდა, ხოლო შემდგომ წიგნად გამოსცა. წიგნი გერმანული მზრუნველობით და ბეჯითობითაა გამოცემული. თან მრავალი სურათი ახლავს საქართველოდან, სამოგზაურო შთაბეჭდილებანი, მეცნიერული და ეკონომიკური ხასიათის დაკვირვებით" (გაზ. „სახალხო საქმე". პარიზი).

ტეს გაუსამართლებლად, ხშირად იმ შემთხვევაშიც, როცა დაბეჯითებით იცოდნენ, რომ ისინი აჯანყებაში სრულებითაც არ მონაწილეობდნენ"[1].

დიახ, იყო უკიდურესი სისასტიკე, უსამართლობა, ადამიანურ ღირსებათა შელახვა, ტერორი და ვადასახლება, დახვრეტა და დამიწება. და ყველაფერი ეს იმის წილ, რომ ქართველმა ხალხმა ვერ აიტანა თავისი საკუთარი, თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, რომლის ყოველი სტრუქტურა მხოლოდ თავისი ნებით შეექმნა, 1918 წლის 26 მაისს. ფრანგების შეკითხვაზე: ამართლებთ თუ არა ახლაც თქვენს ვამოსვლას 1924 წელს? კ. ანდრონიკაშვილმა უპასუხა: აჯანყება იყო საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკის ვარდაუვალი შედეგი და ამ თვალსაზრისზე ვართ დღესაც. რაც შეეხება აჯანყების მიზანს, აჯანყების მეთაურმა, იმავე ანდრონიკაშვილმა, მეტეხის ციხეში ფრანგების შეკითხვაზე—ისევ დემოკრატიული წყობილებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მისწრაფება–მიუგო პასუხად.

აჯანყების მთავარი ლოზუნგი სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, და ამდენად, მას უნდა ვადაეწყვიტა არა ცალკეულ-ვიწრო პარტიული საკითხი, არამედ სრულიად საქართველოს მომავალი.

აქვე დგება საკითხი აჯანყების მამოძრავებელ ძალებზე, ამ ძალთა სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობაზე. მაშ, რა სოციალურ ბაზას ეყრდნობოდა და რა სოციალური ფენების მისწრაფებებს ეწირებოდა ეროვნული სისხლი ამ აჯანყებისა?

მივმართოთ ისევ დოკუმენტებს. უწინარესად, თუკი იმდროინდელ პარტიულ პრესას ვადავხედავთ, ვაუთავებლად და დაჟინებით ასეთ კვალიფიკაციებს შეეხვდებით, რომ: ეს იყო „მენშევიკების ავანტიურა", „მენშევიკური ბანდა", „აფიცრები, თავადაზნაურობა და სამღვდელოება—აი ავანტიურისტების მთავარი ძალები", „ბნელი ძალები" და სხვა მისთანანი.

სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაშიც (უკანასკნელი პუბლიკაციებისა და ვამოკვლევების ვარდა) თითქმის დღემდე ასე იყო ახსნილი ეს აჯანყება. მაგრამ თუკი ჩავუღრმავდებით ისტორიულ წყა-

[1] ჟურნ. „კავკასიონი", 1964, პარიზი.

ვალერიკო ჩუბინიძე

ფოტო აღებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმიდან.

როებს, კარგად და ნათლად დავინახავთ, რომ აჯანყებაში მონაწილეობდნენ ყველა კლასისა და ფენის, სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და მიმართულების ადამიანი. და ეს არ იყო არც „სასოწარკვეთილი თავადაზნაურობის აგრარული რევოლუცია"—როგორც ამას მაშინდელი ოფიციალური პრესა აცხადებდა—და არც „მენშევიკური ბანდის ავანტიურა", არამედ:

ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო აჯანყება—აჯანყება ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

კვლავ მივხედოთ წყაროთმცოდნეობითი დოკუმენტებისგან მიღებულ ცნობებს. მაგალითად: „სენაკის რაიონის აჯანყებაში მონაწილეთაგან: მღვდლები—3, თავადაზნაური—52, ოფიცერი—2, გვარდიელი—15, კულაკი—5, ეაჭარი—2, მენშევიკი—21, გლეხი—214, საბჭოთა მოსამსახურე—8, მოწაფე—15... სულ 387 კაცი".[1]

სერგო ორჯონიკიძე კი თბილისის საბჭოს 1924 წლის 5 სექტემბრის სხდომაზე სვამდა კითხვას: „ვინ აჯანყდა?"—აქვე უტიფრად პასუხობდა: „ჩვენდა საბედნიეროდ საქართველოს ელეხობა არ აჰყვა ამ არამზადებს". „მათ მხარეზე არ ყოფილა არც ერთი გლეხი".

ისევ ხაზგასმით ვამბობთ, რომ არქივის დოკუმენტები სულ სხვას გვიდასტურებენ. თუმცა არც ის უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ, რომ მაშინ შემოდიოდა პრაქტიკაში და მკვიდრდება დღემდეც: თქმა ერთისა სახალხოდ, თქმა მეორისა საიდუმლოდ, ხალხისგან დამალულად, რაც ისტორიას ბოლოს და ბოლოს მაინც უტყუარ დოკუმენტად მოევლინება.

ისევ მოვისმინოთ კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი ცნობა პროფესორ ერიხ ობსტისა: „არავის არ შეუძლია სერიოზულად იდავოს იმაზე, რომ ეროვნულად აღგზნებულ ინტელიგენციასთან ერთად, პირველ ყოვლის, საქართველოს აკადემიურ ახალგაზრდობასთან ერთად, ძალიან ბევრი გლეხი და მუშა ღებულობდა მონაწილეობას აჯანყებაში... შავი ქვის მრეწველობის არეში, ჭიათურაში მუშებმა იარაღი ხელთ აიღეს... განა მართლა შეუძლია ვინმეს, დაამტკიცოს, რომ ჭიათურის მაღაროს მუშები ყველანი თავად-აზნაურები იყვნენ, ანდა თავადაზნაურთა მიერ დაქირავებული იყვნენ, რათა მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყვანათ.

[1] მლისფპა, ფ. 14, აღწ. 2, საქ. 40, 2, ფ. 162.

ვინც მიუდგომლად, ადგილობრივად იქ ყველა ცნობა აღწერა და თვითმხილველისა გასინჯა, მისთვის შეუცველელად ერთი რამ უეჭველია: ქართულმა ინტელიგენციამ (1924 წლის ზაფხულში) ელეხებთან და მუშებთან ერთად იარაღს ხელი სტაცა. ჩაიდინეს ეს მათ სამშობლოს მიმართ წმინდა თავდადებული სიყვარულის გამო. მათ მიმართეს ამ უკიდურესობას იმ შეგნებით, რომ სხვაგვარად... ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა მიუღწეველი არისო".[1]

კომუნისტური ცეკა განუკითხავად ხოცავდა აჯანყების ყველა მონაწილეს, განურჩეველად „კლასობრივისა", თუ „სოციალური წარმოშობისა",. მალე ისიც გამოირკვა, რომ „დამკომის" წინამძღოლთა „განცხადება" ჩეკას დაწოლით ყოფილა დაწერილი. ამ განცხადებაზე გაზეთი „კომუნისტი" მაშინ ასეთ კომენტარს აკეთებდა: „ეს განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერეს ამ კომიტეტის წევრებმა, უარესია დახვრეტაზე და სასიკვდილო განაჩენია არა მარტო მისი ავტორებისათვის, არამედ მათი მიმდევრებისთვის". ხოლო კოტე ანდრონიკაშვილი, მოვეიანებით ოფიციალურ დოკუმენტში ჩაწერს, რომ ის ავბედითი განცხადება სწორედ ჩეკას დაწოლით გაკეთდა, რომელშიაც აჯანყებისთვის უნდა ეწოდებინათ ავანტიურა. და ამაზე ანდრონიკაშვილი, თურმე, თანხმდებოდა იმის სანაცვლოდ, რომ ხელისუფლება შეწყვეტდა რეპრესიებს, ვინაიდან აუარებელ პოლიტიკურ, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეს მოელოდა ფიზიკური განადგურება. დეკლარაციის შემდეგ ხელისუფლებამ მართლაც ერთ ხანს შეწყვიტა მასობრივი რეპრესიები, მაგრამ მალე ისევ განაახლა დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა.

დახვრეტა თითქოს ორდინარულ „წესად" ქცეულიყო. ჯერ, აჯანყების პირველსავე დღეს თბილისის სატუსაღოებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც რამდენიმე თვით ადრე იყვნენ დაპატიმრებულები და, ცხადია, აჯანყებაში მონაწილეობასაც ვერ მიიღებდნენ (24 კაცი). დახვრიტეს რუსეთის ციხეში გამომწყვდეული ქართველები (29 კაცი). მათ შორის იყვნენ: ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფაღავა.

„ჭიათურაში თავი მოუყარეს მათ, ვინც ხელში მოხვდათ, ბევრი ისეთიც, რომელსაც აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია, ჩაყარეს ვაგონებში, ვითომ თბილისს გასაგზავნად და მახლობელ სადგურ

[1] ჟურ. „კავკასიონი", 1964, პარიზი.

ყვირილასთან ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს ვაგონებში ჩაკეტილი ხალხი. არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გადარჩენილა".[1] ამ საშინელების მომსწრე და დამსწრე ემიგრანტმა ვ. ჩუბინიძემ 1953 წელს პარიზში გამოაქვეყნა ორტომიანი „მოგონება", რომელშიც აღწერს ჭიათურის ამ შემაზრზენ ტრაგედიას და გადმოგვცემს სიას ვაგონებში ამოხოცილი ხალხისას—სულ 95 კაცისა. ამ სიის წარმოდგენა საჭიროდ მივაჩნია თუნდაც იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დავინახოთ თუნდაც სოციალური ერთობლიობა მაშინდელი აჯანყებისა. აი, ის სიაც:

სოციალ-დემოკრატები,
მუშები:

1. ბერძენიშვილი ილიკო
2. ცერცვაძე ოველ
3. ცერცვაძე ერემია
4. დოლიძე შალვა
5. ხარალიძე კალისტრატე
6. ჯაფარიძე ილიკო
7. სამყურაშვილი პორფილე
8. სამყურაშვილი არტემა
9. ქველაძე პარმენ
10. სამხარაძე ილია
11. ნადირაძე ხანდრო
12. კეკელიძე ილიკო
13. გამყრელიძე გრიშა
14. გამყრელიძე აკაკი
15. არაბიძე არჩილ
16. ლოლაძე აკაკი
17. ჭიჭინაძე ბიქტორ
18. თოდრიაშვილი სოგრატ
19. ჭავჭანიძე შალვა
20. კაპანაძე არჩილ
21. ციმაკურიძე ლადო
22. ქურციკიძე დათიკო
23. ვაკოიშვილი კოწია
24. ბარათაშვილი გამო
25. გამყრელიძე ნოე
26. არხენაძე ვლადიმერ
27. კობახიძე ხინო
28. სამხარაძე ნიტუშა
29. ცაბაძე დათიკო
30. აბულაძე გრიშა
31. ახათიანი გრიგოლი
32. ნიქატაძე რაჟდენ
33. შეყილაძე გიორგი
34. ხვედელიძე გიორგი
35. მაჩიტაძე გიორგი
36. გაბუნია დარიხპან
37. მიქაბერიძე დომენტი
38. აბეხაძე აიხა
39. ხარალიძე იხაკი
40. მოდებაძე თანოხ

სოფლის მუშები:

41. მიქაძე პოლიკარპე
42. ხელაძე გიორგი
43. ჭიჭინაძე გრიგოლ
44. მიხელიძე მიხეილ

[1] რ. არსენიძე, აჯანყება საქართველოში, ჟურნ. „კავკასიონი", 1964.

45. ვარდოსანიძე მოხე
46. ბრეგვაძე მაქსიმე
47. გაფრინდაშვილი შალიკო

სტუდენტები და მოწაფეები:

48. ხამყურაშვილი კოწია
49. ხამხარაძე პარმენ
50. ხარშილაძე ნიკო
51. შარაშიძე ნიკო
52. ხარალიძე კოლია
53. ფხალაძე ვანო
54. ჯაჯანიძე მიშა
55. ჯაფარიძე თენგიზ
56. კოკიაშვილი ჭუკია
57. ლოსაბერიძე რაჟდენ
58. კეკელიძე გრიშა

მასწავლებლები:

59. მაჭარაშვილი ხერაფიონ
60. მაჭარაშვილი ვალიკო
61. მაჭარაშვილი ალექსანდრე
62. უგლავა კონსტანტინე
63. კაკაბაძე ბესარიონ
64. გორდაძე სიმონ
65. ბოჭორიშვილი ტერენტი
66. აბაშიძე ვანო

დაწესებულებათა მოსამსახურენი:

67. მელიქოვი ბიქტორ
68. ჩხენკელი ვანო
69. ჯორბენაძე ვალოდია
70. წერეთელი ნიკუშა
71. იოხელიანი გილა
72. ჯულელი შალიკო
73. რობაქიძე გიორგი
74. ბურჯანაძე ლადო (ხამხ. პირი)

სოც.-ფედერალისტები:

75. იაშვილი ჭუნია
76. მახხარაშვილი ლავრენტი
77. მიქაშავიძე ვალერიან

სოც.-რევოლუციონერები:

78. ვაშაძე ლადო (მუშა)
79. გაფრინდაშვილი ვალერიან (ხამხ.)

ეროვნ.-დემოკრატები:

80. წერეთელი ნესტორ (მრეწველი)
81. წერეთელი ხანდრო

უპარტიოები:

82. ვაშაძე იონა
83. ჭიჭინაძე ვლადიმერი
84. გელაშვილი დათიკო
85. ნაფეტვარიძე ლადო

სოფლის მუშები:

86. ლილუაშვილი ვლადიმერ
87. დათიაშვილი ვლადიმერ
88. მიქაბერიძე კოწია
89. მიქაძე ლავრენტი
90. კვინიხიძე ლავრენტი
91. ცქიფურიშვილი მიხა

დაწეს. მოსამსახურენი:

92. წერეთელი გიორგი (სახ. მოსამართლე)
93. მოდებაძე კიმოთე
94. ხვედელიძე ლავრენტი
95. მოდებაძე ნიკო (სამხ. პირი)[1]

კიდევ: „მარტო სამეგრელოში 451 კაცი დახვრიტეს... სოფელ რუისში ამოწყვიტეს მთელი ოჯახი ფანიაშვილებისა, რომელიც შესდგებოდა ოთხი მამაკაცის, ხუთი მანდილოსანის და თხუთმეტი ბავშვისაგან, სამიდან თოთხმეტ წლამდე! კომუნისტები არა თუ მალავდნენ მათ მიერ ჩადენილ საძაგლობას, არამედ, პირიქით, სასახელოდ მიაჩნდათ ეს გაუგონარი ველურობა.

სისხლით გაბრუებული საქართველოს კომპარტიის მაშინდელი მდივანი მიშა კახიანი, ეს გონებრივი სადისტი, საჯაროდ სწერდა გაზეთ „კომუნისტში“: „უხერხემლო მენშეევიკებმა დატუსაღებული ერთი ჩვენი ამხანაგის დასჯაც ვერ გაბედეს, მაშინ როდესაც ჩვენ მათი ამხანაგები ათასობით დავხვრიტეთო.“ ...კოტე ანდრონიკაშვილი კი ბოლოს მაინც ამას იტყვის: „ჩვენ დავმარცხდით და დამარცხდა აჯანყება ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება დაგვრჩაო“.[2]

კოტე ანდრონიკაშვილი საფრანგეთის მუშათა დელეგაციას აწვდის ასეთ მონაცემებს: „იმის შემდეგ, რაც აჯანყება გამოირკვა, წაგებული იყო, საოკუპაციო ხელისუფლებამ დახვრიტა აუარებელი ხალხი გაუსამართლებლივ, ჩვენის ცნობით—4000. ბევრია კიდევ მსხვერპლი, რომლის რაოდენობა ჩვენ ჯერ არ ვიცით. დახვრეტები რუსეთში, გზაში დაპატიმრებულების, ეაგონებში (ეს მოხდა ჭიათურაში, მუშათა რაიონში);

ციხიდან ეამოჰყავდათ ასობით და სიცოცხლეს უსპობდნენ, იმისთანებსაც, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ დაპატიმრება აჯანყებამდე. ბავშვების, ქალების, მოხუცების, ისეთების, რომლებსაც აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ“.[3]

თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა ჩეკას ჯურღმულებში აჯანყების მეთაურთა საქმის ძიება და ბოლოს, 1925 წლის ივლისაგვისტოში გათამაშდა სასამართლო-ფარსი—საბჭოთა უზენაესმა სა-

---

[1] ე. ჩუბინიძე, „მოგონება“, ტ. 2, გვ. 275-278.

[2] ნ. კირთაძე, ისტორიულ-პოლიტიკური პროცესი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 25 იანვარი. 1991 წელი.

[3] მლისფპა, ფ. 14, აღწ. 2, საქ. 40, გვ. 395—396.

სამართლომ განიხილა საქმე—„პარიტეტული კომიტეტის" შესახებ.

დამკომის საქმეზე დაპატიმრებული იყო 47 კაცი: კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. ბოჭორიშვილი, დ. ონიაშვილი, ვ. ჯინორია, ნ. ქარცივაძე, ს. დადიანი, კ. ნინიძე, გ. რცხილაძე, გ. გიორგაძე, მ. იშხნელი, ნ. იმნაიშვილი, ს. ხოფერია, გ. ცინცაბაძე, ნ. კახიანი, ი. იაშვილი, ვ. ბერიძე, ი. ბახტაძე, ნ. ნაკაშიძე, ა. ბელთაძე, ი. ლორთქიფანიძე, მ. ჭანიშვილი, ა. ბოკერია, ა. კვირიკაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ხურციძე, ი. ფანოზაშვილი, ა. კალანდარიშვილი, შ. იოსელიანი, ლ. ესეანჯია, შ. კალანდარიშვილი, მ. თვალთაეაძე, ხ. ლაშხია, თ. შენგელია, ე. ლატარია, გ. ანჯაფარიძე, ა. ჩხაიძე, გ. ვოვოლიშვილი, გ. მამალაძე, ა. ფანცულაია, ა. ძაძამია, ა. ფიჩხაია, ე. გეგეჭკორი, ბ. პირველი, ა. გაბლიანი, ვ. ნაცვლიშვილი, ვ. ბილანიშვილი. მათ ბრალდებებად წაუყენეს კონტრრევოლუციის აჯანყების მომზადება და ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და დამნაშავეთა ბანდების შექმნა, ტერორიზმი და შპიონაჟი. რაც, ცხადია, დასრულდა საბჭოურ კვალიფიკაციათა შესაბამისი სასჯელებით...

და მრავალი სხვა მსგავსი ფაქტი-ბრალდება...

ამ მრავალთა შორის კი მოგვაქვს პარტიულ არქივში დაცული ერთი წერილი, უფრო სწორად, მონაკვეთი წერილიდან, რომელიც ეკუთვნის არსენ წითლიძეს (გვარი და სახელი წერილის კუთხეში სხვა ხელით არის მინაწერი). წერილმა დაგვაინტერესა იმდენად, რამდენადაც იგი აჯანყების შედეგებზე არ ლაპარაკობს მარტო მსხვერპლის რაოდენობრივი თვალსაზრისით: „...ყოველ თვეში ასობით მიემგზავრება სატუსაღო რონოდებით ჩრდილოეთისაკენ ტიტველი გლეხკაცობა, ხშირად უსაბნოდ, გაცვეთილი ჭილოფით და ძველი ხალათის ამარა. ასობით მიემგზავრება უსახსრო მოსწავლე-ახალგაზრდობა, ქალი და კაცი საკონცენტრაციო ბანაკებისაკენ, სადაც მეცნიერების ძებნის წილ მათ სრული ფიზიკური და სულიერი განადგურება მოელით. შედეგი: უპატრონონი, უმუშახელოდ მიტოვებული სახლ-კარი, დაობლებული ცოლ-შვილი, მეურნეობის დაცემა, სიღატაკე, შიმშილით სიკვდილის პერსპექტივები და ყველა ამასთან საშინელი გაბორტოტება, სიძულვილი ხელისუფლების, სოფლის გულის სიღრმეში ჩაგუბებული უკმაყოფილების ზღვა, რომელიც კიდევ უფრო განზე სწევს იმ უფსკრულის ნაპირებს, რომელიც ხალხსა და ხელისუფლებას შორის აგვისტოს საშინელებამ ვანზარა. რატომ არ უნდა

ვაკმაროთ ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას ის სისხლი, რომელიც მან აგვისტოს წყალობით გაიღო... ნუთუ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ხალხთან საერთო ენის გამოსაძებნად რეპრესიების გარდა სხვა საშუალება არ მოეძებნება?

მე ვხედავ, რომ ხალხის ფართო მასა, განსაკუთრებით კი გლეხკაცობა ვერ მისულა ხელისუფლებასთან. ვხედავ, რომ ხალხსა და მის ჭირისუფალს შორის უფსკრულია გათხრილი, და ამაშია უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ტრაგიზმიც. მე მინდა, რომ ხალხი მივიდეს ხელისუფლებასთან, მინდა, რომ სისხლიანი გზების მძებნელთ, ახლებურად მომუშავე გზადაბნეულთ ტაშის დამკვრელი არ ყავდეს. მაშინ ბუნებრივად შეწყდება მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობა. ამას ვერ შეძლებს ემიგრაციის ემობა, მით უმეტეს, ამას ვერ იზამს რეპრესია...[1]

გამოსავლისათვის ივი თხოვნით მიმართავს ადრესატს: „დარწმუნებული ვარ... რომ შენ ისარგებლებ შექმნილი მდგომარეობით, შემოიკრებ ყველას, ვისაც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესები ძვირად უღირს, ვისაც მშობელი ერის სიყვარული პორტფელებზე არ დაუხურდავებია და ჩვენი ხალხის მწარე გმინვის გასაგებად სასმენელი არ დახშვია".

სწორედ უბედურებაც ის იყო, რომ ძალიან ბევრმა „ეროვნულმა პოლიტიკოსმა" დაახურდავა მშობელი ერის სიყვარული კარიერისტულ პორტფელებზე, ეთქვათ მაგალითნი ასეთი „დახურდავებისანნი":

„ჩვენმა ჩეკამ შემუსრა მენშევიკების ცეკა. ამჟამად ისინი ან ციმიწაში განისვენებენ, ან ჩვენივე ჩეკას წიაღში" (მიხეილ კახიანი);

„ამ ვაჟბატონებმა, „ავჯანყების გმირებმა", ოდნავ გაგვაწმენდინა ჩვენი თოფები" (სერგო ორჯონიკიძე);

„თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საქართველოში 6 პროცენტი თავადაზნაურობისაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ არის. თუ გინდ პოლონეთის პანების სამეფოშიც, სადაც თავადაზნაურობის პროცენტი 4 პროცენტს აღწევს. ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტი" (ლევან ღოღობერიძე);

„ჩვენ, წინაპრებო, ერთმანეთი ვადავიცანით,
ჩემთვის ერთია დღეს ერეკლე და მაჰმად ხანი" (კ. ლორთქიფანიძე).

---

[1] მლისფპა, ფ. 14. აღწ. 2, საქ. 40. გვ. 400-401.

და მრავალი, მასიურადაც—ასეთი „სამავალითონი“.

ხოლო ამ დროს—კარიერაზე სულგაყიდული ამდენი ქართველის საპირისპიროდ, თუნდაც ერთი უცხოელი, გერმანელი პროფესორი ერიხ ობსტი, მთელი ევროპის და, მაშასადამე—მთელი მსოფლიოს გასაგონად აი, ამას აცხადებს:

„ქართველი ხალხის ძალიან დიდი უმრავლესობისათვის ეროვნული შეგნება, მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისაკენ დაუსრულებლივ უფრო მტკიცე არის, ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურისაკენ მიმართული სურვილი. ქართველი ხალხის ამ გაუტეხელმა ნებისყოფამ... გამოიყვანა რევოლუციონერები 1924 წელს საბრძოლველად. უეჭველია, ეს არ იქნება უკანასკნელი“.

ამას ამბობს მაღალინტელექტუალი უცხოელი, მაგრამ იმას არ გვეუბნება, რასაც ისევ ჩვენ უნდა მივხედეთ,—მიეხედეთ სწორედ 1924 წლის აგვისტოს, ამ ღრმად ეროვნული აჯანყების დამარცხების უმთავრეს მიზეზს:

მაშინ (აც) საქართველოს, თავისუფლებისათვის საბრძოლო ფენით გზნებამორეულს და უკვე ბრძოლის ზღურბლზეც ფეხშედგმულს, ყველაზე დიდი, საბედისწერო სენი სჭირდა: სენი შინაგანი დაქსაქსულობისა, შინაგანი დაპირისპირებისა, ანუ ახალი, ჩვენი თანამედროვე კატეგორიებით—„შინაპარტიულობისა“ თუ „შინაკლანურობისა“.

სწორედ ეს იყო მთავარი: საქართველო, თავისთავად მცირე ქვეყანა, ებრძოდა დამპყრობელ რუსეთს—უკიდეგანო კოსმოპოლისს; თანაც ებრძოდა არა მთლიანი, მონოლითური, არამედ გახლეჩილი და განკვეთილი, და კიდევ მეტიც: ამ „ნახლეჩთაგან“ უფრო ძლიერი და ცხოველმყოფელი იყო თვით მტრის ბანაკში და თავგამეტებით ებრძოდა საკუთარ სისხლ-ხორციელ „ნახლეჩს“.

ამ შინაგანი „ნახლეჩობის“ ტრაგედიამ სამომავლოდ უნდა გვასწავლოს, რადგან კვლავ ბრძოლა საქართველოში თავისუფლებისათვის, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის გრძელდება და როგორც ისევ ის უცხოელი ბრძანებს—უეჭველია არ იქნება უკანასკნელი.

მარიამობისთვე, 1991
ლელაქალაქი.

დოკუმენტური მასალა
ისტორია შეულამაზებლად

კვლევის დროს, სხვადასხვა არქივებში, გავეცანი 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. სქელტანიან ტომებს ერიფით — „სრულიად საიდუმლოდ", დაკითხვის ოქმებს ერიფით — „სარგებლობას არ ექვემდებარება"., აჯანყების მონაწილეთა პირად წერილებს, რეპრესირებულთა და დახვრეტილთა სიებს, საბრალდებო დასკვნებს და მუდმივი შენახვის წესით დაცულ სრულიად საიდუმლო საქაღალდეებს.

ცხადია, მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა თითოეული მათგანი. უფრო სწორად, საინტერესოც და დამთრგუნველიც. ამ მხრივ კი განსაკუთრებით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივსაცავებში დაცული დოკუმენტები გამოირჩეოდა.

კითხულობ ამ ფურცლებს, რომელსაც თავისი მძიმე დროის კვალი დამღასავით ადევს, და შენს თვალწინ ცოცხლდება მშობლიური ქვეყნის სინამდვილე, რომელიც დროსთან ერთად დაძველდა და ისტორიის კუთვნილება გახდა.

ამ დოკუმენტებში ხშირად გვხვდება ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა დროს მიცემული საპირისპირო ჩვენებები, ძალადობის გზით გაბატონებული რეჟიმის შესატყვისი ინტერპრეტაციები, არის სხვა, კიდევ უფრო მძიმეც და საშინელიც... მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ ყოველივე ეს დაკავშირებული იყო არა მარტო იმ გაუსაძლის ფიზიკურ ტანჯვა-წამებასთან, რომელიც ჩეკას „აკადემიაში" ატყდებოდათ თავს ქართველ პატრიოტებს და მათ ოჯახებს, არამედ ერთ კიდევ უფრო მნიშვნელოვან პირობასთან — 21 წლის ზაფხულიდან დაწყებული, „არასაიმედოთა" მასობრივი დაპატიმრებების და დახვრეტა-გადასახლების შეჩერების სანაცვლოდ, საოკუპაციო ხელისუფლებისათვის სასარგებლო ჩვენებებს ითხოვდნენ ჩეკისტები.

და ამიტომ ზოგჯერ იყო უარყოფაც. უარყოფა ტაქტიკის, პოლიტიკური მსოფლმხედველობის, აჯანყების, მაგრამ არავის უარუყვია ყველაზე მთავარი — სამშობლო.

ახლა ამ მოვლენის, 1924 წლის აჯანყების დოკუმენტურ ისტორიას,

მხოლოდ მცირე კომენტარით, შეულამაზებლად ვთავაზობ მკითხველს.

ვიცი, ბევრს ტკივილს მოგვრის ეს სტრიქონები, ბევრიც ობიექტურად დასვამს კითხვის ნიშანს — საჭირო იყო თუ არა მისი გამოქვეყნება.

მეც დიდხანს ვიდექი ამ არჩევანის წინაშე, მაგრამ მათი პუბლიკაცია ერთმა გარემოებამ განაპირობა მხოლოდ: თბილისის ცნობილი მოვლენების დროს დაიწვა უშიშროების კომიტეტის არქივი, როგორც დარწმუნებით გვითხრეს, აქ მოტანილი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც, რატომღაც, იოლად ვაიმეტეს ისტორიის უფსკრულისათვის. როგორც ჩანს, აღნიშნულ დოკუმენტებს ვეღარ ნახავენ მკვლევარნი, არადა, ეს ისტორია კიდევ უფრო შესავსები და, რაც მთავარი, დასაზუსტებელია.

ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით და მადლობას ვწირავ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საზოგადოებრიობასთან მუშაობის ჯგუფის მაშინდელ ხელმძღვანელს ბატონ ვახტანგ ქუთათელაძეს, ბატონებს: მიშა როყვას, დათო ჩიხლაძეს და გურამ რეხვიაშვილს, რომლებიც შეეცადნენ კარგი სამსახური გაეწიათ ათეულობით მკვლევარისა და ჟურნალისტისათვის, რომლებმაც ეგრეთწოდებული დათბობისა და პერესტროიკის პოლიტიკის შედეგად შეაღეს ამ არქივის კარი.

ნიკოლოზ იოთამის ძე ჭარცივაძის 1923 წლის 16 მარტის ჩვენება

1922 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში საქართველოს სდმპ (მენშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მე „პარიტეტული“ კომიტეტის შემადგენლობაში ჩამრთეს. იმავე აგვისტოში პარიტეტულმა კომიტეტმა თავის თავმჯდომარედ ამირჩია. პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარედ ამ ბოლო დრომდე ვიყავი.

დაკითხვის ოქმი ჩაწერილია ისე, როგორც მე ვთქვი.

ჩვენების სისწორეს საკუთარი ხელმოწერით ვადასტურებ.

ნ. ჭარცივაძე.

დაკითხავდა: კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

ავშაკი.

ოქმი ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძის დაკითხვისა 1923 წლის 17 მარტს

ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძე, 41 წლისა, ყოფ. აზნაური, მამა მემამულე იყო, საცხოვრებელი ადგილი — დაპატიმრებამდე თბილისი, 23-24 თებერვლიდან დღემდე ვიმალებოდი, საქმიანობა — იურისტი, ცოლშვილიანი ვარ, მყავს ორი შვილი: 7 და 4 1/2 წლისა. ვცხოვრობდი პირადი შემოსავლით, საქართველოს ს. დ. პარტიის წევრი ვარ. დავამთავრე იურიდიული ფაკულტეტი ჟენევაში და ექსტერნად კიევის უნივერსიტეტი. 1914 წლის ომამდე ნაფიცი ვექილის თანაშემწე ვიყავი თბილისში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე პარტიულ მუშაობას არ ვეწეოდი. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ემსახურობდი. პარტიულ მუშაობაში ჯერ ბოლშევიკებთან ემონაწილეობდი, მერე კი „ალიონის" ჯგუფში. ოქტომბრის რევოლუციის დღიდან დაპატიმრებამდე ამიერკავკასიის კომისარიატში ემსახურობდი. ვიყავი საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ხოლო ბოლო დროს — თბილისის საერობო სამმართველოს თავმჯდომარე. ცნობები წინანდელ ნასამართლობაზე: 1907 წელს მეფის მთავრობის დროს 5-6 თვე ციხეში ვიჯექი, შემდეგ გადამასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში, რომელიც საზღვარგარეთ ვასახლებით შემიცვალეს. სტუდენტობის წლებში ხანმოკლე დროით მაპატიმრებდნენ ხოლმე და 1902-1903 წლებში რამდენჯერმე გამასახლეს.

ჩვენებას, რომელიც 1923 წლის 16 მარტს ჩამომართვეს, დავძენ:

პარიტეტული კომიტეტი 1922 წლის აპრილსა თუ მაისში შეიქმნა. მის შემადგენლობაში ის პარტიები შედიოდნენ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისს ადგნენ. პარიტეტული კომიტეტის ამოცანა იყო: ერთმანეთის ინფორმირება და დამოუკიდებლობის სასარგებლო პოლიტიკურ ვამოსვლათა საკითხებზე კონტაქტის დამყარება. საკითხებს შეთანხმებით წყვეტდნენ. პარიტეტულ კომიტეტში ჩემი ჩართვის დღიდან ვიდრე ჩემ დაპატიმრებამდე 7 თუ 8 სხდომა

გვქონდა. პარიტეტული კომიტეტის სხდომებზე, მახსოეს, განვიხილეთ შემდეგი საკითხები: დუშეთის გამოსვლის ლიკვიდაცია,—საკითხი, რომელსაც 2 თუ 3 სხდომაზე განვიხილავდით, მცხეთის პოლიტიკურ პატიმართა სახლში მყოფთა საზღვარგარეთ გასახლება, სტუდენტთა წმენდისადმი დამოკიდებულება, გადაწყდა ერჩიათ სტუდენტებისათვის ანკეტების შევსება, 25 თებერვლის ზეიმისადმი დამოკიდებულება და რამდენიმე სხდომა, რომლებიც, ფაქტობრივად, საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის და ანტისაბჭოურ პარტიათა საერთო მოქმედების ხაზის საკითხზე დისკუსიად გადაიქცა. პარიტეტულ კომიტეტთან ერთად მუშაობდნენ იმავე საწყისზე მოწყობილი წითელი ჯვარი, საფინანსო კომიტეტი, რომელიც ერთჯერაც არ შეკრებილა და ფაქტობრივად არ არსებობდა, და სარედაქციო კოლეგია, რომელსაც შემთხვევიდან შემთხვევამდე შეადგენდნენ ხოლმე. რაც შეეხება სამხედრო ცენტრს, ჯერ კიდევ პარიტეტული კომიტეტის შექმნამდე მსმენია, სამხედრო ცენტრი არსებობსო. მაშინ კი, როცა მე ჩამრთეს პარიტეტულ კომიტეტში, არავითარი სამხედრო ცენტრი არ იყო. სამხედრო ცენტრის ვითომდა პარიტეტულ კომიტეტთან არსებობაზე მე შევიტყვე ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში ჩემთვის დასმული კითხვებიდან. ხევსურეთის აჯანყებასა და იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა წრეში, მეტადრე ახალგაზრდა ოფიცერთა წრეებში ამაღლებული განწყობილება სუფევდა, სექტემბრის დამდეგს ინტერპარტიული კომიტეტის დავალებით სამხედროების თთბირი მოვიწვიე, მგონი, ნარიკელაძის მეშვეობით. ვესწრებოდით მე და მოწვეულები: ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკოვი, კ. აფხაზი, იასონ ჯავახიშვილი, რომელიც მე არ მომიწვევია. ესწრებოდა აგრეთვე ნარიკელაძე, ოღონდ არ მახსოვს, როგორც თათბირის წევრი თუ როგორც მასპინძელი, რადგან თათბირი მის ბინაში გავმართეთ. მე თათბირს მოვახსენე ინფორმაცია ხევსურთეის ამბებზე, მასების განწყობილებაზე, ახალგაზრდობის, მეტადრე ახალგაზრდა ოფიცრების აღგზნებულობასა და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე. მე ვთქვი, რომ ხევსურეთში დიდი ამბები ხდება, რომ ხევსურეთი ოთხივე მხრივ გარშემორტყმულია ჯარით, რომ წითელ არმიასთან შეტაკებებია, რომ ჩოლოკაევი ხევსურეთიდან წავიდა და კახეთში აპირებს რაღაცას, რომ, როგორც მეუბნებიან, ყველა მაზრაში ამაღლებული განწყობილებაა, რომ თბილისში დიდი მღელვარება შეინიშნება ახალგაზ-

რდებს შორის, მეტადრე ოფიცერთა შორის, რომ საერთოდ საქართველოში ისეთი ვითარება იქმნება, როცა შესაძლებელია საყოველთაო აფეთქება. ეამბობდი, ამ აფეთქებამ შესაძლოა ქართველი ხალხი დაღუპოს და ეს ყველაფერი ისეთ საერთაშორისო ვითარებაში ხდება, რომ საზღვარგარეთ ჩვენზე ხმასაც არავინ ამოიღებს-მეთქი. ვთხოვდი დამსწრეთ, გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი და გავლენა ადამიანთა დასაშოშმინებლად-მეთქი. დამსწრენი ყველანი მეთანხმებოდნენ. გადავწყვიტეთ ჩოლოკაევის მოძრაობა ავანტიურად ჩაგვეთვალა. სხდომას რომ ეამთავრებდით, მოვიდა არტილერისტი ოფიცერი, მგონი, მუხროვანიდან,[1] რომელმაც მოგვახსენა, ჩოლოკაევმა შემოგვითვალა, შემომიერთდითო. ამასთან ის ბატარეაც მოითხოვა, რომელსაც ეს ოფიცერი მეთაურობდა. თუ ბატარეის ნებაყოფლობით შეერთებაზე უარს ეტყოდნენ, ჩოლოკაევი ძლით აპირებდა ბატარეის შეერთებას. ოფიცერს ეურჩიეთ, „მზად იყავი და წინააღმდეგობა გაუწიე-თქო". ამ თათბირზე სხვა საკითხები არ განვიხილავს. ეარდენ წულუკიძეს რამდენჯერმე შევხვდი ექიმ მიქელაძის ბინაში — თვითონ ეარდენ წულუკიძეც იმ ბინაში ცხოვრობდა. სამხედრო ცენტრის მუშაობას რომ ეხებოდა, ისეთ საქმიან საკითხებზე ვარდენ წულუკიძესთან არ მილაპარაკია. სხვაგან წულუკიძეს არ შევხვედრივარ და არც ნარიკელაძის პირით დამინიშნავს მისთვის შეხვედრა. ინტერპარტიული კომიტეტის უკანასკნელი სხდომა ჩემი დაპატიმრების წინ, დაახლოებით 1923 წლის 15 თებერვალს გაიმართა — საქართველოს გასაბჭოების წლისთავის დღესასწაულის წინახანებში.

სხდომის თავმჯდომარე მე ვიყავი. პარიტეტულ კომიტეტს პარტიულ წრეებში ინტერპარტიულ კომიტეტს უწოდებენ. იგი გამოდის აგრეთვე როგორც „დამოუკიდებლობის კომიტეტი". ინტერპარტიულ კომიტეტში ყოველი პარტიიდან თითო წარმომადგენელი შედიოდა. ინტერპარტიული კომიტეტი ურთიერთ ინფორმაციისა და კონტაქტის ორგანოა. იგი გადაწყვეტილებას ერთხმად იღებდა და ცალკეულ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მეშვეობით ახორციელებდა. გადამწყვეტ მომენტში, მაგალითად, შეიარაღებული აჯანყების დროს, უნდა შექმნილიყო ნამდვილი ორგანო, რომელშიც ინტერპარტიული კომიტეტის შემქმნელი პარტიები წარმომადგენლებს წარგზავნიდნენ

[1] ასეა ტექსტში (მოარგმნ. ნ. კ.)

თავ-თავიანთ წევრთა რაოდენობის პროპორციულად. ამ მომავალ ნამდვილ ორგანოში ადგილების რაოდენობა განაწილებული იყო, მაგრამ არ ვიცი, როგორ იყო განაწილებული ადგილების რაოდენობა პარტიებს შორის. მომავალი მთავრობაც იმავე ნიშნით უნდა ჩამოყალიბებულიყო, რა ნიშნითაც ჩემ მიერ აღნიშნული ნამდვილი ორგანო. „პრავდა ერუზიიმ" ის დოკუმენტები რომ გამოაქვეყნა, რომლებიც მოკლულ ბანდიტ ფაელენიშვილს უპოვეს, ვიფიქრე, ამ საქმეში ეროვნულ დემოკრატთა ხელი ურევია-მეთქი. შევიტანე შეკითხვა ინტერპარტიულ კომიტეტში. ეროვნულ დემოკრატები უარყოფდნენ თავიანთ მონაწილეობას დოკუმენტების გამოქვეყნებაში და ამას ცალკე პირთა ჯგუფს მიაწერდნენ.

დაკითხვის ოქმი ჩაწერილია ისე, როგორც მე ვთქვი.

სისწორეს ვადასტურებ.

ნ. ჯორდანია

დაჰკითხავდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აფუქინი.

დავძენ, რომ ზემოხსენებული „ნამდვილი ორგანოს" შექმნა ნავარაუდევი იყო მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ მკვეთრად შეიცვლებოდა მთელი ვითარება.

ნ. ჯორდანია

ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძის 1923 წლის 20 მარტის ჩვენება

ინტერპარტიულ კომიტეტთან სამხედრო ცენტრის არსებობისა და მუშაობის შესახებ ჩვენების მოცემაზე უარს ვაცხადებ. უარს ვაცხადებ აგრეთვე იმაზეც, რომ ვაუწყოთ, რა მოტივები მაიძულებენ უარი ვითხრათ სახედრო ცენტრის შესახებ ჩვენების მოცემაზე. სამხედრო შტაბები მაზრებში, რომელთაც ხელმძღვანელობდა ინტერპარტიული კომიტეტი ჩემი მეთაურობით, არ ყოფილა.

დაკითხვის ოქმი ჩაწერელია ისე, როგორც ვთქვი.

სისწორეს ვადასტურებ საკუთარი ხელმოწერით.

ნ. ქარცივაძე.

დაჰკითხავდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აშუკინი.

ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძის 1923 წლის 4 აპრილის ჩვენება

როგორც უკვე ეთქვი, მე პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარედ ვიყავი დაახლოებით შარშანდელი შუა აგვისტოდან ვიდრე ჩემი დაპატიმრების დღემდე, ანუ ამა წლის 16 მარტამდე. ფაქტობრივად თავმჯდომარე ვიყავი ამა წლის 10 თუ 12 თებერვლამდე. ამ დროიდან ვიმალებოდი და არავითარ მუშაობას არ ვეწეოდი. პარიტეტული კომიტეტი (როგორც თქვენ უწოდებთ მას, თორემ სინამდვილეში ერქვა ინტერპარტიული კომიტეტი ან დამოუკიდებლობის კომიტეტი) დაახლოებით შარშან მაისში დაარსდა ხუთი ქართული პოლიტიკური პარტიის შეთანხმების შედეგად. ეს პარტიებია: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატთა პარტია, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია და სოციალისტ რევოლუციონერთა პარტია.

დამოუკიდებლობის კომიტეტის დაარსებაზე ზამოთ დასახელებული პარტიების შეთანხმება ასეთ ვითარებაში მოხდა: როგორც ცნობილია, გასაბჭოებამდე საქართველოში გაბატონებული იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკთა პარტია). მთელი ძალაუფლება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოებში, ფაქტობრივად, ხელთ ეპყრა საქართველოს სოციალ- დემოკრატიას. ყველა სხვა პარტია ოპოზიციაში ედგა და გააფთრებით ებრძოდა მას. საქართველოს გასაბჭოების მერე პარტიებს შორის ბრძოლა არათუ არ დაცხრა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა. საქართველოს დამარცხებას ყველა პოლიტიკური პარტია იმ მიზეზით ხსნიდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მიზანშეუწონელ პოლიტიკას ადგა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბრალად დასდეს ის, რომ მან ვერ შეძლო სახელმწიფო მექანიზმის ამუშავება და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება. თავის მხრივ სოციალ-დემოკრატიული პარტია ბრალად სდებდა სხვა პარტიებს იმას, რომ ისინი საკმარისად არ ეხმარებოდნენ საქართველოს მთავრობას და

თავიანთი შეურიგებელი ბრძოლით ადამბლავებდნენ მთავრობის საქმიანობას. ამრიგად, საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში საქართველოს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შემდეგ შეთანხმდნენ, ბევრად უფრო მეტ ძალასა და ენერგიას ანდომებდნენ ერთმანეთის და არა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას. პარტიათა ხელმძღანელ წრეებს, უკლებლივ არ შეეძლოთ არ ეღიარებინათ, რომ მათი ასეთი ბრძოლა დიდად აზიანებს ქართულ ეროვნულ მოძრაობას და საქართველოს დამოკუკიდებლობის თვით იდეასაც, მით უმეტეს, რომ პარტიათა შორის ატეხილი ეს ბრძოლა შეიძლებოდა საქართველოს ფარგლებს გასცდენოდა და საზღვარგარეთაც დაწყებულიყო. პარტიათა შორის ატეხილი ამ ურთიერთბრძოლის შესაწყვეტად და ერთიანი ეროვნული ფრონტის შესაქმნელად საჭირო იყო ამ ურთიერთბრძოლს მოთავება, რაიმე შეთანხმების, რაიმე პლატფორმის გამომუშავება საქართველოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე მდგომი საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. მოლაპარაკება ამის თაობაზე, რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ 1921 წლის ზაფხულში დაიწყო. როგორც ვიცი, მოლაპარაკება ერთდროულად მიმდინარეობდა აქაც და საზღვარგარეთაც. საზღვარგარეთ როგორ მიდიოდა საქმე, არ ვიცი, მაგრამ აქ, საქართველოში მოლაპარაკებას კარგახანს შედეგი არ მოჰყოლია. ამის მიზეზი იქ უნდა ვეძებოთ, რომ ყოველი პარტია მეტისმეტად გადაჭარბებულად აფასებდა თავის გავლენას საქართველოში და არ სურდა წასულიყო რაიმე დათმობაზე. ზემოთ დასახელებულმა ხუთმა პარტიამ მხოლოდ შარშან მაისში მიაღწია შეთანხმებას და დააარსა დამოუკიდებლობის კომიტეტი. შეთანხმების ტექსტი არ წამიკითხავს და ამ შეთანხმების მუხლებზე იმის გარდა, რაც უკვე გითხარით, არაფრის თქმა შემიძლია.

შეთანხმების მიზანია შეთანხმების დამდებ პარტიათა შორის ატეხილი ურთიერთბრძოლის შეწყვეტა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის ირგვლივ ერთიანი იდეური ეროვნული ფრონტის შექმნა. ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ზემოთ დასახელებული ხუთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთაგან პარტიულ საწყისებზეა შექმნილი. ყოველ პარტიას, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი ხვედრითი წონა, ამ კომიტეტში წარმომადგენლად მხოლოდ ერთი წევრი ჰყავდა. თავმჯდომარეობა კომიტეტში

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს მიაკუთვნეს. ზუსტად არ ვიცი, სოციალ-დემოკრატიის ეს პრივილეგია (კომიტეტის თავმჯდომარეობა) ფორმალურად ჰქონდათ დათქმული შეთანხმებაში თუ ყველა დანარჩენი პარტიის უსიტყვო თანხმობით მოხდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს დიდი ვერაფერი პრივილეგია იყო, რადგან კომიტეტის სხდომაზე თავმჯდომარეობის გარდა სხვა უპირატესობა ან სხვა უფლება თავმჯდომარეს არ ეაჩინდა.

დამოუკიდებლობის კომიტეტში წარმომადგენლის დანიშვნის წესს ყოველი პარტია თვითონ ეამოიმუშავებდა. როგორც ვიცი, ეს წესი სხვადასხვა პარტიას სხვადასხვანაირი ჰქონდა. ზოგიერთი პარტია ამას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოწყობილი ფარული კენჭისყრით აკეთებდა, ასე რომ მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს შეეძლო ცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული. სხვები პრეზიდიუმის მეშვეობით ეაატარებდნენ დანიშვნას. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იმის თქმა, რომ ამა თუ იმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობას არ უნდა სცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული კომიტეტის წევრად. კომიტეტში პარტიის შესელის დროს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იმას, თუ როგორ ეკიდებოდა ეს პარტია საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარკვეულ სისტემას—დადებითად თუ უარყოფითად. ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების მცნობ პარტიას, თუ ამავე დროს ის საქართველოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისსაც ადგა, შეეძლო თავისი წარმომადგენლის გაეზავნა. დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობის ხასიათს ორი მომენტი განსაზღვრავდა: 1) ამ კომიტეტში შემავალი პარტიების დამოკიდებულობა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი და 2) პარტიათა წარმომადგენლობის პარიტეტული ხასიათი. ეს არ იყო ორვანო, რომელიც დირექტივებს აძლევს პარტიებს, მსგავსად იმისა, როგორც რომელიმე პარტიის ცენტრალური კომიტეტი დირექტივებს აძლევს პარტიის ორგანიზაციებს ყველა საკითხზე. დამოუკიდებლობის კომიტეტი რომ პარიტეტულ საწყისზე არ ყოფილიყო აგებული, იქ რომ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლობა საქართველოში ამა თუ იმ პარტიის რეალური გავლენის შესაბამისი ყოფილიყო, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის კომიტეტს შეეძლო ეადაქცეულიყო ყველა პარტიის საერთო ხელმძღვანელ ორგანოდ. მაგრამ იმის ეამო, რომ ისეთი პარტია,

როგორიც სოციალ-დემოკრატთა პარტიაა, რომელიც თავის რიგებში პარტიის 80 ათასამდე ორგანიზებულ წევრს ითვლის, და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატთა პარტია, რომელსაც საქართველოში აბსოლუტურად არავითარი გავლენა არა აქვს, კომიტეტში ხმების ერთნაირი რაოდენობით იყენენ წარმოდგენილი და, მაშასადამე, იქ გავლენა ერთნაირი ჰქონდათ, ბუნებრივია, ყველა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოდ დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაქცევაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ეს კია, რომ კომიტეტში ჩემი ყოფნის დროს პატარა (მცირერიცხოვანი) პარტიები ცდილობდნენ პრაქტიკულად რამდენადმე გაეფართოებინათ კომიტეტის ფუნქციები და გადაექციათ იგი თვითკმარ ხელმძღვანელ ორგანოდ, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლისთვისაც ეს აბსოლუტურად მიუღებელი იყო, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ამ ცდებს და ზუსტად იცავდა შეთანხმებას. ამრიგად, დამოუკიდებლობის კომიტეტის ხასიათის განსაზღვრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იყო, ჯერ ერთი, ურთიერთინფორმირების ორგანო, მეორე,—ორგანო, რომელიც აღრიცხავდა ამა თუ იმ პარტიის მიერ შეთანხმების იმ პუნქტის დარღვევის შემთხვევებს, სადაც ნათქვამი იყო, ხუთივე პარტია ვალდებულია ერთმანეთის წინააღმდეგ საჯარო გამოსვლები შეწყვიტოსო და მესამე,—ორგანო, რომელიც ამა თუ იმ პარტიის მიერ კომიტეტში გადმოტანილ ზოგიერთ საკითხზე კონტაქტს ამყარებდა. თუკი ასეთ საკითხებზე შეთანხმებას მიაღწევდნენ, შეთანხმება კი მხოლოდ იმ პირობით იყო შესაძლებელი, რომ ამ საკითხზე ყველა პარტია თანახმაა, კომიტეტი აღნიშნავდა შეთანხმების ფაქტს და ამას ყველა პარტიას აუწყებდა. განხორციელება კი მარტოოდენ პარტიებზე იყო, აქედან ჩანს, რომ ორგანიზატორულ მუშაობას დამოუკიდებლობის კომიტეტი არ ეწეოდა. მთელ საორგანიზაციო მუშაობას პარტიები ეწეოდნენ.

შეკითხვა: იყო თუ არა ადგილებზე დამოუკიდებლობის კომიტეტის ორგანოები?

პასუხი: როგორც ვიცი, კომიტეტში ჩემს შესვლამდე ეს საკითხი განუხილავთ და ერთგვარად დადებითადაც ეადაუწყვეტიათ. ზოგან შეუქმნიათ დამოუკიდებლობის კომიტეტისებრი პარიტეტული კომიტეტები, მაგრამ მალე წამოიჭრა საკითხი, ეის დირექტივებს დაემორჩილონ ეს ადგილობრივი პარიტეტული კომიტეტები—დამოუკი-

დებლობის კომიტეტისას თუ ცალკეულ პარტიათა ცენტრალური კომიტეტისას. როგორც ვიცი, ერთი მხრივ, კომიტეტის წევრებსა და, მეორეს მხრივ, დიდ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს შორის პატარა კონფლიქტი მოხდა. კომიტეტის წევრებს ეგონათ, ადგილობრივი პარიტეტული კომიტეტები დამოუკიდებლობის კომიტეტის ორგანოებია და, მაშასადამე, დირექტივებიც მისგან უნდა მიიღონო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი და, თუ არ ვცდები, ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტიც იმ თვალსაზრისს ადგა, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტს ადგილებზე არავითარი ორგანოები არ უნდა ჰყოლოდა და თუ საადმე პარიტეტული კომიტეტი შეიქმნებოდა, დირექტივები მას უშუალო ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისაგან უნდა მიეღო. ეტყობა საკითხი სოციალ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის სულისკვეთებით გადაწყდა, რადგან მთელი იმ დროის მანძილზე, რაც მე პარიტეტული კომიტეტის მუშაობაში ემონაწილეობდი, ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტს ადგილობრივ პარიტეტულ კომიტეტებთან რაიმე ურთიერთობა ჰქონოდეს, ისიც კი არ ვიცი, სად და რა სახით არსებობენ ისინი. პარიტეტული კომიტეტის განსახილველად ყველა საკითხი როდი გამოჰქონდათ. სვამდნენ მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომლებიც უნდა განხილულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სიბრტყეზე. მაგალითად, დამოუკიდებლობის კომიტეტში შეთანხმდნენ, რომ 25 თებერვალი, როგორც თბილისის აღების დღე, ეროვნული გლოვის დღედ ჩათვლილიყო და ზეიმისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ეს დღე მივიჩნიეთ დღედ, როცა მოისპო საქართველოს დამოუკიდებლობა. ოქტომბრის „ზეიმისადმი" დამოკიდებულების საკითხი პარიტეტულ კომიტეტს არც განუხილავს, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან ოქტომბრის გადატრიალება არაფერ შუაშია. აქ ყოველი პარტია განსაზღვრავს თავის წმინდა პარტიულ დამოკიდებულებას ოქტომბრის დღესასწაულისადმი. მეორე მაგალითი: როცა შევიტყვეთ, ქართული ბონები გაუქმდაო, არ ვიცი, რომელი პარტიის წინადადებით, მაგრამ ეს საკითხი დაისვა დამოუკიდებლობის კომიტეტში, დაისვა იმიტომ, რომ ჩვენი აზრით, ქართული ბონი საქართველოს დამოუკიდებლობას გამოხატავდა და მისი გაუქმება არ შეგვეძლო არ მიგვეჩნია დარტყმად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ, მაგალითად, აგრარუ-

ლი საკითხი არასოდეს დასმულა დამოუკიდებლობის კომიტეტში და არც დაისმებოდა, როგორც საშინაო საკითხი. როგორც ხედავთ, ვსვამდით მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებსაც ასე თუ ისე რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოს დამოუკიდებლობასთან. იმ საკითხთა ნუსხა, რომლებზეც შეთანხმება მიღწეული იყო, წინა ჩვენებაში ჩამოვწერე. შეეცდები ქვემოთ უფრო დაწვრილებით გადმოვცე ეს. ახლა მინდა შეეჩერდე ერთ გარემოებაზე, რომელსაც ფრიად არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუშაობის მიმდინარეობისათვის დამოუკიდებლობის კომიტეტში.

როგორც ვიცი, თბილისში მიღწეული შეთანხმების ტექსტი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის კომიტეტში ჩემ შესელამდე საზღვარგარეთ გაუგზავნეს იქ მყოფ ნოე ჟორდანიას მთავრობას. ტექსტთთან ერთად გააგზავნეს წერილიც, რომელშიც აღნიშნლი იყო, რომ ეს შეთანხმება საჭიროა ცნონ ნოე ჟორდანიამ და პარტიის საზღვარგარეთულმა ორგანიზაციებმა. იმის გამო, რომ ხუთივე პოლიტიკური პარტიის თითქმის ყველა უაღრესად გავლენიანი წევრი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ბუნებრივია, საზღვარგარეთულ პარტიულ ორგანიზაციათა მხრივ თბილისის შეთანხმების ცნობის თუ არცნობის ფაქტს უზარმაზარი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პარტიათა მთელი შემდგომი მუშაობისათვის როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც. პარტიათა წარმომადგენლებს არაერთხელ გამოუთქვამთ ეჭვი, თბილისის შეთანხმებებს საზღვარგარეთ არ დაგვიმტკიცებენო. ამ ეჭვს საფუძვლად ის ედო, რომ თბილისის შეთანხმება ხელსაყრელი არ იყო სოციალ-დემოკრატიისათვის და ამიტომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები, ისინი, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, არასოდეს არ მოაწერენ ხელს ესოდენ არახელსაყრელ შეთანხმებას. ამასთან დაკავშირებით ვარაუდობდნენ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეიტყობს თუ არა, პარტიის საზღვარგარეთელ ლიდერებს შეთანხმების დამტკიცება არ სურთო, შეეცდება რამენაირად, რაიმე შარის მოდებით დაარღვიოს თბილისის შეთანხმებაო. ასე იყვნენ განწყობილი დანარჩენი ოთხი პარტიის წევრები მაშინ, როცა მე დამოუკიდებლობის კომიტეტში შევედი. მართალია, თბილისში დადებული შეთანხმება სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის საზიანო იყო და სრულად არ შეესაბამებოდა პარტიების ძალთა რეალურ თანაფარდობას, მაინც ჩემი ღრმა რწმე-

ნით, სხვა პარტიათა ეჭვები, რაზეც ზემოთ ვამბობდი, საფუძველს მოკლებული გახლდათ. მიუხედავად თბილისის შეთანხმებათა მთელი არახელსაყრელობისა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი მზად იყო პატიოსნად ვანეხორციელებინა მისი საწყისები. დამოუკიდებლობის კომიტეტში ჩემი შესვლის მომენტისათვის ცნობა მიეიღეთ, რომ პარიზში იქ მყოფ პარტიებსა და ორგანიზაციებს დაუდევთ შეთანხმება, რომელიც თბილისში დადებული შეთანხმებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამბობდნენ, ვითომც პარიზის ამ შეთანხმების ტექსტი თბილისში მიეღოთ. ეს ტექსტი მე არ მინახავს, მისი შინაარსი დაწერილებით არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ეს შეთანხმება ითვალისწინებდა საქართველოში გარკვეული ორგანოს შექმნას პარტიათა წარმომადგენლებისაგან, ამასთან, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ამ ორგანოში იმდენივე წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა, რამდენიც ყველა სხვა პარტიას ერთად ეყოლებოდა.

დამოუკიდებლობის კომიტეტის წერილზე პარიზიდან პასუხი არ მიგვიღია. საზღვარგარეთის წრეებთან პირადი მოლაპარაკების გზით თბილისის შეთანხმების ბედ-იღბალი ვერ გავარკვიეთ, მაგრამ როგორც ვიცი, თვით ჩემ დაპატიმრებამდე დამოუკიდებლობის კომიტეტს ამ წერილზე არავითარი პასუხი არ მიუღია არც იმ პირისაგან, ვისაც დავალებული ჰქონდა საკითხის გარკვევა პირადი მოლაპარაკების გზით. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სხვა პარტიათა ეჭვებს აძლიერებდა და თითქმის ყოველ სხდომაზე ბრალად მდებდნენ, პარტია, რომლის წარმომადგენელიც თქვენ ბრძანდებით, ოფიციალურად აცხადებს, მზადა ვარ თბილისის შეთანხმება დავიცვაო, მაგრამ არაოფიციალურად ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თბილისის შეთანხმება საზღვარგარეთმა არ დაამტკიცოსო. რასაკვირველია, ეს ბრალდებები ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო. საზღვარგარეთთან დამოუკიდებლობის კომიტეტის კავშირი ზემოთნათქვამით ამოიწურება. გადავდივარ იმ საკითხების ნუსხაზე, რომლებიც დამოუკიდებლობის კომიტეტში დაისვა. უწინარეს ყოვლისა მინდა შეეჩერდე იმაზე, თუ როგორ ეკიდებოდა კომიტეტი დუშეთისა და ხევსურეთის ამბებს. როცა ცნობილი შეიქნა, რომ დუშეთის მაზრაში ჩოლოკაევის გამოსელები დაიწყო (იყო ხმები, რომ მან დუშეთი აიღო და რომ დუშეთის მაზრის მოსახლეობა მზად არის იარაღი აისხას და მას მიემხროს),

მიეიღე ცენტრალური კომიტეტის დირექტივა, მოიწვიეთ დამოუკიდებლობის კომიტეტი და გაარკვიეთ, რომელ პარტიას მიუძღვის ბრალი ამაშიო, აგრეთვე წინადადება მიეცით ყველა პარტიას, ყოველი ღონე იხმარონ ამ ამბის ლიკვიდაციისათვისო. ამ საკითხზე დამოუკიდებლობის კომიტეტი მოვიწვიე, თუ არ ეცდები, შარშან სექტემბრის დამდეგს. სხდომა დიდხანს არ გაგრძელებულა. ყველა პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩემს პარტიას დუშეთის ამბებთან საერთო არაფერი აქვს და საჭიროა მთელი ამ ამბის სასწრაფო ლიკვიდაციაო. დამოუკიდებლობის კომიტეტის დადგენილება პარტიებს ვაუწყეთ და პარტიებმაც თავის მხრივ ყველა ზომა მიიღეს კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად. კერძოდ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოუშვა მოწოდება და დუშეთის მაზრაში თავის ორგანიზაციებს დაუგზავნა დირექტივები, არავითარ შემთხვევაში ჩოლოკაევის მოძრაობას არ შეუერთდეთო. კომიტეტის სხდომა მეორედ მოვიწვიეთ ჩოლოკაევის საქმესთან დაკავშირებით, როცა ხევსურეთში აჯანყება დაიწყო. ხევსურეთის აჯანყებამ ვითარება გაართულა. ამბობდნენ, ხევსურეთს აღგვიან პირისაგან მიწისაო. ამ ხმებმა საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა ააწრიალა. ლაპარაკობდნენ, შესაძლოა გამოსელები სხვაგანაც დაიწყოსო. საჭირო იყო ენერგიული ზომების მიღება, თორემ ხანძარი იფეთქებდა. ხევსურეთის საკითხზე კომიტეტმა ზუსტად ისეთივე დადგენილება მიიღო, როგორც დუშეთის ამბებზე. ამ სხდომის მერე მოვიწვიე სამხედროთა ის თათბირი, რომელზეც თვით ამ თათბირის მონაწილენი გეუბნებოდნენ. თუ რა მიზნით მოვიწვიე ისინი, ამას უფრო ადრე ვამბობდი. ჩემს მოვალეობად ერაცხ კიდეე ერთხელ გავიმეორო: ეს არ ყოფილა სამხედრო ცენტრის სხდომა. ჩოლოკაევის ამბავთან დაკავშირებით დამოუკიდებლობის კომიტეტის კიდეე ერთი ბობოქარი სხდომა გვქონდა, რომელიც კინაღამ შეთანხმების ჩაშლით გათავდა. როდესაც შალვა ფაელენიშვილი მოკლეს და თბილისში გამოაქვეყნეს საბუთები, რომლებიც მას უპოვეს, პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ასეთ რაიმეს მეუბნებოდნენ: ცენტრალურ კომიტეტს ცნობები აქვს, რომ ამ საბუთების ავტორები ეროვნული დემოკრატებია. თქვენ ეს უნდა გამოარკვიოთ და მოითხოვოთ ახსნა-განმარტებაო. მოვიწვიე კომიტეტის სხდომა და ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელს განვუცხადე, გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადად ამტკი-

ცებენ, რომ ჩოლოკაევის ამბავი თავიდან ბოლომდე ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის საქმეა-მეთქი. მოვითხოვე ახსნა-განმარტება და თან დავაყოლე, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტიდან წავალ-მეთქი. ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელმა განმიცხადა, პარტიას ამასთან აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთოო. ჩემი შეკითხვის აზრი კი მან ისე განმარტა, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცდა, მოემიზეზებინა ჩოლოკაევის ამბავი და დაერღვია პარტიათა შორის დადებული შეთანხმება. რა თქმა უნდა, ამას დაბეჯითებით უარეყოფდი და საკმაოდ მკვახედაც წავლაპარაკდით. როცა ცოტაოდნად დავმშვიდდით, ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელმა სიტყვა წარმოთქვა და დაწერილებით შეეხო ჩოლოკაევის ამბებს, თავისი არგუმენტებით მან უთუოდ ყველა დაარწმუნა, რომ ჩოლოკაევის ამბები ცალკეულ უპასუხისმგებლო პირთა საქმე იყო. პარტიამ ამ პირთ ბრძოლა გამოუცხადა და შეძლო მათი გაცალკეება. მთელი მისი სიტყვა ისეთი გულწრფელობით იყო გამსჭვალული, რომ უყოყმანოდ ეერწმუნე და ეს ჩემი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადავეცი. თუ როგორ მოეკიდა კომიტეტი 25 თებერვლის „დღესასწაულს", ეს უკვე გითხარით. საჭიროდ მიმაჩნია დავძინო, რომ თუ ამ საკითხზე იყო მცირედი უთანხმოება, ეს ეხებოდა საკითხს — უნდა მიიღონ თუ არა საბჭოთა დაწესებულებების ქართველმა მოსამსახურეებმა მონაწილეობა „დღესასწაულში." უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ მათ არ უნდა მოვუწოდოთ ბოიკოტისათვის, თორემ ამან შეიძლება მათი სამსახურიდან დათხოვნა გამოიწვიოს, რაც საბჭოთა დაწესებულებებში ქართულ ელემენტს შეასუსტებსო. პირადად მე სხვა თვალსაზრისს ვადექი. მე ვამბობდი, რომ ყოველგვარი რეპრესიების მიუხედავად, არც ერთი ქართველი არ უნდა გამოჩნდეს ქუჩაში და არ უნა მონაწილეობდეს ზეიმში. ქართული ბონის საკითხზე პარტიებს შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. ყველა ერთხმად ამბობდა, ქართული ბონის მოსპობა საქართველოს დამოუკიდებლობაზე თავდასხმაო. ამ სულისკვეთებით შევადგინეთ მოწოდებაც. პოლიტიკურ პატიმართა გასახლების საკითხი ძალიან გვაღელვებდა. ჩვენ იმ თვალსაზრისს ვადექით, რომ ხელისუფალთ უფლება აქვთ წინადადება მისცენ მათთვის არასასურველ ელემენტებს დატოვონ ქვეყანა, მაგრამ რუსეთში გასახლება, ჩვენი აზრით, საქართველოს სუვერენიტეტის დაკნინება ან, უფრო სწორად,

დარღვევა იყო. ამ სულისკვეთების იყო ჩვენი დადგენილება. ჩვენ გამოვუშვით ფურცელი, რომელშიც გამოთქმული იყო პროტესტი ამ ზეიმის წინააღმდეგ. საბჭოების, როგორც ადგილობრივი, ისე სრულიად საქართველოს საბჭოების არჩევნების ბოიკოტის საკითხი არავითარ უთანხმოებას არ იწვევდა. საკმაოდ მნიშვნელოვანი უთანხმოება გამოიწვია უნივერსიტეტის სტუდენტთა წმენდის საკითხმა. საჭირო იყო დაგვედგინა ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და მიგვეყვანა პარტიები მასთან. პარტიას, რომელსაც მე წარმოვადგენდი, სტუდენტთა წმენდა მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების იმ მისწრაფებად, რომ საერთოდ გაეუქმებინა ქართული უნივერსიტეტი, და ვარაუდობდნენ, სტუდენტთა წმენდას პროფესორთა წმენდა მოჰყვებაო და ა. შ. ამიტომ ჩვენ ვამბობდით, რომ სტუდენტებმა ანკეტები არ უნდა შეავსონ. კომიტეტის სხდომაზე მე ამ თვალსაზრისს ვადექი, მაგრამ ჩემი თვალსაზრისი არ გავიდა. უმრავლესობამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად, რომ სტუდნტებს უარი ექვათ ანკეტების შევსებაზე. ჩემი პარტიის თანხმობით უკან დავიხიე. ამ საკითხებს გარდა, რამდენიმე სხდომა მივუძღვენით საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო საერთო მდგომარეობის განხილვას. ეს საკითხები თვითონ კომიტეტის წევრთა თაოსნობით განვიხილეთ ისე, რომ პარტიებისაგან არავითარი დირექტივა არ გვქონია. განხილვამ დისკუსიის ხასიათი მიიღო, თანაც იმდენად თეორიული დისკუსიისა, რომ პრაქტიკული ხასიათის რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელი იყო. რაც შეეხება სამხედრო ცენტრის საკითხს, შემდეგი უნდა ვთქვა: კომიტეტის დაარსების მომენტიდან, როგორც ვიცი, განიხილავდნენ სამხედრო ცენტრის შექმნის საკითხს. ჩემთვის უთქვამთ, რომ პიროვნებებიც კი იყო დასახელებული, მაგრამ ისინი არავის შეუკრებია და ორგანიზაციულად არ გაუფორმებია. მეუბნებოდნენ, ინიციატივა სამხედრო ცენტრის შესახებ თვითონ კომიტეტს ეკუთვნის, მაგრამ პარტიის საბოლოო სანქცია ჯერ არა გვაქვსო. როგორც მესმის, ეს ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი იყო, რომლის მეშვეობითაც კომიტეტის პერსონალურ შემადგენლობას ეწადა რამდენადმე გაეფართოებინა კომიტეტის კომპეტენცია შეთანხმების საზიანოდ. ასეთი ცდები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წინათაც ყოფილა. დამოუკიდებლობის კომიტეტში ჩემი შესვლის მომენტისათვის ამაოდ ვცდილობდი გამომერკვია ამ სავარაუდო ცენტრის ფუნქციები, მაგრამ

რაიმე ხელშესახების დადგენა ვერ შეეძელი. როგორც ვიცი, ამ პირთაგან ზოგიერთს უთხრეს, სამხედრო ცენტრში გაყვანას გიპირებენო. ზოგს უარი უთქვამს, ზოგი კი კარგა ხნის ჭოჭმანის მერე დათანხმებულა. ამის მერე სამხედრო ცენტრის საკითხი კელავ პარტიას გადაეცა და კურიოზი გამოვიდა: ერთი მხრივ, ზოგიერთს საფუძველი ჰქონდა ჩაეთვალა თავი სამხედრო ცენტრის წევრად და ეკითხა, რა გავაკეთოო, ხოლო მეორე მხრივ, პარტიები გააფრთებული იბრძოდნენ როგორც ცენტრის დამოუკიდებლობის, ისე იმ პირთა საკითხზეც, რომელთა იქ გაყვანასაც ვარაუდობდნენ. კანდიდატურა, რომელიც ეროვნულმა დემოკრატებმა წამოაყენეს, სოციალ-დემოკრატებისათვის ყოვლად მიუღებელი იყო.

თავის მხრივ სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატთა ჯიბრით, წამოაყენეს ეროვნულ-დემოკრატთათვის ყოვლად მიუღებელი პირი. და აი, ამ ბრძოლას ბოლო არ უჩანდა. მეკითხებოდით, მუსხელოვი თუ არის ცენტრის წევრიო. გიპასუხეთ, არ ვიცი-მეთქი. და, მართლაც, ახლაც ვფიქრობ ამაზე, ვერ გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე. ეს კია, შემადგენლობაში უნდოდათ მისი შეყვანა, მაგრამ არ ვიცი, უთხრეს თუ არა მას ეს. ხევსურეთის ამბების მერე კომიტეტის ერთმა წევრმა გარკვევით თქვა, ვერასოდეს ვერ დავიჯერებ, რომ ხევსურეთის მთავარი მომთვინიერებელი მუსხელოვი სამხედრო ცენტრის წევრი იყოო. ამის წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერი უთხრა. მის კანდიდატურაზე უარი თქვეს, მაგრამ აცნობეს თუ არა მას ეს, არ ვიცი. მეკითხებოდით ანდრონიკოვზე. ისევ და ისევ უნდა განვაცხადო, აბსოლუტურად არ ვიცი, ვინ აცნობა, ცენტრის წევრად გაყვანას გიპირებენო. კომიტეტის სხდომაზე ვიღაცამ თქვა, მოვსინჯე ანდრონიკოვი და გამოირკვა, რომ სამხედრო ცენტრში მუშაობას არ დათანხმდებაო. აფხაზი ის პიროვნება იყო, ვინც სოციალ-დემოკრატებისათვის აბსოლიტურად მიუღებლად ითვლებოდა, ხოლო გენერალ წულუკიძეს ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენელი კინაღამ მოღალატედ თვლიდა და არაფრით არ თანხმდებოდა იმაზე, რომ სამხედრო ცენტრის წევრი ყოფილიყო. ეს ყველაფერი ხდებოდა მას შემდეგ, რაც ამ ხალხს უთხრეს, სამხედრო ცენტრში გაყვანას გიპირებენო. მთელი სიმართლე მათთვის არ უთქვამთ და შესაძლოა მათაც ეგონათ, რომ ცენტრი არსებობს და ისინი ამ ცენტრის წევრები არიან.

ჩემი პარტიისაგან მე კატეგორიული დირექტივა მქონდა, ყოველნა-

ირად შემეფერხებინა ცენტრის, როგორც აბსოლუტურად უმაქნისი ორგანოს, შექმნა. ამ დირექტივას ვასრულებდი. თქვენ მეუბნებით, წულუკიძემ თავის ჩვენებაში თქვა, ძალთა აღრიცხვის გეგმა შევადგინე და კომიტეტს გადავუგზავნეო. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ კომიტეტის არც ერთ სხდომაზე არავის გაუკეთებია მოხსენება ამ გეგმის შესახებ და პარიტეტულ კომიტეტს ეს გეგმა არ გადაუგზავნია. იქნება წულუკიძეს პირზე წამაყენოთ და ამან გადაწყვიტოს ეს საკითხი. ვიცი, მესმის, რომ ჩემი მონაყოლი დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, მაგარამ სინდისის წინაშე სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია.

ნ. [illegible].

ალექსანდრე ახმეტლის 1923 წლის 10 მაისის ჩვენება

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ. 1912 წლამდე ბოლშევიკი ვიყავი. პარტიაში 1904 თუ 1905 წელს შევედი. პარტიიდან გავედი იმიტომ, რომ სულით ხორცამდე თეატრმა გამიტაცა. 1917 წელს ან 1918 წლის დამდეგს ქიზიყის (ადგილია სიღნაღის მაზრაში) ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელმა „რადიკალ-დემოკრატების გლეხთა პარტია" დაარსა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე იდგა და მოითხოვდა, რომ მთელი მიწა სრულიად უსასყიდლოდ გადასცემოდა გლეხობას. მოსახლეობის სხვა ფენებს მიწა მაშინ მიეცემოდა, თუ მიწაზე ნამუშევარი იყვნენ. მიწის საკითხზე მენშევიკებს ნორმისათვის ებრძოდა და ეროვნულ დემოკრატებს—როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს.

პარტიის დაშლის მერე არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ.

მიხეილ ჯავახიშვილის და სერგი დანელიას ჩვენებებს, ვითომ მე კოოპტაციით გამიყვანეს ცენტრალური კომიტეტის წევრად და ვითომ ვესწრებოდი სხდომას დიმ. ჯავახიშვილის ბინაზე, უარეყოფ. ვვარაუდობ, რომ იმას, ვისაც ჩემი კოოპტაცია უნდოდა, ეწადა ცენტრალურ კომიტეტში გავეყვანე მხოლოდ და მხოლოდ როგორც სამშობლოში პოპულარული კაცი, რათა მოსახლეობის სიმპათიები მოეზიდა თავისი პარტიის მხარეზე. გთხოვთ ჰკითხოთ ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რა სამუშაო შემისრულებია მე და როდის. დანელიას შორიდან ვიცნობ, ახლო ნაცნობობა მასთან არ მქონია. მიხ. ჯავახიშვილს (ლიტერატორ ადამაშვილს) ვიცნობ როგორც ლიტერატორს. მასთან ნაცნობობა მაქვს, „ხელოვნების სასახლეში" შეეხვედრივარ. ექიმ დიმ. ჯავახიშვილს ვიცნობ იქიდან, რომ ჩვენს თეატრში მსახურობდა. მის ბინაში ერთხელაც არ ვყოფილვარ, არც მისი მისამართი ვიცი. დავით ვაჩნაძეს არ ვიცნობ.

ახმეტელი

დაჰკითხავდა პეტროსიანი

ალექსანდრე ახმეტლის 1923 წლის 11 მაისის ჩვენება

პატიმრობის დროს ციხეში ინტერპარტიული კომიტეტის წევრი არ ვყოფილვარ. ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არავითარი სამუშაო არ შემისრულებია, რადგან მისი წევრი არ ვყოფილვარ. გუშინდელი დაკითხვის დროს ჩემს მიერ გამოთქმულ იმ ვარაუდს, რომ მე, როგორც პოპულარული კაცი, შეიძლებოდა კოოპტაციით შეეყვანეთ ცენტრალურ კომიტეტში, საფუძვლად უდევს ის, რომ ალბათ იმედი ჰქონოდათ, დაგვთანხმდებაო.

ახმეტელი

დაჰკითხავდა **პეტროსიანი**

ალექსანდრე ახმეტლის 1923 წლის 12 მაისის ჩვენება

იასონ ჯავახიშვილს ჩემთან არავითარი ლაპარაკი არ ჰქონია, ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე არსად მიეუწვევივარ. თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებთ, რომ იასონ ჯავახიშვილს შეეძლო ეთქვა მიხ. ჯავახოვისთვის, რომ მეც დაველაწრები, რადგან ქართველებს ეს ვეჩვევია.

ახმეტელი

დაკითხავდა პეტროსიანი

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმი 1923 წლის 12 მაისი

კითხვა: საბჭოთა საქართველოს პერიოდში ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ვინმე უპარტიო მიგეწვიოთ?

პასუხი: არ ყოფილა. ასეთი შემთხვევები გასაბჭოებამდე ხშირი იყო.

კითხვა: რას იტყვით ახმეტელის კოოპტაციაზე?

პასუხი: იასონ ჯავახოვმა მითხრა, დიმ. ჯავახიშვილთან სხდომაზე ალექსანდრე ახმეტელიც იქნება მოწვეულიო. ვერ ვიტყვი, რომ ეს კოოპტაცია ყოფილიყოს. პირიქით, ეს მოწვევა მივიჩნიე დასწრებად, რაც პირად საუბარში განვუცხადე საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს მოვილეესკის, ახმეტელის მოწვევას მე ვხსნი იასონ ჯავახიშვილის იმ სურვილით, რომ მუშაობაში მიეზიდა ახმეტელი, რომელსაც სიღნაღის მაზრაში დიდი გავლენა აქვს.

კითხვა: საქართველოს გასაბჭოებამდე რა შემთხვევაში იწვევდნენ უპარტიოებს ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე?

პასუხი: სპეციალური ხასიათის საკითხის განხილვისას.

კითხვა: დიმ. ჯავახიშვილის პინაში გამართული ცენტრალური კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში თუ იდგა ისეთი საკითხი, რომელშიც ალექსანდრე ახმეტელი დამსწრეებზე უფრო კომპეტენტური იქნებოდა?

პასუხი: იდგა საორგანიზაციო საკითხი და ამ საკითხში სიღნაღის მაზრისათვის ახმეტელი უთუოდ ყველაზე კომპეტენტური იქნებოდა, რომ დათანხმებულიყო.

კითხვა: ენდობოდა კი ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტი ახმეტელს, თუ ის ორგანიზაციულ საკითხზე სიღნაღის მაზრის მიმართ რაიმე წინადადებას წამოაყენებდა?

პასუხი: პირადად მე ვენდობოდი, რაკიღა წინასწარ ვიცოდი, რომ ის რადიკალ-დემოკრატთა ხაზს გაატარებდა.

კითხვა: რა ჭარბობდა უკანასკნელი შემადგენლობის ცენტრალურ კომიტეტში, რადიკალური მიმდინარეობა თუ წმინდა ეროვნულ-დემოკრატიული?

პასუხი: ჩვენი ბოლო პროგრამის თანახმად (1921 წლის იანვარი), რადიკალიზმის მიმდინარეობა ჭარბობდა.

კითხვა: დაასახელეთ ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის ბოლო შემადგენლობის იმ წევრთა ვვარები, რომლებიც რადიკალიზმთან ახლოს დგანან.

პასუხი: მე, იასონ ჯავახოვი, ნიკო კეცხოველი, სერვი დანელია, დიმ. ჯავახოვი. დარჩა კოტე აფხაზი და წინამძღვარი, რომლებიც პოლიტიკურად ერთობ სუსტად არიან მომზადებული. ჩვენს შორის სერიოზული უთანხმოება არ ყოფილა.

კითხვა: იდგა თუ არა თქვენს ცენტრალურ კომიტეტში პარტიის სახელწოდების შეცვლის, მაგალითად, „რადიკალ-დემოკრატთა პარტიის" დარქმევის საკითხი?

პასუხი: ეროვნულ დემოკრატთა პარტიის სახელწოდება მექანიკურად შემორჩა. სინამდვილეში ჩვენ ფორმალურად უნდა გვრქმეოდა ახალი სახელი (1921 წლის იანვრიდან)—„დემოკრატიული პარტია", რომელიც შეიქმნა, როგორც უკვე აღვნიშნე, ეროვნულ დემოკრატთა, რადიკალ-დემოკრატთა, მესაკუთრე გლეხთა და უპარტიოთა კავშირის გაერთიანებით.

ვ. ჯავახიშვილი

დაჰკითხავდა: **პეტროსიანი**

დიმიტრი ჯავახიშვილის 1923 წლის 13 მაისის ჩვენება

ჩემი წინა ჩვენების გასაგითარებლად და გასასწორებლად გაუწყებთ შემდეგს: ჩემს ბინაში გამართულ ცენტრალური კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის წევრები—ყოფილი და ახლანდელი, ცენტრალური კომიტეტის ახალკოოპტირებული წევრები: მე, დანელია და ახმეტელი, აგრეთვე პარტიის ლეგალურად არსებობის დროინდელი ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრები. წინა დაკითხვის დროს სულ არ მქონია სურვილი დამეფარა ვინმე, უბრალოდ დამავიწყდა ოქმში მეხსენებინა, რომ ამ სხდომაზე გვესწრებოდა ალექსანდრე ახმეტელიც, სახელმწიფო თეატრის რეჟისორი. მახსოვს, რომ სხვებზე ადრე მ. ჯავახიშვილმა დაგვტოვა. დანარჩენები ვინ როდის წავიდა, აღარ მახსოვს. სხდომაზე იდგა პარტიის მდგომარეობაზე ინფორმაციის საკითხი. ორგანიზაციული საკითხი იდგა თუ არა, არ მახსოვს. პრეზიდიუმიის არჩევნები არ ყოფილა, ან არ მახსოვს, რომ ყოფილიყო,მაგრამ მერე გამიგია, რომ პრეზიდიუმში შედიოდნენ: იასონ ჯავახიშვილი, იშხნელი და მესამე არ მახსოვს.

მას შემდეგ, რაც გამომიცხადეთ, რომ დაყენებულია ცენტრალური კომიტეტის წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი, გეთანხმებით, რომ ცენტრალური კომიტეტის ყოველი წევრი პასუხს აგებს მთელი ცენტრალური მოქმედებისათვის და მეც მეკისრება პასუხისმგებლობა ცენტრალური კომიტეტის მთელი მუშაობისათვის, მიუხედავად ამისა, მაინც ვაცხადებ, რომ არც ჩოლოკაევთან ცენტრალური კომიტეტის კავშირურთიერთობაზე არაფერი ვიცი და არც ვინმესგან რაიმე გამიგია. პარტიის ორგანიზაციაზე მსმენია, თბილისსა და მაზრებში უკრედები არსებობსო. ცენტრალური კომიტეტის სამხედრო მუშაკთაგან არავის ვიცნობ.

ჯავახიშვილი

დაჰკითხავდა პეტროსიანი

სერგი დანელიას 1923 წლის 4 მაისის ჩვენება

1. დიმ. ჯავახიშვილთან გამართულ კრებას, რომელმაც განიხილა იასონ ჯავახოვის მოხსენება და ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევნები, მე არ დავსწრებივარ. უარვყოფ ამ საკითხზე მ. ჯავახიშვილის და კ. აფხაზის მოცემულ ჩვენებებს. ეფიქრობ, რომ ისინი ცდებიან.

2. იანვარში დიმ. ჯავახიშვილის ბინაში ვიყავი, მაგრამ დიმ. ჯავახიშვილის ჩვენებას, რომ იქ კრება გვქონდა, უარვყოფ. მე ვახშმად ვეწვიე (იხ. ჩემი I ჩვენება).

3. ცენტრალურ კომიტეტში რომ კოოპტაციით შეეუყვანივართ, ეს ამბავი დიმ. ჯავახიშვილთან ვახშამზე გავიგე. აფხაზის იმ ჩვენებას, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრი 1922 წლის ოქტომბრიდან ვარ, უარვყოფ. ცენტრალური კომიტეტის წევრის თანამდებობაზე მე იქვე ვთქვი უარი, დიმ. ჯავახიშვილთან, ქუჩაში რომ გამოვედით. ჩემს უარს ესწრებოდნენ დიმ. ჯავახოვი, აფხაზი, ახმეტელი. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ჩემი უარი თავმდაბლობად ჩამითვალეს და შენი უარი მივიღეთ ან ვინმეს ვაცნობეთო, ჩემთვის არავის უთქვამს, არც მე მიკითხავს ვინმესთვის.

4. დიმ. ჯავახიშვილთან გამართულ ვახშამს ესწრებოდნენ: ახმეტელი (სახელმწიფო თეატრის რეჟისორი), აფხაზი, იასონ და მიხეილ ჯავახიშვილები, იშხნელი, კეცხოველი. მაგონდება, რომ მ. ჯავახიშვილი არ ყოფილა. ჩემს პირველ ჩვენებაზე, რომ იქ 20 კაცი ვიყავით, უარს ვამბობ. შესაძლოა, რომ ნაკლები ვიყავით. ჩემს იქ ყოფნაში იასონ ჯავახიშვილს მოხსენება არ წაუკითხავს. დავიშალენით ყველანი ნავახშმევს. დიმ. ჯავახიშვილის ჩვენებას, რომ მოხსენება იასონ ჯავახიშვილმა წაიკითხა, ვერ დავადასტურებ. ვვარაუდობ, რომ მოხსენება ჩემ მისვლამდე წაუკითხავთ, თუკი დიმიტრის ჩვენება სინამდვილეს შეეფერება.

5. ცენტრალური კომიტეტის წევრების: აფხაზის, იასონ და მიხეილ ჯავახიშვილების კრება ჩემს ბინაში ამა წლის იანვარში მართლა

იყო. განვიხილეთ გაზეთის გამოშვების საკითხი. კამათში მონაწილეობა არ მიმიღია. შეიკრიბნენ ისე, რომ არაფერი ვიცოდი, უფრო სწორად, არავის გავუფრთხილებივარ.

6. პარიტეტულ კომიტეტზე, გაერთიანებულ სამხედრო ცენტრზე, ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციაზე, ჩოლოკაევთან ეროვნულ დემოკრატთა კავშირურთიერთობაზე მე არაფერი ვიცი.

ნ. დანელია

დაჰკითხავდა პეტროსიანი

სერგი იოსების ძე დანელიას 1923 წლის 5 მაისის ჩვენება

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერ სერგი დანელიას, რომელსაც ბრალად მედება, რომ ვიყავი ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, დამატებით სათქმელი მაქვს შემდეგი: წარმოშობით სამეგრელოს უღარიბესი გლეხებიდან ვარ. საშუალო სკოლაში იმის წყალობით მოვხვდი, რომ ჩემსოფლელმა (სენაკის მაზრის სოფ. ბანძა) ერთმა სტუდენტმა ყურადღება მომაქცია და უსასყიდლოდ იკისრა ჩემი მომზადება გიმნაზიისათვის. პირველ ხანებში თვითონვე მარჩენდა თავისი ხარჯით. ამ სტუდენტის გვარი და სახელია სილოვან გაბუნია (თბილისში ცხოვრობს ტურგენევის ქ. №3). ახლა იურიდიულ პრაქტიკას მიჰყო ხელი თბილისში. ქუთაისის გიმნაზიაში რომ მიმიღეს, ჩემს შორეულ ნათესავებთან გერსამიებთან ვცხოვრობდი, რომლებიც სამადლოდ მარჩენდნენ, რადგან მამაჩემს მიწა ნახევარი დესეტინაც არ ჰქონდა, წელებზე ფეხს იდგამდა და ჩემი რჩენის საზღაურს ვერაფერს მისცემდა. მამაჩემის მატერიალური შეუძლებლობის გამო, სწავლის ქირისაგან ყოველთვის მათავისუფლებდნენ... ცმეტი წლისას უკვე შემოსავალი მქონდა: ზაფხულობით, როცა მამასთან ჩავდიოდი, გლეხების ეოვო-ბიჭებს ვამეცადინებდი სკოლაში... უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ვერ შევძელი მაშინვე მიმეღო ადგილი სამშობლოში და პირველ წელს ხერსონის კერძო გიმნაზიაში ვმსახურობდი. 1917 წლის შემოდგომაზე ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა ფოთის გიმნაზიის დირექტორად გამამწესა, 1919 წელს კი საქართველოს საშუალო სასწავლებლების რევიზორად დამნიშნა...

1917 წელს ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატთა პარტია. როგორც ვიცი, ამ პარტიის წევრები მჭიდროდ დარაზმული არ იყვნენ. ეს იყო ჯგუფი პიროვნებებისა, რომელთაც ფართო ეაელენა არ ჰქონდათ. ამ პარტიის არსებობის მთელი აზრი, ჩემი ეაგებით, მენშევიკთა მიმართ ოპოზიციაში ყოფნა იყო. ეროვნულ საკითხშიც კი ამ პარტიის წევრთა

შორის ერთსულოვნება არ იყო. პირადად მე, მაგალითად, ჩემი აზრი მქონდა ორიენტაციის საკითხზე... ჩემი შეხედულება გადმოცემული მაქვს ქართულად დაწერილ ბროშურაში „საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის", რომელიც 1920 წელს დაიბეჭდა. აქ მე მენშევიკთა საწინააღმდეგოდ შემდეგ დებულებას ვამტკიცებდი: ქართველი ხალხის ხსნა დასავლეთ ევროპის კაპიტალის წინააღმდეგ რუს ხალხთან ერთიანობაშია. ხოლო ეროვნულ-დემოკრატთა შორის გაბატონებული მრწამსის საპირისპიროდ აქვე ვამტკიცებდი, რომ საქართველოში ეროვნული საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ არსებული სოციალური წყობის შეცვლის შემდეგ...

საკითხავია, განა შემეძლო მე, ასეთი შეხედულებების მქონე კაცს, ვყოფილიყავ ეროვნულ-დემოკრატთა შორის? რატომ არ მივატოვე ისინი? მე თანდათანობით ვშორდებოდი მათ. მართლია, საჭიროდ არ მიმაჩნდა რაიმე გაბედული ნაბიჯის გადადგმა, ხმაურის ატეხა, რომ ერთი დარტყმით მოვწყვეტოდი მათ, ვერ ერთი იმიტომ, რომ ეხედავდი, ეროვნული დემოკრატები სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ მენშევიზმის მხილებით. მეორეც, ის საკითხები, რომლებშიც ეროვნულ დემოკრატთა უმრავლესობას ვშორდებოდი, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ითვლებოდა მწვავე საკითხებად. ამიტომაც ჩემს პარტიულ ამხანაგებს არ მივაჩნდი მათთვის მიუღებელ პიროვნებად. მათ არც კი აინტერესებდათ, როგორ უნდა გადაწყვეტილიყო, ჩემი შეხედულებით, ეროვნული საკითხი საქართველოში... ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის აგიტატორად არსად არ გამოვსულვარ, უარიც კი ვთქვი ჩემი კანდიდატურის წამოყენებაზე დამფუძნებელი კრების წევრად... ეროვნულ დემოკრეტთა ბოლო კონფერენციაზე 1921 წელს ცენტრალური კომიტეტის წევრად ამირჩიეს. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ესოდენ პასიური წევრის არჩევა მე შემიძლია ნაწილობრივ ავხსნა იმით, რომ თბილისში ვცხოვრობდი და, თუ საჭირო იქნებოდა, ვერ მიმიწვევდნენ კრებაზე. პარტიას ფორმალურად რომ ვეკიდებოდი, მისგანაც ასეთივე ფორმალური დამოკიდებულებით ვსარგებლობდი. საქართველოს გასაბჭოების მერე ეროვნულ დემოკრატთა პარტიის წევრებთან ეს ფორმალური კავშირიც შეწყდა.

ს. დანელია

დაჰკითხავდა პეტროსიანი.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან

საქმე № 63
იასონ ჯავახიშვილის ჩვენებებიდან

იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილი—37 წლის, თავადი, ქართველი, გორის მაზრის სოფ. ძევერადან, ინტელიგენტი, უცოლშვილო, უმაღლესი განათლებით პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1915 წლამდე მსახურებდა თბილისის ოლქის სასამართლოში. 1917 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრია. ცხოვრობდა არალეგალურად.

1920 წლის (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის) და 1921 წლის (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალურ-დემოკრატიული პარტიების და უპარტიოთა კავშირის) კონფერენციებმა ცენტრალური კომიტეტის წევრად ამირჩიეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რაც უკანასკნელი გაერთიანებული კონფერენციიდან ერთ თვეში მოხდა, ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი პირველი თვეების მანძილზე აბსოლუტურად არავითარ მუშაობას არ ეწეოდა. დაახლოებით 1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ცენტრალური კომიტეტის (ბოლო გაერთიანებულ კონფერენციაზე არჩეულის) პრეზიდიუმის წევრების სპირიდონ კედიას და ალექსანდრე ასათიანის ინიციატივით და შეხედულებით კონფერენციაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრებიდან შეიქმნა არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემდგენლობაშიც თავდაპირველად შევდიოდით სპირიდონ კედია (თავმჯდ.), ალ. ასათიანი (პრეზ. წევრი), შალვა ქარუმიძე, დათა ვაჩნაძე, მიხ. ჯავახიშვილი და მე. ზოგჯერ სტუდენტთა წარმომადგენლად ვიწვევდით ხოლმე კალე მისაბლიშვილს. 1922 წლის თებერვლამდე კომიტეტის მთელი მუშაობა იმით გამოიხატებოდა, რომ ვიკრიბებოდით ვითომდა ვახშამზე, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით და საქმის ვითარებაზე ინფორმაციას

ვაწვდიდით. მელე შალვა ქურუმიძე კოოპერატივ„ "-ის" საქმეებზე საზღვარგარეთ გაემგზავრა, 1922 წლის თებერვალში კედია, ასათიანი და ეაჩნაძე დააპატიმრეს. მე, მიხ. ჯავახიშვილი და მისაბლიშვილი ანუ ისინი, ვინც გარეთ დავრჩით, ახალი ცენტრალური კომიტეტის შედგენას შეეუდექით. ივი ახალი წევრების—გიორგი წინამძღვრიშვილის და შალვა ამირეჯიბის შეყვანის ეზით ჩამოვაყალიბეთ. 1922 წლის მანძილზე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა იზრდებოდა, თანდათანობით მასში შევიდნენ კოტე აფხაზი, მიხ. იშხნელი, დიმიტრი ჯავახიშვილი, ნიკო კეცხოველი (მისაბლიშვილის დაპატიმრების მერე), ალ. ახმეტელი, ს. დანელია. ჯერ კიდევ მეშინ, როცა სპ. კედია და სხვები გარეთ იყვნენ, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს—მენშევიკებსა, ეროვნულ დემოკრატებსა, სოციალ-ფედერალისტებსა, სხივისტებსა და ესერებს შორის დაიწყო მოლაპარაკება ისეთი ორგანოს შესაქმნელად, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ცალკეული პარტიების მოქმედებას, რადგან ყველა ეს პარტია ერთ მიზანს—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა. 1922 წლის 11 თებერვალს მომხდარი დაპატიმრებების გამო ეს მოლაპარაკება შეწყდა, მაგრამ სულ მალე კვლავ განახლდა. ყოველმა პარტიამ მოლაპარაკებისათვის თითო წარმომადგენელი გამოყო. ეროვნულმა დემოკრატებმა დაპატიმრებული სპ. კედიას ნაცვლად მოლაპარაკების გასაგრძელებლად მე გამომყვეს, მენშევიკებისაგან მოლაპარაკებას აწარმოებდა ნიკ. ქარცივაძე, სოციალ-ფედერალისტებისაგან ვიღაც მასწავლებელი იყო, გვარი არ მახსოვს, სხივისტებისაგან—ხოჭოლავა, ესერებისაგან—იოსებ გობეჩია. მოლაპარაკება გაჭიანურდა იმიტომ, რომ ჩვენ, ეროვნულ დემოკრატები, და მენშევიკები სრულიად განსხვავებულ პოზიციებზე ვიდექით. მენშევიკები, თუ საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდებოდა, მოითხოვდნენ როგორც მთავრობის, ისე დამფუძნებელი კრების სრულ რესტავრაციას, ჩვენ კი დაჩემებული გვქოდა, ძველ დამფუძნებელ კრებას ნუ მოვიწვევთ და მავრობა სოციალისტებსა და არასოციალისტებს შორის პარიტეტულ საწყისებზე შეექმნათ-თქო. არასოციალისტებში უპარტიოებიც შედიოდნენ. მეორნი 1922 წლის აგვისტოში შევთანხმდით შემდეგზე:

I. პარტიები ერთიანდებიან იმისათვის, რომ საერთო ძალებით იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

---

* სახელწოდება გაურკვევლად ეწერა (ნ.ჯ.)

2. თუ საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა, ვიწვევთ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც თავისი საქმიანობის ანგარიშს ჩააბარებენ როგორც საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა, ისე ისიც, რომელსაც გარდამავალი დროისათვის შექმნიან.

3. დამფუძნებელი კრების სხდომა კოალიციის პრინციპზე შექმნის ახალ მთავრობას, ამასთან არც ერთ პარტიას უფლება არა აქვს, ჰქონდეს ადგილები ერთ მესამედზე მეტი.

4. ავირჩევთ პარიტეტულ კომისიას, რათა განიხილოს საქმიანობა წინა მთავრობისა, რომელმაც ქვეყანა კრახამდე მიიყვანა.

5. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან პარიტეტულ საწყისებზე ვირჩევთ კომიტეტს, რომელსაც ეწოდება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი."

აი, დაახლოებით მთელი ტექსტი ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელი მოაწერეს ხუთი პარტიის ზემოთ მოხსენიებულმა წარმომადგენლებმა.

იასონ ჯავახიშვილის ჩვენებებიდან საკუთარი ხელნაწერი

მოლაპარაკების მომენტიდან ვირჩევთ პარიტეტულ კომიტეტს, რომელსაც ეწოდება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. მალე ამის მერე ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელშიც შევედით: ეროვნულ დემოკრატთაგან — მე, სოციალ-დემოკრატთაგან— გოგიტა ფაღავა, შემდეგ— ნიკოლოზ ქარცივაძე და ბოლოს— კონსტ. ანდრონიკაშვილი, სხვისტებისაგან (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებისაგან)—ჯერ მუხრან ხოჭოლავა, მერე კი ჩემთვის უცნობი მუშა, ესერთაგან—იოსებ გობეჩია, მერე კი მიხეილ ბოჭორიშვილი, პირველ სხდომებზე ფედერალისტთაგან ვეესწრებოდა ეიღაც ინტელიგენტი, რომელსაც პირადად არ ვიცნობდი. შემდეგ ფედერალისტები მუშაობას ჩამოშორდნენ და მათი ადგილი ცარიელი დარჩა. პრეზიდიუმში შევდიოდით ანდრონიკაშვილი— კომიტეტის თავმჯდომარე, პირადად მე— როგორც მდივანი. საფინანსო კომისია არ გვყავდა. ფულს საზღვარგარეთის ბიუროდან ვიღებდით. სულ 15—20 ათასი მანეთი გვაქვს მიღებული. მუშაობა თავდაპირველად სააგიტაციო-პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა. ვუშვებდით ფურცლებს, რომლებსაც მენშევიკთა სტამბაში ვბეჭდავდით. დამოუკიდებელ საორგანიზაციო მუშაობას კომიტეტი არ ეწეოდა, რადგან მხოლოდ სხვადასხვა პარტიების მუშაობას აერთიანებდა. იშვიათად საზღვარგარეთის ბიურო ზოგადი ხასიათის ინფორმაციას გვაწვდიდა. არსაიდან არავითარი დირექტივა არ მიგვიღია. უფრო ვეიან სამხედრო კომისია ავირჩიეთ, სადაც შედიოდნენ ნოე ხომერიკი, ხოლო მისი დაპატიმრების შემდეგ გოგიტა ფაღავა და გიორგი წინამძღვრიშვილი. მათი ამოცანა იყო ემუშავათ თბილისში. მუშაობას ხშირად პერსონალური ხასიათი ჰქონდა, აღნიშნულ პირთა დაპატიმრების შემდეგ კი ჩვენთვის მათი მუშაობა დაკარგული იყო. სამხედრო კომისია გაუქმდა. წითელ არმიაში პარიტეტი არავითარ მუშაობას არ ეწეოდა, ასევე არც ადგილებზე ჰქონია სამხედრო ორგანიზაციები, პირველ ხანად

კავშირი დავამყარეთ აზერბაიჯანთან ნოე ხომერიკის მეშვეობით და ჩეჩნეთთან. აზერბაიჯანთან მუშაობა საბოლოოდ ჩაფლავდა გოვიტა ფაღავას დაპატიმრებასთან ერთად. ჩეჩნეთთან კავშირი დაამყარა წინამძღვაროვმა, რომელიც პირადად ჩავიდა იქ და უკან დაბრუნდა. მისი მოხსენებიდან ჩანდა, რომ იქ ადამიანთა მასალა არის, მაგრამ უსპეციალისტებოდ. წინამძღვრიშვილის დაპატიმრების მერე იქიდან ვიღაც ჩეჩენი ჩამოვიდა და გვითხრა, ჩეჩნეთიდან აქ უნდა ჩამოვიდნენო, მაგრამ დღემდე არავინ ჩანს, მათთან კავშირი საბოლოოდ გაწყდა. არავითარი ინსტრუქტორები მათთან არ ეგვეგზავნია და არც არავითარი დელეგაცია იქიდან არ მიგვიღია. უშუალოდ არავითარი მოლაპარაკება არ გვქონია. კომიტეტის საქმინობის პირველ პერიოდში აჯანყდა ხევსურეთი. კომიტეტის სხდომამ, რომელზეც გვესწრებოდნენ მოწვეული პირები: აფხაზი, ვარდენ წულუკიძე და სხვები, გადაწყვიტა, რადაც უნდა დამჯდარიყო, ჩაექრო აჯანყება. გავუგზავნეთ სათანადო მიწერილობა ჩოლოკაევს. სამხედრო კომისიის ორგანიზაციის მერე კომიტეტი შეუდგა აჯანყებისათვის მზადებას. აჯანყების მიზანი იყო საქართველოს გათავისუფლება, აჯანყების ასპარეზი–საქართველო. რაც შეეხება მეზობლებს: აზერბაიჯანსა და ჩეჩნეთს, იმის გამო, რომ მათთან კავშირი დაეკარგეთ, ისინი არც გაგვიფრთხილებია ამის შესახებ. იმედს ვამყარებდით ორ მომენტზე: გვეგონა, ქართველი ხალხის მთელი მასა აჯანყდებაო, და, მეორე მხრივ, ვფიქრობდით, რომ უცხო სახელმწიფოები, სადაც, ჩვენი ცნობით, საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეზე იყო, რა დაინახავდნენ ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავის უფლებებისათვის, ამა თუ იმ ფორმით დაგვეხმარებოდნენ, აღარავითარი კონკრეტული დაპირება სხვა სახელმწიფოების მხრივ უკვე აღარ გვქონდა. აჯანყება ოქტომბერში უნდა დაწყებულიყო. პირველი ვასროლა ჭიათურაში გაისმა. მას მოჰყვა არეულობა საქართველოს სხვა ადგილებში. აჯანყების დღე და საათი არ დაგვიწესებია. აჯანყება პროვინციებში უნდა ყოფილიყო და არა თბილისში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თბილისში—კერძოდ, ჩვენი პარტია—აბსოლუტურად სუსტი იყო, და მეორეც იმიტომ, რომ საქართველოს ცენტრში გასროლა დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. ვამოსვლების საკითხი პარტიების დღის წესრიგიდან არ იხსნებოდა. ისინიც კი, ვინც აქტიურად უჭერდა მხარს გამოსვლებს, აჯანყების წინ მზად იყვნენ უკან დაეხიათ, მაგრამ უკვე გვიან

იყო. აჯანყების პირველ დღეებში დამოუკიდებლობის კომიტეტს უნდოდა შეეჩერებინა გამოსვლები. ამის მოწოდების გამოშვება მხოლოდ ჩვენი დაპატიმრების შემდეგ მოვახერხეთ. დააპატიმრეს მენშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ჩემი დაპატიმრება

სექტემბრის ოციან რიცხვებში დუშეთის მაზრაში გავემგზავრე, რათა თავი დამეღწია მთავრობის მხრივ დევნისათვის. აქ, შიომღვიმის ტყეში შევხვდი ჩოლოკაევს. ეურჩიე, ბრძოლას თავი დაანებე-მეთქი. პრინციპულად ის დამეთანხმა. ჩემთან ერთად იყო შალვა ამირეჯიბი. როცა მილიცია დაგვედევნა, მე და შალვა სხვადასხვა მხარეს წავედით. მე დამაპატიმრეს და მცხეთას ჩამიყვანეს, იქიდან კი თბილისში წამომიყვანეს. სამი წელია, რაც ჩვენი სამუშაო ფაქტობრივად სამხედრო ბანაკია. საზოგადოების აქტიური ნაწილი გამოსვლებისათვის გვაქეზებს. ხელისუფლება ამას რეპრესიებით პასუხობს. დადგა ჟამი, რომ ბოლო მოგვეღო ამისათვის. ქართველი ხალხის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში უნდა ჩადგეს. აჯანყება დღის წესრიგიდან უნდა ამოშლილიყო როგორც ტაქტიკური, ისე პრინციპული მოსაზრებებითაც.

0. ჯაფარიძე

P. S. დამოუკიდებლობის კომიტეტს არავითარი შტაბი არ ჰქონია.

იასონ ჯავახიშვილის დამატებითი დაკითხვა 1924 წლის 20 სექტემბერი

I. კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთან

„სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრების მერე ჩოლოკაევთან კავშირი მთლიანად წინამძღვრიშვილს ხელთ გადავიდა. ეს კავშირი გამოიხატებოდა იმით, რომ საარსებოდ ვუგზავნიდით ფულს, მატერიალურ სახსრებს (ჩვენი ამოცანა იყო შეგვენარჩუნებინა რაზმი, როგორც საბრძოლო ერთეული იმ შემთხვევისათვის, თუ შეიარაღებული გამოსელები დაიწყებოდა, და გავლენა გაგვევრცელებინა კახეთის მოსახლეობაზე) და ინფორმაციას ვაწვდიდით ერთმანეთს. მთებში რომ იმალებოდა, ჩოლოკაევმა კავშირი გააბა ჩრდილო კავკასიის ხალხთა შორის გავლენის მქონე პირებთან. ერთ-ერთ მორიგ წერილში, რომელიც წინამძღვაროვს შარშან, 1923 წლის აგვისტოში გამოუგზავნა, წერდა, ტყუილად არ ამყარებთ კავშირს ჩრდილო კავკასიასთან, რომლის ხალხებსაც ერთობლივი აჯანყების მოწყობის საქმეში კოლოსალური სამახურის გაწევა შეუძლიათო. იმავე წერილში ის დასძენდა, პირადად ვიყავ ჩეჩნეთში, ვნახე ჩეჩენთა ერთი უაღრესად გავლენიანი პირი შეიხი (სასულიერო პირია) ალი მიტაევი, რომელიც დამპირდა დახმარებას კავკასიის მასშტაბით აჯანყების მოწყობაშიო. დაახლოებით ასე გადმომცა ამ წერილის შინაარსი გიორგი წინამძღვაროვმა და დასძინა, ჩოლოკაევი გვირჩევს მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ ამ ალი მიტაევთან და ამ მიზნით მისი მისამართი და პაროლი გამომიგზავნაო.

ცოტა ხნის მერე, სექტემბერში, წინამძღვაროვმა პრეზიდიუმს (ამირაჯიბს, მე და, მგონი, იშხნელს) გამოვეცხადა, „ხვალ“ ალი მიტაევთან მივემგზავრები ბაქოზე გავლითო. მიუხედავად იმისა, რომ ეს მგზავრობა მისთვის სახიფათო იყო და რომ შესაძლებლობა გექონდა სხვა ვინმე გაგვეგზავნა, არ დავეიჯერა და წავიდა, რადგან მისი გამგზავრება პარიტეტულ კომიტეტთთან არსებულ სამხედრო კომისიას გადაეწყვიტა უმთავრესად წინამძღვაროვის თათბირზე ნოე

ხომერიკთან (ორივე შედიოდა სამხედრო კომისიის შემადგენლობაში). აღარ მახსოვს წინამძღვაროვთან ერთად თუ ცალკე ჩეჩნეთს გაემგზავრა აგრეთვე კონსტანტინე ყარანგოზიშვილი (ვიქტორის ძმა, ყოფილი ოფიცერი). ეს უკანასკნელი წინამძღვაროვმა იქ დატოვა, ათიოდე დღის მერე დაბრუნდა და თავისი მოგზაურობის შესახებ მოხსენება გაგვიკეთა პრეზიდიუმს (ამირაჯიბს და მე). იშხნელს წინამძღვაროვმა ცალკე უამბო ყოველივე. როგორც წინამძღვაროვმა დახატა სურათი, უნახავს ალი მიტაევი, გასცნობია ჩეჩნეთის ვითარებას და დარწმუნებულა, რომ მოხსენიებულ ალი მიტაევს, როგორც წმინდა პიროვნებას, ჩეჩნებში უსაზღვრო გავლენა აქვს, ჩეჩენი ხალხის მასა კი აჯანყებისათვის კარგი მასალა ყოფილა, ოღონდ გარკვეული ხელმძღვანელობა სჭირდებაო. თვითონ ალი მიტაევი თანახმა ყოფილა ჰქონდეს ჩვენთან მჭიდრო კონტაქტი ერთობლივი აჯანყების მოწყობაში და აღვითქვა აჯანყებულთა მხარეზე გამოიყვანოს რამდენიმე ათასი კაცი. მარტო ის უთხოვია, რომ საქართველოდან 50 კაცი ოფიცერი გაგეგზავნა ინსტრუქტორებად.

წინამძღვაროვი და ალი მიტაევი საუბარში შეეხნენ დაღესტანსა და კაზაკობასთან ერთად მუშაობის საკითხს. აღმოჩნდა, რომ ა. მიტაევს ერთგვარი შეღლი აქვს დაღესტნის უაღრესად პოპულარულ პირთან იმამ ნაჯმუდინთან და წინამძღვაროვს სთხოვა, ჩვენი საერთო მიზნისათვის ამ ნაჯმუდინთან კავშირი გავაბათო. ბოლოს იქვე ადგილზე გადაწყვიტეს და ალი მიტაევმა პირადად მას წერილი მისწერა, შევრიგდეთო, თანაც აღნიშნა შერიგების მიზანი და აჯანყების ინტერესთა ერთობა.

აღარ მახსოვს, თქვა თუ არა რაიმე წინამძღვაროვმა კაზაკობაზე. თავისი მგზავრობის შედეგები წინამძღვაროვმა ეაცნო ნოე ხომერიკსაც, ხოლო ამ უკანასკნელმა (ხომერიკმა) ანდრონიკაშვილს, ასე რომ პარიტეტულმა კომიტეტმა პრეზიდიუმის სახით ამ საქმისა ყოველივე იცოდა და დაადგინა, ჰქონოდათ კონტაქტი ჩრდილოეთ კავკასიასთან, ხოლო 50 ოფიცრის გაგზავნისაგან თავი შეეკავებინათ, რადგან სახსრები არ გვქონდა.

რამდენიმე ხნის მერე გ. წინამძღვაროვს ჩეჩნეთიდან ალი მიტაევისაგან ვიღაც ჩეჩენი ჩამოუვიდა და კონსტანტინე ყარანგოზიშვილის წერილი ჩამოუტანა. ეს უკანასკნელი რაიმე განსაკუთრებულს და ახალს არაფერს იწერებოდა. წინამძღვაროვისამებრ წარმტაცი ვითა-

რება დახატა და გეთხოვდა, 50 ოფიცრის გაგზავნა დაგვეჩქარებინა. შემდგომი კონტაქტისა და კავშირისათვის ნოემბერსა თუ დეკემბერში ალი მიტაევთან გავგზავნეთ ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი ლეო დგებუაძე, რომელსაც შემდეგი დირექტივები მივეცით: 1. ალი მიტაევი დაარწმუნე, რომ განვაგრძობთ გაძლიერებულ მუშაობას აჯანყების მოსამზადებლად და რომ ეს მუშაობა სერიოზულია; 2. აღუთქვი, რომ 50 ოფიცერს ვუგზავნით; 3. შეკრიბე ინფორმაცია ჩეჩნეთისა და მისი მეზობლების მდგომარეობაზე.

დაბრუნებულმა ლეო დგებუაძემ წინამძღვაროვის მოხსენებას ახალი ვერაფერი დასძინა იმის გარდა, რომ ალი მიტაევმა უკვე ეაბა კავშირი კაზაკობასთან ვინმე გენერალ ფედიუშკინის მეშვეობით და რომ ალი მიტაევი საიდანღაც მოუთმენლად ელის თაეის ძმას, რომლის ჩამოსვლასაც ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

დეკემბრის დამლევს მომწიფება იწყო შეიარაღებული გამოსვლების საკითხმა და რადგან საჭირო იყო უფრო დაწვრილებით გვცოდნოდა ჩრდილო კავკასიის საქმის ვითარება, ჩეჩნეთს მივავლინეთ მიხეილ იშხნელი. იგი ჩეჩნეთს გაემგზავრა პარიტეტულ კომიტეტთან არსებული სამხედრო კომისიის წინადადებით. მაშინ ამ კომისიაში იყვნენ გოგიტა ფაღავა(რომელმაც დაპატიმრებული ხომერიკი შეცვალა) და წინამძღვრიშვილი.

თებერვლის შუა რიცხვებში მიხ. იშხნელმა ვინმე ჩეჩენი გამოგვიგზავნა და გამოატანა წერილი, რომლითაც გეთხოვდა, ინფორმაცია მომაწოდეთ საქმის ვითარებაზეო. წინამძღვაროვის დაპატიმრების გამო ჩეჩენი უპასუხოდ გაბრუნდა, მიშა იშხნელმა კი მალე რაღაცნაირად შეიტყო წინამძღვაროვის დაპატიმრების ამბავი და დაბრუნდა საქართველოში ვიღაც ჩეჩენთან ერთად, რომელიც იმისთვის წამოიყვანა, რომ კავშირი ჰქონოდა.

გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვაროვის დაპატიმრებამ გადაგვადებინა გამოსვლები, რომლებსაც თებერვლისათვის ვამზადებდით.

იშხნელთან ერთად ჩამოსული ჩეჩენი მომხდარი დაპატიმრებების გამო უკან გავაგზავნეთ იმ ვარაუდით, რომ ცოტა ხნის მერე ისევ ჩამოსულიყო დირექტივებისთვის. მალე საქართველოში დაბრუნდა კონსტანტინე ყარანგოზიშვილიც და ჩეჩნეთთან კავშირი გაწყდა, ამის მერე ალი მიტაევისაგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია.

იელისის დამლევს პარიტეტული კომიტეტის გაფართოებულ სხდო-

მას სამხედრო კომისიამ წარუდგინა მოხსენება, საიდანაც ჩანდა, რომ მას სურს დღის წესრიგში დააყენოს შეიარაღებული გამოსვლების დაწყების საკითხი. ამის მერე აგვისტოს დამდეგს ისევ მივიღეთ ზომები ალი მიტაევთან კავშირის გასაბმელად. შალვა ამირაჯიბის რეკომენდაციით პარიტეტული კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ გადაწყვიტა ჩეჩნეთს გაგზავნოს ჩვენი პარტიის წევრი, პროფესორ ზურაბ ავალიშვილის ძმა ვანო ავალიშვილი, რომლის თანხმობაც ამ მგზავრობაზე შალვა ამირაჯიბს მიღებული ჰქონდა. ამასთან უნდა გაეყოლიებინა ორი კაცი—ერთი მენშევიკების რჩევით, მეორე კი თავისი შეხედულებისამებრ. წასვლის წინა დღეს ავალიშვილი მიიწვიეს პარიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც შ. ამირაჯიბიც ესწრებოდა. მას შემდეგი დირექტივები მისცეს: 1. რადაც უნდა დაჯდომოდა, დაემყარებინა კავშირი ალი მიტაევთან; 2. ადგილზე გასცნობოდნენ საქმის ვითარებას და ერთ-ერთი მათგანი დაბრუნებულიყო ინფორმაციის მოსაწოდებლად და დირექტივების მისაღებად; 3. ცდილიყო დაჰკავშირებოდა დაღესტანს ნაჯმუდინ გოცინსკის სახით.

საგზაოდ ავალიშვილს 500-700 მანეთი მისცეს. რამდენიმე დღის მერე ავალიშვილი დაბრუნდა და მოგვახსენა, ალი მიტაევი დაუპატიმრებიათო. ანდრონიკაშვილმა, მე და შალვა ამირაჯიბმა წინადადება მივეცით, უკან გაბრუნდი, ჩვენთან კავშირისათვის ერთი კაცი გაიყოლიე, ვინმე გავლენიან ჩეჩენს დაუკავშირდი და ჩვენს დირექტივებს დაელოდე-თქო. ავალიშვილი მეორე დღესვე უნდა წასულიყო და მეტი მას აღარ შევხვედრივარ. ეს იყო და ეს ჩვენი კავშირი ჩრდილო კავკასიასთან.

ვპასუხობ შეკითხვებს: 1. კონსტანტინე ყარანგოზიშვილი საქართველოს საგანგებო კომისიამ დააპატიმრა იელისში.

2. ვანო ავალიშვილთან შეხვედრებს, რამდენადაც მახსოვს, ჩემი, ანდრონიკაშვილის და შალვა ამირაჯიბის გარდა არავინ დასწრებია. თქვენი შეკითხვიდან ჩანს, რომ კიდეე ერთი ვიღაც ყოფილა, როგორც აღწერილობით ირკვევა, მაღალ-მაღალი, ქერა, სქელულვაშა, ჩაფსკვნილი, ასე 35-36 წლისა. ეს აღწერილობა უდგება სხივისტთა წარმომადგენელს პარიტეტულ კომიტეტში. მისი გვარი არ ვიცი, მაგრამ თუ ფოტოს მაჩვენებთ, შევძლებ ამოცნობას. შესაძლოა, რომ ის გვესწრებოდა.

3. ავალიშვილთან ერთად ჩრდილო კავკასიას გამგზავრებულ პირთა გვარები არ ვიცი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მასთან ერთად პირველად გაემგზავრა ორი კაცი: ერთი—მენშევიკთა რჩევით, მეორე—მისი საკუთარი შეხედულებისამებრ.

II. საზღვარგარეთთან კავშირი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან მთელ მუშაობას საზღვარგარეთ ჟორდანიას ყოფილი მთავრობა წარმართავდა, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში პარიტეტული კომიტეტი შეიქმნა—ეგრეთ წოდებული საზღვარგარეთის ბიუროც, რომელიც მთავრობასთან პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან იმის გამო, რომ მთავრობა ერთგვაროვანი—მენშევიკური იყო, საზღვარგარეთის ბიურო კი ამ გარემოების კორექტივი უნდა ყოფილიყო. საზღვარგარეთის ბიუროსაგან მიღებული წერილებიდან ჩანდა, რომ როგორც ყოფილი მთავრობის, ისე საზღვარგარეთის ბიუროს მთელი საქმიანობა მიზნად ისახავდა საქართველოს საკითხის პოპულარიზაციას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებსა და საზოგადოებაში. გარდა ამისა, ყოფილი მთავრობა ცდილობდა მონაწილეობა მიეღო კონფერენციებში, გენუასა და ლოზანისაში, რომლებიც ასე თუ ისე ეხებოდნენ საქართველოს. მაგრამ ყველა მისმა ცდამ ფუჭად ჩაიარა.

საზღვარგარეთის ბიურო პარიტეტულ კომიტეტს ატყობინებდა, რომ საზღვარგარეთ ყოფილი მთავრობის საქმიანობის ცოტად თუ ბევრად ხელშესახები შედეგები იყო: 1. ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებისას შემდეგი პუნქტი (მოვიყვან დაახლოებით): „ინგლისი ცნობს სსრ კავშირს იურიდიულად იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც აღიარებს საბჭოთა ხელისუფლებას“. საზღვარგარეთის ბიურო გვატყობინებდა, მაკდონალდმა ეს პუნქტი სპეციალურად საქართველოსთვის შეიტანაო. 2. ივნივე საზღვარგარეთის ბიურო გვატყობინებდა, თუ საქართველოში აჯანყება დაიწყება, იმედი გვაქვს, რომ ფულად სახსრებს საფრანგეთის ზოგიერთი საზოგადოებრივი წრე მოგვაშველებსო. ამით ამოიწურება ყოფილი მთავრობისა და საზღვარგარეთის ბიუროს საქმიანობა.

საზღვარგარეთის ბიურო, ზემონათქვამის გარდა, მენშევიკების ხაზით გვიგზავნიდა ინფორმაციას საქართველოს საკითხებთან დაკავ-

შირებით მეორე ინტერნაციონალის საქმიანობაზე: 1) II და III ინტერ-ნაციონალების გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებისას ბერლინში კარლ რადეკი თავის გამოსვლაში შეეხო საქართველოს და შემდეგ საქართველოს საქმეებზე აირჩიეს კომისია, რომელიც დაშალეს იმის გამო, რომ მოლაპარაკება შეწყდა.

2). მაკდონალდის მთავრობის შექმნამდე ცოტა ხნით ადრე იუწ-ყებოდნენ, რომ მეორე ინტერნაციონალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მეორე ინტერნაციონალში შემავალი ყველა პარტია ვალდებულებას კისრულობდა, რომ თუ ხელისუფლების სათა-ვეში ჩადგებოდა, ცდილიყო საქართველოს ყოფილი მთავრობის პრეტენზიების დაკმაყოფილებას და ა. შ.

ამვარი ინფორმაციის გამოგზავნის გარდა საზღვარგარეთის ბიუ-რო პარიტეტს ფულსაც უგზავნიდა, თუმცა საკმაოდ არა-რეგულარულად. არსებობის მთელი დროის მანძილზე პარიტეტულ კომიტეტს საერთო შთაბეჭდილებით და არა არითმეტიკული ანგარი-შით გამოუგზავნა დაახლოებით 20000 ლირა.

ბოლო დროს არაერთგზისი მოტივირებული წერილის მერე სპეცი-ალურად გამოსვლების მოსაწყობად გამოგვიგზავნეს 10000 ლირა (უცხოურ ვალუტას კონსტანტინოპოლში ცელიდნენ ლირებზე), აქე-დან 5000—გამოსვლებამდე თვენახევრით ადრე და დანარჩენი 5000—აგვისტოს შუა რიცხვებში.

თავის მხრივ პარიტეტულმა კომიტეტმა სულ 2-ჯერ თუ 3-ჯერ აცნობა საზღვარგარეთის ბიუროს მუშაობის საერთო მიმდინარეობა (რამდენად წარმატებული იყო მუშაობა, დაპატიმრებები და სხვ.), აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა (ფულის რეფორმა და სხვ.).

ერთ-ერთ წერილში გაკიცხული იყო ვეშაპელი თეთრგვარდიული გაზეთის რომელიღაც კორესპონდენტისათვის მიცემული ინტერვიუს გამო, რომელშიც მან აშკარად თქვა, ჩვენ აქ შეიარაღებული გამოს-ვლებისათვის ვემზადებითო. და ეს მაშინ, როცა ამას გულმოდგინედ ვმალავდით. ეს გაკიცხვა მას პარიტეტული კომიტეტის სახელით გამოუტანეს. დანარჩენ წერილებში უმთავრესად ვწერდით, ფული გამოგვიგზავნეთ-თქო.

საზღვარგარეთის ბიუროს შემადგენლობაში იყვნენ: მენშევიკებისა-

გან, მგონი, ჩხეიძე; ეროვნულ დემოკრატთაგან ვეშაპელი, შემდეგ კი სპ. კედია; ესერებისაგან იოსებ გობეჩია; სოციალ-ფედერალისტებისაგან სიმონ მდივანი.

საზღვარგარეთის ბიუროს გარდა ყოველ პარტიას მთავრობასთან ჰყავდა თავისი ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა თვითნებურად იქმნებოდა იქ. ეროვნულ დემოკრატთა პარტიას საზღვარგარეთ ორი კომიტეტი ჰყავდა: კონსტანტინოპოლსა და პარიზში. კონსტანტინოპოლის კომიტეტის შემადგენლობა შემდეგია: დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაევი, დავით შალიკაშვილი და, მგონი, შალვა ქარუმიძე. ამ კომიტეტის არსებობის მიზანი გამოიხატებოდა კონსტანტინოპოლში მყოფ ჩვენს წევრთა ორგანიზაციით, იქიდან ინფორმაციის და ფულადი სახსრების გამოგზავნით. ინფორმაცია სულ რამდენჯერმე გამოგვიგზავნეს: 1. გვაცნობეს, რომ ქემალ ფაშას მემარჯვენე ოპოზიცია იზრდება და რომ მისი მდგომარეობა ძალიან მერყეევია. 2) წერილში ჩვენ ვთხოვდით, აქ, საქართველოში ერთი კაცი გამოგვიგზავნეთ კომიტეტის შემადგენლობიდან, რათა უფრო დაწერილებით გაგვაცნოს საზღვარგარეთ შექმნილი მდგომარეობაო. იქიდან მივიღეთ პასუხი, კაცი წამოვაო, მაგრამ დღემდე არავინ ჩამოსულა.

1922 წელს კონსტანტინოპოლის კომიტეტისაგან მივიღეთ დაახლოებით 400-500 ლირა და მას შემდეგ ფულის გამოგზავნა შეწყდა უსახსრობის გამო.

პარიზის კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ: სპ. კედია, ვეშაპელი და ასათიანი. ერთ დროს საზღვარგარეთ პარტიის წარმომადგენლობის მანდატი ჩვენგან ჰქონდათ გვაზავას, დ. ვაჩნაძეს, ვეშაპელს, რომლებსაც შარშან წლის დამლევს ეს მანდატები ჩამოვართვით კედიას და ვეშაპელის გარდა.

პარიზის კომიტეტისა და პარტიის ცალკეულ წარმომადგენელთა არსებობის მთელი დროის მანძილზე 23 წლის დამდეგს მივიღეთ ზოგადი ხასიათის ერთადერთი წერილი ვეშაპელისაგან. ფული მათგან სრულიად არ მიგვიღია.

თავის მხრივ პარტიის ცენტრალური კომიტეტი აქედან ინფორმაციას აწვდიდა პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ (დეკლარაცია პარტიის დაშლაზე, პარტიის დამშლელი კონფერენცია და ა. შ.) და კონსტანტინოპოლის კომიტეტსაც და პარიზის კომიტეტსაც

უმთავრესად სთხოვდა წარმომადგენლებისა და ფულის გამოგზავნას. მაგრამ აუსრულებელი დაპირების მიღების გარდა აქედან არაფერი გამოვიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ უკეთ იციან ჩვენი მუშაობის ამბავი, ვიდრე ჩვენ მათი. მათ საქმეს აცნობდნენ აქედან გამგზავრებული ალ. ასათიანი და დათა ვაჩნაძე, აგრეთვე გაძეგებული სპ. კედია.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივი

ერთ-ერთი პოლიტიკური პატიმრის 1923 წლის 16 მარტის ჩვენება

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიის თავმჯდომარეს

მშვიდობიანი საშუალებებით „ჩოლოკაეველობის“ ლიკვიდაციის თაობაზე ჩემი ბარათის განმარტებისა და შევსების მიზნით მოგახსენებთ შემდეგს:

შარშან, მგონი მაისში, „ჩოლოკაეველობის“ მშვიდობიანად ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს რევკომმა და საქართველოს საგანგებო კომისიამ მოქალაქეთა ერთ ჯგუფს შესთავაზეს დაეწყოთ მოლაპარაკება ჩოლოკაევთან. ჩემთვის უცნობ სხვა პიროვნებათა შორის ასახელებდნენ ოფიცერ ხიმშიევს, ჩოლოკაევის ყოფილ თანამოსამსახურეს. გამიგონია აგრეთვე, რომ ეს ერთობ ჯანსაღი იდეა შემდეგ რატომღაც მიიეიწყეს. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ნაბიჯი ყოვლად სასიკეთო შედეგებს გამოიღებდა და თავიდან ავიცილებდით დუშეთის სამწუხარო და ბევრ სხვა ამბებს, დაკავშირებულთ ჩოლოკაევის სახელთან და „ჩოლოკაეველობის“ იდეასთან,

მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. საბჭოთა ხელისუფლება ერთობ ბრძნულ ნაბიჯს გადადგამს, თუ მოსინჯავს გზას, რომელზეც შარშან უნდოდა შედგომა.

„ჩოლოკაეველობის“ ლიკვიდაცია კონკრეტულად ასე წარმომიდგენია: მე ეკისრულობ გაბედულ და მძიმე ამოცანას შემოვიკრიბო ის ძალები და ის პიროვნებები, რომელთაც ჩოლოკაევზე გავლენა აქვთ და რომელნიც ან იმთავითვე უარყოფითად ეკიდებოდნენ „ჩოლოკაეველობას“ ან რომელთაც შემდეგ გაუტყდათ გული.

ასეთი ძალებია სამხედრო წრეები, უფრო სწორად, იმ სამხედროთა ჯგუფი, რომლებსაც ჩოლოკაევთან ნათესაობა და მეგობრობა აკავშირებთ, და ეროვნულ დემოკრატთა ის ჯგუფი, რომელსაც „ჩოლოკაეველობა“ მავნე და სახიფათო მოელენად მიაჩნია. უეჭველია, ამ

იდეას წინააღმდეგობას გაუწევენ საერთო მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ფიცხი ხალხი, და, კერძოდ, საქართველოში მოქმედ პარტიათა საომრად განწყობილი ნაწილები. მაგრამ პირველნი უთუოდ ჩვენს მხარეს იქნებიან. მე მგონია, თუ რა თქმა უნდა, შესაძლებლობას მომცემენ დავიწყო მოლაპარაკება ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ცალ-ცალკე, სასურველ გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით მივიღებ. გარდა ამისა, საჭიროა წინასწარ გექონდეს გავლენიან ოფიცერთა კოლექტიური წერილი ჩოლოკაევის სახელზე სათანადო შინაარსისა. ეს საბუთები რომ გვექნება, ანუ ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, სამხედროთა კოლექტიური წერილი და უპარტიო გავლენიან პირთა კერძო წერილები (უკანასკნელი სავალდებულო არც არის), ჩვენ, 3-4 კაცი, წავალთ კახეთში, ვიპოვით ჩოლოკაევის გზას და მტკიცედ მწამს, რომ დავარწმუნებთ მას დაყაროს იარაღი.

თავისთავად ივულისხმება, რომ ლიკვიდაცია მოხდება გარკვეული პირობებით, რომლებზეც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, რაც მიღწეული იქნება ორივე მხარის პრინციპული თანხმობა საქმის მშვიდობიანად დამთავრებაზე.

უკანასკნელ შემთხვევაში—იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფალთა მხრივ თანხმობა იქნა—პირადად მოგახსენებთ ჩემგან შემოთავაზებული გეგმის ყველა წვრილმანს, ახლა კი თავს ნებას მივცემ თქვენი ყურადღება მივაპყრო ორ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას.

1) საჭიროა ვიჩქაროთ ამ საკითხის გადაწყვეტა, თორემ გაზაფხული მოდის—ის ჩვეულებრივი დრო, როცა ყველა მოუსვენარი ელემენტი ტყეს მისცემს თავს ან მთებს მიაშურებს. ზომები ახლავე უნდა მივიღოთ, რომ თავიდან ავიცილოთ გაზაფხულისათვის მოსალოდნელი „ჩოლოკაეველობის“ გაფართოება.

2) ჩემი შემოთავაზებული იდეა და გეგმა უაღრესად საიდუმლოდ უნდა დაეცვათ, რათა მოწინააღმდეგის ბანაკს დრო და საშუალება არ მიეცეთ მიიღოს კონტრზომები და ჩოლოკაევსა და სხვებზე უკუმიმართულებით მოახდინოს გავლენა.

ვთხოვ კოლეგიის თავმჯდომარეს, გამომიძახოს ამ საკითხზე, რათა პირადად მივცე განმარტება და შევიმუშაოთ გეგმის წვრილმანები, თუ, რა თქმა უნდა, ჩემი იდეა პრინციპულად მიღებული იქნება.

იასონ ჯავახოვმა, როცა უკანასკნელად და შემთხვევით შემხვდა ქუჩაში, გაკვრით მითხრა „პარიტეტულ კომიტეტში ავიღე 300 (თუ 400) ლირა. მინდა ჩოლოკაევს გავუგზავნოო“. შესაძლო შეცდომის თავიდან ასაცილებლად განვმარტავ: I. 1) ეს თანხა პარიტეტულ კომიტეტს შეეძლო გაეღო ჩოლოკაევისათვის. 2)იასონ ჯავახოვს ეს თანხა შეეძლო მიეღო სესხად, ოღონდ პარიტეტულ კომიტეტს აცნობა ვისთვის და რისთვის არის განკუთვნილი ; 3) შეასრულა თუ არა ჯავახოვმა თავისი განაზრახი, არ ვიცი, რადგან ამის შემდეგ მას არ შევხვედრივარ.

II. ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩოლოკაევის ურთიერთდამოკიდებულება, ჩემი შთაბეჭდილებით, ერთობ გაურკვეველი იყო. ერთი მხრივ, ნათლად შეიმჩნეოდა ამ მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ამ საკითხისათვის ბოლოს მოღების სურვილი. მეორე მხრივ კი ეგრძნობდი ცალკეულ პირთა და ჯგუფთა ფარულ მუშაობას საპირისპირო მიმართულებით. ჩოლოკაევთან ამირეჯიბისა და ყიფიანის გაგზავნა პოსტ-ფაქტუმ შევიტყვე, ამასთან ამიხსნეს, ამათ იმ მიზნით ეგზავნით, რომ ჩოლოკაევი შეაკავონ საერთო აქტიური მოქმედებისაგან და კერძოდ „ექსებისაგანო“. პარტიის ლიდერების კედიას და ასათიანის როლი და გავლენა საერთოდ „ჩოლოკაეველობის“ საქმეში თითქმის გადამწყვეტი იყო. ციხიდან ისინი თითქმის ყოველდღიურად უკავშირდებოდნენ და დირექტივებს აძლევდნენ იასონ ჯავახოვს. მაგონდება, რომ კახეთს გაგზავნილ ამირეჯიბს დაავალეს, დაიყოლიე ჩოლოკაევი თვითლიკვიდაციის სანაცვლოდ მთავრობას მოსთხოვოს (თუ მასთან ჩავიდოდნენ ხიმშიეევი და სხვები) პოლიტპატიმართა გათავისუფლებაო. მე მგონია, ცალკეული პირები და ჯგუფი მხარს უჭერდნენ „ჩოლოკაეველობას“, როგორც იარაღს, შესაძლო მოდუსზე მთავრობასთან მოლაპარაკებაში. დუშეთის სამწუხარო ამბების შემდეგ გადაჭრით მოვითხოვე გაგვერკვია, როგორ ვეკიდებით მათ და რა როლს ვასრულებთ, მაგრამ იასონ ჯავახოვმა პასუხი გამიჭიანურა ისტორიის და ამბების გარკვევამდე, მეუბნებოდა, თვითონაც არა ვიცი რაო. ცოტა ხნის მერე მითხრა, აქ პარტია და ცენტრალური კომიტეტი არაფერ შუაშია, ეს ამბები ყველასათვის მოულოდნელი იყო და ყველაფერში ბრალი მიუძღვის დ. ვაჩნაძეს, რომელიც ამის მერე ცენტრალური კომიტეტი-

დან გარიცხესო. შემდეგ დასძინა, ჩოლოკაევს ფიქრადაც არ მოსვლია თავში აქტიური გამოსვლები, მაგრამ იძულებული გახდა თავი დაეცვა, რადგან ჯარი მას კვალში ჩაუდგა და თავს დაესხაო. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი ჩოლოკაევზე. მითხრეს, თითქოს საღღაც ვიღაცას მოლაპარაკება გაუმართავს ჩოლოკაევის ბანდის ლიკვიდაციის თაობაზე, ბანდისა, რომელიც მალე დაიშლებაო.

III. პირადად ჩემზე, ვიმეორებ: ერთობ დაკაებული ვიყავი და აქტიურად ვერ ვიმუშავებდი. ზოგჯერ მთელი კვირა გავიდოდა ისე, რომ ცენტრალური კომიტეტის არცერთი წევრი არ შემხვედებოდა და, ბუნებრივია, ამბები არ ვიცოდი. ცენტრალური კომიტეტის წევრები გრძნობდნენ და მამჩნევდნენ, რომ მწადდა სულ ჩამოვშორებოდი პოლიტიკას, რომ ბოლო დროს აღარ ვფარავდი ფრიად სკეპტიკურ დამოკიდებულებას დასავლეთიდან მოსალოდნელი ამბებისადმი და რომ ჩემი შეხედულება საბჭოთა ხელისუფლებაზე, დამოკიდებულება მისდამი აშკარად შეიცვალა. ამიტომ მერიდებოდნენ.

რაც ვიცოდი, ყველაფერი ვთქვი.

არჭ. 23, ფურც. 58-59.

შენიშვნა. პოლიტიკური პატიმრის გვარსა და სახელს შევნებულად არ ვაქვეყნებთ.

მიხეილ საბას ძე ჯავახოვის 1923 წლის 29 მარტის ჩვენება

ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიცხობრივი შემადგენლობა გაურკვეველი იყო. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე კონფერენცია არ მოუწვეივიათ. მოვალეობანი ცენტრალური კომიტეტის წევრთა შორის შემდეგნაირად იყო განაწილებული: ფაქტობრივი თავმჯდომარე ყოველთვის იასონ ჯავახოვი იყო, ფორმალური—კონსტანტინე აფხაზი. მდივანი არ ყავდათ. ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირი და ახალი ორგანიზაციების შექმნა ი. ჯავახოვს ეკისრებოდა. ცენტრალური კომიტეტის წევრთა შორის კავშირს ნიკო კეცხოველი უძღვებოდა. დანარჩენ წევრებს მოვალეობა გარკვეული არ ჰქონდათ. ცენტრალური კომიტეტი სხდომებს მართავდა შემდეგ ბინებში: 1921 წელს —დავით ვაჩნაძის ბინაში იზმაილოვის ქუჩაზე, ასათიანისაში გუკასოვის ქუჩაზე და კედიასაში ვოზნესენსკის ქუჩაზე. ცენტრალური კომიტეტის წევრი დავით ვაჩნაძე ფაქტობრივად სამხედრო მუშაობას განაგებდა. სამხედრო ხაზით დავით ვაჩნაძე ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა. იმ დოკუმენტების პრესაში გამოქვეყნების შემდეგ, რომლებიც მოკლულ შალვა ფაველენიშვილს უპოვეს, იასონ ჯავახოვმა მითხრა, გამოქვეყნებული ბრძანებები ჩოლოკაევს დავით ვაჩნაძემ მისცა ისე, რომ ცენტრალურ კომიტეტს ამაზე არაფერი აცნობაო, ხსენებული დოკუმენტების გამოქვეყნების მერე დ. ვაჩნაძე ცენტრალურ კომიტეტში მუშაობას მექანიკურად ჩამოშორდა. ამავე ხანებში მოხდა დ. ვაჩნაძის და წინამძღვაროვის ურთიერთობის ძალზე განელება, რაც შემდეგ კინკლაობაში გადაიზარდა. ეროვნულ დემოკრატთა ორგანიზაციები არის ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, თელავსა და გორში. ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზება კახეთში, როგორც დ. ვაჩნაძე ამბობდა, დავალებული ჰქონდა ჩოლოკაევს მაშინ, როცა ის მთაში წავიდა. ზამთარში, ნომბერში თბილისის კომიტეტის ორგანიზაციის საკითხი ჯავახოვმა ცენტრალურ კომიტეტში დააყენა.

ქუთაისის ორგანიზაცია მთელი დასავლეთ საქართველოს ცენტრი იყო, მაგრამ 1922 წლის ზაფხულში ცენტრი ქუთაისიდან ბათუმში გადაიტანეს. აღმოსავლეთ საქართველოში მუშაობას ხელმძღვანელობდა უშუალოდ ი. ჯავახოვი. ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გვარები არ ვიცი. ზემოთ ჩამოთვლილ ყოველ ქალაქში სამაზრო კომიტეტია. წინათ წესდებით სათემო კომიტეტიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი, როგორც არააუცილებელი, გააუქმეს. პარიტეტულ კომიტეტში დაარსების დღიდანვე, ე.ი. მაისიდან, ი. ჯავახოვის თქმით, ორი დაჯგუფება არსებობდა: ერთ მხარეს იყვნენ ეროვნული დემოკრატები, „სხივისტები" და სოციალ-რევოლუციონერები (რომლებიც იმთავითვე პარიტეტული კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი,- მაგრამ შევიდნენ პარიტეტში იმ მიზნით, რომ უპირატესობა არ მიეცათ მენშევიკებისათვის), მეორეზე— მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები. პარიტეტული კომიტეტის შემადგენლობიდან ვიცნობ როგორც გარკვეულად წევრს მხოლოდ იასონ ჯავახოვს-— ჩვენს თავმჯდომარეს. ჩემს შეკითხვაზე პარიტეტული კომიტეტის პერსონალური შემადგენლობის შესახებ ი. ჯავახოვმა მიპასუხა, პარიტეტული კომიტეტის წევრებმა ერთმანეთს პატიოსანი სიტყვა მივეცით, არავის ვუთხრათ პარიტეტულ კომიტეტში შემავალთა გვარებიო, ი. ჯავახოვის ინფორმაციით, პარიტეტულმა კომიტეტმა განიხილა და გადაწყვიტა შემდეგი საკითხები:

1. ბანდიტიზმთან და, კერძოდ, ჩოლოკაევის ბანდასთან დამოკიდებულების შესახებ. ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ეს მოელენა მავნედ მიაჩნიათ და მას მხარს არ უჭერენ. თუმცა, მეორე მხრივ, უკანასკნელი შეხვედრის დროს ი. ჯავახოვმა მითხრა, რომ პარიტეტულ კომიტეტში მიიღო 300-400 ლირა (ვფიქრობ სესხად), რომელსაც ჩოლოკაევს უგზავნის და ამის თაობაზე ალბათ წინასწარ მოელაპარაკა წინამძღვაროვს და იშხნელს. დუშეთის აჯანყების ლიკვიდაციის მერე ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში ლაპარაკი იყო, ჩოლოკაევი ან სპარსეთში გავეგზავნოთ, ან დაღესტანშიო.

2. ი. ჯავახოვს ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენჯერმე დაავალა დაეყენებინა პარიტეტულ კომიტეტში საკითხი—ადასტურებს თუ არა საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი მთავრობა შეთანხმებას პარიტეტული კომიტეტის შესახებ, რადგან საზღვარგარეთ არსებობდა რომელიღაც სხვა შეთანხმება, მენშევიკებისათ-

ვის უფრო ხელსაყრელი. ამ შეკითხვაზე პასუხი პარიტეტული კომიტეტისაგან ვერა და ვერ მივიღეთ. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი და კერძოდ მე ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში ვაყენებდით პარიტეტული კომიტეტიდან გამოსვლის საკითხს, მაგრამ როგორც ველოდით პასუხს—პარიტეტული კომიტეტი განაგრძობდა არსებობას.

3. იმის გამო, რომ ცალკეულ პარტიებს საზღვარგარეთთან უშუალო კავშირი ჰქონდათ, გადაწყდა ამიერიდან საზღვარგარეთს დაკავშირებოდნენ მენშევიკთა ორგანიზაციის მეშვეობით.

4. რამდენადაც მახსოვს, დამშეულთა დახმარების კომიტეტის სასარგებლოდ საეკლესიო ქონების გასხვისების საკითხზე გადაწყვიტეს არ გაეწიათ წინააღმდეგობა.

5. ადგილებზე მუშაობის გაერთიანების შესახებ გადაწყვიტეს, რომ საერთო საკითხებზე კონტაქტის დასამყარებლად ადგილებზე შეექმნათ პარიტეტული სამეულები, რაც განხორციელდა კიდეც.

ქუთათელაძეს შეეხვედრივარ პარტიულ წრეებში, მაგრამ რა მუშაობას ეწეოდა, არ ვიცი. ცენტრალური კომიტეტის წევრთა გარდა პარტიის აქტიურ წევრებად (გასაბჭოებამდე) ითვლებოდნენ შემდეგი პირები: პართენ გოგია, დიმიტრი დუმბაძე, იოსებ მაჭავარიანი, ყოფილი წევრი დამფუძნებელი კრებისა, წევრავა (რომელიც სხდომებს წინათაც არასოდეს დასწრებია). გასაბჭოებამდე ესენი ყველანი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ.

დაკითხვის ოქმში ჩაწერილია ჩემი ნათქვამი.

ჩვენების სისწორეს ვადასტურებ საკუთარი ხელმოწერით:

ზ. ჯაფარიძე

დაჰკითხავდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აფუქინი

გადახაზულს და ჩაწერილს „რამდენადაც მახსოვს“ და ჩაწერილს „შემდეგი შეხვედრის დროს“ ენდეთ.

ზ. ჯაფარიძე

ორ. 23 ფურც. 61-62-63.

ამიერკავკასიის საბანდებო კომისიის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსს

იმ ჩვენებათა შესავსებად და განსამარტავად, რომლებიც დღეს, ამა წლის 29 მარტს მოგეცით, მოგახსენებთ:

1) ზეპირად განეაცხადე და წერილობით ვადასტურებ, რომ ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აყენებდნენ ჩოლოკაევის ბანდის ლიკვიდაციის საკითხს, განზრახული ჰქონდათ სხვა პარტიებსა და გავლენიან პირებთან ერთად დაეყოლიებინათ ჩოლოკაევი გადასულიყო სპარსეთში ან თურქეთში, უკიდურეს შემთხვევაში —დაღესტანში. ვიღაცამ, არ მახსოვს ვინ, თქვა, ჩოლოკაევი მარტო არ წავა, აუცილებლად მოინდომებს ბევრი თავისი ამხანაგის წაყვანას, რასაც უზარმაზარი თანხა დასჭირდება და ამოდენა ფულის მიცემას ვინ შეძლებსო. ჩოლოკაევზე ლაპარაკი ამით დამთავრდა.

2) იასონ ჯავახოვის იმ სურვილზე, რომ ფული ჩოლოკაევისთვის გაეგზავნა, შემდეგს ვვარაუდობ:

შესაძლოა, რომ იმათ, ვისაც კავშირი ჰქონდა ჩოლოკაევთან, გადაწყვიტეს მიეცათ მისთვის გამგზავრების შესაძლებლობა, რისთვისაც განკუთვნილი იყო ფული, რომელიც იასონ ჯავახოვს ჰქონდა. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ იასონ ჯავახოვი პოლიტბანდიტიზმის წინააღმდეგი იყო და ებრძოდა გზას და სახსარს ჩოლოკაევის სახიფათო წამოწყებისათვის ბოლოს მოსაღებად.

3) ჩემს დღევანდელ ჩვენებაში, როგორც ვიხსენებ, ნათქვამი მაქვს, თითქოს სოციალ-რევოლუციონერები ჯიუტობდნენ და სულ ბოლო მომენტში შეეიდნენ პარიტეტულ კომიტეტში. თუ შეცდომა მართლა დაეშვა, ვასწორებ: ნათქვამი ეხება ეროვნულ-დემოკრატებს.

ბ. ჯავახოვი

29.III.1923 წ.

ფურც. 64

ამირაჯანოვის საგანგებო კომისიის კოლეგიას

მაგონდება ერთი ფაქტი, რომელიც ეროვნულ დემოკრატთა პარტიის პოზიციას და ხასიათს აშუქებს და გაცნობებთ:

1921 წლის ზაფხულში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამავე პარტიის კონსტანტინოპოლის კომიტეტიდან მიიღო ცნობა, რომ მათთან ბალკანეთიდან ჩასულა მემარჯვენეთა ორი გამოჩენილი მოღვაწე (გვარები არ მახსოვს) და ეროვნულ დემოკრატთა პარტიის კომიტეტისათვის შეუთავაზებიათ კავშირი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამასთან პირობა მიუციათ, ეცნობთ საქართველოს დამოუკი-

დებლობას, თუ რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო კავშირი იქნებაო. ეროვნულ დემოკრატთა პარტიის კომიტეტმა მოისმინა წინადადება, მაგრამ პასუხი არ მისცა, უთხრა, თბილისში ცენტრალურ კომიტეტს შეეკითხებითო. ამასთან თბილისს აცნობა თავისი შეხედულება, დაწერილებით დასაბუთებული იმ აზრით, რომ ფიქრადაც არ მოსელია მემარჯვენე ნაციონალისტებთან თანამშრომლობა, და რომ თუ გარედან დახმარების მიღების იმედი გადაეეწურება, უფრო მისაღებად და სწორად მიგეაჩნია ეცნოთ საბჭოთა ხელისუფლება, ოღონდ საქართველოსთვის მაქსიმუმი უფლებები მოვიპოვოთო.

თბილისში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი, საესებით მოიწონა კონსტანტინოპოლის კომიტეტის შეხედულება და სთხოვა მას მემარჯვენეთათვის გადაეცა პასუხი, ზემოთ აღნიშნული აზრით.

ბ. ჯაფარიძე

02. 02. 29

I და მე-2 გვ. გადახაზულია „რომელსაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს“.

სწორია. ხელმოწერა.

ფურც. 65

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიის თავმჯდომარეს

გაზეთის გამოცემის შესახებ ჩემი პარათის შესავსებად გაუწყებთ შემდეგ ცნობებს ჩემს ლიტერატურულ სტაჟზე:

1902 წლიდან 1905 წლამდე ვმუშაობდი მაშინდელ ყველაზე პოპულარულ სოციალ-ფედერალისტთა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ხოლო 1906 წლამდე—რადიკალურ უპარტიო გაზეთ „ივერიაში“. 1906 წელს მქონდა საკუთარი გაზეთი „ვლეხი“. ემიგრანტად რომ ვიყავი, კორესპონდენციებს ვუგზავნიდი სხვადასხვა გაზეთს. 1915 წელს გაზეთ „საქართველოს“ (ეროვნულ დემოკრატთა პარტიის მომავალი ორგანო) პირველი ფაქტობრივი რედაქტორი ვიყავი. 1919-20 წწ. ქართულ და რუსულ ენებზე ვრედაქტორობდი ჟურნალ „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობას“, ამავე დროს ვიყავი გაზეთ „საქართველოს“ მუდმივი თანამშრომელი ეკონომიკის საკითხებზე. გარდა ამისა, მიცნობენ როგორც ბელეტრისტს, ჩემი მოთხრობები თარგმნილია რუსულ, ფრან-

გულ, გერმანულ, პოლონურ, ფინურ და სომხურ ენებზე. ყველაზე სერიოზულმა ფრანგულმა ლიტერატურულმა ჟურნალმა..... ჩემს მოთხრობებს კრიტიკული ნარკვევი უძღვნა. ყველაზე გამოჩენილი კრიტიკოსები—გომართელი, რცხილაძე და კიტა აბაშიძე უნიჭიერეს ქართველ ბელეტრისტს მიწოდებდნენ. მაგრამ მე, როგორც ბელეტრისტი, თითქმის დამივიწყეს, რადგან 1908 წლიდან არც არაფერი დამიბეჭდია, არც დაბეჭდილი გამომიცია.

თუმცაღა შეგიძლიათ ჩემზე დაწერილებითი ცნობები და შეფასება მიიღოთ საქართველოს მწერალთა ასოციაციაში, რომელიც აქვეა, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის გვერდით.

ვ. ჯაბადარი

1923 წლის 22 მარტი.

ფურც. 66.

ა. მესაბლიშვილზე ვაჩვენებ:

ციხიდან მისი გათავისუფლების შემდეგ ორჯერ შევხვდი დილ-დილობით ეზოს წინ. ჩვენი საუბარი წუთიერი იყო. გამაფრთხილა, შენი ნახვა მინდაო. მეც საღამოსთვის დავუნიშნე დრო. რამდენიმე დღის მერე შემომიარა.

საუბარი ციხეში მის ყოფნასა და ციხის ცხოვრებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს უტრიალებდა. შემდეგ ეს მიამბო: ტროცკის ქუჩაზე დაუბარებია საქართველოს საგანგებო კომისიის გამომძიებელს გეგეჭკორს. მიიღო, თუ არ ვცდები, ვინმე მოროზმა, რომელიც გეგეჭკორის თანდასწრებით ესაუბრა მას რუსული „სმენავეხური" მიმდინარეობის ანალოგიურ მიმდინარეობაზე ქართულ ინტელიგენციაში. ამასთან, როცა გაიგო, მესაბლიშვილი ამ მიმდინარეობას ემხრობაო, შესთავაზა, აღნიშნული მიმართულების გაზეთის გამოცემა იკისრეთო. მესაბლიშვილმა მოვიფიქრებო და წავიდა. მან მითხრა, გეგეჭკორი ალბათ შემომივლის, მაგრამ ჯერჯერობით არ მსურს მასთან შეხვედრა და ამიტომ საღამოობით სახლიდან გავდივარო, მკითხა, ამაზე შენ რას იტყვიო, მე ის თანამზრახველად მივიჩნიე და დადებითად ვუპასუხე, თანაც ვუთხარი, მეც თავი დავანებე პარტიაში ყოველგვარ მუშაობას და შემოგიერთდები, ოღონდ ერთხანს უნდა მაცალო-მეთქი.

თანამშრომელთა ჯგუფის საკითხზე რამდენიმე კაცი დავასახელეთ, სხვათა შორის გ. ქიქოძე, პ. გოთუა და სხვ. გარდა ამისა, მთხოვა, გამომცემელთა ჯგუფის შედგენაში დამეხმარეო, რაც ასევე აღვუთ-

ქვი. მას ეეჭვებოდა, მეყოფა თუ არა ძალები და უნარი ასეთი გაზეთის გამოსაცემადო, მაგრამ გავამხნევე და კმაყოფილი, გახარებული წავიდა. ამით დაინტერესებულმა, დაახლოებით ერთი კვირის მერე მოვიწვიე, მინდოდა გამეგო, როგორ მიდის საქმე. ხუთიოდე წუთით შემომიარა და მითხრა, ჯერ არც გეეჭკორს შევხვედრივარ და არც ვინმესთან მილაპარაკია ამ საკითხზეო. მგონი მეორე დღეს იყო, რომ ჩემთან მოირბინა იასონ ჯავახოვმა და ფრიად აღელვებულმა მიამბო, მესაბლიშვილმა გაგვცაო და მირჩია იატაკქვეშეთში გადასვლა, რაზეც უარი ვუთხარი, მესაბლიშვილის გამცემლობაზე კი ეჭვი გამოვთქვი, მას, ჯავახოვს ვამშვიდებდი და ვეუბნებოდი, ახალი მიმართულების მქონე გაზეთის გამოცემის განზრახვა სადაური გამცებლობაა, იქნება მეც დავეხმარო და ასეთ გაზეთში ვითანამშრომლო-მეთქი. ეს რომ გაიგო, იასონ ჯავახოვი შეცბა და დანაღვლიანდა. სწორედ იმ დღეს ვუთხარი მას, შენ და შენს მეგობრებს ჩემი იმედი მეტი აღარ უნდა გექნეთ-მეთქი. ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ჯავახოვთან, წინა დღეს კი — მესაბლიშვილთან. მესაბლიშვილის სავარაუდო გამცემლობაზე მეტი არავისაგან არაფერი გამიგია და არც არავისთან მილაპარაკია.

1923 წლის 13 აპრილი

ბიბილ ჯავახოვი

ფურც. 60

იასონ კერესელიძეზე ვაჩვენებ:

იგი მეკავშირის მოვალეობას ასრულებდა იასონ ჯავახოვის დავალებით. ამის გარდა თუ რამეს აკეთებდა, არაფერი ვიცი.

1923 წლის 16 აპრილი.

ს. ჯავახოვი

ბაგრატიონ-მუხრანსკის ჩვენებები

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის 1923 წლის 4 აპრილის ჩვენება

1922 წლის სექტემბერში ჩემთან მოვიდა მენშევიკი კვალიაშვილი და მითხრა: „ავთანდილი" (ვ. ფაღავა) გთხოვს მიხვიდეო. მე კვალიაშვილს გავყევი. მიმიყვანა სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე, სახლის ნომერი არ მახსოვს. მიმიყვანა მენშევიკთან (საშუალო სიმაღლის, ქერა კაცი იყო, გრძელთმიანი, იქნებოდა ასე 28 წლისა). მისი გვარი არ ვიცი. ამ მენშევიკმა (დემეტრაშვილი) კვალიაშვილს ბარათი მისცა. მანაც აიღო ბარათი და წამიყვანა გრიბოედოვის ქუჩაზე, სახლის ნომერი არ ვიცი. აქ შევხვდით „ავთანდილს". ავთანდილმა მკითხა, ხომ არ შეგიძლია საზღვარგარეთ გაიყვანო ჩოლოკაევიო. თანხმობა ვუთხარი. შემდეგ ავთანდილმა მითხრა, წახვალ კავთისხევში (გორის მაზრა), გამოეცხადები ლაშქარაშვილს და იმის მეშვეობით ჩოლოკაევს დაუკავშირდებიო. მეორე დღეს კვალიაშვილმა წამიყვანა ანასტასიას ქუჩაზე, თავართქილაძის ბინაში, მაგრამ შიგ არ შევსულვარ, ქუჩაში ვუცდიდი.

ამ ბინაში კვალიაშვილმა 15 მილიონი მანეთი მიიღო. 4 მილიონი თავისთვის და დემეტრაშვილისთვის დაიტოვა, დანარჩენი 11 მილიონი მე მომცა. მიღებული 11 მილიონი მანეთიდან სამ-სამი მილიონი რეზო ჩიქოვანს და გიორგი ფაღავას მივეცი, ხუთი მილიონი კი ჩემთვის დავიტოვე. ერთი-ორი დღის მერე კვალიაშვილმა ანდრეევის ქუჩაზე წამიყვანა, ექიმ სარაჯევის ბინაში, სადაც ი. ცინცაძე და გ. ფაღავა დამიხვდნენ. ფაღავამ მითხრა, ლაშქარაშვილი თავისი ხალხიანად გორის მაზრაშია და დაგეხმარება შენი ამოცანის შესრულებაშიო.

შემდეგ ფაღავამ მთხოვა გამერკვია ძალთა რაოდენობა და, თუ მოვისურვებდი, მონაწილეობა მიმეღო აჯანყებაში და ლაშქარაშვილთან ერთად დავხმარებოდი ჩოლოკაევს. გ. გაბაშვილთან და რ. ჩიქოვანთან ამ შეხვედრის მერე რკინიგზით გავემართე კავთისხევს.

ყველანი არ ვიყავით რევოლვერებით შეიარაღებული. ლაშქარაშვილთან რომ მივედი, მითხრა, ჩოლოკაევი ხევსურეთში ალყაშემორტყმულია და მისი გადარჩენა შეუძლებელიაო. ლაშქარაშვილის ბანდას, მისივე სიტყვებით, კავშირი ჰქონდა შალვა ფავლენიშვილის ბანდასთან. ლაშქარაშვილის გეგმები არ ვიცოდი.

დაჰკითხავდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აზუკინი

ვ ა ს წ ო რ ე ბ: ცინცაძის ბინაში წინადადება მომცეს ლაშქარაშვილის დახმარებით საზღვარგარეთ გამეყვანა ჩოლოკაევი.

ხელმოწერა სწორია:

ფერც. 89

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის 1923 წლის 4 აპრილის ჩვენება

1922 წლის სექტემბერში მენშევიკმა კვალიაშვილმა მითხრა, „ავთანდილს“ (გ. ფაღავა) შენი ნახვა უნდაო. წამიყვანა გრიბოედოვის ქუჩაზე, სახლის №... არ ვიცი, მე-3 სართულზე. „ავათნდილმა“ წინადადება მომცა, შეარჩიე ხალხისაგან ჯგუფი, წადი, იპოვე ქაქუცა ჩოლოკაევი და კონსტანტინოპოლს გაიყვანეო. დავთანხმდი. შევარჩიე ჯგუფი: გიორგი გაბაევი, რეზო ჩიქოვანი. ამათთან ერთად გავემგზავრე კავთისხევში, გორის მაზრაში. აქ შევიტყვეთ, რომ ყოფილა ვიღაც ლაშქარაშვილი, რომელიც იცნობს ქ. ჩოლოკაევს და დაკავშირებულია მასთან. ვიპოვეთ ლაშქარაშვილი და გავიგეთ, რა დღეში იყო ქ. ჩოლოკაევი. გადავწყვიტეთ, რომ მისი გაყვანა არაფრით არ შეგვიძლია და უკანვე დაბრუნდით თბილისს, სადაც გამოვცხადდით საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. ოკუჯავასთან და ამნისტია მივიღეთ. ოფიცერთა არც ერთ კრებაზე, სადაც რეზო ჩიქოვანი მონაწილეობდა, მე არ ვყოფილვარ. გორის მაზრაში წასვლის წინ მენშევიკებისაგან ფული არ მიმიღია. ეროვნულ დემოკრატებსა და, კერძოდ, დათო ვაჩნაძესთან არასოდეს არავითარი მოლაპარაკება არ მქონია. გორის მაზრაში წასვლამდე ჩემს ჯგუფს არც ერთი რევოლვერი არ მიუღია.

დაჰკითხავადა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აფუკინი

ფურც. 90

სიმონ ლევანის ძე ბაბრატიონ-მუხრანსკის 1923 წლის 5 აპრილის ჩვენება (დამატებითი)

1922 წლის სექტემბერში სტუდენტ გედევანოვის ბინაში ვარდისუბნის ქუჩაზე შევიკრიბეთ გიორგი გაბაევი, რეზო ჩიქოვანი და მე. მოვიდა რეზო ჩიქოვანისაგან გაფრთხილებული მენშევიკი კვალიაშვილიც. ამჯერად კვალიაშვილთან საქმეზე სულ არ მქონია ლაპარაკი. ფაღავასა და ცინცაძესთან ანდრეევის ქუჩაზე შეხვედრიდან რომ ებრუნდებოდით, მე და კვალიაშვილი წყლის დასალევად ლაშხის დუქანში შევედით (ვერის ხიდთან). დუქანში ჩემთვის უცნობ პირთან ერთად იჯდა ნარიკელაძე. ლაშხის დუქნიდან გავემართეთ ანასტასიას ქუჩაზე, სადაც ფული მივიღე. ავთანდილს ჩემთვის არ დაუვალებია შემეთავაზებინა ნარიკელაძისთვის გაერთიანებული ბანდების ხელმძღვანელობა და ამაზე ნარიკელაძესთან არაფერი მითქვამს. მეტი არაფრის ჩვენება არ შემიძლია.

ბაბრატიონ-მუხრანსკი

დაჰკითხავდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აფუქინი

ფურც. 91

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის 1923 წლის 10 აპრილის დამატებითი ჩვენება

ვიცი, რომ კლიმიაშვილი ყოველთვის დადიოდა შალიკო კვალიაშვილთან. მის ნაცნობ-მეგობრებზე არაფერი ვიცი. ლაშქარაშვილის ბანდის მონაწილე გლეხები კლიმიაშვილს ჩემთან არ მოუყვანია. ის მე გლეხებიანად მიშა აბულაძესთან არ გამიგზავნია. კავთისხევიდან რომ დავბრუნდი, ქუჩაში ნარიკელაძე შემხვდა, მაგრამ მასთან საქმეზე რაიმე ლაპარაკი არ მქონია. ბანდიტი შალვა ფაველენოვი ჩემთან არასოდეს არ ყოფილა და საერთოდ მას არ შეეხვედრივარ. დავძენ, რომ როცა საზღვარგარეთ ჩოლოკაევის გაყვანის ამოცანას მაძლევდა, გ. ფალავამ მიმანიშნა ლაშქარაშვილთან დაკავშირების საშუალება—ჩახვალ სოფელში ხანდაკის მახლობლად (სოფლის სახელი არ მახსოვს), სადაც ლაშქარაშვილს შეხვდები და ის გასწავლის, როგორ გამოიყვანო ჩოლოკაევი.

ბაგრატიონ-მუხრანსკი

დაჰკითხავდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის
კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აზუკინი:

ფურც.92

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის 1923 წლის 21 აპრილის ჩვენება

1922 წლის სექტემბერში ოლგას ქუჩაზე კლიმიაშვილმა მაჩვენა კასრაძე—ბანდის მეთაური. ერთი-ორი დღის მერე შემხვდა ნარიკელაძე და მითხრა, შენთან მოვალ ორ ვინმესთან ერთად, რომელთაც საქმეზე უნდა ველაპარაკოო. საღამოს ჩემთან ბინაში მოვიდა ნარიკელაძე კასრაძესა და გეგენო ფაველნოვთან ერთად. ნარიკელაძე მათ ფულის მიცემასა და ბანდებისათვის ტანსაცმლის შეძენაზე ელაპარაკებოდა. საუბარში არ ჩავრეულვარ. ამ შემთხვევის მერე არც გეგენო ფაველნიშვილს შევხვედრივარ და არც კასრაძეს. ფული ფაველნიშვილს და კასრაძეს მენშევიკებისაგან უნდა მიეღოთ.

დაკითხვის ოქმი ჩაწერილია ჩემი ნათქვამის მიხედვით.

ჩვენების სისწორეს ვადასტურებ:

ბაგრატიონ-მუხრანსკი

დაჰკითხავდა კონტრდაზვერვის ეანყოფილების უფროსი

აშუკინი

ფურც.164

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის მასალებიდან

ამონაწერი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის* 1923 წლის 27 თებერვლის ჩვენებიდან

შემდეგ, 1922 წლამდე ცნობები იმის თაობაზე, თუ რა ორგანიზაციები (სამხედრო) არსებობდა, არ მქონია. 1922 წლის დამდეგს შეიქმნა პარიტეტული კომიტეტი, სადაც წარმოდგენილი იყვნენ: მენშევიკთა, მემარჯვენე ფედერალისტთა, ეროვნულ დემოკრატთა და ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიები. პარიტეტულ კომიტეტში მენშევიკებიდან შედიოდნენ იოსებ ცინცაძე და ქვარიანი (დაპატიმრებულია და, ვგონებ, გასახლებულიც), ფედერალისტებიდან —ლასხიშვილი, ეროვნული დემოკრატებიდან: — კეცხოველი და სპირიდონ კედია, ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან: — ვინ იყო, არ ვიცი. პარიტეტულმა კომიტეტმა გამოყო „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი", რომლის შემადგენლობაში მენშევიკებიდან შედიოდა ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ დემოკრატებიდან — ყოფილი თავადი აფხაზი, ფედერალისტებიდან არ ვიცი ვინ. „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი" პარიტეტული კომიტეტის მკვდრადშობილი შვილი აღმოჩნდა იმიტომ, რომ კომიტეტში გაერთიანებული პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ცალ-ცალკე იქმნებოდა სამხედრო ცენტრები. მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი სამხედრო ცენტრის შემადგენლობა არ ვიცი, ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო ცენტრში შედიოდნენ, როგორც ამბობენ, დამფუძნებელი კრების ყოფ. წევრი დავით ვაჩნაძე და პოლკოვნიკი ცაგურია.

არქ. 24367-62 ს. 150, ფურც. 7.

---

*ასეა დედანში. საერთოდ გვარების და სახელების დაწერილობა დედნისეულია (მთარგმნელი).

ამონაწერი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის 1923 წლის 2 მარტის ჩვენებიდან

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ 1921 წლის დამლეეს ან 1922 წლის დამდეგს შეიქმნა. გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში შედიან მენშევიკთა და მემარჯვენე ფედერალისტთაგან გენერალი ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ დემოკრატთაგან კოტე აფხაზი, გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შტაბის უფროსი, ქართული დივიზიის შტაბის უფროსი მუსხელოვი, მთავარი სამუშაო მუსხელოვს აწვა კისერზე, უმთავრესად მუსხელოვს დააწვა აგრეთვე მთელი კავშირი ქართულ ნაწილებთან თუ ძალთა აღრიცხვა და ადგილებზე ორგანიზაციების შექმნა. „გაერთიანებულ ცენტრს“ მძლავრი ფილიალი ჰქონდა ბათუმში. გაერთიანებულ სამხედრო ცენტრთან თავიანთი მუშაობით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული შემდეგი პირები: გენერალი მაზნიევი, გენერალი ანდრონიკოვი (ტაქტიკის მასწავლებელი კურსანტთა სკოლაში, I-ლი ქართული პოლკის ყოფილი მეთაური 1921 წელს, ორჯონიკიძის ნათესავი, ამჟამად სოფელში ცხოვრობს), გენერალი სოსო გედეეანოვი, ხომერიკი — ოფიცერი, მსახურობდა მე-2 პოლკში ბათუმში. მუსხელოვი სულ უკანასკნელ დრომდე მუშაობს, იგი უშუალოდ არის დაკავშირებული მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტთან ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის იოსებ ცინცაძის სახით. მე სულ მუდამ განვაგებდი დაზვერვას და უშუალოდ ვიყავი დაკავშირებული მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტთან იმავე იოსებ ცინცაძის სახით.

არ. 24367-62 ს. 150, ფურც. 8.

ამონაწერი ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის 1923 წლის 3 მარტის ჩვენებიდან

სამხედრო ცენტრი ავტომატურად იქმნებოდა პარიტეტულ კომიტეტთან ერთად. პარტიებმა ცენტრში წარადგინეს თავიანთი წარმომადგენლები: მენშევიკებმა და ფედერალისტებმა ვ. წულუკიძე, ხოლო ეროვნულმა დემოკრატებმა—აფხაზი. ვინ ედგა სათავეში მანამდე ყოველი პარტიის ცენტრს ან რა მუშაობას ეწეოდნენ ისინი, არ ვიცი.

არ. 24367-62 ს. 150, ფურც. 9.

კონსტანტინე აფხაზის 1923 წლის 5 მარტის ჩვენება

1922 წლის ოქტომბრის დამდეგს მოვიდა ჩემთან იასონ ჯაკეხოვი და მითხრა, რომ მე, აფხაზი, შინ უნდა მივიდე პოლკოვნიკ ნარიკელაძესთან, სადაც დამხვდებიან სხვები, რომელთა ვეარები ჩამომითვალა. ამ ბინაში უნდა გამართულიყო კრება, რომელსაც უნდა განეხილა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. იმავე საღამოს გავემართე ნარიკელაძის ბინისაკენ, სადაც დამიხვდნენ იასონ ჯაკეხოვი, ქარცივაძე, პარტკომის თავმჯდომარე, კარგად არ მახსოვს, ვინ, კიდევ ვარდენ წულუკიძე, თვითონ ნარიკელაძე და ვიღაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, რომლის ვეარიც არ ვიცი. მაღალ-მაღალი იყო და, ეგონებ, პალტო ეცვა. კრება ქარცივაძემ გახსნა. იგი საზღვარგარეთიდან მიღებული ზოგადი ხასიათის ინფორმაციით გამოვიდა. ლაპარაკობდნენ უფრო მეტად კონფედერაციებზე და მენშევიკების მუშაობაზე. მოგვიანებით გვაცნობა, რომ შესაძლებელია მოსახლეობის დარაზმვა. შემდეგ სომხეთს შეეხო. რამდენადაც მახსოვს, ქარცივაძემ განაცხადა, სომხები არ იქნებიან ქართველებთან გულწრფელი და ამიტომ მათთან დაკავშირება სარისკოაო. ინფორმაცია რომ დაამთავრა, ქარცივაძემ გვითხრა, ბომბორიდან—თუ მუხროვანიდან,* კარგად არ მახსოვს—ჩამოსულია არტილერისტი ოფიცერი საგანგებო დავალებით, რაზეც თვითონ მოახსენებს კრებასო. ამის მერე გამოიძახეს ეს ოფიცერი, რომელმაც კრებას მოახსენა, ბატარეამ ჩოლოკაევის სახელით ბრძანება მიიღო, რომ მზად იყოსო. ოფიცრობამ იმსჯელა ამაზე და დაადგინა, მივეელინებინეთ ცენტრში მე ამ

*ასეა დედანში (მთარგმ.).

შენიშვნა: კოტე აფხაზის დაპატიმრების ორდერი №36 გაცემულია 1923 წლის 3 მარტს. მისი ბინა გაჩხრიკა და თვითონ კოტე აფხაზი დააპატიმრა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საიდუმლო ოპერატიულმა ნაწილმა, კერძოდ, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თანამშრომელმა ვინმე გონჩაროვმა. მაშინ კ. აფხაზი ცხოვრობდა ბებუთოვის ქ. № 46, ბ, I-ში.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის 3 მარტის № 36 ორდერის საფუძველზე მოხდა ჩხრეკა (ნ.კ).

საკითხზე განკარგულების მისაღებადო. მომხსენებელი ითხოვდა დაუყოვნებლივ მიგვეცა პასუხი. ამ მოულოდნელმა ცნობამ კრებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მოხსენების გამო გადაწყვეტილება ისე მიიღეს, რომ განხილვა დიდხანს არ გაგრძელებულა. გადაწყვეტილება დაახლოებით ასეთი იყო: კომიტეტი კატეგორიულად ბრძანებს, რომ გამოსვლები არავითარ შემთხვევაში არ წამოიწყონ. ეს გადაწყვეტილება სიტყვიერად გადასცეს ჩამოსულს, რომელიც მაშინვე უნდა გაბრუნებულიყო უკან. გამოტანილი დადგენილება კომიტეტმა ჩამოაყალიბა და შესთავაზა ამ კრებას. ვარდენ წულუკიძეს მეტი არც სადმე კრებაზე და არც ქუჩაში, როგორც მახსოვს, არ შეეხვედრივარ და არც გვისაუბრია. პოლკოვნიკ ნარიკელაძეს ერთი-ორჯერ შევხვდი ტრამვაიში. არავითარი საუბარი ამ საკითხებზე არ გექონია.

კითხვა: რა როლს ასრულებდით კოოპერატივ „დახმარებაში"?

პასუხი: კოოპერატივ „დახმარების" წევრი ვიყავი, წილი მქონდა იქ. კოოპერატივის გამგეობის შემადგენლობაში არ ვყოფილვარ. დროებით, 1922 წლის იანვარ-თებერვალში კი ვიყავი წევრად მას შემდეგ, რაც ძველი გამგეობა დაიშალა. ამჟამად გამგეობის შემადგენლობაში არიან იანვრის საერთო კრებაზე არჩეული მიხეილ ჯავახიშვილი, დავით კალანდაძე და, მგონი, ჯამილაძე, კარგად არ მახსოვს.

დაახლოებით დეკემბერში დვალიას ბინაში გაიმართა რამდენიმე წევრის კრება, რომელზეც გაზეთის გამოშვების საკითხი განვიხილეთ. შევადგინეთ, ანუ უფრო სწორად, ზეპირად გავიანგარიშეთ ხარჯები. გამოირკვა, რომ გაზეთის გამოსაცემი სახსრები არა გვაქვს. საკითხი ღიად დარჩა.

კონსტანტინე აფხაზი

დაკითხავდა ბანკრატოვი

არ. 24367-62 ს. 150, ფურც. 12-13.

ამონაწერი იეანე იეანეს ძე ნარიკელაძის 1923 წლის 7 მარტის ჩვენებიდან

მეორე სხდომაც ჩემს ბინაში გაემართეთ 1922 წლის შემოდგომაზე, აგვისტოს აქეთ. სხდომას ესწრებოდნენ პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე (მენშევიკი), ა. ჯავახოვი (ეროვნული დემოკრატი), ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი და აფხაზი. სხდომას მე არ დავსწრებივარ, ოთახში მაშინ შევედი, როცა „სამხედრო ცენტრისათვის" მოხსენების გასაკეთებლად მოვიდა დივიზიონის თუ ბატარეის მეთაური ჩრდილელი. მოხსენებას ვესწრებოდი. მოხსენების შინაარსი დაახლოებით ასეთია: ჩოლოკაევმა მუხრანში (სადაც მაშინ ბატარეები იყო განლაგებული) გამოგზავნა თავისი კაცი, რათა ნებაყოფლობით შეერთებოდნენ მას, როცა ამას შეატყობინებდა (ვგონებ ალავერდობას—რელიგიური დღეობაა თელავის მახლობლად). თუ არტილერია ნებაყოფლობით არ შეუერთდებოდა, მაშინ ის ძალით აიძულებდა შეერთებას. დასასრულ, ჩრდილელმა ითხოვა ეცნობებინათ მისთვის შესასრულებლად „ცენტრის" გადაწყვეტილება. ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ბატარეებმა ჩოლოკაევს უარი უნდა უთხრან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე, ხოლო თუ ჩოლოკაევი შეეცდება ძალით ხელთ იგდოს ბატარეები, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიონ მას. ეს დადგენილება გავაცნოთო ჩოლოკაევის გამოგზავნილ ხალხს. ნალაპარაკევის ყველა წვრილმანი და დეტალი აღარ მახსოვს. ამის მერე ყველა, ვინც სხდომას ესწრებოდა, წავიდ-წამოვიდნენ. შემდეგ, პირველივე შეხვედრის დროს ვ. წულუკიძემ დაახლოებით გადმომცა, თუ რას ლაპარაკობდნენ სხდომაზე და რა გადაწყვეტილებები მიიღეს. მან მითხრა, რომ პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებთან ერთად „სამხედრო ცენტრმა განიხილა საკითხი, გამოვიდეთ თუ არა იარაღით ხელში და თუ არ უნდა გამოვიდეთ, რით უნდა გამოიხატოს „სამხედრო ცენტრის" მუშაობა. დაადგინეს ებრძოლათ ადგილებზე ბანდიტიზმის წინააღმდეგ და ა.შ. თავის მხრივ, ადგილებზე არსებული პარტიული ორგანიზაციების გზით პარტიებს უნდა შეეკ-

რიბათ ცნობები იმის თაობაზე, თუ რამდენი ხალხი და რა იარაღია პარტიის განკარგულებაში, და შეეჯგუფებინათ ესენი ცალკეული ცენტრალური კომიტეტების ირგვლივ, მათ კი მთელი ეს მონაცემები უნდა გადასცენ „სამხედრო ცენტრს“. ეს მონაცემები სახელმძღვანელო საწყისი უნდა ყოფილიყო საერთო გეგმის შესაქმნელად იმ შემთხვევისათვის, თუ საქართველოში დაიწყებოდა საყოველთაო გამოსვლა. როგორც დანამდვილებით ვიცი. უკანასკნელ მომენტამდე „სამხედრო ცენტრს“ ეს მონაცემები არ მიუღია. აი, ყველაფერი, რაც ორი სხდომის შესახებ ვიცი. სხვა სხდომა არ ყოფილა, თორემ მეცოდინებოდა. ანდრონიკოვი „სამხედრო ცენტრის“ წევრი არ ყოფილა, იგი მხოლოდ მოიწვიეს, როგორც სამხედრო სპეციალისტი. ჰქონდა თუ არა „სამხედრო ცენტრს“ რაიმე კავშირი საჯარისო ორგანიზაციებთან, არ ვიცი და თუ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, არა ცენტრის დირექტივებით, არამედ პერსონალურად. და ბოლოს, ეს საკითხიც საკმაო ბურუსითაა მოცული ჩემთვის.

არ ქ. 24367-62 ს. 150, ფურც 16.

კონსტანტინე აფხაზის ჩვენება

ᲗᲗებერვლის დამდეგს ეროვნულმა დემოკრატებმა სხდომები გამართეს მგონი ყიფიანის ქუჩაზე. სხდომებს ვესწრებოდით იასონ ჯაკაბოვი, იშხნელი და მე, რა საკითხები განვიხილეთ კრებაზე, ახლა არ მახსენდება.

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ მოწყობის საკითხი ეროვნულ დემოკრატთა კრებამ დეკემბერსა თუ იანვარში განიხილა. მოხსენებით გამოვიდა იასონ ჯაკაბოვი, რომელმაც თქვა, გაერთიანებული სამხედრო ცენტრი ეწყობაო. ამ ცენტრის შემადგენლობაში ეროვნული-დემოკრატებიდან მე დამასახელეს, რაზეც უარი არ მითქვამს. კრების ამბავი იასონ ჯაკაბოვს უნდა შეეტყობინებინა ამ ცენტრისა ან საერთოდ იმათთვის, ვინც ეს კრება გამართა.

1922 წლის შემოდგომაზე ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიან იასონ ჯაკაბოვი, მიხეილ ჯაკაბოვი, მე—კონსტანტინე აფხაზი, კეცხოველი და სხვ.

მე დღემდე ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ. კრებებს 7-8 ჯერ დავესწარი. ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში დაახლოებით 1922 წლის ივნისში შეეედი. მაშინ კომიტეტი შედგებოდა იასონ ჯაკაბიშვილისა, მიხეილ ჯაკაბიშვილისა, ჩემი—კონსტანტინე აფხაზის, წინამძღვრიშვილის, კეცხოველის და სხვებისაგან, რომლებიც არ მახსოვს და არც ვიცი, იყო კი სართოდ ვინმე?

უფრო გვიან, ოქტომბერში ცენტრალურ კომიტეტში შეეიდნენ ექიმი დიმიტრი ჯაკაბიშვილი და დანელია, მგონი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელი.

ეროვნული დემოკრატებიდან პარიტეტულ კომიტეტში შედიოდა იასონ ჯაკაბოვი, რომელიც იმავე დროს მეკავშირე იყო ეროვნულ დემოკრატთა კომიტეტსა და პარიტეტს შორის. დაახლოებით დეკემბერში კომიტეტის კრებამ განიხილა გამოსვლებისათვის მასის

მზადყოფნის და იმის საკითხი, საჭიროა თუ არა აქტიური გამოსვლები. ამ საკითხში კრება ორად გაიყო: ერთმა ნაწილმა უარყო გამოსვლის შესაძლებლობა, მეორემ—დაიჩემა. პირველში, ე. ი. აქტიური გამოსვლის უარმყოფელთა ჯგუფში იყვნენ იასონ და მიხეილ ჯავახოვები, წინამძღვაროვი, დანარჩენები არ მახსენდება. მეორე ჯგუფს ვეკუთვნი მე. ვინ მიჭერდა მხარს, ახლა არ მახსენდება. ხმის უმრავლესობით გამოსვლა უარვყავით. ჩვენი გადაწყვეტილება პარიტეტული კომიტეტისათვის იასონ ჯავახოვს უნდა ეცნობებინა.

დუშეთის აჯანყების საკითხში ჩვენი კომიტეტი, ჩემი აზრით, მაყურებლის როლში გამოდიოდა და მარტოოდენ იმ ინფორმაციას სჯერდებოდა, რომელსაც იასონ ჯავახოვი გვაწვდიდა: ეს ინფორმაცია ამბობდა დაახლოებით იმას, რომ აჯანყებულები კარგად არიან ვამაგრებულები და რომ აჯანყება დიდხანს გასტანს. ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე იანვარში ი. ჯავახოვმა გვაცნობა, ინტერპარტიულმა ბიურომ გაერთიანებული სამხედრო ცენტრი გამოყო და მის შემადგენლობაში ეროვნულ დემოკრატთა პარტიიდან ერთი წარმომადგენელი უნდა შევიდესო.

„გაერთიანებული სამხედო ცენტრის" სხდომას არც ერთჯერ არ დავსწრებივარ და მთლიანი მისი შემადგენლობა არ ვიცი. ვიცი, რომ მასში ვარდენ წულუკიძეც შედიოდა.

დავით ვაჩნაძეს უკანასკნელად ათიოდე დღის წინათ ვხედავდი. ქუჩაში შევხვდით ერთმანეთს. სხვათა შორის მითხრა, ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტს შევთავაზე ლიგა, რომელმაც პარიტეტული კომიტეტი უნდა შეცვალოს და, ცხადია, ყველა სხვა ორგანიზაციაზე ხელი უნდა ავიღოთო. აქვე მითხრა, მინდა თურქეთს, კერძოდ, როგორც მახსოვს, ანგორას მიმაელინონო.

სექტემბერში დავით ვაჩნაძემ, როგორც აქტიური გამოსვლის ყველაზე მკაფიო მომხრემ, კახეთში ჩოლოკაევს წერილი მისწერა. წერილის შინაარსი არ ვიცი. ეს ამბავი მითხრა იასონ ჯავახოვმა, რომელიც გაჯავრებული იყო იმით, რომ ვაჩნაძემ ეს წერილი თვითონ მისწერა.

კითხვა: იცით თუ არა, ვისი ფსევდონიმია „სამფერი"?

პასუხი: რამდენადაც მახსოვს, ამაზე ლაპარაკობდა ცენტრალურ კომიტეტში ზოგიერთი წევრი და ახსენებდნენ ვაჩნაძის გვარს. შესაძლოა ეს პაროლი იყოს.

დაეძენ, რომ „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი" ერთხელაც არ შეკრებილა.

ძ. აფხაზი

დაკითხავდა: პანკრატოვი

არ.ქ. 24367-62 ს. 150, ფურც. 41

ამონაწერი ალექსანდრე ანდრონიკოვის 1923 წლის 7 მარტის ჩვენებიდან

სურამიდან რომ დავბრუნდი, 1922 წლის სექტემბრის დამლევს ნარიკელაძის ბინაში გაიმართა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: ნიკოლოზ ქარციევაძე, როგორც მითხრეს პარიტეტული კომისიის წარმომადგენელი, კ. აფხაზი, ი. ჯავახოვი, წულუკიძე, მე და ერთი ვიღაც მენშევიკური პარტიიდან, რომლის გვარი არ ვიცი. თუ არ ვცდები, იყო კიდევ ერთი უცნობი, რომლის არც პარტიულობა ვიცი და არც გვარი. თავმჯდომარეობდა ქარციევაძე. მან წაგვიკითხა მოხსენება პოლიტიკურ მომენტზე, რომელიც მუქ ფერებში დაგვიხატა. ნათლად ჩანდა მენშევიკური პარტიის ჩავარდნა. რამდენადაც წინათ მუშათა კლასის იმედით ვიყავით, იმდენად ახლა პირუკუს მტკიცება გვიხდება. შემდეგ ლაპარაკი შეეხო მიმდინარე მომენტს—ჩოლოკაევის გამოსვლებს ხევსურეთში. მე ჩემი აზრი გამოვთქვი ამ გამოსვლაზე, ვთქვი, რომ იგი ყოვლად დაუშვებელია, რადგან რუსეთს მისი ჩახშობის ისეთი საშუალებები აქვს, რომ მის მხარდაჭერაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. იქნება მხოლოდ ამაო მსხვერპლი, მოსახლეობის ძალთა გაჩანაგება. სხვა რაიონების ფეხზე დაყენებაც ბოროტმოქმედება იქნება. თუ შესაძლებელია დავუკავშირდეთ ჩოლოკაევს და შევაწყვეტინოთ გამოსვლა. წულუკიძემ და აფხაზმაც ასეთივე აზრი გამოთქვეს. ამ დროს მოგვახსენეს, რომ მუხრავანიდან* არტილერისტი ჩამოსულა ერთობ მნიშვნელოვანი საქმის მოსახსენებლად. შემოვიყვანეთ იგი და მოგვახსენა, ჩოლოკაევმა პატარეას წინადადება მისცა, ნებით შემომიერთდით, თორემ ძალით დაგიპყრობთო. ამან აღაშფოთა მეთაურთა შემადგენლობა და გამომგზავნეს გკითხოთ, რა ვქნათ, ყოვლად უსუსური ვართო. ყველამ ერთად დავასკვენით, რომ ჩოლოკაევის ამგვარი მოქმედება დაუშვებელია და პატარეა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთანხმოს მის წინადადებას. ამ უკანასკნელმა ამბავმა საბოლოოდ ამიხილა თვალი იმაზე, რომ თუმცა

* ასეა დედანში (მთარგმნ.).

პარტიებმა თვითონ აირჩიეს ცენტრი, მაინც დამოუკიდებლად მუშაობენ, რასაც შედეგად მოსდევს ამაო მსხვერპლი და ხალხის გაჩანაგება. ჩოლოკაევის ეამოსვლა რომ ცენტრის ვეერდის ავლით მოხდა—ეს ნათელია, რადგან ცენტრს არავითარი განკარგულება არ გაუცია. პირიქით, ეტყობა პარტიის ცალკეული უპასუხისმგებლო წევრები დამოუკიდებლად იძლეოდნენ განკარგულებებს. ამ მოსაზრებით, ხელსაყრელი დრო ვიხელთე თუ არა, მაშინვე ვთქვი, მეტი მუშაობა აღარ ძალმიძს-მეთქი. შემდეგ ამაზე არაერთხელ უთქვამს ჩემთვის წულუკიძეს, აგრეთვე აფხაზსაც, რომელმაც მითხრა, მეც უარის თქმა მინდაო. წულუკიძე სულ იმას მეხვეწებოდა, შენი გადაწყვეტილება არ შეასრულოო. მაგრამ ფაქტობრივად ეგრეთ წოდებული ცენტრი არაფერს არ აკეთებდა, არავითარ განკარგულებას არ იძლეოდა და რაიმე ორგანიზებულის, ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელის შექმნას ვერ შევძლებდი და ამრიგად თავისთავად ჩამოშორებული უნდა ყოფილიყავი. ოქტომბერი შეებულებაში გავატარე. სიღნაღში ჩემს დებს ვეწვიე. შესაძლოა, რომ კავშირი ჩემამდე ჰქონდათ ნარიკელაძის მეშვეობით და წულუკიძის ხელმძღვანელობით. მე მოლაპარაკება აბსოლუტურად არავისთან არ მქონია. მთელ ინფორმაციას წულუკიძის, მუსხელოვის და ნარიკელაძის მეშვეობით ვიღებდი. თუ ვისთან და როგორ ჰქონდათ მათ დამყარებული კავშირი, არ ვიცი. მე მარტო მზამზარეულ ცნობებს მაძლევდნენ. სწორედ ასევე ცენტრთან კავშირისათვის დანიშნულ პარტიის წარმომადგენლებს ნარიკელაძის, ზოგჯერ კი მუსხელოვისა და წულუკიძის მეშვეობით უნდა დავეკავშირებინეთ. დამოუკიდებელი უშუალო კავშირი ჯარის ნაწილებთან თუ დაწესებულებებთან არასოდეს მქონია. წარმომადგენელი კავშირისათვის ეროვნული დემოკრატებიდან ვიყავი მე—ჯავახოვი*; მენშევიკებიდან იყო ხიმშიევი, მაგრამ მისი დაპატიმრების მერე ვინ დააყენეს მის მაგივრად, არ ვიცი.

არ.ჟ. 24367-62 ს. 150, ფურც. 19.

* ასეა დედანში. ალბათ უნდა იყოს: იყო ი. ჯავახოვი. (მთარგმნ.)

ამონაწერი მ. ჯავახოვის 1923 წლის 6 მარტის ჩვენებიდან

1922 წლის დამდეგს დააპატიმრეს ჯერ კედია, მერე ასათიანი. ქარუმიძე საზღვარგარეთ გაემგზავრა. ისინი შეცვალეს ბ. წინამძღვაროვმა და კ. აფხაზმა.

არ. 24367-62 ს. 150, ფურც. 21.

ამონაწერი ჯავახოვის 1923 წლის 7 მარტის ჩვენებიდან

პარიტეტულ კომიტეტში შესული ხუთი პარტიის შეთანხმების წვრილმანები დამავიწყდა, მაგრამ პირობათა ზოგადი ხაზები ასეთი იყო:

ა) პარიტეტულ კომიტეტში ყოველ პარტიას (ეროვნულ დემოკრატებს, მენშევიკებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, „სხივისტებს" და სოციალისტ-რევოლუციონერებს) თითო წარმომადგენელი ჰყავს.

ბ) ყველა საკითხს შეთანხმებით წყვეტენ.

გ) ყველა პარტია უარს ამბობს დამოუკიდებელ გამოსვლებზე. პარიტეტული კომიტეტი ათანხმებს მათ მოქმედებას.

დ) საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი მთავრობა დირექტივებს პარიტეტულ კომიტეტისაგან იღებს და საერთოდ თავის ნაბიჯებს მას უთანხმებს.

ე) პარიტეტულ კომიტეტს ყოფილ მთავრობასთან ჰყავს საგანგებო კონტროლიორი.

ვ) საზღვარგარეთიდან მიღებული მთელი თანხა საერთო მიზნისათვის იხარჯება.

ზ) თუ ბოლშევიკები საქართველოდან წავლენ (მაშინ ეს საესებით შესაძლებლად მიაჩნდათ), ძალაუფლება პარიტეტული კომიტეტის ხელთ გადავა ყოფილი მთავრობის ჩამოსვლამდე. მერე კი მოხდება მთავრობის რეფორმირება იმ ვარაუდით, რომ არც ერთ პარტიას 1/3-ზე მეტი არ ჰყავდეს და მასში ყველა პარტია მონაწილეობდეს. დაუყოვნებლივ მოიწვევენ ყოფ. დამფუძნებელ კრებას და სულ ბევრი 6 თვეში მაინც დანიშნავენ ახლის არჩევნებს.

ამ პირობების განხილვაში მონაწილეობდნენ კედია, ასათიანი (ციხიდან), მე, ვაჩნაძე, აფხაზი, იასონ ჯავახოვი, წინამძღვრიშვილი, მესაბლიშვილი. დიდი მერყეობისა და დავის შემდეგ საკითხი გადაწყდა.

არქ. ფონდ. ს. 150, ფურც. 20.

ამონაწერი მ. ჯავახოვის 1923 წლის 7 მარტის ჩვენებიდან

ერთხელ კიდევ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ „ჩემოსაგან“ ერთი კაპიკი ფული არასოდეს არ მიგვიღია. მე მინდოდა აფხაზი „ჩემოში“ მომეწყო სამსახურში იმ მიზნით, რომ დავხმარებოდი კაცს, არც მეტი, არც ნაკლები.

არქ. 24367-62 ს. 150, გვ. 22

ამონაწერი მოქ. მიხეილ ჯავახოვის 1923 წლის 15 მარტის დაკითხვის ოქმიდან

1922 წლის ნოემბერ-დეკემბრამდე ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტი შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: აფხაზი, იასონ და მიხეილ ჯავახოვები, ნიკ. კეცხოველი და წინამძღვარი. კარგად არ მახსოვს, ნოემბრის მიწურულს იყო თუ დეკემბრის დამდეგს, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მივედი დიმ. ჯავახოვის ბინაში მიხეილის ქუჩაზე, სადაც ზემოხსენებული პირები დამიხვდნენ, აგრეთვე დიმ. ჯავახოვი, დანელია და, მგონი, ახმეტელი, რომლებიც კოოპტაციით შეიყვანეს ცენტრალურ კომიტეტში.

მე, ჯერ კიდევ მანამდე, იასონ ჯავახოვის ნათქვამი ვიცოდი, რომ ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციით შეიყვანეს ეს უკანასკნელი სამი პიროვნება. დიმ. ჯავახოვის ბინაში რომ მივედი, დაახლოებით საღამოს 8 საათი იყო. სხდომის დღის წესრიგში იდგა იასონ ჯავახოვის ანგარიში და ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევნები. სხდომიდან დაახლოებით 9 საათზე წავედი, როცა იასონ ჯავახოვი მოხსენებას კითხულობდა. მე-2 თუ მე-3 დღეს იასონ ჯავახოვისაგან შევიტყვე, რომ პრეზიდიუმში აეურჩევინართ იასონ ჯავახოვი, მე, აფხაზი, იშხნელი, კეცხოველი და წინამძღვარი. სულ მალე იშხნელმა თუ იასონ ჯავახოვმა გამანდო თავისი აზრი, რომ ასეთი პრეზიდიუმი საჭიროა სამი კაცისაგან: იასონ ჯავახოვისა, იშხნელისა და, მგონი, წინამძღვრისაგან. რამდენადაც ვიცი, ამის მერე ცენტრალური კომიტეტის სხდომა არ გამართულა.

მიხეილ საბას ძე ჯავახოვი

ოქმს აღგენდა ამხ. **ოთხილევსკი**

არ.ჭ. 24367-62 ს. 150, ფურც. 25.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზის 1923 წლის 31 მარტის დამატებითი ჩვენებები

ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა დაამტკიცა კრებამ, რომელიც 1922 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიმართა დიმიტრი ჯავახოვის ბინაში. კომიტეტი ნავარაუდევი და დამტკიცებული იყო შემდეგი შემადგენლობით: მე—კ. აფხაზი, მ. ჯავახოვი, დიმიტრი ჯავახოვი, იასონ ჯავახოვი, მ. იშხნელი, დანელია, კეცხოველი ნიკოლოზ და წინამძღვრიშვილი. მე კომიტეტის თავმჯდომარედ დამამტკიცეს. კრებას ყველა ჩამოთვლილი პირი ესწრებოდა გარდა დანელიასი და წინამძღვრიშვილისა. ჩემს გარდა სამხედრო ცენტრში შედიოდნენ: ვ. წულუკიძე და ანდრონიკოვი. სხვები არ ვიცი. არ ვიცი არც ის, შედიოდა თუ არა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში ნარიკელაძე. ჰქონდა თუ არა ეროვნულ დემოკრატთა პარტიას ორგანიზაციები ადგილზე, არ გამიგია. გაუგზავნა თუ არა ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურმა კომიტეტმა ჩოლოკაევს ფული და საერთოდ, უწევდა თუ არა მას რაიმე დახმარებას, არ ვიცი. ფავლენიშვილის ბანდაზე არაფერი გამიგია.

დაჰკითხავდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აფუკიძე

არ. 24367-62 ს. 150, ფურცლ 26.

კონტრდაზვერვის განყოფილების I ათეული საიდუმლოდ და სასწრაფოდ

საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა საბჭო

ამასთან ერთად გიბრუნებთ უწყებებს და გაცნობებთ, რომ კ. აფხაზი ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა და ვერსად ვერ გამოცხადდება რაიმე ჩვენების მისაცემად.

*

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

[illegible]

კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

[illegible]

I ათეულის უფროსი

[illegible]

1923 წლის 3 მაისი

კოტე აფხაზის 1923 წლის 12 მაისის ჩვენება

ჩემს წინა ჩვენებებს ახალს ვერაფერს დავუმატებ გარდა იმისა, რომ აღგილობრივ გამოსვლებს მე ვხსნი არა საერთოდ ცენტრიდან პარტიათა ზემოქმედებით, არამედ მასების განწყობილების ფსიქოლოგიური მდგომარეობით, მასებისა, რომელთა საუკუნეობით ჩამოყალიბებული ცნებები ერთბაშად დაირღვა. მოძრაობას არ ჰყოლია ხელმძღვანელები. თავს დამნაშავედ ვცნობ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის მიღებაში, მაგრამ ეს თანამდებობა მივიღე ერთადერთი მიზნით, იმ მიზნით, რომ ზემოქმედება მომეხდინა და არ ყოფილიყო არავითარი გამოსვლა. კომიტეტის მოქმედების დასამტკიცებლად მოვიყვან გომბორის ეპიზოდს, სადაც გადაჭრით უარვყავით გამოსვლა.

მე-2 ცნობა: პარიტეტულ კომიტეტს (ცენტრს) მის შეკითხვაზე, თუ რა აზრისაა კომიტეტი გამოსვლის შესახებ, კომიტეტმა უარყოფითად უპასუხა. შეკითხვა 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოგვიგზავნეს. მე-3: იმის ცდა, რომ გვემოქმედა მოსახლეობაზე 1922 წლის საშემოდგომო და 1923 წლის საგაზაფხულო დღესასწაულების დროს ყოველგვარი გამოსვლის უარყოფის თვალსაზრისით.

კ. აფხაზი

დაჰკითხავდა ჰეტროსიანი

კონსტანტინე აფხაზის 1923 წლის 12 მაისის ჩვენება

ვამტკიცებ თვითონ კერესელიძის სიტყვებით, რომლებიც საკანში ყოფნის დროს მითხრა, რომ ხევსურები შემთხვევით გადაეყარნენ კერესელიძეს და სთხოვეს, იასონ ჯავახიშვილთან მიეყვანეო. მაგრამ კერესელიძე მათ იასონ ჯავახოვთან ვერ მიიყვანდა იმიტომ, რომ ხევსურებთან ერთად დააპატიმრეს. საკანში მე ვუთხარი კერესელიძეს, იასონ ჯავახიშვილს ჩვენებებში ნუ ახსენებ, რადგან იასონთან ხევსურები ვერ მიიყვანე და ის უბრალო დარჩა, თანაც საქმეს არ გაართულებ-მქონი. კომიტეტზე მე არაფრის თქმა არ შემეძლო, რადგან მაშინ კომიტეტი არ იყო და როგორც ჩანს ეს საქმე ჩვენგან სრულიად სეპარატულად იდგა კერესელიძესა და იასონ ჯავახიშვილს შორის და კომიტეტი ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი მათი მოქმედებისათვის. ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების კავშირის შესახებ ჩოლოკაევის მოძრაობასთან ხევსურეთში 1922 წლის ოქტომბერში მე არაფერი ვიცი.

აფხაზი

დაჰკითხავდა **პეტროსიანი**

პირადად

კონტრდაზვერვის განყოფილების I ათეული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ბეგეჭკორს

თქვენი ა. წ. 25 აპრილის №2613 შუამდგომლობაზე ამიერკავკასიის საგანგებო კომისია გაცნობებთ, რომ სერგი დანელიას და დიმიტრი ჯავახიშვილს ბრალი ედებათ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში და მათი გათავისუფლება არ შეიძლება.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ბანკრატოვი

კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი

აფუკინი

I ათეულის უფროსის თანაშემწე

ზალპეტერი

ამონაწერი

ამიერკავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისიათა კოლეგიების 1923 წლის 19 მაისის გაფართოებული სხდომის №19 ოქმისა

თავმჯდომარეობდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მოგილევსკი

ესწრებოდნენ ამხ. ამხ. პანკრატოვი, ზონოვი, მახნოესკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერია, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე

მოისმინეს: (მომხსენებელი ამხ. აშუკინი)

I) 1. ანტისაბჭოური პარტიების სამხედრო ორგანიზაციის საქმე, რომლის მიხედვითაც ბრალად ედება კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზს, 55 წლისას, უმაღლესი განათლების მქონეს, ყოფ. თავადს, ყოფ. გენერალს, ყოფ. თავადაზნაურთა წინამძღოლს, საქართველოს ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს,—საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის შექმნა და მასში მონაწილეობა, ანტანტის სასარგებლო შპიონაჟი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გაცემა და ღალატი.

დააყენეს:

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, 55 წლისა, უმაღლესი განათლების მქონე, ყოფ. თავადი, ყოფ. გენერალი, ყოფ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი, საქართველოს ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც შეეიდა სამხედრო ცენტრში და მონაწილეობდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობაში, ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში აჯანყების საკითხის განხილვისას, როგორც თვითონ აღიარა, ხმა მისცა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას—დაიხვრიტოს. განაჩენი მოყვანილ იქნეს სისრულეში 24 საათში.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სარეგისტრაციო

განყოფილების უფროსი **ᲗᲐᲜᲬᲔᲠᲘ**

კონსტანტინოპოლის ქართველ საზოგადოებას ეუწყება, რომ ამა წლის 20 მაისს ქალაქ თბილისში საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით, გაუსამართლებლად, დახვრეტილ იქნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის თავდადებულნი მებრძოლნი:

1.	გენერალი	ანდრონიკაშვილი ალექსანდრე	სიმონისძე
2.	გენერალი	წულუკიძე ვარდენ	გრიგოლისძე
3.	გენერალი	აფხაზი კონსტანტინე	ნიკოლოზისძე
4.	გენერალი	მუსხელიშვილი როსტომ	ილიასძე
5.	პოლკოვნიკი	ხიმშიაშვილი გიორგი	ნიკოლოზისძე
6.	პოლკოვნიკი	მაჭავარიანი ალექსანდრე	მიხეილისძე
7.	პოლკოვნიკი	გულისაშვილი ელიზბარ	ზაქარიასძე
8.	პოლკოვნიკი	ჩრდილელი დიმიტრი	ნიკოლოზისძე
9.	ოფიცერი	ყარალაშვილი ფარნაოზ	რევაზისძე
10.	ოფიცერი	მუხრან-ბატონი სიმონ	ლევანისძე
11.	ოფიცერი	კლიმიაშვილი ლევან	ირაკლისძე
12.	სამ. მოხელე	ზანდუკელი მიხეილ	ნიკოლოზისძე
13.		კერესელიძე იასონ	მათესძე
14.		ჭიაბრიშვილი სიმონ	იავორისძე
15.		ქუთათელაძე ივანე	გრიგოლისძე

სამშობლოსათვის თავგანწირულთა სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი ამა ივნისის 3-ს, კვირას, ნაშუადღევის 2 საათზე, ქართველ კათოლიკეთა სავანეში.

პანაშვიდის ჯოჯო. კომისია.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის მასალებიდან

საქმე №36
გრიგოლ რცხილაძის ჩვენებებიდან

ჩეკას მონაცემები გრიგოლ რცხილაძის შესახებ

რცხილაძე გრიგოლ სიმონის ძე—48 წლის, აზნაურის ოჯახიდან; ქ. თბილისიდან, უმაღლესი ვანათლებით; პროფესიით ადვოკატი, ნასამართლევი ცარიზმის დროს, დაპატიმრებული იყო საქართველოს ჩეკას მიერ; სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1905 წლიდან, ცხოვრობდა ლეგალურად, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების კომისარიატის იურისკონსულტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და პარიტეტული კომიტეტის წევრი.

1922-23 წწ.

„საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის გამოძიების მასალა და მოწმეთა ჩვენებები“ 1924 წელი

სრულიად საიდუმლოდ

საგანგებო კომისიის პატიმრის გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძის ჩვენება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერე 1921 წლის ზაფხულში თბილისში გაიმართა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრების კონფერენცია. ეს კონფერენცია ხელისუფალთა თანხმობით სრულიად ლეგალურად მოიწვიეს. კონფერენციამ გამოიტანა რეზოლუციები, მაგრამ მათი ზუსტი ტექსტის აღდგენა მეხსიერებით მიჭირს, თუმცა კარგად მახსოვს ამ რეზოლუციების ძირითადი იდეა: ფედერალისტთა პარტიისათვის ხელისუფლების საბჭოური სისტემა მისაღებია, რადგან ეს სისტემა მოსახლეობის მშრომელ კლასთა პოლიტიკურ ბატონობას გზას უხსნის. პარტიელი ამხანაგების დავალებით მე და ამხ. ა. მდივანმა აღნიშნულ რეზოლუციათა ტექსტი წარვუდგინეთ საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს, ამავე დროს გადავეცით თხოვნა, რომ ნება დაერთო ჩვენთვის გამოგვეცა ქართული გაზეთი, რომელშიც ვევარაუდობდით გაგვეშუქებინა მიმდინარე ამბები თანახმად პარტიის მიერ მიღებული რეზოლუციისა და თავისუფლად შეგვეფასებინა ისინი ლოიალობისა და დასაშვებლობის ფარგლებში.

ამხ. მახარაძე ჩვენს თხოვნას კეთილვანწყობით მოეკიდა და გვითხრა, საბოლოო პასუხისათვის რამდენიმე ხნის მერე შემოიარეთო. მაგრამ როცა ხელახლა ვეწვიეთ რევკომის თავმჯდომარეს, უკვე არა მახარაძეს, არამედ ამხ. ბუდუ მდივანს, ჩვენს თხოვნაზე კატეგორიული უარი მივიღეთ. ამრიგად, პარტიის იმ ცდას, რომ

თავისთვის მუშაობის მცირედი შესაძლებლობა შეექმნა, ნაყოფი არ გამოუღია.

ცოტა ხნის მერე საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის დაიწყო მოლაპარაკება ერთმანეთთან რაიმე კონტაქტის დამყარებაზე. არ ვიცი, ეის ეკუთვნოდა ამ მოლაპარაკების დაწყების ინიციატივა, მაგრამ ამხანაგებმა დამავალეს, რომ მასში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელით უნდა მიმეღო მონაწილეობა. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ყველა იმ ხუთი პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს ყოფილ დამფუძნებელ კრებაში იყვნენ წარმოდგენილი. მოლაპარაკება ძალიან გაგრძელდა და ტაატით მიდიოდა იმის გამო, რომ შეხედულებანი ხელისუფლების ბუნებაზე,— ხელისუფლებისა, რომელიც უნდა დამყარებულიყო, თუ აღსდგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა,—ძირეულად განსხვავდებოდა. მენშევიკები ამბობდნენ, გასაბჭოებამდე არსებული ხელისუფლების რესტავრაცია უნდა მოხდესო, სხვა პარტიებს, და მათ შორის ფედერალისტთა პარტიასაც, საჭიროდ მიაჩნდათ ახალი ხელისუფლების ახალ საწყისებზე კონსტრუირება. ამასთან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უდღეურობა მოლაპარაკების ყველა მონაწილეს უდავო ეჩვენებოდა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენა—ახლო მომავლის საქმედ. გაჭიანურებული მოლაპარაკება, როგორც მახსოვს, 1922 წლის ზაფხულში დამთავრდა ზემოთ აღნიშნული ყველა ხუთი პარტიის შეთანხმებით „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნაზე. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" შეიქმნა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით—ყოველ პარტიას თითო წარმომადგენელი ჰყავდა. ყოველი საკითხი, რომელზეც ის იმსჯელებდა, უნდა გადაწყვეტილიყო ერთხმად და არა ხმის უმრავლესობით. მე და ჩემმა ამხანაგებმა ეს ფორმა მიზანშეწონილად ვცანით, რადგან იგი ურთიერთ კონტროლს მოასწავებდა და ცალკეულ პარტიათა სეპარატისტულ მოქმედებას აგვარიდებდა. დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის შესახებ შეთანხმების ტექსტი, როგორც მახსოვს, ხუთი პუნქტისაგან შედგებოდა და დაახლოებით ემთხვევა იმ ტექსტს, რომელიც ამას წინათ თბილისის გაზეთებში გამოქვეყნდა.

შეთანხმების დადებას მოჰყვა თვით დამოუკიდებლობის კომიტეტის კონსტრუირება. კომიტეტში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლობა ამხანაგებმა მე დამავალეს. კომიტეტის თავმჯდო-

მარედ ავირჩიეთ მენშევიკთა პარტიის წარმომადგენელი გოგიტა ფაღავა, მდივნად—ეროვნულ დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელი იასონ ჯაკეხიშვილი. სხდომებზე კომიტეტი დროდადრო იკრიბებოდა. უწინარეს ყოვლისა კომიტეტმა თვითორგანიზაციას მოჰკიდა ხელი და თავისთვის მუშაობდა: რეგლამენტი, რომლის აზრითაც, სხვათა შორის, განხილვიდან უნდა მოხსნილიყო ყოველი საკითხი, თუ ერთი წევრი მაინც განაცხადებდა შესაბამის მოთხოვნას. შემდეგ, კომიტეტი ცდილობდა შეექმნა თავისთან კომისია საინფლაციო მიზნით, მაგრამ ამის მოგვარება როგორღაც ვერ შეძლო. კომიტეტში დიდი დავა გამოიწვია პარიზს ემიგრირებულ საქართველოს ყოფილ მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხმა. ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი,—ვერ მომიგონებია, სახელდობრ რომლის,—გვთავაზობდა ჟორდანიას ყოფილი მთავრობა ევროპას წარგზავნილ საქართველოს წარმომადგენლობად ჩავთვალოთ და მისი საქმიანობა დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ ემიგრანტთაგან დანიშნული პირების კონტროლს დავუქვემდებაროთო. იყო აგრეთვე წინადადება, გვყოლოდა ყოფილ მთავრობასთან ერთი წარმომადგენელი, რათა სისტემატური საინფორმაციო კავშირი გვქონოდა მასთან. სხვა წინადადებებიც იყო, მაგრამ რაკი ერთსულოვნების მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. ცნობებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ევროპაში საქართველოს საკითხის ირგვლივ, კომიტეტი მენშევიკთა პარტიის მეშვეობით იღებდა და არა დამოუკიდებლად. თუ მეხსიერება არ მღალატობს, კომიტეტის სახელზე მოვიდა სულ ერთადერთი წერილი, რომელიც პრინციპულად იწონებდა პარტიებს შორის თბილისში დადებულ შეთანხმებას და გამოთქვამდა ზოგიერთ შენიშვნას, ვგონებ იმაზე, რომ მოუხერხებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთხმივობის საკითხების გადაწყვეტის წესი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლო სახსრებისა და საშუალებების ძირითად საკითხზე კომიტეტს კარგა ხანს არ ჰქონდა გარკვეული დასრულებული შეხედულება. ქართველ ემიგრანტთა ინფორმაციის თანახმად დამოუკიდებლობა შეიძლებოდა აღდგენილიყო ან მოსკოვის მთავრობაზე სოციალისტური პარტიებისა და მეორე ინტერნაციონალის მორალური ზემოქმედების შედეგად, ან შინაგანი უწესრიგობის გამო საბჭოთა ხელისუფლების დაშლის შედეგად, ანდა ომის შედეგად, რომელიც, ემიგრაციის აზრით, შესაძლებელი იყო. ამის პარალე-

ლურად ემიგრაცია ატყობინებდა მენშევიკთა პარტიას, რომლისგანაც იგებდა კომიტეტიც, რომ იგი, ქართველთა ემიგრაცია ფართო მუშაობას ეწევა საქართველოს დამოუკიდებლობის პოპულარიზაციისათვის როგორც ევროპის ხალხთა საზოგადოებრივ აზრში, ისე ევროპის დიდ სახელმწიფოთა მმართველ წრეებში, მეტადრე საფრანგეთისაში. მაგრამ ეს დაპირებები არ გამართლდა, თანდათან მეფდებოდა გულგატეხილობა. პირადად მე ყოველთვის დიდი სკეპტიციზმით ვუყურებდი ევროპიდან დახმარებას და არ მწამდა რეალური შედეგები ევროპის სოციალიზმის მორალური ზეგავლენისა საქართველოს ამბებზე. ყოველ შემთხვევაში, არსებობის პირველი პერიოდი დამოუკიდებლობის კომიტეტმა ისე გაატარა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალების პერსპექტივა არ ჰქონია.

დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნიდან ცოტა ხნის გასვლის მერე, არ ვიცი რატომ, მაგრამ მოხდა მისი თავმჯდომარის შეცვლა. ახალმა თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ქარცივაძემ, ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა, მენშევიკთა პარტიამ დამაკისრა განსახილველად დავსვა საკითხი, თუ რა ხასიათი ექნება ამიერიდან დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობასო. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებლად და აღსადგენად გაურკვეველი და უცნობი ვადით მუშაობა არაფერს მოგვიტანს, რომ საჭიროა დავთქვათ რაიმე ვადა, დავუკავშიროთ იგი მოხერხებულ საერთაშორისო ვითარებას, ამ დროისათვის მოვამზადოთ მთელი ძალები, რაც კი შეიძლება გვყავდეს და ამ ადრევე დათქმულ დროს გავშალოთ საქმიანობა. ეს ვადა, მისი აზრით, შეიძლებოდა უფრო გვიანაც დაგვეთქვა იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნებოდა ვითარება. მაგრამ ამ ვადის ფიქსაცია წარმატებული მზადების საჭირო წანამძღვრად არ მიაჩნდა. მენშევიკთა წარმომადგენლის ამ წინადადებაში მე კომიტეტის მიერ აქამდე გაწეული მუშაობის მთელი ბუნების არსებითი შეცვლა შევნიშნე. მივხვდი, რომ ეს წინადადება ნიშნავდა შეიარაღებული აჯანყების პროგრამის მიღებას, რომ ვადის დათქმას რეალური მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან აჯანყების მომზადებულ ტექნიკურ საშუალებათა ლოგიკა თვით იმ პირთაც ჩაითრევს, ვინც ეს საშუალებები მოამზადა, და კელავ ნებას არ მისცემს შეაჩერონ აჯანყება, მათ რომ კიდეც...

აჯანყება მე ყოველმხრივ მიზანშეუწონლად და ქართველი ხალხისათვის დამღუპველად მიეიჩნიე და უაღრესად გადაჭრით ვავი-

ლაშქრე შემოტანილი წინადადების წინააღმდეგ. ამ საკითხზე გამართულ კამათში გამოირკვა, რომ კომიტეტის ყველა წევრი შემოტანილ წინადადებას უერთდებოდა და მე ჩემი შეხედულებებითურთ მარტოდ ვრჩებოდი. მე ჩემი გონებისა და ენერგიის მთელი ძალები ამოვწურე, რაც კი მქონდა, ეცდილობდი გამეღრმავებინა საკითხი, ბევრჯერ წინააღმდეგ გამოვედი როგორც იმ სხდომაზე, ისე მომდევნო სხდომებზეც, რომლებზეც საკითხის განხილვა გადაგვქონდა, მაგრამ კომიტეტის წევრებისათვის რწმენის შეცვლა ვერ მოვახერხე.

შექმნილი უთანხმოება ვაცნობე ჩემს პარტიელ ამხანაგებს. მათ მთლიანად გაიზიარეს ჩემი შეხედულება, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად ცნეს არ გადაექციათ ეს უთანხმოება ძირეულ კონფლიქტად, განეგრძოთ დამოუკიდებლობის კომიტეტში მონაწილეობა იმ ვარაუდით, რომ სინამდვილეში შეძლებისამებრ თავიდან აგვერიდებინა შეიარაღებული აჯანყება, გამოსვლა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მე შეგნებული მქონდა, რომ ამ მიმართულებით პირადად ვეღარაფერს გავაკეთებდი და ამხანაგებს განვუცხადე, არც შემიძლია და არც მინდა ვიკისრო პასუხისმგებლობა დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შეთვისებული თვალსაზრისის საბედისწერო შედეგებისათვის და ამიტომ გამათავისუფლეთ კომიტეტში პარტიის წარმომადგენლობისაგან-მეთქი. ჩემმა ამხანაგებმა მიიღეს ჩემი პრინციპული განცხადება, მაგრამ მთხოვეს ერთხანს, სანამ სხვა წარმომადგენელს შეარჩევდნენ.

ამის მერე დიდი ხანი არ გასულა, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე დააპატიმრეს და ამიტომ კომიტეტის მუშაობა შეწყდა. იმ დროისათვის, როცა დამოუკიდებლობის კომიტეტის ახალი შემადგენლობა ჩამოყალიბდა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მენშევიკთა პარტიის წარმომადგენელი ანდრონიკაშვილი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლად მე უკვე აღარ ვიყავი, ჩემს მაგივრად სხვა დანიშნეს. ამ უკანასკნელს დაავალეს აჯანყების საკითხზე გაეგრძელებინა ჩემი ხაზი, რათა თავიდან აგვეცილებინა უბედურება, მაგრამ აგვისტოს ამბების დადგომას ისიც ვერ აღუდგა წინ.

1924 წლის 21 ნოემბერი

ბრიბოლ რცხილაძე

გრიგოლ რცხილაძის ჩვენება

საქმის არსებით მხარეზე ჩვენება ამა წლის 21 სექტემბერს მოგეცით. დამატებით კითხვებზე შემდეგს გპასუხობთ:

საქართველოს გასაბჭოების დროისათვის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტში შემდეგი პირები ვიყავით: 1) გიორგი ლასხიშვილი, 2) სამსონ ფირცხალავა, 3) შალვა ნუცუბიძე, 4) თედო ღლონტი, 5) ერასტი ტოროტაძე, 6) ვახტანგ კოტეტიშვილი, 7) გრიგოლ გველესიანი, 8) იოსებ ბარათაშვილი, 9) მიხეილ საყვარელიძე, 10) ქრისტეფორე რაჭველიშვილი, 11) აკაკი პაპავა, 12) სამსონ დადიანი, 13) ალექსანდრე მდივანი, 14) შალვა მიქელაძე და მე (15).

საქართველოს გასაბჭოების მერე პარტიას ერთი კონფერენცია ჰქონდა 1921 წელს. ამ კონფერენციაზე მოხდა განხეთქილება და მთავარი კომიტეტის შემადგენლობიდან ღლონტმა, ნუცუბიძემ, ტოროტაძემ და კოტეტიშვილმა შექმნეს მემარცხენე ფრთა, რომელიც შემდეგ ცალკე პარტიად—მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიად ჩამოყალიბდა და საქართველოს კომუნისტურ პარტიას შეერწყა.

კონფერენციის შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (მემარჯვენე ფრთა) შეეცადა თავისი ლეგალური არსებობის აღიარება მიეღო ხელისუფალთა მხრივ და მოეპოვებინა გაზეთის გამოცემის უფლება, მაგრამ ეს ცდა, რომელსაც მე და ალ. მდივანი ვახორციელებდით, მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ მთავარმა კომიტეტმა მოქმედება შეწყვიტა: კომიტეტის სხდომებს აღარ იწვევდნენ, პროპაგანდა, ორგანიზაცია, გამოცემა და სხვა ყოველდღიური პარტიული მუშაობა შეწყდა, ცალკეულ საკითხებზე კი ძველი ამხანაგები შეხვედრის დროს უზიარებდნენ აზრს ერთმანეთს. ამ დროიდან პარტიას უკვე აღარ აქვს რაიმე საგანგებო სტრუქტურები და არც არავითარი არალეგალური კომისია არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან აღარ არსებობს.

გასაბჭოებამდე საქართველოში ზოგიერთ მაზრაში არსებობდა პარ-

ტიის სამაზრო ორგანიზაციები, რომელთაც სათავეში ედგათ ადგილობრივი სამაზრო კომიტეტები, მაგრამ გასაბჭოების მერე მათი არსებობის შესახებ სრულიად არაფერი ვიცი. ასე მეონია, რომ სამაზრო ორგანიზაციები თავიანთი კომიტეტებითურთ საერთოდ აღარ არსებობენ.

გასაბჭოებამდე ახალგაზრდათა ორგანიზაციიდან ახალგაზრდათა თხოვნით ზოგჯერ ერთ წარმომადგენელს ისწრებდნენ მთავარი კომიტეტის სხდომაზე, მაგრამ ორგანიზაციული წარმომადგენლობა ახალგაზრდებისა მთავარ კომიტეტში და პირუკუ დაწესებული არ ყოფილა.

საქართველოს გასაბჭოების მერე მთავარი კომიტეტის მიერ ზემოთ აღნიშნული ყოველდღიური პარტიული მუშაობის შეწყვეტის გამო ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ მთავარ კომიტეტში ახალგაზრდებს და პირუკუ, ახალგაზრდებში მთავარ კომიტეტს წარმომადგენლობა ჰყოლოდათ. ყოველ შემთხვევაში, ამაზე არც არაფერი ვიცი და არც არავისგან არაფერი მსმენია.

მე არ შემიძლია წარმოგიდგინოთ ცენტრალურ კომიტეტთან (მთავარ კომიტეტთან) არსებული კომისიების, სამაზრო კომიტეტების და ახალგაზრდათა ორგანიზაციის მუშაობის აღწერა, რადგან გასაბჭოების მერე ცენტრალურ კომიტეტთან არავითარი კომისია არ არსებობდა და არ არსებობს, სამაზრო კომიტეტებთან არავითარი კავშირი არა მაქვს და მათი არსებობაც კი არ ვიცი, ახალგაზრდათა ორგანიზაციასთან კი არავითარი ურთიერთობა არ მქონია და მათ მუშაობაზე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს.

როგორც ვიცი, საზღვარგარეთ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მხოლოდ სამი წევრი ცხოვრობს: სიმონ მდივანი, აკაკი პაპავა, და სამსონ ფირცხალავა, არსებობს თუ არა სოციალისტ-ფედერალისტთა რაიმე საზღვარგარეთული ორგანიზაცია, სულ არ ვიცი. მათთან არავითარი მიწერ-მოწერა არ მქონია და არც მაქვს. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია—მე ასე ვიცი—მეორე ინტერნაციონალში არ შედის. ოდესღაც პარტია ცდილობდა მიეღოთ იგი მე-2 ინტერნაციონალში წევრად, მაგრამ ამაოდ. არ ვიცი, არსებობს თუ არა საქართველოს პარტიის პარიზის გაერთიანება და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პარიზის ბიურო. არც არასოდეს არაფერი გამიგია ამაზე.

პარიტეტული კომიტეტის ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტის შექ-

მნის ამბავი 21 ნოემბერს მოცემულ ჩვენებაში მაქვს მონაყოლი. კომიტეტის დაარსებას წინ უძღოდა ხანგრძლივი სჯა-ბაასი და მოლაპარაკება. პარტიებს შორის ამ საკანზე მოლაპარაკების პერიოდში მკაცრი შეფასება ეძლეოდა პოლიტიკას, რომელსაც მენშევიკთა პარტია ჟორდანიას მთავრობის დროს ახორციელებდა საქართველოში. საერთოდ, საზოგადოებრივ აზრს და ყოფილი დამფუძნებელი კრების ხუთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ყოფილი მთავრობის მოქმედება დანაშაულს ედრება, რომ თუ შესაძლებლობა იქნა, ეს მოქმედება სპეციალურმა კომისიამ უნდა გამოიძიოსო და დამნაშავენი სასამართლოს გადასცეს. ამასთან ერთად ის შეგნებაც მოქმედებდა, რომ საჭიროა ერთგვარი ეროვნული გაერთიანება.

ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისის შეურიგებლობის დაძლევა ერთობ ძნელი იყო. პირადად მე პარტიათა შეთანხმების მომხრე ვიყავი, რადგან მეგონა, რომ თუ მათ კონტაქტი ექნებოდათ, თავიდან ავირიდებდით ცალკეული ჯგუფებისა და პარტიების გამოსვლებს საქართველოში თებერვლის ამბების მერე შემოღებული პოლიტიკური ვითარების წინააღმდეგ. დავალება, რომელსაც პარტიები მოლაპარაკების დროს გულისხმობდნენ, იყო არა აჯანყების მომზადება, როგორც ეს შესაძლოა ხელისუფალთ მოეჩვენოთ ახლა, არამედ პირიქით, შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში მთელი ქართველი ხალხის ყოფა-ქცევის საერთო ხაზის გონივრულად წარმართვა.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოიხატება არა მარტო ეროვნული დამოუკიდებელი მთავრობის არსებობით, არამედ აგრეთვე ხალხის ცხოვრების ბევრი სხვადასხვანაირი ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური განშტოებით, ამიტომ ერის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა სინამდვილეში უცბად არ ხდება, არამედ დროის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ პერიოდში. ეს პერიოდი აღსავსეა ხიფათით, რომელიც თვით ხალხის ფიზიკურ არსებობას ემუქრება, ხოლო გონივრული ხაზის პოვნა ამ გარდამავალი დროისათვის სულაც არ არის ადვილი. მე მიმაჩნია, რომ ჩვენს ქართულ პირობებში ცალკეული ჯგუფებისათვის მოქმედების ინიციატივის მინდობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შექმნილ პირობებში შეუძლია ისეთი შედეგები გამოიწვიოს, რომლებიც მთელ ხალხს დაღუპავს. ეს შეხედულება, რომელსაც ჩემი პარტიელი ამხანაგებიც ეთანმხებოდ-

ნენ, არაერთხელ გამომითქვამს პარტიათა შორის მოლაპარაკების დროს. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ შეხედულებას სხვა პარტიათა ბევრი წევრიც იზიარებდა, მაგალითად, ისიდორე რამიშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე. ამ შეხედულების ძალა, ჩემი აზრით, დაგვეხმარა დაგვეძლია პარტიებში მაშინ არსებული რადიკალური უთანხმოება ახლო წარსულის შეფასებასა და მომავლის პერსპექტივებზე. სამწუხაროდ, მე არ ძალმიძს უფრო დაწვრილებით გიამბოთ პარიტეტული კომიტეტის შექმნაზე გამართული მოლაპარაკების ამბავი. ამ მოლაპარაკების ცალკეული მომენტები და სცენები არ დამამახსოვრდა და ფაქტებს იმ საერთო კონცეფციით ვადმოვცემთ, რომლითაც ჩემს შეგნებაში შემორჩნენ.

პარიტეტული კომიტეტი ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტი ხუთი წევრისაგან შედგებოდა — თითო კაცი სოციალ-დემოკრატი მენშევიკების, ევროვნული დემოკრატების, სხივისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების და სოციალისტ-ფედერალისტების პარტიებისაგან. ყოველ პარტიას უფლება ჰქონდა კომიტეტში თავის წარმომადგენლად დაენიშნა ვინმე თავისი არჩევანით, გაეწვია იგი და მის ნაცვლად დაენიშა სხვა, როცა ამას მოისურვებდა. პარიტეტული კომიტეტი იყო ცალკეული პარტიების მოქმედების შემთანხმებელი და არა მასში განსახილველი საკითხების ვადამწყვეტი ორგანო. ამიტომ კომიტეტის ყოველ წევრს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მოეხსნათ განხილვიდან ყოველი საკითხი, ამასთან უნდა განეცხადებინა, პარტია, რომელსაც მე წარმოვადგენ, არ ეთანხმება გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც დანარჩენებიდან ერთ-ერთმა ან თუნდაც ყველამ ერთად წარმოადგინაო. მაგრამ კომიტეტში შემავალ არც ერთ პარტიას უფლება არ ჰქონდა საერთო-ეროვნული პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელობის მქონე რაიმე მოემოქმედებინა, თუ ამის თანახმა ან მოსურნე არ იქნებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტი. ეს საპასუხიმგებლო ფორმულა პარიტეტული კომიტეტის საქმიანობაში ჩემი იქ ყოფნის დროს ბევრ უთანხმოებას და გაუგებრობას წარმოშობდა. მაგალითად, კომიტეტის წინაშე ძალიან ხშირად წამოჭრილა საკითხი, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ პარტიას უფლება თავისი სახელით გამოეშვა რომელიმე ფურცელი ან პროკლამაცია. თუ ვავითვალისწინებთ, რომ კომიტეტში შემავალ პარტიათა უმრავლესობა დიდად უფრთხილდებოდა თავისი გავლენისა და პრესტიჟის შენარჩუნებას და გაძლიერებას,

გასაგები გახდება, რომ წვრილმანი ვაუგებრობანი კომიტეტს დიდ დროსა და ენერგიას ართმევდა. რაც შეეხება პარიტეტულ კომიტეტთან არსებულ კომისიებს, მათ შექმნას ვარაუდობდნენ, მაგრამ სანამ პარიტეტული კომიტეტის წევრი ეიყავი, ვერ მოახერხეს. ეს საქმე ასე ჰქონდათ წარმოდგენილი: ყოველ კომისიას დამოუკიდებლად უნდა ემუშავა პარიტეტული კომიტეტის ერთ-ერთი წევრის უახლოესი ხელმძღვანელობით და ზოგადი დირექტივებით. როგორც მახსოვს კომისიის შემადგენლობა შესაძლებლობისამებრ შერეული უნდა ყოფილიყო, მასში მონაწილეობა უნდა მიეღო ყოველი პარტიის წარმომადგენელს. მე მგონია, სამხედრო კომისიის შემადგენლობაში პარტიულობის თვალსაზრისით სულ ერთი იყო ვინ იქნებოდა წევრად. სამხედრო კომისიის თავმჯდომარედ, თუ არ ვცდები, კონსტანტინე აფხაზი უნდოდათ. კომისიის წევრებს უფლება არ ჰქონდათ დასწრებოდნენ პარიტეტული კომიტეტის სხდომებს. სამხედრო კომისიის გარდა ვარაუდობდნენ სარედაქციო და საფინანსო კომისიების შექმნას, მაგრამ ეს ყველაფერი სისტემატურად ვარაუდი იყო, სინამდვილეში კომისიები არ შექმნილა.

ვარაუდობდნენ, რომ ადგილებზე უნდა შეექმნათ პარტიათაშორისი კომიტეტები პარიტეტული კომიტეტის პრინციპებზე და ანალოგიური სტრუქტურით. ამასთან, არ მოითხოვდნენ, რომ ადგილობრივ კომიტეტში ყველა პარტიის წარმომადგენელს მიეღო მონაწილეობა. სადაც პარტიას ადგილობრივი ორგანიზაცია არ ეყოლებოდა, იქ პარტიათაშორისი ადგილობრივი კომიტეტი ნამდვილად არსებული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლების შემადგენლობით იმოქმედებდა. აქა-იქ ასეთი ადგილობრივი კომიტეტები მართლაც შექმნეს, მაგრამ სად, ვერ მომიგონებია.

პარიტეტულ კომიტეტთან არსებული კომისიების მუშაობაზე არაფერი ვიცი, რადგან ეს კომისიები ჩემ დროს ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, ხოლო ცალკეული პარტიებისაგან პარიტეტული კომიტეტისათვის გადაცემული სამუშაოს ფარგლების საკითხი მისი სტრუქტურის ბუნებაზე ჩემ მიერ მოცემულ განმარტებით ამოიწურება.

არავითარი მიწერ-მოწერა საზღვარგარეთთან სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, ამ მიწერ-მოწერის შესახებ მე არაფერი ვიცი და არც არავისგან არაფერი მსმენია. რაც შეეხება პარიტეტულ კომიტეტს, ჩემ დროს ერთი წერილი

გაუგზავნა ჟორდანიას ყოფილ მთავრობას, რომლითაც ატყობინებდა პარტიებს შორის თბილისში დადებული შეთანხმების ამბავს. ამ წერილის პასუხი პარიტეტულმა კომიტეტმა რამდენიმე თვის მერე მიიღო. ამ წერილების გაგზავნ-გამოგზავნა მენშევიკთა პარტიის მეშვეობით ხდებოდა, რადგან დამოუკიდებლობის კომიტეტს დაკავშირების საშუალება თვითონ არ ჰქონდა. დამოუკიდებლობის კომიტეტში მენშევიკთა პარტიის წარმომადგენელი, თვითონვე თავმჯდომარე, ჩვეულებრივად სხდომას მოახსენებდა ხოლმე, თუ როგორ იდგა საქართველოს საკითხი ევროპაში და რას აკეთებდა საქართველოდან წასული ემიგრაცია, რომ ეს საკითხი აქტუალური გაეხადა უპირატესად ევროპის სოციალისტთა წრის საზოგადოებრივი აზრისათვის.

რით გამოიხატება ფულადი ანუ მატერიალური დახმარება საზღვარგარეთიდან, არ ვიცი. როგორც მახსოვს, ჩემ დროს კომიტეტს საზღვარგარეთიდან არავითარი დახმარება არ მიუღია.

ვიდრე მე დამოუკიდებლობის კომიტეტში ვიყავი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად საზღვარგარეთიდან დახმარების შეპირება იმით გამოიხატებოდა, რომ გამოჩენილი ევროპელი სოციალისტები აღგვითქვამდნენ მორალურ ზეგავლენას საერთოდ და კერძოდ—თავ-თავიანთი ქვეყნების ეროვნულ მთავრობებზე. ინტერვენციის შეპირება ჩემ დროს არც ერთი მხრიდან არ ყოფილა, ხოლო ევროპაში შექმნილ საქმის ვითარების საერთო ხასიათის გამო არავითარი საფუძველი არ გააჩნდა...

პარიტეტულ კომიტეტს ჩემ დროს არავითარი კავშირი კავკასიის რომელიმე პარტიასთან არ ჰქონია. ზოგჯერ სხდომებზე გამოთქვამდნენ სურვილს მიეღოთ რაიმე ინფორმაცია აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის მდგომარეობაზე, მაგრამ ეს სურვილი სურვილადვე რჩებოდა.

მე გადაჭრით არ ძალმიძს აგიწეროთ პარიტეტული კომიტეტის სხდომები, რომლებსაც დავესწარი, რადგან მას მერე საკმაოდ დიდმა დრომ განელო და ისინი აქამდე მეხსიერებაში არ შემომრჩებოდნენ. მახსოვს მარტოოდენ ზოგადი ხასიათი ამ სხდომებისა და ზოგადი შინაარსი მუშაობისა, რაზეც უკვე ეილაპარაკე. ჩვეულებრივად სხდომას მთელი შემადგენლობა ესწრებოდა, ე. ი. ხუთივე პარტია მონაწილეობდა. იშვიათად თუ კომიტეტის წევრთაგან ვინმე გამოაკლდებოდა რაიმე შემთხვევითი მიზეზის გამო.

მიმაჩნია, რომ მე არ მეკალება პერსონალურად დავასახელო ვინ რომელ პარტიას წარმოადგენდა დამოუკიდებლობის კომიტეტში. ყოველ პარტიას შეუძლია თვითონ დაასახელოს, თუ ვინ ჰყავდა წარმომადგენლად კომიტეტში ანდა კომიტეტის ყოველ წევრს თვითონ შეუძლია დაასახელოს თავისი თავი. რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, მეც და სამსონ დადიანმაც თვითონ დავასახელეთ ჩვენი თავი და აღვნიშნეთ მონაწილეობის რა წილი მოდიოდა ჩვენზე დამოუკიდებლობის კომიტეტში.

ინტერვენციის საკითხთან სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას არანაირი დამოკიდებულება არა აქვს, რადგან, მისი აზრით, საქართველოს საქმეებში ინტერვენციის საკითხი ფანტაზიის ნაყოფია და სინამდვილის რეალური პირობები მას სრულიად არ აყენებენ. შინა აჯანყების საკითხს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია კატეგორიულად უარყოფითად ეკიდებოდა და ეკიდება. თუ რა შეხედულება ჰქონდათ ამ საკითხებზე სხვა პარტიებს, ეს შეგიძლიათ გაარკვიოთ თვით ამ პარტიების წარმომადგენელთათვის ჩვენებების ჩამორთმევით.

ზრიხოლ რცხილაძე

1924 წლის 25 ნოემბერი

ჩეკას მონაცემები სამსონ დადიანის შესახებ

დადიანი სამსონ პლატონის ძე

39 წლის; თავადის ოჯახიდან, ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურიდან, უმაღლესი განათლებით; ადვოკატ-იურისტი, ცოლშვილიანი, რეპრესირებული ცარიზმის დროს; დამფუძნებელი კრების წევრი; ორგზის დააპატიმრა საქართველოს ჩეკამ; ცხოვრობდა არალეგალურად; კომუნალური ბანკის იურისკონსულტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, პარიტეტული კომიტეტის წევრი 1924 წელს.

არქივი №36, გვ.23-25

პატიმარ სამსონ პლატონის ძე ლადიანის ჩვენება

გპასუხობთ თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე:

როგორც ჩემი წინა ჩვენებებიდან არის ცნობილი, მე 1922 წლის თებერვალში დამაპატიმრეს. იმავე წლის სექტემბრამდე ჩათვლით მეტეხის ციხეში ვიჯექი. პარტიებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („პარიტეტული კომიტეტი“) საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1922 წლის აგვისტოში, ასე რომ არც მოლაპარაკებაში, არც კომიტეტის შექმნაში მონაწილეობა არ მიმიღია.

1924 წლის თებერვლის დამლევს და მარტის დამდეგს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისაგან მივიღე წინადადება, რომ მნიშავდნენ პარტიის წარმომადგენლად „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში“. ამის მერე ორი-სამი კვირა გავიდა და მიმიწვიეს „პარიტეტული კომიტეტის“ სხდომაზე. ეს სხდომა მიეძღვნა იმას, რომ მე, როგორც ახალ წევრს, გამაცნეს დამოუკიდებლობის კომიტეტის კონსტრუქცია და რეგლამენტი (რომ კომიტეტი მასში შემავალი პარტიების პარიტეტის საფუძველზე არსებობს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში ვიწვევთ ყოფილი დამფუძნებელი კრების ერთ სხდომას, რომ დროებითი მთავრობა და ჟორდანიას მთავრობა თავისი საქმიანობის ანგარიშს ჩააბარებს, რომ მერე დაინიშნება პარლამენტის არჩევნები და ა. შ.). თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილმა სხდომას გააცნო აგრეთვე „საქართველოს საკითხის საერთაშორისო მდგომარეობა“, სახელდობრ, რომ ნ. ჟორდანიას მთავრობა ევროპაში წარმატებით ეწევა ამ საკითხის პროპაგანდას, რომ ეს საკითხი დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება ყველა წრეში, მეტადრე სოციალისტურ წრეებში და ა. შ.

აღვილი წარმოსადგენია, როგორ ვიგრძნობდი თავს არალეგალურ პირთა (კ. ანდრონიკაშვილის და ი. ჯავახიშვილის) საზოგადოებაში, რაც მათთვის არ დამიმალავს. ამის მერე ორ თვეზე მეტი არ

მივუწვევივართ „პარიტეტულ კომიტეტის“ სხდომაზე და, რა თქმა უნდა, არც მე განმიცხადებია რაიმე პრეტენზია. მარტო ივნისის დამლევს მიმიწვიეს „ პარიტეტული კომიტეტის“ სხდომაზე და ჩემი თანდასწრებით აქ პირველად დააყენა თავმჯდომარემ აჯანყების საკითხი (თუ როდის და რა დროს მოხდა ეს გარემოებები, ამაზე თავს არ ვიდებ, რადგან ამის ზუსტად აღდგენა, როგორც არ უნდა მოვინდომო, არ შემიძლია).

თავმჯდომარემ ამ სხდომაზეც კვლავ მოგვახსენა საქმის ვითარება ევროპაში და აქ, საქართველოში. ამ მოხსენებით გამოდიოდა, რომ აქაც და ევროპაშიც ეს საკითხი იმდენად მომწიფდა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ცხადია, ვიცოდი ჩვენი ამხანაგების და „დამოუკიდებლობის კომიტეტში“ პარტიის ჩემამდელი წარმომადგენლის პოზიცია და შეძლებისამებრ ფართოდ გავუკეთე ანალიზი „ევროპის იმედს“, ერთობ სკეპტიკურად მოვეკიდე აქაურ „ჩვენს ძალებსაც“. შევახსენე ჩაფლავებული ჩვენი დემონსტრაციები თებერვალში (საქართველოს გასაბჭოების დღეს) და მაისში (საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს). გამოსვლა დავამთავრე იმ განცხადებით, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია კატეგორიულად წინააღმდეგია გამოსვლების. აზრის გამოთქმა სხვებმაც დაიწყეს, მაგრამ თავმჯდომარემ სიტყვა გაგვაწყვეტინა. მე განვაცხადე, საკითხი მან მხოლოდ აზრის წინასწარ გასაზიარებლად დასვა-მეთქი.

კიდევ რამდენიმე კვირა გავიდა და მომდევნო სხდომაზე უკვე ვადის საკითხი დაისვა, როდის უნდა დაწყებულიყო აჯანყება. აჯანყების საჭიროებას ასაბუთებდნენ კიდევ ჟორდანიას მთავრობის ახალი მიღწევებით (თქვეს, რომ ჩვენს მხარეზეა სოციალისტური წრეების სიმპათიები, რომ აქ მუშაობა წარმატებით მიდის, რომ გვაქვს კავშირი მეზობელ რესპუბლიკებთან, განსაკუთრებით მთიელებთან, რომ მეორე ინტერნაციონალი ჩვენს საკითხს უმფარველებს, რომ რენოდელი მარჯვენას მოიჭრის და ა. შ.). მე ისევ წინააღმდეგი ვარ პუნქტების მიხედვით: 1) რომ ბურჟუაზიულ ევროპას მხოლოდ თავისი ინტერესებისათვის ძალუძს კავშირის რესპუბლიკათა ტერიტორიებზე წარმოქმნილი უწესრიგობის გამოყენება, 2) რომ სოციალისტთა სიმპათიები ასევე დარჩება პლატონურ სურვილებად, 3) რომ სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა არასოდეს ასე მტკიცე არ ყოფილა, როგორც ახლაა, 4) რომ ხალხი მხარს არ

დაგვიჭერს, 5) რომ აჯანყება საქართველოში მარტოოდენ საქართველოს საკითხი კი არა, მთელი კავშირის საკითხია და ამიტომ გამარჯვება გამარჯვებად მხოლოდ 24 საათს დარჩება, 6) რომ ხელისუფლები იძულებული იქნებიან მიიღონ ყოველად ულმობელი ზომები და ა. შ. და ა. შ. (დაწერილებით არ გიყვებით, რადგან მგონია, რომ საქმისათვის ჩემს არგუმენტაციას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს). ამით დამთავრდა ეს სხდომა და თავმჯდომარემ გვაცნობა, ამ დღეებში გაიმართება დამოუკიდებლობის კომიტეტის გაფართოებული შემადგენლობის სხდომა, რომელზეც სამხედრო კომისიის წევრები დაწერილებით გაგვაცნობენ ადგილებზე გაწეულ მუშაობას და ამის მერე კომიტეტი შეიკრიბება აჯანყების საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტადო. მე განვაცხადე, ამ გაფართოებულ სხდომაზე არ მოვალ, რადგან რამდენიც არ უნდა მიმტკიცოთ „ჩვენი ძალების“ ძლიერება, ჩვენ (სოციალისტ-ფედერალისტები) მაინც ვერ დაგეთანხმებით აჯანყებაზე-მეთქი. „დავუშვათ, რომ ჩვენ მართლაც ხელთ ვიგდეთ ძალაუფლება. ამ შემთხვევაშიც კი ვერ ვიკისრებთ პასუხისმგებლობას ვერც ისტორიისა და ვერც ქვეყნის წინაშე, რადგან თუ „გავიმარჯვეთ“, დიდი დანაკარგები გვექნება-მეთქი“, — ვამბობდი მე. არც წავედი ამ გაფართოებულ სხდომაზე.

მ. ბოჭორიშვილმა მერე მიამბო, რაც ამ სხდომაზე მოხდა. სხდომას დასწრებიან ჯუღელიც და „სამხედრო კომისიაც“ (სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ სოციალისტ-ფედერალისტებს ამ კომისიაში წარმომადგენელი არასოდეს ჰყოლიათ). მიამბო ჩვენ უზარმაზარ ძალებზე, რომ ჯუღელს რუკა გამოუტანია და დაუჩემებია, აჯანყება რაც შეიძლება მალე დავიწყოთო. ბოჭორიშვილს იქვე ეუთხარი, რატომ დაისწარით სხდომაზე ამდენი უცხო ხალხი და რა უფლება გქონდათ ამ შემადგენლობით განგეხილათ აჯანყების საკითხი-მეთქი. მიპასუხა, ამ დღეებში ამ სხდომის გაგრძელება გაიმართებაო და მკითხა, ხომ არ მოხვალო. უარი ვუთხარი და შევეხვეწე, თავმჯდომარეს სთხოვე, დაუყოვნებლივ მოიწვიოს მარტო კომიტეტის სხდომა-მეთქი. ეს სხდომა, რომელსაც მე ვითხოვდი, მართლაც გაიმართა, მაგრამ სამწუხაროდ 20 აგვისტოს (იქნებ ვცდებოდე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე დღით).

ამ სხდომაზე აჯანყების მომხრეები უფრო მეტი ენერგიით და გულდაჯერებით იმეორებდნენ თავის აზრს. მე ჩემსაზე ვიდექი და

ეცდილობდი, ახალი მოსაზრებებით დამეცვა ჩემი აზრი. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ჯუღელმა საგანგებო კომისიიდან თავისიანებს აცნობა, ხელისუფლებამ ყველაფერი იცის და გთხოვთ საკითხი მოხსნათო. მაგრამ არც ამან უშველა. როცა ჯერი მიდგა ესერთა წარმომადგენელზე, მან განაცხადა, „თუმცა აჯანყებისა და შესაძლო შედეგების შეფასებაში სოციალისტ-ფედერალისტებს ვეთანხმებით, თუ აჯანყება დაიწყება, ჩვენ ხალხთან ვიქნებითო.“ საქმის ასეთმა მოულოდნელმა შებრუნებამ (მანამდე ესერები აჯანყების წინააღმდეგი იყვნენ) ისე გამაოგნა, რომ ასეთი ფრაზა წამოვისროლე: „მაოცებს თქვენი რომანტიზმი-მეთქი“ (არ ვიცი, იქ დამსწრეთაგან ახსოვს ვინმეს ეს, თუ არა).

ჩემი მოსაზრებები რომ ამოვწურე, განვაცხადე, კომიტეტის რეგლამენტის საფუძველზე საკითხი, რომლის წინააღმდეგაც პარიტეტული კომიტეტის თუნდაც ერთი წევრი გამოვა, უნდა მოიხსნას და თუ ეს საკითხი არ მოიხსნება, იძულებული გავხდები კომიტეტი დავტოვო-მეთქი. ამაზე მიპასუხეს, კომიტეტიდან კიდეც რომ წახვიდეთ, გამოსვლები მაინც იქნებაო. მაშინ მუქარის სახით ვთქვი, პარიტეტული კომიტეტიდან გავდივართ და ვუშვებთ დეკლარაციას, რომ პარიტეტული კომიტეტი დაიშალა-მეთქი. ამაზე მითხრეს, ეს საქმის ღალატი იქნებაო. მე ავდექი და სხდომა დავტოვე. დარჩენილებმა რა გადაწყვიტეს, არ ვიცი.

წასვლისას თავმჯდომარეს ვკითხე: როდისთვის დანიშნეთ აჯანყება-მეთქი. მიპასუხა, თქვენ ხომ ერთი-ორი კვირის მანძილზე აზრს არ შეიცვლით და რად გინდათ ვადის ცოდნაო. ამის მერე ისინი არ მინახავს და ეს რამდენიმე დღე საშინელ, აუტანელ მოლოდინში გავატარე: როდის იქუხებს, როდის დაევატყდება თავს ეს შემაძრწუნებელი კატასტროფა-მეთქი.

დასასრულ ვაცხადებ, რომ თუ ამ ხნის მანძილზე პარიტეტულმა კომიტეტმა რაიმე ფურცელი გამოუშვა, არც მისი, არც ჩემთვის წარმოდგენილი „მემორანდუმის“ შედგენაში წილი არ მიმიძღვის. დღემდე არც მისი შინაარსი ვიცი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მათ გამო პასუხისმგებლობა მოვიხსნა, არამედ ფაქტს აღვნიშნავ.

1924 წლის 21 ნოემბერი

სპიტონ დადიანი

სამსონ დადიანის ჩვენებიდან 1924 წლის 25 ნოემბერს

საქართველოს გასაბჭოებამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (მთავარ კომიტეტში) შევდიოდით.

1. გიორგი ლასხიშვილი
2. გრიგოლ რცხილაძე
3. სამსონ ფირცხალავა
4. შალვა ნუცუბიძე
5. თედო ღლონტი
6. ერასტი ტოროტაძე
7. ვახტანგ კოტეტიშვილი
8. იოსებ ბარათაშვილი
9. მიხეილ საყვარელიძე
10. ქრისტეფორე რაჭველიშვილი
11. აკაკი პაპავა
12. ალექსანდრე მდივანი
13. გრიგოლ გველესიანი
14. შალვა მიქელაძე
15. მე (სამსონ დადიანი)

პარტიის ბოლო კონფერენცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს ლეგალურად გაიმართა 1921 წლის მარტში. ამ კონფერენციაზე მოხდა განხეთქილება და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ღლონტმა, ნუცუბიძემ, ტოროტაძემ და კოტეტიშვილმა შექმნეს მემარცხენე ფრთა, დანარჩენი წევრები მემარჯვენე ფრთად დარჩნენ. ამ ოთხმა კაცმა შექმნა „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა“ ახალი პარტია, ჩვენ კი მთავრობას გავუგზავნეთ გრ. რცხილაძე და ალ. მდივანი და ვშუამდგომლობდით, რომ მოეხდინათ ჩვენი პარტიის ლეგალიზება კონფერენციის მიერ გამოტანილი რეზოლუციის საფუძველზე, რაზეც მთავრობამ უარი ევითხრა. ამის მერე ცენტრალური კომიტეტი, როგორც ასეთი, აღარ მოქმედებდა და

ცალკეულ საკითხებზე ძველი ამხანაგები, როცა ერთმანეთს შევხდებოდით, მაშინ ვმსჯელობდით. ამრიგად, არავითარი კომისია, რომელსაც ცალკე ფუნქცია ექნებოდა, არ ყოფილა.

გასაბჭოებამდე არსებობდა შემდეგი კომიტეტები:

— თბილისისა
— ქუთაისისა
— ბათუმისა
— ფოთისა
— ზუგდიდისა
— სენაკისა
— დუშეთისა
— თელავისა
— სიღნაღისა

მაგრამ რა ბედი ეწიათ და არსებობდნენ თუ არა გასაბჭოების მერე, არ ვიცი. ისინი თავს არაფრით ინენდნენ, მათთან კავშირი არ მქონია (თუ არ ჩავთვლით ამ ბოლო დროს ბათუმის კომიტეტს).

ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტს დაწესებული წარმომადგენლობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (მთავარ კომიტეტში) არ ჰყოლია, მაგრამ თუ ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტი იშუამდგომლებდა, მათს წარმომადგენელს ისწრებდნენ სხდომაზე ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებული საკითხის განხილვისას. თავისი წარმომადგენელი არც მთავარ კომიტეტს ჰყოლია ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტში. გასაბჭოების მერე პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიულ მუშაობას აღარ ეწეოდა და ურთიერთწარმომადგენლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. იგივე შემიძლია ვთქვა კომისიების შესახებ: უმოქმედო ცენტრალურ კომიტეტთან რა კომისიები შეიძლებოდა ყოფილიყო.

სამაზრო კომიტეტების მუშაობის აღწერას პარტიის ლეგალური მუშაობის დროსაც კი ვერ შევძლებდი მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩავდიოდით ადგილებზე და იქ ვიღებდით ინფორმაციას. მით უფრო ვერ აღვწერ მას ახლა, როცა გასაბჭოების დროის მანძილზე არავითარი კავშირურთიერთობა არ მქონია პროვინციებთან. მხოლოდ ამ ბოლო დროს შევხვდი ბათუმის ორგანიზაციის წარმომადგენელს გიგა ჩიქოვანს.

საერთოდ, გასაბჭოებამდეც პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მი-

სი წევრები ტექნიკურ-ორგანიზაციულ საკითხებს არ ეხებოდნენ. ისინი, ასე ეთქვათ, პარტიის უმაღლეს პოლიტიკას წარმართავდნენ. ადგილობრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ახალგაზრდობის ორგანიზაციის მუშაობას ვეცნობოდით იმ მოხსენებებით, რომლებსაც პარტიულ კონფერენციებზე კითხულობდნენ ადგილებიდან, ხოლო ყრილობებზე—წარმომადგენლები. კონფერენციას ვიწვევდით წელიწადში ერთხელ, ყრილობას — წელიწადში ორჯერ. გასაბჭოების მერე მუშაობდნენ ახალგაზრდების ორაგნიზაციები, მაგრამ სად და რა მუშაობას ეწეოდნენ, არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ჟურნალს უშვებდნენ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მე-2 ინტერნაციონალში არ შედის. რა ხდება საზღვარგარეთ, ჰყავთ თუ არა იქ ინტერპარტიული ბიურო და შედის თუ არა მასში სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელი, არ ვიცი. ეს კია, რომ „პარიტეტულ კომიტეტში“ ჩემთვის უთქვამთ, ასეთი ბიურო არსებობსო. თუ მართლაც არსებობს, ჩემი ვარაუდით, სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლებად იქ შეიძლება იყონ ან სიმონ მდივანი ან სამსონ ფირცხალავა. რაც შეეხება პარტიულ ბიუროს, ასეთი რამ, ეტყობა, არ არსებობს, რადგან მის საქმიანობაზე არაფერი გამიგია.

„პარიტეტული კომიტეტის“ შექმნის ამბავი მხოლოდ და მხოლოდ გრ. რცხილაძის ნაამბობიდან ვიცი.

ჩემ დროს „პარიტეტულ კომიტეტში“ არავითარი კომისია არ შექმნილა. „კომიტეტის“ თავმჯდომარე იყო კ. ანდრონიკაშვილი, მდივანი — ი. ჯავახიშვილი. ვიცი, რომ არსებობდა „სამხედრო კომისია“, მაგრამ მისი შემადგენლობა არ ვიცი, სოციალისტ-ფედერალისტებს კი ამ კომისიაში წარმომადგენელი არასოდეს ჰყოლიათ. არაფერი ვიცი არც საფინანსო, არც სარედაქციო კომისიების არსებობაზე, არც მონაწილეობა მიმიღია „პარიტეტული კომიტეტის“ რომელიმე ფურცლის შედგენასა თუ რედაქტირებაში. მხოლოდ ბოლო სხდომაზე მითხრეს, რომ „კომიტეტი“ გამოუშვებს ხალხისა და არმიისადმი მოწოდებას.

გიგა ჩიქოვანთან შეხვედრამდე არ ვიცოდი, რომ ადგილებზე პარიტეტული წარმონაქმნები არსებობდა. ერთხელ კ. ანდრონიკაშვილმა მითხრა, მგონი ზუგდიდსა თუ სენაკში ეროვნული დემოკრატები წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტთაგან წარმომადგენ-

ლის მოწვევისა, ამბობდნენ, რა აზრი აქვს იმ პარტიის წარმომადგენლის მოწვევას, რომელიც იშლებაო.

ზემოთ ვთქვი, რომ არ ვიცოდი, თუ „პარიტეტულ კომიტეტთან“ კომისიები არსებობდა და ამიტომ არაფერი შემიძლია გითხრათ მათ მუშაობაზე-მეთქი.

„პარიტეტული კომიტეტის“ შექმნის მერე ცალკეულ პარტიებს შეეძლოთ განეგრძოთ ჩვეულებრივი პარტიული მუშაობა, მაგრამ უფლება არ ჰქონდათ საერთო-ეროვნული ხასიათის ერთი ნაბიჯის გადადგმისაც კი.

მთელი იმ დროის მანძილზე, რაც საქართველო გასაბჭოებულია, პარტიული ხაზით რაიმე მიწერ-მოწერაზე არაფერი ვიცი. რაც შეეხება „პარიტეტული კომიტეტის“ მიწერ-მოწერას ემიგრაციასთან, კომიტეტის თავმჯდომარე სხდომებზე ინფორმაციას, ალბათ, ამ მიწერ-მოწერის საფუძველზე გვაწვდიდა, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, როგორ ხდებოდა ეს. მიღებული წერილების შინაარსს ის დაწვრილებით არ გვაცნობდა, მაგრამ მახსოვს, რომ ვეუბნებოდა „საქართველოს საკითხის“ პოპულარობაზე ყველა წრეში, მეტადრე სოციალისტურ წრეებში. გვითხრა, რომ პრემიერმა (თუ პრეზიდენტმა)* მიიღო ჩხენკელი, რომ წერეთელს მიწერ-მოწერა ჰქონდა გამოჩენილ სოციალისტებთან, რომ თითქოს რენოდელს ეთქვას, უმალ მარჯვენას მოვიჭრი, ვიდრე ასეთ ნოტას (სსრ კავშირის ცნობის შესახებ), როგორსაც ხელი მოაწერა მაკდონალდმა, ხელს მოვაწერო, რომ თითქოს მაკდონალდს ჩარევა აღეთქვას (რა სახის ჩარევა, არ ვიცი), რომ მე-2 ინტერნაციონალმა „საქართველოს საკითხის“ ქომაგობა იკისრა და ა. შ.

საზღვარგარეთიდან ფულადი დახმარების მიღებაზე არაფერი ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარე ყოველთვის უსახსრობას უჩიოდა.

„პარიტეტული კომიტეტის“ არც თავმჯდომარისაგან და არც სხვა წევრებისაგან არ მსმენია გარკვეული შეპირება, რომ შესაძლოა ინგლისის ან საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა, მაგრამ ამას კი ამბობდნენ, საფრანგეთიდან მიღებული ცნობებით, თუ ხელისუფლებას ათ დღეს მაინც შევინარჩუნებთ, ანტანტის მხრივ მოხდება დიპლომატიური ჩარევაო.

---

* დედნის ტექსტი ამ ადგილას გარკვევით არ იკითხება.

მეზობლებთან „პარიტეტული კომიტეტის“ კავშირურთიერთობაზე ინფორმაცია თავმჯდომარემ მოგვაწოდა პირველ სხდომაზე, რომელიც მარტში გაიმართა. მან გვითხრა, რომ ეწყობა კავშირი აზერბაიჯანთან, რომ ამაზე ჩავარდა გოვიტა ფაღავა, მაგრამ აზერბაიჯანის იმედი მაინც შეიძლება გვქონდესო. სომხეთთან არავითარი კავშირი არ გვქონდა, დაღესტანზე კი დიდ იმედებს ვამყარებდით. ამბობდა, ისინი ფულს და ინსტრუქტორებს გვთხოვენ, მზად არიან დაიწყონ აჯანყება, მაგრამ შიშობენ, ვაითუ ჩვენ მხარი არ აეუბათო. სხვათა შორის, „კომიტეტში“ არავის უთქვამს, რომ იქ წარმომადგენლად ვეყავდა მ. იშხნელი. ეს მე გაზეთებიდან შევიტყვე.

„პარიტეტული კომიტეტის“ სხდომაზე პირველად 1924 წლის მარტში მოვხვედი. ამ სხდომაზე თავმჯდომარემ გამაცნო რეგლამენტი და პარტიათა შეთანხმების აქტი. რეგლამენტში ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტად მიმაჩნია პუნქტი, რომელიც ყოველ პარტიას ვეტოს უფლებას ანიჭებდა. ყოველი საკითხი ყველას თანხმობით უნდა მიღებულიყო და არა ხმის უმრავლესობით. ამ სხდომაზე ერთი სიტყვაც არავის უთქვამს აჯანყებაზე. ამის მერე არ ვიცი ივნისის დამლევამდე იყო თუ არა სხდომა, რადგან მე სხდომაზე არავის მივუწვეივარ, ივნისის სხდომაზე თავმჯდომარემ ისევ ჩვეულებრივი მოხსენება გაგვიკეთა „საქართველოს საკითხის“ მდგომარეობის შესახებ და წინადადება მოგვცა გამოგვეთქვა აზრი შეიარაღებულ აჯანყებაზე. თავმჯდომარემ ამ სხდომაზე შეწყვიტა კამათი და გამოაცხადა, ამ საკითხს შემდეგ სხდომაზე დავსვამთო. შემდეგი სხდომა ივლისში გაიმართა და მთლიანად აჯანყებაზე კამათს მოუნდა. ამის მერე ორჯერ გაიმართა კომიტეტის „გაფართოებული სხდომა“, რომლებმაც სამხედრო კომისიის მოხსენება მოისმინეს, მაგრამ ამ სხდომებს არ დავსწრებივარ. მე განვაცხადე, ამ სხდომებზე არ მივალ, რადგან როგორიც არ უნდა იყოს აჯანყებულთა ძალები, აჯანყება მიუღებლად და დაუშვებლად მიმაჩნია-მეთქი. უკანასკნელი სხდომა აგვისტოში გაიმართა. ეს ის სხდომაა, რომელზეც „პარიტეტული კომიტეტის“ გათიშვა მოხდა.

ყველა ამ სამ სხდომაზე, რომლებიც აჯანყების საკითხზე კამათობდნენ, სოციალ-დემოკრატთა და ეროვნულ დემოკრატთა წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ აჯანყებას და დაწერილებით ასაბუთებდნენ ამას. ივნისში გამართულ პირველ სხდომაზე სოცია-

ლისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენელი ამბობდა, რომ ხალხს აქვს აჯანყების უფლება. საკითხის ამგვარი დაყენება არც მაშინ მესმოდა და არც ახლა მესმის. მე მგონია, არავის ძალუძს აჯანყების უფლების არც მინიჭება, არც წართმევა. რაც შეეხება იმას, მიაჩნია თუ არა მას (ესერთა წარმომადგენელს) აჯანყება მიზანშეწონილად, დასაშვებად ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იგი წინააღმდეგ გამოვიდა. მხოლოდ ბოლო სხდომაზე, აგვისტოში, განაცხადა, თუ ფაქტი მოხდა, თუ აჯანყება დაიწყო, „ჩვენ ხალხთან ვიქნებითო".

მე მომიხდა გამოსვლა აჯანყების მომხრეთა მოსაზრებების წინააღმდეგ.

როგორც შევატყვე, ევროპის შეიარაღებული ინტერვენცია დამსწრეთაგან არავის სწამდა. მე ვამტკიცებდი, არათუ ომს საქართველოს გულისთვის არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ წამოიწყებს, არამედ საერთოდ შეუძლებელია ომი-მეთქი. ევროპისათვის ომი მიუღებელია არა იმიტომ, რომ სსრ კავშირი უძლეველი სამხედრო ძალაა, არამედ იმიტომ, რომ თვით ძალთა თანაფარდობა ევროპაში, მუშათა კლასის მდგომარეობა და პროლეტარიატის შესაძლო ჩარევა ომს შეუძლებელს ხდის ბურჟუაზიული მთავრობებისათვის. ევროპა გრძნობს, რომ მომავალი ომი შეიძლება სამოქალაქო ომად გადაიქცეს, მით უფრო, რომ წარსული მსოფლიო ომისაგან მოყენებული ჭრილობები ჯერ არ მოშუშებულა. ომმა და რუსეთის დიდმა რევოლუციამ ისე შეარყიეს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობის საფუძვლები, რომ იმპერიალიზმი — ყოველ შემთხვევაში მალე — ვერ გაბედავს ომს. ამ ხნის მანძილზე კი სსრ კავშირი თანდათანობით მძლავრი ძალა გახდება და შესაძლოა კელავ მოვხვედეთ სსრ კავშირის ფარგლებს გარეთაც დაწყებული ახალი რევოლუციების ციკლში. ამ თვალსაზრისით მე მესმოდა კომუნისტების წამოყენებული დებულება: „ დრო ჩვენ გვეხმარება". ასე მეგონა მაშინ, ასე ვფიქრობ ახლა. მაშასადამე, ევროპის მხრივ რეალურ დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მით უფრო არ შეიძლებოდა მე-2 ინტერნაციონალის იმედით ყოფნა, რადგან მას არავითარი რეალური შესაძლებლობა არა აქვს. საქართველოს საკითხი მათ შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ იმისათვის, რომ თავ-თავიანთ ქვეყნებში პროპაგანდა გასწიონ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ამაზე იმედის დამყარება არ შეიძლება. რაკი ასეა, ნათელია, რომ აჯანყება მიუღებელია, რადგან საქმე გვექნება

არა მარტო აღგილობრივ, არამედ მთელი სსრ კავშირის ძალებთან და ეს ქართველ ხალხს ერთობ ძვირი დაუჯდება. მე, როგორც სახალხო სოციალისტი, ყოველთვის ვხელმძღვანელობდი პრინციპით: „ფიზიკურად შევინარჩუნოთ ხალხი". ამიტომ ვერ დაგეთანხმებით ამაზე. აქედან გამომდინარე, მე სულ არ მაინტერესებს ჩვენი „საბრძოლო ძალები", რადგან რა გენიალურადაც არ უნდა იყოს მომზადებული აჯანყება, ჩვენ ხალხის ბრძოლას ვიწყებთ და 24 საათში გაგვსრესენ.

აი, ამიტომ არ მსურს დავესწრო გაფართოებულ სხდომას და გავეცნო ჩვენს საბრძოლო ძალებს-მეთქი. დიდი ეჭვი გამოეთქვი აგრეთვე იმ მხრივაც, რომ ფართო მასები მხარს დაგვიჭერენ.

თითქმის სიტყვასიტყვით ასეთივე იყო ჩემი შეპასუხება. დაახლოებით ასე გამოვიდნენ სხვებიც.

დაგვრჩა პასუხგასაცემი ერთი კითხვა: რომელი პარტიები იყო წარმოდგენილი და პერსონალურად ვინ იყო წარმომადგენელი? ვიცი, რომ ამ კითხვაზე დუმილი უფრო დაამძიმებს ჩემს ისედაც მძიმე მდგომარეობას, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია. მე მგონია, რომ ყოველი პარტიის წარმომადგენელს თვითონ შეუძლია ამ კითხვის გარკვევა.

საშსონ დადიანი

საქართველოს საგანგებო კომისიას
პატიმარ სამსონ პლატონის ძე დადიანის
განცხადება

მე წამომიყენეს ბრალდება, რომ ვიყავი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არალეგალური მთავარი კომიტეტის წევრი და ამ პარტიიდან შევდიოდი „პარიტეტულ კომიტეტში“, რაშიც თავს დამნაშაევედ არ ვცნობ და მოგახსენებთ შემდეგს:

1. ჩემს მიერ დაკითხვაზე დასახელებულ სხვა პირებთან ერთად ვიყავი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, მაგრამ ეს იყო 1921 წლის ვგონებ მარტში გამართული პარტიის ლეგალური კონფერენციის მერე, რომელზეც მოხდა გათიშვა. პარტიის მუშაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. მთავრობასთან (მახარაძესა და მდივანთან) ჩვენი მოლაპარაკება ისე გაჭიანურდა, რომ მგონი, კომიტეტის სხვა წევრებიც თანდათან ჩამოშორდნენ პარტიას იმიტომ, რომ როგორც ნათელი გახდა, პარტიის ლეგალიზება შეუძლებელი შეიქნა, არალეგალური მუშაობისთვის კი არც ენერგია გვყოფნიდა, არც სურვილი და შესაძლებლობა გვქონდა, რადგან ყველანაირი არალეგალური მუშაობისთვის პასუხს გვაგებინებდნენ ჩვენ, ვისაც ხელისუფლები გვცნობდნენ.

1922 წლის თებერვალში დამაპატიმრეს და სექტემბრამდე მეტეხის ციხეში ვიჯექი. 1923 წლის თებერვალში ისევ დამაპატიმრეს და მარტამდე ვიჯექი, ასე რომ, არ შეიძლება ვიცოდე, რა მოლაპარაკებას ეწეოდნენ პარტიები და როგორ ჩამოყალიბდა „პარიტეტული კომიტეტი“.

ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება (და სხვა „უფროსი ამხანაგებისაც“, რომლებიც ასევე ყოველგვარი არალეგალური მუშაობისათვის იყვნენ დაპატიმრებული) ახალგაზრდობამ უკვე მეტეხიდან იცოდა, რის გამოც ისინი კიდეც გვკიცხავდნენ და კიდეც გვლანძღავდნენ...

ამის შემდეგ იწყება ახალგაზრდების მუშაობა და როგორც ჩემ-

თვის წარმოდგენილი საბუთებიდან ჩანს, ახალგაზრდების ცენტრალური კომიტეტი ფაქტობრივად პარტიის მოთავე გახდა — ახალი წევრების მოზიდვა, ჟურნალის გამოცემა, ცირკულარების დაგზავნა და სხვა მისთანები. კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო, რომ ქვეყნად არ არსებობს ქაღალდის არც ერთი ნაგლეჯი პარტიის მთავარი კომიტეტის სახელით, და ვერ მიუთითებთ ვერც ერთ ნაბიჯს, ამ კომიტეტს რომ გადაედგას. მე და მთავარი კომიტეტის ყოფილი წევრები ახალგაზრდების მუშაობამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენა: ძალა არ შეგვწევდა ხელი შეგვეშალა მათი მუშაობისათვის, რადგან ახალგაზრდებში ყოველგვარი გავლენა და აუტორიტეტი დავკარგეთ. რა თქმა უნდა, შეგვეძლო და ვალდებულიც ვიყავით ოფიციალურად გაგვეცხადებინა პრესაში, თუ როგორ ვეკიდებით საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ რატომღაც ეს არ გავაკეთეთ, რაც ჩვენი დანაშაულია, და ამის გამოც ახლა ვიღუპებით. და მართლაც, რუდიმენტი ვიყავით თუ მოქმედი ორგანო, პასუხისმგებლობა, ყოველ შემთხვევაში მორალური, ჩვენ გვეკისრება, რაკი ვერ მოვიცალეთ, რომ ოფიციალურად გამოგვეთქვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოლიდარობა. ჩვენ ხომ „პოლიტიკური ლეში" ვიყავით, როგორც პრესაში ამბობდნენ, და არ გვესმოდა, რომ „ნეიტრალიტეტის" ჩვენეულ ტაქტიკას შეეძლო ფიზიკურ ლეშადაც ვექციეთ. ნათელია, რომ პასიურადაც კი თუ წინააღმდეგობას უწევ რევოლუციურ ხელისუფლებას, ეს იმას ნიშნავს, რომ კონტრრევოლუციის ბანაკში ხარ. ჩვენ ეს არ გვეწადა, მაგრამ პოლიტიკური გამჭრიახობა არ გვეყო. ამაზე სინანული უკვე გვიანაა.

„პარიტეტული კომიტეტის" წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ თურმე გიგა ჩიქოვანს უთქვამს, იყო, ის კი არადა, მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეც იყო. მისდა და ჩემდა სამწუხაროდ, ის უკვე აღარ არის, თორემ ვკითხავდი: „ვინ, როდის და რა უფლებით აირჩია მთავარი კომიტეტი და დამაყენა მე მის თავმჯდომარედ?! და ბოლოს რით გამოიხატა ამ ფანტასტიკური კომიტეტის და მისი თავმჯდომარის მუშაობა?! როგორ არ დაინტერესდა, რატომ იღებს ცირკულარებს ახალგაზრდების მთავარი კომიტეტიდან, თუ პარტიის მთავარი კომიტეტი არსებობდა?!"

დიახ, ის (ჩიქოვანი) ვნახე... მაგრამ ეს იყო მას მერე, რაც ჩხიკვიშვილი დააპატიმრეს და ნ. ჟორდანიას ყბადაღებული წერილი აღმოაჩინეს, რომელიც..... საგანი იყო.

ამაზე მე და ჩიქოვანიც ესაუბრობდით. მასთანაც ისევე, როგორც ბევრ ჩემს ნაცნობთან, გამოვთქვი გულწრფელი აღშფოთება ასეთი ავანტიურის წინააღმდეგ. ეს ჩემი შეხედულება მენშევიკებსაც უნდა ცოდნოდათ, რადგან ჩემს აზრს არ ვფარავდი. ეს ანდრონიკაშვილსაც შეეძლო ცოდნოდა სხვა წყაროდან, რომელსაც ქვემოთ დავასახელებ. ამის მერე გაუგებარია, რატომ დამინიშნავდა კ. ანდრონიკაშვილი შეხვედრას ან მიმიწვევდა კომიტეტის სხდომაზე... ჩიქოვანი თავს დებდა ბათუმის ორგანიზაციისთვის, ანდრონიკაშვილსაც კავშირი ჰქონდა ახალგაზრდების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან გედეონ სვანიძესთან. ეს თვითონ ანდრონიკაშვილმა მიამბო ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის №16 საკანში, სადაც ის იჯდა, ჩემი დაპატიმრების პირველსავე ღამეს—22 სექტემბერს. განა ცხადი არ არის, რომ რაკი „პარიტეტულ კომიტეტს“ ნამდვილ ორგანიზაციებთან, ე. ი. პარტიის ძალებთან კავშირი ჰქონდა, აღარ სჭირდებოდა „ლეშებთან“ ცოდვილი?

თუ არადა, რას ნიშნავს ანდრონიკაშვილის მხრივ ხელის დადება? აი, ერთადერთი გამოცანა. „პარიტეტულმა კომიტეტმა“ ხომ მოაწყო ყველა ფენისა და ყველა პარტიის სოლიდარობის ინსცენირება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, ძნელია აღიარო, რომ სოციალისტ-ფედერალისტები და „სხივისტები“, ანუ თითქმის ნახევარი ანტისაბჭოური ელემენტებისა, „პარიტეტული კომიტეტის“ სოლიდარული არ იყო. არა მგონია, რომ ანდრონიკაშვილს ჩემთვის ხელი დაედო ჩემ დაპატიმრებამდე, თორემ გამაფრთხილებდა და მეც არ მივცემდი ხელწერილს საგანგებო კომისიას დახვრეტის წინ და თუ ის ამ ჩვენებას ჩემი დაპატიმრების მერე აძლევს, ეს ნიშნავს, რომ „საშუალება მიზნით არის გამართლებული“. ესეც არ იყოს, რას ნიშნავს ბედკრული სამსონ დადიანის სიცოცხლე, როცა საფრთხეში ათასობით სიცოცხლე იყო. მე რომ „პარიტეტული კომიტეტის“ წევრი ვყოფილიყავი, ...

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან

ბეჭდვითი გამოცემების არქივში (№ 36) აღმოჩნდა „ცნობილი ტერორისტის“ მიხეილ კოღუაშვილის დაკითხვის ოქმი და მოხსენებითი ბარათის ხელნაწერი.

ჩეკას მონაცემებიდან:

კოღუაშვილი მიხეილ ერასტის ძე

32 წლის, ქუთაისის მაზრის სოფელ ბანოჯიდან. 4 კლასის განათლებით.

მუშაობდა გაზეთში „ხალხის მეგობარი“—1919 წლამდე.

1919 წლიდან სახალხო ევარდიის შტაბის წევრი. 1917 წლიდან სოციალისტ-ფედერლისტთა პარტიის წევრი. ცხოვრობდა არალეგალურად.

ხელნაწერი ჩვენება:* დამატებით იმაზე რაც გაჩვენეთ ვიძლევი შემდეგ ჩვენებას: გადაწყვეტილი მქონდა არაფერი მეთქვა, ყველა ის ბრალდება რომელიც მე მაქვს წამოყენებული უპასუხოთ დამეტოვებინა და ისე ჩავსულიყავ საფლაეში. მაგრამ იმ მოლაპარაკების შემდეგ რომელიც მოხდა ჩემსა და სეით დეედარიანის შორის ერთის მხრით და „ჩეკის“ წარმომადგენლების შორის კიდევ, დამარწმუნა ამ გადაწყვეტილების უსაფუძვლობაში.

1922 წელს ოქტომბრის პირველ რიცხვებში მე დამაპატიმრეს ქ. ქუთაისში საგანგებო კომისიის განკარგულებით. სამი თვე ვიჟექი ციხეში. ჯერ კიდევ არ ვიყავ განთავისუფლებული როდესაც ციხეში შემატყობინეს: „როგორც გამოხვიდე ციხიდგან აუცილებლათ თბილისში უნდა წახვიდე ცენტრალური კომიტეტი ვიბარებსო“. ეს მაცნობა ქუთაისის სოც. დემოკ. კომიტეტმა. გამანთავისუფლეს თუ არა, იანვრის შუა რიცხვებში, 1923 წელს მე ჩამოვედი თბილისში, რის შემდეგ ვინახულე არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წევრები. მათ მითხრეს: „მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე

* ხელნაწერის სტილი მაქსიმალურადაა დაცული (ნ.კ.).

მდგომ პარტიების სრული შეთანხმება, დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი და შენც ამიტომ ჩვენთან უნდა იმუშავო, სრულს ჩვენს განკარგულებაში უნდა იყო". ძლიერ მიმძიმდა პირველათ ამაზედ თანხმობის მიცემა. იმისთვის რომ თბილისში უნდა დავრჩენილიყავ, სახლში კი ღედა დარჩებოდა უპატრონოთ, (ჩემს გარდა მამაკაცი არავინ იყო სახლში) მაგრამ იმ აზრმა, რომ ჩვენი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობას მოუტანს, ნოე ხომერიკის საზღვარ-გარეთიდან ჩამოსვლის თხრობამ, აგრეთვე ყველა პარტიების ხელშეკრულების აქტის ჩვენებამ და დამოუკიდებლობის კომიტეტის დაარსებამ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. განსაკუთრებით უკანასკნელმა და მაშინათვე დავთანხმდი. თან დავსძინე: „მე კალმის კაცი არა ვარ და ისე ჩემი სიცოცხლე რისთვისაც დაგჭირდეთ შეიწირეთ". ამავე დროს სოც-ფედერალისტთა მთავარმა კომიტეტმა მაცნობა, რომ მთავარი კომიტეტის უსანქციოთ არც ერთი ნაბიჯი არ გადამედგა, რომელსაც მე შემდეგში არ დავემორჩილე.

შეუდექი სამსახურის ძებნას, ბევრი ვეცადე მაგრამ ვერსად ვიშოვე. იძულებული ვიყავ პარიტეტულ კომიტეტის ფინანსიურ დახმარებით მერჩინა თავი, ერთ დღეს (არ მახსოვს არც რიცხვი და არც თვე) მგონებ თებერვალი იყო, ცეკამ მაცნობა ფაღავა ნახეო. მე წავედი საჩქაროთ გოგიტასთან. მან მითხრა: „უნდა წავიდეთ ერთად, ვნახოთ ალექსანდრე ბენდელიანი, რომელზედაც ბერულავამ („ჩეკის" საიდუმლო თანამშრომელი იყო) გვაცნობა, რომ ის ჩვენ გეღალატობს და ჩვენს საიდუმლოებას სცემს. წავედით მე და გოგიტა, ვერის ხიდთან შემოგვიერთდა ერთი კაცი როგორც მუშების წარმომადგენელი, მე მას არ ვიცნობდი და არც მას შემდეგ შემხვედრია. ტანისამოსზე ეტყობოდა, რომ რკინის გზის მუშა უნდა ყოფილიყო. საქმის შინაარსსაც ჩემზე წინათ ყოფილა გაცნობილი. მივედით ბენდელიანის ბინაზე (კამოს ქუჩა, სასწავლებლის შენობაში) ის ოთახში არ დაგვიხვდა, გამოუძახეთ. ფაღავამ წაუყენა ბრალდებები, რომ მან სამეგრელოში გასაგზავნი არალეგალური გაზეთების რამოდენიმე ცალი „ჩეკას" გადასცა, წერილი რომელიც „ელიზბარზე" იყო გადასაცემი მისი შინაარსი „ჩეკას" შეატყობინა და სხვ. ბენდელიანი არ ტყდებოდა. მაშინ წამოვხტით აღელვებულნი მე და ის მუშა, მე ყელში წავუჭირე, მან ხანჯალი დაუღირა და დაუწყეთ მუქარა „თუ არ გვეტყვი ეხლავე მოვკლავ"-თქო. მან დაიწყო ტირილი და სიტყვა მოვეცა

ყველაფერს იტყოდა მხოლოდ მარტო ეოვიტასთან, ისიც მეორე დღეს. გარედან ხშირად აკითხავდნენ ბენდელიანს, თან მისი ტირილის ხმა ისმოდა და ამისათვის დიდხანს გაჩერება იქ ეოვიტასათვის სახიფათო იყო, მით უფრო რომ ზევით „საღამო“ იყო გამართული და დიდძალი ხალხი ტრიალებდა. ჩვენ საჩქაროდ წავედით. მეორე დღეს გავიგეთ, რომ ბენდელიანი გაიქცა და „ჩეკისტ“ ბერიასთან ბინაზე იმალება. გავიდა რამდენიმე დღე და ეს ამბავი გაზეთმაც გამოაქვეყნა, მხოლოდ ცოტა გადამეტებით. რამდენიმე ხნის შემდეგ ბენდელიანმა გამოუგზავნა წერილი ცეკას სადაც ითხოვდა პატიებას, სამაგიეროდ უფრო მეტ სარეგბლობის მოტანას ჰპირდებოდა. ამაზე დასთანხმდნენ. მან დაასახელა რამოდენიმე პირები რომლებიც არალეგალურ „ცეკასთან“ მუშაობდენ და ამავე დროს ჩეკასთან ქონდათ კავშირი. ყველა ვინც მან დაასახელა, მისი თქმით, ის ხედავდა ბერიასთან (ბერიას ბინაზე ყოფნის დროს) რომლებსაც მიქონდათ ცნობები. ერთი დასახელებულთაგანი იყო მარკოზ მხიტაროვი, რომელსაც დიდის ნდობით ეპყრობოდნენ არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტში. ვინ იყვნენ სხვები დასახელებულნი არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ცეკას წევრების თქმით, რომ დანარჩენები გამოტყდნენ და გულწრფელად მოინანიეს თავიანთი ცოდვები. ყველა ამ ამბებმა თავზარი დასცა ბიკტორ თევზაიას, ერთ თვალსაჩინო წევრს ცენტრალურ კომიტეტისას და კიდეც გავარდა ცეკადან. შექმნილ მდგომარეობის გამო დანიშნული იყო სასწრაფო სხდომა. მინდოდა მეც დავსწრებოდი მაგრამ გვიან იყო და მეშინოდა უბინოთ არ დავრჩენილყავ; ამისათვის განუცხადე: „რასაც გადასწყვეტთ მე გემორჩილებით“-თქო. ამის შემდეგ მაცნობეს, რომ „მარკოზ მხიტაროვი უნდა მოკვდეს, რადგანაც მისთვის ბერიას ეოვიტა ფაღავას სიკვდილიც კი დაუვალებია“. ამავე დროს მარკოზ მხიტაროვი უთვლიდა ვიღაცეების პირით არალეგალურ ცეკას რომ მათი ნახვა სურს, განსაკუთრებით ეოვიტასი. ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ვიყავი, როდესაც მოვიდა კოტე იმნაძე, ძველი სოციალ-დემოკრატი, ნოე ჟორდანიას ადიუტანტი, რომელმაც ისევ ის გაიმეორა, რომ მხიტაროვს უნდა ფაღავას ნახვა. კოტე იმნაძეს უკვე სცოდნია, რომ ის „ჩეკას“ აწვდიდა ცნობებს. მას უთხრეს რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მხიტაროვის მოკვლა და ეს უნდა მოაწყოთ თქვენ ორთავემ ე. ი. მე და კოტე იმნაძემ. იმნაძემ სთქვა: „დღეს საღამოთი

დაიბარებს ზემმელის აფთიაქთან. მე კი მითხრეს: „შენ განსაკუთრებით გავალებს ცენტრალური კომიტეტი, რომ არამც და არამც მხიტაროვი ცოცხალი არ დარჩეს, თორემ ბევრი ამხანაგების დაჭერა შეუძლია. თან გადაწყვეტილია პარიტეტულ კომიტეტისაგანაც გამცემი რომელ პარტიაშიც აღმოჩნდება უნდა მოკვდეს“-ო. მე უპასუხე: „ის კაცი თუ გამცემია, თქვენ ნახავსაც ეგრე დაჟინებით მოითხოვს, ალბათ დაჭერა აქვს განზრახული, „უკან მზვერავებსაც გამოიყოლებს და აუცილებლად ჩაეცვივით“. ბოლოს მოვისაზრეთ: ჩეკისტები ხომ გვერდში არ გამოყვება, ცოტა შორი მანძილით იქნებიან, მხოლოდ საჭიროა ისეთი ადგილის მოძებნა აქტის შესრულების შემდეგ, რომ უცბათ მოეფარო თვალთაგან ჩეკისტებს. ასეთ ადგილათ ავირჩიეთ გუნიბის შესახვევი. დანიშნულ დროს, საღამოს ათ საათზე, მე წავედი ოლღას ქუჩით. შევხედე, რომ მხიტაროვი და კოტე იმნაძე მოდიოდნენ. იმნაძემ თავი მოიქავა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ უკან ჩეკისტები მოგვყვებიან. საშინელი მდგომარეობა იყო. იმნაძის მიტოვება აღარ შეიძლებოდა. მოვტრიალდი, გაუსწარი წინ და გავიქეცი დანიშნულ ადგილისაკენ. ბევრი ლოდინი აღარ დამჭირვებია და როგორც ჩაუხვიეს თუ არა გუნიბის ქუჩის შესახვევში, მაშინვე მე პირველმა ვესროლე ორჯერ „ნაგანიდან“ და ერთხელ იმნაძემ. მხიტაროვი იქვე მოკალით და გავიქეცით აგურის ქუჩისკენ ისე ჩქარა, რომ „ჩეკისტებმა“ვერც კი მოგვისწრეს, მეორე დღეს გამოირკვა, რომ მას მართლაც სდომებია ფაღავას დაპატიმრება, რისთვისაც „ჩეკის“ თანამშრომლებიც წამოუყვანია. ეს ამბავი მე ცენტრალურ კომიტეტში დარწმუნებით მითხრეს. ამ აქტის შემდეგ გავიდა ერთი თვე, რომ პარიტეტულ კომიტეტს ნერვიულობა დაეტყო იმ დაპატიმრებების გამო, რომელიც ხდებოდა „სამხედრო ცენტრის“ აღმოჩენის გამო. დაიწყეს გამთქმელის ძებნა და ეჭვი კალე მისაბიშვილზე (ეროვნულ-დემოკრატების კომიტეტის წევრზე) იქნა მიტანილი. ის იმ ხანებში ახალი განთავისუფლებული იყო პატიმრობიდან. დაიბარეს მისაბიშვილი როგორც დემოკრ. ცენტრ. კომიტეტში ისე პარიტეტულ კომიტეტში, რომელიც დაიბნა და ბოლოს განაცხადა: „მას უნდოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ლეგალურ არსებობისთვის მიეღწია და ეხლა კი ეცდება რამოდენიმე დაპატიმრებული მაინც გადაარჩინოს. გამამტყუნებელი საბუთები თანდათან გროვდებოდა მისაბიშვილზე. განსაკუთრებით ეჭვი აღარ შედიოდა მის ღალატში მას

შემდეგ, რაც ციხედგან მოიწერეს და მრავალი საბუთები წამოაყენეს. პარიტეტულმა კომიტეტმა გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დაუჯდეს სიკვდილით დასაჯოს მისაბიშვილი. ეს გადაწყვეტილება ეამოიტანეს სოც. დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სოც. ფედერალისტებმა. მისაბიშვილი გრძნობდა შექმნილ მდგომარეობას და შიშით გარეთ აღარ გამოდიოდა ისე ხშირად როგორც წინათ. ქალაქში უკვე დიდი და პატარა ყველა მისაბიშვილის ღალატზე ლაპარაკობდა. მარტის 23-ს სოც. დემოკ. ცენტრალურმა კომიტეტმა გამგზავნა პარიტეტულ კომიტეტში, სადაც გამომიცხადეს, რომ უნდა მოკვდეს მისაბიშვილი, თან გამაცვნეს ვანო ყარანგოზიშვილი (ერ. დემოკრატ.) რომელიც კარგათ იცნობდა მისაბიშვილს და რომელსაც მკვლელობაში მონაწილეობა უნდა მიეღო. ერთი კვირა დავსდევედით მისაბიშვილს მე და ყარანგოზიშვილი, მაგრამ ვერსად ჩავიგდეთ. ბოლოს პარიტეტულ კომიტეტმა გამოგვიგზავნა სტ. ზაქრო გელაშვილი (ერ. დემ.), რომელსაც შეეძლო სახლიდან გამოეყვანა მისაბიშვილი. ცენტრალურმა კომიტეტმა (სოც. დემ.) გადმომცა რევოლვერი „მაუზერის" სისტემის, ვანო ყარანგოზიშვილს ჰქონდა „ნაგანი". 31 მარტს თუ 30-ს, გელაშვილი ესტუმრა მისაბიშვილს სახლში, ყაზბეგის ქუჩაზე. ისინი ერთმანეთის ძველი მეგობრები იყვნენ. მისაბიშვილმა სთხოვა გელაშვილს: „უნდა გამაპარო როგორმე თბილისიდან და ისევ დავიწყო არალეგალური მუშაობაო". მან დაპირდა, „ხვალ მოვალ საღამოთი, პატარა პურმარილიც ვჭამოთ სადმე რესტორანში და იქვე ღვინოსთან მოვილაპარაკოთ როგორც სჯობდესო". 1 აპრილს მე და ყარანგოზიშვილი მზად ვიყავით. ის მოშორებით იდგა და არ ეცნობოდა გელაშვილს. ეშინოდა „ეგ რომ ჩავარდეს გატყდება და ხელს დამადებსო". მეც აღარ გავაცანი. საღამოთი, ეგრე რვა საათზე, შევხვდით მე და ზაქრო გელაშვილი ერთმანეთს მელიქ-აზარიანცის შენობასთან, კინო „სოლლეილ"-ის წინ. მას უკვე ხარჯის გასაწევი ფული მიეღო პარიტეტისაგან. ყარანგოზიშვილი კი შორიახლო დასეირნობდა. გელაშვილმა მითხრა: „აბა, ეხლა წავალ და მოვიყვან მისაბიშვილსო". ჩასხდა ეტლში და ნახევარი საათის შემდეგ ეტლი მოადგა რესტორან „ალიონს" ყოფ. მელიქ-აზარიანცის შენობის პირდაპირ, სადაც ჩავიდნენ გელაშვილი და მისაბიშვილი. ეტლი-კი გაუშვეს, ჩვენ ორ საათზე მეტი გარეთ ვიცდიდით ე. ი, მე და ყარანგოზიშვილი. ბოლოს ამოვიდნენ „ალიონიდან" ორთაენი. გელაშ-

ვილი გამოემშვიდობა მისაბიშვილს და დასცილდა, მისაბიშვილი კი წავიდა სახლისკენ. ჩვენ დავედევნეთ უკან, მემრე გაუსწარით და მის სახლის წინ, ყაზბეგის ქუჩაზე, გავჩერდით. მოვეიახლოვდა თუ არა მისაბიშვილი ორთაეემ ვესროლეთ და იქვე მოვკალით. ორჯერ მე ვესროლე, ყარანვოზიშვილმა კი ერთი მისაბიშვილს ესროლა, ხოლო ერთიც დაბლა რომ დაეშვა წყნეთის ქუჩისაკენ, იქეე ყაზბეგის შესახვევში გაისროლა. ეს მოხდა 1 აპრილს 1923 წელს. მეორე დღეს გამოირკვა, რომ ველაშვილი უცვნიათ მისაბიშვილის სახლში მყოფთ და საჭირო შეიქმნა მისი გადამალეა. ორი თვე ვმალავდით თბილისში. ამ ხნის განმავლობაში მას ვარჩენდით პარიტეტულ კომიტეტის დახმარებით. ორი თვის შემდეგ გაუშვით ბაქოში. გავიდა ერთი თვე რომ ველაშვილი ისევ დაბრუნდა და წავიდა დასავლეთ საქართველოში. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩამოვიდა თბილისში. ამან დააფრთხო ვანო ყარანვოზიშვილი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ხელისუფლება გაიგებდა ყველაფერს, მით უფრო ჩემზე თანდათან ვრცელდებოდა ხმები მისაბიშვილის მკვლელობის ჩადენაში და გაიქცა ქ. ჩოლოყაშვილთან. იმ ხანებში პარიტეტს ფული არ ჰქონდა და როგორც კი გაუჩნდა ვადმომცეს სამოცი ასმ. ქაღალდის ლირა და დამავალეს ველაშვილის სპარსეთში გასტუმრება. ფული გადავეცი ველაშვილს, აუღე ბილეთი და გაუშვი ბაქოსკენ იმ პირობით, რომ აუცილებლათ სპარსეთში გასულიყო, ეს იყო აგვისტოს შუა რიცხვებში. მას შემდეგ ველაშვილზე აღარაფერი ისმის, როგორც სჩანს გასული უნდა იყოს სპარსეთში. ველაშვილის გაგზავნის მეორე დღეს, მე დამიბარეს სოც. დემ. ცენტრალურ კომიტეტში და მირჩივს მომეხერხებია როგორმე ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის სამუშაოებზე დადგომა, რადგანაც იქ ბევრი მუშებია და „შენი იქ ყოფნა უფრო საჭიროა"—ო, პარიტეტს კი უნდოდა ერწო-თიანეთისაკენ, სადაც შეშებს ამზადებენ, იქ ეშოვნა ჩემთვის სამუშაო, უკანასკნელზე მე უარი გავაცხადე. ვინახულე თედო ღლონტი, ის მიცნობდა ძველი პარტიული მუშაობით, ესთხოვე მოეხერხებინა ჩემთვის რაიმე სამსახური. მან მიმიწერა სამუშაოთა უფროსს ზემო-ავჭალაში, სადაც მიმიღეს უფროს მუშათ. აქედან ყოველ შაბათობით ჩამოვდიოდი თბილისში, ვნახულობდი ცეკას წევრებს, ვღებულობდი არალეგალურ გამოცემებს და ვავრცელებდი. 1923 წელს სექტემბრის პირველ რიცხვებში კვირა დილით ჩამოვედი თბილისში. საღამოთი ისევ უნდა

დაბრუნებულიყავ ზემო ავჭალაში, რადგანაც ორშაბათს სამუშაოზე უნდა ვყოფილიყავი. ცეკამ შემატყობინა უნდა დავრჩე ორშაბათს თბილისში. კვირა საღამოს გადმომცეს შალვა კვალიაშვილის მოკ-ელის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელსაც ბრალდებოდა თბილისის კომიტეტის გაცემა და საპეჭდავის „ჩეკაზე" გადაცემა. ორშაბათს, საღამოს 9 საათზე შეეხვედი რუსთაველის პროსპექტზე შალვა კვალიაშვილს, რომელიც ვიღაც თეთრ ბლუზიანს ელაპარაკებოდა. დაუძახე და წამოვიყვანე იზმაილოვის ქუჩით, თან გამოუცხადე ცეკა გიბარებს-თქო. როგორც მივაღწიეთ სვიატოპოლკ-მირსკის და პეტროვის ქუჩის კუთხეს, ამ დროს თავის ბინიდან მოდიოდნენ ცეკას წევრი გოვიტა ფაღაეა, რომელსაც ახლდა კიდევ ვიღაც არალეგალურათ მომუშავე რომელსაც არ ვიცნობ. მე ბევრი აღარ ვახანე და მათ თვალის წინ ვესროლე და მოვკალი. შემდეგ იძულებული შევიქენით ერთად გავქცეულიყავით ბაიაზეთის ქუჩით ტერ-ღუკასოვის ქუჩისაკენ.

ფ. ძოლუაშვილი

28 აგვისტო

ჩვენებას განვაგრძობ: 1923 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის სამუშაოებზე მოვიდა „ჩეკის" ავტომობილი, სადაც ისხდენ დ. ბაგრატიონი და კიდევ სხვა „ჩეკის-ტები". მოვკარი თვალი თუ არა, მაშინვე მივატოვე სამუშაო და გავაფრთხილე ერთი კაცი „თუ მიკითხონ შემატყობინე"-თქო. ეძებდენ იმნაძეს და ნიკოლეიშვილს. მეც მიკითხეს. გავიგე ეს თუ არა მაშინვე დავიმალე და მეორე დღეს ჩამოვედი თბილისში. ცენტრა-ლურ კომიტეტს და პარტეტსაც შევატყობინე რომ მეძებდენ. გამო-მიგზავნეს ფული და მირჩიეს ტანისამოსის გამოცვლა, თან გამამხნე-ვეს: „მაგრად იყავი, სულ ერთია ამ ორ თვეში უნდა დავკრათ მაინცო". უკვე აჯანყების მოწყობის გარშემო იყო მუშაობა გაჩა-ღებული. რაც უფრო საიდუმლოებით იყო მოცული და ნაკლებს მელაპარაკებოდნენ აჯანყების დეტალებზე, მით უფრო უკეთესათ წარმოვიდგენდი საქმის ნამდვილ მდგომარეობას და მიწაზე ფეხს აღარ ვდგამდი სიხარულით. დარწმუნებული ვიყავ, რომ დღეს თუ ხვალ კომუნისტებს დავამარცხებდით. მზად ვიყავი ყოველივე დავა-ლება შემესრულებია თუნდაც ისეთი, რომ იქვე მეც მომკვდარიყავ.

უსაზღვრო იყო ჩემი გატაცება და რწმენა ამ საქმისადმი. მთელ ღამეებს ვათენებდი ამ საგანზე ოცნებით. იმდენად ძლიერი იყო ჩემში გამარჯვების იმედი, რომ უკვე ვეგმებს ვაწყობდი მომავალ ცხოვრებისას. სწორედ ასეთ დროს, 29 დეკემბერს ცეკამ შემატყობინა, რომ ილარიონ გიორგაძე და ვანო ქაიხოსროშვილი, რომელიც ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს პროვინციიდან, უნდა მოკვდეს. ეს გადაწყვეტილია ცენტრალური კომიტეტის მიერ, რადგანაც პირველმა მთელი აჯანყების გეგმა იცის და გაცემას აპირებს, ხოლო მეორემ კი უკვე გასცა სამხედრო სამეული მაზრაში. ხვალ, 30 დეკემბერს, საღამოს ექვს საათზე, ილარიონ გიორგაძე და სამსონ დობორჯგინიძე გამოიელის ბორნით სატვეებისკენ. აი იქ უნდა შესრულდეს აქტიო. ქაიხოსროშვილი კი როდესაც ჩამოვა, კაცს მოგცემთ, რომელიც შეგახვედრებს მასო. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა. ასეთი საქმე იღუპებოდა.

30 დეკემბერს, საღამოს ექვს საათზე მე უკვე ვიცდიდი აღნიშნულ ადგილას. გიორგაძეს მე ვიცნობდი სახეზე, რამდენჯერმე მინახავს ნოე ხომერიკთან, გ. ფაღავასთან, კოტე ანდრონიკაშვილთან და სხვა. დაეინახე მოდიან მხოლოდ ორნი კი არა არამედ სამნი. პირველად სხვები მეგონა, კარგათ ვერ გავარჩიე, თან გაფრთხილებულიც ვიყავი რომ ორნი იქნებოდენ. ახლოს რომ გამისწორდენ ვიცანი გიორგაძე, რომელსაც დაუშინე „ნაგანიდან". გიორგაძე წაიქცა, მე კი გავიქეცი და პირდაპირ აღმართს აუდექი, საიდანაც ოლღას ქუჩაზე გავედი. ვინ იყო ის მესამე ეხლაც არ ვიცი, რადგანაც ცეკას წევრებმა არა სთქვეს, არც მე დამიწყია გამოკითხვა და ბნელაში კი სახე ვერ გავარჩიე. ისინი საით წავიდნენ არ შემიმჩნევია. მე მგონი საითაც მე წავედი იმ გზით ამოვიდოდენ ისინი. იცოდა რამე სამსონ დობორჯგინიძემ ან იმ უცნობმა არ შემიძლია ვსთქვა. ეს კი მჯერა რომ ორში ერთს რომელიმეს უნდა სცოდნოდა. როდესაც რამოდენიმე დღის შემდეგ ფურცელი ვნახე, სადაც არალეგალური ცეკა უარყოფდა მკვლელობას, მე გავოცდი. მაგრამ შემდეგ ვიფიქრე ალბათ ეგრეა საჭირო. ეხლა ხომ პატიოსან ბრძოლის საშუალებებზე არავინ ფიქრობს და შეუდექი ქაიხოსროშვილის შესახებ ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას. ქაიხოსროშვილი უკვე ჩამოვიდა და უთვლიდა ცეკას „მომეცით კაცი რომ ახალი სამეული დავაარსოეო". 5 იანვარს დილით როგორც დაბარებული ვიყავ ვინახულე ცეკას

წევრები, მათ მომცეს კაცი, რომელმაც სახელის კითხვაზე მიპასუხა „ავთანდილი“ მქვიაო. ჰო და აბა მე „ლადო“ მქვია-თქო—მეც მიეუგე. ავთანდილი რომ მას არ ერქვა ეს მე მივხვდი, მაგრამ არ იყო საჭირო ჩემთვის მისი სახელის და გვარის გაგება. დღესაც როგორც მე არ ვიცი მისი ვინაობა, არც მან იცის ჩემი არც სახელი და არც გვარი. ჩვენ შეეთანხმდით. საღამოთი მან წამოიყვანა „სამოვოლნაია“-ს ქუჩის მხრიდან და ყოფილ სომხების სემინარიის შენობის პირდაპირ, რკინის გზის ლიანდაგთან მეც დავხვდი და „ნაგანის“ სამი ტყვეიით მოვკალი. ამის შემდეგ იმ კაცს აღარ შეეხვედრივარ. გავიგე რომ ცეკას წევრები..... ხოლო ჩვენ ერთმანეთს ვერ შეეხვედით. ამ ტერორისტულ აქტის შესრულების შემდეგ, მე მივედი სოც-ფედერალისტების არალეგალურ სტამბაში და შეუდექი „მებრძოლთა ხმის“ №8-ის ბეჭდვას. სტამბაში მყოფთათვის არაფერი გამიმხელია და მათაც დაუჯერეს სოც. დემ. ცეკას გამოცემულ ფურცელს და გიორგაძის შესახებ იმათაც პატარა წერილი მოათავსეს. მერვე ნომერი დეკემბრის ნომერი იყო, მაგრამ დაგვიანებით იანვრის 10-ს გამოვიდა. შემდეგ გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრებამდე აჯანყების გარშემო ვმუშაობდი. მათ დაპატიმრების შემდეგ ყველას თავზარი დაგვეცა და ორ თვეს თითქმის მიყუჩდა საქმე. მერე ისევ გამოცოცხლდა მუშაობა. ვალიკო ჯუღელის და სხვების ჩამოსვლის შემდეგ ხომ ფრთები შეგვესხა და უფრო ენერგიულათ ვამზადებდით აჯანყებისათვის ნიადაგს. მე პირადათ ვალიკოს ნახვამ ერთი ორათ მომიმატა მხნეობა. აჯანყების დროს სხვებზე ადრე შემატყობინებდენ. უნდა მომეგროვებინა ორი ათეული, ჩეკას დავსცემოდი და პატიმრები გამენთავისუფლებია (რასაკვირველია აჯანყების დროს). ამ ამოცანის მოცემას დიდი ხნიდან მპირდებოდენ. ასეთ საქმისთვის, რომ ვემზადებოდი ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ კოლია გეგეჭკორი რომელიც „ჩეკის“ თანამშრომელი ყოფილა, გამაცნეს როგორც საიმედო კაცი ასეთ საქმისთვის, კოტე ანდრონიკაშვილის კავშირმა კაკო კალანდარიშვილმა და იასონ ჯაკახიშვილის კავშირმა ხუხუ ხოფერიამ, რომლებმაც მითხრეს: „როდესაც ათეულები შეადგინო ესეც შენს ათეულში ჩარიცხეო“, გეგეჭკორმა კი „ჩეკის“ პატიმართა რიცხვში ჩამრიცხა.

ჩემს თავს აღარ დავეძებ, მე რაც გადამხდება ეს ნათლადა მაქვს წარმოდგენილი. მიუხედავათ ამისა მაინც ბედნიერათ ვთვლი ჩემს

თავს, იმ აუარებელ, უტყუარ ცნობების შემდეგ რომელიც საგანგებო კომისიას ქონია ამ საქმის შესახებ, რომ აჯანყება არ მოხდა და არ გავაუბედურე მრავალი ახალგაზრდები, რომლებიც ზოგი წინ-დაუხედაობით და ზოგი ჩემი გავლენით წამოვიდოდენ ამ უგუნურ საქმეზე. დაღვრილი სისხლი კი ყველა იმათ კისერზე იყოს ვინც დიდ საქმეს კიდებს ხელს და პატარა საქმის გაკეთებისათვისაც არ შეუქმნია ბუნებას.

ვ. კოლუაშვილი,

29 აგვისტო 1924 წელი.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის მასალებიდან

ბეჭდვითი გამოცემების

არქივი № 36



Чрезвычайная Комиссия Грузии по борьбе с контр-революцией, спекуляцией, преступлениями по должности и бандитизмом.

178

ПРОТОКОЛ

...ся, произведенного в _____ по борьбе ...волю...цией, спекуляцией, преступлениями по должности и ...ом.

ПО ДЕЛУ №

_____ я уполномоченный допрашивал гр. _____ и он показал _____

...ство _____

...ние _____

...сословие (из дворян, помещиков, потомст. граждан, мещан, рабочих _____

[illegible] положение (буржуа, пролетарий и пр.) [illegible]

[illegible]ное положение (владелец движимого и недвижимого имущества, и пр.) [illegible]

[illegible]ложение [illegible]

[illegible] детей [illegible]

[illegible] трудоспособных [illegible]

[illegible] какой службы, чин, гражданский или военный [illegible]

[illegible] отрасль труда [illegible]

[illegible] профессия [illegible]

[illegible] специальность [illegible]

[illegible] он служил или работал [illegible]

а) до февральской революции какой имел чин [illegible]

б) до установления Советвласти в Грузии [illegible]

в) после установления Советвласти в Грузии [illegible]

13. Отношение к военной службе:

а) служба в меньшевитской армии [illegible]

б) служба в царской армии [illegible]

в) в каком чине [illegible]

г) Красной Армии [illegible]

14. Состоял ли в партии и в какой именно: [illegible]

а) до февральской революции 1913 г. [illegible] 1917 г. [illegible]

б) до установления Совласти в Грузии 1920 г. [illegible]

в) после установления Совласти в Грузии [illegible]

г) если безпартийный, то почему [illegible]

15. Был ли под судом или следствием

а) до установления Совласти в грузии [illegible]

б) после установления Совласти в Грузии [illegible]

16. В каких отношениях с обвиняемым [illegible]

17. Место жительства, адрес: [illegible]

По существу дела показываю следующее: [illegible]

[illegible] 1917-1918 [illegible]







სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში, მრავალთა შორის, გრიფით — სრულიად საიდუმლოდ, მუდმივი შენახვის წესით, დაცული იყო კიდევ ერთი საქმე: მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმეზე აგენტურის მონაცემები“.


СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

«М А Т Е Р И А Л Ы»

О "КОМИТЕТЕ НЕЗАВИСИМОСТИ"

ВОЕННОМ ЦЕНТРЕ И КОНТРРАЗВЕДКИ

1922/23 года.

ქართველი პატრიოტები ამზადებენ აჯანყებას.

საქჩეკას და ზაკჩეკას აგენტურა კი ყოველდღიურ მასალას აგროვებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობის გასაწირად.

მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმეზე

აგენტურის მონაცემები

აგენტურისაგან იმ ცნობების მიიღება, რომ ისახება ხუთი საბჭოეთის საწინააღმდეგო ქართული პარტიის გაერთიანება (მენშევიკებისა, ეროვნული დემოკრატებისა, ფედერალისტებისა, ქართველი ესერებისა და სხივისტებისა) დავიწყეთ 1922 წლის მაისიდან. შემდგომმა ცნობებმა დაადასტურეს, რომ არსებობს ამ პარტიათა ბლოკი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ნიადაგზე. ბლოკს სათავეში უდგას „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, შექმნილი პარიტეტული წარმომადგენლობის საწყისებზე. დამუშავების პროცესში გამოელინდა კომიტეტის ძირითადი ხაზი, რომელსაც მივყავართ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად აჯანყების წამოწყებისაკენ.

გარდა აღნიშნული სამუშაოსი, რომელსაც კომიტეტი მასში შემავალი პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მასთანვე შექმნილი გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციის მეშვეობით ეწეოდა, იგი პრაქტიკულად წყვეტდა გაერთიანებული პოლიტიკური ჯგუფების საერთო ხაზსაც საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობის საკითხებში. იმავე 1922 წლის ნოემბერში აგენტურამ დაადგინა, რომ კომიტეტს კავშირი აქვს საზღვარგარეთთან, იღებს იქიდან ფულს, ხელმძღვანელობს ჩოლოკაევის გამოსვლებს.

დამოუკიდებლობის კომიტეტთან რომ გაერთიანებული სამხედრო ცენტრი არსებობს, პირველად ეს შევიტყვეთ 1922 წლის აგვისტოში. ცენტრის ხელმძღვანელობას ნარიკელაძეს და დავით ვაჩნაძეს მიაწერდნენ. ცენტრის ამოცანებად დასახული იყო აჯანყების მომზადება და ხელმძღვანელობა. გამოელინებული ცენტრის პრაქტიკული მუშაობა ზოგადად შემდეგით გამოიხატებოდა: ძალთა აღრიცხვა, მეთაურთა შემადგენლობის მომზადება, თბილისში მებრძოლთა რაზმების ორგანიზაცია, ადგილებზე ძალთა აღრიცხვა და ორგანიზაცია, ჩოლო-

კაევის გამოსვლების ხელმძღვანელობა. უფრო გვიან მივიღეთ ცნობები, რომ ადგილებზე ეწყობა ფილიალები. ნოემბერში ვიცოდით, რომ სამხედრო ცენტრი საქართველოში აჯანყების მოწყობის გეგმას ამუშავებს. მას უნდოდა ეს აჯანყება რუსეთის საგარეო გართულებებისათვის მიესადაგებინა. დეკემბრის პატაკები გვაუწყებენ, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტმა მიიღო სამხედრო ცენტრის შემუშავებული დადგენილება ფარულ მობილიზაციაზე, მაზრებში შტაბების მოწყობაზე, ოფიცრების, ჯარისკაცების, იარაღის აღრიცხვაზე.

აქტიურ ძალებად აღნიშნული იყო: იარაღით, საბრძოლო მასალით და ორი სამთო ზარბაზნით აღჭურვილი ორი პოლკი გურიაში, ორი ესკადრონი სამეგრელოში, დუშეთის მაზრაში განლაგებული პოლკი, რომლის შემდგენლობაში 6 ესკადრონი და 22 ტყვიამფრქვევია, 2 ესკადრონი და 1 ბატალიონი ქვეითი ჯარი ბორჩალოში. დეკემბერშივე სამხედრო ცენტრი ნაბიჯებს დგამს, რომ შეიძინოს იარაღი და ჭურვები, მოხსენებისათვის გამოიძახოს ადგილობრივი სამხედრო შტაბების თავმჯდომარეები. თბილისში მუშაობენ თბილისის აღების, ოლქის წითელი არმიის შტაბის დაკაევების, ავტომობილიზებული ნაწილების ხელთგდების და სხვ. დეტალური გეგმის შემუშავებაზე, ამა წლის თებერვალში უკვე ცნობებს ვიღებთ, რომ მოეწყო აჯანყებულთა კომიტეტი მთელი ამიერკავკასიის ასაჯანყებლად.

ცნობებს იმის თაობაზე, რომ მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებობს კონტრდაზვერვა, რომელსაც ნარიკელაძე ხელმძღვანელობს, ჯერ კიდევ შარშან აპრილიდან ვიღებდით. უფრო გვიან, როცა დამოუკიდებლობის კომიტეტი შეიქმნა, იგრძნობოდა ამ უკანასკნელის კავშირი კონტრდაზვერვასთან და უკვე დამუშავების მთელი დროის მანძილზე ეს აპარატი ფიგურირებს როგორც დამოუკიდებლობის კომიტეტის ორგანო. დავადგინეთ, რომ კონტრდაზვერვამ კავშირი დაამყარა ინგლისელ პოლკოვნიკ ოდოლთან. მაისში ორგანიზაცია მატერიალურ გაჭირვებას განიცდის და მატერიალური ნაწილის გამგე წინადადებას აყენებს გამოუშვას ყალბი ბონები ან მოაწყონ ექსები. ნარიკელაძეს დაზვერვითი კავშირები ჰქონდა ოლქის წითელი არმიის შტაბში, დაზვერვის სამმართველოში. საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატში და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებში. კონტრდაზვერვას განსაკუთ-

რებით აინტერესებდა ცნობები რსფსრ სამხედრო გეგმებზე, მობილიზაციის გეგმა და ავიაციის მდგომარეობა. ჩოლოკაევის, ფაელენოვის და სხვების ბანდიტთა ხროვების კავშირს დამოუკიდებლობის კომიტეტთან, მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის მიერ გორის აჯანყების მოწყობას, მისსავე კავშირს ფაელენიშვილთან, ჩოლოკაევის გამოსვლის მხარდაჭერას აეენტურა მთლიანად ავლენს.

1922 წლის დეკემბერში შემოსვლა იწყო პატაკებმა იმაზე, რომ ეროვნულმა დემოკრატებმა ფაშისტური ტიპის ორგანიზაცია შექმნეს სამხედრო სტაჟის მქონე თავად-აზნაურთაგან. ეს ორგანიზაცია შექმნეს საერთოდ ყველა სოციალისტური მიმდინარეობის და კერძოდ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად სამხედრო კოლეგიის (გენერალი ვაშაკიძე და დავით ვაჩნაძე) ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია იქმნებოდა იმ მიზნით, რომ საბჭოების დამხობის მერე ძალაუფლება გადაეცათ ეროვნულ დემოკრატთა მემარჯვენე ფრთისათვის. სწორედ მაშინ დასახეს მებრძოლთა რაზმების მოწყობის პროექტიც. გამოსვლის საკითხს საზღვარგარეთიდან დირექტივების მიღებას უკავშირებდნენ.

27 მარტიდან 20 აპრილამდე გამოძიების მონაცემები შემდეგს ადგენენ:

პარიტეტული კომიტეტი. ბრძოლა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის, რაც ჯერ კიდევ მენშევიკთა ბატონობის დროს იყო გაჩაღებული, ამ მხარის ვასაბჭოების მერეც გრძელდებოდა. ეს შინაომი ბევრ აქტიურ ძალას იწირავდა და ამით, ერთი მხრივ ასუსტებდა საბჭოების საწინააღმდეგო საერთო ფრონტს, ხოლო მეორე მხრივ აშკარა მარცხს განუმზადებდა ცალკეულ პარტიათა დაქსაქსულ მოქმედებას, მიმართულს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ მიზეზების გამო, სულ მალე გასაბჭოების მერე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინაშე წამოიჭრა კომპარტიის წინააღმდეგ საბრძოლველი ერთიანი ტაქტიკისა და ფრონტის შემუშავების საკითხი, რაც განაპირობებდა პარტიათა შორის შუღლის შეწყვეტას. ამ საკითხზე ჯერ კიდევ 1921 წლის ზაფხულიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკება როგორც თბილისში, ისე საზღვარგარეთ, მაგრამ საბოლოოდ იგი გადაწყდა 1922 წლის მაისში, როცა ეგრეთ წოდებული „პარიტეტული კომიტეტი“ შეიქმნა.

„პარიტეტული კომიტეტი“, იგივე „ინტერპარტიული კომიტეტი“, იგივე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, შედეგად მოჰყვა ხუთი ქართული პარტიის 1) მენშევიკების, 2) ეროვნული დემოკრატების, 3) სოციალ-ფედერალისტების, 4) დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (სხივისტების) და 5) სოციალისტ-რევოლუციონერების (მემარჯვენეების) შეთანხმებას.

შეთანხმების არსი შემდეგით გამოიხატებოდა: 1) შეთანხმების ხელმომწერ პარტიათა ურთიერთბრძოლის შეწყვეტა და 2) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანი ფრონტის შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ირგელივ. კომიტეტში შესვლის პირობები იყო: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი პარტიის დამოკიდებულება და 2) პარტიების წარმომადგენლობათა პარიტეტული ხასიათი. აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის ჩვენებით, სამუშაოს ხასიათი ასეთი იყო: 1) ურთიერთინფორმაცია და 2) რეგისტრირება იმ შემთხვევებისა, როცა ესა თუ ის პარტია დაარღვევდა ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსვლაზე უარის თქმის შესახებ შეთანხმების პუნქტს. კომიტეტის წევრთა არჩევის წესი დამოკიდებული იყო თითოეული პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე ცალ-ცალკე, იმ პირობით, რომ დაცული იქნებოდა კონსპირაცია ცენტრალური კომიტეტის წევრთაგანაც კი. სწორედ ამ ზემოაღნიშნულ (თეორიულ) საწყისებზე იყო აგებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. პარტიებმა მასში თითო წარმომადგენელი გაგზავნეს, თავმჯდომარეობა კომიტეტში დააკისრეს მენშევიკთა პარტიის წარმომადგენელს (ქარციეაძეს).

იმავე საწყისებზე პარიტეტულ კომიტეტთან შექმნილია წითელი ჯვარი, საფინანსო კომიტეტი და სარედაქციო კოლეგია (ამ უკანასკნელთა საქმიანობას ძიება ჯერჯერობით სუსტად აშუქებს), იგივე ქარციეაძე უარყოფს პარტიათა ყოველგვარ ორგანიზაციულ თუ ხელმძღვანელ მუშაობას, კომიტეტის როლი დაჰყავს მოსარიგებელი კამერის როლამდე. ნამდვილად კი პარიტეტული კომიტეტი უფრო ფართო ამოცანებს ისახავდა მიზნად. ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ჯავახოვი აჩვენებს: შეთანხმების პუნქტებში იყო ასეთი: „ყველა პარტია უარს ამბობს დამოუკიდებელ გამოსვლაზე, მათ მოქმედებას აერთიანებს პარიტეტული კომიტეტი“. „პარიტეტულ კომიტეტს ყოფილ მთავრობასთან ყავს საგანგებო კონ-

ტროლიორი“, „საზღვარგარეთ გასული ყოფილი მთავრობა დირექტივებს პარიტეტული კომიტეტისაგან იღებს და საერთოდ მას უთანხმებს თავის მოქმედებას.“ „საზღვარგარეთიდან მიღებულ მთელ თანხას პარიტეტული კომიტეტი საერთო მიზნისათვის ხარჯავს“. „თუ ბოლშევიკები საქართველოდან წაელენ, ძალაუფლება გადადის პარიტეტული კომიტეტის ხელში“. ქარცივაძე თავის ჩვენებაში ბოლო პუნქტის ვარიანტს იძლევა: „ თუ შეიარაღებული აჯანყება მოხდა, უნდა შეიქმნას „ქმედითი ორგანო“, რომელშიც პარიტეტული კომიტეტის დამაარსებელი პარტიები თავ-თავიანთ წარმომადგენლებს გაგზავნიან თავ-თავიანთ წევრთა რაოდენობის პროპორციულად“. სხვა ადგილას ქარცივაძე ამბობს: „ინტერპარტიული ბიუროს გადაწყვეტილებებს ცალკეულ პარტიათა ცენტრალური კომიტეტები ახორციელებენ“.

ჯავახოვი ამბობს: „პარიტეტული კომიტეტის შექმნის დღიდან მუშაობის ცენტრმა მასთან იწყო გადანაცვლება. იგი თანდათანობით შლის მუშაობას, ფულს იღებს საზღვარგარეთიდან, კავშირი აქვს მასთან, უშვებს გაზეთს, ადგილებზე ქმნის ფილიალებს და აფართოებს თავის მუშაობას“.

ამრიგად ცხადია, რომ პარიტეტული კომიტეტი სულაც არ არის „ურთიერთინფორმაციის“ და „მარეგისტრირებელი“ ორგანო, იგი საბჭოთა ხელისუფლებასთან შებმის უზენაესი საბრძოლო შტაბია საქართველოს ტერიტორიაზე.

სამხედრო ორგანიზაციების გაერთიანებისათვის, აჯანყების მომზადებისა და უშუალოდ ხელმძღვანელობისათვის პარიტეტულ კომიტეტთან იქმნება „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“. სამხედრო ცენტრის წევრები კომიტეტმა აირჩია (ნარიკელაძის, სამხედრო ცენტრის წევრების — წულუკიძის, ანდრონიკოვის, აფხაზის ჩვენებები). სამხედრო ცენტრის წევრი წულუკიძე, მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კონტრდაზვერვის აპარატს რომ ეხება, ამბობს: „კონტრდაზვერვისათვის ფულს პარიტეტული კომიტეტიდან ვიღებდით“.

პარიტეტული კომიტეტის შემდეგი ორგანიზაცია იყო მისი ფილიალები ადგილებზე. მ. ჯავახოვი აჩვენებს, რომ კომიტეტის სხდომაზე „გადაწყდა ადგილებზე მუშაობის გასაერთიანებლად შეექმნათ პარიტეტული სამეულები, რაც განხორციელდა კიდეც“.

წულუკიძე, რომელიც პრაქტიკულად აერთიანებდა აღნიშნული სამეულების პოლიტმუშაობას სამხედრო ცენტრის დავალებით შესასრულებელ სპეციალურ სამხედრო მუშაობასთან, ამ ფილიალებზე შემდეგს ამბობს: „ძალთა აღრიცხვისა და ორგანიზაციისათვის ყოველ მაზრაში უნდა შექმნილიყო შტაბი პარტიის წარმომადგენელთაგან". თაეის მხრივ, ყოველ შტაბს, ყოველ სასოფლო საზოგადოებაში უნდა დაენიშნა ერთი სამხედრო და ერთი პარტიათა წარმომადგენლები. მთელი შეკრებილი ცნობები უნდა ჩაეტანათ მაზრის შტაბში, ხოლო ამ უკანასკნელს—პარიტეტული კომიტეტის მეშვეობით სამხედრო ცენტრში. ამავე მიზნისათვის (ძალთა აღრიცხვა) პარიტეტულმა კომიტეტმა სამხედრო ცენტრს დაავალა შეემუშავებინა აღრიცხვის ფორმა, რაც შესრულდა კიდეც (ნარიკელაძის, წულუკიძის, მუსხელოვის ჩვენებები).

ამრიგად, ცალკეულ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების და მათი ორგანიზაციების მეშვეობით პარიტეტული კომიტეტი სისტემატურად რაზმავდა სამხედრო ცენტრს, კონტრდაზვერვას, თაეის ფილიალებს ადგილებზე და ამზადებდა ძალებს შეიარაღებული აჯანყებისათვის. სამხედრო ცენტრის წევრი ე. წულუკიძე აჩვენებს: „გამოსვლის თაობაზე ცენტრიც და პარიტეტიც იმ აზრისა იყვნენ, რომ გამოსვლები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ აჯანყება მთელ კავკასიას მოედება და რუსეთს საგარეო გართულებები ექნება". ინტერპარტიული კომიტეტი ამ მიმართულებით უკვე დგამს ნაბიჯებს. ნარიკელაძე გვიამბობს, რომ სექტემბერში თბილისში გაიმართა უკრაინის, აზერბაიჯანის, კაზაკობის, ჩრდილოკავკასიელი მთიელების და საქართველოს წარმომადგენელთა თათბირი, სადაც უნდა გამოემუშავებინათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ხაზი. წულუკიძე დასძენს: „აჯანყების მომენტი პარიტეტულ კომიტეტს უნდა დაენიშნაო". სამხედრო ცენტრის წევრი აფხაზი აჩვენებს: „დეკემბერში განვიხილეთ გამოსვლებისათვის მასების მზადყოფნის საკითხი. გამოსვლა უარვყავითო". მაგრამ დოკუმენტები, რომლებიც თბილისში დაპატიმრებისას მოკლულ პოლიტბანდიტ ფაელენიშვილს ვუპოვეთ, სხვას ამბობენ. №1 დოკუმენტში ნათქვამია (ნაწყვეტები): „ახლა საჭიროა ერთიანი ოპერატიული გეგმის შედგენა საქართველოს საბოლოოდ განთავისუფლებისათვის". „უკანასკნელი ცნობებით ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და იტალიას რუსეთის

საქმეებში ჩარევა სურთ, ემზადებიან... მეშვეობით". „შესაძლოა ჩვენი გამოსვლა დაემთხვეს მათ გეგმას". „გაცნობებთ, რომ შეიქმნა ერთიანი ცენტრი". „შტაბი ინტერპარტიულია და დამოუკიდებლობის კომიტეტის მთავარ სამხედრო შტაბად ითვლება". №2 დოკუმენტი (ნაწყვეტები): „გაცნობებთ, რომ მთავარი ოპერატიული შტაბის დადგენილების თანახმად ოკუპანტთაგან საქართველოს განთავისუფლების დროდ დანიშნულია ა. წ. (1922 წ.) 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. ოპერაციის დაწვრილებით გეგმას დახურული პაკეტით მიიღებთ 20 სექტემბერს". ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის დავით ვაჩნაძის ფსევდონიმით ხელმოწერილი ეს დოკუმენტები პარიტეტული კომიტეტის ბრძანებებია, რომელებიც შესასრულებლად ჩოლოკაევს უნდა გადასცემოდა.

მუსხელოვი აჩვენებს: „იოსებ ცინცაძემ (მენშეევიკთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე) მითხრა, არავითარი გამოსვლა არ შეიძლება, თუ დამოუკიდებლობის კომიტეტის სანქცია არ იქნაო". მათ ლაპარაკი ჰქონდათ ჩოლოკაევის აჯანყებაზე. მენშეევიკთა თვალსაჩინო წევრი ზანდუკელი აჩვენებს: „ჭიაბრიშვილს (გამოჩენილი ეროვნული დემოკრატი) უთქვამს ჩემთვის, ამ გამოსვლას (ჩოლოკაევისას) პარიტეტულმა კომიტეტმა სანქცია მისცაო". მ. ჯავახოვი პარიტეტის წევრის ი. ჯავახოვის ნათქვამით ამტკიცებს, პარიტეტულმა კომიტეტმა ჩოლოკაევს 300—400 ლირა გაუგზავნაო. შემდეგ, კომიტეტის ერთ-ერთმა სხდომამ მოისმინა არტილერისტი ოფიცრის წინადადება ერთი ბატარეის ჩოლოკაევთან გადასვლის შესახებ. ეს წინადადება უარყვეს იმის გამო, რომ გამოიკვეთა ჩოლოკაევის ავანტიურის ჩავარდნა. კიდევ რას აკეთებდა პარიტეტული კომიტეტი თავის ვითომდა 7-8 სხდომაზე (ქარცივაძის ჩვენება)? გარდა ყოველივე ზემონათქვამისა კომიტეტმა განიხილა და გადაწყვიტა ისეთი საკითხები, როგორიცაა კავშირი საზღვარგარეთთან, პარტიის დამოკიდებულება საბჭოების არჩევნებთან, საბჭოურ დღესასწაულებთან, სტუდენტთა აღრიცხვა, ქართული ბონების გაუქმება და ა. შ. და ა. შ.

ძიების შედეგებს თუ შევაჯამებთ, ჯერჯერობით იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პარიტეტული კომიტეტი აერთიანებდა და ხელმძღვანელობდა ცალკეულ პარტიათა მოქმედებას, განუხრელად ამზადებდა სრულიად საქართველოს მასშტაბის აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. იდეურად ხელმძღვანელობდა და მატერია-

ლურად ეხმარებოდა ჩოლოკაევის გამოსვლებს. მხარს უჭერდა, შთააგონებდა და ქმნიდა ბანდებს, რათა ერთი მხრივ, ანარქია გამოეწვია ქვეყანაში და, მეორე მხრივ, შეექმნა გენერალური აჯანყების ბაზა.

გაერთიანებული სამხედრო ცენტრი. როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, გაერთიანებული სამხედრო ცენტრი პარიტეტული კომიტეტის ორგანო იყო: კომიტეტმა შექმნა, შემდეგ კომიტეტი ხელმძღვანელობდა და უშუალოდ კომიტეტს ექვემდებარებოდა. ძიების მონაცემებით, ამ ორგანოს შექმნის ისტორია ასეთია: საქართველოს გასაბჭოების მერე მის ტერიტორიაზე არაერთი სამხედრო ორგანიზაცია შეიქმნა. მათგან ყურადღებას ყველაზე მეტად იმსახურებდნენ: 1) ბანდიტური ხასიათის სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც ჩოლოკაევი მეთაურობდა და სხვ., 2) ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამხედრო კომიტეტი, რომელსაც გენერალი მაზნიევი ხელმძღვანელობდა, 3) „ბანდების კომიტეტი ანუ აჯანყებულთა რაზმების კომიტეტი", 4) მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია და 5) ეროვნული დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია. დამოუკიდებლობის კომიტეტის სახით პოლიტიკური ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით თავისთავად დაისვა მანამდე დაქსაქსულ სამხედრო ორგანიზაციათა ძალისხმევის კოორდინაციის საკითხიც, რისი შედეგიც შეიქნა გაერთიანებული სამხედრო ცენტრი. პარიტეტში შესულმა პარტიებმა თავ-თავიანთი წარმომადგენლები წარგზავნეს მასში (წულუკიძე, ანდრონიკოვი, აფხაზი, იოსებ გედეონოვი, გ. ხიმშიევი—დაპატიმრებამდე სამხედრო ცენტრის შტაბის უფროსი, მუსხელოვი—ქართული წითელი დივიზიის შტაბის უფროსი. ჩვენებები ნარიკელაძისა, მუსხელოვისა, წულუკიძისა, მაზნიევისა, ხიმშიევისა). რა ამოცანას ისახავდა სამხედრო ცენტრი? ხიმშიევი ამბობს: სამხედრო ცენტრის მუშაობის საკითხი ასე იდგა: პარიტეტული კომიტეტი სამხედრო ცენტრს საჭირო ცნობებს აწვდის, ის კი მათ დაამუშავებს. ნარიკელაძე აჩვენებს: „თავდაპირველად სამხედრო ცენტრის მუშაობა ძალთა აღრიცხვითა და იმით გამოიხატებოდა, რომ ქმნიდა ორგანიზაციებს ადგილებზე—კერძოდ, ქართულ ნაწილებში". წულუკიძე დასძენს: „სამხედრო ცენტრის ამოცანა უნდა ყოფილიყო ორგანიზაციის და გამოსვლების დროს მოქმედების ხელმძღვანელობა". „სრულიად უეჭველია, რომ პარიტეტულ კომიტეტსაც ასევე ესმოდა სამხედრო ცენტრის

ამოცანები, თორემ სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა სამხედრო ცენტრის შექმნის მიზანი". შემდეგ წულუკიძე ამბობს: „აჯანყების საკითხი სამხედრო ცენტრმა განიხილა. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ აჯანყება შესაძლებელია, როგორც მთელი კავკასიის ერთდროული აჯანყება, იმ პირობით, თუ რუსეთს ექნება საშინაო გართულებები ან ომი რომელიმე უცხო სახელმწიფოსთან". ამ აზრს ავითარებს ნარიკელაძე. ის ამბობს: „ი. ჯაკაბოვმა მიამბო, რომ აზერბაიჯანსა, დაღესტანსა, მთიელთა რესპუბლიკასა და საქართველოს თათბირი გაუმართავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისთვის ერთობლივად გამოსვლის შესახებ". ამრიგად, ნათელი ეფინება სამხედრო ცენტრის, როგორც აჯანყების მთავარი სამხედრო ოპერატიული შტაბის სახეს. თავისი მისიის შესასრულებლად სამხედრო ცენტრი დაუყოვნებლივ, შექმნისთანავე იწყებს ძალთა აღრიცხვას და ადგილებზე ფილიალთა მოწყობას. ნარიკელაძე აჩვენებს: „1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში წულუკიძემ გადმომცა სამხედრო ცენტრის მოსაზრებანი, რომლებიც ჩავიწერე ისე, როგორც მითხრა ძალებისა და იარაღის აღრიცხვაზე მაზრებში და ადგილებზე პარტკომებთან სამხედრო შტაბების შექმნაზე. ეს მოსაზრებანი შემდეგი იყო: 1) დაუყოვნებლივ შევუდგეთ ადგილებზე ოფიცერთა, ფელდფებელთა, უნტერ-ოფიცერთა და ჯარისკაცთა აღრიცხვას. 2) აღრიცხვა დავაკისროთ სამხედრო შტაბებს. 3) აღრიცხვისათვის საჭირო ცნობების შეკრება დავაკისროთ პარტიულ მუშაკებს. 4) აღვრიცხოთ იარაღის—ტყვიამფრქვევების, შაშხანების, მათი ვაზნების და ცხენების რაოდენობა ადგილებზე. 5) აღრიცხვის ყველა მონაცემს თავი მოვუყაროთ მაზრათა შტაბებში, იმათ გადასცენ პარიტეტულ კომიტეტს. 6) თუ მობილიზაცია იქნა, აღრიცხული კადრები დაჯგუფდება ასეულებად თექვსმეტ-თექვსმეტი კაცი; თუ რაოდენობა მაზრაში ასეულის შემადგენლობაზე მეტია, მოეწყობა 3-ასეულიანი შემდგენლობის ბატალიონები და 3-ბატალიონიანი შემადგენლობის პოლკები. 7) იქ, სადაც შეუძლიათ კავალერისტთა ნაწილების მოწყობა, შეკქმნათ ესკადრონები". ნარიკელაძე დასძენს: „შარშან, წლის დამდეგს, მას შემდეგ, რაც მუსხელოვი სამხედრო ცენტრში შეეიდა, სამხედრო ცენტრმა მას დაავალა შეედგინა ცნობა იმის თაობაზე, თუ რამდენი გვყავს მომზადებული ოფიცერი და ჯარისკაცთა კადრი და რამდენი გვაქვს იარაღი აჯანყებისათვის." სამხედრო ცენტრის ფილიალებზე ნარიკელაძე გვაუწყებს: „გაერთია-

ნებული ცენტრის მძლავრი ფილიალი ბათუმში იყო". მუსხელოვი ჩვენებაში ამბობს: „პერიფერიებთან და ადგილებზე შექმნილ ორგანიზაციებთან კავშირი ხელთ ეპყრა, მგონია, თვითონ წულუკიძეს და ნაწილობრივ ნარიკელაძეს". სამხედრო ცენტრის ფილიალებზე წულუკიძის ამომწურავი ჩვენებები იხ. ზემოთ. არმიის ნაწილებში მუშაობაზე მუსხელოვი აჩვენებს: „თუ განვავითარებთ ჩვენებას ქართული დივიზიის ნაწილებში არსებულ ორგანიზაციებთან სამხედრო ცენტრის კავშირის მოწყობაზე, საჭიროდ მიგვაჩნია გავაშუქოთ, რომ საერთოდ მთელ მეთაურთა შემადგენლობას (ქართველ ოფიცრობას) მცირედი გამონაკლისის გარდა შეეძლო კავშირი ჰქონოდა სამხედრო ცენტრთან".

სამხედრო ცენტრის დამოკიდებულება ჩოლოკაევის ბანდიტურ გამოსვლებთან საკმაოდ ხასიათდება ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტებით იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც ფავლენიშვილს უპოვეს. როგორც მძაფრი შტრიხი, შეიძლება კიდევ ერთი ნაწყვეტი მოვიყვანოთ: „15 სექტემბრისათვის უეჭველად წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებანი... და ა.შ. ხელს აწერს პარტიზანთა მთავარი შტაბის (წაიკითხე: სამხედრო ცენტრის) დავალებით სამფერი (დ. ვაჩნაძის ფსევდონიმია)". ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ცენტრის მუშაობა ძიებას შედარებით ნაკლებად დამუშავებული აქვს, და მიუხედავად წულუკიძის და სხვების იმ ჟესტებისა, რომ „სამხედრო ცენტრი უარყოფითად ეკიდებოდა ჩოლოკაევის გამოსვლას" და „სამუშაო კარგად მოფიქრებული არ ჰქონდათ"—სამხედრო ცენტრი გამოიკვეთა როგორც პარიტეტული კომიტეტის მთავარი თანაშემწე საქართველოში აჯანყების მომზადების ხაზით, როგორც ოპერატიული ხელმძღვანელი ჩოლოკაევის აჯანყებისა ხევსურეთში და როგორც მთავარი სამხედრო ოპერატიული შტაბი სრულიად საქართველოს მასშტაბით მომზადებული აჯანყებისა.

კონტრდაზვერვის აპარატი. პარიტეტული კომიტეტის ყველაზე ორგანიზებული აპარატი, როგორც ძიების მონაცემებით ირკვევა, კონტრდაზვერვის აპარატი იყო. ნარიკელაძე აჩვენებს: „1921 წლის ივნისში ამაშუკელს და მესხს დავავალე ეშოვათ სქემა, თუ სად და როგორ არის განლაგებული ოლქის წითელი არმიის ნაწილები თბილისში". „შარშან თებერვალში მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ცინცაძემ დამავალა მეშოვა ცნობები აზერბაიჯანის

წითელ არმიაზე". „მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის სახელით მე დამავალეს მეშოვა ოლქის წითელი არმიის ნაწილების დისლოკაცია და არსენალის იარაღის აღწერილობა". „მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტს სჭირდება ცნობები იმის თაობაზე, თუ რამდენი ჯარია სამხრეთ ოსეთში. ეს ცნობები ევიშოვა ოსეთის სამხედრო კომისარიატის მოსამსახურემ". „ცენტრალური კომიტეტი ერთობ დიდ ინტერესს იჩენდა სვანეთის ამბებისადმი, იშოვა ოლქის წითელი არმიის შტაბის ცნობები". „შარშან იანვრიდან ოქტომბრამდე მე ამირაჯიბის მეშვეობით ეხელმძღვანელობდი წითელი არმიის შტაბის ზვერვას. ამირაჯიბმა მიშოვა 1) ოლქის წითელი არმიის ნაწილების დისლოკაცია; ცნობები 2) სასაზღვრო ჯარების რეორგანიზაციის შესახებ, 3) ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ნაწილების შესახებ, 4) ოლქის წითელი არმიის ცხენების რაოდენობის შესახებ, 5) სანაპირო გამაგრებული რაიონის დაშლის შესახებ, 6) ბათუმის სიმაგრეში ქვემეხთა რაოდენობის შესახებ, 7) პოლიტიკური ცნობა რსფს რესპუბლიკის და თურქეთის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, 8) ცნობა საგანგებო დანიშნულების ნაწილებზე". შემდეგ: „მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტს ცენტრალური კომიტეტის წევრის დგებუაძის სახით აჩუქეს XI არმიის შტაბის 1920 წლის დეკემბრისა და 1921 წლის იანვრის ცნობები საქართველოზე შეტევის მზადების შესახებ". „ დგებუაძეს უთქვამს ჩემთვის, ცენტრალურ კომიტეტს აქვს ტროცკის იმ განკარგულების ასლი, რომ საქართველოზე შეტევა მოამზადონო". დაზვერვის სამმართველოსთან კავშირის შესახებ: „ამა წლის თებერვლის 20-იან რიცხვებში მუსხელოვმა ოლქის წითელი არმიის დაზვერვის სამმართველოს ერთი თვის ცნობები მომიტანა". მუსხელოვი ამას ადასტურებს და დასძენს: ნარიკელაძეს გადავეცი ცნობები საქართველოსა და სომხეთში არსებული ბანდიტიზმის შესახებ, თურქეთის ჯარების გადაჯგუფების შესახებ, აღნიაშვილის საიდუმლო მოხსენება, დაზვერვის ორი თვის ცნობები თურქეთზეო. ნარიკელაძემ მაცნობა კიდევ: „კლიმიევმა ჩემი დავალებით გაარკვია, თუ რამდენი ხალხი, ქვემეხი და ტყვიამფრქვევია ყოფ. სამხედრო სასწავლებლის შენობაში". ნარიკელაძის ნათქვამით, მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტს კავშირი ჰქონდა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, აგრეთვე საქართველოს საგანგებო კომისიასთან, საიდანაც შეეძლო მიეღო მისთვის საინტერესო ცნობები.

როგორ იყენებდნენ პარიტეტი და მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტი კონტრდაზვერვის ნაშოვნ ცნობებს? გარდა იმისა, რომ ამ ცნობებს დაამუშავებდნენ სამხედრო ცენტრში, როგორც ნარიკელაძე ამბობს ჩვენებაში, მათ „დაშიფრავდნენ და დაშიფრულად გზავნიდნენ საზღვარგარეთ". თუ ვისთან, ამაზე პასუხობს თვითონ ნარიკელაძე: „ქარცივაძემ მითხრა, რომ სპარსეთში წასულ ინგლისელ პოლკოვნიკს ოდოლს თუ ოდელს მენშევიკთა ცენტრალურმა კომიტეტმა საზღვარგარეთ გადასაგზავნად გადასცა ინფორმაცია და რომ ამ პოლკოვნიკმა აღგვითქვა, მუშაობისათვის ფულს გამოგიგზავნითო". შემდეგ საზღვარგარეთთან ურთიერთობის შესახებ: „ინფორმაციის გადაგზავნის დროს წამოჭრილ სიძნელეებთან დაკავშირებით თაერიზში შევქმენით ვადამცემი პუნქტი, სადაც ინფორმაციის გადაცემაში დაშნაკები გვეხმარებოდნენ. ბათუმის მეშვეობით ურთიერთობისთვის კი ვიყენებდით „ჩემოს" (ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საზოგადოება), „აპარატს" (გამგეობა თბილისშია).

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კონტრდაზვერვის აპარატს როგორც პარიტეტი, ისე მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტი, ამას მოწმობს ნარიკელაძის შემდეგი ჩვენება: „ქარცივაძემ მითხრა, ოდოლისაგან ფულს რომ მივიღებთ, შეიძლება სადაზვერვო მუშაობა გავაფართოოთო". „გერასიმე ნინიძემ (მენშევიკთა პარტიის წევრია) მითხრა, დაზვერვის უფრო ფართოდ დაყენებისათვის პარტიას სახსრები არა აქვსო". და ეს იმ უზარმაზარი სამუშაოს მერე, რომელიც კონტრდაზვერვამ შეასრულა.

კონტრდაზვერვის ურთიერთდამოკიდებულების სქემა საკმაოდ არ არის გარკვეული. ჯერჯერობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დაზვერვის ცნობებს გადასცემენ პარიტეტულ კომიტეტსაც, მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტსაც და სამხედრო ცენტრსაც.

მენშევიკთა და ეროვნულ დემოკრატთა პარტიების სამხედრო მუშაობა. ძიების პროცესში აღნიშნული პარტიების მუშაობის კიდევ ერთი სფერო გამოიკვეთა. ეს მათი სამხედრო მუშაობაა. რამდენადაც ძიებას ჯერ კიდევ არ მოეპოვება იმის მტკიცებები, რომ ეს მუშაობა დაკავშირებულია პარიტეტული კომიტეტის მუშაობასთან (რაც ჩვენთვის თავისთავად იგულისხმება) და რამდენადაც აღნიშნულ მუშაობას ეწეოდნენ, და თანაც ძალიან ინტენსიურად, ჯერ კიდევ

პარიტეტული ცენტრის დაარსებამდე, ორი მთავარი საბჭოეთის მოწინააღმდეგე პარტიის მუშაობის ამ სფეროს ცალკე თავი მივუძღვენით.

მენშევიკები. პარიტეტული კომიტეტის შექმნამდე მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა თავისი სამხედრო სექცია, რომელსაც პოლკოვნიკი ხიმშიევი ხელმძღვანელობდა. ამ უკანასკნელის თანადროულად იმავე ხაზით სხვა სამხედროებიც მუშაობდნენ (ნარიკელაძის ჩვენება). გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შექმნის მერე მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტს არ შეუწყვეტია მუშაობა სპეციალური სამხედრო ხაზით.

ნარიკელაძე ამბობს, რომ ბევრ შემთხვევაში სამხედრო ფუნქციებს თვითონ პარტიის წევრები კისრულობდნენ და მაგალითად გორის აჯანყება მოჰყავს. შემდეგ დასძენს: „1921 წლის აპრილის დამდეგს შემხვდა მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ცინცაძე, რომელმაც მომთხოვა, აჯანყებისათვის ნავარაუდევი თბილისის თავდაცვის გეგმა და მომავალი აჯანყების შესახები სხვა საბუთები მომეცით“. ჯარის ნაწილებში მენშევიკთა მუშაობის შესახებ ნარიკელაძე ამბობს: „საქართველოს გასაბჭოების კვალდაკვალ საქართველოს არმიის ნაწილებში მენშევიკებმა ჯარისკაცთა უჯრედები შექმნეს. უჯრედებს თავიანთი ხელმძღვანელები ჰყავდათ“. შემდეგ, თითქოსდა ნაწილებში პარტიის მუშაობას აჯამებსო, იგი ამბობს: „რა მუშაობას ეწეოდა პარტია ჯარებში 1922 წელს, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ამჟამად ქართულ ნაწილებში ჯარისკაცთა დიდი პროცენტი მენშევიკთა პარტიის წევრი ან თანამგრძნობია“. ქართველ მეთაურთა შემადგენლობაზე მენშევიკების გავლენის მაჩვენებლად ორი დამახასიათებელი ფაქტის მოყვანა შეიძლება. 1) ხევსურეთის აჯანყების ჩამხშობი საექსპედიციო კორპუსის შტაბის უფროსად დანიშნული მუსხელოვი გამგზავრების წინ დირექტივების მისაღებად მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან შედის. 2) ოფიცერი თუხარელი რუსული ნაწილის მეთაურად დანიშნეს. მან მენშევიკთა ცენტრალურ კომიტეტს კითხვა დაუსვა: „ვანა მე შემიძლია რუსული ნაწილი ჩავიბაროო“ (ნარიკელაძის ჩვენება) და მას შემდეგ, რაც ცენტრალური კომიტეტი ნებას დართავს, ჩაიბარებს ამ ნაწილის სარდლობას.

პერიფერიას ცენტრალური კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას რო-
დი უთმობდა. ნარიკელაძე ჩვენებაში ამბობს: „ამა წლის დეკემბერში
მაჩხანელმა (მენშევიკია) მითხრა, მენშევიკებმა მუშაობას უმთავრესად
მაზრებში მოუყარეს თავი, რაიონული შტაბების ორგანიზაცია თბილის-
შიც დასახულიაო.“ შემდეგ ყვება იმ დავალების ამბავს, რომელიც
მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფაღავამ მისცა; მოი-
ფიქრე, თბილისში ვინ გვეყოლება რაიონების სამხედრო ორგანიზა-
ტორებადო. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში
მენშევიკთა პარტიის მთავარი დამსახურება მაინც ის არის, რომ
გორის აჯანყება მოამზადა და ქმედითად მხარს უჭერდა ჩოლოკაევს.
მენშევიკთა მოღვაწეობის ამ მარგალიტებზე ბოროტმოქმედების მონა-
წილეთა ჩვენებები შემდეგია: 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში ქარ-
თველ ოფიცერთა შორის დიდი აჟიოტაჟი ატყდა ჩოლოკაევის გამოს-
ვლების ნიადაგზე. მენშევიკებმა ეს მომენტი გაითვალისწინეს. მათი
დავალებით ოფიცერი ბაგრატიონ-მუხრანსკი ბანდების ხელმძღვანელ-
თა თათბირს იწვევს, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ: 1) ფაევლენიშ-
ვილის ბანდა და კიდევ ერთი ბანდა, რომელიც დუშეთის მაზრაში
მოქმედებდა, 2) გორის მაზრაში მოთარეშე ბანდა. გადაწყდა გორის
მაზრაში შეექმნათ ბანდა, რომლის მეთაური მენშევიკი ლაშქარაშვი-
ლი იქნებოდა. ეს ბანდა უნდა შეერთებოდა ფაევლენოვის ბანდას და
ზურგში დაეკრა ჩოლოკაევის წინააღმდეგ მოქმედი წითელი ნაწი-
ლებისათვის. ყველა შექმნილი ბანდის ხელმძღვანელად მენშევიკთა
ცენტრალური კომიტეტისაგან დანიშნეს ნარიკელაძე. გორის მაზრაში
ბანდის შექმნაც, როგორც მისი, ისე ფაევლენოვის ბანდის იდეური და
ოპერატიული ხელმძღვანელობაც, იარაღითა და ფულით მომარაგებაც
მენშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმე იყო (ნარიკე-
ლაძის, მუსხელოვის, კლიმიაშვილის, ზანდუკელის, ჩიქოვანის, გაბაე-
ვის ჩვენებები). ამასთან ერთად მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტი
ქმედით დახმარებას უწევდა ჩოლოკაევს. ზემონათქვამი რომ უფრო
ნათელი გახდეს, მოვიყვანთ რამდენიმე ნაწყვეტს ბრალდებულთა ჩვე-
ნებებიდან. ნარიკელაძე ამბობს: „გორის აჯანყება მენშევიკთა ცენ-
ტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოხდა და მიზნად ისახავ-
და ზურგში დაერტყა წითელი ნაწილებისათვის. აჯანყების მოსამზა-
დებელი მთელი მუშაობა, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტი-
ლებით, ცენტრალური კომიტეტის წევრს ფაღავას აწვა. იარაღით და

ფულით აჯანყებულთა მომარაგებაც ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით ხდებოდა. გორის აჯანყების ლიკვიდაცია მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოხდა". უფრო ფრთხილი მუსხელოვი ამბობს: „მენშევიკებს, არ ვიცი რომელ, მაგრამ ორ ბანდასთან ჰქონდათ კავშირი. საფიქრებელია, რომ ეს ბანდები გორის მაზრაში იყვნენ" და შემდეგ დასძენს: „მერე გავიგე, რომ ის (ცინცაძე) ინფორმირებული ყოფილა, თუ რა ვითარება იყო ფრონტზე და რომელიღაც ბანდებისათვის უბრძანებია ხევსურეთის დასახმარებლად წასულიყვნენ". შემდეგ აკონკრეტებს: „ზანდუკელმა მითხრა, ცენტრალურმა კომიტეტმა მიბრძანა ჩამომეყალიბებინა ორი ბანდა და ჩემი მითითებებით გამეგზავნა ისინი ხევსურეთის დასახმარებლად". ჩოლოკაევთან მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის კავშირზე ნარიკელაძე ამბობს: „ცენტრალურმა კომიტეტმა აკურთხა ჩოლოკაევი კახეთის აჯანყებულთა ძალების მეთაურად და 10000000 ფული გაუგზავნა". ჯავახოვი ამბობს: „გამიგონია, რომ ჩოლოკაევს არაერთხელ გამოუგზავნია ხალხი მენშევიკებთანაც, რომლებიც თავის მხრივ ვიღაც-ვიღაცეებს უგზავნიდნენ და ეხმარებოდნენ მას". და სხვაც ბევრია ასეთი ჩვენებები. სურათი საკმაოდ ნათელია. გამოსარკვევი რჩება, სად შოულობდა იარაღს მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტი. კითხვაზე ერთგვარ პასუხს გვაძლევს ნარიკელაძე: მენშევიკმა კოტემ მითხრა, ამ დღეებში კონსტანტინოპოლიდან ბათუმსა თუ ფოთში 20 ცალი ახალი სისტემის ავტომატური თოფი მივიღეთო. მენშევიკთა ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ ცნობები ძიებას საკმაო სისრულით ჯერ არ დაუმუშავებია. ეს ორგანიზაცია თავს დაესხა ერთ მენშევიკს...

ეროვნული დემოკრატები. სამხედრო-ორგანიზაციულ და საჯანყო მუშაობაში ნაკლებად ინტენსიური როდი იყო ეროვნულ დემოკრატთა პარტია. სამხედრო ცენტრის შექმნის მერე მათი ცენტრალური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაცია ისევე, როგორც მენშევიკებისაც, არ დაშლილა. ამ ფაქტზე ნარიკელაძე ამბობს: „დ. ვაჩნაძემ მითხრა, ჩვენ ჩვენი ეროვნული შტაბი გვყავს, რომელიც მთელ ქართლ-კახეთს აერთიანებს და ყოველ წუთს შეგვიძლია გამოვიყვანოთ თოფიარაღასხმული ათი ათასამდე კაცი—ცხენოსანი და ქვეითიო". მუსხელოვი დასძენს: „დავით ვაჩნაძეს განვუცხადე, ნაციონალისტებმა დამოუკიდებლად მოქმედება ვადაწყვიტეს-მეთქი და კახეთში გამოსვლების

მოწყობის საკითხი დავუსვი", ეროვნულ-დემოკრატთა სამხედრო შტაბს იასონ კერესელიძე პირდაპირ უწოდებს შტაბს, „რომელიც ბანდიტთა მოქმედებას ხელმძღვანელობს".

რა ძალების იმედით იყვნენ ეროვნული დემოკრატები? ნარიკელაძე ამბობს: „ვაჩნაძემ დასძინა, საღღაც ეომბორთან იმათ ბლომად იარაღი და ტყვიამფრქვეევები აქვთო" და შემდეგ „მენშეეიკმა ვაჩნაძემ მითხრა, ეროვნულ დემოკრატებს კახეთის მაზრებში მძლავრი სამხედრო ორგანიზაცია აქვთ, რომელიც ოფიცრებისა და ფრონტელი ჯარისკაცებისაგან შედგებაო". პერიფერიაში ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მუსხელოვი ამბობს: „ვაჩნაძემ მიამბო, რომ მათ ადგილობრივი ეროვნული დემოკრატების მეშვეობით აღრიცხეს კახეთის მოსახლეობა. აღრიცხეა მიმდინარეობს სვანეთში, ქუთაისის რაიონში, იმერეთში, ახლა კი დანარჩენი რაიონების აღრიცხვას ეიწყებთო". ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტისა და ჩოლოკაევის გაელენის ძალაზე მეტყველებს შემდეგი ნაწყვეტები: „ჩოლოკაევი ანგარიშს არ უწევს პარიტეტულ კომიტეტს, ის ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს ასრულებს" (ნარიკელაძის ჩვენება), „ჩოლოკაევთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრებს ვაჩნაძესა და წინამძღვრიშვილს" (ცენტრალური კომიტეტის წევრის ჯავახოვის ჩვენება); იგივე აჩვენებს: „ჩოლოკაევს არ ენდობოდნენ და ამიტომ უფრო ხანგრძლივი დროით გააგზავნეს მასთან სიმონ ყიფიანი, რომელსაც ცენტრალურმა კომიტეტმა დირექტივა მისცა, ჩოლოკაევი ხელში ჩაიგდერეო". მაგრამ სად შოულობდნენ სახსრებს ავანტიურებისათვის?! ისევ და ისევ ერთგვარ პასუხს გვაძლევს ჯავახოვი: „ფულის საქმეები მთლიანად გადავიდა ი. ჯავახოვის ხელთ, რომელმაც ერთხელ საზღვარგარეთიდან—პარტიის კონსტანტინოპოლის განყოფილებისაგან 500—600 ლირა მიიღო".

ამ საქმეზე დაპატიმრებულია 55 კაცი. აქედან 4 ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი (მ. ჯავახიშვილი, სერგი დანელია, დიმიტრი ჯავახიშვილი და ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კოტე აფხაზი), 6 კაცი (ანდრონიკოვი, წულუკიძე, მუსხელოვი, იოსებ გელეევანოვი, კოტე აფხაზი და ხიმშიეევი)—სამხედრო ცენტრის წევრი, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე და კონტრდაზვერვის ვამეე ნარიკელაძე.

დაუჭერელი დაგვრჩა 7–8 ოფიცერი, რომლებიც კონტრდაზვერვაში მუშაობდნენ: მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ ცინცაძე, მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის წევრი ფაღავა, პარიტეტული კომიტეტის წევრი იასონ ჯავახიშვილი და ეროვნულ დემოკრატთა წევრი დავით ვაჩნაძე.

[illegible] ს.ს. ს[illegible].

[illegible] ქუთაისის საავადმ[illegible]

[illegible]ეფსმ.

№52.

[illegible] 1946-26 [illegible]

ბატონ. ცენტრალურ კომიტეტს.

ძვ. ამხანაგებო! ამ ბარათის გამოგზავნის ნებას ვიღებ მნიშვნელოვანი მიზეზების უკუღმის წინ. საქმე იმაშია, რომ თქვენგან გალანძღვილ ასეთ მიშველოლოსა დაბალ უფროსად ადგილმარმავლობა ჩვენ: ჩვენი კარგის, ლოგიერი ოჯახი ნინა ასეთებამილან ლა, ან აღა ამაზეთით გალანძღვილ კოზიციათა [illegible] 190! [illegible] ავად ლიოს ქუთაისში ამოლოთ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]? [illegible] კოთელი ამის გაკეთებაზე ვალეთ საბოლოო [illegible] თქვენი გალანძღილი სიტყვა: ან ჯი, ან აბა! [illegible] ეფრილის უფროსების ხელმა ცალკეთ [illegible], თუ თბილისილან ამლევ ერთვილი ასეთი [illegible], [illegible] ჩვენ ჩვენი ბარათი ან მიგვიყვეთ ნიადა [illegible] [illegible]. ამიტომ ბოლოს მეორეთ თქვენი ნაუბრლოდა ნებილოვეთ ლა ამლევ ნაბიჯ ანიჩნაურა ასნიშნავენ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]! [illegible] ბატ. საბჭოს კომიტეტის [illegible]:

[illegible]: ქუთაისელი

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან

საქმე №30
„ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები“.

копия.

ЗАКЛЮЧЕНИЕ ПО ДЕЛУ № 532.

1924 г. августа «1» дня. г. Кутаис, я, пом. уполном. по п/п Кут. Полит. Бюро Т. ГАГУА, рассмотрев дело №532 на молодых н/д Гугунишвили Ивана, Еристова Георгия, Пулариани Михаила и др. По обвинению их в контр-революций, выразившееся в подпольной организационной работе против Совстроя, нашел следующее:

ОбВИНЯЕМИЕ: 1. ГУГУНИШВИЛИ Иван Семенович, 20 л., грузин, из крестьян, Горуезда, сел: Дарквети, студент, холост, н/д с 1922г., не судился. Содержится в Кут. Губ. Исправдоме.

2. ЕРИСТОВ Георгий Александрович, 27л., грузин, из князей г. Кутаиси, студент, холост, н/д с 1917г.

Освобожден под подписку, как больной.

3. ЛОСАбЕРИДЗЕ Гоча Авсеитиевич, 18л., грузин, из крестьян, г. Кутаиси, ученик, холост, н/д с 1923г.

Содержится при больнице Кут. Исправд.

4. ПУЛАРИАНИ Михаил лукич, 18 л., грузин, из дворян, Кутуезда, с. Дими, ученик, холост, н/д.

Содержится при Кут. Исправдоме.

5. ГАМбАШИДЗЕ Давид Спиридонович, 21л., грузин, из крестьян, Кутуезда, с. Дими, ученик, холост, с 1920г. соц. федералист, после н/д.

Содержится в Исправдоме.

6. ЯШВИЛИ Михаил Иванович, 20л. грузин, свое сословие не знает, жит. г. Кутаиси, ученик, холост, н/д.

Содержится в Исправдоме.

7. ЧХЕИДЗЕ Николай Давидович, 19 л., грузин, из дворян Зугдидск. уез., г. Зугдиды, ученик, холост, н/д с 1920 г.

Содержится в Исправдоме.

8. КАНДЕЛАКИ Акакий Давидович, 19л.,грузин, из дворян Кутуезда, с. Набослеви, ученик, холост, освобожден под подписку, как мало активный.

9. КЕВАНИШВИЛИ Шалва Порфирьевич, 20л., из дворян Рач. уезда, с. Хотеми, ученик, холост, н/д с 1917 г.

Освобожден под подписку.

10. КАВТАРАДЗЕ Бидзина Исидорович, 20л., из дворян г. Кутаиси, образов. среднее, быв. офицер, женат, н/д.

Содержится в Исправдоме.

11. ГЕЛАШВИЛИ Сергей Давидович, 20л., из крестьян Шор. уез., с. Мандети, ученик, холост, н/д с 1917г.

Содержится в Исправдоме.

12. АСАТИАНИ Александр Гуласпирович, 20л., из дворян Шор. уез., с. хорети, студент, холост, н/д с 1919г.

Содержится при Кут. Исправдоме.

13. ГАМКРЕЛИДЗЕ Валериан Самсонович, 20л., из мещан г. Кутаиси, студент, холост, н/д с 1919г.

Содержится в Исправдоме.

14. АВАЛИАНИ Александр Давидович, 20л., из дворян г. Кутаиси, студент, холост, н/д с 1924г.

Содержится в Исправдоме.

Настоящее дело возникло на основании агентурной разработки. В последних месяцах 1922г. в Кутаиси в доме доктора БАДРИДЗЕ была организована организация молодых н/д под названием «Илия Чавчавадзе», где присутствовали: сын доктора Коция БАДРИДЗЕ, ГУГУНИШВИЛИ Иван и другие, куда Гогия ЦЕРЕТЕЛИ привел в качестве докладчика ХОПЕРИА Хуху. очередное собрание было устроено у ГУГУНИШВИЛИ Ивана, где были выбраны предводители десяток, Руководители организации и заместитель руководителя организации. руководителем организации был ГАМКРЕЛИДЗЕ Валериан, который имел связь со старшими организациями, был пунктом между цека и уездкома молодых н/д. ГУГУНИШВИЛИ был заместителем ГАМКРЕЛИДЗЕ, ру-

ководил организацией и имел связь с женскими десятками. В то время Уездком, как таковой, не существовал, а лишь только был основан комитет последних месяцах 1923 г., куда входили: председателем Уездкома ЧХЕИДЗЕ Николай, членами——ПУЛАРИАНИ Михаил, КЕВАНИШВИЛИ Шалва, ЯШВИЛИ Миша и ГОЦИРИДЗЕ Жоржик. Это Было после того, как ГАМКРЕЛИДЗЕ и ГУГУНИШВИЛИ переехали в Тифлис. Заместителем ГАМРЕКЛИДЗЕ Был оставлен ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча. Последний в последствии имел связь со старшими организациями и женскими десятками. Были основаны, как в 1, так и во 2 техникумах, десятки, имели связь с районами, устраивали собрания. После ареста некоторых активных членов организации не арестованные члены во главе молодого н/д ГЕЛАШВИЛИ Сергея начали вести подпольную работу, у последнего дома собирались все молодые н/д по 10-15 чел. и вели подпольную работу. Еще в 1922 г. в доме КАВТАРАДЗЕ Бидзина было устроено собраные н/д в роде пикника, где присутствовали: ХАРАБАДЗЕ Датуша, ЧИРАКАДЗЕ Севериан, один Брат ЧАЧИАШВИЛИ, ЭРИСТОВ Георгий, БАРАТАШВИЛИ Бесо, и др., в качестве докладчика выступил БАРАТАШВИЛИ, БАРАТАШВИЛИ все время укрывался в доме КАВТАРАДЗЕ Бидзина. ЭРИСТОВ Георгий имел связь с активным подпльником ПАТАРИДЗЕ Елисо.

Допрошенный по сему делу: 1) ГУГУНИШВИЛИ Иван показал следующее: В 1922 г. в конце октября м-ца я встретился с Валико ГАМКРЕЛИДЗЕ. Он спросил насчет организации молодых нац.дем. во 2 техникуме, существует ли таковое, я ответил незнанием и обещался узнать. Он предложил сорганизовать таковую, я согласился с условием, если только будет поддержка с его стороны. Я насчет этого поговорил с моим товарищем НИЖАРАДЗЕ Миша (окончил 2 техникум, его в университете нет), совместно с которым создали первоначально во 2 техникуме десятку, руководителем чего являлись: 1) я, 2) НИЖАРАДЗЕ Миша, 3) КАНДЕЛАКИ, насколько помню, звать Александр, ученик 8 класса, 4) ЧХЕИДЗЕ, имя не помню, 8 клас., ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча, сын доктора.

После этого мне ГАМКРЕЛИДЗЕ дал программу, как нужно сорганизовать десятки, каковая была написана рукописью. Я переписал один экземпляр, что после передавал НИЖАРАДЗЕ Мише для распростране-

ния среди товарищей. Собрания устраивались у меня дома, где я жил, на улице Урицкого, в доме АЛАВИДЗЕ, где собрались ГАМКРЕЛИДЗЕ, НИЖАРАДЗЕ, КАНДЕЛАКИ, ЧХАИДЗЕ и ЛОСАБЕРИДЗЕ. Это было до присоединения 1 техникума. Посредством ГАМРЕКЛИДЗЕ я познакомился с учеником 1 техникума ШОНУАДЗЕ Акакием (ныне студент, только не в университете), после чего он тоже ходил к нам от 1 техникума, в случае отсутствия его приходил АСАТИАНИ Александр. Я был инструктором женской десятки, где руководителем была ЦЕРЕТЕЛИ Тина, которая проживала по Тифлисской ул., членами десятки были: КОКОЧАШВИЛИ Куция, СИРБИЛАДЗЕ Тина, ЧАКАШВИЛИ, имя не знаю, НЕМСАДЗЕ КСЕНЯ, МАЧАВАРИАНИ, имя не знаю (где они находятся в данное время, не знаю. Я устраивал доклады ученицам. Организатором нашего комитета был ГАМКРЕЛИДЗЕ Валико, который устраивал нам доклады, заместителем я, По районам мы определяли работу так: В Самтредский и Джиханшский район командировали ШОНУАДЗЕ Акакия, который после возвращения сказал, что там не возможно вести работу, т.к. некоторые наши товарищи работают совместно с меньшевиками. В Хони хотели командировать КЕБУЛАДЗЕ Мишу, но он не согласился. После ГАМКРЕЛИДЗЕ сказал, что он подыщет кого-нибудь для Хони. НИЖАРАДЗЕ Миша был командирован в Сакулийской теми. ГАМКРЕЛИДЗЕ мне говорил, что в нашей партии работает ХАРАБАДЗЕ Датуша. ХАРАБАДЗЕ дал мне 20 шт. прокламаций. Однажды ГАМКРЕЛИДЗЕ привел к нам для доклада ЧИРАКАДЗЕ Северпана (см. л. д. № 18-19).

2) ЭРИСТОВ Георгий показал следующее: в1923г., не помню в декабре или в январе 24г., со мной встретился ХАРАБАДЗЕ Датуша и сказал, что меня хочет видеть один человек и что, когда этот человек к нему придет на дом, он мне устроит свидание с ним. спустя 3 дня я встретился с ХАРАБАДЗЕ, который взял меня к себе дамой. Я встретился там с ПАТАРИДЗЕ Елисо, которого я знал еще по гимназии. Он предложил мне работать в партии, на это я никакого ответа не давал. Тогда он предложил мне подумать. На другой день вторично пришел ПАТАРИДЗЕ ко мне с предложением работать в партии, тогда он обратился ко мне с просьбой, что у него имеется парабелюм и хочет продать и просил меня помочь ему в этом деле. Я взял у него парабелюм и

предложил Дутуше ХАРАБАДЗЕ купить, но не купил. Я взял парабелюм и вернул обратно ему и сказал на отрез, что я не могу в организации работать. С тех пор я его видел раз в парикмахерской «Прима», после чего я его не видел и никакую работу не вел. (см. л. д. № 37-38).

3) ПУЛАРИАНИ Михаил показал, что он ни в какой организации не работал и не знает абсолютно ничего о работе н/д, однако-ж он, ПУЛАРИАНИ, был членом Уездного комитета молодых и имел связь со старшими (см. л. д. № 45-51).

4) ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча показал следующее: что он ни в какой организации не работал и не знает абсолютно ничего о работе нац. дем. Однако-ж ЛОСАБЕРИДЗЕ был организатором организаций, имел связь со старшими, а так-же из его квартиры были конспиративно изяты 2шт. прокламации (СМ. Л. Д. №41-25).

5) ГАМБАШИДЗЕ Давид показал следующее, что он ни в какой организации не работал и не знает абсолютно ничего о работе н/д. Однако-ж, он был активным работником организации, что уличается, согласно показания его товарищей (см. л. д. №40-45)

6) ЧХЕИДЗЕ Николай показал следующее, что он ни в какой организации не работал и не знает абсолютно ничего о работе н/д. Однако-ж, он был председателем Уездного комитета, у него дома устраивались собрания, сам устраивал доклады, что подтверждается показанием его товарищей (см. л. д. 45-56).

7) ЯШВИЛИ Михаил показал следующее: что он ни в какой организации не работал и не знает абсолютно ничего о работе н/д. Однако-ж, он является членом Уездного комитета, присутствовал на всех собраниях, что подтверждается по показаниям его товарищей. (см. л. д. 45-47).

8) КАНДЕЛАКИ Акакий показал следующее: мне предложил КЕВАНИШВИЛИ Шалва работать в организации н/д, на что я согласился, но однако-ж, никакой работы я не вел. Действительно он, КАНДЕЛАКИ, числился пассивным членом организации и никакой активности не выказывал (см. л. д. 39-45).

9) КЕВАНИШВИЛИ Шалва показал следующее: В конце 1922г. было первое собрание на Генеральской ул., в доме д-ра БАДРИДЗЕ. Его сын Коция БАДРИДЗЕ, который окончил 2 техникум в прошлом году, при-

сутствовал на этом собрании. Там был приезжий из Тифлиса докладчик ХОПЕРИЯ, имени не знаю, которого привел Гогия ЦЕРЕТЕЛИ. Так-же присутствовали на этом собрании ГУГУНИШВИЛИ Иван , ЯШВИЛИ, имя не знаю, ЯШВИЛИ Ванчка, Я, НИЖАРАДЗЕ Миша, Еще были, но не помню. Доклад сделал ХОПЕРИЯ о будущей работе. Также было сказано, что должны соорганизовать организацию нац. демократов среди молодежи под псевдонимом «кружка Илья Чавчавадзе». После этого очередное собрание у нас было на квартире ГУГУНИШВИЛИ Ивана на ул. Урицкого, где присутствовали: Я, ГУГУНИШВИЛИ, ЯШВИЛИ, ЛОСАБЕРИДЗЕ, ГАМБАШИДЗЕ, кажется ПУЛАРИАНИ Миша и НИЖАРАДЗЕ Миша . Там доклад устроил Валико ГАМКРЕЛИДЗЕ и Георгий ЦЕРЕТЕЛИ. После доклада были выбраны руководители десяток во 2 техникуме—я и ЯШВИЛИ. В техникуме не смогли устроить кружка «Илья Чавчавадзе», но все же вели работу. После очередное собрание было в доме Алеши АВАЛИАНИ, где докладчиком являлся ГАМКРЕЛИДЗЕ, где присутствовали я, ГУГУНИШВИЛИ, ГОЦИРИДЗЕ, остальних не помню. Доклад был устроен о международном положении. Руководителям десятки ГУГУНИШВИЛИ поручил делать в своих десятках доклады. У меня тогда в десятке были: ЯШВИЛИ Миша, ЯМАНИДЗЕ Чичико, КАНДЕЛАКИ Алеша и ЧХЕИДЗЕ Михаил. В 1924 г. январе Уездный комитет были выбраны председателем ЧХЕИДЗЕ Николай, членам ПУЛАРИАНИ Михаил, ГОЦИРИДЗЕ Жоржик, ЯШВИЛИ Миша и Я, должность ГАМКРЕЛИДЗЕ теперь исполнял ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча, т.е. он имел связь со старшими, приносил нам прокламации. Последнее собрание у нас было в доме ЧХЕИДЗЕ Николая, где докладчиком выступил сам он (см. л. д. №45).

10) КАВТАРАДЗЕ Бидзина показал следующее: что он никакую работу не вел и не знает относительно работы н/д. Однако-ж, был активным работником организации, имел связь с Чиатурской организацией молодих н/д, устраивались у него дома собрания (см. л. д. № 56- 66).

11) ГЕЛАШВИЛИ Сергей показал следующее:что он никакую работу не вел и не знает относительно работы н/д, но имел знакомство со всеми вышеперечисленными обвиняемыми, собирались у него дома, он показывает, что у него товарищи собирались дома не с целью собрания, а заниматься, однакож, по аг. донесениям доказано ему, что у него дома

происходили собрания молодых н/д как до ареста вышеуказанных, также после ареста (см. л. д. №70).

12) АСАТИАНИ Александр показал следующее: я, будучи учеником 8 класса, в 1922 г. работал в партии н/д, моя работа выражалась в следующем: в гимназии, где я учился, в 1 техникуме у нас была организована одна десятка, куда входили члены, со мной вместе 5 чел., мы оставались после занятия в техникуме, то собирались в саду. Однажды я устроил доклад, согласно программы, что было у меня еще с старого времени. После этого я не вел никакую работу. Однакож, АСАТИАНИ, как в1922г., так и в 1923-24г. вел активную работу. В 1922 г. был членом интерпартийного комитета, руководителем десятки (см. л. д. №84-92-94-95-96-98-101).

13) ГАМКРЕЛИДЗЕ Валериан показал следующее: В 1919 и 1920 г. г ..... в организации учащихся. В 1921г. в мае и в 1922 г. в Феврале и принимал участие в выступлении учащихся. Я призывал последного оставить занятия и принять участие в выступлениях. В октябре 1922г. посредством ЧИРИКАДЗЕ Северина я начал работать в организации молодых н/д. Связь имел с ними, и я руководил организацией. Мною было основано несколько десяток, как в 1 и во 2 техникуме. Я был пунктом между Цека и Уездком н/д, получал листки и прокламации через курьера Хуху ХОПЕРИЯ и передавал ЧИРИКАДЗЕ Северину. В деле распределения полученных прокламаций ЧИРИКАДЗЕ приносил несколько десяток прокламаций и я в свою очередь посредством ГУГУНИШВИЛИ Ивана распространял среди учащихся. Организация молодых н/д имела связь с районами, но в районах особенной работы не было. Я хотел восстановить работу, куда командировал некоторых членов организации, но все же не удалось поставить организацию на должной высоте. Мы собрания устраивали в доме ГУГУНИШВИЛИ Ивана, АВАЛИАНИ Миши и у др., где докладчиком выступал я, иногда приводил ЧИРАКАДЗЕ* Северина. В начале 1923-24 учебного года я выехал

---

* ეს პიროვნება ზემოთ იხსენიება, როგორც Чирикадзе. ზემოთვე ორჯერ ნახსენები Патаридзе Елисо ალბათ ელისე პატარიძე უნდა იყოს, ასევეა შემდგომაც ზოგიერთი სხვა გვარის დაწერილობისას (მაგ. Лолуа—Логуа, Гоциридзе—Гоцеридзе...), მაგრამ დედნის ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას აქაც, როგორც სხვაგან, უცვლელად ვინარჩუნებთ.

в Тифлис заниматься, с тем пор я прекратил связь с Кутаисской организацией (см. л. д. №87-88-89-90-92-101).

14) АВАЛИАНИ Александр показал следующее: В 1923 г. мне предложил АСАТИАНИ Александр работать в организации н/д, на что я согласился. Мне было предложено выказать инициативу, достать членов, организовать десятку, но это мне не удалось. У меня дома устраивались собрания, в 1923 г. я помню, что ко мне на дом пришли ГАМКРЕЛИДЗЕ Валериан, ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча и ПУЛАРИАНИ Миша. У нас было собрание, где докладчиком выступил ГАМКРЕЛИДЗЕ Валериан. В конце 1923 учебного года мне сказал АСАТИАНИ Александр, что он уезжает в Тифлис и предложил мне держать связь с ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча. Действительно, спустя некоторое время ЛОСАБЕРИДЗЕ предложил мне восстановить ..... в 1 техникуме. Мне было от него предложено втянуть в работу Жоржика ГОЦИРИДЗЕ, что и было исполнено мною. Я получал прокламации то от ЛОСАБЕРИДЗЕ, то от ПУЛАРИАНИ, прочитав, обратно возвращал (смот. л. д. 101).

ЭРИСТОВ Георгий был освобожден нами, как тяжело туберкулезом больной.

КАНДЕЛАКИ Акакий был освобожден нами под подписку, как малоактивный.

КЕВАНИШВИЛИ Шалва был освобожден под подписку, как сознавшись чистосердечно во всем, а так-же бросивший организацию н/д за несколько месяцев до его ареста.

Принимая во внимание все вышеизложенное, что ГУГУНИШВИЛИ Иван, ГАМКРЕЛИДЗЕ Валериан, АСАТИАНИ Александр, были руководителями организации в 1922-23 учебном году, ГАМКРЕЛИДЗЕ имел связь со старшими, Был пунктом между Цека и Уездкомом н/д, ГУГУНИШВИЛИ Был заместителем ГАМКРЕЛИДЗЕ, имел связь с женскими десятками и руководил организацией, а АСАТИАНИ Александр был активным работником в техникуме, был руководителем десятки и в 1922 г. входил в интерпартийный комитет, а так-же после его ареста, когда он находился в заключении в Исправдоме, разорвал портрет Луначарского и выжег глаза. ЧХЕИДЗЕ Николай, ПУЛАРИАНИ Михаил, ЯШВИЛИ Миша, состав уездкома молодых н/д в период 1923 и 24 учебного года вели активную работу среди учащихся. ГАМБАШИДЗЕ

Давид, ГЕЛАШВИЛИ Серго и АВАЛИАНИ Алеша были активные работники организации, устраивали собрания, а так-же и сами присутствовали на всех собраниях, устроенных комитетом молодых н/д. КАВТАРАДЗЕ Бидзина, укрыватель Бесо БАРАТАШВИЛИ, связь между Чнатуры и БАРАТАШВИЛИ, а так-же у себя в доме устраивал собрания. ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча исполнял обязанности ГАМРЕКЛИДЗЕ в 1923-24 учебном году, имел связь со старшими, руководил организацией молодых н/д, а так-же имел связь с женскими десятками.

П О С Т А Н О В И Л: ГУГУНИШВИЛИ Ивана, ГАМКРЕЛИДЗЕ Валериана, АСАТИАНИ Александра, ЧХЕИДЗЕ Николая, ПУЛАРИАНИ Михаила, ЯШВИЛИ Михаила, ГАМБАШИДЗЕ Давида, ГЕЛАШВИЛИ Сергея, АВАЛИАНИ Александра и КАВТАРАДЗЕ Бидзина вместе с делом направить в ЧКГ на распоряжение. ЛОСАБЕРИДЗЕ Гоча, как больного, оставить при Кут. Губ. Исправдоме до выздоровления, а ЭРИСТОВА Георгия, КАНДЕЛАКИ Акакия и КЕВАНИШВИЛИ Шалва освободить во-все, приняв во внимание вынесенное предыдущее постановление по отношению к ним.

ПРИЛОЖЕНИЕ: аг. дело на 32 лис. портрет ГАМКРЕЛИДЗЕ с товарищами и один пакет с 2 прокламациями.

Подписи.
верно:
Ст.О/Уполн. 2 ОТД 2 ОТДЕЛА УГБ
НКВД ГРУЗ ССР-Мл. Лейтенант Госбез.:
(ЛОГУА).

ПРОТОКОЛ

Допроса по делу №735 обвин. ЧХЕИДЗЕ Николая Давидовича, 19 лет, грузин, из дворян г. Зугдиды, холост.

от 6/XI-24 г.

В марте м-це 1923 г. КЕВАНИШВИЛИ Шалико предложил мне работать у них в нелегальной организации молодых н/д, на что я согласился. До 1924 г. я числился у него, как пассивный член организации. За все это время единственный раз был на собрании, где он сам докладывал о различии между социалистами и анти-социалистами. Кроме меня на собрании присутствовали следующие: ПУЛАРИАНИ Миша, ГОЦЕРИДЗЕ Георгий (Жоржик) и СУРМАВА Акакий, все упомянутые лица являлись член. десятки КЕВАНИШВИЛИ.

В феврале текущего года у меня на квартире были собрания, присутствовали следующие: КЕВАНИШВИЛИ, ГОЦЕРИДЗЕ, ПУЛАРИАНИ, ЯШВИЛИ Михаил и я. На данном собрании по предложению упомянутого КЕВАНИШВИЛИ выбрали комитет молодых н/д в техникуме. В следующем составе: председателем——я, членами: ПУЛАРИАНИ, ЯШВИЛИ, ГОЦЕРИДЗЕ и КЕВАНИШВИЛИ для руководства и связи. На этом же собрании ПУЛАРИАНИ было предложено сорганизовать десятку в техникуме, которой дал слову, с его же слов я знаю, что членами его десятки были следующие: КАНДЕЛАКИ, СУРМАВА, ГЕЛАШВИЛИ, ГАМБАШИДЗЕ, остальных не знаю. ГОЦЕРИДЗЕ также обещал сорганизовать десятку в 1 техникуме, но в последующем были ли у него члены или нет, мне неизвестно, но по его словам, якобы, есть.

После того, как ПУЛАРИАНИ и ГОЦЕРИДЗЕ дали слово сорганизовать десятки в 1 и по женских техникумах, я и КЕВАНИШВИЛИ ученический комитет (2 техникума) переименовали в городской комитет, состав которого остался без изменения.

В феврале м-це КЕВАНИШВИЛИ познакомил меня с Бесо

БАРАТАШВИЛИ, последний заявил, что ему поручено руководить нашей работой. Два раза всего имели собрание комитета, докладчиком был указанный БАРАТАШВИЛИ на тему «партийная идеология» и «о международном положении». Через некоторое время он выехал куда-то. Вскоре был арестован ПУЛАРИАНИ и впоследствии я. До моего ареста из-за боязни мы прекратили связи и работу десятках.

Показание мое правильное, что удостоверяю своей подписью:

подпись.

ДОПОЛНИТЕЛЬНОЕ ПОКАЗАНИЕ.

До 1922 г. учился в Зугдидах. В то время существовала организация молодых н/д. Состав уездного комитета я не знаю и сам не входил, но работающих знаю, каковые были следующие: КЕДИЯ (расст.), КИЛАСОНИЯ Гиви, КВАРАЦХЕЛИЯ, ГВАТУА, имя не знаю, ГРИГОЛИЯ Константин, который в 1921г. переехал в Тифлис, поступил в университет. ЧАНТУРИЯ, имя не знаю, из сел. Джвари, ДГЕБУАДЗЕ Миша, КВИРКЕЛИЯ и др. Я числился у них рядовым членом организации. В том же году, в сентябре, я перешел в Кутаис и бывал только на каникулах. Показание мое правильное, что удостоверяю своей подписью.

Подпись:

ВЕРНО: СТ. О/УПОЛН. 2 ОТД 2 ОТДЕЛА УГБ НКВД ГССР-Мл. Лейтенант Госбез.:

(ЛОЛУА)

ПОСТАНОВЛЕНИЕ.

копия.

1925 г. апреля «10» дня. Я, пом/Уполномоченного II-го Отдела СЕКО ЧКГ- ПОГОСОВ Альберт, рассмотрев следдело №735 по обвинению гр. ГУГУНИШВИЛИ Ивана Семеновича, 20 л., ПУЛАРИАНИ Михаилу 18 л., ГАМБАШИДЗЕ Давид Спиридонович, 21л., ЯШВИЛИ Михаила Иван., ЧХЕИДЗЕ Николая давид., 19 л., КАВТАРАДЗЕ Бидзина Исидорович, 20 л., ГЕЛАШВИЛИ Сергея Давид., 20 л., ГАМКРЕЛИДЗЕ Валериана семен., 20 л., АВАЛИАНИ Ал-дра Давид., 20 л. и АСАТИАНИ Ал-дра Гуласпировича, в КОНТРРЕВОЛЮЦИИ, выразившейся в принадлежности к партии нац/ демократов и активной работе в таковой, направленной к свержению Советской власти.

Принимая во внимание, что обвиняемые гр. гр. ГУГУНИШВИЛИ, ПУЛАРИАНИ, ГАМБАШИДЗЕ, ЯШВИЛИ, ЧХЕИДЗЕ, КАВТАРАДЗЕ, ГЕЛАШВИЛИ, ГАМКРЕЛИДЗЕ, АВАЛИАНИ и АСАТИАНИ постановлением Всегрузинского ЦИК-а за №115 от 6/XI-24 г. о применении амнистии к полит. арестованным освобожд. из под заключения, ПОЛАГАЛ-БЫ: дело следствием прекратить и сдавать архив.

СПРАВКА: обвиняемые освобождены комиссией по применению амнистии.

ПОДПИСИ.

ВЕРНО: Ст. О/Уполн. 2 ОТД

2 ОТДЕЛА УГБ

НКВД ГССР- Мл. лейтенант

Госбез.:

(ЛОЛУА).

ОА/1.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან

ამონაწერი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თბილისის კომიტეტის სხდომის ოქმიდან

საიდუმლო მოხსენება მხოლოდ ტფილისის კომიტეტის წევრთათვის

მომენტი და ტაქტიკა

საქართველოში აჯანყების საკითხი პოპულარული გახდა... მართალია, ეგ საკითხი საქართველოში უკვე მეოთხეჯერ ისმის, მაგრამ არასოდეს ისეთი სერიოზული და კატეგორიული ხასიათი არ ჰქონია, როგორც დღეს. ჩვენი ფრაქცია პარიტეტში მუდამ კრიტიკულად უყურებდა აჯანყების საკითხს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ბევრჯერ გამოიყვანა ქართველი ხალხი ავანტიურიზმის ცეცხლიდან, მაგრამ დროთა ვითარებით ამას თავისებური გასავალი ჰქონდა — დღეს კი, ვფიქრობ, მას ნაკლები ავტორიტეტი ექნება და მთელი ჩვენი... უიმედობაც ამაშია ჩაქსოვილი. ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო"—სწორედ თანამედროვე ვითარების დროს ამ თქმულების გახსენება მართებულია...

ჩვენ, როგორც კომიტეტის წევრებს, მძიმე პასუხისმგებლობა ვევაქვს დაკისრებული, ამის გამო ვალდებული ვართ ერთმანეთს ფრთები შევაკვეცოთ და ვონებას მეტი აღვილი დავუთმოთ, ყოველი შესაძლებელი კატასტროფები გავითვალისწინოთ და სათანადო დასკვნები ფრთხილად გამოვიტანოთ.

ძალთა ეკონომია

ძალთა ეკონომიით პიროვნების დაინტერესება მე ვფიქრობ სიფრთხილითა და სილაჩრით არ აიხსნება. პირიქით, ასეთი ეკონომისტი აუცილებლად გულწრფელ პატრიოტად უნდა ჩაითვალოს და მეც აჯანყების საკითხს ყოველ მიზეზს გარეშე ერის ფიზიკურ რაობის შენარჩუნების საკითხს უპირისპირებ, ამისათვის საჭიროა შეეკითხოთ ჩვენს თავს —მოსალოდნელია თუ არა ჩვენი დამარცხება და რამდენი პროცენტი შანსების მოწმობს ჩვენ გამარჯვებას. კარგად ჩაკვირვების შემდეგ თქვენ დარწმუნდებით, რომ გამარჯვებას მხოლოდ 30% მოწმობს—არც მეტი, არც ნაკლები! იმ კითხვაზე, თუ აჯანყების კრახი ერს რა შედეგს მოუტანს, ყველას გარკვეული და ერთსულოვანი პასუხი ექნება: ქართველი ერის ფიზიკურ არსების განადგურებას და მოსპობას. ამით ჩვენ, რასაკვირველია, ეროვნულ მოძრაობის ლიკვიდაციას მოვახდენთ და ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას საბოლოოდ ხაზს გადავუსვამთ...".

წითელი არმიის აჯანყებასთან დამოკიდებულების გამორკვევა

ბატონმა ჯუღელმა ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა: „წითელი არმია აჯანყებაში პასიურ მონაწილეობას მიიღებს და თუ მიიღო მონაწილეობა, ჩვენს სასარგებლოთო". როდესაც მას შეეკითხეს, გაგვაცანი, რა მასალებით აცხადებთ ამასო, მან ავტორიტეტულად განაცხადა: „ნება მიბოძეთ, ამ შეკითხვაზე არ გიპასუხოთ, რადგან ეგ საკითხი ფრიად დიდ საიდუმლოებას შეიცავსო"... პირიქით, ჩემი ღრმა რწმენით, წითელი არმია... წითელი არმია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენს წინააღმდეგ, რა თქმა უნდა... მაგრამ მასზე ნაკლებ მნიშვნელოვანი არის...

აჯანყების ტექნიკური მხარე

... რადგან საქმის კურსში ვარ, ერთ სამწუხარო გარემოებას ვამჩნევ. ეგ გახლავთ იარაღის სივიწროვე... განა იარაღის საკითხისადმი მიდგომა ამ სახით შეიძლება, დღევანდელი ტექნიკისა და რუსის

დაუნდობელი ბოლშევიკების გათვალისწინებით?! მე ვფიქრობ, აქ ორი აზრი შეუძლებელია, ან იარაღი უნდა იშოვოს სათანადო ორგანომ, ან ჩხირკედელაობას თავი დაანებოს.

საგულისხმოა ძალთა განწყობილების საკითხი. ქართულ ნაწილებზე ბევრს ლაპარაკობენ და მიაჩნიათ, ირწმუნებიან, რომ 99% ჩვენს მხარს დაიჭერსო... მე კარგად არ ვიცი, არც სტრატეგი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოწინააღმდეგე ნაწილებს ქალაქს გარეთ რკალში ხვევს... რომელიც მეაბოხეებს გასაქანს არ მისცემს...

როგორმე უნდა ვეცადოთ ჩვენს მოსაზრებათა დიამეტრულად მოწინააღმდეგე ბანაკში შევიტანოთ წინადადება, რომ უმომენტოდ ასეთი სერიოზული ნაბიჯის ვადაგმა, ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემების გადასაჭრელად დასმა—ავანტიურიზმია.

დაეუმტკიცოთ დამშვიდებული ნერვებით მათ, რომ დღეს საამისო მომენტი არ სდგას. იქნებ ივი ხვალ დადგეს ან ზეგ, ან კიდევ სხვა დროს...

როგორი პერსპექტივა უნდა გადაიშალოს პარტიის წინაშე

აი საგულისხმო საკითხი, რომელმაც ჩვენი არსებობის პრობლემა, როგორც პოლიტიკური პარტიისა, უნდა გაამართლოს. ძალაუფლების საკითხი პირველის წინაშე თუ არასოდეს სერიოზულად არ დასმულა, მომავალში კატეგორიულად უნდა წამოიჭრას—სხვა გზა არ არის, თორემ ისე, როგორც არჩილ ჯორჯაძის სიკვდილიდან დღემდე—ჩვენს არსებობას უუნარო ელფერი ეფინებოდა.

მომავალშიც ივიეობასთან გვექნება საქმე. თუ ჩვენ ჩვენს არსებობას და მოქმედებას მთავარ სარჩელად ძალაუფლების ხელში ჩაგდების საკითხი არ დაუდევით, მსგავსად წარსულისა ჩვენი პარტია ისევ კულტურულ წრეს და საქველმოქმედო საზოგადოებას დაემსგავსება ან წმინდა „ეთნიკურ“ სალიტერატურო ძეგლს... კმარა!... ჩვენთვის არის საჭირო მოქნილი პრძოლა, რევოლუციური, ეროვნული და სოციალისტური სახის გამოაშკარავება ... პარტია უნდა განიწმინდოს და უნდა ჩამოყალიბდეს კრისტალი სოციალისტურ-ფედერალისტურ ელემენტებისაგან.

ბაიოზი.

თბილისი 1924 12. VIII.

საქმე №36, ფ.131-138

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან*

...ცკ-ის უკანასკნელი შემადგენლობა და მოვალეობათა განაწილება მის წევრებს შორის

მომხდარი დაპატიმრებების, ცკ-ის წევრების საზღვარგარეთ გამგზავრების და წინამძღვაროვის დაპატიმრების შედეგად 24 წლის თებერვლიდან ცკ-ი აიგო შემდეგნაირად. ცკ-ს თავმჯდომარე—შალვა ამირაჯიბი, აერთიანებდა პარტიის მთელ მუშაობას, თავმჯდომარის ამხანაგი მიხ. იშხნელი—აქედან ხელმძღვანელობდა გორის ორგანიზაციის მუშაობას. პრეზიდიუმის წევრი—მე, პარიტეტული კომიტეტის წევრი (პრეზიდიუმის წევრი და მდივანი), პასუხისმგებელი მუშაობაზე დასავლეთ საქართველოში, ტიპოგრაფიის საქმეების განმგებელი. პლენუმის წევრები: სოლომონ ზალდასტანიშვილი, პარიტეტულ კომიტეტთან არსებული სამხედრო კომისიის, თბილისის სამხედრო ქვეკომისიის წევრი. შეცვალა წინამძღვაროვი სამხედრო კომისიაში მისი დაპატიმრების შემდეგ, ჰქონდა კავშირი ჩოლოყაშვილთან; ლეო დვებუაძე—ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მისი დაპატიმრების შემდეგ ელისე პატარიძე (რომელიც ადრეც იყო პლენუმის წევრი დ მუშაობდა ქუთაისში დასავლეთ საქართველოს

---

*ეს დოკუმენტიც ჩეკას სატუსაღოში შედგა. ზუსტად 1924 წლის 18 სექტემბერს.

ამ ჩვენების ავტორი, ყველა სხვა დანარჩენ პოლიტპატიმრის მსგავსად, უაღრესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი იასონ ჯავახიშვილია.

დოკუმენტი ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ, ცხადია სუბიექტურად და ზოგადად, მაგრამ მაინც გვაცნობს ეროვნულ-დემოკრატთა საქმიანობას 1921-24 წლებში. იგი არალეგალურად მოღვაწეობდა, ღრმა კონსპირაციის გამო დოკუმენტებს იშვიათად ქმნიდა. ნებისმიერი ასეთი პირველწყარო კი, ცხადია, ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური გაა'ზრებით, იშვიათი მონაპოვარია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის აღსადგენად. ხელნაწერის სტილი დაცულია (ნ. კ.).

კომიტეტის წევრად)... ივი შეცვალა ხუხუ ხოფერიამ, რომელიც ამ საბაბით იყო შეყვანილი პლენუმის წევრად. ვიქტორ ყარანგოზიშვილი—უძღვებოდა მუშაობას ქ. თბილისში. დიმიტრი გოგნიაშვილი ცკ-ის ხაზინადარი და ახალგაზრდობის ცკ-ს თავმჯდომარე (დაპატიმრებული) მისი დაპატიმრების შემდეგ ფინანსური საქმეები ავიღე საკუთრივ მე, ახალგაზრდული ცკ-ს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა ჯერ ელისე პატარიძე, ხოლო შემდეგ ხუხუ ხოფერია, დაახლოებით ასე იყო განაწილებული მოვალეობანი ცკ-ს წევრებს შორის. არავითარი კომისიები ცკ-სთან არ არსებობდა და კერძოდ არასოდეს არ ჰქონია სახედრო კომისია, რადგანაც ჩვენ საკმარისად ვთვლიდით ჩვენი წარმომადგენლის მუშაობას პარიტეტულ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიაში.

სამაზრო ორგანიზაციები და მათი მუშაობა

1923 წლამდე ჩვენი პარტიის მუშაობა დასავლეთ საქართველოში ხდებოდა უსისტემოდ და ხორციელდებოდა პერსონალურად ცალკეული პირების მიერ. იმერეთში (ქუთაისის და შორაპნის მაზრები) მუშაობდნენ: მიხეილ გვალია, ჭირაქაძე სევერიანი; ისინი აგრეთვე ნაწილობრივ ავრცელებდნენ სამუშაოს ლეჩხუმის მაზრაზეც. ზემო სვანეთში—ბიძინა პირველი. სამეგრელოში (სენაკის და ზუგდიდის მხარეები) ხოფერია.

1923 წლის დასაწყისში ამ სამუშაოს ხელმძღვანელობის მიზნით ცკ-მა დანიშნა დასავლეთ საქართველოს კომიტეტი მიხეილ გვალიას (რომელიც შემდგომში ცეკას პლენუმის წევრად იყო შეყვანილი) და სევარიან ჭირაქაძის შემადგენლობით, ხოლო ზაფხულში ან 1923 წლის ბოლოს იქვე გაიგზავნა ელისე პატარიძე. ამ კომიტეტის გამგებლობაში შედიოდა მუშაობა ბათუმშიც, სადაც მანამდე მუშაობდნენ ვასო მგალობლიშვილი (შეუერთდა ცკ-ს წევრების დეკლარაციას და შემდგომ არ მუშაობდა) და ნიკოლოზ მიქელაძე. ქუთაისში ელისე პატარიძის ჩამოსვლის შემდეგომ მუშაობა შესამჩნევად გამოცოცხლდა და როგორც იტყობინებოდა დასავლეთ საქართველოს კომიტეტი, მოხერხდა კავშირის აღდგენა (შექმნა) სამეგრელოსა და სვანეთთან (პირველი ბ.) მაგრამ, მას შემდგომ, რაც შორაპნის მაზრი-

დან გაემგზავრა მიხ. გვალია, იქ მუშაობა საკმაოდ მოდუნდა. ბათუმთან კავშირი საკმაოდ გაწყდა.

1923 წლის დასაწყისში მუშაობის ჩატარება აფხაზეთში ეკისრებოდა ალ. გვასალიას, რომელმაც ვერ მოასწრო მუშაობის გაშლა, რადგანაც დააპატიმრეს. მას შემდეგ აფხაზეთში მივლინებულ იქნა ხუხუ ხოფერია. ამ უკანასკნელმა დაამყარა რამდენიმე კავშირი და დაბრუნდა ტფილისში, სადაც დარჩა ცკ-ის ნებართვით. მის ნაცვლად აფხაზეთში მივლინებულ იქნა გიორგი გაბუნია, რომელიც მალევე იყო სოხუმში დაპატიმრებული. იელისის ბოლოს ხოფერიას რეკომენდაციით აფხაზეთში ეაიგზავნა ნოფო მიქელაძე, მაგრამ ისიც დააპატიმრეს.

მუშაობა აფხაზეთში ამის შემდგომ წარმოებდა უშუალოდ ცკ-ის მიერ და არ იყო კავშირი დასავლეთ საქართველოს კომიტეტთან (დააპატიმრეს მიხეილ გვალია, სევერიან ჭირაქაძე, და რიგი ადგილობრივი მუშაკებისა), ელისე პატარიძე ჩამოვიდა თბილისში და უკან წასვლაზე უარი განაცხადა. მხოლოდ იელისში ჩვენს მიერ ქუთაისში მუშაობისა და დასავლეთ საქართველოს ახალი კომიტეტის ორგანიზაციის მიზნით გაგზავნილ იქნა გოგი ჭაჭიაშვილი, რომელსაც გამგზავრების წინ ხოფერიამ და ელისე პატარიძემ სიტყვიერად გადასცეს იქაური კავშირები. კავშირს დასავლეთ საქართველოს კომიტეტთან ახორციელებდა გიორგი წინამძღვრიშვილი, ხოლო მისი დაპატიმრების შემდგომ მე. დასავლეთ საქართველოს კომიტეტთან არ არსებობდა არავითარი სამხედრო კომისია და მისი არსებობის აუცილებლობა არც იყო, იმის გამო, რომ მთელი ჩვენი სამუშაო იყო სამხედრო. ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში მუშაობა არ წარმოებდა, რადგანაც ეს მაზრები დასახლებულია არაქართული მოსახლეობით და ჩვენ არასოდეს იქ ორგანიზაციები არ გვყოლია. გორის მაზრაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მუშაობას ახორციელებდა მიხ. იშხნელი. აქ ორგანიზაციები (სოფლად) იყო სუსტი და არამჭიდრო კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან.

დუშეთის მაზრასა და კახეთში (თიანეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრები) კავშირების აღდგენით დაკავებული იყო გიორგი წინამძღვრიშვილი. მისი სიტყვებით მან დაამთავრა ამ მაზრებში პერსონალური კავშირები და აჯანყების მომენტში მასთან კავშირში მყოფი პირები აიყოლიებდნენ ხალხს. წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემ-

დგომ აღნიშნული კავშირები დაიკარგა. ეს ვანაპირობა მისი ხასიათის თვითდაჯერებულობამ და რწმენამ, რომ მას დააპატიმრებდნენ და რის გამოც ის არ ვეანდობდა თავის კავშირებს. წინამძღვრიშვილის გარდა ამავე მაზრებში დამოუკიდებელ მუშაობას ხალხის გადმობირების მიზნით ეწეოდა ქ. ჩოლოყაშვილი.

როგორც ბოლო დროს იტყობინებოდა ქაქუცა, აჯანყების დაწყების მომენტისათვის მას ყავდა მზად 600 კაცი, მაგრამ როგორც ჩვენ შემდგომში დავრწმუნდით, გამოსვლის დროს მას აღმოაჩნდა მხოლოდ 60-მდე კაცი, დანარჩენებმა, მისი თქმით, მასთან შეხვედრის დროს მან ახსნა, რომ მათ უარი თქვეს ვამოსვლაზე. პირადად ჩოლოყაშვილს ჰყავდა 17 შეიარაღებული „შეფიცული", რომლებთან ერთად იგი იმალებოდა ტყეებში.

ბორჩალოს მაზრაში პარტიას ორგანიზაციები არ ჰყოლია. წინამძღვრიშვილი გვეუბნებოდა, რომ მან გააგზავნა იქ ვანო ავალიშვილი, თათრებთან კავშირის დასამყარებლად, წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდგომ მე, შალვა ამირაჯიბის დახმარებით შეეხვდი ავალიშვილს, რომლისვანაც შეეიტყვე, რომ იქ არავითარი მუშაობის ორგანიზაცია არ მოხერხდება,

თბილისის მაზრაში მუშაობა არ წარმოებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ორგანიზაციების სისუსტის მიუხედავად ჩვენ—ნაცდემოკრატებმა—ვადავწყვიტეთ გამოსვლა, რადგანაც არასწორათ ვავითვალისწინეთ მასების ფსიქოლოგია. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჩოლოყაშვილი მისი რაზმით აიყოლიებდა მასებს და შესძენდა მოძრაობას საერთო სახალხო ხასიათს, მაგრამ, როგორც ეხლა ვხედავთ ჩვენ შეეცდით...

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ჩვენ წარმატების იმედი გვქონდა სვანეთში და ნაწილობრივ სამეგრელოში, დანარჩენ რაიონებში ძირითადად უნდა ემოქმედათ მენშევიკებს.

თბილისის კომიტეტის შემადგენლობა და მუშაობა

მუშაობა ქ. ტფილისში დაიწყო 1922 წელს. ამ მიზნით ცეკამ დანიშნა თბილისის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ალ. ახმეტელი (თავმჯდომარე), წევრები: ნიკ. კეცხოველი, ელისე პატარიძე, ვიქტორ ყარანგოზიშვილი და გიორგი გარსიაშვილი. კომიტეტმა დაყო ქალაქი რაიონებად, მაგრამ ვერ მოასწრო მუშაობის გაშლა,

რადგანაც მისი წევრები ალ. ახმეტელი, ვ. ყარანგოზიშვილი და მალევე ნიკ. კეცხოველი დააპატიმრეს. მუშაობას აგრძელებდნენ: გიორგი გარსიაშვილი, ელისე პატარიძე, რომელთაც ეხმარებოდა ლეო დგებუაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის კადრებს ქ. ტფილისში ძირითადად წარმოადგენდა ინტელიგენცია—თავისუფალი პროფესიის ხალხი, ასაკოვანი, რომელიც არ გამოდგებოდა არალეგალური მუშაობისათვის. ამის გამო განსაკუთრებული მუშაობის გაშლა თბილისში არ მოხერხდა.

1923 წლის ზაფხულში ელისე პატარიძე გაემგზავრა ქუთაისს დასავლეთ საქართველოს კომიტეტის შემადგენლობაში მუშაობის მიზნით. გარსიაშვილი დააპატიმრეს. მარტო დარჩენილმა ლეო დგებუაძემ, ბუნებრივია, ვერ შეძლო მუშაობის აწყობა, ამიტომ მას მოახმარეს ჩეკას მიერ განთავისუფლებული ვიქტორ ყარანგოზიშვილი, რომელიც ლეო დგებუაძის დაპატიმრების შემდეგ ეწეოდა მუშაობას უკანასკნელ დრომდე ერთპიროვნულად. რაიონული კომიტეტების შემადგენლობას არ ვიცნობ. მახსოვს, რომ რაიონებში მუშაობდნენ ვახტანგ ზაალიშვილი (სად იმყოფება ამჟამად არ ვიცი), იასონ კერესელიძე (დახვრეტილია). ვიცი, რომ თბილისის კომიტეტის წევრებიდან რაიონებში უშუალოდ მუშაობას ეწეოდა გარსიაშვილი. დოქტორ (ექიმ) ნესტორ კლიმიაშვილის შესახებ ვაჩვენებ, რომ მას შესთავაზეს მუშაობა, მაერამ მასთან გაგზავნილი იასონ კერესელიძე მან არ მიიღო. კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ცეკამ არ იცის (არ აქვს ინფორმაცია) ნათიშვილის თბილისის ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ.

ლეო დგებუაძის დაპატიმრების შემდეგ ვ. ყარანგოზიშვილმა მიატოვა რაიონული ორგანიზაციების სისტემა და გადავიდა ათეულების ორგანიზაციების სისტემაზე, როგორც ეს მე მახსენდება, მან მოახერხა ორი თუ სამი ათეულის ორგანიზაცია.

ახალგაზრდული ცკ-ის შემადგენლობა და მუშაობა

ახალგაზრდების ცკ-ი იყო ორგანიზებული დაახლოებით 1921 წლის ბოლოს, თანაც ის ჩამოყალიბდა თავისთავად და ცეკა, რომელიც ფაქტის წინაშე დადგა, იძულებული იყო დაემტკიცებინა მისი შემადგენლობა, რომელშიც შედიოდნენ: კალე მისაბიშვილი, ელისე პატარიძე, ლეო დგებუაძე, ნიკო კეცხოველი, ვახტანგ ზაალიშვილი. 1922

წლის გაზაფხულზე მისაბლიშვილი და პატარიძე დააპატიმრეს, დანარჩენები აგრძელებდნენ მუშაობას.. შემდგომ ცკ-ს შემადგენლობაში მოხდა რიგი ცვლილებებისა, ასე მაგალითად: კომიტეტიდან ადრე განთავისუფლებული პატარიძე კვლავ შეეიდა მის შემადგენლობაში. მისაბლიშვილი განთავისუფლების შემდეგ მოკლულ იქნა. ნიკო კეცხოველი დააპატიმრეს და გავიდა პარტიიდან. ზაფხულის დასაწყისში, იმის შედეგად, რომ პატარიძე და დვებუაძე გადაყვანილ იქნენ სხვა სამუშაოზე, ხოლო ვახტანგ ზაალიშვილმა თავად აარიდა სამუშაოს თავი, შეიქმნა ახალი შრომისუნარიანი ცკ. შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დიმიტრი გოგნიაშვილი, მიხეილ ხოფერია და ივანე სინჯიკაშვილი, რომელმაც დაიწყო სისტემატური მუშაობა მხოლოდ 1923 წლის სექტემბრიდან (სასწავლო წლის დასაწყისში). ახალგაზრდათა ცეკას მთელი მოღვაწეობა ძირითადად ერცელდებოდა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტებზე და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი არსებობდნენ ორგანიზაციების შექმნის ადგილებზე უკავშირდებოდნენ უფროსების ადგილობრივ სამაზრო ორგანიზაციებს. ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან მე ვიცნოდი ქუთაისის ორგანიზაციას. ცკ-ის უკანასკნელი შემადგენლობის გარდა მისი წინა შემადგენლობები ეწეოდნენ მუშაობას რვოლებად და აწარმოებდნენ აკადემიურ მუშაობას სტუდენტთა გარემოში. ცკ-ის უკანასკნელი შემადგენლობა კი (გოგნიაშვილი, ხოფერია, სინჯიკაშვილი) იმასთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გარდა ლეო დვებუაძისა ეეალებოდა წინამძღვრიშვილს, გადაიჭრა სამხედრო მუშაობაში, ხოლო აკადემიური მუშაობა გადაისროლა უკანა პლანზე. გიორგი წინამძღვრიშვილის მიერ გამომუშავებული სისტემის მიხედვით ახალგაზრდულმა ცეკამ დაჰყო თავისი ორგანიზაცია ათეულებად და ასეულებად. ყველა ათეულში განხორციელდა ფიცის მიცემა და ორგანიზაციის წევრების აღრიცხვა. მათ მიერ სამხედრო სამსახურის გავლის, სამხედრო მომზადების და იარაღის შესაძლო ჰქონის (ქონების) მიმართებით. აღნიშნული მუშაობა ცხადდებოდა ორგანიზაციის მზადყოფნაში ყოლის მიზნით თბილისში გამოსვლის შემთხვევაში. სტუდენტური ორგანიზაცია ითვლიდა არასრულ 3 ასეულს, ე. ი. დაახლოებით 30 ათეულს. ლეო დვებუაძისა და ახალგაზრდათა ცკ-ის დაპატიმრების შემდგომ, ამა წლის აპრილში მუშაობა ახალგაზრდობასთან დაეევალა ელისე პატა-

რიძეს, რომელმაც საკუთარი თავმჯდომარეობით შექმნა ახალი ცკ სტუდენტების შალვა აბაშიძისა და დავით გაბუნიას შემადგენლობით. ახალგაზრდათა ახალ ცკ-ს რამდენადაც ჩემთვის ცნობილია დაუმყარებია კავშირი მხოლოდ 10 ათეულთან. მას შემდეგ რაც ამა წლის ზაფხულში ელისე პატარიძემ განაცხადა, რომ უარს ამბობს მუშაობაზე და მოინდომა ხელისუფლებასთან შერიგება (ჩვენ გავანთავისუფლეთ იგი მუშაობისაგან) და შალვა აბაშიძის დაპატიმრების შემდეგ დაახლოებით ივნისში ან იელისში მუშაობა ახალგაზრდობასთან დაეკალა ხუხუ ხოფერიას. უკანასკნელმა დაიწყო ცეკას წევრების შერჩევა, მაგრამ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ჩვენს დაპატიმრებამდე მან ვერ შესძლო ახალი ცკ-ის შექმნა,... მას მიეცა განკარგულება შეეწყვიტა სამხედრო მუშაობა და გადასულიყო წმინდა აკადემიურ მუშაობაზე.

აღრეე ჩემამდე მოდიოდა ხმები, რომ ხოფერია, რომელიც მიხ. კოღუაშვილისა და მისი ამხანაგების წრეში ტრიალებდა, ხშირ ქეიფებს ეწეოდა. ამის შესახებ მე გადმომცა სულიკო ზალდასტანიშვილმა რომელიღაც მოსწავლის სიტყვებით. ტფილისის კომიტეტში ჩვენ ვიცნობდით კოღუაშვილს, როგორც ადამიანს დანაშაულებრივი თვისებებით, ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენდა იგი ჩემზე პირადი შეხვედრის დროს, ჩვენ გაგვიჩნდა ეჭვი, აღნიშნული ქეიფების ფულადი წყაროს გამო, მითუმეტეს, რომ ყველანი განვიცდიდით უფულობას. მე ვიხმე ხუხუ ხოფერია და უშუალოდ შევთავაზე გაეწყვიტა კავშირი კოღუაშვილთან, არ ჰქონოდა მასთან პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობა და ხელი აეღო ქეიფებზე. კოღუაშვილის დაპატიმრების შემდეგ მე შევამჩნიე, რომ ხოფერია ჩაერთო მუშაობაში ახალგაზრდათა შორის. იმის გამო, რომ გავრცელდა ხმები, თითქოს იგი ჩეკას აგენტი ყოფილიყოს (ამ ხმებს ძირითადად აერცელებდნენ მენშევიკების წრე, ჩვენ ცეკას ამ ხმების არ ჯეროდა) მისი სამუშაო არაპროდუქტიული იყო, რადგანაც ჩვენი ახალგაზრდობა თავს არიდებდა მას. ამ მიზეზით და აგრეთვე იმის გამო, რომ ცეკასაც აგრეთვე ეჭვი ეპარებოდა მასში, ჩვენ ვცადეთ შეგვერჩია მუშაობისთვის სხვა პიროვნება, მაგრამ ვერ მოვასწარით. ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ თავდასხმებისა და ძარცვის განხორციელების შესახებ ხუხუ ხოფერიას მუშაობის პერიოდში ჩემთვის კონკრეტული არაფერია ცნობილი. თავისუფლებაში წინამძღვრიშვილის ყოფნის

დროს უკანასკნელმა გადადგა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები. საქმე იმაშია, რომ წინამძღვრიშვილის დაპატიმრებამდე ჩვენ განვიცდიდით მატერიალურ სახსრების მწვავე უქონლობას, ვიღაცის შემწეობით წინამძღვრიშვილმა მიიღო შემოწირულობა 500 ლირის ოდენობით, მაგრამ როდესაც ეს ფული დაიხარჯა, მან ლეო დგებუაძესთან ერთად დაიწყო რაღაც ექსპროპრიაციის მზადება. წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ ეს საქმე გააგრძელა ლეო დგებუაძემ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ახალგაზრდათა ორგანიზაციის იარაღის საწყობის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი, ვიცი, რომ ცეკას წევრებს ჰქონდათ რამოდენიმე რევოლვერი.

ტიპოგრაფია

პირველი პროკლამაცია გამოშვებული იქნა პარტიის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის, ე.ი. 1922 წლის 25 თებერვლისათვის. მაშინ ჩვენ ტიპოგრაფია არ გვქონდა. ეს საქმე აიღო თავის თავზე კალე მისაბიშვილმა, სად დაიბეჭდა პროკლამაცია, ჩემთვის უცნობია.

1923 წლის დასაწყისში თბილისის კომიტეტის წევრმა გიგლა გარსიაშვილმა განაცხადა, რომ მას აქვს შესაძლებლობა შეიძინოს პარტიისათვის არალეგალური ტიპოგრაფია. მას გამოეყო აუცილებელი თანხა (დაახლოებით 20-25 მილიონი). ამგვარად პარტიამ შეიძინა საკუთარი ტიპოგრაფია.

სულ იყო გამოშვებული 4 პროკლამაცია („თეზისები", „დეკლარანტების" მიმართ დამოკიდებულებების შესახებ", მათ მიერ პარტიის დაშლასთან დაკავშირებული კონფერენციის მიწვევასთან დაკავშირებით, ახალგაზრდული ცეკას პროკლამაცია).

შემდგომ, იმის გამო, რომ გარსიაშვილმა დაუშვა შეცდომა ტიპოგრაფიის შესყიდვისას, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ მან არ იცოდა ტიპოგრაფიის ადგილ-მდებარეობა და ენდო რა პირს, რომელმაც მიჰყიდა ტიპოგრაფია, აძლევდა მას შეკვეთებს და ღებულობდა მზა პროკლამაციებს, ამ უკანასკნელმა მოუწყო შანტაჟი ფულის გამოძალვის მიზნით. გარსიაშვილს მიეცა წინადადება ჩაებარებინა ტიპოგრაფია მიხეილ ხოფერიასათვის. დიდი ძალისხმევის შედეგად

ტიპოგრაფია გადატანილ იქნა მიშა ხოფერიას მიერ წარგზავნილი ხალხის ხელით. შემდგომში პროკლამაციების გამოშვება შეწყდა, რადგანაც ჩვენ არ გვყავდა კაცი, რომელსაც შეეძლო ჩარხზე მუშაობა. თვით ჩარხის გადმოცემის დროს დააკლდა რაღაც ნაწილი, მიხეილ ხოფერია დააპატიმრეს. კავშირი ტიპოგრაფიასთან შეწყდა.

მომავალში მე არ მიცდია ამ კავშირის განახლება. ვიცი, რომ ტიპოგრაფია უნდა იმყოფებოდეს ახალგაზრდული ორგანიზაციის რომელიმე წევრთან. ამა წლის ივლისში ახალგაზრდათა ცეკამ გამოუშვა პროკლამაცია, როგორც მე განმიცხადა ელისე პატირიძემ, იგი დაბეჭდილა ფედერალისტებთან.

დამოკიდებულება ცკ-ს წევრებთან, რომლებმაც გამოუშვეს დეკლარაცია პარტიის დაშლის თაობაზე

ჩვენ, ცკ-ის წევრებმა, რომლებიც დავრჩით არალეგალურ მდგომარეობაში, სრულად არ ვიცოდით იმის შესახებ, რომ მიმდინარეობდა მუშაობა დეკლარაციის შესადგენად პარტიის დაშლის მიზნით, და ბოლოს აღმოვჩნდით ფაქტის წინაშე. დეკლარაციის ტექსტი და სული მე სრულებით არ მომეწონა. ხალხი, რომელიც ჩვენთან ერთად ღებულობდა მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში, ავანტიურისტებს გვიწოდებდნენ და ცდილობდნენ წარმოეჩინათ თავის თავი თითქმის ბოლშეეიკებად. რამდენადაც ჩვენ შევამჩნიეთ „საზოგადოებაც“ წინააღმდეგი იყო ამ დეკლარაციის.

ამით აიხსნება ჩვენი მკვეთრი გალაშქრების ფაქტი მათ წინააღმდეგ ჩვენს პროკლამაციებში. უფრო ოსტატურად რომ მოვედგომოდნენ „დეკლარანტები“ (როგორც ჩვენ მათ ვუწოდებდით), ალბათ შესძლებდნენ ჩვენთან საერთო ენის გამონახვას. როგორც ზემოთ აღვნიშნე ჩვენ არ ვიცოდით დეკლარაციის მზადების შესახებ, ხოლო მისი გამოშვების შემდეგ ჩვენ არ ჩავთვალეთ შესაძლებლად მათთან მოლაპარაკება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ცდილობდა ჩვენთან კონტაქტის დამყარებას (მიხ. ჯაკახიშვილი). მხოლოდ წინამძღვაროვს ჰქონდა შეხვედრა ალ. ახმეტელთან იმ მიზნით, რომ დაედგინა დეკლარაციის გამოშვების მიზეზები... მიუხედავად ამისა ჩვენი დამოკიდებულება დეკლარანტებისადმი უცვლელია. დეკლარა-

ციის ტექსტი ჩვენ გავუგზავნეთ კონსტანტინოპოლის კომიტეტს. და მათ გვთხოვეს გაგვეგზავნა ჩვენი პასუხის დარეგულირება დეკლარანტებზე. ჩვენ გავუგზავნეთ პროკლამაცია.

ზოგადად დეკლარაციას არ მოუხდენია განსაკუთრებული გავლენა ჩვენ შეხედულებებზე.

სამხედრო ორგანიზაცია

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გავლენა ჰქონდა მხოლოდ ერთადერთ რაზმზე, ეს იყო ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი. ამ უკანასკნელის ისტორია შემდეგია. ჩოლოყაშვილი ჩვენი პარტიის წევრია. ტყეში გასვლამდე მას კავშირი ჰქონდა ჩვენი ცკ-ის წევრ დავით ვაჩნაძესთან, რომლის ხელმძღვანელობითაც ეწეოდა ორგანიზაციულ მუშაობას კახეთში.

როდესაც ჩოლოყაშვილმა გაიგო, რომ ხელისუფლება მას სდევნის და სურვილი აქვს მისი დაპატიმრებისა, იგი რამდენიმე ახლობელ პირთან ერთად შეიარაღდა და ტყეს მიაშურა. მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიგეთ, რომ ჩოლოყაშვილმა დაიწყო აგრესიული ქმედება აღგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, ჰქონდა მასთან შეიარაღებული შეტაკებები, მოახდინა კომუნისტთა მკვლელობები, ჩვენ (ე.ი. ცკ-მა) გადავწყვიტეთ გაგვეგზავნა მასთან შალვა ამირაჯიბი, რომელსაც დირექტიულად უნდა შემოეთავაზებინა ჩოლოყაშვილისათვის—არ მიეღო არავითარი ქმედება ხელისუფლების მიმართ და მისი მხრივ თავდასხმის შემთხვევაში შემოფარგლულიყო მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიებებით.

ამირაჯიბმა შეასრულა თავისი მისია. დაბრუნდა უკან და შეეგატყობინა, რომ ჩოლოყაშვილი თანხმდება ჩვენს წინადადებას. მალე ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩოლოყაშვილმა მაინც განახორციელა რაღაც თავდასხმა, ამიტომ იძულებული შევიქენით გაგვეგზავნა მასთან სიმონ ყიფიანი მუდმივი დაკვირვებისათვის (კონტროლის მიზნით). როდესაც ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით გადავიდა დუშეთის მაზრაში, მას დაუწყეს გაძლიერებული დევნა და იგი იძულებული იყო წასულიყო ხევსურეთში. იცოდა რა, რომ მას უკან ჯარი მიჰყვება, მან ჯარის წინააღმდეგ მოაწყო ვამოსვლა ხევსურეთში. ააჯანყა ხალხი.

ცდილობდა აეჯანყებინა კახეთიც, მაგრამ აქ ჩაერია ცკ-ი და წინადადება მისცა ჩოლოყაშვილსა და ადგილობრივ ორგანიზაციას ხელი აეღოთ ამ ამბისაგან. წერილი, რომელიც უპოეეს მოკლულ რაზმის წევრს ფაელენიშვილს და რომელიც შემდგომ გამოქვეყნდა გაზეთში, ხელმოწერით „სამფერი“ და „მუხა“, დაწერილი იყო დათა ვაჩნაძის მიერ ერთპიროვნულად. როგორც მოგეხსენებათ წერილში შტაბის სახელით წინადადება ეძლეოდათ соорганизоваться, დაკავშირებოდნენ რომელიღაც თათრებს და დალოდებოდნენ 22 წლის 20 სექტემბრისათვის პაკეტს, რომელშიც მითითებული იქნებოდა გამოსელის დღე (ცკ და პარიტეტული კომიტეტი მაშინ სრულებით არ ფიქრობდნენ გამოსელას). ამ წერილისათვის დათა ვაჩნაძე გარიცხული იქნა ცკ-ის შემადგენლობიდან. „სამფერი“ ვაჩნაძის ფსევდონიმია, ხოლო „მუხა“ ეს გამოგონილი პიროვნებაა. ვაჩნაძემ გააკეთა ეს ხელმოწერა, რათა მიეცა წერილისათვის მეტი ძალა.

ხევსურეთის ამბების შემდეგომ ჩოლოყაევი გადავიდა ჩრდ. კავკასიაში, სადაც დაუკავშირდა ალი მიტაევს, რის შესახებაც ჩვენ შეგვატყობინა წინამძღვაროვის პირით. ამ უკანასკნელს ჰქონდა კავშირი ჩოლოყაევთან დათა ვაჩნაძის გარიცხვის შემდეგ.

გასული, 1923 წლის დეკემბერში, ვისარგებლეთ იმით რა, რომ ჩოლოყაშვილი იმყოფებოდა ტფილისთან ახლოს, გარე კახეთში, ჩვენ გამოვიძახეთ იგი ქალაქში. იგი ჩამოვიდა რაზმის ორ წევრთან ერთად. შეხვედრა მასთან მოხდა წინამძღვაროვის ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაზე, სადღაც პეტრე დადიანის ქუჩის ზევით. შეხვედრას ესწრებოდნენ ამირაჯიბი, წინამძღვრიშვილი, მე და სოლომონ ზალდასტანი. ჩვენთან საუბარში ჩოლოყაევი მოითხოვდა გამოსვლის დაჩქარებას. მან განაცხადა, რომ აქვს წარმატების იმედი კახეთში, სადაც თითქოსდა ნიადაგი უკვე შეამზადა და გვარწმუნებდა, რომ მხარს დაგეიჭერდა ჩეჩნეთი. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ვამზადებთ გამოსელას თებერვლისათვის და ვურჩიეთ მომზადებულიყო საზღვარგარეთ გასამგზავრებლად თუ გამოსელას ვერ შევძლებდით.

ფაღავასა და წინამძღვაროვის დაპატიმრების გამო გამოსვლა თებერვალში არ შედგა. კავშირი ჩოლოყაშვილთან დაეკისრა სოლომონ ზალდასტანს, რომლის პირითაც ჩვენ შევატყობინეთ ჩოლოყაევს, რომ მაინც ვემზადებოდით აჯანყებისათვის. თვითონ ჩოლოყაევს არც

ჰქონია აზრად რაზმის დაშლა და პირიქით წერდა, რომ თუ ჩვენ არ გამოვალთ, იგი თვითონ გამოეა.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ჩოლოყაშვილთან მუდმივ კავშირს ახორციელებდა ენდპ-ს ცკ, ჯერ კიდევ 1923 წლის დასაწყისიდან იგი ფორმალურად ირიცხებოდა პარიტეტულ კომიტეტში და არსებობდა ამ უკანასკნელის სახსრებზე. ყოველთვიურად მას ეგზავნებოდა 200 ლირა. მაგრამ ის 200 ლირა, რომელიც დაპატიმრებისას ჩამოერთვა დიმიტრი გოგნიაშვილს, განეკუთვნებოდა ჩოლოყაშვილს, რომლისთვისაც ეს ფული უნდა გაეგზავნილიყო ზალდასტანის ხელით.

ჩოლოყაევის რაზმის გარდა არც პარიტეტულ კომიტეტს და არც ჩვენ ცკ-ს ამგვარი რაზმი არ ჰყოლია. ყველა დანარჩენი რაზმი, ისეთი მაგალითად, როგორიც ლაშქარაშვილისა და სხვა, წარმოადგენდნენ მენშევიკურ რაზმებს და ირიცხებიან მათი პარტიის სამხედრო კომიტეტებში. მათი ფულადი უზრუნველყოფა ხდებოდა ამ უკანასკნელის სახსრებით.

„ექსპროპრიაციები და ტერორი“

საკითხი ექსპროპრიაციის შესახებ 1923 წლის დასაწყისამდე თითქმის არავის დაუყენებია. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გასული წლის დასაწყისში ჩვენ დავდექით სადგურ ბოსლეევში სამგზავრო მატარებლის გაძარცვის ფაქტის წინაშე, ჩვენ გამოვამჟღავნეთ დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ძარცვის ფაქტის შესახებ ჩვენ შევიტყვეთ რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი პარტიის შორაპნის ორგანიზაციის წარმომადგენლისაგან, რომელიც მოხსენებისათვის ჩამოვიდა თბილისში და შეხვდა ვ. წინამძღვრიშვილს. უკანასკნელი აღნიშნულ წარმომადგენელთან საუბარში შეეხო გაძარცვის საკითხს, რაზეც მიიღო პასუხი, რომ გაძარცვა ნამდვილად შედგა სადგურ ბოსლეევში და მის ორგანიზაციაში მონაწილეობა მიიღო მიხეილ ევალიამ. ვიცოდით რა ცკ-ს აზრი მუშაობის ასეთი მეთოდების შესახებ და გავითვალისწინეთ რა ის, რომ შორაპნის ორგანიზაციის წარმომადგენელი მეორე დღეს უნდა გამგზავრებულიყო, მე და წინამძღვაროვმა (ამ საუბრის შესახებ მე ვაეიეე ამ უკანასკნელისაგან) მივწერეთ წერილი ევალიას, რომელშიც მივუთითეთ, რომ მას არა აქვს უფ-

ლება ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ისეთი საკითხი, როგორც მატარებლის გაძარცვაა, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცეკას სანქციით და რომ მისი საქციელი უნდა მიიღოს მხედველობაში. შემდგომში ცკ-ს სხდომაზე დაყენებული იქნა საკითხი გვალიას გარიცხვისა ცკ-ის წევრობიდან, მუშაობიდან ჩამოშორების მიზნით, მაგრამ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი იყო კარგი ორგანიზატორი და მისი შეცვლა იმჟამად შეუძლებელი იყო, საკითხი ცკ-ის სხდომის დღის წესრიგიდან მოიხსნა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1924 წლის დასაწყისში წინამძღვაროვი და ლეო დგებუაძე ამზადებდნენ ექსპროპრიაციას, წინამძღვაროვის დაპატიმრების შემდგომ ცკ-ის ერთ-ერთი სხდომის დამთავრებისთანავე, რომელზედაც სხვათა შორის ლეო დგებუაძე მსაყვედურობდა სისუსტეს მატერიალური საშუალებების გამოძებნის საქმეში, პირად საუბარში განმიცხადა, რომ მალე იშოვის ფულს. მე მივხვდი, რომ საუბარი ეხებოდა იმ ექსპროპრიაციას, რომელიც ლეო დგებუაძემ მოამზადა წინამძღვრიშვილთან ერთად და განვუცხადე, რომ ცკ-ს სანქციის გარეშე ამის უფლება არ ჰქონდათ. ლეო დგებუაძემ მიპასუხა, რომ მან იცის თავის საქმე. შემდგომში ამის თაობაზე მე ეესაუბრე ცკ-ს წარმომადგენელს შალვა ამირაჯიბს, რომელსაც მივუთითე იმაზე, რომ ახალგაზრდობა ამზადებს ექსპროპრიაციას. ამირაჯიბმა მიპასუხა, რომ მან იცის ეს საქმე და რომ აქედან თითქოს არაფერი გამოვა. ამგვარად საკითხი ექსპროპრიაციის შესახებ ცკ-ს სხდომაზე არ დაუყენებიათ, მაგრამ მუშაობა ამ მიმართებით მიმდინარეობდა. საქმე იმაშია, რომ ჩვენს ცკ-ში თავმჯდომარეს გააჩნდა ძალზე ფართო რწმუნებები და ზოგიერთი საკითხები ტარდებოდა ცხოვრებაში ცეკას ცალკეულ წევრებთან შეთანხმებით(?), თუმცა ამ შემთხვევაში მე ეჭვი მეპარება, რომ შალვა ამირაჯიბმა იცოდა მომზადებული ექსპროპრიაციის შესახებ და დარწმუნებული ვარ, რომ ზემოაღნიშნული ფრაზა წარმოთქვა ჩემს დასაწყნარებლად, ხოლო მის ხელში არსებული ძალაუფლება გამოიყენა ექსპროპრიაციის თავიდან ასაცილებლად. ჩვენი პარტიის მიერ ექსპროპრიაციის მზადებისა და ან განხორციელების სხვა შემთხვევები ჩემთვის უცნობია.

რაც შეეხება ტერორს, იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მოკლულ იქნა კალე მისაბიშვილი. „სამხედრო ცენტრის“ ორგანიზაციის ჩავარდნისა და ჩვენი ცკ-ს წევრთა ნაწილის დაპატიმრების

შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ისინი ვასცა მისაბიშვილმა, მაგრამ ამის დამტკიცებული ფაქტები ხელთ არ გექონდა და მისაბიშვილი მუშაობას არ ჩამოაშორეს. ის ვანაგრძობდა მუშაობას ახალგაზრდობის ცკ-ში, ვეხვდებოდა ჩვენ, ე. ი. უფროსი თაობის ცკ-ს წარმომადგენლებს და ღებულობდა წარმომადგენლებს მაზრებიდან. ამავე დროს ის ვამოთქვამდა აზრებს პარტიის ლეგალიზაციის შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ. იმის გამო, რომ დაპატიმრება გრძელდებოდა, მე დროებით ვაეწყვიტე ყველასთან კავშირი და მოულოდნელად შევიტყვე გაზეთებიდან, მისაბიშვილის მკვლელობის ამბავი. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც მე ეხვდებოდი წინამძღვრიშვილს, შევიტყვე, რომ ახალგაზრდების ორგანიზაცია მოითხოვდა მისაბიშვილის, როგორც პროვოკატორის სიკვდილით დასჯას, რაზეც ივი იძულებული იყო დათანხმებულიყო, რადგან მისაბიშვილს მაინც მოკლავდნენ. შემდგომში თვით კოღუაშვილი მეუბნებოდა, რომ მისაბიშვილის მკვლელობა მას დაავალა წინამძღვრიშვილმა. ჩვენ არ გექონდა მისაბიშვილის პროვოკატორობის მამხილებელი ფაქტები არც მკვლელობამდე და არც მკვლელობის შემდეგ. გარდა იმისა, რომ მან შეიცვალა პოზიცია და ვანიზრახა პარტიის ლეგალიზაცია. მისი მკვლელობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ იმით, რომ იყო საკმაოდ საგანგაშო დრო. ახალგაზრდობის ქმედების დასახასიათებლად შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ფაქტი. როგორც ზევით აღვნიშნე, ხუხუ ხოფერია ასევე იქნა ეჭვმიტანილი პროვოკატორობაში. ერთხელ ახალგაზრდებმა გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, აგვისტოს თვეში გაიგეს რა რომელ სახლში იმყოფებოდა ხუხუ, ალყა შემოარტყეს მას და „დააპატიმრეს“ ივი. ამის შესახებ მე მიამბო სოლ. ზალდასტანიშვილმა, რომელმაც დიდი გაჭირვებით შეძლო დაერწმუნებინა ახალგაზრდობა ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე.

პარიტეტული კომიტეტის მიერ აჯანყების მზადების მსვლელობა

პარიტეტული კომიტეტის შექმნის იდეა (შეიქმნა 1922 წლის აგვისტოში) წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ვამომდინარეობდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთობლივი ბრძოლის მისწრაფებიდან. ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელია საზღვარგარეთ მყოფი

მთავრობისა და საზღვარგარეთის ბიუროს მოღვაწეობის გზითაც.

1922 წლის სექტემბერში ენდპ-ს ერთ-ერთ სხდომაზე დავით ვაჩნაძემ გააკეთა მოხსენება, რომელშიც შეეხო ჩოლოყაშვილის გამოსვლას ხევსურეთში და მის მიზანსწრაფვას ამ გამოსვლაში კახეთის ჩათრევისკენ. მან შემოიტანა წინადადება მხარი დაგვეჭირა ხევსურებისათვის და გაგვეფართოებინა მოძრაობა. საკითხს უყარეს კენჭი და ხმების უმრავლესობით იგი უკუგდებული იქნა (წინააღმდეგი გამოვიდნენ მიხ. ჯავახიშვილი, წინამძღვრიშვილი და მე, მხარი დაუჭირეს: აფხაზმა და ვაჩნაძემ). მიღებული იქნა გადაწყვეტილება: მიეცეს წინადადება ჩოლოყაშვილს ხევსურეთის გამოსვლის ლიკვიდაციის თაობაზე. ეს გადაწყვეტილება ჩოლოყაევისათვის უნდა ეცნობებინა დავით ვაჩნაძეს. მაგრამ მან მისწერა წერილი სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისა, რისთვისაც გარიცხული იქნა ცკ-ს შემადგენლობიდან.

ხევსურეთის გამოსვლის დაწყების მომენტისთვის პარიტეტულ კომიტეტში სამხედრო სპეციალისტებისაგან შექმნილ იქნა განსაკუთრებული სათათბირო ორგანო ე.წ. „სამხედრო ცენტრი". მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვარდენ წულუკიძე (მენშევიკი), კოტე აფხაზი (ეროვ.დემოკ.). ამ ცენტრის დანიშნულება იყო მიეცა შეფასება ხევსურეთის გამოსელისათვის, მაგრამ ეს ცენტრი არც ერთხელ არ შეკრებილა. როცა მოვლენები ხევსურეთში გაფართოვდა და გამომჟღავნდა ჩვენი ცკ-ის უარყოფითი დამოკიდებულება ამ გამოსვლისადმი პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარემ—კოლია ქარცივაძემ მოიწვია პარიტეტული კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა „სამხედრო ცენტრთან", რომელიც ამ დროისათვის გაფართოვდა. ამგვარად სხდომას ესწრებოდნენ: კოლია ქარცივაძე, მე, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი, ალ. ანდრონიკაშვილი. ამ უკანასკნელი სამეულის მოწვეეით როსტომ მუსხელიშვილი.

სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო არ არის მზად აჯანყებისათვის და წინადადება მიეცა ჩოლოყაევის გამოსვლის ლიკვიდაციის თაობაზე. ამის წინააღმდეგ წავიდა მხოლოდ კოტე აფხაზი. ასეთი იყო ჩვენი დამოკიდებულება აჯანყებისადმი იმ დროს. შემდგომ ამისა საქართველოში ჩამოვიდა ნოე ხომერიკი. ამ უკანასკნელმა პარიტეტული კომიტეტის უახლოეს სხდომაზე გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა საზღვარგარეთ ყოფილი მთავ-

რობისა და საზღვარგარეთის ბიუროს საქმიანობა, რომლის შემდეგაც საკითხი საქართველოს შესახებ გახდა პოპულარული და დაყენებული იქნა კანის კონფერენციაზე, სადაც განიხილებოდა გენუის კონფერენციაზე ყოფილი მთავრობის წარმომადგენლების მოწვევის საკითხი. თუმცა საბოლოო პასუხი იყო უარყოფითი. ბოლოს ხომერიკმა სთქვა, რომ საქართველოში მოხდება აჯანყება, რომელიც გაიტანს თავს თუნდაც ორ თვეს, არის იმედი, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიული ჩარევისა და ფულადი დახმარებისა.

სამხედრო ცენტრის დაპატიმრების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში პარიტეტულ კომიტეტში არავითარი სამხედრო ორგანიზაცია არ შექმნილა. მხოლოდ 1923 წლის იელისში, როდესაც პარიტ. კომიტეტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების შესახებ, იყო შექმნილი განსაკუთრებული სამხედრო კომისია: ნოე ხომერიკის (მენშევიკი) და გიორგი წინამძღვრიშვილის (ეროვ. დემოკ) შემადგენლობით. ხომერიკის დაპატიმრების შემდეგ იგი შეცვალა გოგიტა ფაღავამ. კომისიამ ჩაატარა შემდგომი მუშაობა: დაუკავშირდა ყველა პროვინციას. სამხედრო წეერების მიხედვით გარდაქმნა ყველა სამაზრო ორგანიზაცია. წინამძღვრიშვილის სახით ჰქონდა უშუალო კავშირი ჩოლოყაშვილთან. დაუკავშირდა ჩრდ. კავკასიას (წინამძღვრიშვილის, ლეო დგებუაძის და იშხნელის გამგზავრება ჩრდ. კავკასიაში, ალი მიტაევის კურიერების ჩამოსვლა საქართველოში). ჩრდ. კავკასიის, აზერბაიჯანის (კავშირი დაამყარეს მენშევიკებმა და იმდენად წარუმატებლად, რომ შემდგომში ჩამოსულმა აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ჩააგდო გოგიტა ფაღავა) თბილისში მუშაობისათვის გამოიყო სპეციალური სამხედრო ქვეკომისია კახიანისა (მენშ.) და ზალდასტანის (ეროვ. დემოკ.) შემადგენლობით.

1923 წლის დეკემბერში პარიტ. კომიტეტი ფიქრობდა გამოსვლის დაწყებას უახლოეს ორი თვის განმავლობაში. კერძოდ კი თებერვალში. მაგრამ ფულის უქონლობის გამო და რაც მთავარია, ფაღავასა და წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ, გამოსვლა გადაიდო. დაპატიმრებული იქნა აგრეთვე თბილისის სამხედრო ქვეკომისიის წევრი კახიანი, რომელიც შესცვალა ვასილ ნოდიამ. ფაღავასა და წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ, თბილისის სამხედრო ქვეკომისიამ ნოდიასა და ზალდასტანის შემადგენლობით თავის თავზე

აიღო სამხედრო კომისიის ფუნქცია და აგრძელებდა მის მუშაობას. ვასილ ნოდიას დაპატიმრების შემდეგ მენშევიკებმა წამოაყენეს სამხედრო კომისიის წევრობის კანდიდატად ვალიკო ჯუღელი, მაგრამ ჩვენმა პარტიამ აცილება მისცა მას, როგორც რეგულარული სამხედრო ძალების ორ სისტემიანობის მომხრეს (არმიის და სახალხო გვარდიის) და როგორც სახელმწიფოებრიობის განადგურების დამნაშავეს ძველი მთავრობის დროს. მაგრამ მენშევიკების პროტესტების შემდეგ და მას მერე, რაც ჯუღელი ფაქტიურად ორჯერ დაესწრო პარიტეტული კომიტეტისა და სამხედრო კომისიის ეაერთიანებულ სხდომას, პარიტეტული კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მისი კანდიდატურა სამხედრო კომისიაში. უნდა აღინიშნოს, რომ მისი კანდიდატურის დამტკიცების დროს იგი დააპატიმრეს. პარიტეტულ კომიტეტისა და სამხედრო კომისიის პირველი ერთობლივი სხდომა ჩატარდა ივლისის დასაწყისში სადგურის მიდამოებში. სხდომას ესწრებოდნენ: კ. ანდრონიკაშვილი, მე, ბოჭორიშვილი, ჯუღელი, ზალდასტანი, აგრეთვე ესწრებოდა შ. ამირაჯიბი. სამხედრო კომისიის მოხსენება წაიკითხა სოლომონ ზალდასტანმა. მისი დედააზრი იყო შემდეგი: აჯანყების მოწყობას აღ. საქართველოში თავის თავზე იღებს ჩოლოყაშვილი, რომლის განკარგულებაშია 600 შეიარაღებული კაცი. მან უნდა ააჯანყოს კახეთი, დუშეთის მაზრა და მანგლისის რაიონი. გარე კახეთში აჯანყებას აწყობს მენშევიკების პარტია. ლაშქარაშვილს სამხედრო კომისია არ ითვალისწინებდა. ალბათ იმიტომ, რომ მას არ ჰყავდა შეკავშირებული სამხედრო ძალა. არ უხსენებიათ აგრეთვე ცაგურიაც, თუმცა მე ვიცოდი, რომ იგი მენშევიკების ორგანიზაციაში მუშაობს (დავით ვაჩნაძის საქართველოში ყოფნის დროს, ცაგურიას ჰქონდა ამასთან კავშირი და იგი გამოდიოდა მენშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ შემდგომ მათი ურთიერთობა განელდა და ცაგურია გადავიდა მენშევიკების მხარეს). ჩვენი ძალების აღრიცხვა დასავლეთ საქართველოში ზალდასტანმა წარმოადგინა შემდეგი სახით: ეურიას (მენშევიკები) გამოჰყავს 700 შეიარაღებული კაცი, ბათუმს (ეაერთიანებული ორგანიზაცია) 300 შეიარაღებული კაცი, სვანეთს 600 შეიარაღებული, რამდენიმე ასეული სამეგრელოს. თანაც სვანეთს და სამეგრელოს ხელში უნდა აეღო აფხაზეთი, თავისი ძალების იქ მიმართვის გზით. იყო რაღაც იმედი იმერეთის მხარიდანაც, ძირითადად შორაპნის მაზრიდან.

აჯანყების გეგმაში შედიოდა მთავრობის იარაღის საწყობების ხელში ჩაგდება, ამ იარაღის გადაცემა მოსახლეობისადმი და გამოსვლის გაფართოება. ქ. თბილისში 500 შეიარაღებული კაცი უნდა გამოეყვანათ მენშევიკებს, 150 ეროვ. დემოკრატებს და 60 ესერებს. სამთავრობო ჯარების რაოდენობა (წითელი არმია და ეგრეთ წოდებული გრუზდივიზია) ზალდასტანის წარდგენით ითვლიდა 10-11 ათასს. გრუზდივიზიის ნაწილებში მუშაობის ჩატარების შესახებ არაფერი არ თქმულა. იყო მხოლოდ იმედი იმისა, რომ ქართული ნაწილები იხელმძღვანელებდნენ რა ეროვნული გრძნობებით, არ დაუპირისპირდებიან აჯანყებულებს. მოხსენების თაობაზე გამოვიდა ვალიკო ჯუღელი, რომელმაც შემოიტანა წინადადება დაგვენიშნა აჯანყების დღე უახლოეს პერიოდში და გადაუდებელი ზომები გაგვეხორციელებინა საზღვარგარეთიდან ფულის მისაღებად. პირველი წინადადება დარჩა ღიად, ხოლო მეორეს თაობაზე წინადადება მიეცა ანდრონიკაშვილს (რომელიც ერთპიროვნულად განაგებდა პარიტეტულ კომიტეტს სახსრებზე) დაეწერა საზღვარგარეთ ფულის სასწრაფოდ გამოგზავნის შესახებ. ივლისის ბოლოს შედგა პარიტეტული კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამხედრო კომისიის მეორე გაერთიანებული სხდომა. ესწრებოდნენ: ანდრონიკაშვილი, მე, ჯუღელი, ზალდასტანიშვილი და შალვა ამირაჯიბი. ეს სხდომა წარმოადგენდა ზემოაღნიშნულის გაგრძელებას. ზემოთ მე შევაჯამე ორივე სხდომის შედეგები. ამის შემდეგ საკითხი შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ გადატანილ იქნა ცალკეულ ცკ-ის სხდომაზე პრინციპული თანხმობის მიღების მიზნით.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის სხდომა შედგა შემდეგი შემადგენლობით: შალვა ამირაჯიბი, მე, მიხეილ იშხნელი და ზალდასტანი. მოხსენება გავაკეთეთ მე, ზალდასტანმა და შ. ამირაჯიბმა. სხდომამ გადაწყვიტა დაეთანხმოს პარიტ. კომიტეტის გადაწყვეტილებას. ეს სხდომა ჩატარდა 16 აგვისტოს. 18 აგვისტოს მოწვეული იყო პარიტეტული კომიტეტის პლენუმის სხდომა. ესწრებოდნენ: ანდრონიკაშვილი, მე, ბოჭორიშვილი, „სხივისტების“ წარმომადგენელი (გვარი არ მახსოვს, რომელიღაც მუშა. საშუალოზე მაღალი, ოვალური სახით, მგონი შატენი, მოვრძო თმებით, ხშირი ულვაშით, წვერგაპარსული, საკმაოდ ზორბა, ჩაცმული სუფთად, ხანდახან სამოქალაქო კოსტუმში, ბლუზაში). აჯანყებას მხარს უჭერდნენ მენშევიკები, ჩვენ—

ეროვნულ-დემოკრატები და ესერები. წინააღმდეგი გამოდიოდა „სხივისტების“ წარმომადგენელი იმ მოტივით, რომ ავჯანყება გამოიწვევდა ძალიან დიდ მსხვერპლს. ფედერალისტების წარმომადგენელი არ ესწრებოდა, მაგრამ ანდრონიკაშვილმა განაცხადა, რომ ისინი ავჯანყების წინააღმდეგნი არიან. თუმცა წესით პარიტეტული კომიტეტის შესახებ გათვალისწინებული იყო, რომ ყველა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ერთსულოვნად, მაგრამ პრაქტიკულად საკითხები წყდებოდა უბრალოდ ხმების უმრავლესობით. ყოველ შემთხვევაში არც „სხივისტებს“ და არც ფედერალისტებს არ განუცხადებიათ პარიტეტული კომიტეტიდან გასვლის შესახებ. ისინი მხოლოდ ავჯანყების წინააღმდეგნი იყვნენ. პარიტეტული კომიტეტის მიერ პრაქტიკული ნაბიჯების რიცხვში შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ავალიშვილის მგზავრობა ჩეჩნეთში, თანაც მას ორივეჯერ მიეცა დირექტივა დაკავშირებოდა ჩეჩნეთს და ჩვენი გამოსვლის შემდეგ მიეღწია მათი გამოსვლისთვის იმ პირობით, რომ საქართველო არ აიღებდა თავის თავზე არავითარ ვალდებულებას ჩეჩნეთის მიმართ, ე.ი. ჩეჩნები უნდა გამოსულიყვნენ საკუთარი იმედით.

22 აგვისტოს შედგა პარიტეტული კომიტეტის უკანასკნელი სხდომა. ესწრებოდნენ: ანდრონიკაშვილი, მე და შ. ამირავჯიბი, გადაწყდა დაგვენიშნა გამოსვლის დღე აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში. ამასთან დაკავშირებით თითოეულმა პარტიამ დაუგზავნა თავის ორგანიზაციებს ადგილებზე შესაბამისი დირექტივები. ჩვენმა პარტიამ გაუგზავნა შეტყობინება ჩოლოყაევს (რომელიც წარმოადგენდა აღ. საქართველოს) და ეოვი ჭაჭიაშვილს (დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი). ამავე სხდომაზე გადაწყდა უარის თქმა თბილისში გამოსვლაზე, რადგანაც ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და ჩვენ არ გვყავდა შესაბამისი ძალები. მხოლოდ პროვინციებში წარმატების შემთხვევაში წარვმართავდით ძალას ქალაქისაკენ. 24 აგვისტოს პარიტეტული კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა თბილისი, რათა თავიდან აეცილებინა შესაძლო დაპატიმრებები, რომელთაც შეიძლება ჰქონოდა მასიური ხასიათი. ამვე დროს თბილისში ყოფნისას ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით პროვინციებს. განლაგების ადგილად არჩეული იყო შიო მღვიმის ტყე. 25-26 აგვისტოს მცხეთაში გავემგზავრეთ მე და შალვა ამირავჯიბი, უნდა მივსულიყავით ჩოლოყაშვილის რაზმში, რომელშიც მიგვიყვანა ზალ-

დასტანმა. არსებითად ჩვენ კი არ გაეემგზავრეთ, არამედ წაეედით ფეხით, ხოლო ერთი-ორი საათის ინტერვალში უკან მიგეყვნენ ანდრონიკაშვილი და ონიაშვილი, რომელთაც ჩვენ გზაში დაველოდეთ. მცხეთაში შემოგვიერთდა ბოჭორიშვილი. ხუთივე ვიმყოფებოდით ტყეში 3 სექტემბრამდე.

30 აგვისტოს რაზმის ორ წევრთან ერთად ჩვენთან მოვიდა ჩოლოყაევი, რომლის რაზმსაც უნდა გაეელო ეს ადგილები (ჩვენი ადგილმდებარეობის შესახებ მას შეატყობინა მისი რაზმის წევრმა, რომელმაც დაუთქვა შეხვედრის ადგილი და იმყოფებოდა ჩვენთან). ჩვენთან საუბარში ჩოლოყაშვილმა აღნიშნა, რომ მისი ანგარიში არ გამართლდა, იგი შეცდა და მას მხარი არ დაუჭირეს. 600 კაცის ნაცვლად, რომელთაგანაც წინასწარი თანხმობა ჰქონდა მიღებული, მას შეუერთდა მხოლოდ 60, რის შედეგადაც თავდასხმა მანგლისზე წარუმატებლად განხორციელდა (წარმატება არ მოჰყვა), შეხვედრის დროს იგი ვარაუდობდა დუშეთზე და თუ იქ, დუშეთის მაზრაში არაფერი გამოვიდოდა, აპირებდა ავჯანყების დაწყებას კახეთში. ჩოლოყაშვილმა დაგვიტოვა კიდევ სამი რაზმელი დაცვისათვის და წავიდა. როგორც დაპატიმრების შემდეგ შევიტყვეთ, ჩოლოყაევი თავს დაესხა დუშეთს. ჩოლოყაევის გარდა ტყეში ყოფნისას არავის შევხვედრივართ, არც ჩოლოყაევისა და არც ლაშქარაშვილისაგან ჩვენთან არავინ მოსულა და ჩვენი მხრივ არც ჩვენ გაგვიგზავნია ვინმე სადმე. 2 სექტემბერს ღამით, იმ დროს, როდესაც ჩვენ ე.ი. ანდრონიკაშვილი, მე, ბოჭორიშვილი, ამირაჯიბი და ონიაშვილი ოთხი კაცისაგან შემდგარი დაცვით ვიცვლიდით ტყეში ადგილს, შევეჯახეთ ტყეში დაზვერვას, რომელმაც ცეცხლი გაგვიხსნა (დაგვიშინა) სიბნელეში, გარკვეული დროის შემდეგ მე შევხვედი ბოჭორიშვილს, რომელთან ერთადაც ვიმალებოდი თითქმის შემდეგი მთელი დღე-ღამე, ხოლო საღამოს, როდესაც ვიცვლიდით ადგილს და ჩავუარეთ მონასტერს, ჩვენ დაგვაპატიმრეს. სად დაიკარგნენ ორმხრივი სროლის დროს ანდრონიკაშვილი, ამირაჯიბი, ონიაშვილი და ჩვენი დაცვა, არ ვიცი. ანდრონიკაშვილი ვნახე დაპატიმრებული სადგურ მცხეთაში, ხოლო ჩეკაში ყოფნისას შევიტყვე ონიაშვილის დაპატიმრების ამბავი.

საქმე №63, ტ. 23-42.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან

ფედერალისტ ალექსანდრე სამსონის ძე ბოკერიას ჩვენება

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ექნებოდა ჩემთვის ჩვენება, რომ საგანგებო კომისიაში არ იწერებოდეს იგი, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ხსენებულ გარემოებას აბსოლუტურად არავითარი ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა არ შეუძლია და არც ფიზიოლოგიური შიშის გამეფება ჩემში. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მე ყოველგვარ შესაძლებელ მოვლენას უკვე შევურიგდი და ამის გამო იჭვის თვალით მიდგომა ჩემი ჩვენებისათვის უსაფუძვლო იქნება. მე აქ აღვნიშნავ მშრალ ფაქტებს ჩემს ჭერქვეშ მუშაობიდან და სხვებზე კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სალაპარაკოც არაფერი მექნება, რადგან ყველა ის ამხანაგები, რომელთაც ჩემთან, ან მე მათთან კავშირი მქონდა, უკვე დახერეტილი არიან.

1923 წელს 18 მაისს, საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებული ვიქენი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლიდან დაპატიმრებამდე, მე არავითარ პრაქტიკულ მუშაობას სოცფედერალისტურ პარტიაში არ ვეწეოდი. 1921 წელს, უკანასკნელ ლეგალურ კონფერენციაზე, როდესაც პარტიაში განხეთქილება მოხდა, მე ვიზიარებდი ე.წ. „წაწოლის პოლიტიკას“ და არასოდეს ღლონტის მიმდევარი არა ვყოფილვარ. მიუხედავად ჩვენი და ღლონტის ჯგუფის ტაქტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობისა, ორთავე ჯგუფი „მემარცხენეთა“ სახით გამოეყო მეორე მიმდინარეობას, რომელიც არც ერთისას და არც მეორეს ტაქტიკას არ იზიარებდა. ჩვენი პოლიტიკა კონკრეტულად შემდეგ შინაარს შეიცავდა: ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლებასთან და ეროვნულ-კულტურული მშენებლობისათვის ხელის შეწყობა. ელასტიური პოლიტიკით პარტიული ფიზიონომიის შენარჩუნება და მისი ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენა. ღლონტი კი სულ სხვა გზას

ადგა. იგი ცდილობდა პარტია გარდაექმნა მე-3 ინტერნაციონალში ნახევრად შემავალ პარტიად. იგი კომუნისტურ პარტიასთან თანდათან მიახლოვებით მიზნად ისახავდა პარტიის ან (ღლონტელთა ჯგუფის) მმართველი პარტიის ჩარჩოებში მოქცევას და გათქვეფას. როგორც ეხედავთ, ორი მოპირდაპირე, ურთიერთის მოწინააღმდეგე ჯგუფი ერთი ფრთის ქვეშ იყრიდა თავს. რა თქმა უნდა, მათი ერთ ორბიტა(რ)ში მოქცევა შეუძლებელი იყო და შედეგიც „მემარცხენეთა“ ჯგუფის განხეთქილებით დასრულდა. ღლონტელები ისევ დარჩნენ პოლიტიკურ ასპარეზზე და მეორე ჯგუფი კი გამოეყო და პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო. მე, როგორც ღლონტის ტაქტიკის მოწინააღმდეგე, მიეეკედლე უკანასკნელთ და ჩემს იდეურ არსებას პრაქტიკულად ფრთა შეეაკვეცე.

მიუხედავად ამისა, 1923 წლის 18 მაისს დამაპატიმრეს. 1923 წლის 18 ნოემბერს საგანგებო კომისიამ მომხსნა ბრალდებები და პატიმრობიდან გამათავისუფლა.

1924 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე ჩემი პოლიტიკური საქმიანობა პასივობაში გამოიხატებოდა.

თებერვლის შუა რიცხვებში ამხ. გედეონ სვანიძე[1] მიგზავნის ამხ. გია აბაშიძეს და შეხვედრას მთხოვს. მეც თანხმობა განვუცხადე და ერთ-ერთ ბინაზე შევხვდით ერთმანეთს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იგი გარკვეულ წინადადებას მაძლევს. „სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ საგანგებო კომისია სულ მოკლე ხანში ისევ დაგაპატიმრებს, ვინაიდან ამას ითხოვენ „მემარცხენეები“, რადგან ისინი დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ყველა იმ წერილების (რომელიც მათ წინააღმდეგ „მებრძოლთა ხმაში“[2] დაიბეჭდა) ავტორი შენა ხარ.

ჩვენ შენს გულწრფელობაში და გამოცდილებაში დარწმუნებული ვართ, ამიტომ ჩვენი წინადადებაა შენ არალეგალურ მდგომარეობაში გადახვიდე და პრაქტიკულ საქმიანობას ხელი მოჰკიდო. ამ აზრის არის მთლიანად „ცკ“. მე მას ვთხოვე მოფიქრებისათვის დრო მოეცა. ხსენებულ განცხადებას თან დაერთო ზოგიერთი ამხანაგების დაპატიმრება და ჩემს ირგვლივ კვლევა-ძიება და სხვა. ყველაფერმა ამან ცკ-ს წინადადებაზე თანხმობა ვამოიწვია და შევუდექი მუშაობას,

---

[1] ახალგაზრდა ფედერალისტთა თავმჯდომარე (ნ.კ)

[2] ახალგაზრდა ფედერალისტთა არალეგალური გაზეთი (ნ.კ.)

მხოლოდ ჩემი მოთხოვნილება იყო, რაც შეიძლებოდა ცოტას სცოდნოდა ჩემი საქმიანობა. ამხ. გედეონი ამაზე დამეთანხმა და მე მიწვეული ვიყავი ცკ-ის პრეზიდიუმში. ცკ-ის პრეზიდიუმში შევდიოდით ამხ. გედეონი, მე და ვია აბაშიძე. ჩემი პრეზიდიუმში მუშაობა ცკ-ის წევრებმა, გარდა ზემოთ ხსენებულ პირთა, არც კი იცოდნენ, რადგან პირველხანებში სხდომებსაც არ ვესწრებოდი. როდესაც ცკ-წევრი რომელიმე თბილისიდან გავიდოდა, მის მოვალეობას პრეზიდიუმი მე მავალებდა. მახსოვს, მარტში (დრო თუ არ მეშლება) საორგანიზაციო სექციის ხელმძღვანელის თბილისიდან ვასელის გამო, მთელი ერთი თვის განმავლობაში საორგანიზაციო სექციას მე ვხელმძღვანელობდი. ამ ხანებში დაპატიმრებული იქნა ამხანაგი გია აბაშიძე. პრეზიდიუმში დავრჩით მე და ამხ. გედეონი. ჩვენი ურყეი გადაწყვეტილება იყო, ვინც უნდა ჩავარდნილიყო, თუნდაც კარში ერთი წევრიც დარჩენილიყო, ცენტრ. კომიტეტს მჭიდრო კავშირი აღგვედგინა დაპატიმრებულ ცეკისტებთან და ახალი ამხანაგები ცეკაში არ შეგვეყვანა, მეტის-მეტი სიფრთხილის გამო. ჩვენ გვეშინოდა, რომ ვინმე საეჭვო პირი ცეკაში არ შეგვპარვოდა, როგორც ეს საუბედუროდ ამ ბოლო ხანს ხშირად ხდება. ამ გზას ვადექით უკანასკნელ ხანამდე. ამხ. გია აბაშიძის დაპატიმრების შემდეგ, მე დავიწყე მუშაობა სარედაქციო სექციაში. ამ სექციას ხელმძღვანელობდა ამხ. გედეონი, სექციაში კი შევდიოდით მე და ამხ. ვოვი მაღრაძე (ტექნიკური ხელმძღვანელი) და ასოთამწყობათ ამხ. კლიმენტი სასანია გვყავდა. სტამბის მდებარეობა, ე. ი. ადგილი იცოდა ამხ. მაღრაძემ და სასანიამ (თუ არ ვცდები, ამხ. სვანიძემაც). ამხ. გედეონ სვანიძემ წინადადება მომცა, რომ მაღრაძის დაპატიმრების გამო სტამბის იდეური ხელმძღვანელობა მე მეკისრნა და ამხ. სასანიას საშუალებით სტამბისთვის ბინა გამოგვეცვალა. სწორედ ამ ხანებში მოხდა ამხ. სვანიძის, ჭელიძის და სხვების დაპატიმრება. მე დავიბარე ამხ. სასანია და წინადადება მივეცი ორი დღის განმავლობაში ახალი ბინა აღმოეჩინა და სტამბა ტექნიკურად მოეწყო. მან ეს წინადადება მაქსიმუმამდე შეასრულა. კომიტეტში დავრჩით მე და ორი ამხანაგი (მეტეხთან აღვადგინეთ მჭიდრო კავშირი ამხ. კეკელიძის საშუალებით, იგი შიკრიკი იყო). ციხის კომიტეტი მოითხოვდა, რომ ცკ-ში ახალი კაცი არ შეგვეყვანა და ძველი წევრები (დაპატიმრებულები) დაგვეტოვებინა კომიტეტიის წევრებად, რადგან იწერებოდ-

ნენ, ჩვენი საქმეები მეტისმეტად აწეწილია და საგანგებო კომისიაში კი ჩინებულად და დალაგებულიაო". ჩვენც არ წავედით ციხის კომიტეტის სურვილების წინააღმდეგ და არც მუშაობა მოითხოვდა შემადგენლობის გაფართოებას, რადგან ცკ-ს ფუნქციები განისაზღვრებოდა წმინდა საორგანიზაციო და საგამომცემლო მუშაობით. ცკ-ს თავმჯდომარეობა მე დამეკისრა და „მებრძოლთა ხმის" იდეური ხელმძღვანელობა. საორგანიზაციო სექციას კი მეორე ამხანაგი განაგებდა.

გამოვეცით „მებრძოლთა ხმის" ორი ნომერი (№11. №12). მე-11 ნომრის მასალები თითქმის დამზადებული (შეგროვილი) დამხვდა, მხოლოდ მას რედაქცია და დალაგება სჭირდებოდა, რაც ჩემს მიერ შესრულებული იქნა. მასალებს ამხ. სასანია ატარებდა, რადგან იგი ლეგალურად ცხოვრობდა. (წერილებს) ხელწერილებს ფსევდონიმები არ ეწერებოდა, მხოლოდ სტამბა დასტამბულ წერილებს სხვადასხვა ფსევდონიმებს აწერდა. ჩემი წერილები არის მოთავსებული №11-ში „ბუშმენების ლოღიკა", №12-ში „26 მაისი", „ჩვენი ბელადი". გამოვეცით ორი ფურცელი: ერთი 26 მაისის და მეორე ახალგაზრდობის მიმართვა. ორივე ფურცლის ავტორი მე გახლავართ. ზემოხსენებულ ლიტერატურათა გამოცემას მოჰყვა სტამბის აღმოჩენა და ამხ. სასანიას დაპატიმრება. რა პირობებში მოხდა სტამბის ჩავარდნა, ჩემთვის ივი დღესაც ბურუსით არის მოცული.

ჩემი „კლიჩკა" იყო: გიეი (პირველ ხანებში) და შიო (დაპატიმრებამდე). ეს იყო ოფიციალური კლიჩკები და უბრალო მიწერ-მოწერის დროს კი სხვა სახელებს ვწერდით.

ზემოჩამოთვლილ ერთმანეთზე მიყოლებულ „პრავალებმა" ჩვენს მუშაობას სასტიკი დაღი დაასო. ფინანსურ კრიზისს ჩვენი ორგანიზაცია მუდამ განიცდიდა, მაგრამ „პრავალებმა" ამ მხრივ პირდაპირ..... ამის შემდგომ უკვე ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი დამოკიდებულება გვქონდა ჩვენ და უფროსებს. ცხადია, ჩვენ შორის კონტაქტის გამოძებნა ყოველად შეუძლებელი იყო. უფროსებთან კავშირის აღსადგენად ცეკას ერთ-ერთი ამხანაგი გეყავდა გამოყოფილი, რომელიც ერთი შემთხვევის გარდა, არც ერთხელ უფროს ამხანაგებს არ შეხვედრია, რადგან უკანასკნელნი ჩვენს წარმომადგენელს არასდროს არ იბარებდნენ. ასეთი იყო ჩვენი დამოკიდებულება უფროსებთან.

„ერთი ალთას და მეორე ბალთასო“—სწორედ ამას წააგავდა უფროსებისა და ახალგაზრდების ურთიერთობა.

აპრილის შუა რიცხვებში ჩვენს ყურამდე მოაღწია ცნობამ, რომ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ აჯანყების პრაქტიკულად გატარების საკითხს შეუდგა (თუ თვე არ მეშლება). ჩვენი ცეკა აჯანყების საკითხს მუდამ სკეპტიკურად უყურებდა (უცქეროდა) და უფროსი ამხანაგებიც კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ (ეს ვიცით სწორედ იმ ერთი შეხვედრის შემთხვევიდან, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ), რადგან ხსენებულ ნაბიჯებს ავანტიურად სთვლიდნენ, რომელიც ეროვნული საქმის გაკეთების ნაცვლად—ერს ფიზიკურად გაანადგურებდა. ამ საკითხს ჩვენ ძალთა ეკონომიის თვალსაზრისით ვუდგებოდით. მუდამ გაურბოდით ოცნების სამეფოში ფრენას და დედამიწასთან დაშორებას. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ყოველთვის ხელსაყრელი არ არის ერის სრულ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და ამ საქმისათვის უშედეგო მსხვერპლის გაღება. გაუვალი გზები წამოიჭრა ჩვენს წინ. საშუალება წაგვართვა პროვინციასთან მჭიდრო კავშირის აღდგენისა და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ივნისის თვიდან პროვინციასთან სრულად შეგვიწყდებოდა დამოკიდებულება. დროგამოშვებით პროვინციაში თუ ვინმეს ჩაჰქონდა ჩვენი არსებობის ამბები, ამას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. უფროსები კი არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდნენ. პირდაპირ პოლიტიკურ ობლობას განვიცდიდით. ჩვენ მათ „ცოცხალ ლეშებს“ ვეძახდით და ისინი კი „გიჟებს“ გვიწოდებდნენ. უფროსებს ჩვენთან დალაპარაკებაც კი არ უნდოდათ. მე მახსოვს ასეთი შემთხვევაც. ერთხელ მოთმინებიდან გამოსულებმა გადაეწყვიტეთ ამხ. გედეონი გაგვეგზავნა ერთ უფროს ამხანაგთან და ჩვეულებისამებრ თუ მიიღებდა მას, ძალით შეჭრილიყო მის ბინაზე. ამხ. გედეონმა მიაღწია უფროს ამხანაგამდე.

—რა გნებავთ?!—ეკითხება უფროსი ამხანაგი გედეონს.

—ჩვენ გვინდა თქვენი აზრი გავიგოთ ჩვენი მუშაობის გარშემო.

—რა გითხრეს უფროსებმა?!

—რა მითხრეს უფროსებმა?!—ახლოს არ გაევიკარეს და არც არაფერი გვითხრეს.

—არაფერი გითხრეს?

—დიახ.

—მაშ არაფერიც არ უნდა აკეთოთ და სიგიჟესაც თავი დაანებეთ.

მე ეფიქრობ, ძალიან დამახასითებელი ილუსტრაციაა ეს და საგანგებო კომისიის რწმუნებული მოქ. მიქაძე სამართლიანად სვამს საკითხს: „რა საჭირო იყო წესდებაში სამხედრო ორგანიზაციის აღნიშვნა, თუ აჯანყება არ გქონდათ სახეშიო“. მართალია, ინსტრუქციაში ნაჩვენებია სამხედრო ორგანიზაცია, მაგრამ ეგი გაკვრით არის აღნიშნული, თორემ ასეთი სერიოზული ორგანიზაციის მოწყობა, ცხადია, მეტ დეტალებსა და ინსტრუქციებს მოითხოვს—ვიდრე ინსტრუქციაშია აღნიშნული.

ახლა გადავიდეთ ამხ. კეკელიძის ბინაზე მომხდარი ინციდენტის გარშემო, რომელიც თითქოს ამტკიცებს, რომ ჩვენ მზად ვიყავით აჯანყებისათვის ან მომხრე.

ამხ. დოლიძე ჩემი შვილის მეგობარი იყო და ყველაზე ახლოს მდგომი ამხანაგი. ეგი პრაქტიკულად მუშაობას ჩვენს ორგანიზაციაში არ ეწეოდა. სურვილიც რომ ჰქონოდა, დრო არ ჰქონდა, რადგან ეგი დიღომის სასწავლებელში ითვლებოდა მასწავლებლად, რომელიც ქალაქს 8 ვერსიით დაშორებულია. ზაფხულზე კი მან რომელიღაც ორგანიზაციასთან გააბა კავშირი. ეს უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ მას პარტიული ჩარჩოები არ უყვარდა და დისციპლინის პრინციპს ვერ ეგუებოდა. ერთ დღეს მოდის ჩემთან ამხ. კეკელიძის საშუალებით (რადგან ის ჩემი კავშირი იყო) და მეუბნება: „საქართველოში აჯანყება ეწყობა, პარტიები ასე თუ ისე ცდილობენ და ჩვენები რა შეხედულების არიანო“. მე ლაკონურად ვუპასუხე: „ჩვენები მონაწილეობას არ მიიღებენ, რადგან წინააღმდეგი არიან-თქო“. ჩემი პასუხი მას არ მოეწონა, გაცხარებულმა მიპასუხა: „მე წინადადება მომცეს მონაწილეობა მივიღო და ასეთ მომენტში მე გაჩერება არ შემიძლია“. მე ვუთხარი, რომ „როგორც პარტიის წევრი მონაწილეობას ვერ მიიღებ და პერსონალურად ვინ დაგიშლის-თქო“. აი ამას გარდა მასთან ამ საკითხზე ლაპარაკი არ მქონია, თუმცა ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. თუნდაც ავიღოთ იმ ხუთეულის შემადგენლობა.

1) შ. დოლიძე—სოც. ფედერალისტი
2) ლ. კეკელიძე—სოც. ფედერალისტი
3) ჭიჭინაძე—უპარტიო
4) აბაშიძე—ნაც. დემოკრატი
5) გელაშვილი—ნაც. დემოკრატი

აი, როგორი ჭრელი შემადგენლობაა. როგორ შეიძლებოდა ეგი

პარტიული სამხედრო რაზმი ყოფილიყო და ასე კონსპირაციულ ორგანიზაციაში სხვადასხვა ბანაკის ხალხი შეეყვანათ. ცხადია, რომ ამ ორგანიზაციას სულ სხვა სარჩული ედო.

ამბობენ, რომ მე იმ ღამეს იქ ვიყავი. არასოდეს ამოდენ ხალხთან მე ღამე არ გამითევია, ჩემთან სანახავად ძალიან ცოტა დადიოდა, თორემ ბევრად აღრე მოვიდოდი საგანეებო კომისიაში. მართალია, კეკელიძესთან მე ღამეს ვათევდი და წარმოიდგინეთ, სამჯერაც, სამ-სამი დღე მის ბინაზე, მაგრამ აგვისტოს პირველ რიცხვების შემდეგ მე ვერის უბანში არც კი ვყოფილვარ, თუ ერთ შემთხვევას არ მივიღებთ მხედველობაში, რომლის ბინის ჩვენებაც არ შემიძლია.

„ფაქტი უტყუარი საბუთიაო", ნათქვამია და ფაქტს რამდენიც არ უნდა უტრიალოთ, ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება...

ცეკა, რომელიც ორად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი გარეთ და მეორე მეტეხში ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, როგორმე თავიანთი ორგანიზაციები შეეჩერებინა და ავანტიურის ქსელში არ გაება, მაგრამ ამას, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, უფულობა ძალზედ უშლიდა ხელს. მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩება. ზოგიერთ პროვინციებში გამოსვლები, რამაც ქართველ მოქალაქეთა მსხვერპლი გაიღო, მათ შორის ჩვენი ცეკას მთავარი ნაწილიც მოჰყვა. კარში დარჩენილი ორი ამხანაგი და მე აგვისტოს ერთმანეთს დავემშვიდობეთ და დავშორდით. მე ბაქოსაკენ გავემგზავრე. ბაქოში ერთი თვის შემდეგ სასტიკი რეპრესიები დაიწყო. გამოვეშურე ისევ თბილისისაკენ (თბილისში 26 ნოემბერს ჩამოვედი). აქ ყოფნა ყოვლად მოუხერხებელი იყო. იძულებული შევიქენი, სადმე პროვინციისაკენ პირი მებრუნებინა... ყველაზე ხელსაყრელ კუთხედ ქობულეთი მივიჩნიე*.

ვიმეორებ, რომ ყოველგვარ შესაძლებელ მოვლენასთან უკვე შერიგებული ვარ, ამიტომ მათი წარსული მოქმედებისა მე არ მეშინია და არც ეფარავ მას.

ალ. ბოკერია.

1924 წელიწადი.

28 ნოემბერი. № 14 საკანი.

***შენიშვნა.** ალ. ბოკერია ჩეკამ მატარებლიდან გადმოსვლის დროს დააპატიმრა (ნ.კ.)

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში აღმოჩნდა აგრეთვე, საგანგებო საქმე, გრიფით—„სრულად საიდუმლოთ“ №2105, №24168-61, რომელიც დემოკრატიული საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრის, აჯანყების ერთ-ერთი მთავარი გმირის ნოე ხომერიკის გამო გაიხსნა დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ნოე ხომერიკი დააპატიმრეს 1923 წლის 9 ნოემბერს, საქჩეკას №6462 ორდერის საფუძველზე. ორდერი გაიცა დაპატიმრების მეორე დღეს, საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის განყოფილების უფროსის ლავრენტი ბერიას ხელმოწერით.

დაპატიმრებულია თბილისში, მოქალაქე გვანცელაძის ბინაზე. 10 ნოემბერს შედგა ტუსაღის პირადი ფურცელი №3351, რომელიც ხომერიკის ხელით არის შევსებული და რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

—ხომერიკი ნოე გიორგის ძე 40 წლის. დაბადებული 1883 წლის აგვისტოში, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. პროფესიით აგრონომი. პარტიულობა სოციალ-დემოკრატი 1900 წლიდან...



ნოე ხომერიკის ჩეკაში პატიმრობის დროინდელი ერთ-ერთი ხელნაწერი. (საქმე №24168-61. ფ. 109).

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან

დადგენილება

1924 წლის 30 ივლისს, მე საქართველოს „ჩკ"-ს CEKO-ს რწმუნებულის მოადგილემ ჯალაღონიამ განვიხილე №2105 საგამოძიებო საქმე ნოე გიორგის ძე ხომერიკის ბრალდების შესახებ—40 წლის, ქართველი, წარმოშობით გლეხი ოზურგეთის მაზრიდან, ინტელიგენტი, პროლეტარი, ქერივი, თვითგანათლება, პარტიული პროფესიონალი, ს. დ. პარტიის წევრი, მენშევიკი 1901 წლიდან, ნასამართლეები—კონტრ-რევოლუციის მონაწილე, რაც გამოიხატა არალეგალურ მუშაობასა და შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში.

ეს საქმე აღიძრა აგენტურის მონაცემების დამუშავების საფუძველზე. მოქალაქე ხომერიკი ევაკუირებული იქნა საზღვარგარეთ. დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან ერთად.

გამოცდილ მუშაკთა—იატაკქვეშელთა უკმარისობის გამო ცკ-მ აღძრა შუამდგომლობა საზღვარგარეთის ბიუროს წინაშე, რათა მათ განკარგულებაში გამოეგზავნათ ხომერიკი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1922 წლის ნოემბერში და მას შემდეგ ხელში აიღო მთელი საორგანიზაციო სამუშაო, არალეგალური გამოცემები და ა.შ., თავის თავს უწოდებდა საზღვარგარეთის ბიუროს განსაკუთრებულ რწმუნებულს.

ცკ-ს სათავეში იდგა სეით დევდარიანი (პარტიიდან გავიდა, გათავისუფლებულია), მაგრამ ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ნოე ხომერიკი, რაც დასტურდება თვით სეით დევდარიანის ჩვენებით. ასე მაგალითად, საზღვარგარეთის ბიუროსთან კავშირს ამყარებდა და მიმოწერა ჰქონდა პირადად ხომერიკს ისე, რომ ცკ-მ და დევდარიანმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ხომერიკის დაპატიმრების დროს აღმოჩენილი მიმოწერის შესახებ, რომელიც წარუდგინეს დევდარიანს, მან განაცხადა, რომ პირველად ხედავს ამ მიმოწერას და აქამდე ამის შესახებ არაფერი იცოდა, რომ იგი ყოველთვის წინააღმდეგი

იყო შეიარაღებული აჯანყების, ინტერვენციისა და ბანდებთან კავშირისა, ხომერიკის ხაზს უდავოდ არ დაეთანხმებოდა და პარტიაში განხეთქილება მოხდებოდა, დევდარიანი ხომერიკის ასეთ მუშაობას ავანტიურას ეძახის და ამის გამო პარტიის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება პირადად ხომერიკს.

დევდარიანის მიერ რედაქტირებული გაზეთის—„საქართველოს" გარდა, ხომერიკმა დაიწყო მეორე გაზეთის „ჩვენი ერთობის"ფურცლის გამოცემა და ა.შ.

ხომერიკის მარჯვენა ხელია გოგიტა ფალავა, რომელიც აკურატულად ასრულებდა ხომერიკის ყველა დავალებას და არასოდეს ეწინააღმდეგებოდა.

ერთხელ ხომერიკი დევდარიანთან კერძო საუბარში შეეხო ინტერვენციის საკითხს და როდესაც დაინახა, რომ დევდარიანი უარყოფითი აზრისა იყო ამაზე და საერთოდ შეიარაღებულ გამოსვლაზე, ამ საკითხზე მეტად აღარ ულაპარაკია. დევდარიანის გაშიფრული წერილების შესახებ ამბობს: საზღვარგარეთთან მიმოწერის გაშიფვრამ, რომელთანაც უშუალოდ ხომერიკს ჰქონდა კავშირი, მე საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ პარტიის ცკ-ს სახელით, რომელსაც ფაქტიურად ხომერიკი ედგა სათავეში, მას სურდა გამოეყენებინა ინტერვენცია, მოეწყო აჯანყება და ამისთვის არაეითარ საშუალებებს არ ერიდებოდა, ჩოლოყაევის მსგავსი სხვადასხვა ტიპის ავანტიურისტებთან და ბანდიტებთან კავშირის ჩათვლით. მე ახლა უკვე სრულიად აღარ მეპარება ეჭვი, რომ საქართველოს სდპ-მ საბოლოოდ გადაუხვია თავის ტაქტიკას და ავანტიურიზმის გზას დაადგა. რატომ ამბობდა ამხანაგი ხომერიკი ერთს და აკეთებდა მეორეს, ხელში აიყვანა ცკ-ს მთელი აპარატი? ხმალაძის ჩვენებიდან (ყოფილი მენშევიკი, დააპატიმრეს ხომერიკთან ერთად) ჩანს, რომ მას არა ერთი და ორი დავალება მიუღია ცკ-სგან და პირადად ხომერიკისგან ტერორისტული აქტების მოწყობასთან დაკავშირებით პასუხისმგებელ კომუნისტებზე, ბანდებთან კავშირის დასამყარებლად და ა.შ. მანვე შიფრით მიიღო ცეკასთან განკარგულება 1922 წლის იანვარში ამავე წლის შემოდგომაზე გამოსვლების ორგანიზების შესახებ, წინადადება მოემზადებინათ გამოსვლები ბორჯომის რაიონში კასრაძის, თორიას და სხვათა ბანდის დახმარებითა და ცენტრიდან გამოგზავნილი ყოფილი ოფიცრების 80-100 კაციანი ჯგუფის საშუალებით, მაგრამ ეს

წინადადება ვერ შეასრულა იმის გამო, რომ შეპირებული ოფიცრები არ გამოგზავნეს და ადგილზე ამისთვის ნიადაგი არ არსებობდა.

1922 წლის ნოემბერში კასრაძის ბანდებმა გაძარცვეს ფაეტონები ბორჯომი-ახალციხის გზაზე და ნაძარცვის 50%, ანუ 4000000 მანეთი (ქართული? ბონებით) გადავიდა მენშევიკების განკარგულებაში.

1923 წლის 25 აგვისტოს ხომერიკის ინიციატივით ცკ-მ მობილიზება გაუწია ყველა ძალას იმისათვის, რომ ჩაეშალათ ყოფილი მენშევიკების კონფერენცია, ანდა აეძულებინათ მიეღოთ მენშევიკების ცკ-ს დეკლარაცია, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოხერხდა.

1923 წლის ზაფხულში კახეთიდან ჩამოვიდა სხვადასხვა სოფლების წარმომადგენელი, ყოფილი სახალხო გვარდიელი გაენიძე წინადადებით, ნება დაერთოთ ჩოლოყაევის ბანდის ლიკვიდაცია მოეხდინათ, მაგრამ ცკ-მ კატეგორიულად აუკრძალა ეს.

ამ საქმის გამო ბრალდებული ხომერიკი იძლევა ჩვენებას, რომ მას, როგორც ცკ-ს წევრს არ შეეძლო და არ შეუძლია შეუერთდეს იმას, რომ საქართველო ოკუპირებულია, ხალხი მჩაგვრელთა უღლის ქვეშ არის და ამიტომ თავის მოვალეობად ჩათვალა ჩამოსულიყო საქართველოში და ემუშავა მოძალადეების წინააღმდეგ. ივი, ხომერიკი, ჩამოვიდა პირადი სურვილით, ყოველგვარი დავალების გარეშე და ვერასოდეს შეურიგდება არსებულ წყობილებას. ამჟამად მას თავი ტყვედ მიაჩნია და ამიტომ უარს ამბობს უპასუხოს კითხვებზე, რომლებიც პარტიული პრინციპების ჩარჩოებს სცილდება.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ითვალისწინებს რა მის შეურიგებლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან და მის აქტიურ არალეგალურ საქმიანობას, წინადადებას ვიძლევით მოქალაქე ნოე გიორგის ძე ხომერიკი, 40 წლის, რომლის დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სოც. რესპ. სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე და 59-ე მუხლებით, რუსეთის სოც. რესპ. სისხ. სამართლის კოდექსის 57-ე და 58-ე მუხლებით, გასახლებულ იქნეს საქართველოს ფარგლებიდან და გადაეცეს ОТПУ-ს ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში გასაგზავნად 5 წლის ვადით, მკაცრ იზოლაციაში, ამ სასჯელის მოხდის შემდეგ ЧКТ-ს ნებართვის გარეშე არ განთავისუფლდეს; ჩამორთმეული მიმოწერა კონფისკებულ იქნეს, საგამოძიებო საქმე შეწყდეს და დარჩეს СЕКО-ში მენშევიკების ცკ-ს საქმესთან დასართველად.

ცნობა: ბრალდებული ხომერიკი დაკავებულია ამიერკავკასიის ჩკ-ს კომენდატურაში.

CEKO-ს რწმუნებულის მოადგილე მოქ. **ჯალაღონია**
თანახმა ვარ CEKO-ს უფროსი **ბოროზი**
ვამტკიცებ საქ. ჩკ-ს უფროსი **კვანტალიანი**

ნოე ხომერიკის საქმეში აღმოჩნდა აგრეთვე, „ზაკჩეკაში" დატუსაღებული გოვიტა ფაღავას ერთი ხელნაწერი.

საგანგებო კომისიის მოქალაქე თავმჯდომარეს
პატ. ბ. ფაღავას

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მეექვსე თვეა ჩეკაში ვიმყოფები, მაგრამ ის სამი კვირა, რაც „ზაკჩეკაში" ვარ მთელ დანარჩენ დროს უდრის, ჩემი საკანი საესებით დახუთულია და დღის სინათლეს მოკლებული და აქ ხანგრძლივი ყოფნა ფიზიკურ განადგურებას მოასწავებს, და რადგანაც მე კიდევ არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს თქვენს გეგმაში შედიოდეს, გაუწყებთ ამას იმ იმედით, რომ ოდნავად ადამიანურ პირობებში ჩამაყენებთ. მით უფრო, რომ როგორც ეტყობა ციხეს ვერ ვეღირსები და ჩეკაში ხანგრძლივად ვარ მოკალათებული.

ამას უნდა დავსძინო აგრეთვე ისიც, რომ „გრუზჩეკაში" ერთი თვის განმავლობაში ჩემთან ერთად საკანში ისხდნენ წინამძღვრიშვილი და ბელთაძე და ახლა ჩვენს დაშორებას არ მგონია საფუძველი ჰქონდეს.

პატ. ბ. ფაღავა
23. VII. 24

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით 1925 წლის 15 იელისიდან 2-3 ავეისტომდე, უზენაესი სასამართლო თაეის სამსჯავრო სხდომაზე ეანიხილაედა საქმეს—„პარიტეტული კომიტეტის შესახებ", ან უკეთ რომ ეთქეათ, საბოლოო ეადაწყეეტილებებს იღებდა 1924 წლის აჯანყების მეთაურებზე.

იმ ოცდახუთი წლის ზაფხულში ერის თვალი და ყური მიმართული იყო პროცესისაკენ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება საჯაროს უწოდებდა, სინამდეილეში კი დახშულ კარებში ეანიკითხაედა ეროვნული დამოუკიდებლობისათეის მებრძოლთ. „პროცესზე დასწრების უფლება მოუსპეს ფართო საზოეადოებრიობას იმ იმედით, რომ ქართეელ ხალხს და მთელ ეანათლებულ კაცობრიობას არ ეაეგო პროცესის ნამდეილი სახე და ჭეშმარიტი ეითარება. არ დაუშვეს ჭირისუფლებიც, საკუთარი პრესის წარმომადგეენლებიც კი..." — წერია იმ დღეებში ეაერცელებულ პროკლამაციაში, რომელმაც ჩეკას ეასაიდუმლოებულ საქმეებში დაიდო ბინა.

მკითხველის ყურადღებას აღნიშნულ სასამართლო პროცესის რამდენიმე მნიშვნელოეან დოკუმენტურ მასალაზე მიეაპყრობ.

ДЕЛО

О

ПАРИТЕТНОМ КОМИТЕТЕ

АНТИСОВПАРТИЙ ГРУЗИИ

(Заключительное постановление)

კოტე ანდრონიკაშვილის პირველი სიტყვა „დამოუკიდ. კომიტეტის“ პროცესზე წარმოთქმული თფილისში

22 მაისს, 1925 წ.

თავმჯდომარე: ბრალდებულო ანდრონიკაშვილო. თქვენი სოციალური მდგომარეობა?

ანდრონიკაშვილი: ინტელიგენტი.

თავმჯდომარე: თქვენი წოდება?

ანდრონიკაშვილი: უფლება აყრილი თავადი მეფის თვითმპყრობელობის დროს. ორჯერ ვიყავი მიცემული პასუხისგებაში პოლიტიკურ საქმეებზე: სასამართლო პალატამ მომისაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში, ამყარა თავადობა და ყველა მასთან დაკავშირებული პრივილეგიები.

თავმჯდომარე: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დროს ყოფილხართ მიცემული პასუხისგებაში?

ანდრონიკაშვილი: პასუხისგებაში არ ვყოფილვარ, მხოლოდ იზოლიაციის წესით ვიყავ დაპატიმრებული ერთი წლით 1921-1922 წ.

თავმჯდომარე: რომელ პოლიტ. პარტიას ეკუთვნით და რომელ წლიდან?

ანდრონიკაშვილი: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას 1902 წლიდან.

თავმჯდომარე: რომელი წლიდან ითვლებით ცეკას წევრათ?

ანდრონიკაშვილი: მოქალაქე თავმჯდომარე, მე ვთხოვდი უზენაეს სასამართლოს მომცეს საშუალება მოვახსენო მას აჯანყების ისტორია და შევეხო იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ეს აჯანყება.

თავმჯდომარე: ბრალდებულო ანდრონიკაშვილო, თქვენ უკვე მოისმინეთ უზნაეს სასამართლოს დადგენილება, რომ დაკითხვის დროს ბრალდებულებს აქვთ უფლება შეეხონ მხოლოდ ფაქტიურ მხარეს იმ ბრალდების, რომელიც მხოლოდ მათ წინააღმდეგ არის წამოყენებული,

ახსნა-განმარტებას კი იკინი მისცემენ თავიანთ უკანასკნელ სიტყვაში.

ანდრონიკაშვილი: დიახ, მე მახსოვს უზენაეს სასამართლოს განმარტება ჩვენების მიცემის შესახებ, მაგრამ მე ეთხოვ სასამართლოს ჩემთვის დაუშვას გამონაკლისი. ამას ვასაბუთებ შემდეგი მოსაზრებით: მე მბრალდება აჯანყების სათავეში დგომა და ხელმძღვანელობა, ამიტომ უზენაეს სასამართლოსთვის, სადაც ბრძანდებიან ორი სახალხო მსაჯული, საჭიროა და აუცილებელიცაა მოისმინოს ჩემგან ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვამდე დაწერილებით ახსნა-განმარტება იმ პირობების, რომელშიაც ჩაისახა იდეა აჯანყებისა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, აგრეთვე იმ მიზეზების და მოტივების, რომლითაც იყო გამოწვეული ეს აჯანყება. ეს აუცილებელია მხარეებისათვის, ვიდრე შეუდგებიან კამათს, განსაკუთრებით დამცველთათვის, რომელთაც არ ჰქონდათ დრო საფუძვლიანად გაცნობოდნენ საქმეში დაგროვილ დიდ მასალას. ამას გარდა ჩვენს საქმეს აქვს განსაკუთრებითი პოლიტიკური ხასიათი, და მომეცით უფლება ამ მხარეს შეეეხო, გავაშუქო, მით უმეტეს, რომ ამას მოითხოვს კომუნისტური პრესა და მუშათა წრეები. ერთი განსაზღვრული მუშათა წრე გაზ. „ახალ-გზის“ სახით პირდაპირ მისვამს მე, კოტე ანდრონიკაშვილს, როგორც სოციალისტს, შეკითხვას: თუ რამ მაიძულა აჯანყების მოწყობა, როდესაც ეგი მიმართულია მუშათა ინტერესების წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: ბრალდებულო ანდრონიკაშვილო, თუ ეხლა მოგეცით ახსნა-განმარტების უფლება, იცოდეთ, რომ თქვენ მოგესპობათ უკანასკნელი სიტყვა.

ანდრონიკაშვილი: თანახმა გახლავართ, რომ ეს ჩემი სიტყვა იყოს პირველი და უკანასკნელიც.

(უზენაესი სასამართლო მცირე თათბირის შემდეგ აძგენს მიეცეს ანდრონიკაშვილს სიტყვა ისე, როგორც ის მოითხოვს, და იმავე დროს სხდომას სწყვეტს 10 წუთით. სასამართლოს სხდომა ხელმეორეთ იხსნება და სიტყვა ეძლევა ანდრონიკაშვილს).

ანდრონიკაშვილი: მოქალაქე მსაჯულნო, საბრალმდებლო დასკვნა, როგორც თქვენ მოისმინეთ, იწყება ანტისაბჭოთა პარტიების ფრონტის ისტორიით, ამასთან ისე, თითქოს ქართველი პოლიტიკური პარტიები დღიდან საქართველოს ოკუპაციისა პირდაპირ გადაეიდნენ

შეტევაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს კი არ შეეფერება სინამდვილეს. ამას გარდა, საბრალმდებლო დასკვნის ორი მესამედი აგებულია სისხლის სამართლის ბოროტ მოქმედებაზე, რომელიც თითქოს ჩაუდენიათ პოლიტიკურ პარტიებს და დამოუკიდებლობის კომიტეტს. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წმინდა სისხლის სამართლის ბრალდებანი პირდაპირ ყურით მოთრეულია ამ წმინდა პოლიტიკურ პროცესზე.

თავმჯდომარე: (ზარით აჩერებს და შენიშნავს). ბრალდებულო ანდრონიკაშვილო, თქვენ უკვე აძლევთ თქვენს სიტყვას არა სასურველ მიდრეკილებას, თქვენ აკრიტიკებთ დასკვნას და კამათის ხასიათს აძლევთ.

ანდრონიკაშვილი: სრულიადაც არა, არავითარ კამათს არ ვეწევი, მოქალაქე თავმჯდომარე! საბრალმდებლო დასკვნა ისეთ მძიმე და სრულიად დაუმსახურებელ ბრალდებას გვიყენებს მე და ამ საკამზე მჯდომ ბრალდებულებს, რომ არ შემიძლია არ შევეხო ამ მხარეს და არ გაგაცნოთ ნამდვილი ისტორია, რათა იქონიოთ ნათელი და სწორი წარმოდგენა, და ჩვენ კიდევ ავიცილოთ თავიდან ის ტერორისტული აქტები, ექსპროპიაციები, შანტაჟისტობა, ჯაშუშობა და სხვა, რასაც ბაზე გვახვევს სახელმწიფო ბრალმდებელი.

თავმჯდომარე: ბრალდებულო ანდრონიკაშვილო, მე მაინც ვერ მოგცემთ უფლებას განაგრძოთ თქვენი სიტყვა ამ ხასიათის.

ანდრონიკაშვილი: მე გამოესთქვამ მწუხარებას, რომ სასამართლო მზღუდავს—მიუხედავად იმისა, რომ დაადგინა მომცეს თავისუფალი სიტყვის თქმის ნება.

თავმჯდომარე: თქვენ არავინ ეზღუდავთ, მხოლოდ შეეხეთ საქმის ფაქტიურ მხარეს.

ანდრონიკაშვილი: თუ მხოლოდ ფაქტიურ მხარეებზე მომიხდება ლაპარაკი, მე ვამჯობინებ უარი განვაცხადო მოცემულ სიტყვაზე, ვინაიდან ავჯანყებას, როგორც ფაქტს, მე ვკისრულობ, მაშინ როდესაც ჩემთვის აგრეთვე სასამართლოსთვის, ინტერესს წარმოადგენს ავჯანყების გამომწვევი მოტივები და მიზეზები. თქვენ, მოქალაქე თავმჯდომარე, როდესაც მოწმეებს უხსნიდით მათ მოვალეობას, სხვათა შორის ბრძანეთ: „იცოდეთ, რომ ეს პროცესი წარმოადგენს ისტორიულ-პოლიტიკურ პროცესს და ამიტომ თქვენ მოვალენი ხართ სთქვათ სრული სიმართლე და არაფერი არ დამალოთ“. სრული ჭეშმარიტება

ბრძანეთ, მეც მინდა სწორეთ ამ პოლიტიკური მხრივ მიეუდგე საქმეს.

თავმჯდომარე: განაგრძეთ.

ანდრონიკაშვილი: მე დავიწყებ რუსეთისაგან ამიერ-კავკასიის ჩამოშორების და დამოუკიდებლობის მიზეზების გარკვევას.

თავმჯდომარე: (აჩერებს ზარით და შენიშნავს): ბრალდებულო ანდრონიკაშვილო, მე მაინც იძულებული ვარ შეგაჩეროთ: ამიერ-კავკასიას არა აქვს არავითარი კავშირი საქმესთან: თქვენ ილაპარაკეთ თქვენს აჯანყებაზე. (ანდრონიკაშვილი ერთხანს გაჩერდა, ყოყმანობს და შემდეგ, გამოსთქვამს რა მწუხარებას, რომ თავმჯდომარე არ იძლეევა სიტყვის თავისუფლებას, განაგრძობს).

ანდრონიკაშვილი: დღეს არც ერთი პასუხისმგებელი კომუნისტი აღარ იმეორებს იმ ზღაპარს, თითქოს 1921 წ. საქართველოში მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს გადატრიალება, ჩამოაგდეს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, რისთვისაც დასახმარებლად მოიწვიეს საბჭოთა რუსეთიდან წითელი ჯარი. დღეს აღარ მალაევენ, რომ საქართველოში შემოიყვანეს რუსის ჯარი და მას მოუხდინეს ოკუპაცია. ნება მომეცით წავიკითხო სიტყვები ამის შესახებ ერთ ქართველ პასუხისმგებელ კომუნისტის.

თავმჯდომარე: (აჩერებს ზარით): ბრალდებულო ანდრონიკაშვილო, ვერ მოგცემთ ნებას გამოაქვეყნოთ ისეთი დოკუმენტები, რაც წინასწარ არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლოში (ანდრონიკაშვილი გადასდებს დოკუმენტს და პაუზის შემდეგ განაგრძობს).

ანდრონიკაშვილი: დიახ, საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ეს ფაქტია, როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართველი ხალხი, ქართველი პოლიტიკური პარტიები? რასაკვირველია, რომ ივინი ვერ შეურიგდნენ ოკუპაციას, მაგრამ გამოუცხადეს მათ საოკუპაციო ხელისუფლებას ბრძოლა პირველ დღიდანვე, როგორც ამას ეტყობილობთ საბრალმდებლო დასკვნაში? რა თქმა უნდა, რომ არა. ბრძოლაზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა, პირიქით: პოლიტიკური პარტიები, უწევდნენ რა ანგარიშს ფიზიკურ ძალას, რომელმაც საქართველოს მოუსპო დამოუკიდებლობა, შეეცადნენ გამოენახათ ახალ ხელისუფლებასთან შემათანხმებელი გზა და ენა სადაო საკითხების გადასაწყვეტათ საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში. ამისათვის კიდეევაც საქართველოს სოც. დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ამოირჩია დელეგაცია

ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლათ (მეც გახლდით ამ დელეგაციაში), ვინახულეთ რევკომის თავმჯდომარე, ფ. მახარაძე, წარეუდგინეთ ჩვენი მოსაზრებანი სოც. დემოკ. პარტიის მთავრობასთან საერთო ენის გამონახვის შესახებ. მოისმინა რა ეს განზრახვა, ფ. მახარაძემ გვიპასუხა: „ეს არის დელეგაციის აზრი, ჩვენთვის კი სასურველია ვიცოდეთ პარტიის აზრიო". თქვენ იცით, რომ ხელისუფლების ნება დართვით თბილისში მოხდა ქართულ სოც. დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა, სადაც გამოტანილი იყო ცნობილი 10 აპრილის 1921 წ. რეზოლუცია.

ამ ყრილობის და ამ რეზოლუციის ბედის შესახებ მოისმინეთ ვრცელი ჩვენება მოწმეების, სეით დეედარიანის და თევზაიასი. ამიტომ მე აღარ შევაჩერებ ამაზე თქვენს ყურადღებას, მე აღვნიშნავ მხოლოდ მხარეებს და ფაქტებს, რომელსაც არ შეეხენ ხსენებული მოწმეები. 10 აპრილის რეზოლუციის შემდეგ, რომელიც წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ინტერვენციისა და შინაური ბრძოლისა ხელისუფლების მიმართ, ეს უკანასკნელი არა თუ ურიგდება ქართველ პოლიტიკურ პარტიებს, არამედ უსპობს მათ ლეგალურ, ნება დართულ ბიუროებს და აძლიერებს რეპრესიებს და ჭერას! ჩვენმა ცეკამ მომცა წინადადება მენახა კომუნისტური პარტიის ცეკის მდივანი და გამეგო მისგან ჩვენი ბიუროს დახურვის მიზეზი. იმ დროს საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნათ იყო ალექსანდრე თუმანიშვილი. ვინახულე და შევეკითხე, რითი აიხსნება ხელისუფლების ასეთი პასუხი ჩვენს რეზოლუციაზე, რომელიც მოუწოდებს პარტიულ მასას, ქართველ ხალხს თანამშრომლობისაკენ საბჭოთა ხელისუფლებასთან? ამაზე მიპასუხა: „სწორედ 10 აპრილის რეზოლუცია გულისხმობს მშვიდობიანობას კი არა, არამედ ბრძოლას ხელისუფლებასთან და ამიტომ ყველა მენშევიკები დასაჭერი ხართო".

მართლაც, შეუდგნენ შიგა და შიგ დაპატიმრებას, რაც შეეხება პარტიულ ბიუროს ლეგალურათ არსებობას, ამაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ამავე წელს (1921 წ.) ჩამოვიდა თბილისში სტალინი. მან პლეხანოვის სახელობის თეატრში გააკეთა მოხსენება, დიდძალი ხალხი დაესწრო, მაგრამ აუდიტორია მისი არ გამოდგა. მოსმენით მოუსმინეს სტალინს, მაგრამ მთელი დარბაზი ეანწყობილი იყო მის წინააღმდეგ და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ეს მოხსენება! კომუნისტებმა სცადეს თავისი რეზოლუცია გამოეტანათ, მაგრამ ვერ

შესძლეს. ამის გამო კომპარტიის ცეკას სხდომაზე სტალინმა გააკეთა მოხსენება „იმ არანორმალურ მდგომარეობის შესახებ, რომელიც არსებობს საბჭოთა საქართველოში იმ დროს, როდესაც ხელისუფლება კომუნისტურია და მასსა კი მენშევიკურათ განწყობილი". ცეკამ გამოიტანა შესაფერისი დადგენილება (ეს დადგენილება მე ჩამივარდა ხელში). იქ ნათქვამია: „მოისმინა რა სტალინის მოხსენება, ცეკამ დაადგინა, დაუყოვნებლივ იქნენ დაპატიმრებულნი პასუხისმგებელი მენშევიკები". იმ დროს რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, როგორც რბილი პოლიტიკის მატარებელი, იქნა გადაყენებული და მის ალაგას დანიშნეს ბუდუ მდივანი, რომელსაც უნდა აეღო მაგარი კურსი და კიდევაც აიღო: ხელისუფლება შეუდგა მასიურ ჭერას, არა მარტო მენშევიკების, არამედ ყველა ქართველ პოლიტიკურ პარტიათა წევრებისას, ციხეები გაივსო პატიმრებით, ბრალდებას კი არ უყენებდნენ. ამის გამო ვინახულე ჩვენი ცეკის დავალებით იმ დროს ჩეკას თავმჯდომარე კოტე ცინცაძე (ეს იყო ჩემ დაპატიმრებამდე 1921 წ. ოქტომბერში). მივაქციე მისი ყურადღება დაპატიმრებულთა მდგომარეობას. შევეკითხე, თუ რაიმე დანაშაული მიუძღვით, წარუდგინეთ ბრალდება, და თუ არა, გაანთავისუფლეთთქო. ამაზე ცინცაძემ მიპასუხა სიტყვა-სიტყვით შემდეგი: „ვერავითარ ბრალდებას მათ ვერ წარვუდგენთ, იგინი სხედან იზოლაციის წესით, როგორც ხელისუფლებისათვის მავნე ელემენტებიო, იმათი ციხეებიდან განთავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ესა თუ ის პატიმარი აღარ წარმოადგენს საშიშროებას ხელისუფლებისთვისო". ამავე საქმეზე ვინახულე იუსტიციის კომისარი, დღევანდელი საზოვადო მბრალდებელი ს. ქავთარაძე, მისგანაც მივიღე ივივე პასუხი. ამგვარათ იზოლაციის წესით დაპატიმრება და ის განმარტება, რომელიც გააკეთეს იუსტიციის კომისარმა და ჩეკის თავმჯდომარემ, აშკარად ამტკიცებდა იმას, რომ ქართველ პოლიტიკურ პარტიების წევრებს განსაკუთრებით მენშევიკებს, აპატიმრებდნენ არა იმისათვის, თითქოს იგინი აწარმოებდნენ ბრძოლას ან უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას რაიმე წინააღმდეგობას (მაშინ აშკარაა წარუდგენდნენ კონკრეტულ ბრალდებას), არამედ იმიტომ, რომ ქართველ პოლიტიკურ პარტიების, გარდა კომუნისტურისა, ლეგალურ არსებობას ვერ ითმენდა საბჭოთა ხელისუფლება. ხელისუფლება თავის ასეთ შეურიგებელ პოლიტიკით აიძულებდა ქართველ პოლიტიკურ პარტიებს გადასულიყვნენ იატაკ

ქვეშ, ეწარმოებინათ არალეგალური მუშაობა. სასამართლოს ყურადღება უნდა მივაქციო იმ გარემოებას, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა დამკომის (დამოუკიდებლობის კომიტეტის) დაარსების და მისი მოქმედების ისტორიაში. საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულია, რომ დამკომი ვითომ დაარსდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ევროპაში გასვლის დღიდან. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს არაა მართალი. დამკომის დაარსების მიზეზი იყო იგივე შეურიგებელი პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც მიმართული იყო ქართველი ხალხის და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მე მოვიყვან ფაქტებს, სამწუხაროდ მე არ მეძლევა უფლება დოკუმენტების საშუალებით დავამტკიცო ცნობილი ფაქტები, მაგრამ მე მაინც აღვნიშნავ. ავიღოთ ამიერკავკასიის ფედერაციის შემოღება; ეს სრულიადაც არ გამომდინარეობდა ქართველი ხალხის ნება-სურვილიდან; ვიტყვი მეტს: საქართველოს კომუნისტურ პარტიასაც კი არ დაუყენებია ეს საკითხი დამოუკიდებლათ, ეს მოახვია თავზე მოსკოვმა და რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ. ამას დაამტკიცებს რეზოლუციები, რომელიც გამოჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში (თფილისში, თელავში, სიღნაღში და დასავლეთ საქართველოში) ფედერაციის შესახებ. ამ რეზოლუციებში აშკარად და ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მიესალმებიან და ერთხმად იღებენ რ.კ.პ.(ბ.)კ.-ის კავბიუროს (რუსეთის კომ. პარტ. ცეკას კავკასიის ბიურო) დადგენილებას ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემოღების შესახებ. კომუნისტები ფედერაციის შემოღების აუცილებლობას ასაბუთებდნენ აგრეთვე ეკონომიკური მოსაზრებით, რომ ის სასარგებლო იყო ყველა რესპუბლიკებისათვის. საინტერესოა გავიხსენოთ კიროვის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა თბილისში პროფკავშირის ყრილობაზე ფედერაციის შესახებ 1921 წ. დეკემბერში; მას სხვათა შორის მოჰყავს ერთი პატარა ფაქტი, რომელსაც აქვს ღრმა ეკონომიური მნიშვნელობა ამ საკითხის (ფედერაციის) გასაგებათ. მოვდიოდით ჩვენ აზერბაიჯანიდან საქართველოში და თვითეულ ჩვენთაგანს ჰქონდა მილიონი მან. გადავედით ფოილოს ხიდზე და შევედით საქართველოს საზღვრებში, და ეს ერთი მილიონი აზერბეიჯანის მანეთები იქცა ნახევარ მილიონათ ქართულ ფულზეო, ჩემთვის ეს გასაგები იყოვო, მაგრამ აზერბაიჯანის მუშებისათვის, რომლებიც ჩვენთან ერთათ მოდიოდნენ, გაუგებარი იყო ეს მოვლენაო, იქაც პროლეტარიატის დიქტატურაა და აქაცო,

მხოლოდ იქური მილიონი უდრის აქაურს ნახევარ მილიონსო. პირიქით, აზერბაიჯანის მუშებისათვის ასეთი ფედერაცია გასაგები და სასარგებლოც იყო, ვინაიდან აზერბეიჯანის და ქართული ფულის სრული გათანასწორება ხელოვნურად აშკარა მოგებას ანიჭებდა აზერბეიჯანს. მართლადაც, თუ აზერბეიჯანის ერთი მანეთი ფედერაციის შემოღებამდე უდრიდა ქართულ ათ შაურს, აშკარაა ღირებულება აზერბეიჯანის ფულისა ითვლებოდა ქართულ ფულზე ორჯელ უფრო იაფად. როდესაც შემოიღეს ფედერაცია, რომელიც არ გაურბოდა ამიერ-კავკასიის ხალხების განსხვავებულ ეკონომიკურ ცხოვრებას, დააკისრეს იგი ზევიდან პოლიტიკური მოსაზრებით და ამ გზით აზერბეიჯანის და ქართული ფული ხელოვნურად ერთმანეთს გაუთანასწორეს, მაშინ მოხდა ის, რომ აზერბეიჯანელს თავის ერთი მანეთით საქართველოდან გაჰქონდა ათი შაურის საქონელი უკვე მუქთათ, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ აზერბეიჯანელი მუშა თუ გლეხი ყვლეფავდა ქართველ მუშა-გლეხს. რომელი სოციალისტური პარტია მოითხოვს თავის პროგრამაში ერთი ერის მეორე ერის მიერ გაყვლეფას? მეორე — რომელ დღიდან მარქსისტი ამტკიცებს იმას, რომ პოლიტიკა (ფედერაცია კი გახლავთ პოლიტიკური ფორმა) ქმნის ეკონომიკას? მართალია, პოლიტიკა თავის მხრივ ახდენს გაელენას ეკონომიკაზე. ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი ეკონომიური ურთიერთობა უკვე შექმნის შესაფერის პოლიტიკურ ფორმას. ფედერაციის შემოღება კი სრულიად არ იყო რესპუბლიკების ევოლუციურად, ბუნებრივად ეკონომიური გათანასწორების შედეგი; პირიქით ამ დროს საქართველო ეკონომიურად ღრმად განსხვავდებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან და გაცილებით მაღლა იდგა მათზე ამ მხრივ. ამგვარად, ამიერ-კავკასიის ფედერაციამ მოუსპო საქართველოს ეკონომიური დამოუკიდებლობა და გააღატაკა. და როდესაც ამიერ-კავკასიის ფედერაციას ზედ მოჰყვა უშუალოდ შეყვანა საბჭოთა სოც. რესპ. კავშირში, მაშინ საქართველოს დაეკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ის ნატამალიც, რომელიც შერჩა მას გასაბჭოების შემდეგ. ამ ფაქტით აიხსნება სწორედ ის უკლონიზმი, რომელიც წარმოიშვა კომუნისტთა რიგებში. უკლონისტები მოითხოვდნენ საქართველოს უშუალოდ შესვლას ხსენებულ კავშირში, რათა ამით მაინც შეენარჩუნებინათ საქართველოს პოლიტიკური ერთგვარი დამოუკიდებლობა. მოგახსენებთ, რომ უკლონიზმი ჩაკლეს, უკლონის-

ტები დაქსაქსეს. როდესაც ქართული პოლიტიკური პარტიები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა წარმოადგენს უბრალოთ წყლის ნაყვას და დაინახეს, რომ ხელისუფლების ეამეებლობის სისტემას მიჰყავს საქართველო დაღუპვისაკენ, მათ დაებადათ იდეა მთლიანი ფრონტის შექმნისა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ უკვე ბრძოლის საშუალებით. და 1922 წ. აგვისტოში ჩაეყარა საფუძველი დამოუკიდებლობის კომიტეტს. აუცილებლივ საჭიროთ მიმაჩნია მივაქციო სასამართლოს ყურადღება დამკომის მოქმედების ხასიათზე დღიდან მისი დაარსებისა თვით აჯანყებამდე, ამას აქვს დიდი მნიშვნელობა ამ პროცესში ბრალდებულთათვის. დამკომის მოქმედება განიყოფება ორ პერიოდათ: პირველი—ნიკ. ქარცივაძის თავმჯდომარეობით 1922 წ.აგვისტოდან მის დაპატიმრებამდე (1923 წ. მარტი), მეორე—ჩემი თავმჯდომარეობით. 1923 წ. მაისიდან აჯანყებამდე. არსებითი განსხვავება ამ ორ პერიოდს შუა გამოიხატება შემდეგში.: დამკომი ნიკ. ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს ექვემდებარებოდა მასში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს. უკანასკნელნი სწყვეტდნენ საკითხებს და ცხოვრებაში ატარებდნენ დამკომის სახელით. ჩემი თავმჯდომარეობის დროს ხდებოდა პირიქით: დამკომი მოქმედებდა დამოუკიდებლად, საკითხს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი სწყვეტდა თვითონ, მხოლოდ დასადასტურებლად გადაქონდა პარტიულ ცეკაში. პარტიებს ინიციატივის უფლება არ ეხშობოდათ, მათ შეეძლოთ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით დამკომში ესა თუ ის წინადადება შეეტანათ. პარტიები ეხმარებოდნენ დამკომს, ამგვარად პოლიტიკური პარტიები მთლად არ იყვნენ ჩამოშორებული აჯანყების მოწყობის საქმეს, იგინი იმავე დროს აწარმოებდნენ თავის წმინდა პარტიულ მუშაობასაც. ამას გადაჭრით ვაცხადებ მენშევიკურ პარტიის შესახებ. დამკომის ასეთი კონსტრუქცია და უფლებები აიხსნება იმ დროით და პირობებით, რომელშიაც მას (დამკომს) უხდებოდა მუშაობა. ქარცივაძის თავმჯდომარეობით არასდროს აჯანყების საკითხი პრაქტიკულად არ დასმულა. თუ მაინც დაისვა იმ დროს, როგორც ქარცივაძემ განაცხადა, მხოლოდ უფრო თეორიულად, ე. ი. (რათა) გამოერკვიათ, რა ძალას წარმოადგენდნენ პარტიები, თუ მოხდებოდა საქართველოში როდესმე აჯანყება. როდესაც მე ჩავუდექი დამოუკიდებლობის კომიტეტს სათავეში, წინანდელ კომიტეტისა-

გან არავითარი მემკვიდრეობა არ მიმიღია. არც ორგანიზაციული და არც სამხედრო, ვინაიდან წინანდელ კომიტეტის მუშაობას ჰქონდა წმინდა საკონტაქტო ხასიათი პოლიტიკურ პარტიათა შორის. როცა მე შეველი დამკომში, იქ დამხვდა მხოლოდ იასონ ჯავახიშვილი. წარმომადგენლები სხვა პარტიებისა არ იყვნენ, ჩემ შეკითხვაზე — თუ რატომ არ არიან, ჯავახიშვილმა მიპასუხა, რომ „დაჭერის შემდეგ არ აგზავნიან წარმომადგენლებსო". ამ საკითხის გამორკვევას მე შეუდექი, პარტიებთან მოვახდინე მოლაპარაკება, რათა მოეცათ წარმომადგენლები, მაგრამ ამას ვერ მივაღწიე, მხოლოდ „ესერებმა" გამოგზავნეს წარმომადგენელი, „სხიველებს" არ ყავდათ კაცი, ფედერალისტებმა ერთხელ გამოგზავნეს წარმომადგენელი, დამკომმა ჩემი თავმჯდომარეობის დროს აიღო ხელისუფლებასთან აქტიური ბრძოლის ხაზი. მას წინ უძღოდა მთელი რიგი რეპრესიებისა ხელისუფლების მხრივ. მასიურ დაპატიმრებებს და გადასახლებებს თან მოჰყვა პოლიტიკურების დახვრეტაც. ეს მოხდა ობოლაძის მოკლის შემდეგ. მთავრობამ ამ მკვლელობის გამო, რომელიც მოახვია საქ. სოც. დემ. პარტიას, მიუხედავად ამ უკანასკნელის მიერ ვანცხადებისა ფურცლის სახით, რომ მას ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, დახვრიტა ადგილობრივად ვურიაში 150 კაცი და თბილისის ციხიდან გამოიყვანეს 92 პოლიტიკური პატიმარი. მე არ მახსოვს ის დღე, როდესაც მე შეეხვდი იასონ ჯავახიშვილს და ვუთხარი: დღეიდან ჩვენ და საბჭოთა ხელისუფლებას შორის ვეღარ მოიძებნა საერთო ენა, მხოლოდ ბრძოლა და ბრძოლა მასთან! უნდა მოგახსენოთ რომ მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების საკითხი დამკომში უკვე დასმული იყო, ჩვენ მაინც ვცდილობდით მშვიდობიანი გზით გადაგვეჭრა საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან სადაო საკითხი. ნოე ხომერიკის დაპატიმრებამდე, 1923 წ. საქართველოს სოც. დემ. პარტიის ცეკამ მიმართა საქართველოს კომუნ. პარტიას და მთავრობას; სხვათა შორის აძლევდა წინადადებას მოეხდინათ საქართველოში რეფერენდუმი იმის შესახებ, თუ რაგვარ მართველობას ამჯობინებს ქართველი ხალხი. ამასთან მოვითხოვდით, რომ რეფერენდუმი მომხდარიყო ფარულ კენჭის ყრით, თუნდაც მხოლოდ მუშებისა და გლეხების მონაწილეობით, და წინასწარ პირობას ვსდებდით, რომ თუ ამ კენჭისყრაში კომუნისტები მიიღებდენ ხმების თუნდაც ერთ მესამედს, ჩვენ ვიღებდით ხელს საბოლოოთ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფ-

ლებასთან. ამაზე გვიპასუხეს „ზარია ვოსტოკა-ში“ და ჩვენი წინა-დადება სიცილადაც არ ეყოთ. მუდამ ასე ხედებოდა საქართველოს საბჭოთა ხელისულება და კომუნისტური პარტია ქართველ ხალხის მშვიდობიან წინადადებებს. ამიტომ ქართველ პოლიტიკურ პარტიებს სხვა გზა არ დარჩენოდათ ვარდა იმისა, რომ თავის საკუთარი ძალების საშუალებით და ევროპის დიდ სახელმწიფოთა დიპლომა-ტიური დახმარებით აღედგინათ ქართველი ხალხის შელახული უფ-ლებები და დაებრუნებიათ წართმეული დამოუკიდებლობა. ეს კი შეიძლებოდა მხოლოთ აჯანყების გზით. და კიდევაც 1923 წლის დამლევს შეუდექით ამ საკითხის პრაქტიკულად დასმა-გადაჭრას, ენერგიულ მზადებას. შესდგა სამხედრო კომისია, რომელსაც დაევა-ლა ორგანიზაციული მხარე. როგორც უკვე მოვახსენეთ, დამოუკი-დებლობის კომიტეტი მოქმედებდა პარტიებისაგან დამოუკიდებლათ და ამიტომ, თუმცა აჯანყების საკითხი თავის დღის წესრიგში დასვა, მაგრამ პარტიების ცეკაში არ ვადაუტანია, რადგანაც ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი. საჭირო იყო ჯერ თვითონ აეწონ-დაეწონა, გაეთვალისწინებია შინაური მდგომარეობა, საკუთარი ძალები, საერ-თაშორისო სიტუაცია და როდესაც მიიღებდა დადგენილებას, მხოლოდ შემდეგ საბოლოოდ მისაღებად გადაეტანა პარტიების ცეკაში. ჩვენ დავიწყეთ ძალების აღნუსხვით. სამხედრო კომისიას მიეცა ავტონო-მიური უფლებები. ჩვენ არ ვადგენდით შეიარაღებულ რაზმებს, რად-გან არ იყო არც მიზანშეწონილი და არც კონსპირატიული მოსაზ-რებით დასაშვები. ასეთი რაზმები თავს ვერ დაიჭერდნენ და ჩაუვარ-დებოდნენ ხელისუფლებას. მხოლოდ ერთად ერთი ჩოლოყაშვილის რაზმს შეეძლო აშკარად ეარსებნა, რადგანაც ის ტყეებში იმალებოდა და ხელისუფლება მას ვერ იჭერდა. ჩვენ ეკმაყოფილდებოდით ძალების აღნუსხვით როგორც თბილისში, ისე პროვინციაში, იყვნენ არჩეული მხოლოდ ათის თავები, რომლებიც ცალ-ცალკე იყვნენ დაკავშირებულნი სამხედრო კომისიასთან, მომავალ მებრძოლებმა არც კი იცოდნენ— ირიცხებოდნენ ისინი რაზმში თუ არა, მაგრამ ვინაიდან ათის თავებს ყავდათ აყვანილი აღრიცხვაში მებრძოლთა განსაზღვრული რიცხვი, საკმარისი იყო (სამხედრო კომისიას) აჯანყების ორი სამი დღის წინ ეცნობებინა მათთვის, რომ შეიარაღებული რაზმიც მზად ყოლოდა... მუშაობის ამგვარ მეთოდს ჰქონდა ის კარგი მხარე, რომ არ ყოფილა აჯანყებამდე არც გამცემლობა და არც დარბევა ჩვენი ძალების. არ

იყო სავალდებულო, რომ რაზმელი ყოფილიყო უსათუოდ პარტიული, რაზმში ჩაწერა შეიძლებოდა უპარტიოსიც. ყოველ ქალაქში და პროვინციაში ჩვენ ვცდილობდით შეგვედგინა პარიტეტული კომისია იმავე პრინციპზე, რაზედაც იყო აშენებული დამოუკიდებლობის კომიტეტი. სადაც ასეთ კომისიას ვერ მოახერხებდნენ, იქ იყვნენ დანიშნული რწმუნებულები. სრულუფლებიანი რწმუნებული კი გვყავდა მხოლოთ ბათომში, გიზო ანჯაფარიძე. მუშაობა სამხედრო მიმართულებით მიდიოდა კარგათ. როდესაც დავინახეთ, რომ ჩვენ თითქმის მზათა ვართ, მაშინ აჯანყების საკითხი დავსვეთ უკვე გადასაწყეტათ. ეს იყო 1923 წლის ოქტომბერში, იქამდის ეს საკითხი არ ვადაგვიტანია ცენტრ. კომიტეტში სანქციის მისაღებათ. იგი ვადავიტანე ჩვენ პარტიაში ცეკას თავმჯდომარე სეით დევდარიანის დაპატიმრების შემდეგ და ცეკამ კიდევაც დაადასტურა აჯანყება.

ეხლა გადავდივარ იმაზე, თუ რა დამოკიდებულება გვქონდა ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებთან. არაა მართალი, თითქოს ჩვენ ამ მეზობელ რესპუბლიკებთან. არაა მართალი, თითქოს ჩვენ ამ მეზობლებთან მოვაწყეთ მჭიდრო კავშირი აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად. არც მუდმივი წარმომადგენლები ვეყოლია იქ, მართალია ჩვენ ვცდილობდით დაგვეჭირა მათთან მჭიდრო კავშირი, მაგრამ ეს ცდა არ დამთავრდა ჩვენ სასარგებლოთ. სომხეთმა თავიდანვე უარი შემოგვითვალა. აზერბაიჯანთან გ. ფაღავას დაპატიმრების შემდეგ არც გვიცდია კავშირის დაჭერა. მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ორჯერ გავგზავნეთ რწმუნებული—პირველად გიორგი წინამძღვრიშვილი, მეორეთ მ. იშხნელი. მაგრამ როგორც პირველის მოხსენებიდან, ისე მეორესგან ვავრწმუნდით, რომ ჩრდილო კავკასიასთან არა ვამოვა რა და თავიც მივანებეთ, ამიტომ გადაწყდა, რომ საქართველო გამოსულიყო თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი.

ამასთან ჩვენ გვქონდა იმედი დასავლეთ ევროპის. ჩვენ არ ვიყავით მომხრენი შეიარაღებულ დახმარების, ეგრეთ წოდებული შეიარაღებული ინტერვენციის, ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ დიდი სახელმწიფონი, როდესაც საქართველოში მოხდება აჯანყება, გაგვიწევენ დიპლომატიურ დახმარებას ამა თუ იმ სახით. ჩვენი მუშაობა, განსაკუთრექით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის, სწორეთ ამ მიმართულებით სწარმოებდა—რათა ევროპის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წრეების აზრი შეგვექმნა ჩვენ სასარგებლოთ. და ამ მხრივ კიდევაც გვქონდა დამაკმაყოფილებელი ცნობები.

აი ამისა და ჩვენი ძალების იმედით ჩვენ გადავსდგით ნაბიჯი. ჩვენ ვიყავით საკმაოდ მომზადებულნი და კიდევაც გავიმარჯვებდით, თუ არა ის საბედისწერო შეცდომა, რომელიც უკვე აღნიშნა იასონ ჯავახიშვილმა: ესაა ჭიათურაში თითქმის ერთი დღით ადრე გამოსვლა. სწორეთ ამან გადასწყვიტა აჯანყების ბედი. ამ გარემოებამ გააფრთხილა ხელისუფლება მიეღო დროზე ზომები და ჩვენი მთავარი ამოცანა—ვაზიანში მყოფი მთელი ამიერ-კავკასიის არტილერიის აღება—ვერ შესრულდა. ამ ამოცანის შესრულება კი (რაც აუცილებლათ შესრულდებოდა) ჩვენ გვაძლევდა უტყუარ შანსებს გამარჯვებისას. თფილისი იქნებოდა ჩვენს ხელში და მთელი კახეთი ფეხზე დამდგარი. რაკი ჭიათურა ადრე გამოვიდა, მთავრობა მიხვდა, რომ იწყება საერთო აჯანყება და სწორეთ 28 აგვისტოს დღისით მთელი არტილერია გადმოიყვანა თბილისისაკენ (გამოსვლა კი საერთო დანიშნული იყო ღამის 2 საათზე—28-დან 29-მდე.) ცნობილია, რომ ყოველ ფართე მასიურ მოძრაობაში ადგილი აქვს გამცემლობას, აშკარა იყო გამცემლობა ჩვენი გამოსვლის დროსაც. ჩემთვის დღესაც არ არის გამორკვეული,—რატომ სამხედრო კომისიამ, რომელიც დატოვებული იყო თბილისში და რომელსაც დავალებული ჰქონდა მთელი რიგი ამოცანებისა (ორგანიზაციულად და ტეხნიკურად სავსებით მოწყობილი), რატომ ვერც ერთი დავალება ვერ შეასრულა: გარდა ვაზიანის აღებისა, ჰაეროპლანების ხელში ჩაგდება, ბრონევიკების დამორჩილება—ეს სულ თბილისის გარეთ.

პირველი ჩვენი გეგმა იყო თფილისის აღება და ადგილიც იყო მისი აღება, საბჭოთა ჯარები გასული იყო საზაფხულო ბანაკებში. ჩვენ კი საკმარისათ ვიყავით მომზადებული, მაგრამ მთავრობას ალბათ ეჭვი ჰქონდა აღებული (აშკარაა აქ გამცემლობას ჰქონდა ადგილი). რადგან 16 თუ 17 აგვისტოს მოულოდნელად თფილისი გააცსო ჯარებით. გამოსვლა თფილისში ამ პირობებში გამოიწვევდა საშინელ სისხლის ღვრას და ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ცენტრი გადავიტანეთ პროვინციაში. მეორე გეგმა, რომელსაც ჩვენ დავადექით, გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთ დღეს და ერთ საათს მთელ საქართველოში გარდა თფილისისა უნდა დაწყებულიყო შეიარაღებული გამოსვლა და ეს ასეც მოხდა, მხოლოდ, როგორც მოგახსენეთ, ჭიათურა ჩემთვის გაუგებარ მიზეზების გამო, გამოვიდა ერთი დღით ადრე. თფილისს კი ავიღებდით გარედან: პროვინციაში გამარჯვებული ქარ-

თლის, კახეთის, ბორჩალოს შეიარაღებული ძალებით და ვაზიანში აღებულ არტილერიის დახმარებით შემოვარტყამდით თფილისს ალყას. დასავლეთ საქართველოში გამოსვლამ მიიღო ნამდვილი ხალხური, მასიური ხასიათი; სამეგრელოში, გურიაში, ქუთაისის მაზრაში (ჭიათურა). კახეთში და ქართლში აჯანყებას, მართალია არ მიუღია მასიური ხასიათი. აიხსნება ეს ერთის მხრივ იმით, რომ კახეთის გლეხ-კაცობა არ არის პოლიტიკურად საკმარისად მომზადებული და შეგნებული, მეორეს მხრივ—კახეთი იმედს ამყარებდა ვაზიანზე, და რადგანაც ჭიათურის ადრე ვამოსვლამ ვააფრთხილა მთავრობა, დროზე იყო ამიტომ მიღებული ზომები და სასწრაფოთ ჩააქრეს სუსტათ დაწყებული კახეთში გამოსვლა. კახეთში და ქართლში აჯანყების ჩაქრობამ მისცა მთავრობას საშუალება მთელი თავისი ძალები, რუსის ჯარი, გადაეყვანა დასავლეთ საქართველოში და იქაც დაემარცხებინა მთელი მოძრაობა. საბრალმდებლო დასკვნაში წარმოდგენილია აგვისტოს აჯანყება, როგორც ავანტიურა, ბოროტმოქმედება ჩადენილი უპასუხისმგებლო პირების, თავად-აზნაურების და მღვდლების მიერ, ასეთი წარმოდგენა აჯანყებაზე შეიძლება კიდეე ჰქონოდათ დამარცხების პირველ დღეებში, ვიდრე გამოირკვეოდა. მაგრამ სასამართლო დარწმუნდებოდა დღევანდელ პროცესში მოწმეებისა და ბრალდებულთა ჩვენებებიდან, რომ აჯანყებას ჰქონია ხალხური, ფართე მასიური ხასიათი, რომ შიგ იღებდნენ მონაწილეობას უმთავრესად გლეხობა და მუშები. თვით მახარაძე თავის მოხსენებაში ამბობს: „ვიცოდით, რომ თუ მენშევიკები დაიწყებდნენ რამეს, გურიიდან დაიწყებდნენ და ეს ასეც მოხდაო. აქ გამოსვლას უფრო მასიური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სადმეო. უმეტესობა მაინც გლეხობა იყოვო". მერე თუ აგვისტოს აჯანყება იყო ავანტიურა—მე ვეკითხებით—ხელისუფლებას რად დასჭირდა ეგრე სასტიკათ და ულმობელათ გასწორებოდა ქართველ ხალხს და დაეხვრიტა 4000-მდე, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ მუშები და გლეხები?

ჩვენ დავმარცხდით. დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლად ჩავარდა, ჩვენ დაგვიჭირეს შიო მღვიმის ტყეში, სადაც ვიყავით გასული. მოგვიყვანეს თფილისში: მე, იას. ჯავახიშვილი, მიხ. ბოჭორიშვილი, გ. ჯინორია, რაც შეეხება მიხ. იშხნელს, ის დააპატიმრეს თფილისში. და იმავე ღამეს, 4 ეკენ., მოიყვანეს ზავჩეკაში. ყველა ჩვენ ცალცალკე მოგვათავსეს ჩეკის სარდაფებში. ჩვენ, რა თქმა უნდა, თავზე

ხელს არ დაეკისვამდნენ და გამზადებულნი ვიყავით დასახვრეტად. ჩემ საკანში შემოვიდა ზაკჩეკის თავმჯდომარე მოგილევსკი, მან მომცა წინადადება გამეკეთებინა განცხადება, რომ საქართველოს ს—დ. პარტიამ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ მოაწყო ავანტიურა და ამ ავანტიურაში ჩააბა ხალხი. ჩემთვის აშკარა იყო, რომ სოც. დემ. პარტიისათვის ასეთ დამამცირებელ განცხადებას კომუნისტები გამოიყენებდნენ, მხოლოდ მე სიკვდილისაგან ვადამარჩენდნენ. ამიტომ მე კატეგორიულად უარი განვაცხადე. მოგილევსკი რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორედ შემოვიდა ჩემთან. იგივე წინადადება, იგივე ჩემგან პასუხი, ეს ლაპარაკი ხდებოდა მაღალი ხმით და ესმოდათ ჩემს ამხანაგებს. მოგილევსკიმ ეაჯავრებულად კარი ეაიხურა და ასე ხუთი წამის შემდეგ მე გამომიძახეს საკანიდან. შემიყვანეს დიდ ოთახში, ეაესილში ჩეკის მოსამსახურეებით. ერთ-ერთ კუთხეში თოკით ხელებეაკრული იდგნენ ი. ჯავახიშვილი, ჯინორია, და ბოჭორიშვილი. ამათგან დაშორებით ჩემთვის სრულიად მოულოდნელად იდგა აგრეთვე გათოკილი გიორგი ცინცაძე. მომგლიჯეს მე პალტო და გამიკრეს თოკით ხელები. დამაყენეს ჯავახიშვილს, ბოჭორიშვილს და ჯინორიას გვერდით. იასონ ჯავახიშვილმა მომმართა სიტყვებით: „რაიმე გამოსავალი უნდა მოენახოთ, მე ვუპასუხე—ყველაფერი გათავდა, მე მომეცა წინადადება სოც. დემ. პარტიის სახელით გამეკეთებია განცხადება, რომ გამოსვლა იყო ავანტიურა და ეგი მოაწყო პარტიამ, მე უარი განვაცხადე“. ჯავახიშვილმა მომიგო, რომ ბერია, საქართველოს ჩეკის თავმჯდომარის ამხანაგი, იძლევა წინადადებას, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამონახოს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდანო“. მე არ ვიცი, რა გამოსავალზე ლაპარაკობს ბერია—მიუგე მე—მხოლოდ არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს გავიგოთ მისგან წინადადება. ჯავახიშვილმა მიმართა იქვე მდგომ ქართველ თანამშრომელს, რომ მას ვადაეცა ბერიასათვის ჩვენი თანხმობა წინადადების მოსასმენად, არ გასულა ხუთი წამი, რომ მე და იასონ ჯავახიშვილი გაგვიძახეს შენობის სულ ზემო სართულში და შეგვიყვანეს ბერიას კაბინეტში. იქ იყვნენ თვით ბერია, მოგილევსკი, მოროზი, შემდეგ შემოვიდა საქართველოს ჩეკის თავმჯდომარე კვანტალიანი. შემოსვლისთანავე მივმართე ბერიას: თქვენ თურმე იძლევით წინადადებას, რაში ეამოიხატება ეგი? ბერიამ განაცხადა: „თქვენ დამარცხდით, მაგრამ ნაწილობრივ შიგა და შიგ შებრძოლება გრძელ-

დება. რა თქმა უნდა, ამ დანარჩენ რაზმებსაც ჩვენ მოუღებთ ბოლოს, მხოლოდ უბრალო სისხლისღვრა იქნება აუცილებელი. ამ შეიარაღებული ჯგუფების შეჩერება შეგიძლიათ თქვენ, კომიტეტს. გააკეთეთ განცხადება და მიეცით დაფანტულ რაზმებს ჩაგვაბარონ იარაღი და მათ კი ჩვენ ხელს არ ეახლებთ და მასიურ დახვრეტასაც შევაჩერებთო“. ¶ ასეთი განცხადების შემდეგ ჩვენ აშკარად ვიგრძენით, რომ ჩვენი როლი არ დამთავრებულა, რომ ჩვენ განვაგრძობთ პასუხისმგებლობას ქართველ ხალხის წინაშე. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ბრძოლის გაგრძელება დაფანტულ შეიარაღებულ ჯგუფების სახით, მაშინ როდესაც მთავარი ძალები დამარცხდა, იქნებოდა ავანტიურა და დამღუპველი ქართველ მოსახლეობისათვის. ამიტომ რაკი ჩვენ გვეძლეოდა საშუალება მიგვემართა მოწოდების სახით დაფანტულ რაზმებისათვის, რათა შეეჩერებინათ ბრძოლა და ჩაებარებინათ იარაღი მთავრობისათვის, ჩვენ პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა დავთანხმებულიყავით მოცემულ წინადადებაზე. მე განუცხადე ბერიას, რომ მისი წინადადება იმდენად სერიოზულია, რომ საჭიროა დანარჩენების დასწრებაც; მან იმწამსვე მისცა განკარგულება ამოეყვანათ დანარჩენებიც—იშხნელი, ჯინორია, ბოჭორიშვილი. ჩვენ ყველანი ვისხედით ხელეს შეკრული და ასე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. მხოლოდ შუა მოლაპარაკებაში რომ ვიყავით, მაშინ მოგვხსნეს თოკები. მე გადავეცი მოსულებს წინადადება. ჯინორია დააპატიმრეს დასავლეთ საქართველოში და იყო იქაურ მდგომარეობის კურსში და გზა და გზა თბილისისაკენ რა ხდებოდა, ისიც იცოდა, გააკეთა ჰატარა მოხსენება, სადაც აღნიშნა, რომ მრავალი ხალხი დაჭერილია, განაგრძობენ ჭერას, იხვრიტებიან მასიურათ, თვითონ იყო ამის მოწმე და რიგში დგანან დასახვრეტადო, მოწოდებას ექნება მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, თუ ეხლავე შესდგება დეკლარაცია, მისი ცოტა ხნის დაგვიანება დაუკარგავს მას ყოველივე ფასსო. ვიდრე გამოქვეყნდებოდეს ეს მოწოდება, საჭიროა ამ წუთშივე, ამაღამვე იქნეს გაცემული ბრძანება შეაჩერონ მასიური ხვრეტა: ამაზე ბერიამ გვიპასუხა; „თუ კომიტეტი დათანხმდება დეკლარაციის გამოშვებაზე, ამ წუთშივე ჩვენი თანდასწრებით პირდაპირი მავთულით მთავრობა დაგზავნის ბრძანებას ხვრეტის შეჩერების შესახებ“. ჩემს შეკითხვაზე—თუ რამდენათ ჩეკის გადაწყვეტილებას გაიზიარებს მთავრობა —მიპასუხა, რომ რაც აქ ამ კაბინეტში გადაწყდება, არის ამავე

დროს მთავრობის ვადაწყვეტილებაო. ჩვენ დავთანხმდით. რა თქმა უნდა, ჩვენ მივდიოდით რისკზე... დასაშვები იყო, რომ დეკლარაციას დაგვაწერინებდნენ და სიტყვას კი არ შეასრულებდნენ. მართალია დეკლარაცია მაინც თავის დადებით როლს ასრულებდა იმ მხრივ, რომ შეაჩერებდა უკვე უმიზნო ბრძოლას, რომელსაც განაგრძობდნენ დაფანტული რაზმები, მაგრამ (ვადარჩებოდა დახვრეტისაგან დაპატიმრებული ხალხი თუ არა—ამის სრული გარანტია არ გექონდა (ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით, რომ ხელისუფლებას უკვე ჰყოლოდა ათასობით დახვრეტილი), სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ თავის დაპირება მთავრობამ შეასრულა: მე ვიცი უტყუარი ფაქტები, რომ სწორედ იმ ღამეს, როდესაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ (ეს იყო 4 ენკენისთვე ღამის მე-4 სათ.), გაანთავისუფლეს დახვრეტისაგან თფილისი-ბათუმში, სიღნაღში, ასობით დაპატიმრებულნი. (ამის მოწმეებად არიან თვით დასახვრეტათ გამზადებულნი). როდესაც დავთანხმდით დეკლარაციაზე, მე განვაცხადე, რომ ჩვენ ამ დეკლარაციას სრულიად არ ვუკავშირებთ ჩვენი პირადი დახვრეტის საკითხს, ვინაიდან დეკლარაციას აქვს სახეში სულ სხვა საგანი, ჩვენ დავიხვრიტებით თუ არა, ეს მოლაპარაკებაში არ შედის-თქო.

ამაზე კვანტალიანმა მიპასუხა სიტყვა სიტყვით ასე: „თქვენ სწორეთ სვამთ საკითხს; თქვენი დახვრეტა არ უკავშირდება ამ განცხადებას; აღვილათ დასაშვებია, რომ ამ დეკლარაციას მისცემთ და თქვენ კი დაიხვრიტებითო". ჩვენ შევუდექით დეკლარაციისათვის დებულების შედგენას: ჩვენ აღვნიშნეთ ფაქტი ჩვენი დამარცხებისა და იმ გარემოების, რომ ევროპა არ დაგვეხმარა და მოტყუებულნი დავრჩით. ამის შემდეგ ვაძლევთ რაზმებს წინადადებას, დაიშალონ და ჩააბარონ მთავრობას იარაღი. მთელ პასუხისმგებლობას მომხდარ ამბებზე ვიღებდით ჩვენ თავზე. ეს დებულებები ჩვენ მიიღო, მხოლოდ მოგვთხოვა შეგვეტანა ორი დებულება: აგვისტოს გამოსვლები მოგვვნათლა ავანტიურათ და ამ ავანტურაში მონაწილეთ გამოგვეცხადებინა ერის ზედაფენები. მძიმე იყო ჩვენთვის ამ დებულების მიღება: ამით მარტო ჩვენი თავისთვის გამოგვექონდა პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი; მეორე—ილახებოდა თვით მოძრაობა; მესამე—კომუნისტები ფართოდ გამოიყენებდნენ თავის სასარგებლოთ და კიდეეაც გამოიყენეს (ეს ჩვენთვის აშკარა იყო, როდესაც ასეთ დებულებას გვაკისრებდნენ), მაგრამ როდესაც მივიღეთ მხედველობაში დეკლარაციის ეს

უარყოფითი მხარე, მეორე მხრივ ის შედეგები, რომელიც მას მოჰ ყვებოდა, როგორც დახვრეტისაგან ხალხის გადარჩენა, უმიზნო სისხლის ღვრის შეჩერება, მოსახლეობის დარბევისაგან გადარჩენა, ჩვენ ვარჩიეთ „ავანტიურა“ და „ერის ზედაფენები“-ს სიტყვების ფასათ გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. მით უმეტეს ყოველი ქართველი, რომელიც შეგნებულად მიუდგებოდა შექმნილ მდგომარეობას, კარგათ მიხვდებოდა საქმე რაში იყო და ამასთან სიტყვები „ავანტიურა“ და „ზედაფენები“ არსებითად სრულიადაც არ სცვლიდა და არ უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მასიურ მნიშვნელობას: ჩვენ დავმარცხდით, და დამარცხდა ავჯანყება ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა,

ამით ვათავებ ჩემს განმარტებას.

იასონ ჯავახიშვილის სიტყვა წარმოთქმული უზენაეს სასამართლოში

31. 07. 1925წ.

უფალნო მოსამართლენო, ბრალმდებელმა ოკუჯავამ ბრძანა: საქმეში არაა ცნობა შესახებ იმისა, თუ სად მოირჩინა ჭრილობა იასონ ჯავახიშვილმა, და ამიტომ წინააღმდეგი ვარ დაკმაყოფილებული იქნეს იმისი სარჩელიო. ბრალმდებელს თუ ჰქონდა სურვილი შეეძლო მიეღო აღნიშნული ცნობა საგანგებო კომისიაში, სადაც მე მომარჩინეს, მაგრამ... რა შუაშია აქ ჩემი ჭრილობა? არ მეგონა, რომ ამისთანა გამონავარდებას პიროვნულად ჩემს წინააღმდეგ ადგილი ექნებოდა იმ საბრალდებულო სიტყვაში, რომელშიაც მოითხოვდნენ ჩემს სიკვდილით დასჯას; არ მოველოდი ამას განსაკუთრებით იმ ბრალმდებლისაგან, რომელიც ორი საათის განმავლობაში გვეკითხავდა ლექციას გმირობასა და რაინდობაზედ.

მე ჩემს სიტყვაში არ შეეხები სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებსაც ბრალადა გვდებენ, რადგან ეს საქმეები ყურით მოთრეულია პროცესში და გარდა ამისა, ამით დაიჩრდილებოდა ის ეროვნული მოძრაობა, რომელიც დღეს დამნაშავის სკამზეა დასმული, ვილაპარაკებ მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათის ბრალდებებზე.

მე მაბრალებენ იმას, რომ „ვიყავი წევრი პარიტეტული კომიტეტისა, რომლის მიზანსაც შეადგენდა საქ-ში მუშათა და გლეხთა მთავრობის ძალით დამხობა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება“. ესაა მთავარი ბრალდება. პასუხი ამაზე იქნება იმავე დროს პასუხი სხვა, მეორე ხარისხოვან ბრალდებებზე.

უკვე მოვახსენეთ და კვლავ გავიმეორებ, რომ ვიყავი დამოუკიდებლობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი მისი არსებობიდან უკანასკნელ დღემდე; ემუშაობდი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმში, ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას აჯანყების შემზადებასა და ხელმძღვანელობაში... მაგრამ დამნაშავედ ჩემს თავს არა

ეცნობ. რატომ? ამის ასახსნელად საჭიროა შეეეხო განელილ მომენტებს, წარსულ ბრძოლას. შეეეცდები ჩემს განმარტებაში ავმაღლდე იმ პრინციპიალურ პოზიციამდე, რომელზედაც იდგა საზოგადოებრივი ბრალმდებელი ქაეთარაძე, ვინაიდან სწორედ ეს პოზიცია შეეფერება დღეევანდელ ისტორიულ მომენტს და ჩემი ერის ინტერესს. საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამნაირად ხსნის ჩვენს ბრძოლას: ადამ და ევიდან იყო ბრძოლა მეორე და მესამე ინტერნაციონალთა შორის. საქ-ში მომხდარი აგვისტოს აჯანყება ესაა ერთი ეპიზოდთაგანი ამ ბრძოლაში, თუ ეს ასეა, გაურკეეველია რა კავშირი აქვს ამ საქმესთან ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებსაც ესე გულუხვად დაურიგა სახელმწიფო ბრალმდებელმა დახერეტის მუხლები. ჩვენ არ შეედიეართ არც ერთ ინტერნაციონალში და ჩვენი ინტერნაციონალი კი, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვეეაში არ შეგვიქმნია? ცხადია, რომ ინტერნაციონალების ურთიერთობით ვერ აიხსნება საქ-ს უკანასკნელი ბრძოლა: არის რაღაც სხვა მომენტი, რომელსაც ბრალმდებელმა, განზრახ თუ უნებლიეთ, გვერდი აუხვია.

ქართულ პატრიოტულ ინტელიგენციის ის თაობა, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით, პირველად ეზიარა ეროვნულ-პოლიტიკურ მუშაობას მაშინ, როცა აქ მძვინვარებდა მეფური რუსეთი, რომლის წინააღმდეგ ქართველი ერი აწარმოებდა ეროვნულ ბრძოლას მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა სივრცეზედ. ჯერ კიდევ 1802 წ. ამხედრდა კახეთი რუსეთთან საბრძოლველად, შემდეგ 1804 წ. მთიულეთის გამოსვლა, 1812-ში კახეთის მეორე აჯანყება, აღსანიშნავია ალექსანდრე ბატონიშვილის და სოლომონ მეფის თავდადებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, იმერეთის აჯანყება 1920 წელში, ოცდაათიანი წლების შეთქმულება.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეროვნული იდეა საუკეთესოდ სახიერდებოდა მოწინავე პირთა სიტყვასა და საქმეში: გასახსენებელია მეორე დიმიტრი თავდადებული — დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც სამშობლოს გულისათვის რუსი ჯალათისაგან მოწამებრივი სიკვდილი მიიღო; შემდეგ დიდი ილია, რომელიც 50 წლის განმაელობაში იყო ეროვნული მოძრაობის დიქტატორი და, რომლის მოხეეის სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო“, გახდა ჩვენი ერის ლოზუნგად.

მეოცე საუკუნეში მომხდარი, ე. წ. რუსეთის პირველი რეეოლუცია

1905 წ. არ იყო მოკლებული საქართველოს წიაღში ეროვნულ ელ-ფერს. ამ საუკუნის დამდეგს ჩაისახა და ჩამოყალიბდნენ ქართული ეროვნული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შემოიკრიბნენ ეროვ-ნული დროშის გარშემო. ძველი სიძლიერით აბობოქრდა ქართველი ერი.

რუსეთის ყოფილ იმპერიის სივრცეზედ მოხდა მეორე რევოლუცია, რომელიც სხვადასხვანაირად შეეიგრძენით შიდა რუსეთსა და საქარ-თველოში: იმ დროს, როცა იქ, რუსეთში სჯა-ბაასი იყო შესახებ იმისა თუ რა ხასიათი უნდა მისცემოდა რევოლუციას—იქნებოდა ის პოლიტიკური თუ სოციალური, ბურჟუაზიული თუ სოციალისტუ-რი,—ჩვენთვის ნათელი და უდაო იყო, რომ აქ რევოლუცია უნდა ყოფილიყო, უპირველესად ყოვლისა ეროვნული.

ორი დიდი თარიღი ახასიათებს რუსეთის რევოლუციას: 28 თებერ-ვალი 1917 წ. და ამავე წლის 25 ოქტომბერი. ქართველებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პირველს, ისე განსაკუთრებით მეორე თარიღს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი დღესასწაულები: 19 ნოემბერი 1917 წლისა, როცა შეიკრიბა ქართველი ერის პირველი ეროვნული ყრილობა და 26 მაისი 1918 წლისა, როცა გამოვაცხადეთ ჩვენი დამოუკიდებლობა.

ჩვენ ყველანი, განურჩევლად პარტიისა, ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. იყო ბევრი შეცდომები პოლი-ტიკაში. მათ გამოსწორებას ვცდილობდით შინაური საშუალებებით. როდესაც ესე თუ ისე მიშუშდა საერთაშორისო კრიზისები, გადავ-წყვიტეთ დამფუძნებელი კრების დათხოვნა და პარლამენტის მოწვე-ვა, და ის იყო უნდა შეედგომოდით ნორმალურ მუშაობას, თავს დაგვატყდა თებერვლის სუსხიანი დღეები.

რა მოხდა თებერვალში? მართალია, პირველად ზოგნი ამბობდნენ, საქ-ში აღგილი ჰქონდა რევოლუციასო, მაგრამ ეხლა ამ ზღაპარს აღარავინ იმეორებს. ჩვენ ყველანი აქტიური მოქმედნი პირნი ვიყავით თებერვლის ამბებისა და კარგათ ვიცით, რომ მაშინ იყო არა რევო-ლუცია, არამედ რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე. რამდენად მართებული იყო რუსეთის ეს საქციელი? ამის შეფასება საჭიროა, რადგან იქიდგანაა აგვისტოს დღეების დასაწყისი.

დამოკიდებულება საქართველოსა და ძველ რუსეთს შორის დამყა-რებული იყო 1783 წლის ტრაქტატზე, რომლითაც საქართველომ

ერთგვარად შეიზღუდა თავისი უფლებები, რუსეთმა კი მიიღო თვის თავზე გარკვეული ვალდებულებანი ჩვენს მიმართ, რუსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება, შემდეგ უარჰყო კიდეც ივი, საქართველოს უფლება ჰქონდა გაუქმებულად ჩაეთვალა ტრაქტატი, რის გამო საქართველოს დაუბრუნდა ის მდგომარეობა, რომელიც ჰქონდა ტრაქტატამდე, ე. ი. სუვერენობა, რაც იცნეს რუსეთმა და ანტანტამ. ამიტომ რუსეთის 1921 წლის შემოსევა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შელახვა, რომ ისტორიული უფლებაც არ ეკქონოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის, საკმარისი იყო ეეესარგებლა ზოგად დემოკრატიულ პრინციპით ერთა თვითგამორკვევისა.

დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, სადაც შედიოდნენ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და სეიმის წევრები. ივივე აზრი გაიზიარეს ყველა რევოლუციონურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა და ბოლოს, დამოუკიდებლობა დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც არჩეული იყო ოთხფორმულიანი სისტემით. ესე გამოირკვა ჩვენი ერი და ვანა ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ ერი არ იყო დაკითხული ამ საგნის შესახებ, როგორც ბრძანებს ბრალმდებელი ქავთარაძე?

საკითხავია, რამდენად მართებული იყო კომუნისტური რუსეთის შემოსევა თვით კომუნისტური თვალსაზრისით; ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორ უცქეროდა ეროვნულ საკითხს კომუნისტური პარტია ღღიდან მისი არსებობისა უკანასკნელ მომენტამდე. ჯერ კიდევ 1896 წ. ლონდონის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა მიიღო დადგენილება, რომ დაჩაგრულ ერებს უნდა მიეცეთ უფლება თვითგამორკვევისა. ეს დებულება გაიმეორა რუსეთის სოც. დემ. პარტიის პირველმა ყრილობამ ორი წლის შემდეგ და იმავე პარტიის მეორე ყრილობამ ივი შეიტანა ცალკე მუხლად პარტიის პროგრამაში.

ლენინის თქმით, მეორე ყრილობაზე, ერთა თვითგამორკვევას ჰგულისხმობდნენ პოლიტიკური და არა კულტურული მნიშვნელობით და ესმოდათ ის, როგორც ერის უფლება განცალკევებაზე. თვით ლენინიც ამავე შინაარსსა სდებს ამ ცნებაში: „ერთა თვითგამორკვევა არის არა უფლება ავტონომიაზე, არა უფლება ფედერაციაზე, რადგან ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ყოველგვარი ფედერაციისა, ეს არის უფ-

ლება განცალკევებაზე“-ო, ამბობს ლენინი. რადგან „თვითგამორკვევა“ ბუნდოვანი ტერმინი იყო, ამიტომ ბოლშევიკებმა იგი შეცვალეს ტერმინით: „უფლება განცალკევებაზე“. და ამ უფლებას ბოლშევიკები აძლევდნენ მცირე ერებს, არა მარტო კაპიტალიზმის ხანაში, რევოლუციის და მის მიმდევნო მომენტებში, არამედ სოციალიზმის დროსაც. აი რასა სწერს ლენინი 1919 წ. ოქტომბერში თვითგამორკვევის შესახებ წარმოებულ ჯამში: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოციალიზმის ღალატი იქნებოდა, ჩვენ რომ უარვყოფ ერთა თვითგამორკვევის განხორციელება სოციალიზმის დროს“-ო.

ლენინმა კატეგორიულად მოითხოვა ჩაგრულ ერთათვის განცალკავების უფლების მინიჭება თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სახელდობრ 1917 წ. სექტემბერში; ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინის და ჯუღაშვილის ხელის მოწერით, 1918 წ. 2 ნოემბერს გამოსცა „ერთა უფლების დეკლარაცია“. სადაც სხვათა შორის დეკლარატიულად აღთქმული იყო: 1. რუსეთის ერთა სწორუფლიანობა და სუვერენობა.

2. რუსეთის ერთა უფლება თავისუფალ თვითგამორკვევაზე, თვით განკერძოებამდე და დამოკიდებულ სახელმწიფოს დაფუძნებამდე.“

საკითხს განცალკევების შესახებ, ბოლშევიკების აზრით, სწყვეტს თვითონ ჩაგრული ერი მარტო და არა მჩაგვრელთან ერთად. როცა ნორვეგია ეყოფოდა შვეციას, ეს საკითხი გადასწყვიტა თვით ნორვეგიამ, რომელიც შვეციაზე ორჯერ პატარაა, და არა შვეციამო, ამბობს ლენინი და სწყვეტსო ამ საკითხს ერი და არა ესა თუ ის კლასიო.

მე-8 ყრილობაზე ლენინმა ბუხარინის საპასუხოდ განაცხადა; ჩვენმა პროგრამამ არ უნდა ილაპარაკოს თვითგამორკვევაზე, რადგან ეს არაა სწორი, იმან უნდა სთქვას ის რაც არის. ყოველმა ერმა უნდა მიიღოს უფლება თვითგამორკვევაზე, ეს ხელს უწყობს მშრომელთა თვითგამორკვევას. ჩვენ თუ ვიტყვით, რომ არ ვცნობთ ფინეთის ერს და ვცნობთ მხოლოდ ფინეთის მშრომელთა მასებს, ეს იქნებოდა სისულელე (პუსტიაკოვეიშაია ვეშჩ) არ ცნობა იმისა, რაც არის, არ შეიძლება. ის თვითონ გაიძულებს თავის ცნობას“.

ამგვარად, კომუნისტურმა რუსეთმა თავისი შემოსევით შელახა საქართველოს უფლებები და მასთან ერთად მან ნაცარტუტად აქცია კომუნისტური პრინციპები ეროვნულ საკითხში.

შეიძლება იმიტომ მოვიდა რუსეთი აქ, რომ საქართველოში ეგუ-

ლებოდა ანტანტა? ერთ დროს აქ იყო ანტანტა, როგორც სამხედრო ძალა, ბათომის ოლქის ოკუპაციაც კი მოახდინა მან, რისთვისაც ვებრძოდით, მაგრამ ამისთანა მაეალითები ვანა მარტო პატარა საქართველოშია? უზარმაზარ რუსეთში ივივეს არა ჰქონდა ადგილი, როცა სახალინის ნაწილის ოკუპაცია მოახდინა იაპონიამ? მაშ ამის გამო ამერიკა და სხვები უნდა მისეოდნენ რუსეთს?

და ბოლოს, რუსეთმა ხელშეკრულება დაგვიდვა, როცა აქ იყო ანტანტა, შემოვეესია მაშინ, როცა აქ ანტანტა არ იყო და იმიტომ, რომ ის აქ არ იყო.

ან იქნება იმითაა გამართლებული რუსეთის შემოსევა, რომ ვითომ ჩვენ ვეშველებოდით ერანველს და დენიკინს? მაგრამ არც ერანველი და არც დენიკინი რუსეთის ზედაპირზე აღარ იყვნენ მაშინ, როცა ჩვენზე წამოვიდა რუსეთი. ისე, რომ ეს „საბუთიც“ არა საბუთობს.

მაშ რად დაგვიპყრეს? არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება რადეკის გულწრფელობაში, როდესაც ის მესამე ინტერნაციონალის შეერთებულ კრებაზე აცხადებს; „რუსეთმა იმიტომ დაიპყრო საქართველო, რომ უნდა უზრუნველეყო ნავთის მისადგომი გზებიო“.

როცა პოლონეთი შეეცადა ერთვვარად შეელახა დანციგის უფლებები მარკის საკითხში, რუსეთის კომუნისტურმა პრესამ დიდი აურზაური მორთო: პოლონეთი ჩაგრავს დანციგსო, თვით რუსეთი კი თავით ფეხებამდე ყლაპავს საქართველოს.

საბჭ. რუსეთი წამოვიდა ჩვენზე ლამაზი ლოზუნგებით მაგრამ ამ ლოზუნგების ქვეშ ჩვენ დავინახეთ იმპერიალისტური ზრახვანი და საქმენი. კომუნისტურ რუსეთს დაპყრობის საქმეში გვერდში ამოუდგნენ ყველა ჯურის რუსები, როგორც აქ, ისე საზღვარგარეთ.

გაერთიანებულ დამპყრობელ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ერთი კაცი ადგა გაერთიანებული საქართველო, ქართველმა ერმა საკადრისი პასუხი გასცა შემოსეულ მტერს... ჩვენს მატიანეში ოქროს ფურცლებიითა შეტანილი ტაბახმელას, კოჯორის, ეომის, მუხადირის, გაგრის, სოხუმის, ათონის, საჯავახოს ბრძოლები და მტერმა გვძლია-არა იმიტომ, რომ ერს არ უნდოდა ბრძოლა, როგორც ამას ბრძანებს საზოგადოებრივი ბრალმდებელი. მთავრობამ ვერ გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა, არ მიიღო დროზე თადარიგი, ვერ გამოიყენა ერის ძალები. დამარცხდა მთავრობა და არა ერი. ძველმა მთავრობამ მიატოვა საქართველოს საზღვრები, ქართველმა ერმა ხმალი დროებით ქარქაშში ჩააგო და დაუწყო ცდა მოვლენებს...

აქ შესდგა საბჭოთა მთავრობა ქართველ ბოლშევიკებისაგან. საჭიროა მოვიგონოთ, როგორ იქცეოდნენ ქართველი ბოლშევიკები თებერვლის დღეებამდე?.

1917 წელს ისინი დაესწრნენ ეროვნულ ყრილობას; 26 მაისის აქტს ისინი არ იზიარებდნენ და დაიწყეს სხვადასხვა კუთხეებში აჯანყებების მოწყობა, მაგრამ ყველგან დამარცხდნენ. როცა მათ დაინახეს, რომ ქართველი ერი მათთან არ არის, მაშინ წავიდნენ საქართველოდან, გამოუძღვენ რუსეთის ჯარს და ხელი შეუწყვეს საქართველოს დაპყრობას უცხო ძალის მიერ.

რამდენად მართებული იყო ქართველ ბოლშევიკების ეს ნაბიჯი თვით კომუნისტურ თვალსაზრისით? სტალინი ამბობს: ერებს უფლება აქვს მოეწყონ თავისი სურვილისამებრ; იმათა აქვთ უფლება შეინახონ ყოველნაირი თავისი ნაციონალური დაწესებულებანი, როგორც მავნე, აგრეთვე სასარგებლო: არავის არ შეუძლია შეერიოს ძალით ერის ცხოვრებაში"-ო.

მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყო კომუნისტური პარტია, თუ ის არ იზიარებდა დამოუკიდებლობას? ამაზე პასუხს ვპოულობთ იმავე ლენინის წერილში „ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების შესახებ". თუ ნორვეგიელთა ერის უმრავლესობა მონარქიას უჭერდა მხარს, ხოლო პროლეტარიატი — რესპუბლიკას, მაშინ ნორვეგიელ პროლეტარიატის წინაშე საერთოდ იყო ორი შესაძლებლობა: ან რევოლუცია, თუ მომწიფებული იყო სათანადო პირობები, ან დამორჩილება უმრავლესობისადმი და ხანგრძლივი მუშაობა პროპაგანდით და აგიტაციით". აი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქართველი ბოლშევიკები.

რუსეთ საქართველოს ომის შემდეგ საქართველოში ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ ქართველი ბოლშევიკები. მოსალოდნელი იყო, რომ ხელისუფლება შეეცდებოდა თავისი ფრთხილი პოლიტიკით დაევიწყებინა ქართველი ერისთვის, ამ ხელისუფლების წარმომშობი მომენტები. მართლაც, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქართველოში მოხდა ძალაუფლების შეცვლა: ბურჟუაზიის მაგიერ ქვეყნის სათავეში ჩადგნენ ქართველი მუშები და ვლეხები ხოლო, დამოუკიდებლობა დარჩა კვლავინდებურად, იმ განსხვავებით კი, რომ წინედ საქართველოს ჰქონდა ფიქციური დამოუკიდებლობა, ეხლა კი მას ექნება ფაქტიური დამოუკიდებლობაო.

რამდენად შეეგუა ამ დეკლარაციის შინაარსს მთავრობის შემდეგი

მოქმედება? პირველ რიგში ეააერთიანეს რკინის გზა: ამას მოჰყვა მოვლენა, რომელზედაც მე-12 ყრილობაზე მოგვითხრობს კოტე ციბაძე: „იწერენ მუშებს როსტოვიდან, 12-10 დეპეშასთან № 20-221 დართულ დოკუმენტში აცნობენ, რომ კავკასიის საჭიროებისათვის აუცილებელია აგენტები: საზოგადო ნაწილისათვის ერთი უფროსი, სამი მისი ამხანაგი, 34 ტეხნიკოსი, 22 გზის უფროსი ხელოსანი, 199 საამხანაგოს სტაროსტა, 6 ზედამხედველი, 396 გზის დარაჯი, 317 ხელოსანი, 180 სამატარებლო დარაჯი, 4 ხიდის დარაჯი, 3 საწყობის გამგე, 6916 რემონტის მუშა, 2209 შავი მუშა, 182 ასენიზატორი, 24 მილის მწმენდელი, ერთი საქმის მწარმოებელი, 33 მწერალი, 14 უფროსი მოანგარიშე, 32 მოანგარიშე, 153 კანტორის გამგე, 110 მემანქანე, 16 უფროსი. 15000 კაცამდე გამოწერილია ადგილობრივ ელემენტების შესაცველელად. აი, როგორ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლება თავად-აზნაურობას!

თავმჯდომარე: ბრალდებულო ჯავახიშვილო, გაძლევთ შენიშვნას: თქვენ უფლება არ გაქვთ მოიყვანოთ ისეთი საბუთები, რომლებიც არაა დართული საქმეში.

იასონ ჯავახიშვილი: ციტატა, რომელიც მოვიყვანე ამოღებულია მეთორმეტე კონფერენციის ოფიციალურ ანგარიშიდან. საზოგადო ბრალმდებელმა აქ არა ერთი საბუთი მოიყვანა იმისთანა, რომელიც არაა საქმეში. მაშ მეცოდინება, რომ შეზღუდული ვარ თავდაცვის უფლებებში.

თავმჯდომარე: განაგრძეთ.

იასონ ჯავახიშვილი: ამ ამონაწერიდან ვამომდინარეობს ის, რომ საქართველოში თავადები და კაპიტალისტები კი არ შესცვალეს ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, არამედ ქართველი მუშები ჩამოაგდეს და მათი ადგილი დაიჭირეს რუსმა მუშებმა.

შემდეგ, ახალმა ძალაუფლებამ დაიწყო ექსპერიმენტები ქართულ ეკლესიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ვამოაცხადეს სინდისის თავისუფლება, დაიწყეს ჩვენი რელიგიის უდიერად დევნა. ძალით დაჰკეტეს ქართული ეკლესიები, რიცხვით, თვით გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, 1.500, დაუკეტავი დარჩა არა უმეტეს 15-სა, აიძულებდნენ მღვდლებს გაკრეჭილიყვნენ. არ გვაკმარეს, შეურაცხყვეს საფლავი დავითისა და კონსტანტინესი, რომელნიც იყვნენ არა საეკლესიო, არამედ ეროვნული გმირები: ამით შეაგინეს ჩვენი ეროვნული გრძნობა.

რად მიმართავდა ხელისუფლება რეპრესიებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ? იმიტომ რომ, სარწმუნოება არ ეგუება კულტურას? საფრანგეთი, ინგლისი ჩვენზე კულტუროსანი ერებია, მაგრამ სარწმუნოებისათვის იქ ხელი არ უხლიათ. იქნება ეკლესიას ადგილი არ ჰქონდეს საბჭოთა ქვეყნებში? აზერბაიჯანში არცერთი მიზვითი არაა დახურული. სომხეთში, როგორც სჩანს მიასნიკოვის წიგნიდან: „სომხური პოლიტ. პარტიები საზღვარგარეთ", დაკეტილია მხოლოდ რამდენიმე ეკლესია. საბჭოთა რუსეთში კი, თითქმის ყველა ეკლესია ღიაა, და გარდა ამისა, იქ სპეციალური სემინარებია, რომლებიც მღვდლებს ამზადებენ.

ან შეიძლება, ამ დეენით უნდოდათ დაეხშოთ სარწმუნოებრივი გრძნობები? მერე მიაღწიეს ამას?!

ქართველმა ერმა ქართულ ეკლესიის დევნაში დაინახა ეოსტორგოების მოვლენების საშიშროება და მართლაც რუსეთის „ცხოველი ეკლესია" შეეცადა კვლავ გაბატონებულიყო აქ და საქართველოს ეკლესია გამოეცხადებინა თავის ეპარქიად.

ჯერი მიდგა საქართველოს ტერიტორიაზე: რუსეთმა დაუთმო ანგორას ჩვენი უძველესი ტერიტორია: ბათუმის ოლქის ნაწილი, არტაანი და ამგვარად მოურიგდა მას საქართველოს ხარჯზე.

არ დასტოვეს უსაჩუქროდ სომხებიც. რუსეთმა, რომლის ფარგლებში შეეიდა გასაბჭოებული სომხეთი, იცნო საქართველოს კუთვნილებად მთელი ყოფილი თფილისის გუბერნია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით. საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი მისცეს სომხებს თითქმის მთელი ბორჩალოს მაზრა თვით ხრამამდე. რატომ? ლორი ისტორიულად ჩვენ ვეეკუთვნოდა, ბუნებრივად ჩვენ საზღვრებში შემოდის, ეკონომიურადაც, და ამას კომუნისტებისათვის, როგორც მარქსისტებისათვის, გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს-საესებით საქსთანაა დაკავშირებული. მართალია, სომხები სჭარბობენ იმ კუთხეში ქართველებს რიცხვით, მაგრამ ეს უმრავლესობა ხელოვნურადაა შექმნილი რუსების მიერ და შემდეგ, თუ კი წმინდა ქართული სოფლები შეიძლება შევიდნენ ოსეთში., რად უნდა იყოს დაუშვებელი სომხური სოფლების დატოვება საქართველოს საზღვრებში?

აზერბაიჯანს ჩვენთან არავითარი სადავო არა ჰქონდა, უნდა გაგვენაწილებინა მხოლოდ ზაქათალა... ძალად მიაჩეჩეს აზერბაიჯანს

სიღნაღის და თფილისის მაზრების ნაწილები და ზედ დაურთეს დავით გარეჯის სავანეც, რაც არაფრით არაა გამართლებული.

და ბოლოს, ბუდუ მდივანმა მოსკოვში ოფიციალურად განაცხადა: „ისე მოვაწერე ხელი სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზედ ტერიტორიის შესახებ, რომ არც კი წამიკითხავსო.“ რამდენად სახელმწიფოებრივად მოქცეულა მდივანი, როცა თვალდახუჭულად აწერდა ხელს ამისთანა პირველხარისხოვან დოკუმენტს, სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ამ ათიოდე თვის წინად ამიერ-კავკასიის ყველა ცენტრებმა აღძრეს შუამდგომლობა რუსეთის წინაშე, რათა პილენკოვო შეეერთებიათ აფხაზეთისათვის. რუსეთმა რამდენჯერმე გამოგზავნა კომისია, რომ გამოერკვია ადგილობრივი პირობები და დღესაც არ მიუციათ თავისი დასტური... აი როგორ იქცეა ის უზარმაზარი რუსეთი, რომელსაც ერმაკებმა ხელის ერთი მოქნევით შემოუერთეს უშველებელი ციმბირი... და ჩვენი პატარა საქართველო კი რა იოლად უთმობს სხვებს დიდ ტერიტორიას, რომლის ყველა ეოჯი მორწყულია ჩვენი მამაპაპათა სისხლით.

ეხლა გადავიდეთ ფედერაციაზე. პირველ ხანებში ვამოცხადდა საქ-ს დამოუკიდებლობა და საბჭოთა საქ-ო, ბუნებრივია, „შეუკავშირდა“ საბჭოთა რუსეთს. შემდეგ შექმნა ორსართულიანი ფედერაცია. რატომ არ შევიდა საქართველო უშუალოდ საკავშირო ფედერაციაში? სტალინი ამის შესახებ ამბობს: „საჭიროა შენარჩუნება ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, როგორც ერთეული ზავის ორგანოსი (ე. ი. ზავი საქართველოს, სომხეთის აზერბაიჯანს შორის ამ. კავკასიაში და ამ ერთა შორის თვითეულ დასახლებულ ერთეულებში), ეს კავშირი ართმევს საქართველოს პრივილეგიურ მდგომარეობას. ეს პრივილეგიებია: თბილისი, როგორც რკინის გზის კვანძი და ბათუმის ნავსადგური, რომლებსაც უაღრესად საჭიროებენ აზერბაიჯანი და სომხეთი, საქართველოს კი შეუძლია ბოროტად და მეზობლებისათვის საზიანოდ გამოიყენოს ეს მდგომარეობა...“ რამდენად სწორია ეს ამომწურავი არგუმენტაცია? ბაქოს ნავთი ესაჭიროება უკრაინას, ხოლო აქედან განა გამომდინარეობს ის დებულება, რომ უკრაინამ და აზერბაიჯანმა უნდა შეჰკრან წინასწარი ფედერაცია? რკინის გზა, მისი კვანძები და სადგური გადავიდა საკავშირო ცენტრის ხელში, ულოღიკობა არაა, რომ საქართველოს დაუწყო იმ პრივილეგიების წართმევა, რომლებიც საკავშირო ცენტრსა აქვს?

ან იქნება ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მართლა ერთა სოლიდარობის განსამტკიცებლად უნდა არსებობდეს? აზერბაიჯანში, სომხეთში და საქ-ში ხელისუფლება მუსავატელებს, დაშნაკელებს ან ეროვნულ დემოკრატებს რომ ჰქონოდათ, მაშინ ასე თუ ისე გასაგები იქნებოდა კომუნისტების ეს მტკიცება, ვინაიდან ისინი ყოველთვის ამბობდნენ, ვითომ ჩვენ ხელს ვუშლიდეთ ეროვნულ სოლიდარობას... მაგრამ საბჭოთა სისტემის არებობა და ამ ქვეყნების საერთო ფედერაციაში უშუალოდ შესვლა ნუთუ არ უნდა ყოფილიყო, მათი აზრით, ერთა სოლიდარობის საკმაო გარანტია? მერე ჩამოაგდო ერთა სოლიდარობა ამ ფედერაციამ? არასოდეს ეროვნული შუღლი და მტრობა არ ყოფილა იმ დონემდე ასული, როგორც ეხლა და ამას თვით კომუნისტებიც არ მალავენ.

ამიერ-კავკასიის დაარსებით საქ-ს წაერთვა არა პრივილეგიები, არამედ დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნასახი.

შესაძლებელია სთქვან, რომ ტერიტორიის ასე გამიჯვნას, ფედერაციას და სხვას მარქსიზმი და ლენინიზმი მოითხოვს. საკმარისად ვიცნობ ამ მიმართულებებს და ვადაჭრით ვაცხადებ, რომ თქმა იმისა, ვითომ ან ერთი ან მეორე მიმართულება მოითხოვენ, რათა ყველგან და ყველას ქართველი ერის ინტერესები ეწირებოდეს, ცილისწამება იქნებოდა ერთისაც და მეორისაც. ვთქვათ, რომ კომუნისტების თვალსაზრისით ეს ასეც უნდა ხდებოდეს და ჩვენ ვცდებით, მაგრამ აი რას ამბობს თვით ფილიპე მახარაძე: „სახელმწიფო ძალა-უფლება არსებობს არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ ყველა მუშებისათვის და გლეხებისათვის"-ო. ყველა ამის შემდეგ აი რა მივიღეთ: „ამხანაგებო, ამბობს ფ. მახარაძე, ყველასათვის ცხადია, როგორი თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის ეს. ჩვენ ხომ ერთი პარტია გვყავს, ერთი ცენტრალური ორგანო გვაქვს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ერთი სწყვეტს ყველა რესპუბლიკებისათვის ყველაფერს და იძლევა საერთო დირექტივებს, თვით პასუხისმგებელ პირთა დანიშვნამდე ამა თუ იმ რესპუბლიკებში, ეს ყველაფერი გამოდის ერთსა და იმავე ორგანოსაგან; ასე, რომ ამისთანა პირობებში თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი თავისთავად ყოვლად გაუგებარი დებულებაა!" და ბოლოს ფ. მახარაძე დაასკვნის: „ამხანაგებო ჩვენ დავაწესეთ საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლება არა იმისათვს, რომ აგვეფეთქებია სახელმწიფო, რომელიც ასე თუ ისე იქ (სა-

ქართველოში) არსებობდა, არამედ, რომ მასები საბჭოთა სისტემისათვის გვეზიარებინა. გამოქვეყნებული იყო დამოუკიდებლობა და ჩვენ რაიმე უნდა გაგვეკეთებინა".

ამგვარად, იმ ცვლილებათა დედა-აზრი, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდეგ, ფაქტიურად მდგომარეობს არა ხელისუფლების შეცვლაში, რასაც მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, არამედ საქ-ს დამოუკიდებლობის გაცამტვერებაში. ამ გარემოებამ თვით ქართველი კომუნისტების რიგებში გამოიწვია გადამხრელობა, ე. წ. „უკლონიზმი", ქართველი ერი კი აიძულა დადგომოდა აჯანყების გზას.

ხალხის გამოსვლებს პირველ ხანებში ჰქონდა სტიქიური ხასიათი: ხალხმა დაინახა მტრის შემოსევის საშინელება და მისი შედეგები და დაიწყო სხვადასხვა კუთხეებში თავისი აჯანყებები.

აჯანყდა სვანეთი 1921 წ. საქ-ოს დამოუკიდებლობის კომიტეტს აბრალებენ არა მატრო იმას, რაც მის დაარსებამდე მოხდა, არამედ იმასაც, რასაც მის ლიკვიდაციის შემდეგ ჰქონდა ალაგი, მაგრამ სვანეთის პირველ გამოსვლაზე არას ამბობენ.

აქ მოვისმინეთ მიზეზი სვანეთის აჯანყებისა: სვანეთს ძალას ატანდნენ, თქვენ ქართველები არა ხართ, ამიტომ მოითხოვეთ რომ რუსეთმა უშუალოდ შეგიერთოდ. ვერ გამიგია: თუ სვანები ქართველები არ არიან, მით უმეტეს რუსები ვერ იქნებიან... და ან როგორ ეწეოდა ანტი-ქართულ პროპაგანდას ქართველი ხელისუფლება, თუნდაც კომუნისტური?—

ბევრ ადგილას ტყეში პარტიზანული რაზმები გავიდნენ, სხვათა შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. აქა სთქვეს ვითომც ჩოლოყაშვილი ჩვენი პარტიის კარნახით გასულიყოს. ამ მტკიცებას აფუძნებენ სვიმონ ყიფიანის წერილებით ჩვენებზე. მაგრამ მოწმე მიხეილ ჯაკელიშვილმა კატეგორიულად უარჰყო, რომ თითქოს ჩოლოყაშვილზე პარტიას ასეთი გავლენა მოეხდინოს.

ჩოლოყაშვილი ხელისუფლებამ აიძულა, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა. ჩვენმა პარტიამ მის რაზმთან კავშირი მხოლოდ შემდეგ დაიჭირა. სახელმწიფო ბრალმდებელი შეეცადა წარმოედგინა ჩოლოყაშვილი, როგორც მძარცველი, კაცის მკვლელი, გაიხსენა მისი წარსული: წინად ადიუტანტი იყო, შემდეგ სასურსათო კომისარიატის რწმუნებულიო. ჩემი ზნეობრივი მოვალეობაა განვაცხადო, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ეროვნული

მებრძოლი და საუკეთესო პარტიზანი იყო. შიშველ ტიტველი, მშიერ-მწყურვალი ის სამი წლის განმავლობაში იბრძოდა საქ-ს დამოუკიდებლობისათვის და როცა დამარცხდა, გახსნილ ალამით დასტოვა ჩვენი მიწა-წყალი. მან პირნათლად შეასრულა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

წინადაც ჩვენში ასე იყო, როცა მტერი შემოგვესეოდა ხოლმე, საუკეთესო მამულიშვილნი გაიხიზნებოდნენ ტყეში და იქიდან იწყებდნენ პარტიზანულ ბრძოლას. მოიგონეთ თუნდა ის, რომ ლუარსაბ და სეიმონ მეფეები ერთი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძოლას და ამის გამო შეუნარჩუნეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა.

თავისით აჯანყდა ხევსურეთიც. აქ ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ ხევსურეთის აჯანყება ნაკარნახევი იყო დამოუკიდებლობის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტების მიერ, რაცა სჩანს სამფერის ბრძანებიდგან ნომერი პირველიო. გამორკვეულია, რომ სამფერი დავით ეაჩნაძეა. საბრალმდებლო დასკვნაში სწერია: „ვარდენ წულუკიძე აჩვენებს, რომ ნომერ პირველ ბრძანების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო თვით იასონ ჯავახიშვილმაო“. გადავათვალიერე გამოძიების მთელი მასა და აღმოჩნდა, რომ ვარდენ წულუკიძეს არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს და ან... შესაძლებელია მას სცოდნოდა ეს? აი რა სწერია სამფერის წერილში: „გასწყვიტე ყოველივე კავშირი ვარდენთან, რადგან იგი აქტივობის წინააღმდეგია“. განა დასაშვებია, რომ ვარდენის თანდასწრებით ასეთი რამე დაგვეწერა?

მიხეილ ჯავახიშვილმა აქ აჩვენა, რომ ჩვენ პარტიას არ გაუცია განკარგულება ხევსურეთში აჯანყების მოხდენის შესახებ, რომ სამფერს კომიტეტის დაუკითხავად მიუწერია და ამ წერილის არსებობაზე გავიგეთ გაზეთებიდან.

მერე, სამფერის წერილმა გამოიწვია ხევსურეთის გამოსვლა? აქ ამბობდნენ, რომ ხევსურეთის ამბებს აღგილი ჰქონდა 1923 წლის აგვისტოს მიწურულში და სექტემბრის დამდეგსო... დანამდვილებით კი თარიღი არ იყო გამორკვეული. ვაესებ ამ ნაკლს: საქართველოს აჯანყება მოხდა 1924 წლის 28 აგვისტოს, ხევსურეთის გამოსვლა მოხდა 1922 წლის 28 აგვისტოს.

ბრძანება ნომერ პირველში სწერია: „გაცნობებთ, რომ საქ-ს პარტი-

ზანთა მთავარი სამხედრო ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილების თანახმად, ოკუპანტებისაგან საქ-ს განთავისუფლების დროთ დანიშნულია ამ წლის სექტემბრის 27 ვიდრე 15 ოქტომბრისა. ოპერატიულ გეგმას გამოსვლის დღის აღნიშვნით მიიღებთ ადგილობრივ, სექტემბრის 20, დართულ პაკეტით. სექტემბრის 15-სთვის უსათუოდ წარმოადგინეთ თქვენი ოპერატიული მოსაზრებანი და სხვა"...

აქედან ნათლად სჩანს, რომ სამფერის ბრძანება ვერ შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზად ხევსურეთის გამოსვლისა, რომელიც მოხდა 28 აგვისტოს, რომ, პირიქით, ბრძანებაში აკრძალული იყო ნაადრევი და სეპარატიული გამოსვლა.

მიუხედავად იმისა, რომ სამფერს არ გაუცია ბრძანება ხევსურეთის გამოსვლის შესახებ, ჩვენ პასუხი მოვთხოვეთ დავით ვაჩნაძეს; დამოუკიდებლობის კომიტეტმა კი გასცა ბრძანება აჯანყების ლიკვიდაციის შესახებ, როგორც ეს საქმიდანაც ჩანს. ამგვარად გამორკვეულია, რომ ხევსურეთი გამოვიდა ყოველგვარი კარნახის გარეშე. ესე დაიწყო ერის სტიქიური ბრძოლა!

დაპყრობამ და იმ ნაციონალურმა ვეზმა, რომელსაც აწარმოებდა აქ ხელისუფლება, აიძულა ქართული პოლიტიკური პარტიები გაერთიანებულიყვნენ რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

გაცამტვერდა ჩვენი დამოუკიდებლობა, გარეშე ძალამ ჩვენ თავს მოგვახვია შეიარაღებული ბრძოლის იდეა... ბრძოლა დამთავრდა აგვისტო-სექტემბრის დღეებით. ფაქტიური მხარე მე გავაშუქე ჩემს პირველ სიტყვაში. აღარ გავიმეორებ.

ბრალმდებელნი თავს გვახვევენ ინტერვენციის მომხრეობას. ამტკიცებენ, რომ ვიღაც სხვა გვიკარნახებდა, გვაბრძოლებდა... აქ დამცველებმა ამომწურავად დაამტკიცეს, რომ ინტერვენციაზე არავინ ცდილობდა და მას ადგილი არცა ჰქონია.

პირადად მე დაკმაყოფილდები მხოლოდ იმით, რომ წავიკითხავ მემორანდუმს, რომელსაც ხელს ვაწერდით კოტე ანდრონიკაშვილი და მე და, რომელიც მიმართული იყო ინგლის-საბჭოთა კონფერენციის სახელზე. მემორანდუმი თავდება ამნაირად: „დამოუკიდებლობის კომიტეტი სთხოვს სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც დაესწრებიან გენუის კონფერენციას, მიიღონ მხედველობაში ეს განცხადება და წინადადება მისცენ რუსეთის მთავრობას, დაუყოვნებლივ გაიყვანოს საქ-ს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარები და ამით

საშუალება მისცეს ქართველ უმრავლესობას სურვილისამებრ ამოირჩიოს ერის ნებისყოფის მთავრობა...“

ამით ზედმეტად მტკიცდება, რომ მოვითხოვდით არა ევროპის ჯარების გამოგზავნას, არა ინტერვენციას, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენციის მოხსნას.

აქ დაიღვარა ჩვენი წმინდა ქართული სისხლი და არა სისხლი ზანვებისა, ფრანგებისა, ინგლისელებისა... ხანგრძლივი ბრძოლის პროცესის განმავლობაში ქართველები განუწყვეტელი ხალისით მიდიოდნენ ცხის გზით მეტეხისაკენ, გადასახლების გზით რუსეთისაკენ, ტანჯვის გზით-საბურთალოსაკენ. ამ ბრძოლაში ყველა ქართველები ერთად ვიყავით: მუშები, გლეხები, ბურჟუაზია და სხვა...

საზოგადო ბრალმდებელმა ბრძანა: „აჯანყება, რომელსაც დამოუკიდებლობის კომიტეტი ხელმძღვანელობდა, პროგრესიული მოვლენა არ იყო“. რატომ?—შიომღვიმის მონასტრიდან დაიწყეს აჯანყებაო, სად გაგონილა მონასტერი და რევოლუციაო, სთქვა მოქალაქე ოკუჯავამ. ამ სიტყვებში რამდენიმე შეცდომაა: აჯანყება ჩვენ სხვა ადგილიდან დავიწყეთ და არა შიომღვიმიდან. ჩვენ ვიყავით არა შიო მღვიმის მონასტერში, არამედ ტყეში, მის მახლობლად.

რუსეთში ეროვნული მოძრაობის კერად ხანგრძლივად ითვლებოდა ტროიცკო-სერგის ლავრა. ამჟამად მსოფლიო რევოლუციის ციტადელი კრემლია, რომელშიც ერთი კი არა, რამდენიმე მონასტერია. ჩემი აზრით არ უნდა ჰქონდეს გადამჭრელი მნიშვნელობა იმას, თუ საიდან დაიწყება რევოლუცია. გასახსენებელია, რომ ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო იმ პატივცემულ დაწესებულებიდან, რომელსაც ერქვა... (აქ სიტყვა აკლია ნ. კ.).

აჯანყება არ იყო მასიურიო... ბრალმდებელი ქავთარაძე ბრძანებს: გამოსვლები გურიაში, სვანეთში, იმერეთში მასიური იყო, მაგრამ სამეგრელოში კი არაო. რადგან სენაკი 15-მა კაცმა აიღოო. ეს არაა სწორი, სენაკზე წავიდა 200 კაცი, აიღო კი პირველმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა 40 კაცი. კონსპირაციის მოსაზრებასაც, რომ დავანებოთ თავი, რა საჭირო იყო ათასები, თუ სენაკს ორმოცი კაცი აიღებდა და ისიც მხოლოდ ყვირილით. ხალხი იმ წამსვე ადგა უჩვეულო ენტუზიაზმით, შეიარაღდა და ოთხი დღის განმავლობაში რამოდენიმე ათასი კაცი უდრეკად ებრძოდა რუსის ჯარს.

მოქალაქე ოკუჯავამ თქვა: „ხალხმა ოღონდ კი რაიმე სანახაობა

დაინახოს და თამამად გამოვაო.“ არც ეს არის მართალი! 1921 წ. 25 თებერვალს თბილისში შემოიჭრა რუსის ჯარი, ქართველები კარზე კი არ გამოვიდნენ და ენთუზიაზმით კი არ შეხვდნენ, არამედ სახლებში ჩაიკეტნენ და ულამოსკვნით ტიროდნენ. დასავლეთ საქ-ში გამოსვლებს უდავოდ მასიური ხასიათი ჰქონდათ. აღმოსავლეთ საქ-ში მოხდა ნაწილობრივი გამოსვლები და თუ აქ აჯანყება გამარჯვებით არ დაგვირგვინდა, ეს ჭიათურის ნაადრევი გამოსვლით აიხსნება და განსაკუთრებით-გამცემლობით. ხალხი კი მთლიანად ჩვენთან იყო.

ბოლოს, განა შეიძლება ეჭვის შეტანა აჯანყების მასიურობაში, როცა მსხვერპლი ათასობით ითვლება?

სულ ცოტა რომ ვთქვათ, რამოდენიმე ათასი ქართველი ხომ გამოვიდა აჯანყების დროს? და, როცა მასიურობის ასეთი დიდი პრეტენზიებით მოდიან ბრალმდებელნი, რატომ ავიწყდებათ, რომ 25 თებერვალს 1921 წლისა მათ გვერდში ხუთი ქართველიც არ ჰყოლიათ და საქართველო მათ რუსის ჯარმა დაუპყრო.

ან შეიძლება იმიტომ არ იყო ჩვენი ბრძოლა პროგრესიული, რომ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო ყოფილ პრივილეგიურ წოდების ხალხმაც? ჩვენი აჯანყება უმთავრესად მოახდინა გლეხობამ, როგორც ამას თვით სტალინი ამოწმებს, მაგრამ არც მუშები და ყოფილი თავადები და აზნაურები იყვნენ ამ ბრძოლის გარეშე.

„აჯანყებულებს რეაქციონური ლოზუნგები ჰქონდათ, ერთ ადგილას მათ შოთა რუსთაველის ძეგლი დაამტვრიეს, მეორე ადგილას გამოაქვეყნეს ლოზუნგი: გაუმარჯოს ქრისტიანობასო!.. ამით საზოგადო ბრალმდებელმა იმ პრინციპულობას გადაუხვია, რომელიც ახასიათებდა მის პოზიციას. როგორ? რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის დროს არა ერთი ძეგლი, არამედ მთელი რუსეთი დაანგრიეს... „ეკრან ნედელია“ და „ლუბ ნედელია“ შემოიღეს!.. მერე, ამაში იყო ოქტომბრის რევოლუციის დედააზრი? აგრეთვე საქართველოში: განა ძეგლის გატეხა და არაქრისტიანების დაბეჩავება იყო ჩვენი მიზანი? ეს ხომ უბრალო ექსცესები იყო. ნაძირალათა საქმე და, როგორც გამონაკლისი, ვერ დაახასიათებს ჩვენ რევოლუციას. ჩვენი ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, და განა ეს რეტროგრადობის მაჩვენებელია?

იტყვიან: როდესაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად დაბეჩავებული

ერები ებრძვიან იმპერიალისტურ ერებს, ეს პროგრესი არისო, როცა დაბეჩავებული ერები ებრძვიან ძლევამოსილ საბჭოთა რუსეთს, ეს რეგრესიაოო. ნამდვილად კი ბრძოლა დამპყრობელთა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ვინც უნდა იყოს ეს მჩაგვრელი: შავი თუ წითელი იმპერიალიზმი,—დიდი დადებითი, პროგრესიული მოვლენაა.

აი რატომ არ ვთვლი ჩემ თავს დამნაშავედ!

მე გავათავე. ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის, აჯანყება წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით, წავალთ გოლგოთაზე.

მაგონდება ერთი არაბული ლეგენდა: მზემ აღარ გამოანათა და დაიკარგა. სიბნელეს ვერ შეეგუა ერთი ჩიტი, რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყნიერებისათვის მზე დაებრუნებინა. ამ მიზნით მან დაიწყო ფრენა სულ ზევით და ზევით და მიაგნო მზეს, აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ჩიტმა მზე ქვეყნიერებას... თითონ ჩიტი კი დაიღუპა, ის დაიწვა მზის სხივებში.

1924 წლის ამ ღრმადეროვნულ აჯანყებას წერტილი არც ბარბაროსულად მისი ჩახშობის დღეს დაესვა და არც აჯანყების მეთაურთა სასამართლო პროცესზე.

სხვადასხვა ფორმით ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის კვლავ გრძელდებოდა.

ყოველივე ამის შესახებ სამომავლოდ. მაგრამ ამჯერად, ამის დასტურად კიდევ რამდენიმე უნიკალური დოკუმენტით ვასრულებ წიგნს.

ისინი საგაზეთო ამონაჭრელები არ გეგონოთ. ეს სრულიად არალეგალურად დასტამბული ფურცლებია 1925, 26, 27 და 29 წლებში და კიდევ უფრო საინტერესო იმითაც, რომ უკიდურესად სარისკო პირობებში მათ სწორედ მუშათა ორგანიზაციები სცემდნენ.

საქართველოს მშრომელ ხალხს

ამხანაგებო! პარიტეტული კომიტეტის გასამართლების პროცესმა ერთხელ კიდევ ცხადყო კომუნისტური სასამართლოს როგორც ანტი-ხალხოსნური ფორმა, ისე მტკნარ სიცრუეზე და აშკარა სიყალბეზე აგებული შინაარსი. ერთხელ კიდევ გატიტველდა მოსკოვის ყურმოჭრილ მონების ქართველი ერის სისხლით გასივებული სხეული მთელი ქვეყნის წინაშე. მოსკოვის ????? შუბი ხალთაში აქაც ვერ დამალეს და ამ პროცესის გაუგონარ და ჯერ არ ნახული წესით მოწყობის გამო, საკუთარი მზაკვრული და მტარვალური ბუნება გასაგონიც და დასანახიც გახადეს.

ამხანაგებო! ??? სასამართლო დახშულ კარებში არჩევს აგვისტოს დიდი აჯანყების მეთაურთა საქმეს. პროცესზე დასწრების უფლება მოუსპეს ფართო საზოგადოებას იმ იმედით, რომ ქართველ ხალხს და მთელ განათლებულ კაცობრიობას არ გაეგო პროცესის ნამდვილი სახე და ჭეშმარიტი ვითარება. არ დაუშვეს ჭირისუფლებიც კი—და რაც თავი და თავია, საკუთარი „კაზიონური“ პრესის წარმომადგენლებიც.

საჯარო გასამართლებას უწოდებენ პროცესს, რომელსაც ქართველი მშრომელის თვალი ვერ ხედავს, ერის ყური ვერ ისმენს.

სად გაგონილა ეს? ვის უნახავს ასეთი რამ? თვით ბურჟუაზიული და არხი ბურჟუაზიული ქვეყნები არ გათახსირებულან ისე, რომ სადმე ან ოდესმე საჯარო გასამართლება ასეთნაირი წესით მომხდარიყოს.

ეს მხოლოდ კომუნისტური სასამართლოს სპეციალური თვისებაა, რომელიც სრული ზედმიწევნილობით ააშკარავებს საბჭოთა სისტემის მმართველობის ნამდვილ ბუნებას.

პირველ დღიდანვე დაინახეს ტირანებმა, რომ თუ გასამართლებას ღია კარებში მოახდენდნენ, ამით მოსჭრიდნენ იმ ხეს, რომელზედაც სხედან და ლახვარს ჩასცემდნენ იმ ზრახვებს, რომელიც ასულდგმულებს მათ მურტალ და გაიძვერა ბუნებას.

პირველი სხდომიდანვე ნათლად დაინახეს „მსაჯულებმა“, რომ

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა საჯარო გასამართლებით თვით „მსაჯულები“ იქნებოდნენ ქართველი ხალხის მიერ საჯაროდ გასამართლებული და ჩაუვარდათ რა კოვზი ნაცარში, მაგრად ჩაჰკეტეს სასამართლოს კარები.

**„დეე, იშრომონ: ხ

ამა, როს მეშანქანეს**
მისგან ნამზადი იარალი მაღლა აფეოქებს“.

ჰამლეტის სიტყვებით ვეტყვით ჩვენ ამ ვაჟბატონებს. ხალხის ხმის, თავიანთი ბნელი საქმეების დღის სინათლეზე გამოტანის კომუნისტებს მუდამ უნდა ეშინოდეს როგორც ყველგან, ისე განსაკუთრებით მათ მიერ განაწამებ საქართველოში.

ქვემძრომმა ჯოჯოებმა, ქართველი მშრომელის იავოებმა ისევ ხვრელებში და უწმინდურ ჯურღმულებში უნდა ჩაიტანოს ქართველი ხალხის წმინდა და საღვთო. საქმის გარჩევა. საქართველოს მზიანი დღის სინათლე სააშკარაოზე ამის გამოტანის უფლებას მათ არ მისცემს.

ამხანაგებო! აგვისტოს მებრძოლთა დიდ უმრავლესობას სასამართლოში თავი ამაყად უჭირავს. მედგრად იცავს, როგორც სისხლიან აგვისტოს, ისე ????? რომელმაც აგვისტოს დიდი ავკანყება აუცილებელი გახადა.

მათ ესეთ გამოსელებს ქართველი ერი სულით და გულით ესალმება. ქართველ მშრომელთა თანაგრძობა მთელი თავისი სისავსით ბრალდებულთა მხარეზეა.

და რამდენადაც მაღლა ეჭირებათ მათ აგვისტოს სისხლიანი დროშა, რამდენად არ მისცემენ ისინი მოწინააღმდეგეს მისი დაცინვის და ფეხქვეშ გათელვის საშუალებას, იმდენად ქართველი ხალხი უსასრულოთ გაზრდის მათდამი თანაგრძნობის და პატივისცემის ხარისხს.

ვის ცნობებს ემყარებიან მსაჯულები ბრალდებულთა გასამართლების დროს? პროვოკატორები, ჯაშუშები, ჩეკისტები და თავიანთი პარტიული ამხანაგებ — აი ის ხალხი, რომელთა ყალბი ჩვენებებით სცდილობს კომუნისტების „მართლმსაჯულება“ ბრალდებულთა გაშავებას და გამტყუნებას, აგვისტოს წმინდა იდეის წაპილწვას და ლაფში ამოსვრას. კომუნისტი-ჩეკისტი ტოფაძე, პროვოკატორი ხმალაძე (ხომერიკის გამცემი), მოკომუნისტე მარიამიძეები — აი ის „პლეადა“, რომელთა ჩვენებით სცდილობენ ავკანყების დიდი საქმის განფასებას და ბინძურ საქმეებთან დაკავშირებას.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ასეთი გზით კომუნისტები ფონს ვერ გავლენ, საწადელს ვერ მიაღწევენ. პირიქით მათი ასეთ პირების მიერ მიცემულ ჩვენებებზე დაყრდნობა, მათივე სიყალბის და უსამართლობის საუცხოო ნიმუშია, რომელსაც ქართველმა დემოკრატიამ კბილი დიდი ხანია მოუსინჯა. ამიტომ თქმა არ უნდა, ასეთი გზით აჯანყების ხელმძღვანელთა გამტყუენება თვით ბრალმდებელთა გამტყუენება იქნება და კომუნისტების სასამართლოს უსამართლობა.

ამხანაგებო! ვინ არ იცის ის საშინელი წამება, რომლითაც ჩეკის სულთამხუთავები და კახტაპირები ქართველი ერის ინტერესებისთვის მებრძოლთ უმასპინძლდებიან. რამდენჯერ თქმულა, რომ ჩეკაში წარმოებული დაკითხვის საშინელი და ჯერ არა ნახული პირობები, მრავალ მებრძოლს იძულებულყოფს ისეთი ჩვენება მისცეს ბერიებს და მაროზოვებს, რომელიც ცოტაოდენ მაინც ააცდენს ჩეკისტების მიერ მათ წამებას და დაცინვას.

კომუნისტები დღემდე ამას სიტყვიერად მალავდნენ. პროცესმა ამას მაინც განსაკუთრებული სიცხადით ახადა ფარდა. ზოგი პირები ჩეკაში ერთს ამბობდნენ კვანტალიანების წინ, აქ სასამართლოში მეორეს ამტკიცებენ. ეს კი ნათლად და მკაფიოდ ამტკიცებს იმ ჩვენებათა ღირებულებას, რომლითაც ჯალათი ჩეკისტები ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს წუთისოფელს ასალმებდენ და ასალმებენ. ასეთი გზით სცდილობენ „მოსკოვის ფინიები" საქართველოს „მორჯულებას", ქართველი დემოკრატიის ყოველნაირ ცხოველმყოფელ მისწრაფებათა ძირშივე ჩაკვლას და მიწასთან გასწორებასა.

ამხანაგებო! სასამართლო სცდილობს პროცესის ნამდვილი ვითარების შესახებ არავის არაფერი ამცნოს.

გაზეთში მოთავსებული ცნობები ოდნავადაც არ გამოხატავს პროცესის ნამდვილ სურათს, დამახინჯებულია ყველა სიტყვები, რომელიც მათ წინააღმდეგაა მიმართული. ჯალათები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ აგვისტოს აჯანყების მეთაურთა სახელი გაუტეხონ.

მაგრამ ქართველი ერი პირველად არ იცნობს მათ სიცრუეს და ყოველგვარ-საფუძველს მოკლებულ ცილისწამებას. ამიტომ იგი, როგორც ყოველთვის, ისე დღესაც არ წამოეგება მათ მიერ გადმოსროლილ ანკესზე. კომუნისტური პრეზის როდი სჯეროდა რაიმე საქართველოს დემოკრატიას, ახლა რომ დაუჯეროს მას!

ამხანაგებო! მსაჯულები აჩქარდნენ. მალე სურთ მიაჭრან კუდი პროცესს. ასეთია მოსკოვის ბრძანება და რა ქნან ენაჩავარდნილმა მონებმა! ურჩობას ხომ ვერ გაუწევენ კრემლის ტირანებს! მით უმეტეს, რომ გერმანეთის დელეგაციის მოლოდინში არიან და ეშინიათ პროცესის საკუთარი თვალით ხილვამ ცუდათ არ იმოქმედოს გერმანეთის დელეგაციაზე.

დაასრულებენ მეტად უნიჭოთ გათამაშებულ ფარსს. ვნახოთ, როგორი იქნება ფარსის შედეგი. ერთი რამ კი იმთავითვე ცხადია: როგორიც არ უნდა იყოს მათი განაჩენი, აგვისტოს დიდი აჯანყება და მისი მხნე მეთაურები ქართველმა ხალხმა და მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ დიდი ხანია გაამართლა.

ძირს ოკუპანტების სასამართლო!
ძირს ბრწყინვალე აგვისტოს სისხლში ჩამხრჩობნი!
გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!
გაუმარჯოს აგვისტოს აჯანყების საშვილიშვილო იდეას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი.

ქ. თბილისი
27 იკლისი 1925 წ.

1 მაისი

პირველმაისის დღესასწაულს ჩაეყარა საფუძველი ქ. ჩიკაგოში ათას რვაას ოთხმოცდა ექვს წ. ამ დღეს ხსენებულ ქალაქის მუშები გაიფიცნენ კაპიტალის წინააღმდეგ. ეს გაფიცვა იმ დროისა—თვით არაჩვეულებრივი გრანდიოზული ხასიათისა იყო. ბურჟუაზიამ სასტიკი ომების საშუალებით ჩააკრო ეს პირველი გაფიცვა... აუარებელი მსხვერპლი—დახოცილთ დახვრეტილთა, დასჯილთა. ამ დღეს პირველად მთელი თავისი ძლიერებით კაპიტალმა აგრძნობინა მუშათა კლასს თავისი დაუნდობლობა და უსასტიკესი სიმკაცრე. და ამის შემდეგ 2 ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა 1 მაისის დღე პროლეტარულ სოლიდარობის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა; პირველი მაისის დღესასწაული არის აგრეთვე დღესასწაული სრული ეროვნული თვითგამორკვევისა ყველა ერებისათვის და მათი განთავისუფლებისა, პროლეტარიატის შეთანხმებული ბრძოლისა ბურჟუაზიას მტაცებლობისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. დღევანდელ დღეს მსოფლიოს მუშათა კლასი დარაზმული მეორე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ გამოდის სადღესასწაულოთ, მათგან გამოჭნულია კომუნისტური პარტია მე-3 ინტერნაციონალის სახით. უფლება ახდილ ქართველ ერს, მოსკოვის ჯალათებისა და რუსის ხიშტების მიერ დაპყრობილს კომპარტიის უსაშინლესი სალტეების, ??? და ბორკილებით შებოჭვილს, ძალა-უნებურად უხდება მონაწილეობის მიღება ამ დიად დღეს მის მოსისხლე მტერთან ერთად, იმ მტერთან, რომელიც ველურად სთელავს ქართველი მუშებისა და გლეხების უუწმინდეს უფლებებს! იმ მუშების და გლეხების, რომელთა თავზედაც გადაიარეს და რომელნიც აღშფოთებულნი მოწამენი იყვნენ ჯერ არ ნახული 24 წლის აგვისტოს ამბების: საქართველოს საუკეთესო შვილების, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლების ხვრეტისა, ჩეკის სარდაფებში წამებისა, წვალებისა გადასახლებისა! იმ ხალხისათვის, რომელსაც ახდილი აქვს ყოველგვარი მოქალაქის უფლებები, რომელიც მოკლებულია სიტყვის, კრების და მით უმეტეს

თავისუფლებას, ზნეობრივი წამებაა გვერდში ამოუდგეს ჯალათს, სისხლის მსმელს და მასთან ერთად იდღესასწაულოს მშრომელი ხალხის დიადი დღესასწაული, იდღესასწაულოს იქ, სადაც არა თუ

გაფიცვისათვის უბრალო სიტყვისათვისაც ხერეტენ მათ მესვეურთ! საქართველოს მშრომელმა ხალხმა კარგათ იცის, თუ რატომ მართავს კომუნისტური პარტია ამ ზეიმებს. მათ უნდათ აცნობონ განათლებულ კაცობრიობას, თუ როგორ ერთსულოვნად იხდის ქართველი ხალხი პირველი მაისის დღესასწაულს მათთან ერთად, მაგრამ ამაოდ! განათლებულმა კაცობრიობამ კარგად იცის და მასთან ერთად ქართველმა მუშებმა და გლეხებმაც დიდი ხანია გაიგეს, რომ მესამე ინტერნაციონალს არავითარი საერთო აღარა აქვს მათ ინტერესებთან, რომ ის დიდი ხანია ჩამოსცილდა მათ და რომ საბჭოთა ხელისუფლება დღეს საშუალო საუკუნის მემამულეზედ მე-18 საუკუნის ბატონზედ უფრო სასტიკი და შეუბრალებელია მუშებისა და გლეხების მიმართ, რომ ყველა რევოლუციის მონაპოვარი და მისი ლოზუნგები უკუგდებულია და უარყოფილია მესამე ინტერნაციონალის მიერ მოსკოვის ტირანების ხელმძღვანელობით: ყველაფერს ამას კარგათ ხედავს და გრძნობს ქართველი მუშა და გლეხი და ამის შემდეგ ისმება საკითხი: ვისი სახელით ან რა უფლებით გამოდის 1 მაისს კომუნისტური პარტია საზეიმოთ! მშრომელმა ხალხმა მას კარგა ხანია წაართვა თავისი ნდობა და ამისი უფლება და რამდენი ზეიმობაც არ უნდა მართოს, რამდენი მოსყიდულიც არ უნდა გადაიბიროს თავის ბანაკში, რამდენიც არ უნდა გაადიდოს რიცხვი სამოცდარვა რენეგატისა, რომელნიც ამ ბოლო დროს გადაიბარგნენ მათ რიგებში, რამდენი მოსყიდული დელეგაციებიც არ უნდა მოიპატიჟონ საზღვარ გარეთიდან, მაინც ვერაფრით გასტეხავენ მშრომელი ხალხის მტკიცე წყობას და მის გულს ვერაფრით მოინადირებენ, მათი დღეები დათვლილია უკვე! ისტორიამ ივინი გასწირა დაღუპვისათვის იდეურად და ზნეობრივათ გაკოტრებულნი ისინი მალე გაუშვებენ ხელიდან ძალმომრეობით მოპოვებულ ხელისუფლების საჭეს! ქართველი ხალხი კი კვლავ აღსდგება, კვლავ ააფრიალებს ეროვნულ თავისუფლების დროშას და მაშინ ერის მშრომელიც აღსდგება, წელში გაიმართება და მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად იდღესასწაულებს საერთაშორისო პირველ მაისის დიად დღეს!

გაუმარჯოს პირველ მაისს!
გაუმარჯოს სოციალიზმს!
გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს!

ძირს მოსკოვის ოკუპანტები!

ძირს ჩეკის ჯალათები!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს!

საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

1 მაისი

ქ. თბილისი.

ქართველ ერს!

უკვე ექვსმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას დაეპატრონა უხეში ძალა, რომელმაც ვერაგულად მოსტაცა ქართველ ერს თავისი სუვერენული უფლებები და დააკარგა მას მონის მძიმე უღელი. ვინ არ იცის, რომ დღეს ქართველი ერი და კომუნისტური ხელისუფლება წარმოადგენს ორ მოპირდაპირე ბანაკს, რომელთა შორის არ არსებობს არც საერთო ენა, არც შემაერთებელი ხიდი. განა შეიძლება ქართველი ერი ოდესმე შეურიგდეს იმ ხელისუფლებას, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველო გადააქცია მოსკოვის უბრალო კოლონიად, რომელმაც ქართველი მოქალაქე გამოაცხადა კანონს გარეშე; რომელმაც შელახა ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა, რომელმაც ფიზიკურად გაანადგურა მშრომელი მოსახლეობა და ერის საუკეთესო შვილების სისხლით მორწყო და გააპოხიერა საქართველოს მინდორ-ველი.

ვინ არ იცის, რომ დღეს ქართველ ერს დევნიან და აწამებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ის უარს არ ამბობს თავის ქართველობაზე; რომ ის მედგრად იცავს თავის ეროვნულ ენას, ეროვნულ კულტურას, ეროვნულ დიდებას, რომ მას არ სურს მიიღოს კომუნისტური სარწმუნოება და ატაროს მოსკოვის უღელი.

ამაოა ოკუპანტების იმედი. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ქართველ ერს, სანამ ის სავსებით არ განახორციელებს იმ დიად მისწრაფებას, რომლისაკენაც მოუწოდებს მას ისტორია.

ქართველი ერი მოწმეა მრავალი ბრძოლის და ტანჯვის, მაგრამ ის საშინელი ტანჯვა და ჯოჯოხეთური წამება, რომელსაც დღეს განიცდის საქართველოს მოსახლეობა, არ ახსოვს ისტორიას. საქართველო გადაიქცა ოკუპანტების და ჩეკას თავაშვებულ სათარეშო ასპარეზად. ხალხის ცოცხალ სხეულს კორტნიან ყვავ-ყორნები. შეჩერდა ეროვნული მაჯისცემა, დადუმდნენ მეტყველი ენები, მოკვდა საზოგადოებრივი აზროვნება. მოისპო თავისუფალი პრესა: „მუშურ გლეხური მთავრობა ქართველ მუშებსა და გლეხებს ტყვიებით უმასპინძლდება და ფიზიკურად ანადგურებს; ერის საუკეთესო შვილებს ჩეკას ბნელ

სარდაფებში ალპობს: პოლიტიკურ პატიმრებს თავზე რკინის მუხრუჭებს უჭერს და სიცოცხლეს ასალმებს. აუარებელ ახალგაზრდობას რუსეთის ციე გუბერნიებისაკენ ერეკება და სიმშილით ხოცავს და ყოველივე ამას ნათლად მოწმობენ უტყუარი ფაქტები, რომელიც ჩვენს ხელთ არის—ბათომის ჩეკაში წამებით მოკლეს პოლიტიკური პატიმარი ამხ. კირილე გოგუაძე. სოლოვკაში, 1925 წ. 21 დღე და 1927 წ. 25 დღე ისიმშილეს ქართველ პოლიტპატიმრებმა, იმავე სოლოვკაში 42 დღე ისიმშილა ქართველ ანარხისტმა ამბერკი ქარდავამ, რომ აღედგინათ პოლიტპატიმრობის უფლებებში. აი, ასეთ ჯალათურ ზომებს მიმართავს კომუნისტური ხელისუფლება ჩვენი ერის საუკეთესო შვილების წინააღმდეგ. არც უფლებრივი ნორმები,! არც ადამიანური მოპყრობა!, არც ჩვეულებრივი მორალი! არც იოტისოდენა სინდისი! ყველაფერი ეს უარყოფილია. მათი ადგილი დაიკავა მხოლოდ უხეშმა ძალამ და საშინელმა ინკვიზიციამ და როდესაც ქართველი ერი ვერ ურიგდება ასეთ ბოროტებას და მიისწრაფის უკეთესი მომავლისაკენ, ოკუპანტები მას დამსჯელი რაზმებითა და ჯოჯოხეთური რეპრესიებით უმასპინძლდებიან. მაგრამ ეს რეპრესიები უფრო აკავებს ხალხს და გულში კი უღრმეს სიძულვილს ბადებს მტარვალთა მიმართ, რომელნიც განწირულნი არიან ისტორიის მიერ.

კომუნისტურ ხელისუფლებას დღეს გვერდს უმშვენებენ, ეგრეთ წოდებული „ახალი გზელები", რომელნიც ბოლშევიკურად მოინათლენ და იწამეს ლენინის „წმინდა სახარება". ქართველ ერს დაუძინებელ მტრების სახით მოელინენ ეს რენეგატები და ქვეყანას უმტკიცებენ, რომ პარიზის ემიგრაცია, ს-დემ. მუშათა პარტია შეიარაღებულ გამოსვლებს აწყობენო. ვის სჭირია დღეს ჩვენში ეგ გამოსვლები? რომელი არალეგალური პარტია მოუწოდებს დღეს ჩვენში ხალხს აჯანყებისაკენ? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აჯანყება არ ჭირდება დღეს საქართველოს. სინამდვილეში ბოლშევიზმი ისედაც განწირულია და უარყოფამდე მისული. მოღალატე „ახალი გზელი" უსუსური კალმოსნების კომუნისტური გაზეთების განგაში აჯანყების შესახებ, არის მხოლოდ მორიგი პროვოკაცია ქართველი ერის მიმართ. ეს საშინელი პროვოკაცია ნიადაგს განამზადებს ახალი რეპრესიებისათვის და გზას უხსნის ჩეკას ისედაც ნაწამები ხალხის დარბევისაკენ.

ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ კომუნისტებს, რათა ყურად იღონ შემდეგი გაფრთხილება:

ნუ გადააქცევთ საქართველოს მიწა წყალს ოკუპანტების და ჩეკას სათარეშო ასპარეზად!

ნუ სწვავთ, ვით ჰეროსტრატე, ქართულ ეროვნულ კულტურის ტაძარს!

ნუ სჩადიხართ უდიდეს ბოროტებას ერის და ისტორიის წინაშე!

ნუ ისვრით ხელს ქართველი ხალხის სისხლში. აკმარეთ ნაწამებ ერს ამოდენა ტანჯვა და მით შეიმსუბუქეთ მომავალი პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც ვიმზადებთ თქვენ ისტორია, თორემ ერი არ დაივიწყებს თქვენს ღალატს და შესაფერ პასუხს მოგთხოვთ, როდესაც დადგება ჟამი თქვენი ვანკითხვისა.

და ეს ჟამი ახლოა, იცოდეთ.

ქართველო ერო! დღევანდელი შენი თავგანწირული ბრძოლა მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. ის მსხვერპლი, რომელიც შენ მიიტანე სამშობლოს წმინდა საკურთხეველზე, აუცილებელი თავდებია შენი მომავალი გამარჯვებისა. უმთავრესი დაბრკოლება უკვე დაძლეულია. ძნელი და ეკლიანი გზა განვლილია. უდიდესი ეროვნული საქმე გაკეთებულია. ჟამი შენი განთავისუფლებისა მოახლოებულია, შენი ეროვნულად გადაგვარება შეუძლებელია, ამას ადასტურებს შენი ორი ათასი წლის შარავანდედით მოცული ჭაღარა ისტორია. ისტორიული სიმართლე შენს მხარეზეა. თუ აწმყო არ გწყალობს, მომავალი შენია. კომუნისტური ხელისუფლება კი ისტორიის მიერ განწირულია. მტკიცედ იდექით სამშობლოს სადარაჯოზე. ნუ ათხოვებთ ყურს ბოროტი ენების გველურ სისინს. იმედის თვალით შეხედეთ მომავალს და ვაბედულად შესძახეთ მტერს.

ძირს მოძალადე ოკუპანტები!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

1927 წ. აგვისტო.

საქართველოს სოც-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ტირაჟი 10.000

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ჩვენი ერთობა №2

საქართველოს სოც. მუშ. პარტიის და ახალგაზრ. მარქ. ორგანიზაციის ორგანო.

1929 წ. ოქტომბერი.

კომუნისტური პარტია კიდევ ეგებება ოქტომბერს, როგორც „რევოლუციის“ დღეს. მერე არ იტყვით, როგორ საჩუქარს უძღვნის ის მუშათა კლასს ამ დღეობის გამო. — გაძვალტყავებულ ქვეყანას, განადგურებულ წარმოებას, დანგრეულ სოფლის მეურნეობას, დამონებულ მუშათა კლასს და გლეხობას, პოლიტიკურად უფლებააყრილ ხალხს, დამუნჯებულ ქვეყანას, პატივახდილ ინტელიგენციას, დამახინჯებულ ახალგაზრდობას,—აი კომუნისტური პარტიის საჩუქარი.

დღეს მუშათა კლასი, წითელ დროშის ნაცვლად, ხედავს შავ დროშას, რომელიც მის საფლავებზე საბჭოთა ხელისუფლებამ ააფრიალა.

მუშათა კლასისათვის ოქტომბერი დღესასწაული კი არ არის, ბლოვის დღე არის, ოქტომბერი დღესასწაულია ერთი მუჭა აპარატებში მჯდომი კომუნისტებისა, რომელნიც განცხრომაში ცხოვრობენ და იხრჩობიან.

მუშათა კლასმა კი ისევ უნდა იბრძოლოს სიტყვის, პრესის, კავშირების და წარმოიდგინეთ კომუნის თავისუფლებისათვის, თავის ფიზიკურ არსებობისათვის. თვითმპყრობელობის დამხობით მან ეს თავისუფლებები მიიღო, მაგრამ ეს თავისუფლებანი მას ოქტომბრის „რევოლუციამ“ წაართვა და ისევ მონათ გახადა.

მაშ, ისევ ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის და ეკონომიკურ თავისუფლებისათვის. — აი დღევანდელი ლოზუნგი.

„კატა გუდაში“

ეკონომიურად დამხობილ და განადგურებულ ხალხს საბჭოთა ხელისუფლება კვებავს ხუთწლიანი გეგმით. ხალხს ლუკმა პური არ აქვს, სახელმწიფოს დაელია ყოველგვარი წყაროები, აღარ არის ეროვნული სიმდიდრე, არცა ფული, — და ამ დროს კომუნისტებს სურთ წარბშეუხრელად, უსვინდისოთ მოატყვილონ მუშათა კლასი და გლეხობა ხუთწლიანი გეგმით.

მაგრამ ეს ხერხი ვერ გასჭრის. მდგომარეობა ისე უნუგეშო არის, რომ სასაცილოა რაიმე იმედის დამყარება ხუთწლიან გეგმაზე. ამ გეგმით მთავრობას უნდა ხალხი შეიქციოს, მოატყვილოს.

ამ შემთხვევაში მთავრობა იქცევა ისე, როგორც იქცევა ერთი მეცხვარე: ზამთარში მეცხვარეს ცხვრების საკვები შემოელია, იფიქრა, იფიქრა და შემდეგ ხერხს მიმართა: ჩასვა გუდაში კატა, გუდა ხეზე ჩამოკიდა, კატამ კი კნავილი მორთო, ცხვრები კატას შეაჩერდნენ და თავს ამით ირთობდნენ.

ასე სურს მთავრობასაც, მაგრამ უკაცრავად, მუშათა კლასი ცხერის ფარა არ არის, მან შეიგნო კომუნისტურ ჯგუფის დამღუპველი ბატონობა.

სიღატაკის ხელისუფლება

კაცობრიობას არ ახსოვს მთავრობა, რომელიც თავის მიზნით ხალხის გაღატაკებას, გაკოტრებას, სიღარიბეს ისახავდეს. კომუნისტური მთავრობის გეზი ხალხის სიღატაკე არის.

ამ მიზანს მთავრობა მშვენივრათ აღწევს: სოფელი აღარ ქმნის ბაზრისათვის საქონელს, სოფელი განადგურდა და ქალაქი იმშევა: სოფელში მშრომელი გლეხობა დეენილია, ზარმაცი და ბედოვლათი უფლებით მოსილია.

მაგრამ ისიც, რაც მოდის ელეხს, მთავრობის აგენტები ართმევენ. თბილისში დიდძალი გლეხობა ჩამოდის, 50 ფუთი ხორბალი მომიკიდა, 150 ფუთი შემომაწერესო; უბრძანებენ, თუ არ გაქვს, წადი, იყიდე, მიეცი 8 მანეთი, ჩვენ კოოპერატივში კი — მანეთად მოგვიტანეო.

სოფელი ისე დაეცა, რომ დასავლეთ საქართველოს მთელი რაიონების მცხოვრებლები დაავადმყოფდა, გადაშენების გზაზე არის.

ქართველებისათვის ვის ცალია, რუსეთიც იღუპება. მოსკოვში და პეტროგრადში ყოველ ურემს, რომელსაც კარტოფილი შემოაქვს ქალაქში, ხალხი მუზიკით და ოვაციით ეგებება.

ამაზე იქით მეურნეობის დაცემა ვერ წავა. მთავრობა დიდებულად ასრულებს თავის მიზანს — თავისი ხალხის გაღატაკებას.

იმავე დროს იმ მცირე საჭმელ-სასმელით, რომელიც მოდის საბჭოთა კავშირში, უცხოეთის ბურჟუაზიას კვებავს, უცხოეთში შეაქვს.

ყოჩაღ, მთავრობავ, ასე უნდა ხალხის პატრონობა.

„ვირთხები გარბიან“

ცხადია, ბოლშევიკური გემი იღუპება, გემი რომ იღუპება, ვირთხები გარბიან, გარბიან დიდი კომუნისტებიც: შეიმანი—სახელმწიფო ბანკის გამგე—უცხოეთში წავიდა საქმეებისათვის. პარტიის ცეკას პარტიული ბილეთი თავში ახალა, აღარ მოვდივარო. გერმანიის პარლამენტის თავმჯდომარე სოც. ლებე იმოწმება, 6000 ამერიკული დოლარი, რომელიც მთავრობის მას ქონდა, ლებეს ხელით გაუგზავნა კრესტიიკის. მშვიდობით. შეიმანი გერმანიის ერთ-ერთი ბანკის დირექტორად დაინიშნა.

ბესედოვსკი — ესეც გაიქცა მოსკოვიდან. ბიჭები ჩავიდნენ, მემარჯვენე აზრებისათვის უნდა დაეიჭიროთო. ბესედოვსკი გაიპარა გერმანიის მთავრობასთან, მიშველეთ მოსკოველი ტერორისტები მიჭერენ, მიხსენითო. ჩიჩერინიც არ ბრუნდება, ავად არისო და არც დაბრუნდებიან. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, იზოლიატორებში სხედან.

დადგა დრო, როდესაც იზოლიატორში თვით ახლანდელი ცეკა უნდა გაიგზავნოს. ემზადეთ.

ომს მთავრობა მალავს

ამავე დროს წითელი იმპერიალიზმი ომს აწარმოებს ჩინეთის წინააღმდეგ. ყველა ქართველს ახსოვს საქართველოში წითელი ჯარის შემოჭრა, საქართველოს დაპყრობა, აგრეთვე სურს წითელ იმპერიალისტებს ჩინეთში შეჭრა, ჩინეთის ხალხის არევ-დარევა, მისი დამოუკიდებლობის მოსპობა.

ამ მიზნისათვის აქ შორეულ აღმოსავლეთში იხარჯება, იფლანგება ხალხის სიმდიდრე, იხოცება ხალხი,—მთავრობა კი ამას უმალავს ხალხს. შორეულ აღმოსავლეთში ნამდვილი ომია, მთავრობა კი ვითომ არაფერია.

ამ მთავრობას არ შეუძლია სხვაგვარად მოქცევა, მან ყველაფერი უნდა დაუმალოს ხალხს.

მოიგონეთ ამ რამდენიმე თვის წინ აჭარა გაანადგურეს „წითელმა“ ჯარმა—მთავრობას კი ერთი სიტყვითაც არაფერი უცნობებია ხალხისათვის. ეხლაც ასეა. მაგრამ როდემდის.

დრო არის მუშათა კლასმა ხმა ამოიღოს და პასუხი მოითხოვოს ტირანებისაგან.

საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას

საქართველოს, რომელიც მუდამ ჟამს იმყოფებოდა მტარვალთა და ბარბაროსთა გარემოცვის პირობებში, საქართველოს, რომელსაც მუდამ უხდებოდა თავის არსებობის შენარჩუნება და თავის ეროვნული რაობის დაცვა, მუდამ მზად იყო თავის ეროვნული რაობის ბატონ-პატრონი ყოფილიყო. კიდეეაც თავდადებული მოქმედებით შეეძლო შეენარჩუნებია თავისი ეროვნული სული და მოეღწია იმ ნეტარ და საოცნებო ისტორიულ მოვლენამდე, როგორც არის 1918 წლის 26 მაისი „საქართველოს განთავისუფლების დღე, როგორიც დეიურე, ისე დეფაქტო და ამრიგად ჩვენი პატარა საქართველო გამხდარიყო სრული უფლებიანი წევრი კულტურული ეროვნებათა მთლიანი ოჯახის, რითაც მას შესძლებოდა თავისუფლად ეროვნული შემოქმედების გაშლა. მაგრამ ბოროტმა ძალებმა რუსული იმპერიალიზმის სახით ფეხქვეშ გათელა ეს საოცნებო რამ ქართველი ერისათვის. ბოლშევიკურმა რუსეთმა თავისი ჯალათური ხელებით მოვვისპო და წაბილწა საქართველოს სუვერენობა. ბარბაროს ბოლშევიკები ვერ შეურიგდა დემოკრატიულ საქართველოს თავისუფლად არსებობას და განმანადგურებელი რისხვა თავს დაატეხა საქართველოს მშრომელთ. მიუხედავად იმისა, საქართველოს მშრომელნი ქართველ ახალგაზრდობათან ერთად თავგამოდებით იბრძოდა ვერაგულად შემოჭრილი მტრების წინააღმდეგ. ქართველი ახალგაზრდობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია და რომელიც წარმოადგენს მტკიცე და საიმედო დასაყრდენს სოც.-დემ. მუშათა პარტიისა, სამაგალითოდ დაუმტკიცა საქართველოს დემოკრატიას თავდადებული სიყვარული მისდამი. ახ. მარქ. ორგ. რომელიც იყო, არის და იქნება მუდამ ერთგული დამხმარე ძალა სოც. დემ. მუშათა პარტიისა, მუდამ მზად არის პარტიასთან ერთად ღირსეული პასუხი გასცეს იმათ, ვინც საქართველოს უფსკრულისაკენ მიაქანებს. იგი არ წარმოადგენს ბრმა ძალას პარტიისა, როგორც დღეს ბოლშევიკურ პარტიას კომკავშირი წარმოუდგენია და ცხვრის ფარასავით ერეკება იქ სადაც უკარნახებს მოსყიდული მოსკოვის აგენტები. ახ. მარქ. ორგ. წარმოადგენდა არა მარტო ორგანიზაციულად შეკავშირებულ მტკიცე ბირთვს ახალგაზრდებისას, რომელიც ეხმარებოდა პარტიას იმ დიად საქმის დაგეირგვინებაში, რომლისკენაც მოწოდებული იყო ჩვენი სოციალისტური პარტია, არამედ იგი წარმოადგენდა აგრეთვე

აკადემიურ წრეს, სადაც ხდებოდა საფუძვლიანად შესწავლა მარქსიზმის, რათა ადეილი გამხდარიყო ჩვენთვის მარქსისტული კონცეფცია, გაგვეშუქებია ცხოვრებაში საჭირბოროტო საკითხები მაგრამ ეს იყო რომ არ დაგვცალდა ნეტარი დრო ქართველი ერისათვის, არ მოგვეცა საშუალება გიგანტური ნაბიჯით გაქანებულიყო წინ აღმშენებლობა ყოველ ფრონტზე, საზღვარგარეთის მოწინავე ერებისათვის დაგვენახებია ჩვენი პოტენციური ენერგია. რომელიც მუდამ ჟამ იძულებული ვიყავით სხვა რამეზე დაგვეხარჯა. ეს იყო, რომ საქართველო სულს ითქვამდა, წელში მაგრდებოდა და პრაქტიკულად ხორციელდებოდა ის, რაც ჩვენთვის იდეალს წარმოადგენდა მაგრამ ჩრდილოეთიდან მოწოლილმა ურდოებმა უთანასწორო ბრძოლებში დაგვამარცხა. მიუხედავად საქართველოს მშრომელთ და კერძოდ საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი თავგამოდებით იბრძოდა ეერაგულად შემოსული მტრის წინააღმდეგ, ზოგიერთი ქართველი მოღალატეების წყალობით და ეს იყო რომ ცეცხლით და მახვილით გააბატონეს თავიანთი ბატონობა. მოსპეს ყველაფერი ის რასაც ქართველური სული სდიოდა და საუკეთესო შვილები სიცოცხლეს გამოასალმეს და ამრიგად ხიშტებით ფიქრობენ და ლამობენ თავიანთი ვერაგული პოლიტიკის გატარებას. მაგრამ რა მიიღეს შედეგად, განა შეიძლება ისტორიის ჩარხის ზოგიერთების თვითნებური სურვილისამებრ ტრიალი. არა და არა და შედეგად კიდევაც მივიღეთ სრული დაშლა როგორც სამეურნეო ისე კულტურულ ფრონტზე. განა ყველაფერი ეს იმას არ ღაღადობს, რომ მათი უხეში პოლიტიკა შეუფერებელი და მიუღებელია ჩვენს სინამდვილეში. დიახ, სწორედ ამის დადასტურება იყო ის, რომ საქართველოს მშრომელებმა 1924 წლის აგვისტოს აჯანყება მოაწყვეს, ნიშნად ღრმა პროტესტისა და დემონსტრაციულად გამოვიდნენ ქუჩებში, რომელშიაც ქართველი ახალგაზრდობაც იღებდა მონაწილეობას, ახალ. გაზ. მარქ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. მაგრამ განა ერთ მუჭა საქართველოს შეეძლო გაენთავისუფლებინა თავი რუსეთის ურდოებისაგან? განა საქართველოს შეეძლო ჩეკის აგენტებს შებრძოლებოდა, ცხადია არა, მაგრამ მან ამით მთელ მსოფლიოს აუწყა თუ რა ტანჯულ მდგომარეობაში იყოფებოდა იგი. ყველას ამცნო ბოლშევიკური უღლის სიმწვავე, მან ამით დაამტკიცა, რომ მზად არის მსხვერპლი გაიღოს ამ დიად საქმეში, რომელსაც საქართველოს თავისუფლება ეწოდება.

ქართველი ახალგაზრდობა მტკიცე და მედგარია; არავითარი დაბრკოლების წინაშე ქედს არ მოიხრის და პარტიასთან ერთად იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, იგი მზად არის თავისი წელილი გაიღოს ამ დიად საქმეში, მართალია ბრძოლაში დავკარგეთ საუკეთესო ახალგაზრდობა, მართალია ჩვენ ამ ბრძოლაში ბევრსაც დავკარგავთ, მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვწამს, რომ ჩვენ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთ. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს საქართველოს ორგანიზმს იმ მუწუკს ვაშორებთ, რომელიც გახრწნას უქადის მას და ორგანიულად დაშლას ემუქრება. ამდენად ჩვენი თავდადება გამართლებულ უნდა იქნას. საქ. ახ. მარქ. ორგანიზაცია, რომელიც არის მესაჭე საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობისა მუდამ მზად არის გაატაროს ის, რომელსაც უკარნახებს მას რევოლუციონერული სინდისი, იგი არასოდეს არ ულალატებს თავისი რევოლუციონურ წარსულს და არ გადაიქცევა ავანტიურიზმის გზად. არამედ მუდამ რევოლუციონური მარქსიზმის ჩირაღდანით ხელში, მუდამ მზად იქნება იბრძოლოს ტანჯული დღევანდელ პირობებში იგი მზად არის სასტიკი ბრძოლა აწარმოოს კომკავშირის წინააღმდეგ, როგორც ორგანიზაციული, ისე იდეური, იმ კომკავშირის, რომელიც ხრწნის ახალგაზრდობას.

მართალია საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი აუტანელ პირობებში იმყოფება, მაგრამ ჩვენ ხომ გვჩვეია დაბრკოლების წინაშე ქედის მოღრეკა და უიმედო წუწუნი, ჩვენ ხომ ამ ტანჯვა-წვალებაზე გამოცდილებას ვღებულობთ, რათა ფოლადისებური ენერგიით დაეუხედეთ იმ დიად მომავალს, რომელსაც ... მოუთმენლად მოველით და ეს მიზანი არც ისე შორს არის. მაშ ვიყოთ მზად, შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები, გავსწიოთ წინ საუკეთესო მომავლისაკენ, დაველეწოთ მონობის ბორკილები, რომელიც ჩვენ ასე სულს გვიხუთავს და მით ჩვენ, როგორც ყოველთვის პარტიასთან ერთად ვიბრძოლოთ მედგრად საქართველოს განთავისუფლებისათვის რუსეთის ტირანიისაგან".

საყოველთაო უსწავლელობა

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ეს რა უბედურებაა: წელს დიდი ძალი ბავშვები არ მიიღეს მე-8 ჯგუფში, ინტელიგენტის შვილები ხართ, თქვენს მამებს ჯამაგირი 150 მანეთი აქვთო.

თბილისში 800 ბავშვია დარჩენილი სკოლის გარეთ, ქუთაისში 600, გურიაში 400.

განა ეს ბარბაროსობა არ არის.

უნივერსიტეტიდან დიდძალი სტუდენტები ... გამორიცხეს, მესამე კურსიდანაც გამორიცხეს—ინტელიგენტების, ყოფილი ვაჭრების, მღვდლების შვილები ხართო, განა ეს არის ხალხის პატრონობა.

მართალია თვითმპყრობელობის დროს იზრდებოდნენ პოლიციელის, ჟანდარმიის, ვაჭრების შვილები (მოკითხეთ საქართველოს ცეკაში), მაგრამ გლეხობასაც არა და მუშების შვილებსაც არ ჰქონდათ გზა დაკეტილი, თუკი ნიჭს გამოიჩენდნენ. დღეს ნიჭი დევნილია, შრომა უარყოფილია, გაბატონებულია უნიჭობა, სიწამხდრე, ჯაშუშობა.

დღეს ბევრი ქართველი ინტელიგენტი თვალცრემლიანი დადის, შვილი უსწავლელი დამრჩა, არ მიიღესო, ამავე დროს ვერც ერთ სომეხ ინტელიგენტს ვერ ნახავთ ასეთ მდგომარეობაში, მათთვის ყველაფერი არის საქართველოში, ქართველებისათვის კი არაფერია, ვაი სირცხვილო.—

სხვა და სხვა ცნობები

ჩვენ გვატყობინებენ, პოლონეთში გამოვიდა წიგნაკი ივანე ქავთარაძესი, რომელიც მიძღვნილია პილსუდსკისადმი, როგორც ეროვნული იდეის მატარებლისა; ამ წიგნის რეცენზენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონიერმა და ნამდვილმა მთავრობამ, რომელიც დღეს საფრანგეთში იმყოფება, უჩვენა მაგალითი ძველი ..... ევროპას სულგრძელობისა, სიყვარულისა და თავდადებულ ბრძოლისა თავის სამშობლოსათვის.

—... ბილანიშვილი ძველი რევ მუშა, იყო გადასახლებული, იქ დაავადმყოფდა, ჩამოვიდა თფილისში, რომ ეთხოვა, ავადმყოფი ვარ, საქართველოში დამტოვეთო, მაგრამ მთავრობამ შეიპყრო და ისევ ცივ ქვეყნებში გაგზავნა.

—მთავრობას განკარგულება გაუცია პრესაში არ იხმაროთ სიტყვა „ერი“, „საქართველოს დამოუკიდებლობა“ და სხვა.

—ლ. ქავთარაძის ქალი, გადაასახლეს ა.წ 6 აპრილს ციე გუბერ-ნიებში, რომელიც ჯერ კიდევ მოსკოვის ციხეში იმყოფება.—

ს. დუმბაძე მოსკოვის საპყრობილეშია.—

—პარიტეტჩიკები (კ. ანდრონიკაშვილი და სხვები) ურალის იზო-ლიატორშია, ამბობენ სხვა და სხვა ადგილას გადაყავთ, რომ მათ ადგილას ოპოზიციონერები დაამწყვდიონო.—

—გიზო ანჯაფარიძემ გაათავა 5 წლის იზოლიატორი. ჩამოსვლის ნება არ მისცეს.—

ტ. 3000

ქართველ ერს

ამხანაგებო, დიდი ხანია არ მოგვიმართავს და თქვენთან არ გვიბაასნია თანამედროვე მომენტზე. დღევანდელ მომენტში ეს გასაჭირია. ტეხნიკური პირობების გამო ვრცლად ვერც დღეს გებაასებით ამ საკითხებზედ. ჩვენ თეზისებად ჩამოვაყალიბებთ დღევანდელი მომენტის—მდგომარეობის დაფასებას და აქედან ვამომდინარე ტაქტიკის ამ თეზისებს თქვენ განავითარებთ, შეავსებთ ცხოვრების ცოცხალი ფაქტებით:

1) საწარმოო ძალთა მდგომარეობა არის მომენტის დაფასებისათვის გამოსავალი წერტილი. ხელისუფლება, სისტემა, რომელიც ქმნის ისეთს პირობებს, რომ საწარმოო ძალები კი არ ვითარდება, ეცემა, ხდება არა წინსვლა, არამედ უკან დახევა,—მიუღებელია, ასეთი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია და შეადგენს ყველა მოქალაქის მოვალეობას—

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა ამ მხრივ ყოვლად უნუგეშოა, და უდავოა ეკონომიურად არა თუ ხდება, უკვე მომხდარი ფაქტია, ეკონომიური ძალების განადგურება, წარმოება დაეცა და განადგურდა. არ არის საჭირო ციფრების მოყვანა, საკმარისია ყველა ჩაუკვირდეს თავის მდგომარეობას, ბაზარს, ფასებს, რომ დაინახოს ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობა. ხალხს არ აქვს საპერანგე, არ აქვს ტანსაცმელი, არ აქვს საჭმელი და სასმელი, ყველა ძალები განადგურებულია.

2) დაეცა და განადგურდა სოფლის მეურნეობა, აღარ არის პური, ყველი, კარაქი, ხორცი და სხვა სოფლის საქონელი. გლეხს არა აქვს არავითარი ინტერესი აწარმოოს მეურნეობა. სოფლად სიღატაკე და სიზარმაცე არის ნაქები ხელისუფლების მიერ, განრჯელობა კი დევნილი, ხელისუფლების ხაზია—სიღატაკე. არავინ აღარა ქმნის სიმდიდრეს. კოლხოზები და სხვა ამისთანები თვალის ასახვეეათაა გამოგონილი, ეს ზღაპარია, საბჭოთა ქვეყანა, გლეხური ქვეყანაა. მისი გარდაქმნა დღეს კოლხოზებათ გაუგონარი უტოპიაა, ოცნებაა, ოცნება მავნებელი და გამანადგურებელი.—ასეთი პოლიტიკის შედეგია ქვეყნის გაღატაკება, მეურნეობის დაცემა. დღეს სოფლად მთავრობა ართმევს გლეხს პურს, მაგრამ ქალაქი მაინც მშიერია.—მთავ-

რობა რომ კარტოჩკებზე გადავიდა ამას მით ასაბუთებს, რომ ვითომ გლეხობა პურს საქონელს აჭმევდა. დღეს ირკვევა რომ სამეგრელო უჭმელობით შენდება, დამპალი სიმინდის ჭამით, მასიურად დაავადმყოფდა და მეტი განადგურება შეუძლებელია.

3) მაგრამ ისიც, რასაც იძლევა სოფლის მეურნეობა, იზიდება უცხოეთში, ჩალის ფასად. ჩვენი კვერცხით, ყველით, კარაქით, თხილით, ნიგოზით, ვაშლით და სხვა და სხვა იკვებება ის ბურჟუაზია უცხოეთის, რომელსაც ებრძვის ხელისუფლება. ნავთი, მარგანეცი, მუქთად გააქვთ უცხოელებს. საბჭოთა ქვეყანა ნამდვილი კოლონია არის უცხოელი ბურჟუაზიისათვის და ამას ჩადის ხელისუფლება, მიტომ, რომ ვალიუტა შეიძინოს, მიტომ რომ ჩერვონცი უცხოეთში არ ფულობს—მიტომ რომ ბოლშევიკური სისტემა გაკოტრებულია შინაეკონომიური მდგომარეობა უნუგეშოა, ხაზინაში აღარაფერი შედის, არავინაა შემტანი, დასაბეგრი, ყველა ღატაკია. დარჩა ხელისუფლებას მხოლოდ მუშა-მოსამსახურის ხელფასი, აქიდან ის თლის და თლის, მიაქვს და მიაქვს სესხის თუ სხვა სახით. ეს ნამდვილი კატასტროფაა.

4) ასეთი მდგომარეობა ქმნის კომუნისტური პარტიის დეზორგანიზაციას. თვით პარტიის წევრები უკმაყოფილონი არიან, ებრძვიან პარტიას მარჯვნიდან და მარცხნიდან, პარტია დანგრეული და განადგურებულია, ხელისუფლება არა თუ მუშათა კლასის ხელში არ არის, ის არც პარტიის ხელშია, ვიწრო ჯგუფის ხელშია. ეს ვიწრო ჯგუფი არის დიქტატორი.

დადგა დრო, როდესაც უნდა აიფრთხოს ეს ჯგუფი და დასასრულიც ეს იქნება. ყველა სერიოზული და მოწინავენი დაშორდნენ პარტიას, ქვეყანა ავანტურისტების ხელშია.

5) კომუნისტური პარტია დაეცა ზნეობრივათაც: ფლანგვა, გარყვნილება, უზნეობა და სხვა საზოგადო მოვლენა არის პარტიულებისათვის გახრწნა. ეათახსირდა, დაეცა პარტია, ის თავის წუმპეში ცურავს, მან დაკარგა ზნეობრივი გავლენა.

6) გაკოტრდა საერთაშორისო ბოლშევიკური პოლიტიკა. ამ პარტიამ უარყო ერის თვით გამორკვევა, მიილტვის ჩინეთში თავისუფალი ერის დასაპყრობად. ამან გამოიწვია ფაქტიური ომი ჩინეთთან. იქ იღუპება ხალხი. იქ იფლანგება ხალხის სიმდიდრე, ხელისუფლება კი მალავს, ვითომ მას ესხმიან თავს ჩინეთის საზღვარზე. მომხდარი

ამბები საერთაშორისო ავანტურისტული პოლიტიკის შედეგია.

7) ამაეე დროს შიგნით მოსპობილია ყოველგვარი თვითმოქმედება, აღარ არის აღარავითარი თავისუფლება არც მუშა, არც გლეხისათვის. ტერორისტული მართვა-გამგეობაა.—დაეცა კულტურა, აზრი შებორკილი და დაბლა დაცემულია.

ასეთ პირობებში რა ვემართებს, რა ვქნათ, რა ვაკეთოთ. ჩვენი მოვალეობაა მშრომელი ხალხის აზრის დამუშავება, თანამედროვე საკითხებზე თვალის ახსნა, გაგება, შეგნება, ეს შეგნება იმის თავდები იქნება, რომ ყოველივე მომენტს ხალხი შეხვდება გარკვეული გზით, არ დაიბნევა და სწორ გზას აიღებს. უტყუარია რომ ამ ხელისუფლებას არ შეუძლია ასეთ პირობებში არსებობა. ის უწდა დაეცეს, ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ გადამწყვეტი მომენტისათვის იდეურად და ორგანიზაციულად, საქართველო უნდა შესდგეს განვითარების გზაზე, მან უნდა დაიბრუნოს დამოუკიდებლობა, აღადგინოს დემოკრატიული წესწყობილება და სახელმწიფო. საწარმოო ძალთა განვითარებას, ქართველი ერის მისწრაფებათა განხორციელების გზას დროით ნუ გავზომავთ—შეიძლება და კიდეეაც არის უტყუარი საბუთები, რომ ეს გზა ძალიან მოკლეც იყოს—საქართველოს დაპყრობიდან განვლილი ცხრა წელიწადი სულაც არ ნიშნავს მის დაკარგვას. საქართველოს დაბრუნების ყველაზე მოკლე გზაა—მთელი ხალხის შემჭიდროვება და მხნე მუშაობა მოძალადეების წინააღმდეგ.

აი ჩვენი ხაზი, ჩვენი ტაქტიკა—

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტი.

1929 წ. ოქტომბერი.

ტ. 5000

საქართველოს მუშებო და გლეხებო

დიდი ხანია კომუნისტური პარტია და მისი მთავრობა გაკოტრების გზაზე შესდგა. ეხლა გაკოტრებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია: გაკოტრდა კომუნისტები როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურ დარგში.

საქართველოს და ამიერკავკასიას ახალი „ნამესტნიკი" მოეკლინა. მოსკოვმა ამიერკავკასიის მმართველად საქართველოს დედაქალაქში დანიშნა მისი მაღალპრწყინვალება ვიღაც ვივინდარა კრინიცკი. ახალი „ნამესტნიკი" ჩამოვიდა თუ არა, მოსკოვის ველიკოდერჟაული იმპერიალიზმის განხორციელებას შეუდგა. მან გამოაქვეყნა დირეკტივები, რომლის თანახმად არსებითად ისპობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების არსებობა. არსდება ამიერკავკასიის კომისარიატები, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატებიც მოისპობა. კავკასიას გამგეთ კიდევ გოლიცინები და ვორონცოვები მოეკლინება, მაგრამ სხვა გვარებით და სხვა სამოსლით.

ამგვარად, რუსეთი თავის საქმეს აკეთებს, კომუნისტები განაგრძობენ იმ პოლიტიკას, რომელიც იყო თვითმპყრობელობის და შავრაზმელების პოლიტიკა: ეს პოლიტიკა დროებით შეწყდა საქართველოს დამოუკიდებლობით, მაგრამ ეს ხაზი ეხლა კომუნისტურმა პარტიამ აღადგინა და მას ანხორციელებს.

ღღეს ყველასთვის აშკარა არის კომუნისტების მთავრობის შავი და იმპერიალისტური ზრახვები, მას სურს აღადგინოს მთლიანი რუსეთი, პატარა ერები ველიკორუსების კლანჭებში ჩააგდოს, როგორც იყო ეს თვითმპყრობელობის დროს.

რაც ადრე დამთავრდება ეს შავი საქმე, მით უკეთესია, მით უფრო ადრე გაიგებს ხალხი, რომ კომუნისტები ხალხის მტრები არიან, ქართველი კომუნისტები ჭეშმარიტ რუსების იარაღია. ამაზე ზევით პოლიტიკური გაკოტრება ვერ წავა. იარეთ ამ გზით, ვერაგებო.

ეს გზა თქვენთვის დაგვილოცია.

ეკონომიური გაკოტრება ყველასთვის ფაქტია. ხელისუფლებამ იმდენად დასცა, გაანადგურა მეურნეობა, რომ უკვე იწყება ხორცისაც სულზე 100 გრამის წივნაკებით დარიგება. მთელი საბჭოთა ქვეყანა ყაზარმათ გადაიქცა, ყველა მოქალაქე ტუსაღათ, რომელიც ყოველ-

ღღიური „პაიოკით“ იკვებება. განადგურებული და განიავებულია მრეწველობაც. არ არის არავითარი საქონელი, ქვეყანა სულს ღაფავს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავს ხმის ამოღებას. ხალხის შეეიწროებას საზღვარი არ აქვს, მაგრამ შურისძიება მოახლოებულია. კომუნისტებო, ერიდეთ ხალხის რისხვას, არ კმარა ის, რომ თქვენი სახლები სავსეა საჭმელით, სასმელით და ყოველივე ფუფუნებით, არ კმარა, რომ თქვენ განცხრომაში ხართ და გარყვნილებაში იხრჩობით, არ კმარა, რომ მთელი საბჭოთა კავშირის აპარატი გაიძვერების და კარიერისტების ხელშია. შეიხედეთ მუშის და გლეხის ოჯახში, თქვენ იქ ნახავთ საშინელ განსაცდელს, შიმშილს, სიტიტელეს, ავადმყოფობას, დაუძლურებას, ყოველგვარი უფლებების აყრას, დამცირებას და შეურაცხყოფას.

მუშა და გლეხო, კმარა, დროა შეიგნო შენი ინტერესები და ანგარიში გაუსწორო მათ, ვინც შენი სახელით ანადგურებს გლეხობას და მუშათა კლასს.

ძირს ჯალათები.

გაუმარჯოს თავისუფლებას.

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას.—

დეკემბერი 1929 წ.

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ტ. 2500

ქართველ ერს

წელს შესრულდა ხუთი წელი, რაც დაპყრობილი ქართველი ერი აღსდგა, აჯანყდა დამპყრობელ რუსეთის წინააღმდეგ და სცადა განთავისუფლება.

1924 წელს აგვისტოში ქართველი ერის საუკეთესო შვილები გამოვიდენ ბრძოლის ველზე ოკუპანტების წინააღმდეგ, მაგრამ უხეშმა ძალამ, რუსეთის ხიშტებმა და რუსეთის კომუნისტების აგენტებმა საქართველოში ცეცხლით და მახვილით ჩააქრეს ეს აჯანყება.

დამპყრობლებმა, საბჭოთა ხელისუფლებამ გაჟლიტა უდანაშაულო ხალხი, არ დაინდო არავინ, გამხეცებულმა ხელისუფლებამ დახვრიტა ისეთი ქართველი რევოლუციონერები, როგორიცაა ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი, ვოვიტა ფაღაეა და მრავალი სხვები. ააოხრა გურია, სამეგრელო, იმერეთი თავის ჯალათების საშუალებით, სისხლში ჩაახრჩო მან ერის სამართლიანი ლტოლვა. მას დღესაც რუსეთის იზოლიატორებში ყავს ამ დიდი აქტის მონაწილე პირნი.

დღეს რა გვმართებს? არა გლოვა და ტირილი, არა ცრემლი და წუწუნი, შეიარაღება მტკიცე ენერგიით, განუსაზღვრელი წყრომით ჯალათებისადმი და ფიცი იმ საფლავების წინაშე, რომელიც აგვისტოში საოკუპაციო ხელისუფლებამ გათხარა საქართველოში. ფიცი, ფიცი, მტკიცე ფიცი.

ფ ი ც ი

„ეფიცავ ქართველ ერის წინაშე და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა საფლავების წინაშე, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არ ვუღალატო მას არც მოქმედებით და არც აზრით და ვიბრძოლო საქართველოს დამპყრობელთა წინააღმდეგ მთელი ჩემი შეგნებით და ძალით. ეფიცავ, ეფიცავ.

შ ე ნ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ უ შ ა ვ... შენ ყოველთვის დამცველი იყავი სამართლიანობის, ერის თვითგამორკვევის, შენ ებრძოდი იმპერიალისტებს, დამპყრობლებს, ებრძოდი ჟანდარმერიას და ფიცი უნდა დასდვა, რომ განაგრძობ ბრძოლას წითელი იმპერიალისტების, ქართველი ერის დამპყრობელების და ჩეკის წინააღმდეგ, ხომ ხედავ,

როგორ გაგანადგურა ამ ხელისუფლებამ ეკონომიურად, მოსპო ყოველგვარი თავისუფლება კრების, სიტყვის და სხვა თავისუფლება.

შ ე ნ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო გ ლ ე ხ ო... დღეს დაბეჩავებულო, განადგურებულო, უფლება აყრილო, მაგრამ მებრძოლო, მამულის დამცველო, შენ ამ მებრძოლთა რიგებში პირველი უნდა იყო.

შ ე ნ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ა... პატივ ახდილო, დამონავებულო უხეშ ძალით, იმედ მიხდილო, არ დასტოვო ბრძოლის რიგები და არ უღალატო ქართველი ერის ფიცს.

შ ე ნ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა ვ... საქართველოს დიდებავ, იმედო და სასოებავ, აღიჭურვე დღეს დამპყრობელებისადმი უაღრესი სიძულვილით და შენი გულის ფიცარზე აღიბეჭდე ეს ფიცი.

შ ე ნ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო ქ ა ლ ო... შენ მუდამ უზრდიდი საქართველოს მებრძოლთ. დედის რძესთან აწოვებდი შენს შვილს მამულის სიყვარულს და მისთვის თავდადებას, აღზარდე საქართველოს მებრძოლნი და „ნანინასთან" ერთად ჩააღიღინე ეს ფიცი.

შ ე ნ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო ჯ ა რ ი კ ა ც ო... მუდამ საქართველოს დიდების დამცველო, ეს ფიცი ყველაზე მეტად შენ გიხდება, გაწამებული ერი შენგან მოელის უკანასკნელს და გადამჭრელ სიტყვას.

ძირს ქართველი ერის ჯალათები.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

აგვისტო 1929 წ.

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ტირაჟი 5000

გამოყენებული ლიტერატურა

(მონოგრაფიები, მოგონებები, სტატიები)

არსენიძე რ.—აჯანყება საქართველოში, პარიზი, 1964

ბენდიანიშვილი ალ.—ეროვნული საკითხი საქართველოში (1801—1921), თბ. 1980

ბენიძე ე.—1924 წ. აჯანყება საქართველოში, თბ. 1991

გაბაშვილი რ.—რაც მახსოვს, 1958

გვარჯალაძე კ.—საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბ. 1991

გოგიბერიძე ს.—ბრძოლა სამშობლოსათვის, თბ. 1991

გრძელიძე რ.—1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ. 1992

გვაზავა გ.—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პარიზი, 1928

გიორგაძე გ.—საქართველო, ანტანტა და რუსეთი, თბ. 1921

გორდეზიანი რ.—ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა

გიორგაძე ე.—გვარდიის წინამძღოლი ვალიკო ჯუღელი, თბ. 1993

დიუგე რ.—მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ. 1994

ვადაჭკორია შ.—ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების კრახი საქართველოში 1917-1925 წ.წ. თბ. 1987

ვაჩნაძე დ.—დაპყრობილ საქართველოში, ჟ. „კრიტიკა", 1992

ვეშაპელი გრ.—ახალი საქართველო, თბ. 1928

ზალდასტანიშვილი ს.—საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ. 1989

ინასარიძე კ.—„პატარა ოქროს ხანა", საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წ.წ. მიუნხენი, 1985

თოიძე ლ.—ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ. 1991

თოიძე ლ.—როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ. 1993

იმედაშვილი ი.—ჩემი ცხოვრების წიგნი, თბ. 1978

კარგარეთელი ალ.—ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981.

კახიანი მ.—მენშევიკები სამუშაოზე, თბ. 1924.

კახიანი მ.—მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბ. 1924

კახიანი მ.—კიდევ ერთხელ ემიგრაციის შესახებ, თბ. 1927
კილაძე ს.—საქართველო და ერთა ლიგა. ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, თბ. 1991, №1
კირთაძე ნ.—საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმება, გაზ. „განათლება“ 1991
კირთაძე ნ.—ისტორიულ-პოლიტიკური პროცესი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991 წლის 18,25 იანვარი
კირთაძე ნ.—ერთი რგოლი ისტორიის ჯაჭვში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1989 წ. სექტემბერი
ლასხიშვილი გ.—მემუარები, თბ. 1934
ლორთქიფანიძე გრ.—ფიქრები საქართველოზე, თბ. 1995
ლომაშვილი ფ.—ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, თბ. 1965
მაზნიაშვილი გ.—მოგონებანი, თბ. 1927
მანველიშვილი ალ.—საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938
მანველიშვილი ალ.—ჩემი მოგონებანი, ჟ. „პოლიტიკა“, 1991, №5-10
მგელაძე ვ.—რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ. 1991
მაცაბერიძე მ.—1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური აზრი. ჟ. „პოლიტიკა“, 1991, №8
მუჯირი ა.—ოცდაოთხი წლის აგვისტოს ცხელი დღეები. გაზ. „კომუნისტი“, 1990
ორჯონიკიძე ს.—მენშევიკების ავანტურა საქართველოში. ტფ. 1924
სანიკიძე ლ.—„მესამე დასის“ საქართველო, თბ. 1989
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ. 1976
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული—1918-1921 წ.წ. თბ. 1990
საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ. ვაშინგტონი, 1955 წ. (ქართული თარგმანი, თბ. 1991)
სულაქველიძე კ.—რა მოხდა? (ვინ და როგორ მოაწყო აგვისტოს აჯანყება), თბ. 1927
სულხანიშვილი ალ.—1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ. 1990
სულხანიშვილი ალ.—რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის... და ილიას მკვლელობის სინამდვილე, 1985
სურგულაძე ა. სურგულაძე პ.—საქართველოს ისტორია, თბ. 1991
სიდამონიძე უ.—საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული

მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის ისტორიოგრაფია. 1917-1921 წ. წ. თბ. 1970

ტაბაღუა ი.—საქართველო და ევროპის სახელმწიფოები, 1918-1921, გაზ. „თბილისი“, 1989

ურატაძე გრ.—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება და კონსოლიდაცია, მიუნხენი, 1956

ქიქოძე გ.—ეროვნული ენერგია, თბ. 1990

ღოღობერიძე ლ. ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბ. 1927

ქაქუცა ჩოლოყაშვილი. კრებული, გ. შარაძის რედაქციით, თბ. 1989

შარაძე გ.—უცხოეთის ცის ქვეშ (წიგნი პირველი), თბ. 1991

შარაძე გ.—უცხოეთის ცის ქვეშ (წიგნი მეორე, მესამე), თბ. 1993

შველიძე დ.—პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, თბ. 1993

ჩხაიძე გ.—აჯანყება, რომელიც თავიდანვე განწირული იყო, გაზ. „ქომაგი“, №36, 1991

ჩუბინიძე ვ.—მოგონება, პარიზი, 1953

ჯანგველაძე გ.—საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923), თბ. 1974

II პრესა

გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1921, №1-2-3,13

გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1922, №16,20,21

გაზ. „საქართველო“, 1921

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921

გაზ. „სახალხო საქმე“, 1921-28, პარიზი

გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 29 აგვისტო

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წლის 4 მაისი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991 წლის 18 იანვარი

ჟურ. „გუშაგი“, პარიზი, 1884 წლის სექტემბერი

ჟურ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925 წლის სექტემბერი

ჟურ. „ბრძოლა“, პარიზი, 1926 წლის აგვისტო

ჟურ. „ბრძოლა“, 1929 წლის ოქტომბერი, პარიზი

ჟურ. „ბრძოლა“, 1925 წლის აგვისტო, პარიზი

ჟურ. „კავკასიონი“, 1924-1964 პარიზი

ჟურ. „საქართველოს კომუნისტი“, 1989 წლის №3

გაზ. „ტრიბუნა“, 1921-1923 წწ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918-1921 წ.წ.

III საარქივო დოკუმენტები

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის დოკუმენტები (ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები).

საქართველოს პარტიული არქივი

საქართველოს უშიშროების კომიტეტის არქივი.

სარჩევი

რედაქტორისაგან....3
შესავალი....5
თავი პირველი
ოკუპაციის დამდეგი წელი....11
თავი მეორე
პირველი გამოსვლები....36
თავი მესამე
დაპყრობილი საქართველო და ევროპა....56
თავი მეოთხე
პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმება–
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი....78
თავი მეხუთე
პოლიტიკური პარტიები ემიგრაციაში და
საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი....99
თავი მეექვსე
კავკასიური თათბირი....120
თავი მეშვიდე
აჯანყების სამზადისი–
სამხედრო „ცენტრი“ და „კომისია“....124
თავი მერვე
აჯანყების ზღურბლზე....161
თავი მეცხრე
აჯანყება....172
თავი მეათე
შედეგები და შეფასება....183
დოკუმენტური მასალა
ისტორია შეულამაზებლად....195
გამოყენებული ლიტერატურა....459

რეცენზენტები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან თოიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შშანბ სიდამონიძე**

მხატვარი **რომან ნიკონიკაძე**
ტექნიკური რედაქტორი **ბოჩა ჩიტიძე**
კორექტორი **ლია შერბელაშვილი**

გადაეცა წარმოებას 10.04.96, ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.05.96
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29, ზომა 60X90 1/16,
ტირაჟი 1000, შეკვეთა №1330

ფასი სახელშეკრულებო

ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის
სააქციო საზოგადოება „სტამბა"
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33